წიაღლის სვეტი

ᲜᲘᲐᲙᲐᲚᲧᲚᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ 1977

И (Исл)
839.59.09
Б 40

ძველი ისლანდიურიდან თარგმნა,
წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო

გიორგი ჯაბაშვილმა

С $\frac{70304-4}{М-603(08)-77}$ 114—77

წინასიტყვაობა

ამ წიგნით ქართველი მკითხველი პირველად გაეცნობა ერთ-ერთ შესანიშნავ და თავისებურ ქმნილებას. ისლანდიური საგები შეღის მსოფლიო ლიტერატურის ოქროს საგანძურში და „ნიალის საგა" უპირველესი ძეგლია მათ ძორის. ისლანდიელებს აქვთ ტრადიცია, ყოველ წელს თავიდან გადაიკითხონ იგი.

ისლანდია მე-9 საუკუნეში აღმოაჩინეს და აი, რას მოგვითხრობენ ამის შესახებ გარდასულ დროთა საგები:

იყო ერთი ზღვის მეომარი, ვიკინგი, სახელად ნადოდი, ნორვეგიელი. ერთხელ იგი ფარერის კუნძულებისკენ მიემართებოდა. უცბად ამოვარდნილმა ქარიშხალმა ჩრდილოეთისკენ გაიტაცა მისი ხომალდი და ზღვაზე უგზო-უკელოდ ხეტიალის შემდეგ მან მიწას მოპკრა თვალი. ნადოღმა და მისმა ამხანაგებმა იარაღი აისხეს და ნაპირზე გადავიდნენ. ირგვლივ ლავით დაფარული ველი გადაშლილიყო. არსად ადამიანის ხმა არ ისმოდა და არც ცოცხალი არსება ჭაჭანებდა სადმე. ნადოღი აქ რამდენიმე ხანს დარჩა. შემოდგომით ზეცა ღრუბლებით დაიფარა, მთები დაითოელა და ირგვლივ თოელის მეტი აღარაფერი ჩანდა. მაშინ ნადოდი და მისი ამხანაგები აიყარნენ, კუნძული მიატოვეს და სახელად სნელანდი — თოელის ქვეყანა — უწოდეს მას.

ეს ამბავი 861 წელს მოხდა.

სამი წლის შემდეგ ერთი შვედი, სახელად გარდარი, პებრიდის კუნძულებისკენ გაუდგა გზას, სადაც თავისი სამემკვიდრო ქონება უნდა მიეღო. ახლაც იგივე განმეორდა, რაც ნადოღს შეემთხვა. შმაგმა გრიგალმა სნელანდის ნაპირებისკენ გასტყორცნა გარდარის ხომალდი. გარდარმა აქ გამოიზამთრა და უკან მობრუნებული ბევრს აქებდა თვალით ნახულს. მისი ნაამბობი ნორვეგიელი ზღვის ყაჩაღის, ფლოკის ყურს მისწვდა. იმავე 864 წელს, ფლოკიმ გადაწყვიტა, მოენახულებინა შორეული კუნძული. მან თავისი ხომალდი გამართა, ხალხი შეკრიბა, თან სამი ყორანი წარიტანა და ზღვაში გავიდა. ფარერის კუნძულებს რომ გასცდა, ფლოკიმ ერთი ყორანი აუშვა პაერში. ყორანი ცაში აიჭრა და გაბრუნდა იქით, საიდანაც ფლოკი დაადგა გზას. რამდენიმე ხნის შემდეგ ფლოკიმ მეორე ყორანი ააფრინა. ფრინველმა პაერში იტრიალა ერთხანს, ირგვლივ გადაშლილი თვალუწვდენელი ზღვით დამფრთხალი ისევ ხომალდზე დაეშვა და თავის გალიაზე

ჩამოსკუბდა. ცურვა განაგრძეს და ასლა მესამე ყორანი გამოუშვა ფლოკიმ. ყორანი გამალებული აიჭრა ცაში და გულდაგულ გაექანა წინ, ჩრდილოეთისაკენ. სომალდი უკან მიპყვა და მალე კუნძულს მიადგა იქ, სადაც დღეს რეიკიანესის კონცხია. ნადოდმა შემოდგომის თოვლით დაფარული ისილა იქაურობა, ფლოკის კი გაზაფხულის ყინულებით მოფენილი დახვდა მთელი არემარე და კუნძულსაც ასე უწოდა: ყინულების ქვეყანა, ანუ ისლანდია, და ეს სახელი დღემდე შემორჩა ამ კუნძულს. თუმცა ასალმონულებს უნაყოფო ველები, აბორგებული ეულკანები და პირქუში კლდეები გადაეშალაო თვალწინ, მაინც, როდესაც ფლოკი იმავე ზაფხულს ნორვეგიაში დაბრუნდა, ერთი მისი თანამგზავრი, თოროლვი, გულუბრყვილო მსმენელებს არწმუნებდა, თუ რაოდენ მომხიბლავი მსარე დასვდათ ისლანდიაში, სადაც ირგელიე მრავალი ნაყოფი სარობდა და კლდიდან რძე მოსჩქეფდა...

იმსანად ნორვეგიაში მნიშვნელოვანი ამბები მოხდა. მაშინდელი ნორვეგია მცირე სამეფოებად იყო დაქუცმაცებული, რომლებსაც სამსედრო ბელადები — კონუნგები განაგებდნენ. ერთ-ერთმა კონუნგმა, ვიკის მბრძანებელმა, პარალდმა, შესანიშნავი გარეგნობისა და ფიზიკური ძალის მქონე ყმაწვილმა, რომელიც ათი წლისა დაჯდა ტასტზე, თავისი ხალხი მიუგზავნა პორდალანდის კონუნგ ეირიკის ასულს, გიდას, და ხარჭად ხლება მოსთხოვა. ამპარტავანი და განებიერებული გოგონა პარმაღზე გამოვიდა და ამაყად განუცხადა პარალდის მალემსრბოლთ, — ტყუილ-უბრალოდ თავს არ ვაეაუუჭებინებო ესოდენ მცირე სამფლობელოს კონუნგს... მიკვირს, რატომ არავინ გამოჩნდა ისეთი, რომ თავის ნებას დაუმორჩილოს მთელი ნორვეგია, როგორც ეს გააკეთეს კონუნგმა გორმმა დანიაში და ეირიკმა შვეციაშიო — და დაუმატა, გადაეცით, თანასმა ვიქნები მის კანონიერ ცოლობაზე, თუ იგი მთელ ნორვეგიას დაიპყრობსო ჩემი გულისთვის.

როდესაც ნირწამსდარი შიკრიკები უკან გამობრუნდნენ და პარალდს გიდას დანაბარები მოახსენეს, ჭაბუკი კონუნგი სასტად დარჩა, აქამდე როგორ არ მომივიდაო ეგ აზრი. მაშინ მან ფიცი დადო, მანამდე არ შეეკრიჭა, არ დაეკარცხნა და არ დაებანა თმა, ვიდრე მთელ ნორვეგიას არ დაიმორჩილებდა. ამის შემდეგ პარალდი მოპყვა და ათი წლის მანძილზე იბრძოდა თავისი მიზნის განსახორციელებლად. იგი მანამდე არ დამცხრალა, ვიდრე სისრულეში არ მოიყვანა თავისი აღთქმა. გადამწყვეტი ბრძოლა 872 წელს მოსდა პაფრსფიორდთან, ნორვეგიის სანაპიროსთან. ამ დიდმა, უწყალო ბრძოლამ ზღვაზე უდიდესი როლი ითამაშა ევროპის ისტორიაში. პარალდი ნორვეგიის ერთმპყრობელი მეფე გახდა. მან, აღთქმის თანასმად, თავისი ქერა თმა დაიბანა, დაივარცხნა, შეიკრიჭა და მას შემდეგ ისტორიაში პარალდ თმაშვენიერის სახელით არის ცნობილი. საგა მოგვითხრობს, რომ სრული გამარჯვების შემდეგ პარალდმა კვლავ გაუგზავნა მოციქულები გიდას და ცნობილია, რომ მათ პყავდათ შვილები...

ზემოაღწერილ ამბებს გადმოგვცემს ე. წ. „დასახლების წიგნი“ („ლანდნამაბოკ“) და სახელგანთქმული „ჰეიმსკრინგლა.“ პირველში მოთხრობილია ისლანდიის აღმოჩენის, მეორეში კი — პარალდის მიერ ნორვეგიის

დაპყრობის ამბავი. მიუხედავად იმ რომანტიკული ფერებისა, რომლებითაც ეს ამბებია დასატული, მათში თვალნათლივ ჩანს, თუ რა ძვრები ხდებოდა მაშინდელი ევროპის ჩრდილოეთში. ინგრეოდა გვაროვნული წყობილება და ყალიბდებოდა ახალი, ფეოდალური წყობილება. სკანდინავიაში გაჩნდა ახალი სახელმწიფოები: შვეცია, დანია, ნორვეგია.

ისტორიაში ამ ეპოქას ვიკინგების ხანას უწოდებენ. ეს იყო IX—XI საუკუნეები. ვიკინგები სკანდინავიური ქვეყნების ზღვის მეომრები იყვნენ და მათი როლი ევროპის ისტორიაში ფრიად თვალსაჩინოა. მათი გამოჩენა განსაზღვრა ნორვეგიის, დანიის და შვეციის გეოგრაფიულმა პირობებმა. ამ ქვეყნების ბუნებრივმა სიმწირემ, მოუსერხებელმა კომუნიკაციამ და მოსახლეობის მოჭარბებამ აიძულა მათი მკვიდრნი სიმდიდრე და სარჩო-საბადებელი ზღვის გაღმა ეძიათ და ისინი ნიაღვარივით მოედვნენ ევროპის ქვეყნებს. თავიანთი დროის საუკეთესო გემთმშენებელნი და მეზღვაურები საუკუნეთა მანძილზე შიშის ზარს სცემდნენ ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, ესპანეთის, იტალიისა და სხვათა ქვეყნების მცხოვრებთ. ვიკინგები აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროსაც არბევდნენ და აღმოსავლეთით რუსეთის ტერიტორიასაც მოსწვდნენ. ისინი პირველად 789 წელს გამოჩნდნენ, როდესაც მოულოდნელად ინგლისის ზღვისპირა სოფელში ლინდისფარნში ადგილობრივ ბერებს დაესხნენ თავს და დაუნდობლად ამოწყვიტეს ისინი. „ზღვის მგლების" სისასტიკის ამბავი სწრაფად გავრცელდა და სამი საუკუნის განმავლობაში ევროპის ეკლესიებში განუწყვეტლივ გაისმოდა ლოცვა-ღაღადისი „A furore normanorum Iibera nos, Domine" („გვიხსენ ნორმანთა რისხვისაგან, უფალო"). შვედები აღმოსავლეთს უტევდნენ, ბალტიის ქვეყნებსა და რუსეთს, ნორვეგიელები (რომლებიც „ნორმანების" სახელით არიან ცნობილნი) დასავლეთით ინგლისსა და შოტლანდიას მიეძალნენ, დანიელები სამხრეთით განლაგებულ ქვეყნებს მოსდგნენ. წარმართი ვიკინგების მრისხანე მასვილის წინაშე შიშით ძრწოდა მთელი ქრისტიანული სამყარო. მათ არ დაუტოვებიათ არც ერთი სანაპირო, არც ერთი მდინარე, რომელთა მეოსებითაც თავიანთი ერთიანლქნიანი ხომალდებით ქვეყნების სიღრმეში იჭრებოდნენ და დაუნდობლად არბევდნენ, ძარცვავდნენ, მიწასთან ასწორებდნენ და აპარტასებდნენ ქალაქ-სოფლებს. 845 წლის 29 მარტს მათ დაწვეს პარიზი. დიდი ხნის მანძილზე ევროპაში არ მოიპოვებოდა ძალა, რომელიც წინ აღუდგებოდა ვიკინგების შემოტევას და პირველად ინგლისელმა ალფრედ დიდმა, უესექსის მეფემ მოახერხა მათი შეჩერება 878 წელს, თუმცა მსოლოდ ნახევარი ინგლისის შენარჩუნება შეძლო, აღმოსავლეთი ნაწილი კი ნორმანებს დარჩათ და, როგორც „ეგილის საგა" გვაუწყებს, „დღეს ჩრდილოეთ ინგლისის ყოველ მცხოვრებს დედის ან მამის მხრივ სკანდინავიური ჩამომავლობა აქვსო".

მაგრამ ვიკინგები მარტო მამაცი მეომრები როდი იყვნენ. ისინი ფართოდ ეწეოდნენ ალებ-მიცემობას, თვალის დახამხამებაში ცვლიდნენ მახვილს სასწორით და ეაჭრობდნენ. იმაზე, თუ რა ვრცელი ვაჭრობა პქონდათ მათ გაჩაღებული, მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სკანდინავიაში, გაუტ-

ლანდის პატარა კუნძულზე ნაპოვნი 200 000 ვერცხლის ფულიდან 40 000 არაბული გამოდგა, 38 000 — გერმანული და 21 000 — ანგლო-საქსური.

ვიკინგები დაუცხრომლად დაძრწოდნენ ჩრდილოეთის მოუსვენარ ზღვაზე და ეპებდნენ ახალ ქვეყნებს. მათ აღმოაჩინეს ისლანდია, გრენლანდია (982 წ.), ჩრდილოეთ ამერიკა (1000 წ. ნორვეგიელების მიერ ამერიკის აღმოჩენის ოფიციალურ თარიღად ითვლება). დღეს სადაოდ აღარ მიაჩნიათ, რომ პირველი თეთრკანიანი ადამიანი, რომელიც ამერიკის ტერიტორიაზე დაიბადა, იყო სნორი, თორფინ კარლსეფნის ძე, შვილი ისლანდიელი მშობლებისა („გრენლანდიელთა საგა"). ვიკინგები დიდი რაოდენობით სახლდებოდნენ სხვადასხვა ქვეყნებში. „ფარერის კუნძულელთა საგა", რომელიც ისლანდიაში დაახლოებით 1200 წელს ჩაიწერა, გვამცნობს: „ერთ კაცს გრიმ კამბანი ერქვა. ის იყო პირველი ადამიანი, რომელიც ფარერის კუნძულებზე დასახლდა პარალდ თმაშვენიერის დროს". 911 წელს დანიელი ვიკინგების ბელადმა პროლვმა ფრანგთა მეფისაგან მიწა-წყალი მიიღო საფრანგეთის ჩრდილო ნაწილში სამფლობელოდ. აქ შეიქმნა ნორმანდიის სამთავრო, საიდანაც 1066 წელს ინგლისს დაეხსნენ თავს და იმავე წლის 14 ოქტომბერს ღაიმორჩილეს კიდეც. „ქართლის ცხოვრება" მათ „ვარანგეებს" უწოდებს და ბაგრატ მეოთხეს 3000 დაქირავებული ვარანგი ჩამოუყვანია საქართველოში ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად.

სიტყვა „ვიკინგის" მნიშვნელობა დღესაც გაუგებარია მეცნიერთათვის. გულისხმობენ, რომ იგი წარმომდგარი უნდა იყოს სიტყვიდან „ვიკ", რაც „ყურეს" ნიშნავს, რაკი ვიკინგებს ზღვის ყურეებში ეყენათ ბრძოლისა და ლაშქრობისათვის გამზადებული ხომალდები, მაგრამ ეს განმარტება საბოლოოდ მიღებული არ არის.

ნორმანები, ანუ ვიკინგები, დიდხანს ღვთით მოელენილ რისხვად და ბნელ ძალად მიაჩნდათ, მაგრამ უკანასკნელი დროის არქეოლოგიურმა გათხრებმა სინათლე მოპფინა მათ ისტორიას და ისტორიკოსებს თვალწინ წარმოუდგათ მტკიცედ შეკრული, ორგანიზებული ბირთვი, რომელიც მკაცრად განსაზღვრული კანონებით სულდგმულობდა, და რომელიც ხალხთა დიდი გადასახლების უკანასკნელ ტალღას წარმოადგენდა. მათ ევროპული წყობილება პქონდათ, რის კლასიკურ ნიმუშსაც იმდროინდელ ისლანდიაში ვხედავთ.

პაფრსფიორდის ბრძოლის შემდეგ, როდესაც პარალდ თმაშვენიერი მთლიანად დაეპატრონა ნორვეგიას, მისგან ძლეულმა ბონდებმა და მათმა ბელადებმა, პაღინგებმა, არ ისურვეს პარალდის უღელში კისრის გაყოფა, და ისინი ოჯახებითა და მთელი ჯალაბობით იყრებოდნენ, სომალდებზე სხდებოდნენ, თან მიპყავდათ თავიანთი საქონელი, ფრინველი, მსახურები და ნორვეგიას ტოვებდნენ. მათ უკვე ყურმოკვრით პქონდათ გაგონილი მანამდე უცნობი კუნძულის არსებობა და თავშესაფრის საძიებლად იქით მიეშურებოდნენ. პირველი ნორვეგიელი ვიკინგი, რომელიც ისლანდიაში დასახლდა, იყო ინგოლფ არნის ძე. როდესაც იგი ისლანდიის ნაპირებს მიუახლოვდა, ზღვაში გადააგდო ძელი, რომელზეღაც წარმართული კერპი

იყო გამოსასული, — ასეთი ძელები სკანდინავიელებს თავიანთ ბომონში საპატიო სკამის უკან პქონდათ აღმართული, — და ის ადგილი, სადაც ძელი წყალმა ნაპირზე გარიყა, ინგოლფმა საცხოვრებლად აირჩია. ინგოლფმა ამ ადგილს „კვამლის ყურე“ უწოდა, რაც ისლანდიურად „რეიკიავიკს“ ნიშნავს. დღეს აქ ისლანდიის დედაქალაქია გაშენებული. რეიკიავიკში არის ქუჩა ადალსტრეტი („მთავარი ქუჩა“). არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა, რომ ეს იყო გზა, რომელიც ინგოლფის ფერმიდან ზღვისკენ მიემართებოდა. დღევანდელი აუსტურსტრეტი („აღმოსავლეთის ქუჩა“) ინგოლფის ფერმიდან აღმოსავლეთისკენ მიმავალი გზა იყო, ხოლო დღევანდელი აუსტურველი („აღმოსავლეთის ველი“) ინგოლფის ფერმის აღმოსავლეთით მდებარე ველს ნიშნავს, სადაც ამჟამად პარლამენტის შენობის წინ მოედანია გაშენებული.

ისლანდიისა და დასავლეთ ნორვეგიის კლიმატური პირობები და ბუნება დიდად როდი განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ასლად აღმოჩენილი ქვეყნის ამბავი სწრაფად გავრცელდა და მისკენ ემიგრანტთა დიდი ნაკადი დაიძრა. უმრავლესობას ძირითადად ნორვეგიელები შეადგენდნენ, მაგრამ მათ შორის საკმაოდ იყვნენ იმ ნორმანთა შთამომავალნიც, რომლებიც აღრე ბრიტანეთის კუნძულების კელტურ მიდამოებში დასასლდნენ: ირლანდიიდან, შოტლანდიიღან, პებრიდის, ორკნეისა და შეტლანდის კუნძულებიღან. აქვე იყვნენ ლტოლვილნიც დანიიდან, შვეციდან და სხვა ასლომასლო მდებარე ქვეყნებიდან.

პარალდ თმაშეფნიერის მიერ ნორვეგიიდან განდევნილი ურჩი ბონდები, რომლებიც პებრიდის, ორკნეისა და შეტლანდის კუნძულებზე დამკვიდრდნენ, მოსვენებას არ აძლევდნენ ნორვეგიას, ხშირად თავს ესხმოდნენ და არბევდნენ მას. მაშინ პარალდმა დიდ ფლოტს მოუყარა თავი, ამ კუნძულებისკენ გაილაშქრა და ერთიანად ამოწყვიტა იქ დაბანაკებული ვიკინგები. ისლანდია კი ყველაზე საიმედო ადგილი იყო სიშორის გამო, სადაც აღვილად სელი ვერ მიუწვდებოდა ნორვეგიის მრისხანე მბრძანებელს.

ინგოლფს თან მიპყვა ემიგრანტთა დიდი ტალღა. ისლანდიის დასახლება 50—60 წლის განმავლობაში გრძელდებოდა და ამ დროის მანძილზე კუნძულის მოსახლეობამ 70 000 კაცს მიაღწია. ასალმოსულნი, ჩვეულებისამებრ, კუნძულთან მიახლოებისას ხომალდებიდან ზღვაში პყრიდნენ კერპისგამოსახულებიან ძელებს და იქ, სადაც წყალი მათ გარიყავდა, საცხოვრებელ მიწა-წყალს იკავებდნენ. იმისათვის, რომ განესაზღვრათ ტერიტორია, რომლის დაკავებასაც აპირებდნენ, მათი ბელადი, პავდინგი, მაშსალით ხელში გარს შემოუვლიდა არჩეულ ნაკვეთს და ამით, ადათის მისედვით, განიმტკიცებდა თავის უფლებას მასზე. „ისლანდიელთა საგების“ და, განსაკუთრებით, „დასახლების წიგნისა“ („ლანდნამაბოკ“) და „ისლანდიელთა წიგნის“ („ისლენდინგაბოკ“) წყალობით დღეს ისლანდიელებმა იციან ყოველი ადამიანის სახელი, რომელიც ისლანდიაში დასასლდა პირველად 870—930 წლებში, ე. წ. „დასახლების წლებში“. ცნობილია, რომ დღეს ისლანდიაში ოცდამეცხრე თაობა ცხოვრობს.

ისლანდია ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთში მდებარეობს და არქტიკულ წრეს ემიჯნება. მისი ტერიტორია დაახლოებით 103 000 კვადრატულ კილომეტრს შეადგენს და სიდიდით იგი მეორე კუნძულია ევროპაში ბრიტანეთის შემდეგ. კუნძულის დიდი ნაწილი მთაგორიანია და ქვიშნარი უდაბნოებითა და ლავით მოფენილი უსიცოცხლო ველებით არის დაფარული. მისი პავა არცთუ ისე მკაცრია, როგორც კუნძულის სახელწოდება და მდებარეობა მიგვანიშნებს, რადგან გოლფსტრიმის ნაკადი გარს უვლის მას.

ჯერ კიდევ XIV საუკუნის შუა წლებში, ეპისკოპოს გუდმუნდ არასონის ისლანდიაში ყოფნაზე რომ ლაპარაკობს, მისი ბიოგრაფი ასე აღწერს ამ კუნძულს:

„ეს სასელწოდება მართლაც რომ ზედგამოჭრილია ამ კუნძულისთვის, რადგან ყინული იქ უხვად არის, როგორც მდინარეებსა და ტბებში, ისე ზღვაშიც. მაგრამ ზღვაში იმდენი მცურავი ყინულია და იგი ისეთ თვალუწვდენელ სივრცეზეა მოფენილი, რომ ყინულით სავსეა მთელი ჩრდილოეთის ზღვა, თვით ამ ქვეყანაში კი გვხვდება მყინვარები, რომლებიც არასოდეს არ დნება, და ეს მყინვარები იმდენად ვრცელია და მაღალი, რომ არავინ დაიჯერებს მათ არსებობას, ვისაც საკუთარი თვალით არ უნახავს ისინი. ისიც ხდება, რომ ამ ყინულოვანი მთებიდან ზათქითა და ზრიალით მოედინება ბობოქარი ნაკადი და ირგვლივ ისეთ საშინელ სიმყრალეს აფრქვევს. რომ ცაში ფრინველი ვერ უძლებს და ედამიწაზე კი — ადამიანი და პირუტყვი. არსებობს ამ ქვეყანაში სხვაგვარი მთებიც — ისინი საშინელ ცეცხლს ანთხევენ და უამრავ მძიმე ქვას ისვრიან ისე, რომ მათგან გამოწვეული სმაური და გრუხუნი მთელ კუნძულზე გაისმის; მთელ ამ საშინელებას თან ახლავს ისეთი ქარი და წყვდიადი, რომ შუა ზაფხულშიც კი კაცმა თვალში თითი რომ იტაკოს, ვერას დაინახავს. ყოველივე ამ უჩვეულო მოვლენას ზედ ისიც დაერთო, რომ თვით ზღვაში, სამხრეთ ნაპირიდან ერთი მილის დაშორებით ამოვარდნილ ცეცხლს თან ამოჰყვა მაღალი მთა და მის მაგივრად წყალში შთაინთქა მეორე მთა, უწინ ასევე რომ გაჩნდა. აქ ბლომად მოიპოვება ცხელი და გოგირდოვანი წყაროები, ტყე აქ არ არის, სარობს მსოლოდ არყის სე, და ისიც ჯუჯა. მარცვლეული აქა-იქ თუ სარობს ქვეყნის სამხრეთ ნაწილში და ისიც მსოლოდ ქერი. ზღვაში ღაჭერილი ოეზი და მეცხოველეობის ნაწარმი შეადგენს ყველაზე გავრცელებულ და ჩვეულებრივ საკვებს. ეს კუნძული ისე შორს არის მივარდნილი ჩრდილოეთში, რომ ზაფხულობით ზოგან მთელი თვისა და უფრო მეტი სნის განმავლობაში, განუწყვეტლივ დღეა და მზე ანათებს, ზამთარში კი ასეთივე ხანგრძლივი ღამეა. ამ ქვეყანაში სალსი ძირითადად ზღვის სანაპიროზე ცხოვრობს“.

ისლანდიის ეს აღწერილობა თითქმის ექვსნახევარი საუკუნის წინანდელია. ზოგიერთი უმნიშვნელო გაზვიადების გარდა, იგი დღესაც ჭეშმარიტებად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

როდესაც ნორვეგიელების მიერ ისლანდიის აღმოჩენაზე ელაპარაკობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ კუნძულზე უკვე იმყოფებოდნენ ქრისტი-

ანი ირლანდიელი ბერები, რომლებიც ისტორიაში „პაპარების“ სახელით არიან ცნობილნი. მათი რიცხვი ძალზე მცირე იყო და აქა-იქ გაუანტულნი ამ კუნძულზე ეძიებდნენ სიმყუდროვეს, რათა ლოცვა-ეეღრებაში გაეტარებინათ თავიანთი დღენი. ვიკინგების გამოჩენამ ბოლო მოუღო მათ არსებობას კუნძულზე.

ისლანდიაში გადმოსულმა ვიკინგებმა შექმნეს საზოგადოება, არაფრით რომ არ პგავდა არც ერთ მაშინ არსებულ სახელმწიფოს. ცნობილი საბჭოთა სკანდინავისტი მ. ი. სტებლინ-კამენსკი აღნიშნავს: „ისლანდიელი ხალხის ისტორიის თავისებურება ისიც არის, რომ იგი დაიწყო სახელმწიფოსაგან გაქცეეით“. ეს იმას ნიშნავს, რომ ისლანდიაში არ არსებობდა საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ მეორე ნაწილის ჩაგვრა, არ არსებობდა იძულებითი აპარატი, არ იყო არავითარი პოლიცია, არც ციხე. ყველაფერს წყვეტდა საზოგადოებრივი აზრი.

რას წარმოადგენდა მაშინდელი ისლანდიური საზოგადოება? ძირითადად ესენი იყვნენ თავისუფალი ბონდები, ე. ი. მიწათმფლობელები, ანუ ფერმერები. ბონდების გარკვეული ჯგუფის სათავეში იდგა მათი ბელადი — პაედინგი. ფაქტიურად ეს იყო იგივე ბონდი, მაგრამ სახელმოსვეჭილი თავისი პირადი ღირსებებითა და შეძლებით. მას არავითარი უფლებები არ გააჩნდა სხვა ბონდების მიმართ და თავის მეურნეობას ისევე ამუშავებდა საკუთარი ხელით, როგორც ჩვეულებრივი ბონდები. ეს უკანასკნელნი თავიანთ საჭირბოროტო საკითხებს წყვეტდნენ თავყრილობებზე, რომლებსაც „თინგს“ უწოდებდნენ. პაედინგები ირჩევდნენ საგვარეულო ქურუმებს. ასეთ ქურუმს ეწოდებოდა „გოდი“. გოდის ძალაუფლება მის მიერ დამსახურებულ საერთო ნდობასა და ავტორიტეტს ემყარებოდა. გოდის საშუალება პქონდა აეგო თავისი ბომონი, სადაც სდებოდა მსხვერპლის შეწირვა. გოდი თავმჯდომარეობდა თინგს. გოდის მრეველში შემავალი ბონდების ნაწილს ეწოდებოდა „გოდორდი“. თუ გოდი ბონდების ნდობას ვერ გაამართლებდა, ამ უკანასკნელთ შეეძლოთ მისი გადაყენება. გოდორდი არ იყო დაკავშირებული რომელიმე ტერიტორიასთან, ამიტომ ყოველ ბონდს შეეძლო ნებისმიერად აერჩია რომელიმე გოდორდი და შესულიყო მასში. გოდის წოდება მემკვიდრეობითი იყო. მას შეეძლო თავისი გოდორდის გაყიდვა ან სხვისთვის გადაცემა და გოდორდის წევრებს უფლება არ პქონდათ წინააღმდეგობა გაეწიათ მისთვის. მეორე მხრივ, მათ უფლება არ პქონდათ გამოსულიყვნენ ერთი გოდორდის შემადგენლობიდან და მეორეში შესულიყვნენ. ორ ან მეტ კაცს შეეძლო პქონოდა ერთი გოდორდი, ასევე, ერთ ადამიანს შეიძლებოდა ერთზე მეტი გოდორდი პქონოდა.

თინგების სისტემა ისლანდიელებმა ნორვეგიიდან გადმოიტანეს, მაგრამ ნორვეგიაში არ ყოფილა რაიმე საკანონმდებლო დაწესებულება. ყველაფერს კონუნგი წყვეტდა. ისლანდიაში კი კონუნგები არ პყავდათ. გერმანელი ეკლესიასტი ადამ ბრემენელი თავის წიგნში პამბურგელ ეპისკოპოსთა შესახებ ახსენებს ისლანდიელებს და ამბობს: Apud illos non est rex, nisi tanfum lex — მათ არ პყავთ მეფე, აქვთ მსოლოდ კანონები“. 930 წელს

შეიქმნა „ალთინგი“, სრულიად ისლანდიის თინგი, რომელიც ევროპის უძველეს პარლამენტად ითელება. ალთინგზე წყდებოდა საკითხები, რომელთა მოგვარება აღგილობრივ თინგებზე არ სერსდებოდა. ალთინგი მდებარეობდა ისლანდიის სამხრეთ დასავლეთ ნაწილში, ამ ქვეყნის ყველაზე დიდი ტბის ახლოს. ამ ადგილს თინგველირი ეწოდება. ალთინგი წელიწადში ერთხელ ზაფხულში იკრიბებოდა ორი კვირით. ალთინგს კანონთმეტყველი უძღვებოდა. მას სამი წლის ვადით ირჩევდნენ და მის მოვალეობას შეადგენდა ყოველ თავყრილობაზე ზეპირად წარმოთქვა მოქმედი კანონის მესამედი ნაწილი. მას ზეპირად უნდა სცოდნოდა მთელი კანონები, რადგან დამწერლობა მაშინ ისლანდიაში არ არსებობდა. კანონები პირველად მეთორმეტე საუკუნის დასაწყისში ჩაიწერა. პასუხისმგებლობა ძალზე დიდი იყო, კანონთმეტყველად ირჩევდნენ მხოლოდ კანონთა საუკეთესო მცოდნეთ. თუ მხარეთა შორის რაიმე უთანხმოება წამოიჭრებოდა კანონთან დაკავშირებით, საკითხს კანონთმეტყველი წყვეტდა. ალთინგის გარეშე კი მას არავითარი უფლებები არ გააჩნდა.

ალთინგი ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო მაშინდელ ისლანდიელთა ცხოვრებაში. აქ მოდიოდნენ ქვეყნის ყველა კუთხიდან, როგორც ეროვნულ ღღესასწაულზე. აქ ისმენდნენ ისინი თქმულებებს სახელოვან ადამიანებზე, იმართებოდა სპორტული სანახაობები და სხვადასხვა გასართობები. შორიშორს მცხოვრები ნათესავები და მეგობრები აქ ხვდებოდნენ ერთმანეთს, აქვე იძენდნენ ახალ ნაცნობებსა და მეგობრებს. ახალგაზრდები უფროსებისაგან კანონებს სწავლობდნენ და ჭაბუკი მგოსნებიც თავიანთ ლექსებს წარმოთქვამდნენ. აქ იგებდნენ გარეშე ქვეყნების ამბებსაც და აქვე უჩვენებდნენ ერთმანეთს თავიანთ საუკეთესო ტანსაცმელსა და იარაღს.

ალთინგის ძირითადი ღამსახურება ისლანდიელთა ისტორიაში ის არის, რომ იგი მორალურად, ფსიქოლოგიურად აერთიანებდა და კრავდა კუნძულის მკვიდრთ, ერად აყალიბებდა მათ. ღღევანდელი ისლანდიელები მადლიერების გრძნობით ისსენებენ იმ ბრძენ ადამიანებს, ვისაც პირველად გაუჩნდა ალთინგის შექმნის იდეა და მათვე უმადლიან იმას, რომ ისლანდიელები ღღეს ღამოუკიდებელი ერია.

ისლანდიელთა საერთო რაოდენობა იმ დროს 70 000 კაცს აღწევდა. ნორვეგიაში კი დაახლოებით 250 000 მცხოვრები იყო. როდესაც 1874 წელს ისლანდიელებმა თავიანთი 1000 წლისთავი იზეიმეს, კუნძულის მკვიდრთა რაოდენობა ისევ 70 000 კაცს უდრიდა. ნორვეგიაში ამ დროს უკვე 2 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა. ისლანდია მაშინ ევროპის უღატაკესი ქვეყანა იყო. მას არ ჰქონდა არც ნავსადგურები, არც გზები, დიდ მდინარეებზე აქა-იქ თუ იყო ხიდები. მიწას ისეთივე პრიმიტიული საშუალებებით ამუშავებდნენ, როგორც ათასი წლის წინათ და კუნძულის მცხოვრებნი ძირითადად თევზის ჭერით ირჩენდნენ თავს. ამ დროს რეიკიავიკის მოსახლეობა სულ 2 000 კაცს შეადგენდა. მთელ ქვეყანაში არსებობდა მხოლოდ ერთი გრამატიკული სკოლა და ერთი თეოლოგიური სემინარია. მთელი ეკონომიკა ფაქტიურად დანიელთა ხელში იყო...

930 წელს შექმნილმა თაეიხუფალმა ისლანდიურმა საზოგადოებამ სამი საუკუნე იარსება. შუა საუკუნეთა თვალსაზრისით ეს საკმაოდ დიდი დრო იყო. მე-13 საუკუნის დამდეგს ისლანდიაში მთელი ძალაუფლება სამი თუ ოთხი გავლენიანი გვარის ხელში მოხვდა, რომლებიც ერთმანეთს გაუთავებლად ებრძოდნენ; ამ ბრძოლამ ისე დაასუსტა ქვეყანა, რომ ამით მოსერხებულად ისარგებლა ნორვეგიელთა მეფემ პაკონ პაკონის ძემ და 1262 წელს ისლანდია ნორვეგიას დაუმორჩილა, თუმცა ნორვეგიის მეფემ გარკვეული უფლებები დაუტოვა ახალ სამფლობელოს. ალთინგისა და მეფის ძალაუფლება გაერთიანდა, მეფემ ვალად იღო დაეცვა ისლანდიის მშვიდობა და ძალაში დაეტოვებინა მისი კანონმდებლობა. ყოველწლიურად ნორვეგიიდან ისლანდიისკენ ექვსი გემი გადიოდა. ისლანდიელები უფრო მეტი უფლებებით სარგებლობდნენ ნორვეგიაში და ისლანდიაშიც თანამდებობებზე მსოლოდ ისლანდიელები ინიშნებოდნენ.

1380 წელს ნორვეგია ისლანდიასთან ერთად დანიის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა და დანიელთა ბატონობა ისლანდიაში ექვსი საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა. თავდაპირველად დანიის მეფეები არ ერეოდნენ ისლანდიის საშინაო საქმეებში ისევე, როგორც ნორვეგიის კონუნგები. მონარქია კმაყოფილი იყო ისლანდიიდან მიღებული შემოსავლით, მაგრამ მალე მდგომარეობა შეიცვალა. პანსას ვაჭრებმა მარწუხები მოუჭირეს ჩრდილოეთის ქვეყნების ეკონომიკას. 1400 წლისათვის ისლანდიის შინაკეთი ნაწარმი უკვე აღარ საღდებოდა გარეშე ქვეყნების ბაზარზე. იგი თევზეულმა და ზღვის პროდუქციამ შეცვალა. ისლანდიელთა ძირითად საქმიანობად, სოფლის მეურნეობის მაგივრად, თევზჭერა იქცა. 1400 წლიდან ინგლისელებმა და გერმანელებმა ისლანდიელებთან უშუალო ვაჭრობა გააჩაღეს. მე-15 საუკუნეში და მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში, მიუსედავად ეულკანების გაუთავებელი ამოფრქვევისა და ეპიდემიისა, ისლანდიის ეკონომიკა ფეხზე იდგა. სიმდიდრე და ძალაუფლება თანდათან შეძლებული ხალხისა და ეკლესიის ხელში გროვდებოდა. განსხვავება მდიდართა და ღატაკთა შორის მატულობდა. რეფორმაციის პერიოდში ისლანდიის მიწების ნახევარი კათოლიკური ეკლესიის ხელში იყო. 1536 წელს დანიაში კრისტიან მესამე გამეფდა და შემდეგ წელსვე სპეციალური დეკრეტით განკარგულება გასცა ლუთერანობა შემოეღოთ მის საბრძანისში. ისლანდიაში ამ დროს ორი ეპისკოპოსი იყო და ორივე კათოლიკე: იონ არასონი, პოლარში, ისლანდიის ჩრდილოეთ ნაწილში, და აგმუნდ პაულსონი სამხრეთში. ისინი წინაღუდგნენ ახალი რელიგიის შემოღებას და ბრძოლა ისე გამწვავდა, რომ 1550 წელს იონ არასონი სიკვდილით დასაჯეს სკალპოლტში თავის ორ ვაჟთან ერთად. დანიელთა მეფემ მძიმე გადასახადები შემოიღო.

ამერიკის აღმოჩენამ თევზის ფასი დასცა ევროპაში. ისლანდიელთა ჩარსი უკუღმა დატრიალდა. 1703 წელს ისლანდიელთა რაოდენობა 50 000 კაცს არ აღემატებოდა. ყოველი მეთერთმეტე კაცი მათსოვარი იყო. გასული საუკუნის ფრანგ მეცნიერს ქს. მარმიეს თავის წიგნში „Iettres sur

l' Islande" მოპყავს საინტერესო ცნობა იმის შესახებ, თუ რა დღეში იყო ისლანდია სტიქიური და სხვა უბედურებებისაგან:

1300. ვულკანის ამოფრქვევა.
1308. მიწისძვრა.
1311. ვულკანის ამოფრქვევა.
1339. მიწისძერა. — ვულკანის ამოფრქვევა.
1341. ვულკანის ამოფრქვევა.
1346. ვულკანის ამოფრქვევა.
1350. ვულკანის ამოფრქვევა
1357. ვულკანის ამოფრქვევა.
1360. ვულკანის ამოფრქვევა.
1362. ვულკანის ამოფრქვევა.
1390. ვულკანის ამოფრქვევა.
1402. ყამიანობამ ბოლო მოუღო მოსახლეობის ორ მესამედს.
1419. შემოსევა ინგლისელი კორსარებისა, რომლებმაც დაარბიეს და გააპარტახეს კუნძული.
1423. მათი ახალი შემოსევა, რომელიც სისასტიკით პირველს არ ჩამოუვარდებოდა.
1490. ეპიდემია.
1582. ვულკანის ამოფრქვევა.
1583. ვულკანის ამოფრქვევა.
1616. ალჟირელი კორსარების შემოსევა.
1707. ეპიდემიამ მუსრი გაავლო მოსახლეობის ერთ მეოთხედს.
1716. ვულკანის ამოფრქვევა.
1717. ვულკანის ამოფრქვევა.
1720. ვულკანის ამოფრქვევა.
1753. შიმშილობა.
1755. ვულკანის ამოფრქვევა.
1766. ვულკანის ამოფრქვევა.
1783. ვულკანის ამოფრქვევა. — ეპიდემია. — შიმშილობა.

1707—1709 წლებში ყვავილის ეპიდემიამ მოსახლეობის ერთ მესამედს ანუ 18000 კაცს მოუღო ბოლო. მოსახლეობის რიცხვი 35 000 კაცამდე დაეცა. ისლანდიას არნასული გასაჭირი დაადგა. მაშინ დანიის მეფეს მოახსენეს, თუ რა საეალალო დღეში იყო ჩავარდნილი კუნძულის მოსახლეობა, 1703 წლის აღწერაში აღნიშნული იყო ყოველი ისლანდიელის სახელი, მდგომარეობა და ასაკი. მეფეს ყური არ გაუბერტყავს, მაგრამ 1752 წელს სკული მაგნუსონმა მაინც მოახერხა აეშენებინა პირველი ფაბრიკა რეიკიავიკში. გამოხდა ხანი და გამოცოცხლდა მიწათმოქმედება, გაუმჯობესდა კომუნიკაცია და შემოღებულ იქნა საფოსტო მომსახურება. წინსვლა მაინც კუს ნაბიჯით ხდებოდა. მე-19 საუკუნის დასაწყისში ნაპოლეონის ომებმა ისლანდიის მდგომარეობაც გააუარესეს. ერის ბედი ბეწვზე ეკიდა. მაგრამ ამ წყვდიადში მაინც შეიჭრა სინათლის სხივი...

ისლანდიელებს არასოდეს განელებიათ ინტერესი თავიანთი უძველესი ლიტერატურისადმი. ხელნაწერები ფერმიდან ფერმაში, ხელიდან ხელში გადადიოდა და მათ ერთნაირი გატაცებით ეწაფებოდნენ როგორც შეძლებული, ისე სიღატაკისაგან დაბეჩავებული ადამიანები. წერა-კითხვის ცოდნა კი ისლანდიელებს შორის ყოველთვის გავრცელებული იყო.

პოლარის ეპისკოპოსმა, ზემოხსენებულმა იონ არასონმა 1530 წელს პირველი სტამბა დააარსა ისლანდიაში. შემდეგი საუკუნის შუა წლებში ისლანდიელებს უკვე დაბეჭდილი პქონდათ საკანონმდებლო წიგნები, საგალობლები და ბიბლიის თარგმანი. ნორვეგიაში სტამბა პირველად 1643 წელს გაჩნდა და ბიბლია ნორვეგიულ ენაზე მხოლოდ მე-19 საუკუნის შუა წლებში ითარგმნა. ისლანდიაში სტამბა ძირითადად ეკლესიას ემსახურებოდა და უძველესი ლიტერატურა კვლავ ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა. საგების ჩაწერა დაახლოებით 1300 წელს შეწყდა, მაგრამ ისლანდიელები კვლავ ქმნიდნენ პოეტურ ნაწარმოებებს. ახლა უკვე ქრისტიანული რელიგია პკარნახობდა თემატიკას, მაგრამ ფორმა წარმართულ ტრადიციებს ემყარებოდა. 1300 წელს შეიქმნა პოემა „სოლარლიოდ" („სიმღერა მზისადმი"). მე-14 საუკუნის შუა წლებში დაიწერა იმ დროის უმშვენიერესი პოემა „შროშანი", რომელშიც ქრისტიანობის ისტორიაა მოთხრობილი. პროზა ძირითადად ითარგმნებოდა. მალე ისლანდიური ლიტერატურა ორმა თვალსაჩინო ადამიანმა დაამშვენა. ესენი იყვნენ პალგრიმ პეტურსონი (1614—1674 წწ.) და ეპისკოპოსი იონ ვიდალინი.

პალგრიმ პეტურსონის პოეტური ქმნილებები მსოფლიო ლიტერატურის ფონდში შეეიდა. ისინი ისლანდიაში 60-ჯერ დაიბეჭდა და მრავალ ენაზე ითარგმნა. პეტურსონის სამგლოვიარო სიმღერას დღესაც მღერიან ისლანდიაში პანაშვიდებზე. იონ ვიდალინის საგალობლები ყოველმა ისლანდიელმა ზეპირად იცის. ამ ორი პოეტის ქმნილებებმა დიდად შეუწყვეს ხელი ისლანდიელთა ლიტერატურული გემოვნების დახვეწას. მე-18 საუკუნეში ისლანდიის ლიტერატურას ღირსშესანიშნავი არაფერი შეუქმნია, მაგრამ გაჩნდა რამდენიმე საუცხოო თარგმანი. იონ თორლაკსონმა თარგმნა ჯ. მილტონის „დაკარგული სამოთხე" და ბენედიქტ გროენდალმა — ალექსანდრე პოუპის ლექსები.

1800 წელს ალთინგი გაუქმდა, მაგრამ 1845 წელს იგი აღდგენილ იქნა სათათბირო კრების სახით. მისმა ადგილსამყოფელმა რეიკიავიკში გადაინაცვლა. ალთინგმა უფლება მოიპოვა თავად მოეგვარებინა თავისი საშინაო საქმეები, რა თქმა უნდა, დანიის მეფის მეთვალყურეობით. ამ დროისათვის გამოეყო ისლანდიის ფინანსები დანიისას. დაინიშნა უმაღლესი მმართველი, რომელიც ანგარიშს აბარებდა არა ალთინგს, არამედ ისლანდიის საქმეთა მინისტრს კოპენჰაგენში. დანიის მთავრობაში ერთ-ერთ მინისტრს მიენდო ისლანდიის საქმეები და იგი ანგარიშს აბარებდა დანიის რიგსდაგს. ეს იყო პირველი კვირტები ისლანდიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა, რომელიც ფაქტიურად გასული საუკუნის დამდეგს დაიწყო და რომელიც საფრანგეთის 1831 წლის იელისის რევოლუციამ დაჩქარა, როდესაც ისლან-

დიელებმა ალთინგის აღდგენისათვის გააჩაღეს ბრძოლა. ისლანდიის საგანმანათლებლო საზოგადოება 1779 წელს დაარსდა კოპენჰაგენში, ისლანდიის ლიტერატურული საზოგადოება — 1816 წელს, ხოლო 1818 წელს — ისლანდიის ეროვნული ბიბლიოთეკა. ამ დროის თვალსაჩინო მოღვაწენი იყვნენ ბიარნი თორარენსენი, სვეინბიარნ ეგილსონი და იონას პალგრიმსონი. ეს უკანასკნელი ისლანდიის ერთ-ერთ უდიდეს პოეტად არის აღიარებული. თავისებურად წარიმართა მაშინდელი უდიდესი პოლიტიკური მოღვაწის იონ სიგურდსონის ცხოვრება. იგი განათლებით ისტორიკოსი იყო. პოლიტიკურ ასპარეზზე 1840 წელს გამოვიდა და ოთხი ათეული წლის მანძილზე უძღვებოდა ეროვნულ საქმეს. მისი დაბადების ასი წლისთავზე (1911 წ.) საფუძველი ჩაეყარა ისლანდიის უნივერსიტეტს და ეს დღე ახლა ეროვნულ ღღესასწაულად არის გამოცხადებული. 1904 წლის 1 თებერვალს ახალი ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა. მეფემ ისლანდიის საქმეთა მინისტრად დანიშნა პანეს პავსტეინი. ეს იყო ისლანდიის პირველი მინისტრი, ისლანდიელი, რომელსაც ადგილსამყოფელი რეიკიავიკში პქონდა, წერდა და ლაპარაკობდა ისლანდიურ ენაზე და ანგარიშს ალთინგს აბარებდა. ეს იყო უდიდესი ნაბიჯი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, რაც იმით დაგვირგვინდა, რომ 1944 წლის 17 ივნისს ისლანდია დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა. პანეს პავსტეინი განათლებით იურისტი იყო და ამავე დროს ისლანდიის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი პოეტი.

დამოუკიდებელმა რესპუბლიკამ სწრაფად იწყო განვითარება და მალე დიდ პროგრესსაც მიაღწია. პირველი მსოფლიო ომის პირველმა სამმა წელიწადმა ფაქტიურად სარგებლობა მოუტანა ისლანდიას, მაგრამ მეოთხე წელმა კი ზიანი მიაყენა მის ეკონომიკას, რადგან იგი იძულებული გახდა მოკავშირეებისათვის მიეყიდა მთელი თევზსაჭერი ფლოტი. მალე ქვეყანა ისევ წელში გასწორდა. მეორე მსოფლიო ომის წლებში ისლანდია ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის სამხედრო ბაზას წარმოადგენდა და მთელი ომის განმავლობაში მან 352 კაცი დაკარგა. ეს ნიშნავს, რომ ყოველ 345 ისლანდიელზე თითო კაცი მოდიოდა პროცენტულად. ეს უფრო მეტია, ვიდრე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაკარგეს, რადგან მათი ზარალი 292 100 კაცს შეადგენდა. ე. ი. თითო კაცს ყოველ 450 ამერიკელზე. ორივე შემთხვევაში იგულისხმება მოსახლეობის რაოდენობა 1940 წლის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ომის დამთავრების შემდეგ ისლანდიაში არავის მოსვლია აზრად ინგლისური ენით შეეცვალა დანიური ენის, როგორც წამყვანი უცხო ენის, სწავლება დაწყებით სკოლებში.

დღევანდელი ისლანდია დასავლეთ ევროპის ერთ-ერთი ყველაზე კეთილმოწყობილი ქვეყანაა. მთელი ერის რაოდენობა 210 000 კაცს აღწევს. აქედან ნახევარი რეიკიავიკში ცხოვრობს.

ისლანდიის თანამედროვე მწერლობას დღეს მთელი მსოფლიო იცნობს. საკმარისია გავიხსენოთ ნობელის პრემიის ლაურეატი პალდორ ლაქსნესი. ასევე სახელმოხვეჭილია გუნარ გუნარსონი. პალდორ ლაქსნესს

ქართველი მკითხველიც იცნობს. ცნობილი არიან პოეტები ეინარ ბენედიქტსონი და თომას გუდმუნდსონი.

მსატვრობა ისლანდიაში ფაქტიურად ამ საუკუნეში გაჩნდა, თუმცა განთქმული იყო ისლანდიელ ქალთა ხელსაქმე. თანამედროვე მსატვრობის წარმომადგენლები არიან ასგრიმ იონსონი, იონ სტეფანსონი და იოპანეს კიარვალი, რომლებიც ამ რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალნენ. განათლება მათ უცხოეთში მიიღეს. ცნობილი არიან ისლანდიელი მოქანდაკენი ეინარ იონსონი (ავტორი ინგოლფის ძეგლისა რეიკიავიკში) და ასმუნდ სვეინსონი (დიდი დანიელი მოქანდაკე ბერტელ თორვალდსენი ნახევრად ისლანდიელი იყო). არქიტექტორთაგან ცნობილია გუდიონ სამუელსონი. ასევე გვიან განვითარდა მუსიკა, რომელმაც მხოლოდ გასული საუკუნის დამლევს მოიკიდა ფეხი ისლანდიაში, თუმცა შემორჩენილია უნიკალური ხასიათის ძველებური ორხმიანი და სხვა სიმღერები, რომლებიც ამ ქვეყნის გარდა დღეს აღარსად გეხვდება. ცნობილია ისლანდიელი ორღანისტი და კომპოზიტორი პაულ ისოლფსონი. რეიკიავიკში არსებობს სიმფონიური ორკესტრი, რადიომაუწყებლობა და ეროვნული თეატრი, რომელიც 1950 წელს გაიხსნა. რეიკიავიკის პირველი თეატრი დაარსდა 1897 წელს. განსაკუთრებით კარგად არის დაყენებული გამომცემლობის საქმე. ისლანდიელები სამართლიანად ამაყობენ თავიანთი ლიტერატურით. მათ შეინარჩუნეს ენა, რომელზედაც ათასი წლის წინათ ლაპარაკობდნენ, აღსანიშნავია, რომ თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, ისლანდიელებს არ მიუღიათ არც ერთი უცხო სიტყვა.

ისლანდიელები ამაყობენ თავიანთი წარსულით. დღეს ეს მცირერიცხოვანი ერი ამაყად თავაწეული შესცქერის მსოფლიოს დიდ ქვეყნებს, დამოუკიდებელი და პატიეცემული სხვა ერთაგან, მფლობელი ძველი და თვითმყოფადი კულტურისა, მოლაპარაკე სკუთარ ენაზე. ცნობილი საზოგადო მოღვაწე გულფი გისლასონი თავის წიგნში „The Problem of Being an Icelanqer" ამბობს: „ისლანდიელთა ისტორია ჭკუის სასწავლებელია არა მარტო თვით ისლანდიელთათვის, არამედ სხვა მცირე ერებისთვისაც".

რამ გააძლებინა და გადაატანინა ამ პატარა, ეაუკაცურ ხალხს ყველა ის გაჭირვება და ჭირ-ვარამი, რასაც მას გამუდმებით ატეხდა თავს უკუღმართი ბედი, და რამ შთაუნერგა ძალა მიეღწია სასიქადულო აწმყოსათვის?

ჩვენი საუკუნის სამოციან წლებში დანიის პარლამენტმა სპეციალური კანონით ისლანდიას გადასცა უძველესი ხელნაწერები, რომლებიც დანიაში მე-17 საუკუნეში შემოიტანეს. ეს ხელნაწერები ისლანდიური კულტურის ნაწილს წარმოადგენენ. კოპენპაგენში მათი ფოტოპირები დაიტოვეს. ამ დაუფასებელმა საჩუქარმა და დანიელთა კეთილშობილებამ უსაზღვრო მადლიერების გრძნობით აღავსო ისლანდიელი ერი. ეს ხელნაწერები შეიცავენ იმ სინათლის მძლავრ სათავეს, რომელიც ისლანდიელთა სულიერ სამყაროს ნათელს პფენდა და ჭირსა შიგან ამაგრებდა მათ საუკუნეთა მანძილზე. გ. გისლასონი იმავე წიგნში წერს: „თუ ადამიანს პატივს სდებს ისლანდიელად ყოფნა, ეს უმთავრესად იმიტომ, რომ ისლანდიელებმა მრავა-

ლი საუკუნის წინათ შექმნეს ლიტერატურა, რომელმაც გაამდიდრა მსოფ-ლიო კულტურა და სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი მის კლასიკაში. დიდი პატივია იყო ასეთი ხალხის შთამომავალი".

რას წარმოადგენს ეს ლიტერატურა, რომელიც ესოდენ რწმენას უნერ-გავდა საკუთარ თავისადმი ამ მცირერიცხოვან ერს?

საიდან მომდინარეობს ამ კულტურის ფესვები?

ახლა ისევ ალთინგს უნდა მივუბრუნდეთ. მისი ერთ-ერთი ღირსშესა-ნიშნავი თვისება ისაა, რომ აქ პყვებოდნენ საგებს — სახელოვან კაცთა ამ-ბებს. სწორედ ეს საგები წარმოადგენენ ისლანდიური კულტურის მშვენე-ბას და თვალსაჩინო წელილს კაცობრიობის მხატვრული შემოქმედების სა-განძურში. ამ საგებში აღწერილია ისლანდიაში დასახლებულთა პირველი თაობების ცხოვრება და როგორც სკანდინავიური ლიტერატურის დიდ-მცოდნე, პროფესორი სიგურდ ნორდალი ამბობს: „მეათე-მეცამეტე საუკუ-ნეთა ისლანდიური ლიტერატურა თავისი მხატვრული ძალითა და ბრწყინ-ვალებით შეიძლება შეედაროთ მსოფლიოს რომელიც გნებავთ ლიტერა-ტურას".

რა არის საგა?

სიტყვა „საგა" მომდინარეობს ისლანდიური ზმნისაგან „სეგია", რაც ნიშნავს „თქმას", „თხრობას". ამ სიტყვას თითქოს ესადაგება ქართული „თქმულება", მაგრამ „თქმულებას" ხშირად ზღაპრულობის იერი დაპკრავს და ამიტომ მისი გამოყენება არ იქნებოდა გამართლებული.

ერთ პატარა საგაში მოთხრობილია, თუ როგორ უყვებოდა ერთი ის-ლანდიელი კონუნგ პარალდს ცამეტი დღის განმავლობაში ერთ საგას. ბო-ლოს კმაყოფილი კონუნგის შეკითხვაზე, ვინ გასწავლაო ეგ საგა, ისლანდი-ელი უპასუხებს:

— როდესაც ისლანდიაში ვიყავი, ყოველ ზაფხულს დავდიოდი თინგზე და ნაწილ-ნაწილ ვსწავლობდი ამ საგას პალღორ სნორის ძისაგან.

ამრიგად, საგებს ზეპირად პყვებოდნენ. დამწერლობა არ არსებობდა. დამწერლობა ისლანდიაში ქრისტიანობის შემოღების შემდეგ გაჩნდა, ალ-ბათ მე-12 საუკუნის დამდეგს. საგების ჩაწერა მოხდა XIII—XIV საუკუნე-ებში. ძველისლანდიური საგები რამდენიმე ჯგუფად იყოფა. არსებობს სა-გები, სადაც მოთხრობილია ნორვეგიის მეფეთა ამბები. მათ უწოდებენ „მე-ფეთა საგებს". ზოგიერთი საგა ცალკეული მეფეების ცხოვრებას ასახავს, მაგ., „სეერირის საგა", „ოლავ ტრიუგვის ძის საგა", „პაკონ პაკონის ძის საგა" და სხვანი. არსებობს საგების კრებულები ნორვეგიის მეფეებზე. ყვე-ლაზე სახელგანთქმული მათ შორის არის „პეიმსკრინგლა". მის ავტორად მიჩნეულია ისლანდიის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მოღვაწე სნორა სტურლესონი. აქ მოთხრობილია ნორვეგიის ისტორია მითიური ხანიდან შე-12 საუკუნემდე. ასევე არსებობს საგა დანიის მეფეებზე — „კნიუტლინგ-თა საგა". „სტურლუნგთა საგაში" აღწერილია ცნობილი ისლანდიური გვა-რის, სტურლუნგების ბრძოლა ძალაუფლებისათვის. ზოგიერთ საგაში მოთხ-რობილია XII—XIII საუკუნეთა ისლანდიის ისტორია. „ეპისკოპოსთა სა-

გები" გვამცნობენ XI—XIV საუკუნის ისლანდიელ ეპისკოპოსთა და ისლანდიის ეკლესიის ამბებს. უძველეს ღროთა საგებში ფანტასტიკური ამბებია აღწერილი. ყველაზე ცნობილია მათ შორის „ვოლსუნგთა საგა", რომელიც სახელგანთქმული „ნიბელუნგების სიმღერის" ერთ-ერთ პირველწყაროს წარმოადგენს. არსებობს კიდევ ჯგუფი საგებისა, სადაც სხვა ქვეყნების ამბებია გადმოცემული. ესენია „რომაელთა საგა", „იუდეველთა საგა", „ტროელთა საგა", „ალექსანდრეს საგა", „კარლოს დიდისა და მისი რაინდების საგა". ეს საგები ფაქტიურად თავისუფალი თარგმანის სფეროს განეკუთვნებიან.

დაბოლოს არის კიდევ დიდი ჯგუფი საგებისა, რომლებშიც აღწერილია 930—1030 წლების ისლანდიის ამბები. ამის გამო ეს პერიოდი „საგების საუკუნის" სახელით არის ცნობილი. ამ საგებს „ისლანდიელთა საგებს" უწოდებენ და სწორედ ესენი შეადგენენ ისლანდიური ლიტერატურის სიამაყეს. ზოგჯერ მათ „გვაროვნულ საგებსაც" ეძახიან.

„ისლანდიელთა საგებიდან" შემორჩენილია ორმოცამდე საგა. მათში გადაშლილია ისლანდიის ისტორიის პირველი საუკუნის გრანდიოზული სურათი. ისლანდიურმა საგებმა შემოგვინახეს თითქმის ყველა პირველი ისლანდიელის სახელი. ისლანდიურმა საგამ არ იცის გამოგონილი მოქმედი პირი. ყველა, ვინც ამ საგებშია ნახსენები, სინამდვილეში არსებობდა და მათში აღწერილი ამბების უტყუარობა ძირითადად დამტკიცებულია. ღღეს მკვლევარები თავს იტესენ, რომ გაარკვიონ, პყავდათ თუ არა საგებს ავტორები. საგები ჩაიწერეს დამწერლობის შემოღების შემდეგ. ღღეს არაევინ იცის, იყო ეს უბრალო ფიქსაცია ზეპირსიტყვაობაში არსებული თქმულებებისა თუ გარკვეული ფორმა მისცა მათ ადამიანის შემოქმედებითმა გენიამ, ანუ „ჩაიწერა" თუ „დაიწერა" საგები. ძირითადად მიჩნეულია, რომ ისინი ჩაიწერეს, მაგრამ ზოგიერთ მათგანს მაინც გარკვეულ ავტორებს მიაწერენ. ასე, მაგალითად, „ისლანდიელთა წიგნი" („ისლენდინგაბოკ"), რომელშიც მოთხრობილია ისლანდიელთა ამბავი დასაბამიდან ვიდრე 1118 წლამდე, არი თორგილსონს (არი ბრძენს) მიეწერება. იგი ცხოვრობდა 1068—1148 წლებში. ზოგიერთის აზრით მასვე უნდა ეკუთვნოდეს ე. წ. „დასახლების წიგნი" („ლანდნამაბოკ"), სადაც აღწერილია ისლანდიის პირველმოსახლეთა ამბავი.

ჩვეულებრივ, ამ ორი საგით იწყება „ისლანდიელთა საგების" მრავალტომიანი კრებულები. აქვე უნდა ვახსენოთ იმ ღროის ყველაზე გამოჩენილი ისლანდიელი, მაშინდელი ევროპის ერთ-ერთი უშესანიშნაესი მწერალი და ისტორიკოსი სნორი სტურლუსონი (1179—1241 წწ.), რომელმაც თავისი პოლიტიკური მოღვაწეობა ტრაგიკულად დაამთავრა. მან წერა ადრე დაიწყო. მის კალამს ეკუთვნის მითოლოგიისა და პოეტიკის ცნობილი სახელმძღვანელო „სნორის ედა" ანუ „უმცროსი ედა". სნორის „პეიმსკრინგლა" შუასაუკუნეთა უბრწყინვალესი ქმნილებაა, სადაც ერთმანეთს ერწყმის მწერლის შემოქმედებითი გენია და სწავლულის გამჭრიახობა. ზოგიერთი ლიტერატურისმცოდნე ცდილობს მასვე მიაწეროს სახელ-

განთქმული „ეგილის საგა“, მაგრამ ჯერჯერობით ვერავინ კისრულობს ამას გადაჭრით მტკიცებას. „ეგილის საგაში“ პარალდ თმაშვენიერის ომების ფონზე აღწერილია ისლანდიელი სკალდის, მრისსანე ვიკინგის ეგილ სკალაგრიმის ძის ცხოვრება. ეგილი ისლანდიელებს დღესაც თავის უდიდეს პოეტად მიაჩნიათ. შემორჩენილია ეგილის ზოგიერთი ლექსი, მაგ., ფრაგმენტი მისი საუკეთესო პოემისა „შვილთა დაკარგვა“.

ისლანდიელი სკალდების ცხოვრებას ასახავს აგრეთვე „გუნლაუგ გველის ენას საგა“. ეს საგა უნიკალურია იმითაც, რომ იგი ერთადერთია, სადაც სატრფიალო ამბავია მოთხრობილი (თუმცა არსებობს მსგავსი სიუჟეტის „კორმაკის საგა“). მასში აღწერილი ამბები მე-10 საუკუნის დამლეესა და მე-11 საუკუნის დასაწყისში მოხდა. გუნლაუგი 983 წელს დაიბადა და 1009 წელს დაიღუპა ორთაბრძოლაში. ბრწყინვალე კომპოზიციურმა აგებულებამ განსაზღვრა მისი დიდი პოპულარობა და ევროპულ ენებზე ყველაზე მეტჯერ სწორედ ეს საგა ითარგმნა.

ერთ-ერთ უპირველეს საგად ითელება აგრეთვე „ორაგულის ველის მკვიდრთა საგა“, ანუ „ლაქსდალის მკვიდრთა საგა“. აქ ეროი გვარის მთელი რვა თაობის ისტორიაა გადმოცემული და მთავარი გმირი ქალის, გუდრუნის სახე შუასაუკუნეთა ლიტერატურის ერთ-ერთ უდიდეს მიღწევად ითელება. აქვეა მოთხრობილი შესანიშნავი ქალის უნ ბრძენის (იგივე აუდ ბრძენის) ამბავი და ისტორია ძმების პრუტის და პასკულდისა, რომლებსაც „ნიალის საგაშიც“ ეხვდებით.

შესანიშნავია „გისლის საგა“ და „გრეტირის საგა“. „გისლის საგა“ მძაფრი დრამატიზმით ყველა სხვა საგას აღემატება. აქ მოთხრობილია საზოგადოებისაგან მოკვეთილი გმირის ამბავი, რომელიც ცამეტი წლის განმავლობაში იმალებოდა და იბრძოდა საკუთარი ღირსებისათვის. ანალოგიურია „გრეტირის საგა“, რომელიც ერთ-ერთ უდიდეს საგად მიაჩნიათ. გრეტირი, ისევე როგორც გისლი, კანონგარეშე იყო გამოცხადებული და იგი ცხრამეტი წლის განმავლობაში ეწეოდა ეულ და განწირულ ცხოვრებას. იგივე ითქმის „პერდისა და კუნძულელთა საგის“ შესახებ.

„გრენლანდიელთა საგასა“ და „ეირიკ წითურის საგაში“ მოთხრობილია ისლანდიელთა მიერ გრენლანდიისა და ამერიკის აღმოჩენის ამბები. გრენლანდია („მწვანე ქვეყანა“) ამ კუნძულს მათ უწოდეს, ხოლო „ეირიკ წითურის საგაში“ ნახსენები ვინლანდი („ყურძნის ქვეყანა“) ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტი გამოდგა. ამ საგებზე ძალზე ერცელი ლიტერატურა შეიქმნა. მათში აღწერილია ერთი და იგივე ადამიანების თავგადასავალი. ესენი არიან ეირიკ წითური, მისი შვილები ლეივი, თორსტეინი და თორვალდი, თორსტეინის მეუღლე გუდრიდი და ამ უკანასკნელის მეორე ქმარი თორფინ კარლსეფნი. შესანიშნავი საგებია „აუდუნის საგა“, „პრაუნკელ ფრეისგოღის საგა“, „პალღორ სნორის ძის საგა“, რომლებიც მიუხედავად მცირე ზომისა, ისლანდიური საგების მარგალიტებად ითელებიან. გვერდნახევრიან „ისლანდიელი მთხრობელის საგაში“ ვეცნობით, თუ როგორ ინახებოდა ზეპირსიტყვაობაში საგები.

მე-13 საუკუნის ისლანდიაში ძალზე გამძაფრდა ბრძოლა გაელენიან პაედინგებს შორის ძალაუფლებისათვის, რამაც ძირი გამოუთხარა თავისუფალ საზოგადოებას და ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ თავაწყვეტილმა პაედინგებმა ნორვეგიის კონუნგს დაუთმეს ქვეყანა და მალე თვითონაც გაქრნენ ასპარეზიდან. და თუმცა მე-13 საუკუნემ ისლანდიელების მზე დააბნელა, რაკი თავისუფლებას გამოსწირა ისინი, სწორედ ამ საუკუნეში ჩაიწერა და დაიწერა ლიტერატურა, რომელიც ღიღების შარავანდედი მოსავს ამ ქვეყნის სალხს.

საკითხი იმის შესახებ, პყავდათ თუ არა ამ საგებს ავტორები შემოქმედებითი თვალსაზრისით, მკელევარებს ძალზე გართულებული აქვთ. ლაპარაკობენ იმაზეც, შეცნობილი პქონდათ თუ არა საგების ჩამწერთ თავიანთი ავტორობა. შეუცნობელ ავტორობაში იგულისხმება, უბრალოდ, ქაღალდზე გადატანა ზეპირსიტყვაობაში არსებული ტრადიციისა. ცნობილ საბჭოთა სკანდინავისტს მ. ი. სტებლინ-კამენსკის თავის წიგნში „საგის სამყარო" ბევრზე ბევრი გვერდი აქვს დათმობილი ამ საკითხისათვის. მიაჩნდათ თუ არა საგების ჩამწერთ თავიანთი თავი ავტორებად? თუ მიაჩნდათ, მაშინ საგები გვეელინებიან ერთგვარ ისტორიულ რომანებად, ეს ჟანრი კი ფაქტიურად სუთას წელზე მეტი ხნის შემდეგ შეიქმნა ევროპაში. მეორე მხრივ, თუ ისინი არ თვლიდნენ თავიანთ თავს ავტორებად, მაშინ ძნელდება განმარტება იმ ელემენტებისა, რომლებიც აშკარად საგების დამწერთა შემოქმედებით აქტიურობას უნდა მიეკუთვნოს. უდავოა ერთი რამ. ის, ვინც ეწეოდა საგების ფიქსაციას, ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ყველაფერი, რასაც იგი პყეებოდა, სრული ჭეშმარიტება იყო. მიუსედავად ამისა, ეჭვი არ არის, რომ ზეპირად თხრობისა თუ ჩაწერის პროცესში თავს იჩენდა შემოქმედებითი ინიციატივა, რადგან საგებში ყოველ ნაბიჯზე ვსედებით ისეთ ადგილებს, რომლებიც მთხრობელსა თუ ჩამწერს საკუთარ ქურაში აქვს გატარებული. ეს ესება, უპირველეს ყოვლისა, დიალოგებს, რომლებიც არ შეიძლებოდა მესამე პირს მოესმინა და სხვებისათვის გადაეცა მათი შინაარსი. მთხრობელი ანიჭებდა გარკვეულ ფორმას და აყალიბებდა მათ. სულ სხვა საქმეა, საიდან მომდინარეობდა ამ შემოქმედებითი თაოსნობის სათავე. უკვე ის ფაქტი, რომ სადღაც, მივარდნილ კუნძულზე, მცირერიცხოვანმა, სხვის მარწუხებში მოქცეულმა ერმა შექმნა ლიტერატურა (და იგივე მ. ი. სტებლინ-კამენსკის სიტყვებით რომ ვთქვათ: „თუ ამ საგებს მივიჩნევთ ერთ მთლიან ნაწარმოებად, მაშინ იგი წარმოგვიდგება მსოფლიო ლიტერატურის უდიდეს ქმნილებად"), — მეტყველებს ერის დაუოკებელ, ძალუმ შემოქმედებით ენერგიაზე. რაც შეეხება ამ ქმნილების სასიათს, მას განსაზღვრავს ისლანდიელთა სულიერი სამყარო, მისი შინაგანი სედვა და აღქმა. აქ ისევ მ. ი. სტებლინ-კამენსკის სიტყვები უნდა მოვიშველიოთ: „სშირად „ისლანდიელთა საგებში" სედავენ მსგავსებას ახალი დროის რეალისტურ რომანებთან და ჩვეულებად იქცა მსჯელობა საგების „რეალიზმზე", მათს „რეალისტურობაზე" და ა. შ. ამით აღიარებენ, რომ მოხდა ისტორიულ-ლიტერატურული სასწაული: იმ ეპოქაში, როდე-

საც ეს საუკუნეთა ევროპის მოწინავე ქვეყნებში გაბატონებული იყო ფეოდალური და საეკლესიო იდეოლოგია, დოგმატიზმი და სქოლასტიკა, დაღელარშნილი და პირობითი ლიტერატურული ჟანრები, მაშინ, დასახლებული სამყაროს უკიდურეს ჩრდილოეთში, ოკეანის შუაგულში მდებარე შორეულ კუნძულზე, უდაბურ ქვეყანაში, სადაც არ იყო არც ერთი ქალაქი, უცბად გაჩნდა ლიტერატურული ქმნილებანი, რომლებმაც დაასწრეს, — სუთას წელზე მეტი ხნით! — ახალი დროის რეალისტურ ლიტერატურას, ე. ი. წინ გაუსწრეს იმას, რაც ახალი დროის მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურული განვითარების შედეგია და მის უდიდეს მიღწევად ითვლება" („საგის სამყარო", ლენინგრადი, 1971 წ., გვ. 55).

თუ აქ რაიმე ლიტერატურულ სასწაულზე შეიძლება ლაპარაკი, მაშინ მის ყველაზე ნათელ გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ „ნიალის საგა", როგორც ისლანდიური პროზაული ლიტერატურის უდიდესი ძეგლი. იგი საგების ჩაწერის პერიოდის დასასრულს, დაახლოებით 1300 წელს შეექმნა და თავიდანვე ისლანდიელთა უსაყვარლეს წიგნად იქცა. მის პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მისი ხელნაწერები ყველაზე დიდი რაოდენობით შემორჩა (60 ცალი). ზემოთ ხსენებულ პროფესორ სიგურდ ნორდალს უთქვამს: „საეჭვოა ოდესმე შექმნილიყოს პროზაული ნაწარმოები, რომელიც თავისი სიწმინდითა და სრულყოფილებით აღემატებოდეს „ნიალის საგის" საუკეთესო თავებს" (ნარკვევი „ლიტერატურული მემკვიდრეობა", ეურნ. Iceland, 1966 წ., გვ. 70).

ამ საგას ისლანდიურ ენაზე უფრო სწორად ეწოდება Brennunjàlssaga, რაც ზუსტად ნიშნავს — „(ცეცხლში) დამწვარი ნიალის საგა", უფრო სშირად კი ამბობენ „Njàlssaga", — „ნიალის საგა", აგრეთვე „Njàla", რაც ისლანდიელთათვის ისევე ისმის, როგორც ქართველისათვის „ნიალიანი" (შდრ. „თამარიანი", „ამირან-დარეჯანიანი" და სხვ.).

საოცარია იმ სიღიადის განცდა, რომელიც მკითხველს ეუფლება ამ საგის კითხვისას. საოცრება კი ისაა, რომ მასში არ არის აღწერილი არაეითარი ემოციები, არაეითარი განცდები, მიუხედავად სიუჟეტური სიმძაფრისა. ენობრივი ქსოვილი გამარტივებულია უკიდურესობამდე, გამოყენებულია ენის მინიმალური მარაგი, „თქვა", „უთხრა", „პკითხა", „უპასუხა", „ამბობს", „ეუბნება" — აი, ყველაფერი, რაც ერთმანეთთან აკავშირებს მასში მოქმედ ადამიანებს. მიუხედავად ამისა, სასეები არაჩვეულებრივად მონუმენტურად არის გამოკვეთილი. საგების (საერთოდ) თავისებურება შესანიშნავად აქვს განმარტებული ა. პოისლერს: „ენა, კაცმა რომ თქვას, არაფერს მატებს მათს (საგების — გ. ჯ.) შინაარსს... იგი შინაარსზე ვადაკრულია ყოველგვარი ნაოჭების გარეშე... მთხრობელი ფიქრობს მხოლოდ შინაარსზე და ცდილობს გადმოსცეს იგი ხალასი სახით" (მ. ი. სტებლინ-კამენსკი, „საგის სამყარო", გვ. 59).

საგებში არსად არ არის აღწერილი პეიზაჟი. თუ სადმე ნათქვამია, რომ ამა და ამ ადგილას იყო ფერდობი, ეს მთხრობელს მხოლოდ იმისათვის სჭირდება, რომ შემდეგ გვამცნოს, როგორ დაუცდა ფეხი გაქცეულ

კაცს ამ ფერდობზე. ის, რასაც დღევანდელი ლიტერატურა, და საეროდ დღევანდელი სელოენება ესწრაფვის, ე. ი. გარეგნული ფორმის გამარტივება შინაგანი დაძაბულობის გაძლიერების სარჯზე, „ნიალის საგაში" იდეალურად არის გადაწყვეტილი. მასში აღწერილია მე-10 საუკუნის დამლევისა და მე-11 საუკუნის დამდეგის ისლანდიელთა ცხოერება. არსებობს მოსაზრება, რომ მის პირველწყაროს წარმოადგენდა ადრე არსებული ორი საგა, „გუნარის საგა" და საკუთრივ „ნიალის საგა", თუმცა, ამ მოსაზრებას არ იზიარებს „ნიალის საგის" უდიდესი მცოდნე, თანამედროვე ისლანდიელი მეცნიერი ეინარ ოლ. სვეინსონი (ავტორი შესანიშნავი წიგნისა „ნიალის საგა, ლიტერატურული შედეერი"), რომელსაც საგა ერთ მთლიან, განუყოფელ ქმნილებად მიაჩნია. დამტკიცებულია, რომ მასში ორი ფრაგმენტი სხვა წყაროებიდან არის შეტანილი. ეს არის ქრისტიანობის შემოღების ეპიზოდი (თავები 100—105) და ბრიანის ბრძოლის ეპიზოდი (თავები 154—157, ის. კომენტარები), რომლებიც სტილისტურადაც განსხვავდებიან ღანარჩენი ნაწილებისაგან.

საგებში, და კერძოდ „ნიალის საგაშიც", ძალზე ხშირია მკელელობა. დღევანდელ მკითხველს შეიძლება ზედმეტ სისასტიკედაც ეჩვენოს ეს, მით უმეტეს, რომ ამას საგის დადებითი გმირებიც ხშირად სჩადიან, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საგაში ნაჩვენები საზოგადოება გვაროვნული წყობილების საზოგადოებაა, სადაც სისხლის აღება საპატიო და ვაჟკაცურ საქმედ ითელებოდა. მკელელობა ხდებოდა აშკარად, დღისით, მკელელი ვალდებული იყო მაშინვე განეცხადებინა ჩადენილი დანაშაული, ისე, რომ მკელელობის ადგილიდან მესამე სახლს არ გასცდენოდა, რათა მაროლმსაჯულებას საშუალება მისცემოდა მისი გამოდევნებისა. ღამით მკელელობა, მძინარე კაცის მოკვლა საძრახისად ითვლებოდა, რასაც კანონი მკაცრად სჯიდა. თუ მკელელი არ გამოაცხადებდა მის მიერ ჩადენილ დანაშაულს, ამას „ფარული მკელელობა" ეწოდებოდა, რისთვისაც მკელელს საზოგადოებისგან მოკეეთა ან ქვეყნიდან განდევნა ელოდა. ამ ორი სხვადასხვა სახის მკელელობის აღსანიშნავად ძველისლანდიურ ენაში სხვადასხვა სიტყვები არსებობდა, შესაბამისად „ვიგ" და „მორდ". როგორც უკვე ზემოთ ითქვა, ისლანდიაში იმ დროს არ არსებობდა არავითარი აღმასრულებელი, დამსჯელი ორგანო. განაჩენი სისრულეში თვით მოსარჩელეთ მოპყავდათ. ამიტომ ძველისლანდიურმა საზოგადოებამ წარმოშვა მამაცი, პირდაპირი და თავგანწირული ადამიანები, რომლებისთვისაც მოვალეობა უპირველეს საქმეს წარმოადგენდა.

„ნიალის საგაში" 700-ზე მეტი კაცია ნახსენები. ისინი ნამდვილად არსებობდნენ და ეს საგას, და საერთოდ საგებს, უფრო რეალურ იერს ანიჭებს. სხვათა შორის, ზოგიერთ მკელევარს ეს მხატვრულ სერხადაც კი მიაჩნია. მოვლენათა განვითარება თანდათან ითრევს მორეეში სულ ახალ-ახალ ადამიანებს და ყველაფერი მთავრდება სამსჯავროს გრანდიოზული სურათით, სადაც საბრალდებო სიტყვები უმაღლესი სამართლის მაუწყებელი საყვირის მოწოდებასავით გაისმის. ალბათ, ცდებიან, ის ლიტერატურის-

მცოდნენი, რომლებიც ამ სცენაში საკანონმდებლო წიგნებიდან ეადმოწერილ ფორმულებს ხედავენ მხოლოდ და არა მისი შემქმნელის შესანიშნავ ალღოს კომპოზიციის განვითარებაში. რამდენად აქტიური იყო ამ საგის შემთხზველის შემოქმედებითი ძალა, ეს ჩანს იქიდანაც, თუ როგორ არჩევს იგი თავისი ქმნილების საშენ მასალას, რასაც თავიდან ბოლომდე მშვენიერების ნათელი გადასდის. საოცარი ოსტატობით დახატული ურიცხვი სახეები მკითხველს სამუდამოდ ამახსოვრდება და სახეთა მთელი ამ გალაქტიკის ცენტრში აღმართულია უებრო მეომრის გუნარისა და, განსაკუთრებით, მისი მეგობრის, კეთილშობილი, მშვიდობისმოყვარე მერჩულე ნიალის დიდებული ფიგურები.

ენის სისადავე საოცრად ერწყმის მის გამომსახველობას. ისლანდიელებმა შემოინახეს ენა, რომელზედაც ათასი წლის წინათ ვიკინგები ლაპარაკობდნენ. ძველისლანდიური ენა, რომელიც თანამედროვე ისლანდიურისაგან იმდენადვე განსხვავდება, როგორც შექსპირის ენა თანამედროვე ინგლისურისაგან და გერმანული ენების ჯგუფის ერთ-ერთ განშტოებას წარმოადგენს, შესანიშნავი, მძლავრი ინსტრუმენტია, რომლის ერთი შესედვით მარტივი ელერადობა მთელი ძალით გვაგრძნობინებს იმ გარდასულ დროთა განუმეორებელ სურნელებას. ქართული ენის არქაიზება ამ შემთხვევაში ყოვლად გაუმართლებელი იქნებოდა, რადგან საგები, რომლებიც ზეპირსიტყვაობაში ყალიბდებოდნენ, გათვალისწინებული იყო ფართო მსმენელისათვის და მათი ენაც საესებით მისაწვდომი და ვასაგები იყო ამ უკანასკნელთათვის. ამიტომ საჭიროდ მიეჩნიეთ შეგვენარჩუნებინა ეს შეფარდება მთხრობელსა და მკითხველს შორის, რადგან მართებული არ იქნებოდა მისი ხელოვნურად გახვევა არქაული ენის სამოსელში. პირადად ჩემთვის, როგორც მთარგმნელისათვის, ეს იყო იდეალური მასალა საკუთარი თვალსაზრისის რეალიზაციისათვის ამ საკითხში, რადგან სწორედ უბრალო, ჩვეულებრივი სიტყვა შეიცავს მშვენიერებას, და არა რომელიმე ცალკე აღებული, ასე ეთქვათ, მზა-მზარეული პოეტური, „ლამაზი" სიტყვა, რაც, ჩემი აზრით, საერთოდ არ არსებობს. თუმცა აქ მსჯავრის გამოტანა მკითხველის საქმეა.

საკუთარ თარგმანზე ლაპარაკი და ცდა მისი ღირსებების გამართლებისა უხერხულია მკითხველის წინაშე, მაგრამ ზოგიერთი სიძნელე მაინც უნდა აღინიშნოს. უპირველეს ყოვლისა, ეს ითქმის გეოგრაფიულ სახელებზე. ისლანდიელები აღგილებს მათი დამასასიათებელი თვისებების მიხედვით არქმევდნენ სახელებს ძირითადად და სწორედ ამან შთაუნერგა რწმენა ზოგიერთ მთარგმნელს ეთარგმნა ეს გეოგრაფიული სახელწოდებები. რუსებმა ორჯერ გამოსცეს „ნიალი". პირველ გამოცემაში („Исландские саги", 1956 წ.), ეს სახელწოდებები ხელუხლებლად არის დატოვებული, მაგრამ 1973 წლის გამოცემაში („მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის" სერია) ეს სახელები თარგმნილია, მაგ., ლიოსავატნი — კამკამა ტბა, ლაქსდალი — ორაგულის ველი, ბრეიდაფიორდი — ფართო ფიორდი, პრუტსტადირი — პრუტის კარ-მიდამო, ვარმალეკი — ოპალი ნაკადული,

პლიდარენდი — ფერდობის ბოლო, ბერგთორსპვალი — ბერგთორას სერი და ა. შ. ეს ძალზე სარისკო საქმეა, რადგან ჯერ კიდევ დასენტი მიუთითებდა გასულ საუკუნეში, რომ ძნელია საკუთარი სახელების თარგმნა (იგულისხმება ისლანდიური საგები — გ. ჯ.), რადგან ღღეს უცნობია ის ეითარება, რომლებმაც ამ სახელების შერქმევა გამოიწვიესო. გარდა ამისა, ისლანდიური სახელწოდებები ნაწარმოებს უფრო უნარჩუნებენ მისთვის დამახასიათებელ იერსა და კოლორიტს და ამ მოსაზრებით ჩვენც ხელუსლებლად დაეტოვეთ ისინი.

გარკვეულ სიძნელეებს ქმნის აგრეთვე საკუთარი სახელების ტრანსკრიფცია. უცხოური სახელების გადმოტანა ქართულ ენაზე არცთუ ისე იოლი საქმეა. ამ რამდენიმე წლის წინათ ქართული პრესის ფურცლებზე ატეხილი კამათი უცხოური სახელების ქართულ ენაზე გადმოტანის გამო ჯერაც არ დამცხრალა და ალბათ კიდევ საკმაო ხანი დასჭირდება ამ საკითხის მოგვარებას, რადგან კვლავაც ბევრი რამ არის სადაო. რასაკვირველია, საესებით გონიერულია მოსაზრება, რომ საჭიროა სახელები ეწეროთ ისე, როგორც გამოითქმის იმ ენაზე, რომლიდანაც ვთარგმნით, მაგრამ ზოგიერთ ენაში არსებული თავისებური ბგერები საკმაოდ ართულებენ საქმეს. ერთი შეხედვით, არსებობს ორი საშუალება: ან ეწეროთ ისე, როგორც გამოითქმის დედანში, ან ისე, როგორც იქ იწერება. უბედურება ისაა, რომ ორივე პრინციპს კურიოზულ და უსერხულ ფორმებთან მივყავართ. რა გამოვიდოდა, ქართულ ენაზე „მეფე ლირის" ნაცვლად რომ დაგვეწერა „მეფე ლეარი" ან, მით უმეტეს, „მეფე ლია"! გამოსავალი იმაში უნდა ვეძიოთ, რომ ამ ორი მიუღებელი ვარიანტიდან მოვნახოთ ფორმა, რომელიც თავისი სასიათით, იერით შეეგუება მიმღები ენის, ამ შემთხვევაში ქართული ენის ბუნებას. სამწუსაროდ, შეიმჩნევა რუსული ნიმუშების გამოდეენება, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსებს თავიანთი ენობრივი პრობლემები აქვთ, ქართული ენა კი სულ სხვა ამოცანებს უსასვს სიტყვის ოსტატებს. ამიტომ ჩვენ არაფერს გვარგებს სხვისი ნორმების გამოკიდება და წამსედურობა. ამის შესანიშნავი მაგალითი გვიჩვენა ქართული მთარგმნელობითი ხელოვნების გენიამ ივანე მაჩაბელმა.

ყოველივე ზემოთქმული ეხება ისლანდიური საკუთარი სახელების დაწერილობასაც ამ საგაში.

ცალკე მსჯელობის საგანია საგაში ჩართული ლექსების თარგმნის საკითხი. იმდროინდელი ისლანდიელი სკალდების პოეზია სრულ კონტრასტს ქმნის ძველისლანდიურ პროზაულ ნაწარმოებებთან. სკალდების პოეზიას ახასიათებს წარმოუდგენლად გართულებული სინტაქსური წყობა ლექსისა და ორი და რამდენიმე სიტყვიანი სატოვანი სახეების — ე. წ. კენინგების სიჭარბე, რაც განსაკუთრებით ართულებს მათი გაგებისა და თარგმნის საქმეს (კენინგების შესახებ იხ. 1971 წელს „საბჭოთა საქართველოს" მიერ გამოცემული „უფროსი ედა", შესავალი წერილი დავით ლაშქარაძისა). ამ თარგმანში ჩვენ საკმარისად მივიჩნიეთ შეგვენარჩუნებინა მათთვის საერთო სასიათი და რიტმი.

ქართველი მკითხველისათვის საინტერესო უნდა იყოს ისიც, რომ ზოგიერთი ისლანდიური და ქართული სიტყვის ძირები საოცრად ემთხვევა ერთმანეთს. მაგალითად, ქართული სიტყვა „ბერეა" (ქარის ქროლა) ისლანდიურ ენაზე არის byrja, ისლანდიური reka იგივეა, რაც ქართული „რეკეა" (გარეკეა), ამიტომ ბედნიერად დაემთხვა ისლანდიური სიტყვის fiskreka-ს ქართული თარგმანი „თევზირეკიას" (საკ. სასელი). ერთმანეთს ემთხვევა აგრეთვე ზოგიერთი უპირო ზმნის ფორმის დაბოლოებაც, მაგ., höggva — ცემა, ჩესვა, ისევე, როგორც ეს გვაქვს ქართულში — მაგ., „კითხვა" (შდრ. რუს битва, жатва — და სხვ.). ასეთი და სხვა მაგალითები ინტერესს იწვევს, მაგრამ ეს საკითხი უკვე ენათმეცნიერთა საქმეა. საინტერესოა, რომ ისლანდიაში ერთ მთას დღესაც ეწოდება „ლიპარიტის მთა". ზ. ჭუმბურიძე თავის წიგნში „რა გქვია შენ?" ამ სახელის შესახებ გვამცნობს, მისი წარმოშობა გაურკვეველიაო. აკი იყენენ საქართველოში ვარანგები ბაგრატ მეოთხის დროს და ეს სახელიც სომ დაახლოებით იმ დროს იყო გავრცელებული ქართველ თავად-აზნაურობაში? იქნებ აქ იყოს საძებარი ამ სახელის წარმოშობის სათავე, ან პირიქით, ისლანდიური მთის სასელწოდების საიდუმლოება? ყოველ შემთხვევაში, ისლანდიური სიტყვა „ლიპურდ" ნიშნავს „მარჯვეს", „მოხერხებულს"...

ისლანდიური საგების თარგმნა ქართული კულტურის ღირსების საქმეა. ღღეს ამ შესანიშნავი ქმნილებებისადმი ინტერესი ძალზე გაცხოველებულია კულტურულ ქვეყნებში და მათზე უზარმაზარი ლიტერატურა შეიქმნა. რუსულ ენაზე უკვე გამოქვეყნებულია თოთხმეტი საგის სრული თარგმანი. ამჟამად რუსულ ენაზე ითარგმნება „გრეტირის საგა" და „პეიმსკრინგლა". ქართველებიც არ უნდა ჩამოვრჩეთ ამ საპატიო საქმეში.

ისლანდიურ საგებზე ძალზე დიდი ლიტერატურა არსებობს და ამ კვლევა-ძიების ასახვა ერთ პატარა შესავალ წერილში, თავისთავად ცხადია, შეუძლებელია. ამიტომ მკითხველმა ეს წინასიტყვაობა უნდა მიიჩნიოს ჩარჩოდ, რომელშიც ჩასმულია ეს დიდებული სურათი და რომელსაც ალბათ ინტერესით შეხედავენ მხატვრული ლიტერატურის მოყვარულნი, ისტორიკოსები, იურისტები, ეთნოგრაფები და, უნდა ვივარაუდოთ, ჩვენი დიდი ეაკას თაყვანისმცემლები, რადგან ამ საგის გაცნობის შემდეგ ჩვენი სასიქადულო პოეტი კიდევ უფრო მეტი ბრწყინვალებით წარმოგვიდგება თვალწინ.

ღასასრულ, მინდა მადლობა მოვასხენო ჩემს მეგობარს, ცნობილ საბჭოთა ისტორიკოს-სკანდინავისტს, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორს ა. ი. გურევიჩს კეთილი ღასმარებისათვის ამ თარგმანზე მუშაობის პროცესში.

ნიალის საგა

1

ერთ კაცს მორდი ერქვა, მეტსახელად ჭიანურას ეძახდნენ. სიგვატ წითურის ძე იყო და მდინარე რანგის ველზე ცხოვრობდა. ეს შეძლებული და სახელოვანი კაცი თავვამოღებული მოსარჩლე იყო სადაო საქმეებში. ისე კარგად იცნობდა კანონებს, რომ უიმისოდ მიღებული გადაწყვეტილებანი სამართლიანად არ მიაჩნდათ. ერთადერთი ასული ჰყავდა. სახელად უნი ერქვა. ლამაზი, ზრდილი, თვალში მოსახვედრი გოგო იყო და საუკეთესო საპატარძლოდ ითვლებოდა მთელ იმ არემარეში.

ახლა კი საგას ბრეიდაფიორდის ველებზე, დასავლეთისკენ გადავყავართ. ერთ კაცს პასკულდი ერქვა. იგი ველელი კოლის შვილი იყო. დედამისს თორგერდი ერქვა. იგი იყო ასული თორსტეინ წითურისა, ოლავ თეთრის ძისა, ინგიალდის შვილიშვილისა, პელგის შვილიშვილის შვილისა. ინგიალდის დედა იყო თორა, ასული სიგურდ გველისთვალასი, რაგნარ ლოდბროკის ძისა. თორსტეინ წითურის დედა იყო აუდ ბრძენი, ასული კეთილ ცხვირპაჭუასი, ბიარნ ხარისფესას ძისა. პასკულდი ცხოვრობდა პასკულდსტადირში, ლაქსდალის ველზე. პასკულდის ძმას პრუტი ერქვა. იგი პრუტსტადირში ცხოვრობდა. ის და პასკულდი ერთი დედის შვილები იყვნენ. მამამისს პერიოლვი ერქვა. პრუტი წარმოსადეგი, ასოვანი და ძლიერი ვაჟკაცი იყო, ბრძოლაში გამობრძმედილი, სათრიანი, გონიერი, მტერთან დაუნდობელი და სამართლიანი, საქმისათვის თავგადადებული.

ერთხელ ისე მოსდა, რომ პასკულდმა ნადიმზე მეგობრები მო-

იწვია. მისი ძმა ჰრუტიც იქ იყო და გვერდით უჯდა. პასკულდს ასული ჰყავდა, სახელად პალგერდი, რომელიც სხვა გოგონებთან ერთად იქვე, იატაკზე თამაშობდა. ლამაზი და ტანწერწეტა გოგო იყო, აბრეშუმივით მბზინავი თმა წელამდე სწვდებოდა. პასკულდმა დაუძახა:

— აქ მოდი, ჩემთან.

გოგონამ მაშინვე მოირბინა. მამამ ნიკაპი აუწია, აკოცა და გაუშვა. მერე ჰრუტს ჰკითხა:

— რას იტყვი ამ გოგოზე? ხომ ლამაზია?

ჰრუტს სმა არ ამოუღია. ჰასკულდმა კითხვა გაუმეორა. მაშინ ჰრუტმა მიუგო:

— რაღა თქმა უნდა, კარგი გოგოა, და ბევრსაც ძვირად დაუჯდება მაგისი სიტურფე. ოღონდ ვერ გამიგია, საიდან გამოერია ჩვენს ჯიშში ეგ ქურდული თვალები.

ჰასკულდმა იწყინა და ერთხანს ძმები დაუბრებულებივით იყვნენ.

ჰალგერდს ძმები ჰყავდა — თორლეიკი, ბოლის მამა, ოლავი, კიარტანის მამა, და ბარდი.

2

ერთხელ ისე მოხდა, რომ ძმები, ჰასკულდი და ჰრუტი ალთინგზე გაემგზავრნენ. აქ დიდძალ ხალხს დაეყარა თავი.

ჰასკულდმა ჰრუტს უთხრა:

— ძალიან მინდა ოჯახს მოეკიდო, ძმაო, და ქალი ითხოვო.

— მეც დიდი ხანია მაგას ვფიქრობ, — მიუგო ჰრუტმა, — მაგრამ ვერ გადამიწყვეტია. ახლა კი ისე მოვიქცევი, როგორც შენ მირჩევ. მერე და ვინ შევირთო?

ჰასკულდმა თქვა:

— აქ, თინგზე, ბევრი ჰავდინგია მოსული და ასარჩევი ქალიც ბევრია. თუმცა მე უკვე დავადგი თვალი ერთ საშენო ქალს. სახელად უნი ჰქვია, ჭიანურა მორდის ასულია. მორდი ძალზე ჭკვიანი კაცია. ახლა აქ არის თავის ქალიშვილთან ერთად და შეგიძლია ნახო კიდეც.

მეორე დღეს, როდესაც ხალხი ლაგრეტაზე იკრიბებოდა, რან-

გისპირელთა სადგომებთან მათ მორთულ-მოკაზმული ქალები დაინახეს.

მაშინ პასკულდმა პრუტს უთხრა:

— აგერ უნი, მე რომ გეუბნებოდი, მოგწონს?

— ძალიან, — მიუგო პრუტმა, — მაგრამ არ ვიცი, როგორ შევეწყობით ერთმანეთს.

ამის შემდეგ ისინი ლაგრეტაზე გაეშურნენ. ჭიანურა მორდი, ჩვეულებისამებრ, ხალხს კანონებს უხსნიდა. მერე თავის სადგომში დაბრუნდა. პასკულდიცა და პრუტიც წამოდგნენ და იქით გაემართნენ. შიგ შევიდნენ, მორდი სიღრმეში იჯდა. პასკულდი და პრუტი მიესალმნენ. მორდი ფეხზე წამოუდგა, პასკულდს ხელი ჩაპკიდა და გვერდით მოისვა. პრუტიც ძმას მიუჯდა.

ჯერ მთისა და ბრისა თქვეს და ბოლოს პასკულდმა უთხრა:

— ერთ საქმეზე მინდა მოგელაპარაკო. პრუტს შენი სიძეობა სწადია და შენს ქალს ბელგა უნდა მიართვას. მეც, ჩემდა თავად, არაფერს დავაკლებ.

მორდმა მიუგო:

— ვიცი, სახელოვანი კაცი ხარ, მაგრამ შენს ძმას რომ არ ვიცნობ?

ჩემი ძმა მე მჯობიაო, უთხრა პასკულდმა.

— დიდი ქონება კი უნდა მისცე შენს ძმას, რადგან ჩემს ასულს დარჩება ყველაფერი, თუ რამ მაბადია, — თქვა მორდმა.

— პასუხს ახლავე მოგახსენებ, — მიუგო პასკულდმა, — ჩემს ძმას კამბსნესსა და პრუტსტადირს მივცემ თრანდარგილის ხევამდე. თვითონაც ერთი სავაჭრო გემი პყავს, რომელიც ახლა ზღვაზეა გასული.

მაშინ პრუტმა მორდს მიმართა:

— ალბათ მიხვდი, ჩვენო მასპინძელო, რომ ჩემმა ძმამ მეტისმეტად შემაქო. ეგ სიყვარულით მოუვიდა, მაგრამ თუ ეს საქმე ჭკუაში გიჯდება, ბარემ შენი სიტყვაც გვითხარი.

მორდმა მიუგო:

— მე უკვე მოვიფიქრე პირობები. ჩემს შვილს სამოც წყრთა მაუდს მივცემ. შენ კი ამ ქონებას ერთი მესამედიც უნდა დაუმატო; თუ მემკვიდრეები შეგეძინათ, მაშინ მთელ ქონებას შუაზე გაიყოფთ.

— ყაბულსა ვარ, — თქვა პრუტმა, — ახლა კი მოწმეებს დავუძახოთ.

ამის შემდეგ წამოდგნენ, ერთმანეთს ხელი მისცეს და მორდმა თავისი ასული პრუტის დანიშნულად გამოაცხადა. ქორწილი შუა ზაფხულიდან ნასევარი თვე რომ გავიდოდა, იმ დროისთვის დანიშნეს მორდის სასლში. მერე კი თინგიდან ყველანი თავთავიანთ სახლებში წავიდ-წამოვიდნენ.

ჰასკულდი და პრუტი დასავლეთით ჰალბიარნარვარდარის გზას რომ დაადგნენ, წინ რეიკიარდალელი ბიარნ ოქროსანის შვილი თიოსტოლვი შემოეყარათ. მისგან შეიტყვეს, რომ თეთრი მდინარის შესართავში ხომალდი ჩამომდგარიყო და ამ ხომალდით პრუტის ბიძა აცური ჩამოსულიყო. პრუტისთვის შემოეთვალა, რაც შეიძლება მალე მნახეო. ეს რომ პრუტმა გაიგო, ჰასკულდს სთხოვა, ხომალდამდე მიმყევიო. ჰასკულდი გაჰყვა და გემთან რომ მივიდნენ, პრუტი თავაზიანად და გულთბილად შეეგება თავის ბიძას. აცურმა ისინი თავის სადგომში შეიპატიჟა ლუდის დასალევად. ცხენებს უნაგირები მოხსნეს, სადგომში შევიდნენ, დასხდნენ და სმას შეუდგნენ.

პრუტმა აცურს უთხრა:

— ახლა კი, ბიძაჩემო, გამომყევი და ეს ზამთარი ჩემთან გაატარე.

— მაგას ვერ ვიზამ, ჩემო ძმისწულო, რადგან შენი ძმის, ეივინდის გარდაცვალება უნდა გაუწყო. მან მემკვიდრეობა დაგიტოვა გულათინგში და თუ არ წახვალ, შენი მტრები დროს იხელთებენ და ქონებას ხელიდან გამოგაცლიან.

— ახლა რაღა ვქნა, ძმაო? — ჰკითხა პრუტმა ჰასკულდს, — ძნელი საქმეა, რადგან ქორწილის დღე უკვე დანიშნულია.

ჰასკულდმა უთხრა:

— სამხრეთს უნდა გაეშურო და მორდი ინახულო. სთხოვე, ქორწილი გადადოს და მისი ქალიშვილის შერთვამდე სამი წელიწადი გაცალოს. მე კი უკან გავბრუნდები და შენს საქონელს გემზე გადმოვზიდავ.

პრუტმა მიუგო:

— მაშინ ჩემი ქონებიდან აიღე ფქვილი, ხე-ტყე და ყველაფერი, რაც გჭირდება.

პრუტმა ცხენები მოაყვანინა და სამხრეთისკენ გაუდგა გზას, ჰასკულდი კი შინ დაბრუნდა, დასავლეთში.

ჰრუტი რანგის ველზე მივიდა მორდთან, სადაც მას კარგად შეხვდნენ. ჰრუტმა მორდს ყველაფერი უამბო და რჩევა პკითხა. მორდმა უთხრა:

— მაინც რამდენია ეგ მემკვიდრეობა?

ჰრუტმა მიუგო, თუ მთლიანად დამრჩა, ორასი მარკა მაინც გამოვაო. მორდმა თქვა:

— ეგ იმაზე მეტიც ყოფილა, რასაც მე დაგიტოვებთ. შენი ნებაა, წადი და მიაკითხე.

შემდეგ პირობა შეცვალეს და გადაწყვიტეს, რომ უნი სამ ზამთარს დაელოდებოდა ჰრუტს.

ჰრუტი ხომალდთან დაბრუნდა და მთელი ზაფხული იქ გაატარა, ვიდრე გემს გაამზადებდნენ. პასკულდმა ჰრუტის მთელი აელა-დიდება გადმოზიდა. ჰრუტმა ძმას დაუბარა, მის არყოფნაში დანარჩენი ქონებისთვის მიეხედა. ამის შემდეგ ჰასკულდი შინ დაბრუნდა. მალე ზურგქარმა დაუბერა და ხომალდი ზღვაში გავიდა. სამი კვირის ცურვის შემდეგ პერნარის კუნძულებს მიადგნენ და იქიდან ზღვით აღმოსავლეთისკენ, ვიკისაკენ გაემართნენ.

3

იმსანად ნორვეგიას მართავდა ჰარალდ რუხლაბადა, ძე ეირიკ სისხლიანი ნაჯახისა, შვილიშვილი ჰარალდ თმაშვენიერისა. დედამისს გუნჰილდი ერქვა. იგი აცურ ტოტის ასული იყო. ამ დროს ისინი აღმოსავლეთში იყვნენ, კონუნგაჰელში. იქ შეიტყვეს, რომ ვიკში ხომალდი მოსულიყო. ეს რომ გაიგო, გუნჰილდმა იკითხა, ისლანდიელთაგან ვინ ჩამოვიდაო. მოახსენეს, ერთი მათგანი ჰრუტია, აცურის ძმისშვილიო.

— ვიცი, რაც უნდა, — თქვა გუნჰილდმა, — ალბათ სწადია მიიღოს თავისი მემკვიდრეობა, რომელიც ერთი კაცის ხელთ არის. იმ კაცს სოტი ჰქვია.

მერმე მოუხმო თავის მსახურს, რომელსაც აგმუნდი ერქვა, და უთხრა:

— ვიკში უნდა გაგგზავნო აცურთან და ჰრუტთან. უთხარი, ორივეს ჩემთან ვეპატიჟები გამოსაზამთრებლად. მეგობრობასაც გავუწევ და, ჰრუტს, თუ დამიჯერებს, მემკვიდრეობასაც მივაღებინებ

და სხვა საქმეებშიც გამოვადგები, თან კონუნგს მის სასარგებლო სიტყვას ჩავაწვეთებ.

მსასური აცურისა და პრუტისაკენ გაეშურა. ისინი ღირსეულად დაუსვდნენ, რაკი გაიგეს გუნპილდის მსასური ყოფილაო. აგმუნდმა ჩუმად გადასცა დანაბარები, იმათაც ერთმანეთში მოითათბირეს და აცურმა პრუტს უთხრა:

— მე მგონი, ჩემო ძმისწულო, ასაწონ-დასაწონი არაფერი გვაქვს, რადგან მაგ ქალის ზნეს კარგად ვიცნობ. როგორც კი უარს ვეტყვით მისელაზე, მაშინვე აქედან გაგვრეკავს და მთელ ჩვენს ქონებასაც წაგვართმევს, მაგრამ თუ მივალთ, ისე მიგვიღებს, როგორც შემოგვითვალა.

აგმუნდი უკან დაბრუნდა და გუნპილდს აუწყა, დავალება შეასრულეო.

გუნპილდმა თქვა:

— ეგრეც ვიცოდი, რადგან პრუტს ჭკვიან და ღირსეულ კაცს ამბობენ. თვალი გეჭიროს და როცა გამოჩნდებიან, მაშინვე შემატყობინე.

პრუტი და აცური აღმოსავლეთისკენ, კონუნგაპელისკენ გაემართნენ და იქ რომ ჩავიდნენ, მრავალი ნათესავი და მეგობარი გამოეგებათ. იკითხეს, კონუნგი თუ არისო აქ და პასუხად დასტური მიიღეს.

მერე აგმუნდი შემოხვდათ, გუნპილდის მოკითხვა და მისი შემონათვალი გადასცა, სანამ ჩემთან მოხვალთ, ჯერ კონუნგმა უნდა მიგიღოთ, თორემ ყველას ეგონება, რომ მე უფრო გელოდებითო. პრუტი თამამად მივიდეს კონუნგთან და თავის რაზმში მიღება სთხოვოსო. აი, ეს ტანსაცმელიც გამოგიგზავნა, ამაში გამოეწყვე და კონუნგს ეასელიო.

ამის შემდეგ აგმუნდი წავიდა.

მეორე დღეს პრუტმა თქვა:

— წავიდეთ, კონუნგს ვეახლოთ.

— კარგს ვიზამთ, — მიუგო აცურმა.

მერე ნათესავებთან და მეგობრებთან ერთად გაემართნენ, სულ თორმეტნი იყვნენ. შევიდნენ დარბაზში, სადაც კონუნგი ნადიმობდა. პრუტი წინ წარსდგა და მიესალმა. კონუნგმა ყურადღებით შე-

ათვალიერა მდიდრულად ჩაცმული სტუმარი და სასელი პკითხა. პრუტმა უთხრა თავისი სასელი.

— ისლანდიელი ხარ? — ჰკითხა კონუნგმა.

გახლავარო, მიუგო პრუტმა.

— რამ მოგიყვანა ჩვენთან?

— მინდოდა თქვენს მეუფეგას ვსლებოდი, სელმწიფეო! გარდა ამისა, მინდა თქვენს ქვეყანაში ჩემი სამემკვიდრო ჩავიბარო. დიდი მადლობელი ვიქნები, თუ მიმაღებინებთ.

კონუნგმა უთხრა:

— ჩემს სამეფოში ყოველი ადამიანისთვის კანონი ერთია. იქნება კიდევ სხვა რამ საქმე გაქვს ჩემთან?

— ხელმწიფეო, — თქვა პრუტმა, — მინდა გთხოვოთ, თქვენს რაზმში ჩამრიცხოთ, რომ თქვენი მეომარი გავხდე.

კონუნგი მდუმარედ იჯდა. გუნპილდმა თქვა:

— ჩემი აზრით, ეს კაცი დიდ პატივს გდებს. კარგი იქნება, თუ შენს რაზმში ასეთი ხალხი გეყოლება.

— ჭკვიანი კაცია? — ჰკითხა კონუნგმა.

— ჭკვიანიც არის და გაბედულიც, — მიუგო გუნპილდმა.

— ეტყობა, დედაჩემს სურს მოგანიჭო წოდება, რასაც შენ მთხოვ. მაგრამ ღირსება და ჩვენებური წესი მოითხოვს, ჩემთან კვლავ გამოცხადდე თოთხმეტი დღის შემდეგ. მაშინ ჩემს მოლაშქრედ გაგხდი. მანამდე დედაჩემი გაგიწევს მზრუნველობას, მერმე კი კვლავ მნახე.

გუნპილდმა აგმუნდს უთხრა:

— წაიყვანე ჩემთან და კარგად გაუმასპინძლდი.

აგმუნდი გაუძღვა მათ და ქვით ნაგებ დარბაზში შეიყვანა, სადაც უმშვენიერესი ფარდა ეკიდა. აქვე იდგა გუნპილდის ტახტი.

აგმუნდმა თქვა:

— ახლა აგიხდებათ ყველაფერი, რაც გუნპილდზე გითხარით. აგერ მისი ტახტი. პრუტ, დაჯექი ზედ და თვით გუნპილდიც რომ შემოვიდეს, ნუ ადგები.

მერე სუფრა გაუშალა. დასხდნენ და დიდ სანს არ გაუვლია, გუნპილდიც მოვიდა. პრუტმა წამოხტომა დააპირა მისაგებებლად.

— იჯექი, — უთხრა გუნპილდმა, — საერთოდ მანდ იჯექი, სანამ ჩემი სტუმარი ხარ.

მერე გვერდით მიუჯდა პრუტს და სმას შეუდგნენ. საღამო ხანს გუნპილდმა უთხრა:

— ამაღამ ჩემთან დაიძინებ სხვენზე.

— თქვენი ნებაა, — მიუგო პრუტმა.

ამის შემდეგ დასაძინებლად წავიდნენ და გუნპილდმა სხვენი მაშინვე შიგნიდან ჩაკეტა. ღამე ერთად გაატარეს და დილით ისევ სმას მიპყვეს ხელი. ნახევარი თვე ერთად იწვნენ სხვენზე. შინაურებს კი გუნპილდმა უთხრა:

— სიცოცხლის ფასად დაგისვამთ, თუ ჩემსა და პრუტზე კრინტი დაგცდენიათ.

პრუტმა მას ას ოცი წყრთა მაუდი და თორმეტი ცხვრის ტყავი აჩუქა. გუნპილდმა მადლობა გადაუხადა ძღვენისათვის. პრუტმა გადაკოცნა, მადლობა მოახსენა და დაემშვიდობა. გუნპილდმა კეთილი მგზავრობა უსურვა. მეორე დღეს პრუტი კონუნგს ეახლა ოცდაათი კაცით და მიესალმა.

კონუნგმა უთხრა:

— ახლა კი, პრუტ, გეტყობა, გწადია სიტყვა შეგისრულო.

და ამრიგად პრუტი კონუნგის მოლაშქრე გახდა. პრუტმა პკითხა:

— სად დავჯდე?

— მაგას დედაჩემი გეტყვის, — უპასუხა კონუნგმა.

გუნპილდმა პრუტს ყველაზე საპატიო ადგილი მიუჩინა და პრუტმა მთელი ზამთარი დიდ პატივში გაატარა კონუნგთან.

4

გაზაფხულზე პრუტმა შეიტყო, რომ სოტი ხომალდით სამხრეთისკენ, დანიაში წასულიყო და მთელი მემკვიდრეობა თან წაეღო. მაშინ პრუტმა გუნპილდს მიაშურა და ყველაფერი უამბო.

გუნპილდმა უთხრა:

— მე შენ ორ საომარ ხომალდს მოგცემ და თან ხალხსაც გამოგაყოლებ, მათ შორის უმამაცეს მეომარს — ულვ დაუბანელს, ჩვენს სტუმართმოურავს, მაგრამ წასვლამდე კონუნგი უნდა ინასულო.

პრუტი ასეც მოიქცა. როცა კონუნგს წარუდგა, მოახსენა, რაც სოტიზე გაეგო და ისიც რომ განზრახული ჰქონდა უკან დასდევნებოდა.

კონუნგმა პკითხა:

— რით დაგეხმარა დედაჩემი?

— ორი საომარი ხომალდი მომცა ულვ დაუბანელის მეთაურობით, — უპასუხა პრუტმა.

— კარგად გაუმართავს ხელი, — თქვა კონუნგმა, — მაგრამ მე ორ ხომალდს კიდევ გაგატან. დაგჭირდება.

შემდეგ მან პრუტი ხომალდამდე მიაცილა და ბედნიერი მგზავრობა უსურვა. პრუტი თავის სალსიანად სამხრეთისკენ გაუდგა გზას.

5

ერთ კაცს ატლი ერქვა. ის ძე იყო აღმოსავლეთ გაუტლანდელი იარლ არნვიდისა. სულ ბრძოლაზე ეჭირა თვალი და ექვსი ხომალდი გამზადებული ეყენა ტბაზე. მამამისმა ხარკი დაუკავა პაკონს, ადალსტეინის გერს, და შვილთან ერთად იამტალანდიდან გაუტლანდს გაიქცა. ატლიმ თავისი ხომალდები ტბიდან სტოკსუნდის ყურეთი გამოიყვანა და სამხრეთისაკენ, დანიისაკენ გაემართა და ეირასუნდის ყურეში დადგა. ატლი ძარცვისა და მკვლელობისათვის კანონგარეშე პყავდათ გამოცხადებული როგორც დანიის, ისე შვეციის კონუნგებს.

ჰრუტი სამხრეთისკენ იერასუნდში გაემართა და ყურეში რომ შევიდა, მრავალი ხომალდი დაინახა.

— ახლა რა ვქნათ, ისლანდიელო? — პკითხა ულვმა.

— წინ გავცუროთ, — მიუგო ჰრუტმა, — ცდა ბედის მონახევრეა. მე და აცური ჩვენი ხომალდით წინ წავალთ, შენ კი, როგორც გინდა, ისე მოგვყევი.

— ჯერ არ მომხდარა, რომ სხვებს ამოვფარებოდე, — თქვა ულვმა და თავისი ხომალდი გვერდით ამოუყენა ჰრუტისას. ასე დაიძრნენ წინ, ყურის სიღრმისაკენ.

იმათ, ვინც ყურეში იდგა, დაინახეს მათკენ მომავალი ხომალდები და ატლის შეატყობინეს.

— კარგია, — მიუგო მან, — ცოტა ხელს მოვითბობთ.

ყველანი საბრძოლველად გაემზადნენ თავთავიანთ ხომალდებზე.

— მე შუაში დავდგები, — თქვა ატლიმ.

ხომალდები დაიძრნენ. სმის მისაწვდენზე რომ მიუახლოვდნენ, ატლი წამოდგა და შესძახა:

— წინდაუსედავად მოდისართ. ვერ დაინახეთ, რომ საომარი ხომალდები იდგა ყურეში? რა პქვია თქვენს მეთაურს?

პრუტმა თავისი სახელი უთხრა.

— ვისი კაცი სარ? — პკითხა ატლიმ.

— კონუნგ პარალდ რუსლაბადას მოლაშქრე ვარ.

— დიდი სანია ნორვეგიელი კონუნგები მე და მამაჩემს აღარ გვწყალობენ, — თქვა ატლიმ.

— მით უარესი შენთვის, — უთხრა პრუტმა.

— ეს ჩვენი შესვედრა იმით დამთავრდება, — თქვა ატლიმ, — რომ ამბის მიტანა აღარ დაგცალდება.

ამ სიტყვებით შუბს დასტაცა ხელი, პრუტის ხომალდისკენ გასტყორცნა და წინ მდგარი მეომარი განგმირა. ამის შემდეგ ბრძოლა გაჩაღდა, მაგრამ პრუტის სომალდების დაძლევა ძნელი გამოდგა. ულვი ვაჟკაცურად იბრძოდა, ჩესავდა და კუწავდა აქეთ-იქით.

მეომარს, ატლის სომალდის კიჩოზე რომ იდგა, ასოლვი ერქვა. იგი პრუტის სომალდზე გადასტა და უმალ ოთხი კაცი დააწვინა, ვიდრე პრუტი შეამჩნევდა და მისკენ შემობრუნებას მოასწრებდა. როცა ერთმანეთს პირისპირ შესვდნენ, ასოლვმა შუბი აძვერა და ფარი გაუპო, მაგრამ პრუტმა ნაჯასით აკუწა იგი. ამის დანახვაზე ულვ დაუბანელმა უთხრა:

— მაგარი ჩესვა გცოდნია, პრუტ. გეტყობა, დიდი ვალი გადევს გუნპილდისა.

— გული მიგრძნობს, — ეუბნება პრუტი, — რომ სასიკვდილოდ განწირული კაცის ხმა მესმის.

ამ დროს ატლიმ ულვს დაუცველი ადგილი შეამჩნია და შუბით განგმირა. ბრძოლა ძალზე გახურდა. ატლი პრუტის ხომალდზე შესტა და გზა გაიკაფა. აცური მისკენ შემობრუნდა, შუბი სტყორცნა და თვითონ პირქვე დაეცა სხვისი შუბით დაკოდილი. მაშინ პრუტი ატლისკენ მიბრუნდა. ატლიმ ნაჯასი დასცხო და მთლიანად გაუპო ფარი. ვიღაცამ ატლის ხელში ქვა მოახვედრა და მახვილი გააგდებინა. პრუტი მახვილს დასწვდა, ფესი მოპკვეთა ატლის და მერე სასიკვდილოდაც დაჭრა.

დიდძალი ნადავლი წამოიღეს და ორი საუკეთესო ხომალდიც წამოიყვანეს. იქ დიდხანს არ დარჩენილან.

სოტის გზაში ასცდნენ. იგი ნორვეგიაში დაბრუნდა და ლიმგარდსიდაში რომ ჩავიდა, ნაპირზე გადმოვიდა. აქ გუნპილდის მსახურს, აგმუნდს შეხვდა. მან მაშინვე იცნო სოტი და ჰკითხა:

— რამდენ ხანს აპირებ აქ დარჩენას?

— სამ ღამეს, — მიუგო სოტიმ.

— მერე საით წასვალ? — ჰკითხა აგმუნდმა.

— დასავლეთისკენ, ინგლისში, — უთხრა სოტიმ, — ნორვეგიაში აღარ დავბრუნდები, სანამ აქაურობას გუნპილდი მართავს.

იქიდან წამოსული აგმუნდი მივიდა გუნპილდთან, რომელიც თავის შვილთან, გუდრედთან ერთად ნადიმობდა, და უამბო, რასაც აპირებდა სოტი. გუნპილდმა იქვე დაავალა გუდრედს სოტის მოკვლა. გუდრედი მაშინვე გაეშურა, მოულოდნელად თავს დაესხა სოტის, ბრძანა, ნაპირზე გადაეყვანათ და ჩამოესრჩოთ იგი, ქონება კი ხელთ იგდო და თავის დედას მოუტანა. გუნპილდმა ხალხი გაგზავნა ნადავლის კონუნგაპელში გადასაზიდად და შემდეგ თვითონაც იქით გაემართა.

ჰრუტი შემოდგომაზე დაბრუნდა, თან დიდძალი ნადავლი ჩამოიტანა და კონუნგს ეასლა. კონუნგმა კარგად მიიღო იგი. ჰრუტმა კონუნგსა და დედამისს შესთავაზა, აეღოთ ნადავლიდან რაც მოეწონებოდათ. კონუნგმა მთელი ნადავლის ერთი მესამედი დაიტოვა. გუნპილდმა ჰრუტს უამბო, როგორ წაართვა სოტის მემკვიდრეობა და როგორ მოაკვლევინა იგი. ჰრუტმა მადლობა გაღიუხადა და ქონების ნახევარი მისცა.

6

ჰრუტმა ის ზამთარი დიდ პატივში გაატარა კონუნგთან, მაგრამ გაზაფხულზე გულჩახვეული ვასდა. გუნპილდმა ეს შეამჩნია და, მარტო რომ დარჩა მასთან, ჰკითხა:

— რა დაგემარია?

ჰრუტმა მიუგო:

— ტყუილად არ უთქვამთ, სტუმრად ყოფნა კარგია, მაგრამ მაინც შინ ყოფნა სჯობიაო.

— ისლანდიაში გინდა წასვლა? — პკითხა გუნპილდმა.

— პო, მინდა, — მიუგო პრუტმა.

— ვინმე ნანდაური ხომ არ გეგულება იქ? — პკითხა გუნპილდმა.

არაო, მიუგო პრუტმა.

— მე კი მგონია, რომ გეგულება, — თქვა გუნპილდმა.

ამით მოათავეს ლაპარაკი. პრუტი კონუნგთან მივიდა და მიესალმა. კონუნგმა პკითხა:

— რა გინდა, პრუტ?

— ხელმწიფეო, მინდა გთხოვო, ისლანდიაში გამიშვა.

— ვითომ იქ უფრო დიდ პატივში იქნები, ვიდრე აქა ხარ? — პკითხა კონუნგმა.

— არა, — მიუგო პრუტმა, — მაგრამ ყველას თავისი ბედი უწერია.

— ღონიერ კაცს იოლად ვერ დაჯაბნი, — თქვა გუნპილდმა, — დაე, ისე მოიქცეს, როგორც თვითონ სურს.

ნორვეგიაში იმ წელს მოუსავლიანობა იყო, მაგრამ გუნპილდმა პრუტს მაინც იმდენი ფქვილი მისცა, რამდენიც პრუტმა ისურვა. პრუტი და აცური სამზადისს შეუდგნენ და როდესაც ყველაფერს მორჩნენ, პრუტი კონუნგსა და გუნპილდს ეასლა. გუნპილდმა იგი განზე გაიყვანა და უთხრა:

— აი, ეს ოქროს სამაჯური მინდა გაჩუქო.

და ამ სიტყვებით სელზე წამოაცვა იგი.

— ბევრი კარგი საჩუქარი მასსოვს შენგან, — ეუბნება პრუტი.

გუნპილდმა კისერზე შემოსვია სელები, აკოცა და უთხრა:

— თუ ჩემი ძალა შენზე ისე სჭრის, როგორც მე ვფიქრობ, მაშინ ისლანდიაში ვერ მოილხენ იმ ქალთან, გუნებაში რომ გყავს. სხვა ქალებთან კი ატარე დრო, როგორც მოგესურვება. ორივენი ცუდად მოვიქეცით. შენ მე არ დამიჯერე.

პრუტმა გაიცინა და წავიდა. შემდეგ კონუნგს წარუდგა და მადლობა მოასსენა. კონუნგი თავაზიანად ესაუბრა და ბედნიერი მგზავრობა უსურვა, თან დაუმატა, უმამაცესი კაცი ხარ და სასელოვან სალსთან თავის დაჭერაც შეგძლებიაო. პრუტი მაშინვე ხომალდისკენ გაეშურა და ზღვაში გავიდა. მთელი მგზავრობის მანძილზე სურგქარი უბერავდა და ბორგაფიორდს მიაღწიეს. როგორც კი ხომალდი ნაპირს მიადგა, პრუტი შინისაკენ, დასავლეთისაკენ გაეშუ-

რა, აცური კი ხომალდთან დარჩა ტვირთის გადმოსაზიდად. პრუტი პასკულდსტადირში მივიდა. პასკულდი კარგად შესვდა და პრუტმა თავისი თავგადასავალი უამბო. მერე მათ კაცი გაგზავნეს აღმოსავლეთ მსარეს და მორდ ჭიანურას შეუთვალეს, ქორწილისთვის მიემზადეო. ძმები კი ხომალდისკენ გაემართნენ და გზად პასკულდმა პრუტს უამბო, თუ როგორ გაიმრავლა ქონება, ვიდრე პრუტი ისლანდიიდან იყო წასული. პრუტმა უთხრა:

— თუმცა შენ უფრო მეტი ჯილდო გეკუთვნის, მაგრამ იმდენ ფქვილს კი მოგცემ, რომ მთელი ზამთარი გეყოს.

ამის შემდეგ მათ ხომალდი ნაპირზე შეაგორეს გორგოლაჭებით, გადასურეს და მთელი ავლა-დიდება დასავლეთში, ველისაკენ წაიღეს. პრუტი სახლში იყო, პრუტსტადირში, ვიდრე ექვსი კვირა არ დარჩა ზამთრის დადგომამდე. შემდეგ ძმები აცურთან ერთად ქორწილში წასასვლელად გაემზადნენ და თან საძოცამდე კაცი მაინც გაპყვათ. მივიდნენ რანგის ველზე. იქ უკვე ბლომად მოეყარათ სტუმრებს თავი. მაძაკაცები სკამებზე დასხდნენ, ქალებმაც თავიანთი ადგილები დაიკავეს, მაგრამ პატარძალი ძალზე მოწყენილი იყო. ქორწილი გადაისადეს და დროც კარგი გაატარეს. მორდმა თავის ასულს მზითევი მისცა და უნი პრუტთან ერთად დასავლეთისკენ გაემგზავრა.

შინ რომ მივიდნენ, პრუტმა ოჯახის საქმეები მთლიანად ცოლს ჩააბარა, რითაც ყველა კმაყოფილი დარჩა. მაგრამ მათ ცოლქმრობას საშველი არ დაადგა. ასე გრძელდებოდა გაზაფხულამდე. გაზაფხულზე პრუტი დასავლეთის ფიორდებისკენ გაეშურა გაყიდული საქონლის ღირებულების ასაკრებად. წასვლის წინ ცოლმა პკითხა:

— დაბრუნდები, ვიდრე სალხი თინგზე წავა?

— რად მეკითხები? — უთხრა პრუტმა.

— თინგზე მეც წამოვალ, — მიუგო ცოლმა, — მამაჩემის ნახვა მინდა.

— შენი ნებაა, — თქვა პრუტმა, — წავიდეთ თინგზე.

— ძალიან კარგი, — უთხრა ცოლმა.

შემდეგ პრუტი სასლიდან დასავლეთის ფიორდებისკენ გაემართა, რაც ფული მოკრიბა, სულ გაასესსა და შინ დაბრუნდა. დასავლეთიდან დაბრუნებული ალთინგზე წასასვლელად აიკრიფა და

მეზობლებიც აიყოლია. პასკულდიც თან გაპყვა. პრუტმა ცოლს უთხრა:

თუ თინგზე წამოსვლას არ იშლი, დაუჩქარე.

უნი ხელად გამოეწყო და წავიდნენ თინგზე. იქ რომ მივიდნენ, უნმა მამის სადგომს მიაშურა. მორდი კარგად შესვდა, მაგრამ უნი გუნებაზე ვერ იყო. ეს რომ შეამჩნია, მამამ უთხრა:

— წინათ უფრო მხიარული იყავი. რა დაგემართა?

უნი ატირდა, მაგრამ პასუხი არ გაუცია. მორდმა კვლავ ჰკითხა:

— მაშ რისთვის მოდიოდი თინგზე, თუ შენს სათქმელს არ მეტყვი? იქნება იქ, დასავლეთში, კარგად ვერა სარ?

უნმა მიუგო:

— ყველაფერს დავთმობდი, რაც კი რამ მაბადია, ოღონდ იქ აღარ მივბრუნდებოდე.

მორდმა თქვა:

— მაგას კი მალე გაიგებ, რა მოსდა.

მან კაცი გაუგზავნა პასკულდსა და პრუტს. ისინი მაშინვე იქ გაჩნდნენ. როგორც კი შეამოწმეს, მორდი წამოდგა, თავაზიანად მიესალმა და სთხოვა დამსხდარიყვნენ. ბევრი ილაპარაკეს. ყველაფერი კარგად მიდიოდა. ბოლოს მორდმა პასკულდს ჰკითხა:

— რატომ არ მოსწონს ჩემს ასულს თქვენთან, დასავლეთში ყოფნა?

პრუტმა თქვა:

— დაე, თვითონ თქვას, თუ რამეს მემდურის.

მაგრამ უნმა ვერაფერი თქვა მის საწინააღმდეგოდ. მაშინ პრუტმა უთხრა, მეზობლებსა და შინაურებს ჰკითხე, ცოლს როგორ ვექცევიო. იმათაც ცუდი არაფერი ენახათ და თქვეს, უნი სასლში თავის ნებაზეაო.

მაშინ მორდმა თქვა:

— დაბრუნდი უკან და იყავი შენს ქმართან, რაკი ყველა მის საწარგებლოდ ლაპარაკობს.

ამის შემდეგ პრუტი შინ დაბრუნდა თინგიდან და ცოლიც თან წამოპყვა. მთელი ზაფხული კარგად იყვნენ. მაგრამ ზამთარი რომ დადგა, საქმე ისევ აერიათ და რაც უფრო ახლოვდებოდა ზაფხული, მით უარეს დღეში იყვნენ. პრუტს ისევ მოუსდა ფიორდებისკენ წასვლა და დაიბარა, ალთინგზე არ წავალო. უნმა არაფერი უპასუხა, და პრუტი დასავლეთის ფიორდებისკენ გაემართა.

დადგა თინგის დრო. უნი აცურის შვილს, სიგმუნდს გაძოელა-პარაკა და პკითხა, თინგზე წამყვები თუ არაო. სიგმუნდმა უთხრა, არ წაგყენები, თუ ეს ჩემს ნათესავს, პრუტს არ ეამებაო.

— შენ იმიტომ გთხოვე, რომ სხვებზე მეტად შენ გმართებს დამიჯერო, — უთხრა უნმა.

სიგმუნდმა მიუგო:

— მაშინ სიტყვა უნდა მომცე, რომ ჩემთან ერთად დაბრუნდები აქ და არაფერს ჩაიდენ უჩუმრად არც პრუტისა და არც ჩემს წინააღმდეგ.

უნმა პირობა მისცა. შემდეგ ისინი თინგზე გაემგზავრნენ. აქ იყო მორდი, უნის მამა. მორდი შვილს გულღიად შეხვდა და შესთავაზა, სანამ თინგზე იქნებოდა, მის სადგომში ეცხოვრა. უნი დათანხმდა.

მორდმა პკითხა:

— რას მეტყვი პრუტზე, შენს ქმარზე?

უნმა უთხრა:

— მარტო კარგის თქმა თუ შემიძლია, მაგრამ ყველაფერი მაზზე როდია დამოკიდებული.

მორდმა იყუჩა და მერე თქვა:

— გეტყობა, რაღაც გაქვს ვულში, შვილო, რასაც ჩემს გარდა ვერავის გაუზიარებ. გამენდე და სხვაზე უკეთ მე გაგერკვევი შენს საქმეში.

შემდეგ ისინი განცალკევდნენ, რომ არავის დაეგდო ყური, და მორდმა თავის ასულს უთხრა:

— მიამბე ყველაფერი, რაც თქვენს შორის მოხდა, ნურაფრისა გეშინია.

— რაც არის, არის, — თქვა უნმა, — მინდა გავშორდე პრუტს და აი, რატომ. იგი ქმრობას ვერ მიწევს და ვერავითარ სიამოვნებას ვერ ვნასულობ-მასთან, თუმცა სხვაფრივ არაფრით გამოირჩევა სხვა კაცებისაგან.

— რას ამბობ? — თქვა მორდმა, — დალაგებით მითხარი.

უნმა უპასუხა:

— როცა ერთად ვწევართ, ვერაფერს მიშვრება, როგორც

უნდა ვეცადოთ ორივენი. ისე ეტყობა კია, რომ სხვა კაცებისაგან არ ეანსხვავედება.

მორდმა უთხრა:

— კარგი პქენი, რომ მითხარი ყველაფერი. ჩემი რჩევა გამოგადგება, თუ ზუსტად შეასრულებ. უწინარეს ყოვლისა, თინგიდან შინ უნდა წასვიდე და შენი ქმარი, რომელიც ალბათ უკვე დაბრუნდა, კარგად შეგხვდება. მოეალერსე და მოეფერე, იფიქრებს, ჩვენი საქმე კარგად არისო. გულგრილად არ მოექცე და უკმაყოფილება არაფერში გამოთქვა. როცა გაზაფხულდება, თავი მოიავადმყოფე და დაწექი. პრუტი ვერაფერ ეჭვს ვერ მიიტანს შენს ავადმყოფობაზე და ვერ გისაყვედურებს. პირიქით, ყველას ხვეწნას დაუწყებს, რაც შეიძლება კარგად მოგიარონ. მერე სიგმუნდთან ერთად დასავლეთის ფიორდებისკენ გასწევს და, რაკი ზაფხულის დამლევამდე იქ დარჩება, დიდძალ ქონებასაც ჩამოიტანს. მერე კი, როცა ხალხი თინგზე წავა და ყველა, ვისაც თინგზე წასვლა სურს, ველიდან გავა, ადექი ლოგინიდან და უბრძანე შენიანებს, თან წაგყვნენ. როცა ყველა მზად იქნება, იმათთან ერთად მიდი შენს საწოლთან, მოწმეებად მოუხმე მათ შენი ქმრის სარეცელთან და თავი მასთან გაშორებულად გამოაცხადე, როგორც ეს მიღებულია თინგზე და კანონი მოითხოვს. იგივე გაიმეორე სახლის კართან. მერე კი წამოდი და დაადექი გზას ლაქსარდალპეიდისა და პოლტავარდუპეიდის გავლით, რადგან არავის მოუვა აზრად პრუტაფიორდისკენ მიმავალ გზაზე ვეძებოს. ასე იარე, ვიდრე ჩემთან არ მოხვალ. მერე კი საქმეს მე მოვკიდებ ხელს და შენც აღარ მოგიწევს პრუტთან დაბრუნება.

ამგვარად უნი თინგიდან შინ დაბრუნდა. პრუტი უკვე სასლში იყო და გულღიად მიეგება ცოლს. უნი მოკრძალებულად გამოეპასუსა და ალერსიანად შეხვდა. მთელი ზამთარი კარგად გაატარეს, როცა გაზაფხული დადგა, უნი ავად გასდა და ჩაწვა. პრუტი ფიორდებისკენ გაემგზავრა და ყველას დაუბარა, კარგად მიეხედათ ავადმყოფისთვის. თინგის დრო რომ მოასლოვდა, უნი გასამგზავრებლად მოემზადა და ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც ადრე ითქვა, შემდეგ თინგზე გასწია. მეზობლები ეძებდნენ, მაგრამ ვერ იპოვეს. მორდმა კარგად მიიღო თავისი ასული და პკითხა, ჩემი დარიგება ხომ შეასრულეო.

— ყველაფერი ისე გავაკეთე, როგორც მითხარი, — მიუგო მან.

მორდი კანონის კლდესთან მივიდა და გამოაცხადა უნის განქორწინება პრუტთან. ეს ყველასათვის ახალი ამბავი იყო. შემდეგ უნი მამას წაპყვა სახლში და დასავლეთში აღარ დაბრუნებულა.

8

პრუტი დაბრუნდა და ცოლის წასვლის ამბავი რომ შეიტყო, წარბი შეიკრა, მაგრამ დინჯად ირჯებოდა და მთელი ნახევარი წელიწადი შინ გაატარა. არც არავისთვის უკითხავს რაიმე რჩევა. შემდეგ წელს თინგზე წავიდა თავის ძმასთან, პასკულდთან ერთად და თან ხალხიც საკმაოდ წაიყვანა. თინგზე რომ მივიდა, იკითხა ჭიანურა მორდი აქ არის თუ არაო. უთხრეს, აქ არისო. ყველა ელოდა, თავიანთ საქმეზე დაიწყებენ ლაპარაკსო, მაგრამ ასე როდი მოსდა.

ერთხელ, როდესაც ყველამ კანონის კლდეს მიაშურა, მორდმა თავისი მოწმეები დაასახელა და დავა წამოიწყო პრუტთან თავისი ასულის მზითვის თაობაზე და სარჩელად ცხრა ათასი მოითხოვა. იგი ამ ფულის დაუყოვნებლივ გადახდას მოითხოვდა, სამ მარკას კი საზღაურად, თუ უარს ეტყოდნენ დაუყოვნებლივ გადახდაზე. მან მეოთხედ საამსჯავროს მიმართა, რომელსაც ამ საქმის გარჩევა ევალებოდა კანონის მიხედვით. მორდმა ეს ყველას გასაგონად გამოაცხადა კანონის კლდესთან.

როცა ლაპარაკს მორჩა, პრუტმა მიუგო:

— ამ დავას სისარბე და თავგასულობა უფრო გაწყვეტინებს, ვიდრე კეთილი გრძნობები და დიდსულოვნება. მაგრამ სათქმელი მეცა მაქვს, რაკი ჩემი ფული ჯერ ხელთ არ ჩაგვარდნია. მე ვაცხადებ და მოწმედ მოვუსმობ ყველას, ვინც აქ, კანონის კლდესთან დგას, რომ ორთაბრძოლაში გიწვევ კუნძულზე. ნაძლევად მთელ მზითევს ჩამოვალ და ერთ იმდენსაც დავუმატებ. დაე, ყველაფერი იმას დარჩეს, ვინც გაიმარჯვებს. თუ ჩემთან ბრძოლაზე უარს იტყვი, მაშინ შენს დავას საფუძველი გამოეცლება.

მორდმა იყუჩა და თავის მეგობრებს დაეკითხა, წაპყოლოდა თუ არა პრუტს კუნძულზე საბრძოლველად. გოდი იარუნდმა უთხრა:

— მაგ საქმეში რჩევა რად გინდა. თავადაც იცი, თუ პრუტს ბრძოლაში გაპყვები, ქონებასაც გამოგასალმებს და სიცოცხლესაც. მაგას რა უჭირს, ღონეც ერჩის და ვაუკაცობაც პყოფნის.

მაშინ მორდმა გამოაცხადა, პრუტს ბრძოლაში არ გავყვებიო. კანონის კლდესთან ყაყანი და ღრიანცელი ატყდა და მორდიც მაგრად შეარცხვინეს. მერე თინგიდან ყველანი თავთავიანთ სახლებში წავიდნენ.

ძმები, პასკულდი და პრუტი, დასაელეთისკენ წამოვიდნენ, რეიკიარდალში, და ღამის გასათევად ლუნდში შეიარეს. იქ მაშინ ცხოვრობდა თიოსტოლვი, ძე ბიარნ ოქროსანისა. იმ დღეს ძლიერი წვიმა მოდიოდა, სალსი დასველდა, და ამიტომ დარბაზში კერა გააჩაღეს. თიოსტოლვი პასკულდსა და პრუტს შუა იჯდა, ორი ბიჭი კი, რომლებიც მის სახლში იზრდებოდნენ, იატაკზე თამაშობდნენ და მათთან ერთად გოგონაც იყო. ისინი გაუთავებლად ტიკტიკებდნენ, რადგან პატარები იყვნენ და მეტი არ ესმოდათ. ერთმა მათგანმა თქვა:

— მე მორდი ვიქნები, სამსჯავროში გამოგისმობ და გაგკიცხავ, რადგან შენს ცოლს ქმრობას ვერ უწევდი.

მეორემ მიუგო:

— მე კი პრუტი ვიქნები და ფულის გადახდაზე უარს გეტყვი, თუ არ შემებრძოლები.

ეს სიტყვები ბევრჯერ გაიმეორეს. შინაურებმა სიცილ-ხარხარი ატეხეს. პასკულდი გაწყრა და წნელი გადაპკრა ბიჭუნას, რომელმაც მორდი დაირქვა. ბავშვს წნელი სახეში მოხვდა და კანი გაუხეთქა. პასკულდმა ბიჭუნას უთხრა:

— გაეთრიე აქედან და მეტი აღარ გაბედო ჩვენი მასხრად აგდება.

მაშინ პრუტმა უთხრა:

— მოდი აქ, ჩემთან.

ბიჭუნა მივიდა. პრუტმა თითიდან ოქროს ბეჭედი წაიძრო, ბიჭუნას მისცა და უთხრა:

— წადი და აღარავის დასცინო.

ბავშვმა თქვა:

— შენს სიკეთეს სამუდამოდ დავიმახსოვრებ.

და წავიდა.

პრუტი დიდად შეაქეს ამ საქციელისთვის. შემდეგ ისინი დასავლეთისაკენ გაემართნენ და ასე თავდება მორდთან დავის ამბავი.

ახლა ისიც უნდა ითქვას, რომ ჰალგერდი, ჰასკულდის ასული, ამასობაში წამოიზარდა და მეტისმეტად დამშვენდა. ტანმაღალი ქალი იყო და მეტსასელად „გრძელფეხება“ შეარქვეს. ულამაზესი, გრძელი თმა მთელ ტანს უფარავდა. სასიათი კი ფიცხი და აუტანელი ჰქონდა.

მის აღმზრდელს თიოსტოლვი ერქვა. წარმოშობით პებრიდის კუნძულებიდან იყო. ღონიერსა და იარაღის ხმარებაში გაწაფულს ბევრი პყავდა დახოცილი და საზღაური კი არ გადაუხდია. მასზე ამბობდნენ, ეგ ჰალგერდს სასიათს ვერ გამოუსწორებსო.

ერთ კაცს თორვალდი ერქვა. იგი ოსვივრის ძე იყო. მისი კარმიდამო მედალფელსტრანდის სანაპიროზე იდგა და ფელი ეწოდებოდა. თორვალდი მდიდარი იყო. მას ეკუთვნოდა ბრეიდაფიორდში მდებარე ბიარნეიარის კუნძულები. აქედან იგი გამსმარ თევზსა და ფქვილს ღებულობდა. ეს თორვალდი დიდი ძალოვანი და თავაზიანი კაცი იყო, მაგრამ ფიცხი ხასიათი ჰქონდა.

ერთხელ ისე მოსდა, რომ მამა-შვილმა ლაპარაკი ჩამოაგდო, თუ სად მოეძებნა თორვალდს საცოლე. ვინც კი გაიხსენეს, შვილს არავინ უჯდებოდა ჭკუაში. მაშინ ოსვივრმა პკითხა:

— იქნება გინდა ჰალგერდ გრძელფეხება ითხოვო, ჰასკულდის ასული?

— სწორედაც რომ მინდა, — თქვა თორვალდმა.

— ძალზე კი გაგიჭირდებათ ერთმანეთთან,—უთხრა ოსვივრმა,— ის თავნებაა და შენც კაი ღჯუ და მოუარშიებელი ხარ.

— მაინც ვცდი ბედს, — მიუგო შვილმა, — სულ ერთია, ვერ გადამათქმევინებ.

— შენი საქმისა შენ იცი, — უთხრა ოსვივრმა.

შემდეგ ისინი ქალის გასარიგებლად გაემართნენ და ჰასკულდსტადირში მივიდნენ. იქაურები კარგად დაუხვდნენ. მათ მაშინვე უთხრეს ჰასკულდს, რისთვისაც იყვნენ მოსულნი და გარიგებას შეუდგნენ. მაშინ ჰასკულდმა უთხრა:

— თქვენს შესახებ ყველაფერი ვიცი, მაგრამ მე ჩემი მხრივ ვერ მოგატყუებთ: ჩემს ასულს ძალზე მძიმე ხასიათი აქვს. იმის სილამაზეს და აღზრდილობას კი თავადვე ხედავთ.

— გვითხარი შენი პირობები, — მიუგო თორვალდმა, — მაგის სასიათის გამო საქმეს არ ჩავშლი.

შემდეგ პირობებზე დაიწყეს ლაპარაკი. პასკულდს არც უკითხავს თავისი ასულისათვის, თანასმა იყო თუ არა გათხოვებაზე, რაკი გულით უნდოდა, რაც შეიძლებოდა მალე გაეთხოვებინა. მათ ყველაფერზე მოილაპარაკეს, პალგერდი თორვალდზე დაინიშნა და თორვალდი მამასთან ერთად შინისაკენ გაუდგა გზას.

10

პასკულდმა პალგერდს აუწყა, რაზეც მოილაპარაკეს. პალგერდმა თქვა:

— ახლა კი დავრწმუნდი იმაში, რისიც ყოველთვის მეშინოდა. შენ ისე ძლიერ არ გყვარებივარ, როგორც მეუბნებოდი. თანაც ამ ქორწინებას ისე არ გავუხარებივარ, როგორც მოველოდი.

ეტყობოდა, პალგერდმა იფიქრა, მამაჩემს გამეტებული ვყოლივარო. მაშინ პასკულდმა უთხრა:

— მაგ შენი ამპარტავნობის გულისათვის საქმეს ვერ ჩავშლი. ყველაფერს მე თავად გადავწყვეტ, რაკი ჭკუაზე ვერ მომიყვანიხარ.

— ამპარტავნობა შენცა და შენიანებსაც თავს გადაგდით, — უთხრა პალგერდმა, — და რა გასაკვირია, რომ მეც მჭირდეს ეგ ნაკლი.

თქვა და წავიდა. თავჩაქინდრული მიადგა თავის გამზრდელს, თიოსტოლვს, და უამბო, რასაც უპირებდნენ. მაშინ თიოსტოლვმა უთხრა:

— ნუ დაღონდები. ყველაფერს გავაკეთებ, რასაც ისურვებ და მეორეჯერ შენი დასტურის გარეშე ვეღარ გაგათხოვებენ. მამაშენსა და პრუტს კი ხელს არ ვასლებ.

ამ საქმეზე მეტი აღარ ულაპარაკიათ.

პასკულდი ქორწილისთვის მოემზადა და ხალხის დასაპატიუებლად გაემართა. ჰრუტსტადირში რომ ჩავიდა, ჰრუტი სალაპარაკოდ გამოიხმო. იგი გარეთ გამოვიდა და პასკულდმა უამბო, როგორც იყო საქმე, და ქორწილში დაპატიჟა.

— არ გეწყინოს, — დაუმატა მან, — რომ ამ საქმეზე ადრე არაფერი მითქვამს შენთვის.

— მირჩევნია მაგ საქმისგან განზე ვიდგე, — თქვა პრუტმა, —

რადგან ეს ცოლქმრობა არც ერთს მოუტანს ბედნიერებას და არც მეორეს, მაგრამ ქორწილში მოვალ, თუ ჩემი მოსელა ღირსებას შეგმატებთ.

— რაღა თქმა უნდა, — თქვა პასკულდმა და შინ წამოვიდა.

ოსვიერმა და თორვალდმაც დაპატიჟეს ხალხი. სულ ცოტა, ას ოცი კაცი მაინც მოგროვდა.

ერთ კაცს სვანი ერქვა. იგი ბიარნარფიორდში ცხოვრობდა და მის კარ-მიდამოს სვანსპოლი ეწოდებოდა. ეს კარ-მიდამო სტეინ-გრიმსფიორდის ჩრდილოეთით მდებარეობს. სვანი ძალზე გაწაფული იყო ჯადოქრობაში. პალგერდს იგი ბიძად ერგებოდა დედის მხრივ. ძალზე გულფიცხი და უკარება ვინმე იყო. პალგერდმა იგი ნადიმზე მიიწვია და მოპატიჟედ თიოსტოლვი გაუგზავნა. ისიც წავიდა და მალე თიოსტოლვსა და სვანს შორის მეგობრული საუბარი გაიბა.

სტუმრები შეგროვდნენ. პალგერდი საქალებო სკამზე დაჯდა. პატარძალი ძალზე გამსიარულდა. თიოსტოლვი ხან მასთან მიდიოდა, ხან კი სვანს ელაპარაკებოდა. ეს ყველას ეუცხოვა.

ნადიმი ლაზათიანი გამოდგა. პასკულდმა უხვად გასცა მზითევი. შემდეგ პრუტს პკითხა:

— კიდევ დავუმატო რამე?

— დაიცადე, — მიუგო პრუტმა, — კიდევ მოგიწევს ფულის ამოყაჭვა პალგერდის გამო, ჯერ კი ესეც საკმარისია.

11

თორვალდი ქორწილიდან შინ დაბრუნდა, თან ცოლი და თიოსტოლვიც წამოიყვანა. თიოსტოლვი პალგერდს გვერდით მოსდევდა ცხენით და ხმადაბლა ელაპარაკებოდა. ოსვიერი შვილს მიუბრუნდა და პკითხა:

— რას იტყვი, კმაყოფილი ხარ ქორწილით? როგორ წარიმართა თქვენი საუბარი?

— კარგად, — მიუგო თორვალდმა, — ძალზე სათუთად მექცეოდა. აგერ, ნახე, როგორ იცინის ყოველ ჩემს სიტყვაზე.

— არ მეპიტნავება მაგის სიცილი, — თქვა ოსვიერმა, — თუმცა, ვნახოთ, რა მოხდება.

ბოლოს, როგორც იქნა, მივიდნენ სასლში. საღამოს პალგერდი ქმრის გვერდით დაჯდა და თიოსტოლვი სელმარჯვნივ მოისვა. თიოსტოლვსა და თორვალდს თითქმის სმა არ გაუციათ ერთმანეთისთვის. მერეც ასე იყო. თითქმის მთელი ზამთარი არ გამოლაპარაკებიან ურთიერთს.

პალგერდი ძალზე სარბი გამოდგა. რასაც მეზობლებს დაუნახავდა, იმასაც აუცილებლად უნდა ეშოვა და დაუზოგავად სარჯავდა თავისას თუ სხვისას. გაზაფხულზე სანოვაგე შემოელიათ, აღარც ფქვილი პქონდათ, აღარც გამხმარი თევზი. პალგერდი თორვალდს მიადგა და უთხრა:

— რას დაგიკრეფია გულსელი, სასლში აღარც ფქვილია, აღარც თევზი.

თორვალდმა უთხრა:

— მე წელსაც იმდენი მოვიმარაგე, რამდენიც სხვა დროს გვქონია და ყოველთვის გვყოფნიდა ზაფხულამდე.

— რა ჩემი საქმეა, თუ შენ და მამაშენს აქ შიმშილით სული გძვრებოდათ.

მაშინ კი თორვალდი გაჯავრდა და ისე გაპკრა ქალს სახეში, რომ სისხლი ადინა. მერე სასლიდან წავიდა და შინაურებიც წაიყვანა. წყალში დიდი ნავი ჩაუშვეს და რვა კაცმა ნიჩბები მოუსვა ბიარნეიარის კუნძულებისაკენ, სადაც თავიანთი მარაგიდან ფქვილი და გამხმარი თევზი გადმოტვირთეს.

ამბობენ, ამ დროს პალგერდი კარის დირეზე იჯდაო დაღვრემილი. მასთან თიოსტოლვი მივიდა და დალილავებული სახე რომ დაუნახა, პკითხა:

— ეგ ვინ დაგმართა?

— ჩემმა ქმარმა, თორვალდმა, — უპასუხა პალგერდმა, — შენ კი შორს არ იქნებოდი ჩემგან, ოდნავ მაინც რომ გენაღვლებოდე.

— რა ვიცოდი, თუ ეგ მოსდებოდა, — მიუგო თიოსტოლვმა, — შურს კი ვიძიებ.

იგი ნაპირისკენ გაემართა და წყალში ექვსნიჩბიანი ნავი ჩაუშვა. ხელში რკინითმოჭედილტარიანი ნაჯახი ეჭირა. ნავში ჩაჯდა და ბიარნეიარის კუნძულებისკენ გასწია. იქ რომ მივიდა, აღარავინ დახვდა თორვალდისა და მისი თანამგზავრების გარდა. თორვალდი

ტვირთის ალაგებდა, სხვები კი ეზიდებოდნენ. თიოსტოლვი ნავში ჩასტა და მასთან ერთად ტვირთვას შეუდგა, თან უთხრა:

— იოლი საქმისთვის მოგიკიდია სელი და მაგისთვისაც ვერ მოგივლია.

თორვალდმა თქვა:

— ვითომ შენ უკეთ მოასერსებ?

— იმ საქმეს, რაც ჩვენ გველის, — მიუგო თიოსტოლვმა, — მე უკეთ შეეძლებ. ვაგლასად გაუთსოვებიათ ქალი, თუ შენ გამოგატანეს, მაგრამ დროა ბოლო მოეღოს თქვენს ცოლქმრობას.

თორვალდმა გვერდზე დაგდებულ დანას დაავლო სელი და თიოსტოლვს მოუქნია. მაგრამ ამან ნაჯახი აღმართა და თორვალდს ისე დაპკრა სელზე, რომ ძვალიც გადაუმტვრია და დანაც გააგდებინა. თიოსტოლვმა მეორეჯერ მოუქნია თორვალდს ნაჯახი და თავში დარტყმით იქვე გაათავა.

12

ამასობაში თორვალდის ხალხიც მოვიდა დატვირთული. თიოსტოლვს ბევრი არ უფიქრია, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ნავის ძგიდეს დასცხო ნაჯახი და ჩამოალეწა, თვითონ კი თავის ნავში გადახტა. თორვალდის ნავში ზღვის მღვრიე წყალი შეევარდა და ნავი მთელი საპალნიანად ჩაიძირა, თან ჩაპყვა თორვალდის გვამიც. სხვებმა ისიც ვერ დაინახეს, როგორ იყო დასასიჩრებული, ის კი იცოდნენ, რომ თორვალდი დაიღუპა.

თიოსტოლვი თავისი ნავით ფიორდს აუყვა, ისინი კი უკან მისძახოდნენ და წყევლა-კრულვას უთვლიდნენ. თიოსტოლვი ხმაამოუღებლად უსვამდა ნიჩაბს, ვიდრე სახლამდე არ მიაღწია. ნავი ნაპირზე ამოაორია, სახლისკენ გაემართა, თან მხარზე სისხლიანი ნაჯახი გაედო. ჰალგერდი ეზოში იდგა და ჰკითხა:

— ნაჯახი გაგსისხლიანებია, რა ჩაიდინე?

— ახლა შენ მეორეჯერ მოგიწევს გაოხოვება, — მიუგო თიოსტოლვმა.

— მაშ თორვალდი მოგიკლავს, — თქვა ჰალგერდმა.

— პო, — მიუგო თიოსტოლვმა, — ახლა კი მითხარი, რა გზას დავადგე.

— კარგი, — უთხრა პალგერდმა, — მე შენ ჩრდილოეთში გაგგზავნი, ბიარნარფიორდზე, სვანსჰოლში. სვანი გულითადად მიგიღებს. ის ისეთი ძლიერი კაცია, რომ ხელს ვერავინ გახლებს.

თიოსტოლვმა პალგერდის ცხენი შეკაზმა, ზედ მოასტა და ჩრდილოეთს მიაშურა, ბიარნარფიორდს, სვანსჰოლს. სვანი გულთბილად შეხვდა და ჰკითხა, რა მოხდაო. თიოსტოლვმა უამბო, როგორ მოკლა თორვალდი და რა მოჰყვა ამას. სვანმა თქვა:

— აი, მესმის შენისთანა შეუპოვარი ვაჟკაცი. სიტყვას გაძლევ, თუ ვინმე შეეცდება შენს დაჭერას აქ, უკანვე გავაბრუნებ თავლაფდასხმულს.

აქ თხრობა ისევ პალგერდს უბრუნდება. მან სთხოვა ლიოტ შავს, თავის ნათესავს, ცხენები შეეკაზმა და თან გაჰყოლოდა.

— შინ მინდა დავბრუნდე მამაჩემთან, — თქვა ჰალგერდმა.

ლიოტ შავმა ყველაფერი მოამზადა სამგზავროდ. პალგერდი თავის სკივრებთან მივიდა, თავი ასადა, შინაურებს მოუხმო და ყველას თითო რაღაც აჩუქა. ყველას ენანებოდა მისი წასვლა. ჰალგერდი თავის მამასთან გაემგზავრა. მამამისმა არაფერი იცოდა და კარგად მიიღო. პასკულდმა ჰალგერდს ჰკითხა:

— რატომ თორვალდიც არ წამოგყვა?

პალგერდმა მიუგო:

— ის ცოცხალი აღარ არის.

ჰასკულდმა თქვა:

— ეგ თიოსტოლვის ნამოქმედარი იქნება.

პალგერდმა კვერი დაუკრა.

— მართალს ამბობდა პრუტი, ამ ქორწინებას დიდი უბედურება მოჰყვებაო, თუმცა ახლა რაღა აზრი აქვს თავში ცემას, როცა აღარა ეშველება რა.

ახლა კი თორვალდის მეგობრებს უნდა მივუბრუნდეთ. ისინი კარგა ხანს იცდიდნენ, სანამ კუნძულს ნავები არ მოადგა. თორვალდის მოკვლა რომ შეიტყვეს, ნავი ითხოვეს შინ დასაბრუნებლად. როგორც კი ხელთ იგდეს ნავი, მაშინვე რეიკიანესის კონცხისკენ მოუსვეს. აქ ისინი ოსვივრთან მივიდნენ და უამბეს, რაც მოხდა. მან თქვა:

— რასაც დასთეს, იმას მოიმკი. ვიცი, როგორც მოსდებოდა ყველაფერი. ჰალგერდმა ალბათ თიოსტოლვი ბიარნარფიორდში გაის-

ტუმრა, თვითონ კი მამასთან გაემგზავრა. ახლა ხალხი უნდა შეკრიბოთ და თიოსტოლვს გამოვუდგეთ ჩრდილოეთისკენ.

ასეც მოიქცნენ. ჯერ ხალხს ჩამოუარეს და დასმარება სთხოვეს. კარგა ბლომადაც დაგროვდნენ. მერმე ყველანი სტეინგრიმსფიორდისკენ გაეშურნენ, გასცდნენ კიდეც, ლიოტარდალისა და სელარდალის ველები გადაიარეს და ბიარნარფიორდსაც მისწვდნენ.

ამ დროს სვანს მაგარი მოქნარება აუტყდა. მან თქვა:

— აგერ, ოსვივრის ორეული სულიც გვიახლოვდება.

თიოსტოლვი ზეწამოიჭრა და ნაჯახს წაეტანა. სვანმა უთხრა:

— გარეთ გამომყევი. ბევრი დავიდარაბა არ დაგვჭირდება.

ორივენი სახლიდან გამოვიდნენ. სვანმა თხის ტყავი აიღო, თავზე შემოიკრა და თქვა:

— მო, ნისლ-ბურუსო, თვალთ დაუბნელე და თავგზა აურიე, ვინც კი შენ გდევნის.

ახლა ის უნდა ითქვას, რომ ოსვივრი და მისი თანმხლებნი პალსის ქედს მიადგნენ. აქ გზა სქელ ნისლში იყო გახვეული. ოსვივრმა თქვა:

— ეს ალბათ სვანმა მოიმოქმედა. ნეტავ უარესიც არ დაგვმართოს.

მალე ხშირმა ბურუსმა ისე დაუბნელა მათ თვალები, რომ ველარაფერს სედავდნენ. ჩამოქვეითდნენ, ცხენები გაეფანტათ, თვითონაც თავგზა აებნათ, ზოგი ჭაობში ჩავარდა, ზოგიც ეკალ-ბარდებში გაიხლართა. იარაღიც დაკარგეს. მაშინ ოსვივრმა თქვა:

— ასლა რომ ჩემი ცხენი და იარაღი მაპოვნინა, უკან გავბრუნდები.

როგორც კი ეს სიტყვები წარმოთქვა, მაშინვე ყველას თვალი აესილა; ცხენებიც იპოვეს და იარაღიც. ბევრმა გზის გაგრძელება მოიწადინა, მაგრამ როგორც კი ამას შეეცადნენ, წამსვე ჯანღი ჩამოწვა ისევ. სამჯერ ზედიზედ განმეორდა ასე. მაშინ ოსვივრმა თქვა:

— ფუჭად ჩაგვიარა ამ ლაშქრობამ და ეგ არის. უკან დაბრუნება მოგვიწევს. სხვა გზით უნდა ვცადოთ ბედი. მე მგონი, აჯობებს, პასკულდთან წავიდეთ და ჩემი შვილის მოკვლისთვის საზღაური მოვთხოვოთ, რადგან პატიოსანი კაცია და ისიც კარგად უწყის, რაც ევალება.

ისინი ბრეიდაფიორდის ველზე გავიდნენ და უდავიდარაბოდ ჩა-

აღწიეს პასკულდსტადირს. მათ მისვლამდე პრუტსტადირიდან პრუტი ჩამოსულიყო. ოსვივრმა სასლიდან პასკულდი და პრუტი გამოისმო. ორივენი გამოვიდნენ და ოსვივრს მიესალმნენ. მერე ლაპარაკს შეპყვნენ. პასკულდმა ოსვივრს პკითსა, საიდან მოდისართო. იმანაც უთსრა, თიოსტოლვის საძებრად ვარ გამოსული და ვერსად წავაწყდიო. პასკულდმა უთსრა, თიოსტოლვი ალბათ ჩრდილოეთისკენ წავიდა სვანსპოლში და იქ მისი სელში ჩაგდება არც ისე იოლი საქმეაო.

— მე აქ იმიტომ მოვედი, — თქვა ოსვივრმა, — რომ ჩემი შვილის საზღაური მოგთსოვო.

პასკულდმა მიუგო:

— მე შენი შვილი არ მომიკლავს და არც ხელი მირევია მაგ საქმეში. მაგრამ არ გამტყუნებ, რომ შენი შვილის საზღაურის მიღება გსურს.

პრუტმა თქვა:

— რომელი თითიც არ უნდა მოეჭრან, ერთნაირად გეტკინება, ძმაო. ერთმანეთის ლანძღვა რას გვარგებს. ოსვივრს დაკარგული შვილის საზღაური უნდა მივცეთ. მარტო ამ გზით შეძლებ ისსნა შენი ასული გაკილვისაგან. საქმესაც ასე უფრო მოაგვარებ. რაც უფრო ნაკლებს ილაპარაკებენ ამ ამბავსე, მით უკეთესი.

პასკულდმა პკითსა:

— მერე და, ითავებ ჩვენი საქმის განსჯას?

— რატომაც არა, — მიუგო პრუტმა, — ვერც შენ მოგიდგები ამ საქმეში, რადგან, კაცმა რომ თქვას, თორვალდის მოკვლაში შენს ასულს მიუძღვის ბრალი.

პრუტმა მცირე სანს იყუჩა, მერე წამოდგა და ოსვივრს მიმართა:

— მომეცი ხელი და დამიდასტურე, რომ ამ საქმის გადაწყვეტას მე მომანდობ.

ოსვივრი წამოდგა და თქვა:

— უსამართლოა სოლმე გადაწყვეტილება, რომელიც მოპასუსის ძმას გამოაქვს, მაგრამ შენ ისეთი კეთილშობილება გამოიჩინე, რომ ამ საქმის გადაწყვეტა შენ უნდა მოგანდო.

შემდეგ მან პასკულდს გაუწოდა ხელი და შეთანსმდნენ, რომ საქმეს პრუტი განსჯიდა და ოსვივრის წასვლამდე მოათავებდა კიდეც. ამის შემდეგ პრუტმა მსჯავრი გამოიტანა და თქვა:

— თორვალდის მოკვლისთვის ვნიშნავ საზღაურს ორას ვერცხლს, — ეს მაშინ კარგ საზღაურად ითვლებოდა, — და ეს ფული, ძმაო, ასლავე და პატიოსნად უნდა გადაისადო.

პასკულდი ასეც მოიქცა. მაშინ პრუტმა ოსვივრს უთხრა:

— ძინდა ერთი კარგი ლაბადა გაჩუქო, რომელიც უცხო ქვეყნიდან ჩამოვიტანე.

ოსვივრმა მადლობა გადაუხადა ძღვენისათვის და შინ კმაყოფილი დაბრუნდა. პრუტი და პასკულდი ამის შემდეგ ოსვივრს ეწვევნენ ქონების გასაყოფად. მისი თანხმობით გაინაწილეს კიდეც და შინ თავიანთი წილი ავლა-დიდებით დაბრუნდნენ, და ოსვივრი ამ საგაში აღარ იქნება ნასსენები.

პალგერდმა პასკულდს სთხოვა, თიოსტოლვი მათთან გადაეყვანათ, და ისიც დათანხმდა. კიდევ დიდხანს ლაპარაკობდა ხალხი თორვალდის სიკვდილზე. პალგერდის სიმდიდრე კი სულ მატულობდა და კარგა ბლომადაც დაგროვდა.

13

სამი ძმა არის ნასსენები ამ საგაში: ერთ მათგანს თორარინი ერქვა, მეორეს — რაგი, მესამეს — გლუმი. ისინი ოლეივ სასელურას შვილები იყვნენ. პატივცემული და შეძლებული ხალხი გახლდათ. თორარინი, რომელსაც მეტსახელად რაგის ძმას უწოდებდნენ, კანონთმეტყველი იყო პრავნ ლიოტის ძის შემდეგ. იგი ძალზე ჭკვიან კაცად მიაჩნდათ. კარ-მიდამო ვარმალეკის წყარისთან პქონდა და მას გლუმთან ერთად პატრონობდა. გლუმი ასოვანი, ძლიერი და ლამაზი კაცი იყო, ქვეყანა მოვლილი პქონდა. მესამე ძმას, რაგის, სახელი გაეთქვა იმით, რომ ბევრი ხალხი პყავდა დახოცილი. ძმები სამსრეოში კუნძულ ენგეისა და ლაუგარნესის კონცხს ფლობდნენ.

ერთხელაც ძმები, თორარინი და გლუმი, მასლაათობდნენ. თორარინმა გლუმს პკითხა, ჩვეულებისამებრ ისლანდიიდან ვამგზავრებას სომ არ აპირებო.

გლუმმა მიუგო:

— არა. მინდა, სამუდამოდ ავიღო სელი ზღვით მოგზაურობაზე.

— რა განვიზრახავს? ქალის შერთვას სომ არ აპირებ? — ჰკითხა თორარინმა.

— შევირთავდი, — თქვა გლუმმა, — ერთი ჩემი შესაფერი ქალი რომ შემასვედრა.

მაშინ თორარინმა ჩამოთვალა ყველა ვასათსოვარი ქალიშვილი, ვინც კი იყო ბორგარფიორდში, და პკითხა, ამათგან რომელიმე თუ გსურსო. თან დაუმატა:

— თუ მეტყვი, მეც თან წამოგყვები.

გლუმმა მიუგო:

— მაგათგან არც ერთი არ მინდა.

— მაშინ დამისახელე, ვისი შერთვა გსურს, — უთხრა თორარინმა.

გლუმმა მიუგო:

— თუ გინდა იცოდე, პალგერდზე ვფიქრობ, დასავლეთის ველზე მცხოვრებ პასკულდის ასულზე.

— ეტყობა, არ გაგიგონია ანდასა: წინა კაცი უკანას სიდიაო, ეგ ქალი ვანათსოვარია და აკი ქმარიც დაღუპა.

გლუმმა თქვა:

— იქნება ეგ უბედურება აღარ განმეორდეს. დარწმუნებული ვარ, მე არ დამღუპავს. თუ გინდა პატივი დამდო, წამომყეე მისი ხელის სათხოვნელად.

— რას იზამ, ვხედავ ეღარ გადაგათქმევინებ. რაც მოსახდენია, უნდა მოხდეს, — მიუგო თორარინმა.

გლუმს ხშირად ჩამოუგდია ძმასთან ასეთი ლაპარაკი, მაგრამ თორარინი პირდაპირ პასუხს თავს არიდებდა. ბოლოს მაინც ისე მოხდა, რომ სალხი იახლეს და ათნი დასავლეთის ველისკენ გაემგზავრნენ. პასკულდმა ისინი კარგად მიიღო და ღამის გასათევად დაიტოვა. დილაადრიან ჰასკულდმა კაცი ვაგზავნა და პრუტი დაიბარა. ისიც მოვიდა. პასკულდი მას ეზოში დაუხვდა და უთხრა, ვინც იყო მოსული მასთან.

— რა უნდათ შენგან? — პკითხა ჰრუტმა.

— ჯერ არ უთქვამთ, რისთვის მოვიდნენ, — მიუგო პასკულდმა.

— ეტყობა, საქმე აქვთ შენთან, — თქვა ჰრუტმა, — ალბათ შენი ასულის, ჰალგერდის ხელს გთხოვენ. რას ეტყვი?

— შენ რას მირჩევ? — პკითხა პასკულდმა.

— დათანხმდი, მაგრამ პალგერდის ავ-კარგს ნუ დაუმალავ.

ძმები ამ ლაპარაკში იყვნენ, რომ სტუმრები გარეთ გამოლაგ-

ლნენ. პასკულდი თავაზიანად მიესალმა მათ. პრუტმაც ძმებს სალამი დაუბრუნა. შემდეგ ლაპარაკს შეპყვნენ და თორარინმა თქვა:

— აქ იმისათვის მოვედით, პასკულდ, რომ შენი ასულის სელი გთხოვოთ ჩემი ძმის გლუმისათვის. ესეც იცოდე, რომ იგი ღირსეული კაცია.

— ვიცი, — მიუგო პასკულდმა, — ორივე ძმა ღირსეული ადამიანი ხართ, მაგრამ ვერ დაგიმალავთ, ჩემი ასული ერთხელ უკვე გავათხოვეთ, რამაც დიდი უბედურება მოგვიტანა.

თორარინმა მიუგო:

— ეგ ჩვენ ვერ შეგვაფერხებს. ყოველთვის ხომ უბედურება არ მოხდება. იქნებ ახლა კეთილად დამთავრდეს ყველაფერი, თუმცა წინათ სეირი არ დაგყრიათ. გარდა ამისა, აკი ყველაფერში ბრალი თიოსტოლვს მიუძღოდა.

მაშინ პრუტმა თქვა:

— რასან იცით, რაც შეემთხვა და მაინც არ იშლით ჰალგერდის თხოვას, გირჩევთ, თიოსტოლვს თან ნუ წაიყვანთ სამხრეთში და თუ გლუმის თანხმობით მაინც გეწვევათ, სამ დღეზე მეტს ნუ გააჩერებთ. თუ მეტსანს დარჩენა მოინდომა, გლუმს უფლება აქვს მოკლას იგი საზღაურის გადაუხდელად. ცხადია, გლუმს უფლება აქვს ნება დართოს თიოსტოლვს მასთან იცხოვროს, მაგრამ არ ეურჩევ და ამასაც გეტყვით: ჰალგერდს ყველაფერი გააგებინეთ, უმისოდ ერთმანეთს ნუ გაურიგდებით უწინდელივით. დაე, იცოდეს ყველაფერი, გლუმიც ნახოს და თვითონვე გადაწყვიტოს, წაპყვება თუ არა. მაშინ ვეღარავის დააბრალებს, საქმე რომ ცუდად დატრიალდეს. ერთმანეთს თვალს ნუ ავუხვევთ და ნუ მოვატყუებთ.

მაშინ თორარინმა თქვა:

— როგორც ყოველთვის, ახლაც უმჯობესია შენს რჩევას დავუყვეთ.

მერე ჰალგერდს დაუძახეს. ისიც მოვიდა და თან ორი ქალი მოპყვა. მსრებზე ლურჯი მოსასხამი მოეგდო. მოსასხამის შიგნით ღია წითელი კაბა ეცვა და ვერცხლის ქამარი ერტყა. ორად გაყოფილი თმა მკერდამდე ჩამოეშვა და კულულები სარტყელზე დაეხვია. იგი პრუტისა და მამის შუა დაჯდა და ყველას გულთბილად მიესალმა. ლაპარაკობდა გამართულად, თამამად. იკითხა, ასალი რა არისო, და დადუმდა.

მაშინ გლუმმა თქვა:

— მე და ჩემი ძმა თორარინი მამაშენს მოველაპარაკეთ, პალგერდ. თუ შენც თანასმა იქნები, მინდა ცოლად წაგიყვანო. ახლა შენ თვით გადაწყვიტე, თუ ჭაუაში მოგდის ეს ამბავი და თუ ჩვენი გარიგება სელს არ გაძლევს, სიტყვას აღარ დავძრავთ.

პალგერდმა თქვა:

— კარგად ვუწყი, რომ ღირსეული ხალსი სარო. ისიც ვიცი, ეს ქორწინება პირველზე უკეთესი იქნება, მაგრამ მინდა გავიგო, რაზე ილაპარაკეთ და რაზე მორიგდით. ისე, როგორც ვამჩნევ, შეგიყვარებ კიდეც, თუ ერთმანეთს შევეწყვეთ.

გლუმმა უამბო, რაზეც ილაპარაკეს და არაფერი დაუმალავს. მერე პასკულდი და პრუტი დაიმოწმა, ხომ სწორად ვთქვი ყველაფერიო. პასკულდმა დაუდასტურა. მაშინ პალგერდმა თქვა:

— მამაჩემო, შენ და პრუტი ისე კარგად მომექეცით ამ საქმეში, რომ თქვენს რჩევას დავმორჩილდები, და ყველაფერი ისე მოსდება, როგორც თქვენ მოგიგვარებიათ.

მაშინ პრუტმა თქვა:

— მე და პასკულდს ახლა მოწმეების დასასელება გვმართებს, პალგერდი კი თავისით დაინიშნოს, თუ ჩვენი კანონმეტყველი ყველაფერს სწორად და სამართლიანად მიიჩნევს.

— ყველაფერი სწორია და სამართლიანი, — მიუგო თორარინმა.

ამის შემდეგ პალგერდის მზითევი განსაზღვრეს. გლუმს მზითევისთვის ერთი იმდენი კიდევ უნდა დაემატებინა. ისიც გადაწყდა, რომ მთელი ასლად შეძენილი ქონება თანაბრად გაეყოთ ერთმანეთში. ამის შემდეგ გლუმმა პალგერდი დანიშნა და თავის სალსიანად შინ დაბრუნდა. ქორწილი პასკულდის სასლში უნდა გადაესადათსრული სიმშვიდე სუფევდა, ვიდრე ხალსი ქორწილში დაიძრებოდა.

14

გლუმი და თორარინი ღირსეული ხალსის თანსლებით გაემართნენ დასავლეთის ველებისაკენ. პასკულდსტადირში მისულებს ბევრი სალსი დაუსვდათ. პასკულდი და პრუტი თავისიანებთან ერთად ერთ სკამზე დასსდნენ, სიძე — მეორეზე. პალგერდი ქალთა სკამზე იჯდა, ტურფა და მორთულ-მოკაზმული. თიოსტოლვი მსარზენა-

ჯასგადებული მიდი-მოდიოდა და უტიფრად იქცეოდა, მაგრამ არავინ იმჩნევდა. ქორწილი რომ მოთავდა, პალგერდი გლუმსა და მის ძმებს გაპყვა სამსრეთში. როცა შინ, ვარმალეკში მივიდნენ, თორარინმა პალგერდს უთხრა, თუ გინდა, დიასასლისობა შენ ითავეო.

— არა, არ მინდა, — მიუგო პალგერდმა.

პალგერდი მთელი ზამთარი დინჯად ირჯებოდა და ყველა დიდად ემადლიერებოდა.

ერთსელ, გასაფსულზე, ძმებმა ლაპარაკი ჩამოაგდეს სასლის მოვლაზე და თორარინმა თქვა:

— მე თქვენ ჩემს სახლ-კარს დაგითმობთ ვარმალეკში, აქ უფრო კარგად იქნებით, მე კი სამსრეთისკენ წავალ, ლაუგარნესში, და იქ მივყოფ სელს მეურნეობას. ენგეის კუნძული კი საერთო გვექნება.

გლუმი დაპყაბულდა. ამგვარად, თორარინი სამსრეთში გადასასლდა, გლუმი და მისი ცოლი კი იქვე დარჩნენ.

პალგერდმა გარშემოიკრიბა შინაურები. სელგაშლილი ცხოვრება უყვარდა და მოსასვეჭელსაც სარბად სვეტდა. ზაფსულში გოგო დაბადა. გლუმმა ჰკითხა, რა დავარქვათო.

— თორგერდი უნდა დავარქვათ, მამაჩემის დედის სახელი. ბებიაჩემი ხომ თვით სიგურდ გველისმკვლელის ჩამომავალი იყო მამის მხრივ.

გოგონას წყალი მოასხურეს და თორგერდი უწოდეს. როცა წამოიზარდა, დედას დაემგვანა. გლუმი და პალგერდი ერთმანეთს კარგად ეწყობოდნენ. ასე იყო ერთხანს.

ჩრდილოეთიდან, ბიარნარფიორდიდან, ამბავი მოვიდა, სვანი გაზაფსულზე თევზის საჭერად წავიდა, ზღვაზე ქარიშსალი ამოვარდა, მეთევზენი ვეიდილაუსის ფიორდისკენ გაიტაცა და იქ დაღუპო. კალდბაკელი მეთევზეები კი ამტკიცებდნენ, ჩვენი თვალით ვნახეთ, როგორ შევიდა სვანი კალდბაკსპორნის მთაში და იქ კარგად შესვდნენო. ზოგიერთი კი დაობდა, ეგრე არა ყოფილაო. სინამდვილეში ივი არსად უნახავთ, არც მკვდარი და არც ცოცსალი. პალგერდმა რომ ეს შეიტყო, ძალზე დაენანა თავისი ბიძა.

გლუმმა თორარინს შესთავაზა, ჩვენი მიწები გაეცვალოთო, მაგრამ თორარინმა იუარა.

— მაგრამ, — დაუმატა მან, — თუ შენზე მეტ სანს ვიცოცხლე, მინდა ვარმალეკი მე დამრჩეს.

როდესაც გლუმმა ეს პალგერდს უამბო, მან თქვა:

— თორარინს უფლება აქვს ეგ მოგვთხოვოსო.

15

ერთხელ თიოსტოლვმა ჰასკულდის მუშა გალასა და პასკულდმა იგი სასლიდან გააგდო. თიოსტოლვმა ცხენსა და იარაღს მოპკიდა ხელი და პასკულდს უთხრა:

— მე წავალ და შენთან აღარ დაებრუნდები.

— მაგით ყველას გაგვახარებ, — მიუგო პასკულდმა.

თიოსტოლვი ვარმალეკისკენ გაუდგა გზას. პალგერდმა იგი კარგად მიიღო და არც გლუმი დახვედრია ურიგოდ. თიოსტოლვმა პალგერდს უამბო, როგორ გამოაგდო მამამისმა სახლიდან და სთხოვა, შემიფარეო. პალგერდმა უთხრა, გლუმთან მოულაპარაკებლად ვერ ვადავწყვეტო.

— კარგად ეწყობით ერთმანეთს? — ჰკითხა თიოსტოლვმა.

— ძალიან კარგად, — მიუგო პალგერდმა.

შემდეგ იგი გლუმთან მოსალაპარაკებლად წავიდა, კისერზე ხელები შემოაჭდო და უთხრა:

— ერთი სათხოვარი მაქვს და შემისრულებ?

— შეგისრულებ, — მიუგო გლუმმა, — თუ პატიოსნური საქმეა და თავმოყვარეობას არ შემილახავს; მაინც რასა მთხოვ?

პალგერდმა უთხრა:

— თიოსტოლვი სახლიდან გამოუგდიათ და მინდა ნება დართო, ჩვენთან დაბინავდეს, მაგრამ თუ ჭკუაში არ გიჯდება ეს ამბავი, არ აგიხირდები.

გლუმმა თქვა:

— რაკი ეგრე დამჯერე ხარ, ნებას გაძლევ. მაგრამ გაფრთხილებ, თუ რამე უდიერს ჩაიდენს, მაშინვე აიბარგოს აქედან.

პალგერდმა თიოსტოლვს მიაშურა და ყველაფერი უამბო. მან მიუგო:

— ყოჩაღ, მეც სწორედ მაგის იმედი მქონდა.

ამის შემდეგ თიოსტოლვი იქ დასახლდა. ერთსანს წყნარად იყო, მაგრამ მალე ყველაფერი ძველებურად დატრიალდა და სალსს მოსვენებას არ აძლევდა. ხან ერთს შეუჩნდებოდა, ხან მეორეს, გარდა

პალგერდისა. პალგერდი მას არასოდეს გამოსარჩლებია სხვასთან კინკლაობაში. ერთხელ თორარინმა გლუმს უსაყვედურა, თიოსტოლვი რად შეისიზნეო, და დაუმატა, ოდესმე ეგ ყველაფერი ისევე ცუდად დამთავრდება, როგორც ადრე მოხდაო. გლუმი დაეთანხმა, მაგრამ არაფერი უღონია.

16

ერთხელ, შემოდგომაზე, როდესაც საქონელს საზაფხულო საძოვრებიდან მიერეკებოდნენ, გლუმს საოვალავში ცხვარი ბლომად დააკლდა. მაშინ თიოსტოლვს უთხრა:

— ადი მთაზე ჩემს მუშებთან ერთად და ნახე, იქნება იქ იყოს ცხვარი.

— ეგ ჩემი საქმე არ არის, — მიუგო თიოსტოლვმა, — ისღა მაკლია, შენს ყმებს ვდიო. წამოდი და მეც წამოვალ.

ერთმანეთს წაეკიდნენ. კარგი ღარი იდგა და პალგერდი ეზოში იჯდა. გლუმი მასთან მივიდა და უთხრა:

— მე და თიოსტოლვი წავიჩხუბეთ და ჩვენი ერთად ყოფნა აღარ შეიძლება, — და ყველაფერი უამბო, რაც მოხდა.

პალგერდი თიოსტოლვს გამოექომაგა და ცოტას წაკინკლავდნენ. გლუმმა სელი გაპკრა და უთხრა:

— მეტს აღარ გეკამათები, — და ამ სიტყვებით განშორდა.

ჰალგერდს ძალიან უყვარდა გლუმი, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და ატირდა. მაშინ თიოსტოლვი მასთან მივიდა და უთხრა:

— ცუდად მოვექცენ, მაგრამ ეგ აღარ განმეორდება.

— გთხოვ, შურს ნუ იძიებ გლუმზე და ნუ ჩაგვერევი. ჩვენს დაეასთან შენ სელი არა გაქვს.

თიოსტოლვმა უხიაკად ჩაიცინა და წავიდა.

17

გლუმმა ხალხს მოუხმო თან წასაყვანად. თიოსტოლვიც გაემზადა და გაპყვა. ისინი რეიკიარდალის ველს აუყვნენ, ბაუგაგილის სევს გასცდნენ, სამხრეთს მიაშურეს, ტვერფელის მთას მიადგნენ და იქ გაიყვნენ: ერთნი გლუმმა სულუფიალის მთაზე გაგზავნა, სადაც

ისინი ბევრ ცხვარს წააწყდნენ, მეორენი კი სკორადალელთა კუთვნილ საძოვრებზე გაუშვა. ისე მოსდა, რომ გლუმი და თიოსტოლვი მარტონი დარჩნენ. ისინი ტვერფელის მთიდან სამხრეთისკენ დაუყვნენ, სადაც გაველებულ ცხვარს მიაგნეს და ჩრდილოეთის მთისკენ გადარეკეს, მაგრამ ცხვარი მთაში გაექცათ. ერთმანეთის ლანძღვას მოჰყვნენ და თიოსტოლვმა გლუმს უთხრა, შენ მარტო ჰალგერდის მკლავებში კოტრიალი იციო.

მაშინ გლუმმა უთხრა:

— თუ ბტერი გინდა გაიჩინო, კაცს სიკეთე უყავიო. შენი გასალანძღიცა ვარ, შე სასლიდან გამოგდებულო ყმავ?

— მაგასაც გაცოდინებ, თუ ყმა ვარ, — მიუგო თიოსტოლვმა, — შენ კი გასწავლი ჭკუას.

გლუმი გაბრაზდა და დანა მოუქნია, იმან კი ნაჯახი აუკრა და დანა ორი თითის დადებაზე ჩაერჭო ტარში. თიოსტოლვმა მაშინვე ნაჯახი დაჰკრა და მხარში მოასვედრა. გლუმს ბეჭის ძვალი და ლავიწი გაუტყდა და სისხლი ჩაექცა. გლუმმა მარცხენა ხელი ისე მაგრად ჩასჭიდა, რომ ორივენი წაიქცნენ, მაგრამ გლუმმა მისი შეკავება ვეღარ შეძლო, რადგან წამსვე მოკვდა. თიოსტოლვმა ოქროს ბეჭედი წააძრო და გვამს ქვები დააყარა. მერე ვარმალეკისკენ გაემართა. ჰალგერდი ეზოში იჯდა და სისხლში მოსვრილი ნაჯახი დაუნასა. თიოსტოლვმა ბეჭედი მიუგდო.

— რა მოსდა, ან ეგ ნაჯახი რამ გაგისისხლიანა? — ჰკითხა ჰალგერდმა.

— არ ვიცი, როგორ გეამება ეს ამბავი, — მიუგო თიოსტოლვმა, — მაგრამ გლუმი მკვდარია.

— ალბათ შენ მოჰკალი? — ჰკითხა ჰალგერდმა.

— აგრე გასლავს, — უპასუხა თიოსტოლვმა.

ჰალგერდმა გაიცინა და უთხრა:

— შენ, როგორც გატყობ, კაცი ვერაფერს დაგასწრებს.

— ასლა რადას მირჩევ? — ჰკითხა თიოსტოლვმა.

— წადი ბიძაჩემ ჰრუტთან და ის მოგიელის, — მიუგო ქალმა.

— არ ვიცი, კარგ რჩევას მაძლევ თუ არა, — თქვა თიოსტოლვმა, — მაგრამ მაინც დაგიჯერებ.

მან თავისი ცხენი გამოიყვანა და იმავე ღამეს დასავლეთისკენ გაემართა ჰრუტსტადირში. ცხენი სასლთან დააბა, კართან მივიდა,

მაგრად დააბრასუნა და სასლს ჩრდილოეთის მხრიდან მოუარა. პრუტს უკვე ეღვიძა. იგი სწრაფად წამოხტა, ტანზე სამოსელი მოიგდო, ფესები სამლში წაპყო და მასვილს სტაცა სელი. წამოსასსამი მარცსენა მკლავზე დაისვია მსრამდე. გარეთ რომ გამოდიოდა, სასლში ყველას გაეღვიძა. სასლს უკან ბრგე კაცი დაინასა და მისედა, რომ თიოსტოლვი იყო. პრუტმა პკითხა, რა ამბავიაო?

— გლუმი მკვდარია, — თქვა თიოსტოლვმა.

— ვინ ჩაიდინა ეგ საქმე? — პკითხა პრუტმა.

— მე მოვკალი, — მიუგო თიოსტოლვმა.

— აქ რიღასთვის მოსულხარ? — უთხრა პრუტმა.

— პალგერდმა გამომგზავნა შენთან, — უპასუხა თიოსტოლვმა.

— მაშინ ის ამ მკვლელობის მსურველი არ ყოფილა, — თქვა პრუტმა.

და მასვილი მოუქნია. თიოსტოლვმა ეს დაინასა და, ბევრი არ უფიქრია, ნაჯახი მოუღერა. პრუტი განზე გასტა და მარცხენა მკლავი ისე მარჯვედ დაუკრა ნაჯახსზე, რომ ხელიდან გააგდებინა. მერე პრუტმა მარჯვენა სელით მასვილი შემოუქნია და ფეხი მუსლის ზემოთ მოპკვეთა, ასლო მიუსტა და სელით მძლავრად უბიძგა. ამის შემდეგ მასვილი თავში დასცხო და სასიკვდილოდ დაჭრა. თიოსტოლვი პირქვე წაემხო. სასლიდან შინაურები გამოვიდნენ და დაინასეს, რაც მოსდა. პრუტმა უბრძანა გვამი გადაეთრიათ და ქვებით ჩაექოლათ. ამის შემდეგ პრუტი პასკულდთან გაემართა და უამბო გლუმისა და თიოსტოლვის მოკვლის ამბავი. პასკულდი შეწუხდა გლუმის მოკვლის გამო და მადლობა გადაუხადა ძმას თიოსტოლვის მოკვლისათვის.

მალე ამის შემდეგ თორარინმა, რაგის ძმამ, თავისი ძმის, გლუმის მოკვლის ამბავი შეიტყო. იგი თერთმეტი კაცით დასავლეთისკენ გაემართა და პასკულდსტადირს მიაშურა. პასკულდი მას გულღიად შეეგება და ღამე გაათევინა, თან კაცი აფრინა პრუტთან და დაიბარა. პრუტი მაშინვე მოვიდა. მეორე დღეს დიდხანს მსჯელობღნენ გლუმის სიკვდილზე.

თორარინმა თქვა:

— იქნებ მოგეცა საზღაური, თორემ ძმის სიკვდილი ჩემოვის დიდი დანაკარგია.

პასკულდმა მიუგო:

— მე არ მომიკლავს შენი ძმა და ჩემს ასულსაც ბრალი არ მიუძღვის მის მკვლელობაში, პრუტმა კი, როცა ეს შეიტყო, მოკლა თიოსტოლვი.

თორარინს პასუხი არ გაუცია; ატყობდა, რომ საქმე კარგად ვერ მისდიოდა.

მაშინ პრუტმა თქვა:

— ვცეთ პატივი. ძმის დაკარგვა მისთვის მართლაც მძიმე დანაკლისია და დამსასურებად ჩაგვეთვლება, თუ საჩუქარს მივართმევთ. მაშინ იგი სამუდამოდ ჩვენი მეგობარი იქნება.

ასეც მოიქცნენ. ორივე ძმამ საჩუქარი მიართვა და თორარინი შინ დაბრუნდა, სამსრეთში. გაზაფხულზე ჰალგერდს კარ-მიდამო გაუცვალა და ჰალგერდი სამსრეთში გადავიდა, თორარინი კი — ვარმალეკში. და ამის შემდეგ თორარინი აღარ იქნება ნასსენები ამ საგაში.

18

ახლა ის უნდა ვთქვათ, რომ ჭიანურა მორდი ავად გასდა და გარდაიცვალა, რამაც ყველას გული დასწყვიტა. მთელი მემკვიდრეობა მისი ასულის, უნის ხელში გადავიდა. ამ დროს იგი ჯერ არ იყო მეორედ გათხოვილი. უნს ხელგამლილი ცხოვრება უყვარდა და თავისქონებაზე სრულიადაც არ ზრუნავდა. მთელი თავისი ავლა-დიდება ისე გაანიავა, რომ აღარაფერი დარჩა მიწისა და ძვირფასეულობის გარდა.

19

ერთ კაცს გუნარი ერქვა. იგი უნს ენათესაეებოდა. დედამისს რანვეიგს ეძახდნენ. იგი იმ სიგფუსის, სიგვატ წითურის ძის ასული იყო, სანდპოლის გადასასვლელთან რომ მოკლეს. გუნარის მამას ჰამუნდი ერქვა. იგი ძე იყო გუნარისა, რომლის სახელიც გუნარსპოლტის კარმიდამოს ეწოდა, პაპას კი ბაუგი ერქვა. ჰამუნდის დედას პრავნპილდს უწოდებდნენ. იგი სტოროლვის ასული და ლოქოს შვილიშვილი იყო. სტოროლვი ძმა იყო პრავნ კანონთმეტყველისა. სტოროლვის ძე იყო ორმ მძლავრი.

გუნარ ჰამუნდის ძე ცხოვრობდა ჰლიდარენდზე ფლიოტსპლიდ-

ში. იგი ასოვანი, ძლიერი და ბრძოლაში გამობრძმედილი კაცი იყო. მასვილს ორივე ხელით სცემდა და იმავე დროს შუბსაც სტყორცნიდა, თუ სწადდა. ისე სწრაფად იქნევდა მასვილს, რომ კაცს ეგონებოდა, პაერში სამი მასვილი ტრიალებსო. ვერავინ შეედრებოდა მშვილდ-ისრის ხმარებაში. მიზანს არასოდეს აცდენდა. მთლად იარაღში ჩამჯდარი თავის თავზე მაღლა ხტებოდა და უკან გადასტო�აც ისევე კარგად შეეძლო, როგორც წინ. ხელაპიკით ცურავდა. ვერც ერთ თამაშობაში ვერავინ ვერ გაეჯიბრებოდა. მასზე ამბობdნენ, სიმარდეში ვერავინ სჯობდაო. შესახედავადაც მშვენიერი ვაჟკაცი იყო. სახის კანი თეთრი, ცხვირი სწორი, ოდნავ პაჭუა, თვალები ლურჯი და მკვეთრი, ლოყები შეფაკლული, თმა გრუზა და ლამაზი ფერისა ჰქონდა. ყველაზე უკეთ იცოდა, როგორ მოქცეულიყო სალხთან. იყო ამტანი, გულუხვი და თავდაჭერილი, მეგობარს უერთგულებდა და მათ შერჩევაშიც ძალზე თავშეკავებული იყო. შეძლებაც დიდი ჰქონდა.

მის ერთ ძმათაგანს კოლსკეგი ერქვა. იგი წარმოსადეგი, ღონიერი, კეთილშობილი და უშიშარი კაცი იყო. გუნარის მეორე ძმას ჰიარტს ეძახდნენ. იგი ჯერ კიდევ ბალღი იყო. გუნარის ძმა, ქორწინების გარეშე ნაშობი, იყო ორმ ტყისპირელა, მაგრამ მასზე ამ საგაში საუბარი არ იქნება. გუნარს ჰყავდა და, სასელად არნგუდი. მისი ქმარი იყო ჰროარი, ტუნგელი ვოდი, ძე უნ უშობელისა და შვილიშვილი გარდარისა, რომელმაც ისლანდია აღმოაჩინა. არნგუდს ჰყავდა შვილი, ჰამუნდ კოჭლი, რომლის კარმიდამოსაც ჰამუნდსტადირს ეძახდნენ.

20

ერთ კაცს ნიალი ერქვა. მისი მამა იყო თორგეირ გოლნირი, თორლეის ძე. ნიალის დედას ასგერდს უსმობდნენ. იგი ასულ იყო ჰერსირ ასკელ მუნჯისა. ასგერდი ისლანდიაში ჩამოვიდა და მდინარე მარკარფლიოტის აღმოსავლეთით დასასლდა, ალდუსტეინსა და სელიალანდსმულს შორის. მას კიდევ ჰყავდა ძე, სახელად თორირ ჰოლტელი. იგი იყო მამა თორლეივ ყორანისა, რომლისგანაც წარმოიშვნენ სკოგარელნი, თორგრიმ ვეებასი და სკორარგეირის შთამომავალნი.

ნიალი ცხოვრობდა ბერგთორსპვალში, ლანდეიარში. მის მეორე კარმიდამის თოროლუსფელი ეწოდებოდა. ნიალი შეძლებული და წარმოსადეგი კაცი იყო, მაგრამ წვერი არ ამოსდიოდა. კანონების ცოდნაში ბადალი არა პყავდა. ბრძენი და შორსმჭვრეტელი იყო და კარგი მრჩეველიც. ეს კეთილშობილი, თავაზიანი და ღირსეული კაცი არავის უარს არ ეუბნებოდა დასმარებაზე.

მის ცოლს ბერგთორას უსმობდნენ. იგი სკარპედინის ასული იყო. ბერგთორა საუცხოო დიასახლისი, კეთილშობილი, მაგრამ ცოტა მკაცრი ქალი იყო. მას და ნიალს ექვსი შვილი პყავდათ — სამი ასული და სამი ძე. ამ საგაში ყველა მათვანზე გვექნება ლაპარაკი.

21

ასლა ისიც უნდა ითქვას, რომ, როდესაც უნმა მთელი თავისი ქონება გაანიავა, პლიდარენდში გაემართა გუნართან. გუნარმა კარგად მიიღო თავისი ნათესავი; უნი ღამის გასათევად დარჩა. მეორე დღეს ორივენი ერთად ისხდნენ და საუბრობდნენ. დიდსანს იმასლაათეს, ვიდრე უნმა არ უთხრა, ფული მიჭირსო.

— ცუდი ამბავია, — თქვა გუნარმა.

— რითი დამესმარები, რომ ამ გასაჭირიდან ამოვიდე? — პკითხა უნმა.

გუნარმა მიუგო:

— ჩემს მოვალეებს გამოართვი, რამდენიც გჭირდება.

— არ მინდა შენი ფული ვსარჯო, — თქვა უნმა.

— მაშ რა გინდა? — პკითხა გუნარმა.

— მინდა, ჩემი ქონება დაიბრუნო პრუტისაგან, — თქვა უნმა.

— მაგის იმედი არა მაქვს, — მიუგო გუნარმა, — მამაშენი კანონების დიდი მცოდნე იყო, მაგრამ იმანაც ვერ შეძლო მისი დაბრუნება. მე კი მაგ საქმისა არაფერი გამეგება.

უნმა უთხრა:

— პრუტმა ძალით გაიტანა თავისი და არა კანონით. მამაჩემი მოხუცი იყო და სალსმა ურჩია ხელი აეღო პრუტთან შებრძოლებაზე. მე სხვა არავინ მყავს შენს გარდა, რომ ამ საქმეში გამომეხარჩლოს.

— კი ვითავებდი მაგ საქმეს, — თქვა გუნარმა, — მაგრამ რომ არ ვიცი, როგორ მივუდგე?

უნმა უთხრა:

— წადი ბერგთორსპვალში, ნიალთან. ის მოიფიქრებს რამეს. აკი შენი კარგი მეგობარია.

— აგრე იყოს, — მიუგო გუნარმა,—ის მართლაც არასოდეს იშურებს კეთილ რჩევას.

ლაპარაკი იმით დაამთავრეს, რომ გუნარი შეპირდა დავის წამოწყებას, უნს ფული მისცა, რამდენიც სჭირდებოდა, და ისიც შინისაკენ გაემართა. გუნარი კი ნიალისკენ გაემგზავრა. ნიალი მას კარგად შესვდა. მაშინვე მასლაათი გააბეს.

გუნარმა თქვა:

— შენთან რჩევის საკითხავად მოვედი.

ნიალმა მიუგო:

— მე ბევრ მეგობარს დავხმარებივარ რჩევით, შენთვის კი განსაკუთრებით ვეცდები.

გუნარმა უთხრა:

— მინდა გაუწყო, რომ უნის საქმეს უნდა წარვუძღვე პრუტის წინააღმდეგ.

— ძნელი საქმეა, — მიუგო ნიალმა, — და შეიძლება ცუდადაც დამთავრდეს. მაინც მოგცემ ერთ კარგ რჩევას. ყველაფერი კეთილად დამთავრდება, თუ ყოველთვის შეასრულებ, რასაც გირჩევ, მაგრამ თუ ოდნავ მაინც გადაუხვევ, შეიძლება შენი სიცოცხლე საფრთხეში აღმოჩნდეს.

— ნუ გეშინია, — თქვა გუნარმა, — ყველაფერს ზუსტად შევასრულებ.

ნიალმა მცირე ხანს იყუჩა და შემდეგ თქვა:

22

—მე უკვე ყველაფერი მოვიფიქრე. აი, რას გირჩევ: სასლიდან ორი თანამგზავრის თანხლებით უნდა გამოხვიდე. ტანთ წამოსასხამი გესუროს, მის ქვეშ კი ყავისფერწინწკლებიანი მატყლის სამოსელი გეცვას. მის ქვეშ კიდევ კარგი ტანსაცმელი ჩაიცვი. ხელში ნაჯახი გეჭიროს. თან ორ-ორი ცხენი წაიყვანეთ — ერთი კარგი, მეორე

კი — ჯაგლაგი. თან უნდა წაიღოთ აგრეთვე სამჭედლო საგნები. გზას დილაადრიან გაუდექით და როგორც კი დასავლეთით მდინარე პვიტაზე გადასვალთ, სასეზე წამოსასხამი აიფარე. ეს სალხს ცნობისმოყვარეობას აღუძრავს და იკითხავენ, ვინ არის ეს ზორბა კაციო. შენმა თანამგზავრებმა უთხრან, ეიაფიორდელი მეწვრილმანე ჰედინია-თქო. ეს ერთი ანჩსლი, ბაქია კაცია და ყველაფრის მცოდნედ მოაქვს თავი. წამდაუწუმ სიტყვას ტესს და მაინც სულ სხვებზე იწევს, თუ ისე არ გაუკეთეს რამე, როგორც მას ნებავს. შენ ბორგარფიორდში უნდა მისვიდე, ყველგან შენი სამჭედლო საგნების გასაღება სცადო, ივაჭრო და სშირად დაარღვიო პირობა. მაშინ სმა გავარდება — მეწვრილმანე ჰედინი ცუდი კაცი ყოფილაო და მართალიც იქნება. ჯერ ნორდრარდალის ველს მიმართე, მერე პრუტაფიორდს, და ლაქსდალის ველს, ბოლოს კი ჰასკულდსტადირში მისვალ. იქ გაჩერდი და მთელ ღამეს კართან იჯექ, თავჩაღუნული. ჰასკულდი, რასაკვირველია, ყველა თავისიანს გააფრთხილებს, საქმე არ დაიჭირონ მეწვრილმანე ჰედინთან, რადგან ცუდი კაცი ყოფილაო. დილას იქიდან მეზობელ კარ-მიდამოს მიაშურე. იქ შენი საქონელი შესთავაზე, ზემოდან გელაგოს, რაც კი რამ ცუდი გაქვს, მაგრამ შენ მაინც აქე. სახლის პატრონი, ცხადია, საქონლის თვალიერებას მოპყვება და ნაკლს მოუძებნის, შენ კი სელიდან გამოგლიჯე საქონელი და ლანძღვას მოპყევი. სასლის პატრონი გეტყვის, შენგან სსვა რამ არც იყო მოსალოდნელიო. მაშინ კი შეუტიე, თუმცა ეგ არ გჩვევია, მაგრამ ფრთსილად კი, ღონე მოზომე, რომ არ გიცნონ. მაშინ ვინმეს გაგზავნიან პრუტსტადირში და ჰრუტს შეუთვლიან, რომ თქვენი გაშველებაა საჭირო. ის მაშინვე დაგიბარებს და შენც დაუყოვნებლივ გაემართე მასთან. ადგილს მოგიჩენენ იმ საპატიო სკამის პირდაპირ, რომელზედაც პრუტი იჯდება. შენ მიესალმე და ისიც თავაზიანად მიგიღებს. გკითხავს, ჩრდილოეთიდან ხომ არა სარო, შენ კი უპასუხე, ეიაფიორდიდან ვარ-თქო. ის გკითხავს, ბევრია თქვენთან სასელოვანი ხალხიო? იქ ბევრი უგვანობაა-თქო, ეტყვი შენ. ის გკითხავს, რეიკიარდალის ველელ სალსს თუ იცნობო, შენ უთხარი, მთელ ისლანდიას ვიცნობ-თქო. ის გკითხავს, კიდევ არიან ვაჟკაცები რეიკიარდალშიო, შენ კი მიუგე, ყველა ქურდი და გაოხრებულია-თქო. ჰრუტი ამაზე გაიცინებს. მოპყვებით საუბარს აღმოსავლეთ ფიორდების მცხოვრებლებზე და შენ

ყველა აუგად მოიხსენიე. ბოლოს ლაპარაკი რანგისპირელებზე ჩამოგივარდებათ. უთხარი, იქ აღარავინ დარჩენილა მორდ ჭიანურას სიკვდილის შემდეგ-თქო. პრუტი გკითხავს, რატომ გგონია, რომ ჭიანურა მორდის მერე იქ აღარავინ დარჩენილაო. ამაზე შენ უპასუხებ, რომ იგი ისეთი ბრძენი იყო და ისე მარჯვედ წარმართავდა დავას, ერთსელაც არ შეუბღალავს თავისი სასელი-თქო. პრუტი გკითხავს, გსმენია თუ არა, რა საქმე მქონდა მასთანო. შენ ეტყვი, მე ვიცი, რომ ცოლი დაგაკარგვინა და ხელცარიელი დაგტოვა-თქო. მაშინ პრუტი გეტყვის, განა მის ზარალად არ მიგაჩნია, რომ ვერ დაიბრუნა ქონება, რომლისთვისაც დავა ატესაო. შენ უთხარი, მაგაზე კარგ პასუხს გაგცემ-თქო. შენ იგი ორთაბრძოლაში კი გაიწვიე, მაგრამ ის მოსუცი იყო და მეგობრებმა ურჩიეს არ გამოგყოლოდა ბრძოლაში და საქმეც მაგით გათავდა-თქო. გამოწვევით კი გამოვიწვიეო, გეტყვის პრუტი, და ბრიყვებსაც ეს კანონიერი ეჩვენათო, მაგრამ სომ შეეძლო განეასლებინა დავა სხვა თინგზე, თუ გული ერჩოდაო. ვიცი-თქო, ეტყვი შენ. მაშინ ის გკითხავს, გაგეგება კი რამე კანონებისაო? შენ კი ეტყვი, ჩვენთან, ჩრდილოეთში, კანონების მცოდნედ ვითვლებოდი-თქო. მაგრამ მითხარი, როგორ უნდა განვაასლო დავა-თქო. პრუტი გკითხავს, რომელ დავას გულისსმობო. იმ დავას, რომელთანაც მე არაფერი მესაქმება-თქო, ეტყვი შენ, უნის დავას მზითევზე-თქო. პრუტი გეტყვის, სამსჯავროზე ისე უნდა გამომიძახო, რომ მე გავიგონო, ან ჩემს სახლში უნდა გამომიწვიოო. აბა, ერთი გამომიწვიე-თქო, ეტყვი შენ, და მეც შენს შემდეგ გავიმეორებ-თქო. მაშინ პრუტი მოპყვება გამოწვევას, და შენ კი ყურადღებით უსმინე, რასაც იტყვის. მერე გეტყვის, გაიმეორე გამოწვევაო. შენ დაიწყებ გამეორებას, მაგრამ შეცდომები დაუშვი, ისე, რომ ერთი სიტყვაც არ იყოს სწორი. მაშინ პრუტი სიცილს დაგაყრის და ეჭვსაც ვერ აიღებს, გეტყვის, შენი გამოწვევა არ არის სწორიო. შენ ყველაფერი შენს თანამგზავრებს დააბრალე, თითქოს იმათ შეგაშლევინეს. შემდეგ სთხოვე პრუტს, თავიდან დაიწყოს და ნება დაგრთოს, რომ ყველაფერი სიტყვასიტყვით გაიმეორო. ის ნებას დაგრთავს და კვლავ შეუდგება სამსჯავროზე გამოწვევას. ამჯერად კი შენ გამოწვევა ზუსტად უნდა გაიმეორო. შემდეგ პკითხე პრუტს, სწორად თუ წარმოთქვი გამოწვევა. ის გეტყვის, ამას მაინც აზრი არა აქვსო. მაშინ სმამაღლა განაცხადე, ისე, რომ შენმა თანამ-

გზავრებმა გაიგონონ: მე გიწვევ შენ სამსჯავროზე უნის, მორდის ასულის დავალებით-თქო. მერე კი, როდესაც ხალხი დაიძინებს, ჩუმად აიღეთ ცხენების მოსართავი და სახლიდან გამოდით. უნაგირები მიიტანეთ საძოვარზე კარგ ცხენებთან და წადით ამ ცხენებით, ჯაგლაგები კი დატოვეთ. ჯერ მთებში წადით, საძოვრებზე, სამი ღამე დაპყავით იქ, რამდენსაც დაახლოებით თქვენს ძებნას მოუნდებიან. შემდეგ შინისაკენ გაემართეთ, სამხრეთისაკენ და იარეთ მარტო ღამ-ღამობით, დღე კი გამოიძინეთ. თინგზე კი მე და შენ ერთად წავალთ და მე მხარს დაგიჭერ დავაში.

გუნარმა მადლობა გადაუხადა და შინისკენ გაემართა.

23

ორმა ღამემ განვლო, გუნარი სახლიდან გავიდა და თან ორი კაცი იახლა. რამდენიმე ხნის შემდეგ ისინი ბლასკოგაპეიდის ველზე მივიდნენ. აქ ვიღაც მსედრებს გადაეყარნენ, რომლებმაც იკითხეს, ვინ არის ეგ ზორბა კაცი, სახე რომ არ მოუჩანსო. თანამგზავრებმა მიუგეს, მეწვრილმანე პედინიაო. მაშინ იმათ თქვეს, მაგაზე უარესს ვიღას შევხვდებითო, პედინმა კი თავი ისე მოაჩვენა, თითქოს მათ უნდა მივარდნოდა, და ისინიც თავიანთ გზას გაუყვნენ.

გუნარი ყველაფერს ისე აკეთებდა, როგორც ნიალმა დაარიგა. ჰასკულდსტადირში ღამე გაათია, იქიდან კი ველზე დაეშვა და იარა, ვიდრე პრუტსტადირის უახლოეს კარმიდამოსთან არ მივიდა. აქ მან თავისი სამჭედლო საგნების გასაღებას მიპყო ხელი და სამი ნივთი გაყიდა. სახლის პატრონმა საქონელს ნაკლი უპოვა და გამყიდველს თაღლითობა დასწამა. პედინი მაშინვე მივარდა და გინება დაუწყო. შეატყობინეს პრუტს. პრუტმა პედინი თავისთან დაიბარა და ისიც მასთან გაეშურა. იქ კარგად დაუხვდნენ. პრუტმა იგი თავის პირდაპირ დასვა. ლაპარაკი დაახლოებით ისე აეწყო, როგორც ნიალმა იწინასწარმეტყველა. მერე პრუტმა თქვა, როგორ უნდა განასლებულიყო დავა და წარმოეთქვათ სამსჯავროზე გამოწვევის სიტყვები, პედინმაც გაიმეორა, მაგრამ ყველაფერი აურია. პრუტს სიცილი აუტყდა და არაფერზე ეჭვი არ აუღია. მაშინ პედინმა სთხოვა პრუტს, ერთხელ კიდევ ვაემეორებინა გამოწვევა. პრუტი დათანხმდა. ამჯერად პედინმა ზუსტად გაიმეორა მისი ნათქვამი და თავი-

სი თანამგზავრები დაიმოწმა. მან პრუტი სამსჯავროზე გამოიწვია უნის, მორდის ასულის დავალებით. საღამოს სხვებთან ერთად დასაძინებლად წავიდნენ, მაგრამ როგორც კი პრუტს დაეძინა, მათ აიღეს თავიანთი ტანსაცმელი და იარაღი, სახლიდან გამოვიდნენ და ცხენებს მიაშურეს. მდინარე გადალახეს, აუყვნენ ნაპირს, რომელზედაც ჰიარდარპოლტი დგას, მინდვრის ბოლოში გავიდნენ და მთებში გაჩერდნენ, ჰაუკარდალსკარდის უღელტეხილთან. აქ მათ ვერავინ მიაგნებდა, თუ შემთხვევით ზედ არ გადააწყდებოდნენ.

პასკულდს იმ ღამეს გამოეღვიძა პასკულდსტადირში, ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე შუაღამე მოაწევდა, და თავისი სახლეულნი გააღვიძა.

— ჩემი სიზმარი უნდა გიამბოთ, — თქვა მან, — მეზმანა, ვითომ სახლიდან დათვი გამოვიდა და თან ისე დიდი, რომ მივსვდი, იმის მსგავსს ვერსად შევსვდებოდი. უკან მორჩილად ორი ქოფაკი ასდევნებოდა. დათვი პრუტსტადირისკენ გაემართა და შიგ შევიდა. ამ დროს გამომეღვიძა. ახლა თქვენ უნდა გკითხოთ, ხომ არ შეგინიშნავთ რაიმე იმ ბრგე კაცისთვის, აქ რომ იყო.

ერთმა ჯალაბთაგანმა თქვა:

— მე მას სახელოს შიგნით ოქროს ფოჩი და წითელი ქსოვილი დავუნახე. მარჯვენა ხელზე კი ოქროს სამაჯური ეკეთა.

პასკულდმა თქვა:

— ახლაღა მივსვდი, ეგ გუნარ პლიდარენდელის ორეული სულია. პრუტსტადირში უნდა წავიდეთ.

ასეც მოიქცნენ. პრუტი ჯერ კიდევ თავის პატარა ოთახში იწვა და იკითხა, ვინ მოვიდაო. პასკულდმა უთხრა, ვინც იყო და ჰკითხა, უცხო სტუმარი თუ გყავსო სახლში. პრუტმა მიუგო:

— მეწვრილმანე ჰედინია აქ.

პასკულდმა თქვა:

— ეგ უფრო დიდი ვინმე გახლავს, ჩემი აზრით, ალბათ, პლიდარენდელი გუნარია.

— მაშინ მოვუტყუებივარ და ეგ არის, — თქვა პრუტმა.

— რა მოხდა? — ეკითხება პასკულდი.

— მე ვასწავლე, როგორ უნდა განაასლოს უნის დავა და მე თვით გამოვიწვიე ჩემი თავი სამსჯავროზე, ის კი სიტყვასიტყვით იმეო-

რებდა ყველაფერს. ახლა ამით ისარგებლებს, რომ დავა წამოიწყოს და უფლებაც ექნება.

— გაუცურებისარ, — უთხრა პასკულდმა, — ეგ თვით გუნარის მოგონილი არ იქნება. ალბათ ყველაფერი ნიალმა ასწავლა. აკი მისებრ ჭკვიანი არავინ არის.

პედინს ძებნა დაუწყეს, მაგრამ ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ველარ გაიგეს. მაშინ სალსი შეკრიბეს, სამ დღეს ეძებეს და ვერ იპოვეს. გუნარი სამხრეთისკენ გაემართა, პაუკადალის ველი გადაჭრა და აღმოსავლეთისკენ წავიდა, უღელტეხილი გადაიარა, იქიდან ჩრდილოეთისკენ, პოლტავარდუპეიდს მიმართა და, ბოლოს, შინ დაბრუნდა.

24

გუნარი ალთინგზე წავიდა. პრუტი და პასკულდიც თინგზე გაემართნენ და თან ბლომად სალსიც იასლეს. გუნარმა დავა წამოიწყო და მოუხმო მეზობლებს, რომლებსაც უნდა ემოწმათ. პრუტმა და მისმა სალსმა დააპირეს ძალით შეეშალათ სელი, მაგრამ ვერ გაბედეს. მაშინ გუნარმა ბრეიდაფიორდელთა სამსჯავროს მიმართა და პრუტს წინადადება მისცა, მოესმინა მისი ფიცი, რომ იგი პატიოსნად წარმართავდა საქმეს, ამასთანავე მოესმინა მისი სარჩელი და ყველა საბუთი. ამის შემდეგ ფიცი წარმოთქვა, თავისი სარჩელი განმარტა და მოწმეებს სთხოვა, დაედასტურებინათ, რომ სამსჯავროზე გამოწვევა სწორი იყო. იმ დროს ნიალი იქ არ ყოფილა. ბოლოს გუნარმა მოპასუხეს შესთავაზა, თავი დაეცვა. პრუტმა დაასახელა თავისი მოწმეები და დავა უსაფუძვლოდ გამოაცხადა.

— გუნარს, — თქვა მან, — მხედველობიდან გამორჩა სამი დამოწმება, რომლებიც სამსჯავრომ უნდა მოისმინოს. პირველი — მეუღლეთა სარეცელთან გამოცხადება, მეორე — სასლის კართან გამოცხადება და მესამე — კანონის კლდესთან გამოცხადება.

ამ დროს სამსჯავროზე ნიალი გამოჩნდა და თქვა, საქმეს კიდევ ეშველება, თუ ორივე მსარე დავის გაგრძელებას მოისურვებსო.

— ეგ მე არა მსურს, — თქვა გუნარმა, — განზრახული მაქვს პრუტს იგივე შევთავაზო, რაც მან ჩემს ნათესავს მორდს შესთავაზა. საკმაოდ ასლო არიან თუ არა ძმები, პრუტი და პასკულდი, რომ ჩემი სმა გაიგონონ?

— გვესმის, — მიუგო პრუტმა, — რა გნებავს?

გუნარმა თქვა:

— დაე, აქ დამსწრეთ მიმოწმონ, პრუტ, რომ ღღეს, კუნძულზე, აქვე ასლოს, მდინარე ექსარაზე ორთაბრძოლაში გიწვევ. თუკი ჩემთან ბრძოლა არ გსურს, მაშინ ღღესვე მთლიანად უნდა გადაისადაო ფული.

ამის შემდეგ გუნარი თავისი სალხიანად სამსჯავროდან წავიდა. პასკულდი და პრუტიც თავიანთ სადგომებში დაბრუნდნენ და აღარც ბრალდება და აღარც დაცვა ამ საქმეზე აღარ განასლებულა.

სადგომში რომ შევიდა, პრუტმა თქვა:

— ჯერ არ მომსდარა, რომ უარი მეთქვას ორთაბრძოლაზე, თუკი ვინმეს გამოეუწვევივარ.

— გეტყობა, ბრძოლას აპირებ, — უთხრა პასკულდმა, — მაგრამ დამიჯერე, უარი თქვი, რადგან გუნარს თუ შეებრძოლები, ის ღღე დაგადგება, რაც მორღს დაადგებოდა, შენ რომ შეებრძოლებოდა. ისევ აჯობებს, ორივემ გადავუხადოთ გუნარს მთელი საზღაური.

ამის შემდეგ მათ თავიანთ ბონდებს პკითხეს, რა წილს შემოიტანთო, და იმათაც უთხრეს, იმდენს გავიღებთ, რამდენსაც პრუტი ისურვებსო.

— მაშინ გუნარის სადგომისაკენ გავეშუროთ, — თქვა პასკულდმა — და ფული გადავუხადოთ.

გუნარს მოასხენეს, ძმები გეასლნენო. იგი გამოვიდა და კარში ჩადგა. პასკულდმა უთხრა:

— ჩაიბარე ფული.

გუნარმა თქვა:

— გადმოალაგეთ, მზად ვარ მივიღო.

ძმებმა ფული მთლიანად გადაიხადეს. მაშინ პასკულდმა თქვა:

— ნურც გენახოს ხეირი მაგ ფულისაგან, რადგან არ დაგიმსახურებია იგი.

— შემერგება, რადგან სარჩელი სამართლიანი იყო, — თქვა გუნარმა.

პრუტმა მიუგო:

— წაგმწარდება ეგ ფული.

— რას იზამ, რაც მოსასდენია, უნდა მოსდეს, — უპასუხა გუნარმა.

ჰრუტი და ჰასკულდი თავიანთ სადგომში დაბრუნდნენ. ჰასკულ-ლი აღშფოთებული იყო.

— ნუთუ, — თქვა მან, — გუნარმა არ უნდა ზღოს თავისი მზაკ-ვრობა?

— ზღავს კიდეც, — მიუგო ჰრუტმა, — მაგრამ ჩვენთვის ეს არც შურისძიება იქნება და არც სასელს შეგვძენს. ისე კი, მგონია, რომ იგი ჩვენს გვარს დაუმეგობრდება.

ამით მოათავეს ლაპარაკი.

გუნარმა ნიალს ფული უჩვენა.

— გაგიმართლდა, — უთხრა ნიალმა.

— სულ შენი წყალობით, — მიუგო გუნარმა.

ხალხი თინგიდან სახლებში დაიშალა და გუნარს ამ დავამ სახე-ლი მოუსვეჭა. მან უნს მთელი ფული გადასცა და წილის აღება არ ისურვა, ის კი უთხრა, შენ და შენიანები ამას იქით ჩემგან უფრო იქნებით დავალებული, ვიდრე სხვისგანო. აგრეთ, დაეთანხმა უნი.

25

ერთ კაცს ვალგარდი ერქვა, პოვში, მდინარე რანგის პირას ცხოვრობდა. იგი ძე იყო გოდი იარუნდისა, შვილიშვილი პრავნ ბრიყვისა, შვილიშვილის შვილი ვალგარდისა, შვილიშვილის შვი-ლიშვილი ევარისა, ევარი კი იყო ძე ვემუნდ მოუბარისა, შვილიშვი-ლი ვაგარელი თორლვ ცხვირკაუჭასი, შვილიშვილის შვილი თრანდ ბებრისა, შვილიშვილის შვილიშვილი პარალდ მჭრელკბი-ლასი, შვილიშვილის შვილიშვილის შვილი პრორეკ სატყორცნა ბეჭდისა. ჰარალდ მჭრელკბილას დედა იყო აუდი, ასული ივარ მომ-ხვეჭელისა და შვილიშვილი პალვდან მამაცისა. ვალგარდი, მეტსა-ხელად რუსი, იყო ძმა ულვ აურგოდისა, რომლისგანაც წარმოიშვ-ნენ ოდის მკვიდრნი. ულვ აურგოდი იყო მამა სვარტისა, პაპა ლოდ-მუნდისა, პაპისმამა სიგფუსისა და პაპისპაპა სემუნდ ბრძენისა. ვალგარდის ჩამომავალი იყო კოლბეინ უმცროსიც.

ძმები, ულვ აურგოდი და ვალგარდ რუხი, გაემგზავრნენ უნის ხელის სათხოვად. იგი ცოლად გაპყვა ვალგარდს ისე, რომ არც ერ-თი ნათესავისთვის რჩევა არ უკითხავს. ეს ქორწინება არ ესიამოვ-ნათ გუნარსა და ნიალს, აგრეთვე სხვებსაც, რადგან ვალგარდი ცბი-

ერი კაცი იყო და არავის უყვარდა. უნს მისგან ვაუი ეყოლა, რომელსაც მორდი უწოდეს. მასზე ხშირად იქნება საუბარი ამ საგაში. როდესაც იგი წამოიზარდა, თავის ნათესავებს გადაემტერა. ყველაზე მეტად კი გუნარს მტრობდა. დიდი მზაკვარი და ბოროტი კაცი იყო.

ასლა ნიალის შვილები უნდა ვახსენოთ. უფროსს სკარპედინი ერქვა. ეს იყო ვეება, მძლავრი და ბრძოლაში გაწაფული კაცი. სელაპივით ცურავდა და სირბილში ბადალი არ პყავდა. მტკიცე, უშიშარი და ენამწარე, მაგრამ საერთოდ თავშეკავებული იყო. ქერა და ხუჭუჭი თმა პქონდა, ქორის თვალები, სახე ფერმკრთალი, სასის დიდი ნაკვთები, კესიანი ცსვირი, წინგამოწეული ნიკაპი და ოდნავ ულამაზო პირი. ნამდვილი მეომრული შესახედაობა ჰქონდა.

ნიალის მეორე შვილს გრიმი ერქვა. კარგი გარეგნობისა იყო, ხშირი და მუქი თმა ჰქონდა. სკარპედინზე ლამაზი და მასავით მოსული, ღონიერი იყო. ნიალის მესამე ძეს პელგი ერქვა. ისიც მშვენიერი შესახედი იყო. ხშირი თმა ჰქონდა. იგი ღონიერი, ბრძოლაში ნაცადი, ჭკვიანი და თავშეკავებული ჭაბუკი იყო. ნიალის ვაუებს ცოლები არ პყავდათ. ნიალის მეოთხე შვილს ჰასკულდი ერქვა. იგი ნიალს ქორწინების გარეშე შეეძინა. დედამისს ჰროდნიუ ერქვა. იგი იყო ასული ჰასკულდისა და დაი კელდურელი ინგიალდისა.

ნიალმა სკარპედინს ჰკითხა, გსურს თუ არა ქალის შერთვაო. სკარპედინმა სთხოვა მამას, მაგ საქმეს შენ მოუარეო. მაშინ ნიალმა მას თორპილდი გაურიგა, ასული თორლვსფელელი ჰრავნისა, სადაც მან შემდგომში მეორე კარ-მიდამო გაიჩინა. სკარპედინმა თორპილდი შეირთო, მაგრამ საცხოვრებლად მამასთან დარჩა. გრიმს ნიალმა დიუპარბაკელი ასტრიდი გაურიგა. იგი ქვრივი იყო და ძალზე მდიდარი გასლდათ. გრიმმა შეირთო ასტრიდი და ნიალთან დარჩა.

26

ერთ კაცს ასგრიმი ერქვა. იგი იყო ძე ელიდი-გრიმისა, შვილიშვილი ასგრიმისა, შვილიშვილის შვილი ანდოტ ყვავისა. დედამისს იორუნს ეძახდნენ. იგი იყო ასული ტეიტისა და შვილიშვილი მოსფელელი კეთილბიარნ ბებრისა. ტეიტის დედა იყო პელგა, ასული თორდ წეერასი, შვილიშვილი პრაპისა და შვილიშვილის შვილი

ბიარნ სარისფესასი. იორუნის დედა იყო ალოვი, ასული პერსირ ბადვარისა, შვილიშვილი ვიკინგ-კარისა. ასგრიმ ელიდ-იგრიმის ძის ძმას სიგფუსი ერქვა. მისი ასული თორგეირდი დედა იყო სიგ-ფუსისა, სემუნდ ბრძენის მამისა. გაუკი, თრანდილის ძე, ასგრიმის ძმობილი იყო, ძალზე მამაცი და ყველაფერში გაძოცდილი კაცი. ის და ასგრიმი ერთმანეთში ვერ რიგდებოდნენ და ბოლოს და ბო-ლოს ასგრიმმა მოკლა გაუკი. ასგრიმს ორი ძე ჰყავდა და ორივეს თორპალი ერქვა. ორივეზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. გრიმს კი-დევ ერთი ძე ჰყავდა, გრიმი, და ასული თორპალა, ძალზე ლამაზი, ზრდილი და საოცნო ქალიშვილი.

ერთსელ ნიალმა ლაპარაკი გაუბა თავის შვილს პელგის. მან თქვა:

— მე შენთვის საცოლე მყავს მოძებნილი, შვილო, თუ ჩემს რჩე-ულას დაიჯერებ.

— რასაკვირველია, დავიჯერებ, — მიუგო პელგიმ, — ვიცი, რომ კარგი გინდა ჩემთვის და ისიც ვიცი, კარგად ერკვევი ყველაფერში. ვინ მომიძებნე?

— ასგრიმ ელიდი-გრიმის ძის ასულს ეოსოვოთ სელი. მის უკეთესს ვერავის ვიპოვით.

27

რამდენიმე ხნის შემდეგ სამაჭანკლოდ გაუდგნენ გზას. მდინარე თიორსუ გადალახეს და გზა განაგრძეს, ვიდრე ტუნგუში არ ჩავიდ-ნენ. ასგრიმი შინ დაუსვდათ. მან სტუმრები კარგად მიიღო და ღა-მის გასათევად დაიტოვა ისინი. მეორე დღეს ლაპარაკს შეუყვნენ. ნიალმა სოსოვა, თორპალა მისი შვილის, პელგისათვის მიეთხოვე-ბინა. ასგრიმმა თანხმობა განაცხადა, უკეთეს სასიძოს ვერც ვინატ-რებდიო. წვრილმანებზე რომ მოილაპარაკეს, ასგრიმმა თავისი ასუ-ლი პელგიზე დანიშნა და ქორწილის დღეც დათქვეს. ქორწილზე გუნარი და მრავალი სახელოვანი ადამიანი იყო მოწვეული. ქორწი-ლის შემდეგ ნიალმა შესთავაზა, თორპალს, ასგრიმის ერთ-ერთ ვაჟს. აღსაზრდელად ავიყვანო. თორპალი ნიალს გაჰყვა და დიდხანს ცხოვრობდა მასთან. მან ნიალი მშობელ მამაზე მეტად შეიყვარა, სოლო ნიალმა კანონები ისე შეასწავლა, რომ იგი ისლანდიაში კა-ნონთა საუკეთესო მცოდნე გასდა.

28

არნარბელისოსის ყურეში გემი შემოვიდა. გემის მფლობელი ვიკელი პალვარდ თეთრი იყო. იგი პლიდარენდში გაჩერდა და მთელი ზამთარი დაპყო გუნართან. მან სცადა დაეყოლიებინა გუნარი, გემით ზღვაზე გასულიყვნენ. გუნარი პასუხს თავს არიდებდა, თუმცა გამგზავრების წინააღმდეგი არ ყოფილა. გაზაფხულზე კი ბერგთორსპვალში გაემგზავრა და ნიალს პკითსა, მირჩევ თუ არა ზღვაზე გასვლასო.

— ჩემი აზრით, გიჯობს წასვიდე, — უთხრა ნიალმა, — ღირსეულ კაცად მიგიჩნევენ და შეგფერის კიდეც.

— სახლ-კარს მიმისედავ, ვიდრე წასული ვიქნები? — პკითსა გუნარმა, — მინდა, კოლსკეგიც წავიყვანო, შენ კი დედაჩემთან ერთად ჩემს ქონებას მოუვლი.

— მაგით სელს არ შეგაშლევინებ, — მიუგო ნიალმა, — ყველაფერს შეგისრულებ, რასაც მთხოვ.

— მადლობელი ვარ, — უთხრა გუნარმა.

ამის შემდეგ იგი შინისაკენ გაემართა. ნორვეგიელმა კვლავ ლაპარაკი ჩამოუგდო ზღვაზე გასვლის თაობაზე. გუნარმა პკითხა, სხვა ქვეყნებში თუ ხარო ნამყოფი. ნორვეგიელმა უთხრა, ყველგან ვყოფილვარ, რაც კი ნორვეგიასა და გარდარიკის შორის ქვეყნებიაო.

— ბიარმალანდშიც ვყოფილვარ სომალდით, — დაუმატა მან.

— გამომყვები აღმოსავლეთის ზღვებში?—პკითხა გუნარმა.

— რა თქმა უნდა, გამოგყვები, — მიუგო ნორვეგიელმა.

ამის შემდეგ გუნარმა გადაწყვიტა ზღვაზე გასულიყო მასთან ერთად, ნიალმა კი გუნარის სახლ-კარის მოვლა-პატრონობა ითავა.

29

გუნარი ისლანდიიდან თავის ძმასთან, კოლსკეგთან ერთად წავიდა. ისინი ხომალდებით ტუნსბერგში ჩავიდნენ და მთელი ზამთარი იქ გაატარეს. ამ დროს ნორვეგიაში მმართველი შეიცვალა. პარალდ რუსლაბადა და გუნპილდი დაიხოცნენ. ქვეყანას პაკონი, სიგურდის ძე, პაკონის შვილიშვილი, გრიოტგარდის შვილიშვილის შვილი, დაეპატრონა. პაკონის დედას ბერგლიოტი ერქვა. მისი

მშობლები იყვნენ იარლი თორირი და ალოვ წლის მშვენება, ასული პარალდ თმაშვენიერისა. პალვარდმა გუნარს ჰკითხა, ხომ არ გინდა იარლ პაკონს ეწვიოო.

— არა, არ მინდა, — მიუგო გუნარმა, — გყავს საომარი ხომალდები? — ჰკითხა მან შემდეგ.

— ორი, — მიუგო პალვარდმა.

— მაშინ კარგი იქნება, თუ ვიკინგურ ლაშქრობაში გავალთ, — თქვა გუნარმა, — და სალხსაც შევაგროვებთ საამისოდ.

— თანასმა ვარ, — მიუგო პალვარდმა.

ამის შემდეგ ისინი ვიკისკენ გაემართნენ, ორივე ხომალდი გამოიყვანეს და ზღვაზე გასასვლელად გაამზადეს. სალსი იოლად შეაგროვეს, რადგან გუნარის ქება ბევრს სმენოდა.

— რა გზას დაადგები? — ეკითხება გუნარი.

— კუნძულ პისინგს მივაშურებ, ჩემს ნათესავ ალვირთან მივალ.

— რად გჭირდება ალვირი? — ჰკითხა გუნარმა.

— კარგი კაცია, — მიუგო პალვარდმა, — ხელს გაგვიმართავს ლაშქრობაში.

— მაშ, ერთად წავიდეთ, — თქვა გუნარმა.

როგორც კი გაემზადნენ, მაშინვე პისინგის კუნძულისკენ გაუდგნენ გზას. იქ მათ კარგად შესვდნენ. სულ მცირე ხანი დაპყო გუნარმა და უმალ თავი მოაწონა ალვირს. ალვირმა ჰკითხა, საით გაიწევიაო. პალვარდმა უთხრა, გუნარი სალაშქროდ ემზადება სიმდიდრის მოსახვეჭადო.

— უგუნური ნაბიჯია, — თქვა ალვირმა, — ცოტანი სართ.

— მაშინ შენ გაგვიმართე ხელი, — უთხრა პალვარდმა.

— მე ხელს გავუმართავ გუნარს, — მიუგო ალვირმა, — ჩემი ნათესავი კი სარ, მაგრამ მაგისი უფრო მჯერა, ვიდრე შენი.

— რითი დაგვეხმარები? — ჰკითხა პალვარდმა.

— ორ საომარ ხომალდს მოგცემთ, ერთს თორმეტი, მეორეს ცამეტი ნიჩბოსნით.

— ხომალდებზე ვისღა გამოგვაყოლებ? — ჰკითხა ჰალვარდმა.

— ერთზე ჩემს შინაურებს დავსხამ, მეორეზე — ბონდებს. ყური მოვკარ, მდინარეზე სიმშვიდე არ სუფევსო, და არ ვიცი, როგორ მოასერსებთ ზღვაში გასვლას.

— ვინ დათარეშობს? — ჰკითხა ჰალვარდმა.

— ორი ძმა, — უპასუხა ალვირმა, — ერთს ვანდილი ჰქვია, მეორეს — კარლი, გაუტლანდელი სნეულე ბებრის შვილები არიან.

ჰალვარდმა გუნარს უთხრა, ალვირმა ორი ხომალდი მოგვცაო. გუნარს გაუსარდა. გამგზავრების სამზადისს შეუდგნენ და ბოლოს გაეწყვნენ კიდეც. მერე ალვირთან გაემართნენ და მადლობა გადაუსადეს, ალვირმა კი ურჩია, ძმებს ერიდეთო.

30

გუნარი თავისი ხომალდებით მდინარე გაუტელვიდან გამოდიოდა. ის და კოლსკეგი ერთ ხომალდზე იყვნენ, ჰალვარდი კი — მეორეზე. და აპა, წინ ხომალდები დაინახეს. გუნარმა თქვა:

— მზად უნდა ვიყოთ, თუ თავს დაგვესხმიან. თუ არაფერს დაგვიშავებენ, ნურც ჩვენ ვასლებთ სელს.

ასეც მოიქცნენ: თავთავიანთ ხომალდებზე საბრძოლველად გაემზადნენ. იმათ კი ხომალდები განზე გაიყვანეს აქეთ-იქით და შუაში გასასვლელი დატოვეს. გუნარი ხომალდებს შუა მიცურავდა. მაგრამ, როგორც კი გაუსწორდა, ვანდილმა კაუჭს დაავლო სელი, გუნარის ხომალდზე შეაგდო და მოქაჩა. გუნარს კარგი მასვილი ჰქონდა, ალვირის ნაჩუქარი. წამსვე იშიშვლა, მუზარადი არც კი დაუხურავს, თვალის დასამსამებაში ვანდილის ხომალდის კიჩოხე შეხტა და იქვე აჩეხა ერთი მოწინააღმდეგე.

კარლმა თავისი ხომალდით მეორე მხრიდან მოუარა და შუბი ხომალდის განიე სტყორცნა, თან პირდაპირ გუნარს უმიზნებდა, მაგრამ გუნარმა თვალი შეასწრო მისკენ მომქროლავ შუბს, ანაზდად შებრუნდა, მარცხენა სელით სწვდა, უკანვე გასტყორცნა კარლის ხომალდისკენ და ერთი წინ მდგომი მეომარი ძირს დასცა. კოლსკეგი ღუზას დასწვდა და კარლის ხომალდზე გადაისროლა. ღუზის კბილანი ხომალდის ძგიდეს მოხვდა და შეანგრია. ნაპრალში ნახშირივით შავი წყალი შეეარდა და სალხიც მეორე ხომალდზე გადაეშვა.

გუნარი ისევ თავის ხომალდზე გადახტა. ამ დროს თავისი ხომალდით ჰალვარდმაც მოუსწრო და ცხარე ბრძოლა გაჩაღდა. გუნარის სალხმა დაინახა, რომ მათი სელმძღვანელი უშიშარი კაცი იყო და, თავადაც, რაც შეეძლოთ, ცდილობდნენ. გუნარი ხან შუბს

ტყორცნიდა, სან მასვილით ჩესავდა და ბეერს მოუსწრაფა სიცოცხლე. კოლსკეგი მსნედ ედგა მხარში. კარლი თავისი ძმის, ვანდილის სომალდზე ასტა და ძმები იქიდან მთელ დღეს იბრძოდნენ. დღე კოლსკეგმა ცოტა დაისვენა გუნარის სომალდზე. ეს რომ დაინახა, გუნარმა უთხრა:

— ღღეს შენ სსვებს უკეთ ექცევი, ვიდრე საკუთარ თავს. შენი წყალობით იმათ წყურვილი აღარ შეაწუხებთ.

მაშინ კოლსკეგი თაფლით სავსე თუნგს დასწვდა, დაცალა და კვლავ ბრძოლაში ჩაება. ბოლოს ორივე ძმა იმ სომალდზე გადასტა, სადაც ვანდილი და მისი ძმა იყვნენ. კოლსკეგმა ერთი მხრიდან შეუტია, გუნარი მეორე მხრიდან მიპყვა. გუნარს წინ ვანდილი გადაუდგა და მაშინვე მახვილი შემოჰკრა. მასვილი ფარს მოხვდა. გუნარმა უცბად ვანზე გასწია ფარი შიგ ჩაჭედილი მახვილით და ვადაში გადატესა იგი. მაშინ გუნარმა მასვილი შემოიქნია და გეგონებოდათ, პაერში ერთი კი არა, სამი მასვილი ტრიალებსო. ვანდილი მისვდა, რომ სსნა აღარ იყო. გუნარმა მას ორივე ფეხი მოჰკვეთა. ამასობაში კოლსკეგმა კარლი შუბით განგმირა. ძმებმა დიდძალი ნადავლი წამოიღეს.

იქიდან სამხრეთისკენ, დანიისაკენ გაემართნენ, მერე კი აღმოსავლეთში, სმოლანდში ჩავიდნენ. ყველგან იმარჯვებდნენ. შემოდგომაზე უკან არ მობრუნებულან. შემდეგ ზაფხულს რავალში ვიკინგებს შესვდნენ. აღარ დაუყოვნებიათ, მაშინვე ბრძოლა გაუმართეს და სძლიეს კიდეც. ამის შემდეგ აღმოსავლეთისკენ გაუყვნენ, კუნძულ ეისიუსლასკენ. ერთ ხანს ერთ კონცხთან დადგნენ. დაინახეს ვიღაც კაცი, რომელიც ნაპირიდან მათკენ მოდიოდა. გუნარი გადავიდა ნაპირზე და ამ კაცს ლაპარაკი გაუბა. გუნარმა ჰკითხა, რა გქვიაო. ტოვი მქვიაო, უპასუხა მან. რა გსურსო, ჰკითხა გუნარმა.

— შენ გეძებ, — უპასუხა მან, — აქვე, კონცხის უკან, საომარი სომალდები დგანან და მინდა გაგაგებინო მათი პატრონის ვინაობა. ეს სომალდები ორი ძმისაა. ერთ მათგანს პალგრიმი ჰქვია, მეორეს — კოლსკეგი. ორივე მარჯვე მეომარია და იარაღიც ძალზე კარგი აქვთ. პალგრიმს ფართობუნიკიანი შუბი აქვს. შელოცვილია ეს შუბი: არავითარი იარაღით, გარდა ამ შუბისა, მისი მოკვლა არ მოსერხდება. იმ შუბს კიდევ ერთი თვისება აქვს: თუ სასიკვდილოდ უნდა დაეძგეროს ვისმე, წკრიალს იწყებს. ასეთია მისი სასწაულებ-

რიეი ძალა. კოლსკეგს კი მასვილი აქვს, რომლის უკეთესს ვერსად ნახავ. ლაშქარიც თქვენზე ერთნახევარჯერ მეტი პყავთ. ავლა-დიდებაც ბევრი აქვთ ნაპირზე დამალული და ზუსტად ვიცი, სად. ძათ წინ მზვერავი სომალდი გამოუშვეს და თქვენს შესასებ ყველაფერი იციან. ასლა ბრძოლისათვის ემზადებიან და თავდასხმას გიპირებენ, როგორც კი მზად იქნებიან. ორში ერთიღა დაგრჩენიათ: ან ასლავე გაეცალოთ აქაურობას, ან რაც შეიძლება სასწრაფოდ მოემზადოთ საბრძოლველად და თუ გაიმარჯვებთ, მე გაჩვენებთ, სად არის დამალული მათი ქონება.

გუნარმა მას ოქროს ბეჭედი მისცა, თავისიანებთან მიბრუნდა და თქვა, კონცხის მეორე მხარეს საომარი ხომალდები ღგანანო.

— მათ ჩვენზე ყველაფერი სცოდნიათ, — დაუმატა მან, — მაშ, იარაღი ავისსათ და კარგად მოვემზადოთ, რაკი აქ დიდძალი ნადავლის სელში ჩაგდება შეიძლება.

ყველანი საბრძოლო სამზადისს შეუდგნენ. უკვე მზად იყვნენ, როცა დაინახეს მათკენ მომავალი სომალდები. გაჩაღდა ბრძოლა. დიდსანს იბრძოდნენ და ბევრიც დაეცა უსულოდ. გუნარმა ბევრ მეომარს მოუღო ბოლო. პალგრიმი და მისი ძმა გუნარის სომალდზე ასტნენ. გუნარი სწრაფად მიბრუნდა მათკენ. პალგრიმმა შუბი მოუღერა. იქვე, ხომალდის სიგანეზე კოჭი იყო გადებული და გუნარი კოჭს ამოეფარა, თან ფარი იფარა. პალგრიმმა ფარი გაუსვრიტა და შუბი კოჭში ჩაარჭო. გუნარმა მასვილი დაპკრა სელზე და ძვალი დაუმსსვრია. პალგრიმს შუბი სელიდან გაუვარდა. გუნარმა აიტაცა იგი და იქვე გაათავა პალგრიმი. ამის შემდეგ იმ შუბს გუნარი აღარ განშორებია.

სესნიები კი ისევ იბრძოდნენ და გაურკვეველი იყო, რომელი დასძლევდა. მაშინ გუნარი ეცა და სასიკვდილოდ დაჭრა კოლსკეგი. ვიკინგებმა შეწყალება ითხოვეს და გუნარმაც შეიწყნარა მათი თხოვნა. მერმე ბრძანა დაეთვალიერებინათ მოკლულნი და აერთვათ, რაც ზედ ეპადათ. იმათ კი, ვინც შეიწყალა, მისცა სამოსელი და იარაღი და სამშობლოში გაისტუმრა. ისინი სომალდით წავიდნენ, ხოლო მათი სიმდიდრე გუნარმა დაიტოვა. ბრძოლის შემდეგ გუნარს ტოვი ეასლა და ითავა იმ ადგილის ჩვენება, სადაც ვიკინგებს თავიანთი განძი პქონდათ დამალული, თან ისიც დაუმატა, აქ მეტი და უკეთესი სიმდიდრეა, ვიდრე ბრძოლის შემდეგ დაგრჩათო.

გუნარი ტოვისთან ერთად ნაპირზე გადავიდა და თან გაპყვა ტყეში. მივიდნენ ერთ ადგილზე, სადაც მოჭრილი სეები აესორხლათ. ტოვიმ თქვა, განძი ამ სეების ქვეშ არისო ჩამალული. სეები გადაათრიეს და ისილეს ოქრო და ვერცხლი, აგრეთვე ტანსაცმელი და კარგი საჭურველი. მთელი ავლადიდება ხომალდზე გადაზიდეს. გუნარმა ტოვის პკითხა, ჯილდოდ რას მოითხოვო.

— მე დანიელი ვარ, — მიუგო ტოვიმ, — და მინდა ჩემს ნათესავებთან მიმიყვანო.

გუნარმა ჰკითხა, აღმოსავლეთის მხარეს როგორ მოხვდიო.

— ვიკინგებმა ტყვედ ჩამიგდეს, — უპასუხა ტოვიმ, — აქ გადმომსვეს, ეისიუსლაში, და მას შემდეგ აქა ვარ.

31

გუნარმა იგი თან წაიყვანა.

— ახლა კი ჩრდილოეთის მიწებს მივმართოთ, — უთხრა მან კოლსკეგსა და ჰალვარდს.

ისინი სალისით დათანხმდნენ და გუნარს უთხრეს, შენ გვიწინამძღვრეო. გუნარი ზღვაში შეცურდა და თან დიდი სიმდიდრე წაიღო. ახლა მას ათი სომალდი ჰყავდა. დანიისკენ გაეშურა და ჰეიდაბიორში ჩავიდა. დანიას მაშინ კონუნგი ჰარალდ გორმის ძე მართავდა. მას მოახსენეს, გუნარისთანა ვაუკაცი მთელ ისლანდიაში არ მოიძებნებაო. კონუნგმა თავისი კაცები მიუგზავნა და სტუმრად მიიწვია. გუნარი დაუყოვნებლივ გაემართა მასთან. კონუნგი კარგად შეხვდა და გვერდით მოისვა. გუნარი იქ ნახევარ თვეს დარჩა. კონუნგი იმით ერთობოდა, რომ გუნარს თამაშობებში თავის ხალხს აჯიბრებდა და მისი მჯობი არავინ გამოჩნდა.

კონუნგმა გუნარს უთხრა:

— მე მგონი, შენი ბადალი არავინ არის.

კონუნგმა გუნარს ცოლის შერთვა შესთავაზა და დიდ პატივსაც დაპპირდა, თუ მასთან დარჩენაზე დათანხმდებოდა. გუნარმა კონუნგს მადლობა მოასსენა და უთხრა:

— ჯერ ისლანდიაში მინდა დავბრუნდე და ჩემი ნათესავები და მეგობრები მოვინახულო.

— მაშინ აქეთ აღარ მობრუნდები, — თქვა კონუნგმა.

— როგორც განგება ინებებს, მეუფეო, — მიუგო გუნარმა.

გუნარმა კონუნგს კარგი საომარი ხომალდი და დიდძალი ქონება მიუძღვნა, კონუნგმა კი მას აჩუქა წამოსასხამი, რომელიც მხრებიდან მოიძრო, აგრეთვე ოქრომკედით ნაქარგი ხელთათმანები, შუბლზე წასაკრავი ოქროს თასმით, და რუსული ქუდი. გუნარი ჩრდილოეთს, პისინგს გაემართა. ალვირი მას სულითა და გულით შესვდა. გუნარმა ალვირს ხომალდები დაუბრუნა და თან უთხრა, მთელი ნაალაფევი მანდვე ძევს შენი წილი ნადავლითო. ალვირმა მიიღო საჩუქარი, გულუხვობა შეუქო და შესთავაზა, ცოტა ხანს ჩემთან დარჩიო სტუმრად. პალვარდმა გუნარს პკითხა, იარლ პაკონთან თუ გსურსო მისვლა. გუნარმა უპასუხა, ახლა უარს აღარ ვიტყოდიო.

— იმიტომ, რომ, — დაუმატა მან, — ახლა ისეთი უმწიფარი აღარა ვარ, როგორიც მაშინ ვიყავი, შენ რომ ეგ პირველად შემომთავაზე.

ისინი ზღვაში გასასვლელად მოემზადნენ და ჩრდილოეთის გზას დაადგნენ, თრანდჰეიმისკენ, ჰაკონ იარლისკენ. მან გუნარი კარგად მიიღო და შესთავაზა ზამთარი მასთან გაეტარებინა. გუნარი დაეთანხმა და საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურა. იოლზე იარლმა ოქროს სამაჯური უძღვნა. გუნარს იქ იარლის ნათესავი, ბერგლიოტი შეუყვარდა. ბევრი ფიქრობს, იარლი ბერგლიოტს გუნარს მიათხოვებდა, თუ ეს უკანასკნელი ამას ისურვებდა.

32

გაზაფხულზე იარლმა გუნარს ჰკითხა, რას აპირებო. გუნარმა მიუგო, ისლანდიაში მინდაო წასვლა. იარლმა უთხრა, წლევანდელი წელი მოუსავლიანი იყო და ისლანდიისკენ ბევრი ხომალდი როდი გავაო, მაგრამ შენ მაინც მიიღებ იმდენ ფქვილსა და სე-ტყეს, რამდენსაც ისურვებო.

გუნარმა მადლობა გადაუხადა, სასწრაფოდ გამართა თავისი ხომალდი და ჰალვარდსა და კოლსკეგთან ერთად ისლანდიისკენ გაეშურა. ზაფხულის დამდეგს ჩავიდნენ კიდეც და ნაპირს არნარბელისოსის ყურეში მიადგნენ. ეს სწორედ ალთინგის დაწყების წინ მოხდა. გუნარი ხომალდიდან პირდაპირ სასლში წავიდა, ხალხი კი ალაფის გადმოსატვირთად დატოვა. კოლსკეგიც გუნარს გაპყვა. შინ ყველა სიხარულით შეეგება მათ. გუნარი და კოლსკეგი შინაურებს ტკბილად ექცეოდნენ და ქედმაღლობას არ იჩენდნენ.

გუნარმა იკითხა, ნიალი სადმე წასული ხომ არ არისო. შინ არისო უთხრეს. მაშინ მან ცხენი შეაკაზმვინა და კოლსკეგთან ერთად ბერგთორსპვალისკენ გაქუსლა. ნიალს მისი მისვლა დიდად ეამა და სტუმარს სთხოვა, ღამე მასთან გაეთია. გუნარმა თავისი თავგადასავალი უამბო. ნიალმა უთხრა, თითით საჩვენებელი კაცი გამსდარხარო.

— დიდი განსაცდელი გამოგივლია, — დაუმატა მან, — მაგრამ უფრო მეტი გელის, რაკი ბევრი შურით დაგიწყებს ცქერას.

— მე კი ყველასთან მშვიდობიანი ცხოვრება მსურს, — მიუგო გუნარმა.

— ბევრი რამ გადაგხდება თავს, — ეუბნება ნიალი, — რადგან ყოველთვის სხვათა შემოტევის მოგერიება მოგიწევს.

— თუ ეგრეა, — ამბობს გუნარი, — მთავარია სიმართლე ჩემს მხარეზე იყოს.

— ეგრე იქნება, — ეუბნება ნიალი, — თუ სხვებისთვის არ გამოიდე თავი.

ნიალმა გუნარს პკითხა, თინგზე წასვლას ხომ არ აპირებო. გუნარმა უპასუხა, კიო, და თან ისიც პკითხა, შენ თუ წამოსვალო. ნიალმა უარი თქვა, თან დაუმატა:

— მე თუ მკითხავ, არც შენ გირჩევ წასვლას.

გუნარმა ნიალს მდიდრული საჩუქრები მიართვა, მადლობა გადაუხადა მისი სახლ-კარის მიხედვისათვის და შინისკენ გაემართა. კოლსკეგმა შეგულიანება დაუწყო თინგზე წასასვლელად და ესეც უთხრა:

— იქ კიდევ უფრო გაგივარდება სასელი, რადგან ბევრი მოიწადინებს შენს ხილვას.

— მაგას სულაც არ ვესწრაფვი, — მიუგო გუნარმა, — ისე კი, საამოვნებით მოვინასულებდი კარგ ხალხს.

პალვარდიც იქ იყო და თინგზე მათთან ერთად წასვლის სურვილი განაცხადა.

33

ასე და ამგვარად, ყველანი ერთად გაემგზავრნენ. ისე ძორთულმოკაზმულნი მივიდნენ თინგზე, რომ ვერავინ შეედრებოდა; სალხი საღგომებიდან გამოდიოდა და გაოცებული შესცქეროდა მათ. გუნა-

რი თავისი ნათესავების, რანგისპირელთა სადგომში დაბინავდა. გუნარის სანახავად და ახალი ამბების შესატყობად ხალხი ბლომად მოდიოდა. ისიც ყველას გულითადად და ლაღად უხვდებოდა და უამბობდა თავის თავგადასავალს.

ერთსელ ისე მოსდა, რომ კანონის კლდიდან მომავალმა გუნარმა მოსფელელთა სადგომებს ჩაუარა. იქ მან ლამაზად ჩაცმული ქალები დაინახა. წინ რომ ქალი მოუძღოდათ, ყველაზე მდიდრულად იყო ჩაცმული. ერთმანეთს რომ დაუპირისპირდნენ, პირველად ქალი მიესალმა. გუნარმა თავაზიანად დაუბრუნა სალამი და პკითხა, ვინა ბრძანდებიო. ქალმა მიუგო, პალგერდი მქვია, მამაჩემი პასკულდი გახლავსო, ველელი კოლის ძე. ქალმა თამამად დაუწყო ლაპარაკი და სთხოვა ეამბნა თავისი მოგზაურობის ამბები. გუნარიც დაეთანხმა. იქვე ჩამოსხდნენ და ბაასი გააბეს. ქალს მდიდრული სამკაულებით გაწყობილი წითელი კაბა ეცვა, ზედ მაქმანებშემოვლებული ძოწისფერი მოსასხამი პქონდა მოგდებული. ხშირი და მშვენიერი თმა მკერდზე ეყარა. გუნარს ის სამოსელი ეცვა, რომელიც კონუნგმა პარალდ გორმის ძემ აჩუქა. სელზე პაკონ იარლის ნაბოძვარი სამაჯური ეკეთა.

დიდხანს ილაპარაკეს ასე სმამაღლა; ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ გუნარმა პკითხა, ქმარი თუ გყავსო. არაო, მიუგო ქალმა და დაუმატა:

— ბევრს არ ეყოფა ვაჟკაცობა, რომ ჩემი შერთვა გაბედოს.

— განა შენი საფერო არავინ არის? — პკითხა გუნარმა.

— მაგაში როდია საქმე, — თქვა პალგერდმა, — ჩემზე ამბობენ, ძნელი მოსავლელი ქალიაო.

— რას იტყვი, მე რომ გთხოვო სელი?

— შენ მაგას ალბათ გულშიც არ გაივლებ, — უთხრა ქალმა.

— ვავივლე და ეგ არის, — მიუგო გუნარმა.

— თუ მართლა ეგრე გსურს, წადი და მამაჩემს მოელაპარაკე.

ამით მოათავეს ლაპარაკი. გუნარი მაშინვე ველელთა სადგომებისკენ გაემართა და გარეთ მდგომ კაცს პკითხა, პასკულდი აქ თუ არისო. აქ გახლავსო, იყო პასუხი. გუნარი სადგომში შევიდა. პასკულდი და პრუტი თავაზიანად შეხვდნენ. გუნარი მათ შუა ჩაჯდა. არაფერი ეტყობოდათ წინანდელი უთანხმოებისა. ბოლოს გუნარმა

სიტყვა ჩამოუგდო, რას მეტყვით ძმები, პალგერდის თავი რომ გთხოვოთო.

— ჩვენ ხელს არ შეგიშლით, — მიუგო პასკულდმა, — თუ შენ მართლა გადაწყვეტილი გაქვს მისი შერთვა.

გუნარმა დაადასტურა, სწორედ აგრეთ.

— თუმცა ბოლოს ისე დავშორდით ერთმანეთს, — დაუმატა მან,— ალბათ არავინ დაიჯერებს, რომ ჩვენი მორიგება შესაძლებელია.

— შენ რაღას იტყვი, ჩემო ძმაო პრუტ? — ჰკითხა პასკულდმა.

პრუტმა მიუგო:

— ჩემი აზრით, ეგენი ერთმანეთისთვის შეუფერებელნი არიან.

რატომაო, ჰკითხა გუნარმა.

— გეტყვი სიმართლეს, — მიუგო პრუტმა, — შენ გულადი და კაცური კაცი ხარ, იმას კი ბევრნაირი ზნე სჭირს და არ მინდა შეცდომაში შეგიყვანო.

— რჩევისთვის მადლობას მოგახსენებ, — უთხრა გუნარმა, — მაგრამ, გეტყობათ, ძველი შუღლი გულიდან არ ამოგიღიათ, რაკი ამ საქმეში არ მომყვებით.

— არა-მეთქი, — მიუგო პრუტმა, — მაგრამ ვხედავ კი, თავს ვეღარ ერევი. თუმცა, გვინდა შენს მეგობრებად დავრჩეთ, ეს საქმე რომ არ მოხდეს კიდეც.

— მე ქალს ველაპარაკე, — თქვა გუნარმა, — იგი თანახმაა გამომყვეს.

პრუტმა თქვა:

— ვიცი, ორივეს ჭკუაში გიჯდებათ ეგ ქორწინება, მაგრამ რაც მოხდეს, თქვენსავ თავს დააბრალეთ.

და პრუტმა დაუფარავად უამბო გუნარს, რა ხასიათი ჰქონდა ჰალგერდს და აშკარად დაანახვა ყველა მისი ნაკლი. ბოლოს ყველაფერი მაინც იმით დამთავრდა, რომ ხელი ხელს დაპკრეს. მერე პალგერდს დაუძახეს და მისი თანდასწრებით მოაგვარეს საქმე და უწინდებურად მას მიანდეს ნიშნობის საკითხის გადაწყვეტა. შეთანხმდნენ, რომ ამჯერად ქორწილს ჰლიდარენდში გადისდიდნენ, მანამდე კი არაფერს გაამხელდნენ, მაგრამ მოსდა ისე, რომ ყველამ შეიტყო ვარიგების ამბავი.

თინგიდან რომ დაბრუნდა, გუნარი ბერგთორსპვალში წავიდა და ნიალს თავისი ნიშნობის ამბავი მოუთხრო. ნიალს ეს ამბავი არ მო-

ეწონა. გუნარმა პკითსა, რატომ არ მიგაჩნიაო სასიკეთოდ ეს ნიშნობა.

— იმიტომ, რომ მრავალ ბოროტებას დათესავს ეგ დედაკაცი, თუ აქ, აღმოსავლეთში გადმოვა, — თქვა ნიალმა.

— ვერ მოასერსებს ჩვენი მეგობრობის ჩაშლას, — უთსრა გუნარმა.

— ბევრიც არა დააკლდება რა, — მიუგო ნიალმა, — და მაინც, ყოველთვის შენ მოგიწევს მის მაგივრად ზღვევა.

გუნარმა ქორწილზე დაპატიჟა ნიალი და ყველა, ვის თანსლებასაც იგი ისურვებდა. ნიალმა მისვლა აღუთქვა. გუნარი შინისაკენ გაუდგა გზას, მთელი ის მხარე შემოიარა და სალხი ქორწილზე მიიწვია.

34

ერთ კაცს თრაინი ერქვა. იგი იყო ძე სიგფუსისა და შვილიშვილი სიგვატ წითურისა. ცხოვრობდა გრიოტში, ფლიოტსპლიდის მთაგრესილზე. გუნარს ნათესავად ერგებოდა და საყოველთაო პატივისცემით სარგებლობდა. ცოლად პყავდა თორპილდი, მეტსახელად დიაცი მგოსანი, რომელსაც ძალზე მწარე ენა პქონდა და კილვა-დაცინვა უყვარდა. თრაინს იგი დიდად არ პყვარებია. ქორწილზე ჰლიდარენდში თრაინიც მიიწვიეს. მის ცოლს სტუმრებისათვის მასპინძლობა უნდა გაეწია ბერგთორასთან, სკარპედინის ასულთან, ნიალის მეუღლესთან ერთად.

სიგფუსის მეორე შვილს კეთილი ერქვა. იგი მარკში ცხოვრობდა, მარკარფლიოტის აღმოსავლეთით. მისი მეუღლე იყო თორგერდი, ნიალის ასული. სიგფუსის მესამე შვილს თორკელი ერქვა, მეოთხეს — მორდი, მეხუთეს — ლამბი, მეექვსეს — სიგმუნდი, მეშვიდეს — სიგურდი. ყველანი გუნარს ნათესავად ერგებოდნენ და მამაცი მეომრები იყვნენ. გუნარმა ყველა დაპატიჟა. მან მოიწვია აგრეთვე ვალგარდ რუსი და ულვ აურგოდი და მათი შვილები — რუნოლვი და მორდი.

პასკულდი და პრუტი ქორწილზე დიდძალი სალხის თანსლებით გამოცსადდნენ. აქვე იყვნენ პასკულდის შვილები — თორლეიკი და ოლავი. მოვიდნენ პატარძალიცა და მისი ასული თორგერდიც. ძალზე თვალმისავალი გოგო იყო და სულ თოთხმეტი ზამთარი

პქონდა გამოვლილი. მასთან ერთად ბევრი სხვა ქალიც მოვიდა. აქვე იყვნენ თორპალა, ასული ასგრიმისა, ელიდი-გრიმის ძისა, და ნიალის ორი ქალიშვილი — თორგერდი და პელგა.

გუნარის სახლში დიდძალმა სტუმარმა მოიყარა თავი და გუნარმა ისინი შემდეგნაირად დასხა: თვითონ შუაში იჯდა, მის ხელმარცხნივ თრაინ სიგფუსის ძე დასვეს, შემდეგ — ულვ აურგოდი, შემდეგ — ვალგარდ რუსი, შემდეგ — მორდი და რუნოლვი, შემდეგ კი — სიგფუსის დანარჩენი ვაჟები. ლამბი სულ ნაპირას იჯდა. გუნარის ხელმარჯვნივ იჯდა ნიალი, შემდეგ — სკარპედინი, შემდეგ — პელგი, შემდეგ — გრიმი, შემდეგ — პასკულდი, შემდეგ — პავრ ბრძენი, შემდეგ — ინგიალდ კელდურელი, შემდეგ — პოლტერი თორირის ვაჟები. თორირმა სასელოვან კაცთა შორის ყველაზე განაპირა ადგილის დაკავება ისურვა. ყველა კმაყოფილი იყო თავისი ადგილით. პასკულდი შუაში იჯდა მეორე რიგში და ხელმარჯვნივ თავისი ვაჟები უსხდნენ. ჰრუტი მის მარცხნივ იჯდა. სხვებზე არაფერია ნათქვამი, ვინ სად იჯდა. პატარძალი ქალთა სკამზე იჯდა, მეორე მხარეს — თორპალა, ასული ასგრიმ ელიდი-გრიმის ძისა. თორპილდი სტუმრებს მასპინძლობდა. მას და ბერგთორას საჭმელები მოპქონდათ სუფრაზე.

თრაინ სიგფუსის ძე თვალს ვერ აშორებდა თორგერდს, გლუმის ასულს. მისმა მეუღლემ, თორპილდმა ეს შეამჩნია, გული მოუვიდა და შაირი უთხრა:

აგრე რას მისჩერებიხარ
პირღია, თვალდაჭყეტილი

— თრაინ! — შესძახა მან. თრაინი მაშინვე წამოდგა მაგიდიდან, თავისი მოწმეები დაასახელა და ცოლთან განქორწინება გამოაცხადა.

— მე მაგისი კილვა-დაცინვის მომთმენი არა ვარ, — თქვა მან. და ერთი ამბავი ატეხა, ნადიმზე აღარ დავრჩები, თუ თორპილდს არ გააძევებთო. თორპილდი წავიდა. ამის შემდეგ ყველანი კვლავ თავთავიანთ ადგილებზე დასხდნენ, სმა და ღრეობა განაგრძეს. უცბად თრაინმა თქვა:

— არაფერს დაგიმალავთ, რაც კი გუნებაში მაქვს. ჰასკულდ, ველელი კოლის ძევ, შენ გეკითხები, მომათხოვებ თუ არა შენს შვილიშვილ თორგერდს?

— არ ვიცი, რა ვთქვა, — მიუგო პასკულდმა, — ჩემი აზრით, შენ მაინცდამაინც კარგად არ მოექეცი შენს პირველ ცოლს. რა კაცია ეგ, გუნარ?

გუნარმა უპასუხა:

— მე ვერაფერს ვიტყვი, რადგან ჩემი ნათესავია. ისევ შენ გვითხარ სიტყვა, ნიალ, შენ ყველა დაგიჯერებს.

ნიალმა თქვა:

— მასზე ის შეიძლება ითქვას, რომ მდიდარი, ღირსეული და საყელოვანი კაცია. თამამად შეგიძლიათ ქალი გაატანოთ.

მაშინ პასკულდმა თქვა:

— შენ რაღას გვირჩევ, ჩემო ძმაო პრუტ?

პრუტმა თქვა:

— შეგიძლია მიათხოვო ქალი, შეპფერის კიდეც.

მაშინ მოლაპარაკებას შეუდგნენ და ყველაფერზე შეთანხმდნენ. შემდეგ გუნარი წამოდგა, თრაინიც აპყვა და ქალთა სკამს მიადგნენ. გუნარმა დედა-შვილს პკითხა, თანასმანი იყვნენ თუ არა. იმათ უთხრეს, ჩვენ არაფერი გვაქვს საწინააღმდეგოო, და პალგერდმა დანიშნა თავისი გოგო. მაშინ ქალები ახლებურად დასხეს. ასლა თორპალა ორ პატარძალს შუა იჯდა. საქორწინო ნადიმი გაგრძელდა. ქორწილი რომ გათავდა, პასკულდი და მისიანები დასავლეთისკენ გაემგზავრნენ, რანგისპირელებმა კი თავთავიანთ სახლ-კარს მიაშურეს. გუნარმა ბევრს საჩუქრები დაურიგა და ქებაც დაიმსახურა. პალგერდი მისი დიასახლისი გახდა. ხელგაშლილ ცხოვრებას ეწეოდა და მბრძანებლობდა. თორგერდი საქმეს მოეკიდა გრიოტში და კარგი დიასახლისი დადგა.

35

გუნარსა და ნიალს წესად პქონდათ შემოღებული, ერთმანეთის ხათრით ყოველი ზამთარი მორიგეობით ერთმანეთთან გაეტარებინათ. და დადგა ჯერი გუნარისა ნიალს სწვეოდა, და გუნარი და პალგერდი ბერგთორსპვალში გაემგზავრნენ. მაშინ პელგი და მისი ცოლი შინ არ იყვნენ. ნიალი გუნარს კარგად შესვდა. რამდენიმე სანი რომ დაპყვეს სტუმრად, პელგი და მისი მეუღლე თორპალაც დაბრუნდნენ. მაშინ ბერგთორამ თორპალა გაიყოლა, ქალთა სკამს მიადგა და პალგერდს უთხრა:

— ამ ქალს ადგილი დაუთმე!

პალგერდმა მიუგო:

— არაფერსაც არ დავუთმობ, ჩემს თავს კუთსეში არ მიგაგდებინებთ.

— ამ სასლში მე ვარ უფროსი, — თქვა ბერგთორამ.

ამის შემდეგ თორჰალამ ადგილი დაიკავა, ბერგთორაშ კი მაგიდის შემოვლა იწყო წყლით სელში, რომ სტუმრებს ხელი დაებანათ. მაშინ პალგერდმა ბერგთორას სელში სელი მოჰკიდა და უთხრა:

— შენ და ნიალი სწორედ რომ ერთმანეთის საფერონი ხართ. შენ ფრჩხილებზე დუდკოები გაქვს, ის კი ქოსაა.

— მართალს ამბობ, — თქვა ბერგთორამ, — მაგრამ არც ერთი ჩვენგანი ამას ერთმანეთს არ აყვედრის. შენი ქმარი თორვალდი კი ქოსა არ ყოფილა, მაგრამ შენ მაინც მოაკვლეინე იგი.

— აბა, რა სეირია, — თქვა პალგერდმა, — რომ ჩემი ქმარი უმამაცესი ვაუკაცია ისლანდიაში, თუ შენ ამას არ აზღვევინებ, გუნარ!

გუნარი წამოსტა, სუფრა მიატოვა და თქვა:

— მე შინ მივდივარ. გირჩევნია, შენს უხიაკ ხასიათს უცსო ჭერქვეშ არ ამჟღავნებდე. მე ნიალისაგან დიდად დავალებული ვარ და ბრიყვულად შენს ანკესს არ წამოვეგები.

და წასასვლელად აიყარნენ.

— გახსოვდეს, ბერგთორა, — თქვა პალგერდმა, — მე და შენ ჯერ არ გავსწორებულვართ.

ბერგთორამ უთხრა, ეგ მე სულაც არ მენაღვლებაო. გუნარს ამაზე კრინტიც არ დაუძრავს. იგი ბლიდარენდში დაბრუნდა და მთელი ზამთარი შინ გაატარა. ამასობაში მოაწია ზაფხულმა და ალთინგის დრომ.

36

გუნარი თინგზე გაემგზავრა და ვიდრე სახლიდან გავიდოდა, პალგერდს უთხრა:

— ჭკვიანად მოიქეცი, სანამ დავბრუნდები, და არავის აწყენინო რამე, განსაკუთრებით კი ჩემს მეგობრებს.

— მომწყდნენ თავიდან ეგ შენი მეგობრები! — მიუგო პალგერდმა.

რაკი დაინასა, დარიგება ზედმეტი იყო, გუნარი გზას გაუდგა. თინგზე გაემგზავრნენ ნიალიცა და მისი ვაჟებიც.

ასლა ისიც უნდა ითქვას, თუ ამასობაში რა სდებოდა შინ. ნიალსა და გუნარს საზიარო ტყე ჰქონდათ რაუდასკრიდურის მთაზე. იგი არასოდეს გაუყვიათ. ხეს, რამდენსაც უნდოდათ, იმდენს მოჩესავდნენ და ამისთვის არასოდეს ერთმანეთში არ წაკინკლაჟებულან. ჰალგერდს ერთი მოურავი ჰყავდა, სახელად კოლი. დიდი ხანია მას თან ასლდა და თავზე სელაღებული ვინმე იყო. ნიალსა და ბერგთორას ერთი მუშა ჰყავდათ, სახელად სვარტი. სულ მის ქებაში იყვნენ. ბერგთორამ იგი რაუდასკრიდურზე გაგზავნა და შეშის მოტანა დაავალა.

— სალხს გამოგიგზავნი შეშის სახლში გადმოსაზიდად, — უთხრა ბერგთორამ.

სვარტმა მიუგო, ყველაფერს შევასრულებო. იგი რაუდასკრიდურზე გაემგზავრა, სადაც ერთ კვირას უნდა დარჩენილიყო. ამასობაში, მარკარფლიოტის მსრიდან პლიდარენდში ვიღაც მთხოვარა დედაკაცები მოვიდნენ და თქვეს, სვარტი რაუდასკრიდურზეა და ბლომად ხეები გაჩესაო.

— ალბათ ბერგთორას ჩემი გაძარცვა უნდა, — თქვა ჰალგერდმა, — მაგრამ მე ისე ვიზამ, რომ სვარტმა ველარ ახლოს ხელი ტყეს.

გუნარის დედამ, რანვეიგმა, ეს გაიგონა და თქვა:

— დიასახლისები უწინაც კარგები გვყავდა, მაგრამ კაცისკენ არავის ჩაუდვია გულში.

ღამე მიიწურა და ჰალგერდმა ალიონზე ლაპარაკი გაუბა კოლს.

— ერთი საქმე უნდა დაგავალო, — უთხრა მას ჰალგერდმა და ხელში იარაღი ჩაუდო, — რაუდასკრიდურისკენ გაეშურე და იქ სვარტი დაგხვდება.

— მერე, რა ვუყო? — ჰკითხა კოლმა.

— კიდევაც მეკითხები, — თქვა ჰალგერდმა, — შე მატრაბაზო! რა უნდა უყო და უნდა მოკლა.

— შევასრულებ, — მიუგო კოლმა, — მაგრამ, როგორც ვატყობ, სიცოცხლის ფასად დამიჯდება ეგ ამბავი.

— რამ შეგაშინა! — უთხრა ჰალგერდმა, — განა შენთვის ცოტა რამ გამიკეთებია? მაშინ ავდგები და სხვას ვთხოვ, თუ შენი თავის იმედი არა გაქვს.

კოლმა ნაჯასს წამოავლო სელი, განრისსებული გუნარის ერთ-ერთ ცსენს მოაჯდა და მარკარფლიოტისკენ გაემართა. აქ იგი ცსენიდან ჩამოსტა და ტყეში ლოდინი დაიწყო, სანამ მუშები მოჭრილ ხეს არ გაზიდავდნენ და სვარტი მარტო არ დარჩებოდა. მაშინ კოლი ზედ მივარდა მას და თქვა:

— მარტო შენ როდი იცი ჩესვა.

და თავში ცული დაპკრა, იქვე გაათავა, შემდეგ კი შინ დაბრუნდა და პალგერდს უამბო ყველაფერი. პალგერდმა თქვა:

— ეეცდები ისე მოვაწყო საქმე, რომ არაფერი შეგემთსვეს.

— კარგი იქნება, — უთსრა კოლმა, — მაგრამ, ვიდრე ამ მკვლელობას ჩავიდენდი, სიზმრად სსვა რამე ვნასე.

აპა, სალხიც ამოვიდა ტყეში, დაჩესილი სვარტი ნასეს და სასლში წაასვენეს. პალგერდმა გუნარს კაცი გაუგზავნა თინგზე და მკვლელობის ამბავი შეატყობინა. გუნარს შიკრიკის წინაშე პალგერდი არ გაუკილავს და სალსი პირველად ვერ მიხვდა, კმაყოფილი დარჩა ამ ამბით თუ არა. ცოტა სნის შემდეგ გუნარი წამოდგა და თავისიანებს სთსოვა, გაპყოლოდნენ. ყველანი ნიალის სადგომისკენ გაემართნენ. გუნარმა ხალსი მიუგზავნა და სთხოვა ნიალს, გამოსულიყო. ნიალი მაშინვე გამოვიდა და ლაპარაკი დაიწყეს.

გუნარმა თქვა:

— მკვლელობის ამბავი უნდა გამცნო. შენი მუშა, სვარტია მოკლული, დამნაშავენი კი ჩემი ცოლი და ჩემი მოურავი კოლი არიან.

ნიალი დუმდა, ვიდრე გუნარი ყველაფერს იტყოდა. მერე თქვა:

— თავის ნებაზე ნუ მიუშვებ.

გუნარმა თქვა:

— ახლა ისე განსაჯე, როგორც საჭიროდ მიიჩნევ.

ნიალმა თქვა:

— კაი დღე არ დაგადგება, თუ ყოველთვის შენ აგე პასუხი პალგერდის მაგივრად. ერთსელაც იქნება, ამაზე უარესად დამთავრდება ყველაფერი, თუმცა ჯერ არც ეს საქმეა მოთავებული. უნდა მოვიფიქროთ, როგორ მოვაგვაროთ იგი მე და შენ მეგობრულად. მე მგონი მოვახერსებ რამეს. მაგრამ შენ მაინც დიდი განსაცდელი გელის.

ნიალი დათანსმდა განესაჯა საქმე და თქვა:

— ბევრს არ მოგთხოვ. თორმეტი ვერცხლის ეირირი გადამისა-

დე და სიტყვაც მომეცი, თუ ჩემიანი ვინმე რამეს დააშავებს, უფრო მკაცრად არ განგვსჯი.

გუნარმა მთლიანად გადაუხადა ფული და მერე შინისკენ გაემართა. ნიალი და მისი ვაჟებიც შინ დაბრუნდნენ თინგიდან. ფული რომ დაინახა, ბერგთორამ თქვა:

— ზომიერად გადაუსდიათ, მაგრამ, დაე, კოლისთვისაც ამდენივე გადაისადონ, როცა დრო მოვა.

გუნარი თინგიდან შინ მივიდა და პალგერდს უსაყვედურა. პალგერდმა კი თქვა, ხანდასან მაგაზე უკეთესისთვისაც კი არ ისდიან საზღაურსო.

— რა თქმა უნდა! — უთხრა გუნარმა, — შენ უბედურებას დაატრიალებ და ძე კი საქმე უნდა ვაგვარო.

პალგერდს თავი მოეჭონდა სვარტის მკვლელობით და ბერგთორას ეს ვერაფრად ეპიტნავებოდა. ერთხელ, ნიალი თავის შვილებთან ერთად თორროლვსფელში გაემართა სამეურნეო საქმეების მოსაგვარებლად. იმავე დღეს, როგორც კი სახლიდან გამოვიდა, ბერგთორამ შავი ცხენით მომავალი კაცი დაინახა. მხედარი შეჩერდა, მაგრამ სახლში არ შევიდა. ხელში შუბი ეპყრა, წელზე მოკლე მახვილი ეკიდა. ბერგთორამ სახელი ჰკითხა.

— ატლის მეძახიან, — მიუგო მოსულმა.

საიდან მოდისარო, ჰკითხა ბერგთორამ.

— აღმოსავლეთის ფიორდებიდან, — მიუგო ატლიმ.

— საით გაგიწევია? — ჰკითხა ბერგთორამ.

— მე სახლ-კარი არა მაქვს, — თქვა ატლიმ, — მინდა ნიალი და სკარპედინი ვნახო და ვკითხო, სამუშაოდ თუ ამიყვანენ.

— რისი გაკეთება შეგიძლია? — ჰკითხა ბერგთორამ.

— მიწის დამუშავება და კიდევ ბევრი სხვა რამე, — მიუგო ატლიმ, — მაგრამ არ დაგიმალავ, გულფიცხი კაცი ვარ და ზოგს ჩემგან მიყენებული ჭრილობების შეხვევაც დასჭირვებია.

— არ გაგკიცხავ იმისათვის, რომ მხდალი არ ყოფილხარ.

ატლიმ თქვა:

— შენ აქ რამე უფლებები გაქვს?

— მე ნიალის ცოლი ვარ, — მიუგო ბერგთორამ, — მაგრამ მასზე ნაკლები უფლებები როდი გამაჩნია.

— მაშ, ამიყვან? — ჰკითხა ატლიმ.

— რატომაც არა, — მიუგო ბერგთორამ, — თუ პირობას მომცემ, რომ ყველაფერს შემისრულებ, რასაც დაგავალებ, თუნდაც მკვლელობა იყოს.

— მაგ საქმის ჩამდენი უჩემოდაც ბევრი გამოგიჩნდება, — თქვა ატლიმ, — არა მგონია, მაგისთანა საქმისთვის დაგჭირდე.

— ეგ ჩემი ნებაა, რასაც მოვითხოვ, — მიუგო ბერგთორამ.

— კეთილი, თანასმა ვარ, — უთხრა ატლიმ.

მაშინ ბერგთორამ იგი სახლში შეიყვანა. ნიალი შინ დაბრუნდა შვილებთან ერთად და ბერგთორას ჰკითხა, ეს კაცი ვინ არისო.

— შენი მუშაა, — მიუგო ბერგთორამ, — მე ავიყვანე, რადგან მითხრა, უქმად ჯდომა არ მიყვარსო.

— ზედვე ეტყობა, ბევრი რამის შემძლეა, — თქვა ნიალმა, — არ ვიცი, კი კაი მუშა გამოდგება თუ არა.

სკარპედინი ატლის კარგად ექცეოდა. ზაფხულში ნიალი თავის ვაუებიანად თინგზე გაემგზავრა. გუნარიც იქ იყო. ნიალმა ფულით სავსე ქისა გამოაჩინა. სკარპედინმა ჰკითხა:

— ეგ რა ფულია, მამაჩემო?

— ეს ის ფულია, გუნარმა რომ გადამიხადა ჩვენი მუშისთვის შარშან ზაფხულს.

— ალბათ რამეში დაგჭირდება, — უთხრა სკარპედინმა და გაუღიმა.

37

ასლა ის უნდა გიამბოთ, თუ რა მოხდა შინ. ატლიმ ბერგთორას ჰკითხა, დღეს რა მაქვს გასაკეთებელიო.

— მე შენთვის ერთი რამე მოვიფიქრე, — უთხრა ბერგთორამ, — თუ ჩემი სურვილის შესრულება გწადია, წადი, დღესვე მოძებნე კოლი და მოკალი.

— სწორედ საჩემო საქმეა, — მიუგო ატლიმ, — რადგან მე და ის ორივე ავაზაკები ვართ; ვეცდები ერთ-ერთი ჩვენგანი სიცოცხლეს გამოესალმოს.

— სელი მოგემართოს, — უთხრა ბერგთორამ, — უქმად არ გაირჯები.

ატლიმ იარაღი აიღო, ბაჩა-ცხენს მოაჯდა, ფლიოტსჰილდზე ავიდა და ჰლიდარენდიდან მომავალ ხალხს შეხვდა. ესენი მარკის

მკვიდრნი იყვნენ. მათ პკითხეს ატლის, საით მიდისარო. ატლიმ უთხრა, ჩემს ჯაგლაგ ცხენს ვეძებო.

— ეგეთი მუშა მაგ საქმეზე როგორ ცდები, — უთხრეს იმათ, — ვინც აქ წუხელ გაიარა, იმისთვის უნდა გეკითხა.

— ვინ იყო? — პკითხა ატლიმ.

— კაცისმკვლელი კოლი, პალგერდის მუშა, — მიუგეს მათ, — სწორედ საძოვრიდან მოდიოდა, მთელი ღამე არ სძინებია.

— არ ვიცი, გავბედავ თუ არა მასთან შესვედრას, — თქვა ატლიმ, — ბრაზიანი კაცია და ისე არ მომექცეს, როგორც სხვებს.

— მშიშრობისა არაფერი გეტყობა, — უთხრეს მათ და მიასწავლეს, საით წავიდა კოლი.

ატლიმ ცხენს დეზები ამოპკრა და გაქუსლა. კოლს რომ წამოეწია, მიაძახა:

— კარგად შეპკარი თუ არა ძნები?

— რა შენი საქმეა, ყალთაბანდო, — მიუგო კოლმა, — და არც ვინმე ბერგთორსპვალელს ხელი არა აქვს ამ საქმესთან.

— ყველაზე მაგარი საქმე, — უთხრა ატლიმ, — ჯერ კიდევ წინა გაქვს. სიკვდილი გელის!

და შუბი გულში ჩასცა. კოლმა ნაჯახის დარტყმა დააპირა, მაგრამ ააცდინა, ცხენიდან ძირს ჩამოვარდა და იქვე მოკვდა. ატლი უკან გამობრუნდა, პალგერდის მუშებს შესვდა და უთხრა:

— გასწით, ცხენს მისედეთ, თორემ კოლი უნაგირიდან გადმოვარდა და მკვდარი გდია.

— შენ თუ მოკალი, — მიუგეს მათ.

— ალბათ პალგერდიც იფიქრებს, თავისთავად არ მომკვდარაო.

ამის შემდეგ ატლი სასლში დაბრუნდა და ბერგთორას ყველაფერი უამბო. ბერგთორამ მადლობა გადაუსადა გარჯისა და მოტანილი ამბისთვის.

— არ ვიცი, — თქვა ატლიმ, — ნიალი რა თვალზე შეხედავს ამ ამბავს.

— არაფერსაც არ იტყვის, — თქვა ბერგთორამ, — ტყუილად კი არ წაიღო თინგზე საზღაური, შარშან ზაფხულს მონის მოკვლისთვის რომ მიიღო. ახლა ეს ფული კოლისთვის გამოადგება. დაზავებით კი დაზავდებიან, მაგრამ შენ მაინც ფრთხილად იყავ, რადგან პალგერდი არ მოისვენებს.

— სომ არ აპირებ, — პკითსა ატლიმ, — ვინმე გაუგზავნო ნიალს და ამ მკვლელობის ამბავი ამცნო?

— არა, — მიუგო ბერგთორამ, — მირჩევნია, კოლისათვის არაფერი გადავიხადო.

ამით მოათავეს ლაპარაკი.

ჰალგერდს კოლის მოკვლა და ატლის სიტყვები გადასცეს. მან თქვა, ატლის სამაგიეროს გადვუსდიო და კაცი გაგზავნა თინგზე გუნარისთვის კოლის მოკვლის შესატყობინებლად. გუნარმა მოკლედ უპასუხა და ნიალს შეატყობინა. პასუხი არც მას გაუცია, მაგრამ სკარპჰედინმა თქვა:

— ამ ბოლო დროს მონებმა ძალზე გამოიდეს თავი. უწინ ისე თუ გაპკრავდნენ ხოლმე მუშტს ურთიერთს. ახლა კი ერთმანეთის კვლას მიპყვეს ხელი.

ეს თქვა და გაიღიმა.

ნიალმა კედელზე დაკიდებული ფულით სავსე ქისა ჩამოიღო და სადგომიდან გამოვიდა. შვილებიც თან გამოპყვნენ. გუნარის სადგომთან მივიდნენ და სკარპჰედინმა კარში მდგომ კაცს სთხოვა:

— გუნარს უთხარ, მამაჩემს უნდა მისი ნახვა.

როგორც კი ეს გაიგო, გუნარი მაშინვე გამოვიდა და თავაზიანად მიესალმა ნიალს. მერე ლაპარაკი წამოიწყეს.

— ცუდი საქმეა, — თქვა ნიალმა, — რომ ჩემმა ცოლმა ზავი დაარღვია და შენი მუშა მოაკვლევინა.

— მაგისთვის არ დავემდურები, — უთხრა გუნარმა.

— ახლა შენ განსაჯე ჩვენი საქმე, — უთხრა ნიალმა.

— კეთილი, — მიუგო გუნარმა, — მე ორივე მუშა, სვარტიცა და კოლიც ერთნაირად შემიფასებია. თორმეტი ვერცხლის ეირირი უნდა გადამისადო.

ნიალმა ქისა აიღო და გუნარს გადასცა. გუნარი მიხვდა, რომ ეს იგივე ფული იყო, თვითონ რომ გადაიხადა თავის დროზე. ნიალი თავის სადგომში დაბრუნდა და ისინი მეგობრებად დარჩნენ.

ნიალი შინ მიბრუნდა, ბერგთორა დატუქსა. ბერგთორამ კი უთხრა ჰალგერდს არაფერს დავუთმობო. ჰალგერდმა კი ლანძღვით აიკლო გუნარი დაზავებისთვის. გუნარმა ცოლს უთხრა, ნიალისა და მისი შვილების მეგობრობაზე ხელს არასოდეს ავიღებო. ჰალგერდი

ძალზე ცხარობდა, მაგრამ გუნარი ყურსაც არ იბერტყავდა. ასე იყვნენ მთელი წლის განმავლობაში და სხვა რამ საყურადღებო არაფერი მომხდარა.

38

გაზაფხულზე ნიალმა ატლის უთხრა:

— მე მსურს, რომ აღმოსავლეთ ფიორდებში გადასვიდე საცხოვრებლად. იქ პალგერდი ვერაფერს დაგაკლებს.

— მაგისი არ მეშინია, — თქვა ატლიმ, — თუ ნებას მომცემ, აქ დავრჩები.

— არ გირჩევ, — უთხრა ნიალმა.

— მირჩევნია, შენს სახლში დავიღუპო, — თქვა ატლიმ, — ვიდრე პატრონი გამოვიცვალო. მაგრამ, გთხოვ, თუ მომკლეს, ჩემზე მონურ საზღაურს ნუ გადაახდევინებ.

— შენზე მხოლოდ თავისუფალი კაცის საზღაურს გადაავახდევინებ, — თქვა ნიალმა, — ბერგთორა კი იზრუნებს, რომ შური იძიონ შენთვის.

ამის შემდეგ ატლი შინაურად ჩათვალეს.

ასლა ისიც უნდა ითქვას, რომ პალგერდმა ბიარნაფიორდში კაცი გაუგზავნა თავის ნათესავს, ბრუნიოლვ ჭირვეულს. მისებრ ავაზაკს იშვიათად წააწყდებოდა სადმე კაცი. გუნარმა არაფერი იცოდა. პალგერდმა თქვა, ბრუნიოლვი კარგი მოურავიაო. მაშინ ბრუნიოლვი ჩამოვიდა. გუნარმა პკითხა, რა გნებავსო. ბრუნიოლვმა უთხრა, თქვენთან საცხოვრებლად ჩამოვედიო.

— რაც შენზე ამბები გამიგია, — უთხრა გუნარმა, — ვეჭვობ, სახლი დაგვიმშვენო, მაგრამ პალგერდის ნათესავს უკან არ გავაბრუნებ, რაკი თვითონ სურს შენი აქ ყოფნა.

გუნარი მას თავშეკავებულად, თავაზიანად ექცეოდა. ამასობაში თინგის დრომაც მოაწია. გუნარი და კოლსკეგი თინგზე ვაემგზავრნენ. იქ ნიალსა და მის ვაჟებს კვლავინდებურად მეგობრულად შესვდნენ.

ბერგთორამ ატლის უთხრა:

— ადი თოროლვსფელის მთაზე და ერთი კვირა წაიმუშავე.

ატლი მთაზე უჩუმრად ავიდა და ნასშირის წვას შეუდგა.

პალგერდმა ბრუნიოლვს უთხრა:

— მითხრეს, ატლი სასლიდან წასულა და თოროლვსფელზე მუშაობსო.

— შენი აზრით, რას უნდა აკეთებდეს? — ჰკითხა ბრუნიოლვმა.

— ალბათ ტყეში საქმიანობს, — უთხრა პალგერდმა.

— მერე რა ვუყო? — ჰკითხა ბრუნიოლვმა.

— უნდა მოკლა, — მიუგო პალგერდმა.

ბრუნიოლვი დადუმდა და პალგერდმა თქვა:

— თიოსტოლვი რომ ცოცხალი იყოს, ატლის მოკვლაზე უკან არ დაისევდა.

— დიდხანს არ დამჭირდება შენი წაქეზება, — თქვა ბრუნიოლვემა, იარაღს წამოავლო ხელი, ცხენს მოაჯდა და თოროლვსფელისკენ გასწია. აქ მან კვამლის დიდი ზოლი დაინახა თოროლვსფელია აღმოსავლეთით. იგი ახლოს მივიდა, ცხენიდან ჩამოსტა, ხეზე მიაბა და კვამლისკენ წავიდა. მალე ნასშირის საწვავი ორმო და მის გვერდით მჯდომარე კაცი დაინახა. იქვე შეამჩნია ამ კაცის გვერდით მიწაში ჩარჭობილი შუბი. ბრუნიოლვმა იმ მსრიდან მოუარა, საითაც ქარი კვამლს ერეკებოდა. ატლი ისე იყო საქმით გართული, რომ ვერ შენიშნა იგი. ბრუნიოლვმა თავში ცული ჩაპკრა. ატლი ისე მარდად გახტა განზე, რომ ბრუნიოლვს ნაჯახი ხელიდან გაუვარდა. ატლიმ შუბს ხელი სტაცა და ესროლა. ბრუნიოლვი მიწას განერთხო და შუბმა თავზე გადაუქროლა.

— ბედი გქონია, რომ მოულოდნელად წამომადექი თავს, — უთხრა ატლიმ, — პალგერდი კმაყოფილი დაგირჩება, ჩემი სიკვდილის ამბავს რომ მიუტან. ისღა მანუგეშებს, რომ შენც მალე ასეთივე სიკვდილი გელის. მოდი, აიღე შენი ნაჯახი, აგერ გდია ჩემს გვერდით.

ბრუნიოლვმა არაფერი უპასუხა და სანამ ატლი არ მოკვდა, ნაჯახი არ აუღია. მაშინ იგი თოროლვსფელისკენ გაემართა და მკვლელობის ამბავი განაცხადა, ამის მერე კი შინ დაბრუნდა და პალგერდს ყველაფერი უამბო. პალგერდმა კაცი გაგზავნა ბერგთორსპვალში და ბერგთორას შეუთვალა, კოლის მოკვლისთვის შური ნაძიებიაო. შემდეგ პალგერდმა კაცი გაგზავნა თინგზე და გუნარს ატლის მოკვლა ამცნო.

გუნარი ადგილიდან წამოდგა და კოლსკეგიც მიპყვა. კოლსკეგმა თქვა:

— ჯერ კიდევ ბევრ უბედურებას გადაუყრიან პალგერდის ნათესავები.

მერე ნიალთან წავიდნენ. გუნარმა თქვა:

— მოვედი, რომ ატლის მოკვლა შეგატყობინო.

მან მკვლელი დაასახელა.

— მინდა საზღაური შემოგთავაზო. შენ თვით გადაწყვიტე, რაც-დენი გადავისადო.

ნიალმა თქვა:

— მე და შენ კი შევთანხმდით, რომ არასოდეს წავიჩხუბებდით, მაგრამ მასზე მონურ საზღაურს მაინც ვერ დავნიშნავ.

გუნარმა ეს სამართლიანად მიიჩნია და ხელი გაუწოდა. ნიალმა თავისი მოწმეები დაასახელა და ერთმანეთში დაზავდნენ.

სკარპჰედინმა თქვა:

— პალგერდი ჩვენს სალსს სიბერით სიკვდილს აღარ აცლის.

გუნარმა მიუგო:

— დედაშენი ალბათ იტყვის, ვალს გადასდა უნდაო.

— დიახაც, — თქვა ნიალმა, — მაგგეარ საქმიანობას ჯერ კიდევ ბევრს მოვესწრებით.

ამის შემდეგ ნიალმა საზღაური ას ვერცხლად შეაფასა და გუ-ნარმა მაშინვე გადაისადა იგი. ზოგიერთ იქ მყოფს საზღაური ეგვე-რა, მაგრამ გუნარი განრისსდა და თქვა, სრული საზღაური ატლისე ნაკლებ გამბედავ სალსზეც გადაუსდიათო. ამის შემდეგ ისინი თინ-გიდან შინ დაბრუნდნენ. ბერგთორამ ფული რომ დაინასა, ნიალს უთხრა:

— ვსედავ, სიტყვის პატრონი ყოფილხარ. ასლა ჩემი ჯერია.

— ნუ გაირჯები, — თქვა ნიალმა, — ეგ საჭირო არ არის.

— მე მგონი, ჩემგან სსვა რამეს უფრო ელოდი, — უთხრა ბერგ-თორამ, — მაგრამ, დაე, შენებურად იყოს.

პალგერდმა გუნარს უთხრა:

— ნუთუ ასი ვერცხლი გადაისადე ატლის მოკვლისათვის და თა-ვისუფალ კაცად ჩათვალე იგი?

— თავისუფალი იყო კიდეც, — მიუგო გუნარმა, — მე ნიალის ხალსს საზღაურს ვერ დავუჭერ.

— კაცი ერთმანეთისაგან ვერ გამოგარჩევთ, — თქვა პალგერდ-მა, — ორთავენი ბრიყვები ხართ.

— მაგას დრო გვიჩვენებს, — თქვა გუნარმა.

ამის შემდეგ გუნარი კარგა ხანს ხმას არ სცემდა ცოლს, ვიდრე პალგერდი არ მოტყდა. მთელი წლის მანძილზე სიმშვიდე სუფევდა. ვაზაფხულზე ნიალს ახალი მუშები არ აუყვანია. დადგა ზაფხული და ხალხი თინგზე გაემგზავრა.

39

ერთ კაცს თორდი ერქვა, მეტსახელად აზატის ძე. მამამისს სიგტრიუგს ეძახდნენ. იგი ასგერდის აზატი იყო და მარკარფლიოტში ღაისრჩო. ამიტომ თორდი მას შემდეგ ნიალიანთა ცხოვრობდა. იგი სასელოვანი და მძლავრი კაცი იყო. ნიალის ყველა შვილი მან გაზარდა. მას შეუყვარდა გუდვინა, თოროლვის ასული, ნიალის ნათესავი. იგი ნიალის ოჯახს უვლიდა და ასლა ბავშვს ელოდებოდა.

ბერგთორამ თორდ აზატის ძეს ლაპარაკი ჩამოუგდო.

— უნდა წახვიდე და ბრუნიოლვი მოკლა.

— მკვლელობა ჩემი ხელობა როდია, — უთხრა თორდმა, — მაგრამ, თუ შენ გსურს, მაგ საქმეს გავაკეთებ.

— მსურს, — მიუგო ბერგთორამ.

ამის შემდეგ თორდი პლიდარენდისკენ გაემართა. აქ მან პალგერდს გამოუძახა და ჰკითხა, სად არისო ბრუნიოლვი.

— რა საქმე გაქვს მასთან? — ჰკითხა პალგერდმა.

— მინდა ვათქმევინო, სად დამალა ატლის გვამი. მითხრეს, ცუდად დაუმარხავსო.

პალგერდმა გზა უჩვენა და უთხრა, ბრუნიოლვი ქვეით, აკრატუნგშიაო.

— გაფრთხილდი, — უთხრა თორდმა, — რომ იმასაც იგივე არ დაემართოს, რაც ატლის მოუვიდა.

— კაცის მომკვლელი შენ არა ხარ, — მიუგო პალგერდმა, — და არც არაფერი მოხდება, თუ ერთმანეთს შესვდებით.

— ადამიანის სისხლი თვალით არ მინახავს და არ ვიცი, რა წამომიელის, როცა დავინახავ, — უთხრა თორდმა და ეზოდან აკრატუნგისკენ დაეშვა.

რანვეიგმა, გუნარის დედამ, ყური მოპკრა მათ საუბარს.

— შენ კი ლაჩარი უწოდე, პალგერდ, — თქვა მან — მაგრამ მე

გულად ვაუკაცად მიმაჩნია და შენი ნათესავიც ალბათ დარწმუნდება მაგაში.

ისინი თელილ ბილიკზე შეხვდნენ ერთმანეთს, ბრუნიოლვი და თორდი. თორდმა უთხრა:

— თავი დაიცავ, ბრუნიოლვ! არ მინდა მუსანათურად მოგექცე.

ბრუნიოლვმა ცხენი ზედ მიაგდო თორდს და ნაჯახი მოუქნია, მაგრამ თორდმა აუკრა, ნაჯახის ტარი ზედ ხელთან გადაუჭრა და ისე დაჰკრა ცული ბრუნიოლვს. ნაჯახი მკერდში მოხვდა და ტანში ჩაეფლო. ბრუნიოლვი ცხენიდან გადმოვარდა და იქვე მოკედა. თორდი პალგერდის მენახირეს შესვდა და განუცხადა, ბრუნიოლვი მოვკალიო. ისიც უთხრა, სად ეგდო მოკლული, და სთხოვა, პალგერდისთვის გადაეცა ბრუნიოლვის მოკვლის ამბავი. ამის შემდეგ იგი ბერგთორსპვალისკენ გაემართა და ბერგთორას და სხვებს უამბო, რაც მოხდა.

— დაილოცოს შენი მარჯვენა, — უთხრა ბერგთორამ.

მენახირემ პალგერდს მკვლელობის ამბავი შეატყობინა. პალგერდი გააფთრდა და თქვა, თუ ჩემი ნება არ აღსრულდა, ამას დიდი უბედურება მოჰყვებაო.

40

ახლა თინგამდეც მივიდა ეს ამბავი. ნიალმა ბრძანა, სამჯერ მოეთხროთ იგი მისთვის და შემდეგ თქვა:

— არ მეგონა, თუ ამდენი სალხი გაურევდა ხელს კაცის კვლაში.

სკარპედინმა თქვა:

— სულ ერთია, დიდი სნის სიცოცხლე აღარ ეწერა მაგ კაცს, მოკლულს ჩვენი გამზრდელისაგან, რომელსაც ადამიანის სისხლი თვალით არ ენახა. ბევრი, ვინც ჩვენი ხასიათი იცის, ჩვენ, ძმებს დაგვაბრალებს ამ საქმეს.

— დიდხანს ცდა არ დაგჭირდება, — უთხრა ნიალმა, — შენი ჯერიც მოვა. თვითონ საჭიროება მიგიყვანს მანამდე.

ამის შემდეგ მათ გუნარი მოძებნეს და მკვლელობის ამბავი მოუთხრეს. გუნარმა თქვა:

— დიდი არაფერი ზარალია. თუმცა თავისუფალი კაცი კი იყო.

ნიალმა მაშინვე შესთავაზა საზღაური. გუნარი დათანხმდა და თვითონვე იკისრა საზღაურის დანიშვნა. მან ასი ვერცხლი ითხოვა, ნიალმა იქვე გადაუსადა ფული და ამაზე მორიგდნენ.

41

ერთ კაცს სიგმუნდი ერქვა. მამამისი ლამბი იყო, სიგვატ წითურის ძე. ძალზე უყვარდა მოგზაურობა, თავაზიანი და შესახედავი კაცი იყო, ტანადი და მძლავრი, თან პატიოვმოყვარეც. კარგი სკალდი იყო და ბევრ რამეში დახელოვნებული. ამასთან შფოთიანი, ქილიკი, დაცინვის მოყვარული და ქედმაღალი გახლდათ. იგი აღმოსავლეთით დასასლდა, ჰორნაფიორდში. ერთი ამხანაგი ჰყავდა, სახელად სკიალდი, წარმოშობით შვედი და ძალზე უარშიო კაცი.

სიგმუნდი და სკიალდი ცხენებს მოასხდნენ, დასავლეთისკენ გაემართნენ და იქამდე იარეს, სანამ ფლიოტსპლიდში ჰლიდარენდს არ მიაღწიეს. გუნარი მათ კარგად შეხვდა. ის და სიგმუნდი ახლო ნათესავები იყვნენ. გუნარმა სიგმუნდს შესთავაზა ზამთარი მასთან გაეტარებინა. სიგმუნდმა უთხრა, თანასმა ვარ, თუ ჩემი ამხანაგი სკიალდიც ჩემთან ერთად იქნებაო.

— მითხრეს, — თქვა გუნარმა, — მასთან მეგობრობა თურმე მაინცდამაინც ვერ გიშოშმინებს გუნებას, შენ კი საფერებელი კაცი ხარ. თან არც აქ ცხოვრებაა იოლი და მინდა ორივეს გირჩიოთ, ჩემო მოყვარეე, რომ არ აპყეეთ ჩემი ცოლის — პალგერდის შეგულიანებას, რადგან იგი ბევრ ისეთ რამეს სჩადის, რაც დიდად არ მსიამოვნებს.

— რჩევის მოცემა დანაშაული როდია, — თქვა სიგმუნდმა.

— მაშინ ყურად იღე ჩემი რჩევა, — უთხრა გუნარმა, — ბევრი რამე შეგაცდენს, მაგრამ გვერდიდან ნუ მომშორდები და ისე მოიქეცი, როგორც დაგარიგო.

ამის შემდეგ ისინი გუნართან დარჩნენ. პალგერდი სიგმუნდს კარგად ეპყრობოდა, და თანდათან მათი მეგობრობა ისე განმტკიცდა, რომ ქალი საჩუქრებს აძლევდა და ქმარზე ნაკლებ როდი ევლებოდა თავს. ბევრს თვალში არ მოსდიოდა ეს ამბავი და ვერ გაეგო, რა ხდებოდა.

პალგერდმა გუნარს უთხრა:

— ვერ ვისვენებ, რომ ბრუნიოლვისათვის, რომელიც ნათესავად მერგებოდა, სულ რაღაც ასი ვერცხლი აიღე. თუ შეეძელი, შურს ვიძიებ მისთვის, — თქვა მან.

გუნარმა უთხრა, შენთან დავას არ ვაპირებო, და წავიდა. კოლსკეგი მოძებნა და უთხრა:

— გაემგზავრე, ნიალი მოძებნე და უთხარი, თორდი გააფრთხილოს, რადგან, საზღაური კი გადახდილია, მაგრამ არა მგონია ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდეს.

კოლსკეგი გაემგზავრა და ნიალს გუნარის დანაბარები გადასცა, ნიალმა კი თორდს უთხრა ყველაფერი. ნიალმა მადლობა გადაუხადა კოლსკეგს და ისიც უკან გაბრუნდა.

ერთხელ ისე მოსდა, რომ ნიალი და თორდი ეზოში ისხდნენ. იქ, მდელოზე, ჩვეულებრივ, თხა დადოდა. არავის პქონდა მისი გაძეეების უფლება.

— უცნაურია, — თქვა თორდმა.

— რა არის უცნაური? — ჰკითხა ნიალმა.

— ისე მეჩვენება, თითქოს თხა აქ, ქვაფენილზე იწვეს და სისხლში ცურავდეს.

ნიალმა უთხრა, მანდ არავითარი თხა არ არისო.

— მაშ ეს რა არის? — ჰკითხა თორდმა.

— ალბათ უკვე განწირული ხარ, — უთხრა ნიალმა, — და შენს ორეულ სულსა ჰხედავ. უნდა გაფრთხილდე!

— ვერაფერი მიშველის, — თქვა თორდმა, — თუ სიკვდილი მიწერია.

ჰალგერდმა ლაპარაკი ჩამოუგდო თრაინ სიგფუსის ძეს და უთხრა:

— კარგ ნათესაობას გამიწევ, თუ მოპკლავ თორდ აზატის ძეს.

— არა, მაგას არ ვიზამ, — უთხრა თრაინმა, — რადგან ჩემი ნათესავის, გუნარის რისხვას დავიტეს თავს. გარდა მაგისა, ეგ მკვლელობა კარგს არაფერს მოგვიტანს, რადგანაც მაშინვე შურს იძიებენ ჩვენზე.

— ვინ იძიებს შურს? — ჰკითხა ჰალგერდმა, — ის ქოსა სომ არა?

— არა, ის არა, — მიუგო თრაინმა, — მისი შვილები.

ამის შემდეგ ისინი დიდსანს ლაპარაკობდნენ ხმადაბლა და არავინ იცის, რაზე ჰქონდათ საუბარი.

ერთხელ ისე მოსდა, რომ გუნარი სასლიდან წავიდა. შინ სიგმუნდი და მისი ამხანაგი დარჩნენ. გრიოტიდან თრაინი ჩამოვიდა. ყველანი პალგერდთან ერთად სახლის წინ ისხდნენ და მუსაიფობდნენ. მაშინ პალგერდმა თქვა:

— სიგმუნდმა და მისმა ამხანაგმა სკიალდმა აღმითქვეს თორდ აზატის ძის მოკვლა, შენ კი, თრაინ, შემპირდი, რომ ამ ამბავს დაესწრები.

ყველამ თანხმობა თქვა.

— მაშინ გეტყვით, როგორც უნდა მოიქცეთ, — თქვა პალგერდმა, — გაემგზავრეთ აღმოსავლეთისაკენ, პორნაფიორდში, თქვენს საქონელს მისედეთ და შინ მხოლოდ თინგის დაწყების შემდეგ დაბრუნდით, თორემ, თუ სასლში იქნებით, გუნარი თინგზე თქვენს წაყოლას მოინდომებს. ნიალი, მისი ვაჟები და გუნარი თინგზე იქნებიან და მაშინ მოჰკლავთ კიდეც თორდს.

ისინი დათანხმდნენ, აგრე ვიქმთო. შემდეგ აღმოსავლეთისკენ, ფიორდისკენ წასასვლელად იწყეს მზადება და გუნარს ეჭვი არაფერზე არ აუღია.

გუნარი თინგზე გაემგზავრა. ნიალმა თორდ აზატის ძე აღმოსავლეთისკენ გაგზავნა, ეიაფიალის მთის ძირში, და უთხრა, იქ ერთ ღამეზე მეტ ხანს ნუ დაპყოფო. თორდი გაემგზავრა აღმოსავლეთში, მაგრამ, უკან რომ ბრუნდებოდა, მდინარეზე გადმოსვლა ვერ შეძლო, რადგან წყალი ისე მოდიდებულიყო, რომ ცხენითაც კი შეუძლებელი იყო მისი გადალახვა. ნიალმა ერთ ღამეს მოუცადა, რადგან თინგზე მასთან ერთად სურდა წასვლა. მან ბერგთორას უთხრა, თორდი თინგზე გამოგზავნე, როცა მობრუნდებაო. ორი ღამის მერე თორდი დაბრუნდა. ბერგთორამ უთხრა, თინგზე წასულიყო.

— მაგრამ, — დაუმატა ამან, — ჯერ თოროლვსფელში წადი და იქაურობას მიხედე. ერთ ან ორ ღამეზე მეტს ნუ გაჩერდები.

42

მაშინ სიგმუნდი და მისი ამხანაგი აღმოსავლეთიდან დაბრუნდნენ. პალგერდმა უთხრა, თორდი შინ არის, მაგრამ ამ დღეებში თინგზე უნდა გაემგზავროსო.

— ბარემ შემოსვევაც გეძლევათ, — განაგრძო მან, — მაგრამ თუ ვერ გამოიყენებთ, ასეთი შესაძლებლობა მეტი აღარ გექნებათ.

ჰლიდარენდში ვიღაცები მოვიდნენ თორლვსფელიდან და პალგერდს უთხრეს, თორდი იქ არისო. პალგერდი თრაინ სიგფუსის ძესთან მივიდა და უთხრა:

— თორდი თორლვსფელში ყოფილა ღა როცა შინისკენ გამოეშურება, თავს უნდა დაესხათ და მოკლათ.

— აგრეც მოვიქცევით, — თქვა სიგმუნდმა.

სახლიდან გამოვიდნენ, იარაღი აისხეს, ცხენები წაიყვანეს და იმ გზას დაადგნენ, რომლითაც თორდს უნდა გამოევლო. სიგმუნდმა თრაინს უთხრა:

— შენ ნუ გაერევი ამ საქმეში, ჩვენ უშენოდაც გაეუსწორდებით.

— კეთილი, — მიუგო თრაინმა.

ცოტა ხნის შემდეგ თორდიც მოახლოვდა და სიგმუნდმა უთხრა:

— დაგვნებდი. შენ ახლავე მოკვდები.

— არ დაგნებდებით, — მიუგო თორდმა, — მოდი, მე და შენ შეებრძოლოთ ერთმანეთს.

— ეგ არ მოსდება, — მიუგო სიგმუნდმა, — ჩვენ მეტნი ვართ და ამით ვისარგებლებთ კიდეც. არ მიკვირს, შენი აღზრდილი სკარპედინი რომ გულადი ვაჟკაცია. ტყუილად როდი უთქვამთ, ნაყოფი ხესთან ახლოს ეცემაო.

— მაგასაც შეიტყობ, — მიუგო თორდმა, — რადგან სკარპედინი ჩემთვის შურს იძიებს.

ამის შემდეგ ისინი თავს დაესხნენ თორდს და იგი ისე ვაჟკაცურად იცავდა თავს, რომ ორივეს შუბის ტარები გადაუმტვრია. მაშინ სკიალდმა მას ხელი მოპკვეთა და ერთსანს თორდი ცალი ხელით იბრძოდა, სანამ სიგმუნდმა შუბით არ განგმირა. თორდი მკვდარი დაეცა მიწაზე. ზედ ქვა და ღორღი დააყარეს. თრაინმა თქვა:

— ცუდი საქმე ჩავიდინეთ. ნიალის შვილები ძალზე იწყენენ, როცა ამ მკვლელობის ამბავს შეიტყობენ.

ისინი შინისკენ გამოემართნენ და პალგერდს უამბეს, რაც მოხდა. იმანაც დიდად გაიხარა. მაგრამ რანვეიგმა, გუნარის დედამ, თქვა:

— ნათქვამია, მკლავს დიდსანს არ შერჩება შემონაკრავიო. ახლაც ეგრე იქნება. თუმცა გუნარი ამჯერად კი ვამოგიხსნის, მაგ-

რამ თუ ჰალგერდი ამგვარ საქმეს კიდევ ჩაგადენინებს, ცოცხალი ვეღარ გადარჩები.

ჰალგერდმა კაცი გაგზავნა ბერგთორსპვალში და მკვლელობის ამბავი აამბობინა, მეორე კაცის პირით კი თინგზე გუნარს შეუთვალა, რაც მოხდა. ბერგთორამ თქვა, უქმად არ დავსარჯავ სიტყვებს ჰალგერდის სალანძღავად, რადგან ასეთი საქმისთვის შურისძიება ეგრე არ უნდაო.

43

როდესაც თინგზე გაგზავნილმა კაცმა გუნარს მკვლელობის ამბავი ამცნო, მან თქვა:

— ცუდი ამბავია. ამაზე უარესს ალბათ ვერაფერს მოვისმენდი. ახლავე უნდა წავიდეთ ნიალთან და იმედი მაქვს, დიდსულოვნებას გამოიჩენს, თუმცა მაგარი თავშეკავება კი დასჭირდება.

ისინი ნიალთან გაემგზავრნენ და მოსალაპარაკებლად გამოუძახეს. იგი მაშინვე გამოვიდა გუნარის შესასვედრად და ლაპარაკი გაბეს. დასაწყისში მათთან არავინ ყოფილა, გარდა კოლსკეგისა.

— სამწუხარო ამბავი უნდა გამცნო, — უთხრა გუნარმა, — თორდ აზატის ძე მოკლეს. შენ თვითონ დანიშნე საზღაური მასზე.

ნიალმა მცირე ხანს იყუჩა და შემდეგ თქვა:

— კარგი, დავნიშნავ საზღაურს. მაგრამ შეიძლება ისიც მოხდეს, რომ ცოლმა და შვილებმა საყვედურით ამავსონ, რადგან ძალზე არასასიამოვნოდ დაურჩებათ ეგ ამბავი. მაგრამ მაინც გავბედავ ამ ნაბიჯის გადადგმას, რადგან, ვიცი, პატიოსან კაცთან მაქვს საქმე. გარდა ამისა, არ მინდა, ჩემი მიზეზით ბოლო მოეღოს ჩვენს მეგობრობას.

— არ გინდა შენი შვილებიც დაესწრონ ჩვენს ლაპარაკს? — ჰკითხა გუნარმა.

— არა, — მიუგო ნიალმა,—ისინი ჩემს სიტყვას არ გადაევლენ. აქ რომ იყვნენ, შეიძლება ხელი შეგვიშალონ შერიგებაში.

— კარგი, — თქვა გუნარმა, — მაშინ მარტო შენ მიიღე საზღაური.

ერთმანეთს ხელი მისცეს და უცბად მორიგდნენ. ნიალმა თქვა:

— ძე ვნიშნავ ორას ვერცხლს. დიდ თანხად ხომ არ მიგაჩნია?

— ჩემი აზრით, სულაც არ არის ბევრი, — მიუგო გუნარმა და სადგომს მიმართა.

ნიალის ვაჟები კი შინ დაბრუნდნენ და სკარპედინმა პკითხა მამას, საიდანა გაქვს ამდენი ფულიო. ნიალმა თქვა:

— მაშ, იცოდეთ: თორდი, თქვენი აღმზრდელი, მოკლულია, მე და გუნარი შევრიგდით და მან ორმაგი საზღაური გაღამისადა.

— ვინ მოპკლა? — პკითხა სკარპედინმა.

— სიგმუნდმა და სკიალდმა, თრაინიც იქ იყო, — თქვა ნიალმა.

— ბევრი ხალხი დასჭირვებიათ მაგ საქმისოვის, — თქვა სკარპედინმა, — ჩვენ როდისღა უნდა დაგვიდგეს ის დღე, როცა იარაღს აღვმართავთ?

— მალე, — თქვა ნიალმა, — და მაშინ წინ აღარავინ გადაგიდგებათ. ჯერჯერობით კი არ მინდა ჩემი სიტყვა გატეხოთ.

— არ გავტეხავთ, — თქვა სკარპედინმა, — მაგრამ თუ ჩვენს შორის კიდევ მოსდა რამე, მაშინ ძველ წყენასაც გაიხსენებთ.

— მაშინ აღარც მე შეგიშლით ხელს, — თქვა ნიალმა.

44

აგერ, ხალხი თინგიდან სასლებში წავიდ-წამოვიდა. როდესაც გუნარი შინ დაბრუნდა, სიგმუნდს უთხრა:

— შენ უფრო უიღბლო ყოფილხარ, ვიდრე მე მეგონა, და მაგ შენს უნარსაც შენსავ ჭირად იყენებ. ახლა კი გადავისადე საზღაური, მაგრამ მეტი აღარ წამოეგო ანკესს. შენ მე არ მგავხარ. ხშირად დასცინი და აბუჩად იგდებ ხალხს. ჩემი ზნე სულ სხვაგვარია. შენ იმიტომაც მეგობრობ პალგერდთან, რომ ბევრი რამ გაქვთ საერთო.

გუნარი დიდსანს საყვედურობდა, მაგრამ სიგმუნდი თავაზიანად პასუხობდა და შეპპირდა, ამას იქით უფრო დავიჯერებო შენს რჩევას. გუნარმა უთხრა, მაშინ ყველაფერი კარგად იქნებაო.

გუნარი და ნიალი ერთმანეთთან კვლავ მეგობრობდნენ, მაგრამ მათი შინაურები ერთმანეთს ალმაცერად უყურებდნენ.

ერთხელ ისე მოსდა, რომ ჰლიდარენდში ბერგთორსპვალიდან მთსოვარა დედაკაცები მოვიდნენ. ძალზე ლაქლაქა და ავენანი იყვნენ. ჰალგერდს ერთი სასლი ჰქონდა, სადაც დედაკაცები ხელსაქმობდნენ ხოლმე. ჰალგერდი იქ ხშირად იჯდა. ახლაც მასთან ერთად

იყვნენ თორგერდი, მისი ასული, თრაინი, სიგმუნდი და მრავალი ქალი. არც გუნარი, არც კოლსკეგი იქ არ ყოფილან. მათხოვრები შინ შევიდნენ, პალგერდი მიესალმა, ბრძანა მათთვის ადგილი მიეჩინათ და პკითხა, სად გაათიეთო ღამე. იმათ უთხრეს, ბერგთორს-პვალშიო.

— ნიალი რაღას იქმოდა? — პკითხა პალგერდმა.

— ცდილობდა მშვიდად მჯდარიყო, — მიუგეს მათხოვრებმა.

— ნიალის შვილები რას აკეთებდნენ? — პკითხა პალგერდმა, — იმათ ხომ დიდად მოაქვთ თავი.

— სიმაღლე დიდი აქვთ, მაგრამ ჭკუა კი მოკლე, — თქვეს მათხოვრებმა, — სკარპედინი ნაჯახს ლესავდა, გრიმი შუბის ტარს აკეთებდა, პელგი ხმლის ვადას, და პასკულდი კი ფარს სასელურს ურგებდა.

— ალბათ დიდი რამ საქმე განუზრახავთ, — თქვა პალგერდმა.

— ეგ არ ვიცით, — მიუგეს მათხოვრებმა.

— ნიალის მუშები რას შვრებოდნენ? — პკითხა პალგერდმა.

— სხვები რას აკეთებდნენ არ ვიცით, ერთი კი ნაკელს ეზიდებოდა გორაკებზე.

— რისთვის? — პკითხა პალგერდმა.

— ეგრე გვითხრა, აქ უფრო საჭიროა მიწის კარგად გაპოხიერება, ვიდრე სხვაგანო, — თქვეს მათხოვრებმა.

— სამაგისო ჭკუა ვინ მისცა ნიალს, — თქვა პალგერდმა, — თუმცა ყველას რჩევა-დარიგებას აძლევს.

— ვითომ რათაო? — პკითხეს მათხოვრებმა.

— ასლავე დაგიმტკიცებთ, — თქვა პალგერდმა, — რატომ თავის სახეზე არ წაისვამს ნაკელს, რომ სხვებს დაემგვანოს? მოდი, ქოსა დავუძახოთ, მის შვილებს კი ნაკელწვერაები. აბა, ერთი შაირი გამოუთქვი, სიგმუნდ. დაგვანახვე, რომ სკალდი ხარ.

— მზად გასლავარ, — მიუგო სიგმუნდმა და იქვე გამოთქვა შაირი, რომელიც ღვარძლით იყო აღსავსე.

— ყოჩაღ, — უთხრა პალგერდმა, — რომ ჩემს თხოვნას ასრულებ.

ამ დროს გუნარი შემოვიდა. იგი კართან იყო მომდგარი და ყველაფერი გაიგონა. ყველა შეკრთა, როცა იგი შემოსული დაინახეს და ხმა ჩაიკმინდეს, თუმცა მანამდე ერთი სორხოცი იდგა. გუნარი ძალზე გულმოსული იყო და სიგმუნდს უთხრა:

— ბრიყვი ყოფილხარ და არც ღირს შენთვის რჩევის მოცემა, რაკი აგრე თათხავ ნიალის შვილებს. უფრო მეტიც, თავად მასაც, და ეს სდება იმის შემდეგ, რაც შენ მათ გაუკეთე. იცოდე, ეგ სიცოცხლის ფასად დაგიჯდება. თუ კიდევ ვინმე გაბედავს და მათ დასცინებს, აქედან გავაგდებ და თავს ჩემს რისხვას დავატეს.

ყველას ისე ეშინოდა მისი, რომ ვერავინ გაბედა ნიალის დაცინვა. მაშინ გუნარი წავიდა.

მთხოვარა დედაკაცებმა ერთმანეთში მოითათბირეს და გადაწყვიტეს, ბერგთორა კარგად დაგვასაჩუქრებს, თუ ვეტყვით, რაც გავიგონეთო. შემდეგ იქით გაემართნენ და, შეკითხვისათვის აღარ დაუცდიათ, ისე უამბეს ბერგთორას ყველაფერი, რისთვისაც ყური მოეკრათ.

როდესაც მამაკაცები მაგიდას უსხდნენ, ბერგთორამ თქვა:

— თქვენთვის საჩუქრები მოურთმევიათ, მამა-შვილნო, და სირცხვილი იქნება თუ სამაგიეროს არ გადაუხდით.

— რა საჩუქრებია? — იკითხა სკარპედინმა.

— თქვენ, ჩემს ვაუებს, ერთი საერთო ძღვენი მოგართვეს. თქვენთვის ნაკელწვერაები უწოდებიათ, ჩემი ქმრისთვის კი — ქოსა.

— ჩვენ დიაცები არა ვართ, — თქვა სკარპედინმა, — რომ მაგისთანა წვრილმანებზე გავწყრეთ.

— სამაგიეროდ თქვენს ნაცვლად გუნარი გაწყრა, — თქვა ბერგთორამ, — მას კი დარბაისელ კაცად თვლიან. თუ თქვენ მაგ შეურაცხყოფას მოითმენთ, ვეღარასოდეს სირცხვილს ვეღარ ჩამოირეცხთ.

— ჩვენს დედაბერს გაგულიანება უყვარს, — თქვა სკარპედინმა და ჩაიცინა, მაგრამ შუბლზე ოფლმა დაასხა, ლოყები შეუფაკლდა. ეს პირველად დაემართა. გრიმი დუმდა და ტუჩს იკვნეტდა. ჰელგი ისე იჯდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. პასკულდი ბერგთორას გაჰყვა, მაგრამ ბერგთორა უკან შემობრუნდა გაალმასებული. ნიალმა თქვა:

— შორი გზით შემოუარე, შინ მშვიდობით მიდიო, ნათქვამია, ქალო. შურისძიების საქმეც ხომ ასეა: ის, რაც ერთისთვის სამართლიანია, მეორისთვის პირიქით არის.

საღამოს კი, როდესაც ნიალი საწოლში იწვა, გაიგონა, რომ ვიღაცამ კედლიდან ნაჯახი ჩამოიღო, ნაჯახმა ხმამაღლა გაიჟღარუნა.

იმ პატარა ოთახში, ჩვეულებრივ, ფარები ეკიდა. და აპა, სედავს ნიალი, ფარები აღარ არის ადგილზე. ნიალი ეკითხება:

— ვინ ჩამოხსნა ჩვენი ფარები?

— შენი ვაუები გავიდნენ ფარებით, — მიუგო ბერგთორამ.

ნიალი მაშინვე ეზოში გავიდა და სახლს მეორე მხრიდან მოუარა. ხედავს, მისი ვაუები ფერდობს შესდგომიან. ეკითხება:

— საით გაგიწევიათ, სკარპედინ?

— შენი ცხვრების საძებრად.

ნიალი ეუბნება:

— ეგრე არ შეიარაღდებოდით, მართლა ცხვრის საძებრად რომ მიდიოდეთ; ალბათ სხვა საქმე ჩაგიდვიათ გულში.

— ორაგულის დასაჭერად მივდივართ, მამაჩემო!

— თუ მართლა ეგრეა, გისურვებთ, ხელიდან არ გაგეშვათ.

ისინი წავიდნენ, ნიალი კი შინ შებრუნდა და ბერგთორას უთხრა:

— შენი შვილები იყვნენ იარაღასხმულნი. ალბათ შენ შეაგულიანე რამეზე.

— მე მათ გულითად მადლობას მოვახსენებ, თუ სიგმუნდის მოკვლის ამბავს მომიტანენ.

45

აგერ, ნიალის ვაუები ფლიოტსპლიდთან მივიდნენ, მთის ძირში გაათიეს ღამე, და, როცა გათენდა, ჰლიდარენდისკენ გაემართნენ. ამავე დილას სიგმუნდი და სკიალდი წამოდგნენ და საჯიშე ცხენების მოსაყვანად დააპირეს წასვლა. თან რამდენიმე ლაგამი წაიღეს, მდელოზე ცხენები დაიჭირეს, მოასხდნენ და გაემგზავრნენ. საჯიშე ცხენები ორ რუს შუა ნახეს. სკარპედინმა ისინი დაინახა, რადგან სიგმუნდს წითელი წამოსასხამი ეხურა. სკარპედინმა იკითხა:

— პსედავთ იმ წითელ საფრთხობელას?

იმათაც შეხედეს და თქვეს, ვსედავთო. სკარპედინმა კვლავ მიმართა მათ:

— ჰასკულდ, შენ აქ დარჩი, ნუ ჩაგვერევი, თორემ ამ ადგილებში ხშირად გიწევს მარტო სიარული. მე სიგმუნდს დავიტოვებ ჩემთვის, ეს უფრო ვაუკაცის შესაფერი იქნება, თქვენ კი, გრიმ და ჰელგი, სკიალდი მოკალით.

პასკულღი მიწაზე დაჯდა, დანარჩენები კი იმ ორისაკენ გაეშურნენ. სკარპედინმა სიგმუნდს უთხრა:

— აიღე იარაღი და თავი დაიცავი! ახლა ეგ უფრო გჭირდება, ვიდრე ლექსებით ჩემი და ჩემი ძმების გამასსარავება!

სიგმუნდმა იარაღს წამოავლო სელი, სკარპედინი კი ელოდა. სკიალდი გრიმსა და პელგის შეება და გაჩაღდა ბრძოლა..სიგმუნდს თავზე ჩაჩქანი ესურა, ქამარზე მასვილი ეკიდა, სელში ფარი და შუბი ეპყრა. იგი სკარპედინს მივარდა, მაშინვე შუბი აძგერა და ფარში მოარტყა. სკარპედინმა შუბის ტარი გადაუჭრა, ნაჯახი აღმართა და სიგმუნდს შუამდე გაუპო ფარი. სიგმუნდმა სკარპედინს მასვილი პკრა და ფარში მოახვედრა ისე, რომ მასვილი შიგ გაეხირა. სკარპედინმა ისეთი ძალით გამოპკრა ფარი, რომ სიგმუნდმა მახვილს ხელი უშვა. სკარპედინმა სიგმუნდს ნაჯახი დაპკრა. სიგმუნდს ტყავის ჯავშანი ეცვა, მაგრამ ნაჯახი მხარში მოხვდა და ბეჭის ძვალი გაუხეთქა. სკარპედინმა ნაჯახი თავისკენ მოქაჩა და სიგმუნდი მუსლებზე დაეცა, მაგრამ მაშინვე ფეხზე წამოხტა.

— შენ ჩემს წინაშე მუსლებზე დაეცი, — უთხრა სკარპედინმა,— მაგრამ ვიდრე მე და შენ ერთმანეთს დავცილდებით, გაგათავებ კიდეც.

— მაშ ჩემი საქმე ცუდად ყოფილა, — თქვა სიგმუნდმა.

სკარპედინმა ჩაჩქანზე დაპკრა, შემდეგ კი სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა.

გრიმმა სკიალდს ტერფი მოპკვეთა, პელგიმ კი შუბით განგმირა, და იგი წამსვე მოკვდა.

-სკარპედინმა პალგერდის მწყემსი დაინახა. მან სიგმუნდს თავი მოსჭრა, მწყემსს მისცა და სთხოვა, პალგერდისთვის მიეტანა, თან უთხრა:

— ნასოს ეს თავი, ალბათ იცნობს, ეგ იყო თუ არა, ჩვენზე დამცინავ ლექსებს რომ თხზავდა.

როგორც კი გასცილდნენ, მწყემსმა მაშინვე თავი ძირს დააგდო, რადგან მათი თანდასწრებით ამის გაკეთება ვერ გაბედა. ძმებმა იარეს, ვიდრე მარკარფლიოტთან ხალხს არ შეხვდნენ. უამბეს, რაც მოსდა. სკარპედინმა ვანაცხადა, რომ მან სიგმუნდი მოკლა, გრიმმა და პელგიმ კი — სკიალდი. შემდეგ ისინი შინისკენ გაემართნენ და ნიალს უამბეს, რაც მოსდა. ნიალმა ასე უთხრა:

— ბედიმც ნუ მოპკლებია თქვენს მარჯვენას! აქ კი ჩვენ აღარავინ დაგვანიშნინებს საზღაურს.

ახლა ის უნდა ითქვას, თუ როგორ დაბრუნდა მწყემსი ჰლიდარენდში. მან ჰალგერდს უამბო, რაც მოსდა.

— სკარპედინმა სელებში შემომაჩეჩა სიგმუნდის თავი და მთხოვა შენთვის მომეტანა, მაგრამ ვერ გავბედე, რადგან არ ვიცოდი, როგორ შეხვდებოდი ამ ამბავს, — თქვა მან.

— ცუდად მოქცეულხარ, რომ არ მოიტანე, — უთხრა ჰალგერდმა, — მე მას გუნარს მივცემდი, რათა შური ეძია თავისი ნათესავისთვის ან ქვეყნის სამახსრო გამსდარიყო.

შემდეგ იგი გუნართან მივიდა და უთხრა:

— იცოდე, რომ სიგმუნდი, შენი ნათესავი, მოკლულია. სკარპედინმა მოკლა და თავს მე მიგზავნიდა თურმე.

— სწორედ ეგ იყო მოსალოდნელი, — თქვა გუნარმა, — რასაც დასთეს, იმას მოიმკი. შენ და სკარპედინმა კი ერთმანეთს დიდი ვნება მოუტანეთ.

და გუნარი წავიდა. მას არ წამოუწყია დავა მკვლელობის თაობაზე და არც ნაბიჯი გადაუდგამს რაიმე. ჰალგერდი ხშირად ახსენებდა, რომ სიგმუნდისათვის საზღაური გადასდილი არ იყო, მაგრამ გუნარი ყურს არ ათხოვებდა მის ნათქვამს.

სამმა თინგმა ისე ჩაიარა, სალხს ეგონა გუნარი დავას წამოიწყებსო. მერე კი ერთი ძნელი საქმე შეემთხვა, რომლისთვისაც არ იცოდა, როგორ შემოევლო. იგი ნიალთან გაეშურა. ნიალი გუნარს ძალზე კარგად შესვდა. გუნარმა ნიალს უთხრა:

— შენთან იმიტომ მოვედი, რომ მინდა რჩევა გკითხო ერთ ძნელ საქმეში.

— შენ ღირსეული კაცი ხარ, — უთხრა ნიალმა და ურჩია როგორ მოქცეულიყო.

გუნარი ადგა და მადლობა გადაუხადა. მაშინ ნიალმა გუნარს სელი მოპკიდა და უთხრა:

— დიდი სანია შენი ნათესავის სიგმუნდის საზღაურის გადახდა მმართებს.

— საზღაური უკვე გადასდილი გაქვს, — მიუგო გუნარმა, — მაგრამ მე უარს არ ვიტყვი, თუ საპატიო წინადადებას შემომთავაზებ.

გუნარს არასოდეს აუგად არ უსსენებია ნიალის ვაჟები. ნიალს სურდა გუნარს თვით დაენიშნა საზღაური. გუნარმა ორასი ვერცსლი მოითხოვა, სკიალდი კი სათვალაეში არ ჩაუგდია. ნიალმა მაშინვე მთლიანად გადაიხადა თანსა.

გუნარმა თინგსკალართან გამართულ თინგზე გამოაცხადა ნიალთან შერიგება, როდესაც ხალხმა ბლომად მოიყარა თავი. ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ მოხდა შერიგება, და აგრეთვე იმ ღვარძლიან სიტყვებზე, რომლებიც სიგმუნდს სიცოცხლის ფასად დაუჯდა, და ისურვა აღარავის გაემეორებინა ისინი. ოუკი ვინმე მაინც გაიმეორებს ამ სიტყვებს, თავის თავს დააბრალოს რაც დაემართებაო.

გუნარმა და ნიალმა ერთმანეთს სიტყვა მისცეს, რომ არაფერს ჩაიდენდნენ ისეთს, რაც მათ შორის შუღლს ჩამოაგდებდა. ასეც მოხდა, ეს აღთქმა არასოდეს დაურღვევიათ და სამუდამო მეგობრებად დარჩნენ.

46

ერიო კაცს გიცურ თეთრი ერქვა. მისი მამა იყო ტეიტი, მოსფელელი ბებერი კეთილბიარნის ძე. გიცურის დედას ალოვს ეძახდნენ. იგი იყო ასული ჰერსირ ბადვარისა, ვიკინგ-კარის ძისა. გიცური იყო მამა ეპისკოპოს ისლეივისა. ტეიტის დედა, ჰელგა, იყო ასული თორდ წვეროსანისა, შვილიშვილი ჰრაპისა, შვილიშვილის შვილი ბიარნ სარისფესასი. გიცურ თეთრის კარ-მიდამოს მოსფელს უწოდებდნენ. იგი სახელოვანი ჰავდინგი იყო.

ამ საგაში ლაპარაკი იქნება კიდევ ერთ კაცზე, რომელსაც გეირ გოდის ეძახდნენ. დედამისი, თორკატლა, იყო ასული მოსფელელ ბებერ კეთილბიარნისა. გეირის კარ-მიდამოს ერქვა ჰლიდი. ის და გიცური ყველაფერში ეხმარებოდნენ ერთმანეთს.

იმ დროს ჰოვში, მდინარე რანგის ველზე ცხოვრობდა მორდი, ვალგარდის ძე. ეს იყო ცბიერი და მზაკვარი კაცი. მამამისი ვალგარდი მაშინ წასული იყო ისლანდიიდან, დედა კი ცოცხალი აღარ ჰყავდა. მას შურდა გუნარ ჰლიდარენდელისა. მდიდარი იყო, მაგრამ არავინ მეგობრობდა მასთან.

ერთ კაცს ოტკელი ერქვა. მისი მამა იყო სკარვი, ძე ჰალკელისა, რომელიც გრიმს შეერკინა გრიმსნესში და სძლია კიდეც ორთაბრძოლაში. ჰალკელი და კეთილბიარნ ბებერი ძმები იყვნენ. ოტკელის კარ-მიდამოს კირკიუბერს უწოდებდნენ. მის ცოლს თორგერდი ერქვა. მამამისი იყო მარი, ძე ბრანდოლვისა, შვილიშვილი ნადოდ ფარერელისა. ოტკელი შეძლებული კაცი იყო. მის შვილს თორგეირი ერქვა. ასაკით ყმაწვილი იყო, მაგრამ ჭკუა კი მოსდევდა.

ერთ კაცს სკამკელი ერქვა. მის სასლ-კარსაც ჰოვს უწოდებდნენ. იგი მდიდარი, მაგრამ ცრუ, უტეხი და არჯალი კაცი იყო. ოტკელთან მეგობრობდა. ოტკელის ძმას ჰალკელი ერქვა. ასოვანი და ღონიერი კაცი იყო და ოტკელთან ცხოვრობდა. მათ ძმა ჰყავდათ, სახელად ჰალბიარნ თეთრი. მან ისლანდიაში ერთი მონა ჩამოიყვანა, სახელად მელკოლვი. იგი ირლანდიელი იყო და ყველას ეჯავრებოდა. ჰალბიარნი ოტკელთან გაემგზავრა მასთან დასარჩენად და მელკოლვიც თან იახლა. მონას არაერთხელ უთქვამს, ნეტავ ჩემი ბატონი ოტკელი იყოსო. ოტკელი მას ტკბილად შესვდა და დანა, ქამარი და ტანსაცმელი აჩუქა. მონაც ყველაფერს უკეთებდა, რასაც იგი მოისურვებდა. ოტკელმა ძმას სთხოვა, ეგ მონა მომყიდეო. ძმამ უთხრა, დაგითმობ, მაგრამ დიდი არაფერი შვილია, შენ რომ გგონიაო. როგორც კი მონამ ოტკელთან გადაინაცვლა, მუშაობას სულ უფრო და უფრო უკლო. ოტკელი ხშირად შესჩიოდა ჰალბიარნს, ეს მონა რაღაც ცუდად მუშაობსო. ჰალბიარნი პასუხობდა, სიზანტე ყველაზე უარესი თვისება როდიაო მაგისი.

იმ წელს მოუსავლიანობა იყო, ისე რომ სალხს სურსათ-სანოვაგე არ ჰყოფნიდა და მთელი ისლანდია ცუდ დღეში ჩავარდა. გუნარი ბეცრს უნაწილებდა თივასა და სანოვაგეს. არავის ეუბნებოდა უარს და ყველას ესმარებოდა, ვიდრე ხელი გაუწვდებოდა. მაგრამ საქმე ისე დატრიალდა, რომ გუნარს აღარ ეყო თივა და სანოვაგე. მაშინ გუნარმა კოლსკეგს, თრაინ სიგფუსის ძეს და ლამბი სიგურდის ძეს უბრძანა, თან გაჰყოლოდნენ. ისინი კირკიუბერში მივიდნენ და ოტკელს გამოუძახეს. ოტკელმა კარგად მიიღო. გუნარმა თქვა:

— მე მოვედი, რომ გთხოვო, მომყიდო თივა და სანოვაგე, თუ გაქვს.

ოტკელმა უთხრა:

— ერთიცა მაქვს და მეორეც, მაგრამ არაფერს მოგყიდი.

— მაშინ იქნება ისე მომცე, — ეუბნება ვუნარი, — და დამაცადო, სანამ გადაგიხდი პატივისცემას?

— არც მაგას ვიზამ, — უპასუხა ოტკელმა.

მთელი ამ სნის განმავლობაში მას სკამკელი აგულიანებდა გუნარის წინააღმდეგ.

მაშინ თრაინ სიგფუსის ძემ თქვა:

— ავდგეთ და ავიღოთ, რაც გვჭირდება, და სამაგიეროდ ფული დავუტოვოთ.

სკამკელმა თქვა:

— ცუდად პქონიათ მოსფელელთ საქმე, თუ სიგფუსის ძენი მათ გაძარცვას უპირებენ.

— მე ძარცვას არ ვაპირებ, — თქვა გუნარმა.

— იქნება მონა იყიდო ჩემგან? — პკითხა ოტკელმა.

— მაგაზე უკან არ დავიხევ, — მიუგო გუნარმა.

ამის შემდეგ გუნარმა მონა იყიდა და წავიდა.

ნიალმა შეიტყო, რაც მოსდა, და თქვა:

— ცუდი ამბავია, რომ გუნარს არ მიპყიდეს, რაც მას სურდა. სსვას რაღა იმედი პქონდეს, როცა მისნაირნიც კი ვერ შოულობენ, რაც სჭირდებათ.

— ნეტავ რა აზრი აქვს მაგდენ ლაპარაკს? კაცობა ის იქნება, მისცე თივაცა და სანოვაგეც, რადგან ერთიც თავსაყრელი გაქვს და მეორეც, — უთხრა ბერგთორამ.

ნიალმა თქვა:

— რა თქმა უნდა, დავესმარები, რითაც შემიძლია.

იგი თავის ვაუებიანად თოროლვსფელში გაემგზავრა. თხუთმეტ ცხენს თივა აპკიდეს, ხუთს კი — სანოვაგე. შემდეგ ნიალი პლიდარენდში მივიდა და გუნარს გამოუძახა. გუნარი მას სისარულით შეეგება. ნიალმა თქვა:

— აპა, თივა და სანოვაგე, მიიღე ჩემგან. შენთვის არაფერს დავიშურებ. არ მინდა, ვინმეს მიმართო დახმარებისათვის ჩემს გარდა, როცა რაიმე დაგჭირდება.

— შენი ძღვენი დიდებულია, — უთხრა გუნარმა, — მაგრამ მე უფრო მეტად შენი და შენი შვილების მეგობრობას ვაფასებ.

ამის შემდეგ ნიალი შინისკენ გაემართა. და აგერ, ზაფსულმაც მოაწია.

48

გუნარი თინგზე გაემგზავრა. მასთან ბევრი ხალხი იყრიდა თავს აღმოსავლეთიდან, სიდას მხრიდან. გუნარმა სთხოვა მათ, თინგის შემდეგ სტუმრად მეწვიეთო და ისინიც დაეთანხმნენ. შემდეგ თინგზე გაემგზავრნენ. ნიალი და მისი ვაუებიც იქ იყვნენ. თინგმა მშვიდობიანად ჩაიარა.

ახლა ისიც უნდა ითქვას, თუ როგორ ჩამოუგდო პალგერდმა ლაპარაკი მონა მელკოლვს.

— მინდა რაღაც დაგავალო, — უთხრა პალგერდმა, — კირკიუბერში უნდა წასვიდე.

— იქ რა მესაქმება, — თქვა მელკოლვმა.

— იქ შენ ორი საპალნე სურსათ-სანოვაგე — ყველი და კარაქი უნდა მოიპარო, მერე ცეცხლი წაუკიდო საკუჭნაოს. ყველა დაუდევრობას დააბრალებს და ვერავინ იეჭვებს ქურდობას.

— ავკაცობა ბევრჯერ ჩამიდენია, — მიუგო მონამ, — მაგრამ ქურდი არასოდეს ვყოფილვარ.

— ამას დამისედეთ! — თქვა პალგერდმა, — შენ, ქურდსა და კაცისმკვლელს, პატიოსან კაცადაც მოგაქვს თავი. იცოდე, თუ არ დამემორჩილები და არ წახვალ, შენს თავს მოვაკვლევინებ.

მელკოლვმა იცოდა, რომ პალგერდი მართლა ასე იქმოდა, თუ არ წავიდოდა; ამიტომ მოპკიდა ხელი ორ ცხენს, ზედ ასალი გადააფარა და კირკიუბერისკენ გაემართა. ძაღლმა იცნო იგი და არ დაუყეფია, გამოქანდა და მიელაქუცა. შემდეგ მელკოლვი საკუჭნაოსთან მივიდა, ყველითა და კარაქით დატვირთა ორი ცხენი, საკუჭნაოს ცეცხლი წაუკიდა, ძაღლი კი მოკლა. იგი მდინარე რანგის ნაპირს აუყვა. აქ მას ხამლის თასმა გაუწყდა, აიღო დანა და თასმა გაისწორა, მაგრამ დანა და ქამარი იქვე დარჩა. ჰლიდარენდში რომ მივიდა, მაშინღა გაახსენდა დანა, მაგრამ უკან დაბრუნება ვეღარ გაბედა. ყველი და კარაქი პალგერდს გადასცა და ისიც ძალზე კმაყოფილი დაურჩა.

დილით, როდესაც ხალხი კირკიუბერის ეზოში გამოვიდა, დაი-

ნასეს, რაც მომსდარიყო. მაშინ თინგზე კაცი გაგზავნეს და ოტკელს შეუთვალეს ყველაფერი. ოტკელმა დანაბარები მშვიდად მოისმინა და თქვა, ეგ ალბათ იმიტომ მოსდა, რომ სახლი, სადაც კერიაა, და საკუჭნაო ერთი-ერთმანეთზეა მიდგმულიო. ყველამ იფიქრა, მართლა ეგრე მოხდებოდაო.

აპა, სალსი თინგიდან დაბრუნდა. ბევრმა პლიდარენდშიც შეიარა. პალგერდმა სუფრა გააწყო, საჭმელები მოიტანა. სუფრაზე ყველი და კარაქიც იდო. გუნარმა იცოდა, ასეთი რამეები სასლში არ პქონდათ და პალგერდს პკითხა, საიდან გაჩნდა ეს ყველაფერიო.

— საიდანაც საჭიროა, — მიუგო პალგერდმა, — რა კაცის საქმეა იმაზე ფიქრი, რა მოაქვთ სუფრაზე.

გუნარი გაჯავრდა და თქვა:

— ვაგლახ, თუ ქურდების მფარველობაც დამიწყია, — და პალგერდს სილა გააწნა. პალგერდმა უთხრა, მაგ სილას დაგიმასსოვრებ და თუ შევძელი, გადაგისდიო. იგი გარეთ გავიდა და გუნარიც თან გაპყვა. სუფრა აალაგეს და ხორცი მოიტანეს. ყველამ იფიქრა, ეს საჭმელები ამ სახლში ალბათ უფრო პატიოსნური გზით გაჩნდაო, და თინგიდან მომავლებმა თავიანთი გზა განაგრძეს.

49

ახლა ისიც უნდა ითქვას, თუ როგორ გაემართა სკამკელი ცხვრის საძებრად მდინარე რანგის აყოლებით, და დაინახა, რომ ბილიკზე რაღაც ბრწყინავს. ხელში დანა და ქამარი შერჩა. ეს საგნები ეცნაურა და კირკიუბერში წამოიღო. ოტკელი ეზოში იყო გამოსული, როდესაც სკამკელი მივიდა. მან ოტკელს უთხრა:

— იცნობ ამ ნივთებს?

— რასაკვირველია, ვიცნობ, — მიუგო ოტკელმა.

— ვისებია? — პკითხა სკამკელმა.

— სხვებმაც უნდა ნახონ და ამოიცნონ, — თქვა სკამკელმა, — მე მსარს დაგიჭერ.

მათ ეს საგნები ბევრს უჩვენეს და ყველამ ამოიცნო ისინი. მაშინ სკამკელმა თქვა:

— ასლა რის გაკეთებას აპირებ?

ოტკელმა თქვა:

— მორდ ვალგარდის ძესთან უნდა მივიდე და რჩევა ვკითხო.

ამის შემდეგ ისინი ჰოვისკენ გაემართნენ, საგნები მორდს უჩვენეს და ჰკითხეს, იცნობ თუ არაო. მორდმა უთხრა, ვიცნობო.

— რაო, — დაუმატა მან, — რამის ძებნას ხომ არ აპირებთ ჰლიდარენდში?

— ძნელი საქმეა, — თქვა სკამკელმა, — და დიდძალი ხალხიც არის ჩარეული.

— ეგ მართალია, — თქვა მორდმა, — მაგრამ მე მაინც, ალბათ, ისეთ რამეებს გამოვარკვევ გუნარის სასლზე, რასაც თქვენ ვერასოდეს შეიტყობთ.

— ფულს მოგცემთ, — უთხრეს მათ, — ოღონდ დაგვეხმარე.

მორდმა მიუგო:

— ძვირად დამიჯდება მე ეგ ფული, მაგრამ შეიძლება, მაინც მოვკიდო მაგ საქმეს ხელი.

მათ ვერცხლის სამი მარკა მისცეს დასმარებისათვის. მორდმა ურჩია რამდენიმე დედაკაცი გაეგზავნათ, რომლებიც დიასახლისებს წვრილმან საქონელს შესთავაზებდნენ ჰლიდარენდში და ნახავდნენ, სამაგიეროდ რას მიიღებდნენ.

— იმიტომ, რომ — დაუმატა მან, — ჩვეულებრივ იმას გაიმეტებენ ხოლმე, რაც მოპარული აქვთ. ასლაც აგრე მოხდება, თუ საკუჭნაო თავისით არ დაიწვა და სხვამ წაუკიდა ცეცხლი. მერე კი იმ დედაკაცებმა მაჩვენონ, რასაც მიიღებენ. მაგრამ როგორც კი მამხილებელი საბუთები გამოჩნდება, მე მაშინვე დავეხსნები ამ საქმეს.

ისინი დათანხმდნენ და შინ დაბრუნდნენ. მორდმა მთელ მსარეში დედაკაცები დაგზავნა და ისინი ნახევარ თვეს დადიოდნენ ამ საქმეზე. შინ დიდი ტვირთით დაბრუნდნენ. მორდმა ჰკითხა, სად უფრო მეტი საქონელი მიიღეს. ქალებმა უთხრეს, ჰლიდარენდშიო, და ყველაზე მეტი ხელგაშლილობა პალგერდმა გამოიჩინაო. მორდმა ჰკითხა, რა შემოგთავაზესო.

— ყველი, — მიუგეს მათ.

მორდმა ამ ყველის ნასვა მოისურვა. მათ უჩვენეს ყველის დიდი ნაჭრები. მორდმა აიღო ისინი და შეინახა.

ამის შემდეგ მალე მორდი ოტკელთან გაეშურა. მორდმა სთხოვა ეჩვენებინა ყველის ყალიბი, რომელიც თორგერდს ჰქონდა. ოტკელმა მისცა. მორდმა ყველის ნაჭრები ჩააწყო შიგ და ისინი ყალიბს

ზუსტად მოერგნენ. მისვდნენ, რომ პალგერდს მთელი თავი ყველი მიეცა მათთვის.

— ასლა ხომ ხედავ, ყველი პალგერდს მოუპარავს.

მათ ყველა მამსილებელი საბუთი მოაგროვეს. მაშინ მორდმა თქვა, ამ საქმეში მეტს აღარ ჩავერევიო. ამის შემდეგ ისინი ერთმანეთს დასცილდნენ.

არ გასულა დიდი ხანი, რომ კოლსკეგმა გუნარს ლაპარაკი ჩამოუგდო და თქვა:

— გლახა სათქმელია, მაგრამ ყველას პირზე აკერია, კირკიუბერში რომ ქურდობა და სანძარი მოხდა, პალგერდის ნამოქმედარიაო.

გუნარმა უთხრა, ალბათ ეგრეც არისო.

— ასლა რაღა ვქნათ? — ღაუმატა მან.

კოლსკეგმა თქვა:

— როგორც ვატყობ, შენი ცოლის დანაშაულზე პასუხი უნდა აგო. ჩემის აზრით, უნდა წახვიდე ოტკელთან და კარგი საზღაური შესთავაზო.

— კარგად მირჩევ, — თქვა გუნარმა, — აგრეც მოვიქცევი.

ამის შემდეგ გუნარმა კაცი გაუგზავნა თრაინ სიგფუსის ძეს და ლამბი სიგურდის ძეს. ისინი მაშინვე მოვიდნენ. გუნარმა უთხრა, რასაც აპირებდა. მათ მოუწონეს გადაწყვეტილება. გუნარი თერთმეტი მხლებლით წავიდა კირკიუბერში და ოტკელს გამოუძახა. სკამკელი იქ იყო და თქვა:

— მეც შენთან ერთად გამოვალ. ეგ ისეთი საქმეა, სადაც კაცს ეონება უფრო სჭირდება, რადგან ორი კაცის ჭკუა უფრო სჭრის, ვიდრე ერთისა. სულ იმას ვფიქრობდი, მხარში ამოგდგომოდი, როცა გაგიჭირდებოდა, და ასლა, მგონი, ეგ დროც დადგა. მე ვფიქრობ, რაც უფრო თამამად მოიქცევი, მით უკეთესია.

შემდეგ ოტკელი, სკამკელი, პალკელი და პალბიარნი ეზოში გამოვიდნენ. გუნარს მიესალმნენ. ოტკელმა ჰკითხა, საით გაგიწევიათო.

— მე ამაზე შორს წასვლას არ ვაპირებ, — მიუგო გუნარმა, — აქ იმისთვის მოვედი, რომ გითხრა, რაც შენ ზარალი ნასე, ჩემმა ცოლმა და შენგან ნაყიდმა მონამ მოგაყენეს.

— ეგრეც ვიცოდი, — თქვა პალბიარნმა.

გუნარმა თქვა:

— მინდა ერთი კარგი წინადადება მოგცე: მე მგონი, აჯობებს, თუ ამ საქმეს ჩვენი მსარის ღირსეული ხალხი განსჯის.

სკამკელმა თქვა:

— შენი აზრი საამო მოსასმენია, მაგრამ სასეირო კი არ არის: ბონდებს შენ უყვარსარ, ოტკელი კი არა.

— მაშინ წინადადებას გაძლევ, მე თვით გადავწყვიტო ეგ საქმე, და ბარემ მოვრჩეთ კიდეც. გთავაზობ ჩემს მეგობრობას და მინდა ასლავე გადაგისადო ფული. ორმაგ საზღაურს გადაგისდი.

სკამკელმა თქვა:

— არ დათანხმდე მაგაზე. რა ჭკუაა მაგას გადააწყვეტინო საქმე, როდესაც შენ თავად უნდა განსაჯო იგი.

ოტკელმა თქვა:

— მე არა ვარ თანახმა, რომ საქმე შენ განსაჯო, გუნარ!

გუნარმა თქვა:

— ვხედავ ჩემს წინააღმდეგ გამსედრებენ, და ერთხელაც იქნება, გადავუსდი სამაგიეროს, ვინც მაგას აკეთებს. მაშ კარგი, შენ თვით გადაწყვიტე.

ოტკელი სკამკელისკენ დაიხარა და ჰკითხა:

— ასლა რაღა ვუთხრა?

— უთხარ, კარგი წინადადებაა-თქო, მაგრამ შენ კი გინდა, რომ თქვენი დავა გიცურ თეთრმა და გეირ გოდიმ გადაწყვიტონ. მაშინ ბევრი მიგამგვანებს პაპაშენ პალკელს, რომელიც დიდი სასელოვანი კაცი იყო.

ოტკელმა თქვა:

— ეგ კარგი წინადადებაა, მაგრამ მაინც მინდა დამაცადო, ვიდრე გიცურ თეთრს მოვეთათბირები.

გუნარმა თქვა:

— ისე მოიქეცი, როგორც გერჩივნოს. მაგრამ იმას კი იტყვის ხალხი, რომ ვერ გაგიგია პატივისცემა, რაკი უარს ამბობ ჩემს წინადადებაზე.

გუნარი სასლისკენ გაემართა. როდესაც იგი წავიდა, ჰალბიარნმა თქვა:

— ჯერ არ მინახავს თქვენზე უცნაური ხალხი. გუნარმა კარგი წინადადება მოგცა, შენ კი ხელი აუკარი. რაო, წაჩხუბებას ხომ არ

უპირებ? მისი ბადალი ხომ არსად მოიძებნება. მაინც, იმდენად კეთილია, რომ უკან არ წაუღია თავისი სიტყვა, და შენ კვლავ შეგიძლია ამით ისარგებლო. მე ვფიქრობ, შენ ასლავე უნდა გაეშურო გიცურ თეთრთან და გეირ გოდისთან.

ოტკელმა ბრძანა, ცხენი მოეგვარათ მისთვის და სამზადისს შეუდგა. ოტკელს სუსტი თვალები პქონდა. სკამკელი მას გასაცილებლად გაპყვა და უთხრა:

— უცნაურია, რომ შენმა ძმამ არ მოისურვა შენს მაგივრად წასვლა. მოდი, მე წავალ შენს ნაცვლად; ვიცი, როგორც გეზარება ასეთი მგზავრობა.

— აგრე იყოს, — მიუგო ოტკელმა, — მაგრამ იცოდე, არაფერი მომატყუო კი.

— ყაბულსა ვარ, — თქვა სკამკელმა.

სკამკელმა წაიყვანა მისი ცხენი და აიღო მისი სამგზავრო სამოსელი, ოტკელი კი შინ შებრუნდა. პალბიარნი ეზოში იყო და ოტკელს უთხრა:

— მონისთვის თავის გაყადრება სეირს არ დაგაყრის. მთელი ცხოვრება სანანებლად გექნება, რომ არ დაეთანხმე ამ წინადადებას. ვერაფერი ჭკუაა ასეთი უნდო კაცის გაგზავნა ისეთ საქმეზე, რომელ ზედაც თითქმის სალსის სიცოცხლეა დამოკიდებული.

- შენ ალბათ დაფრთხები, — უთხრა ოტკელმა, — გუნარმა რომ შუბი მოგიღეროს, რაკი ასლავე ეგრე ხარ შეშინებული.

— ეგ ჯერ არ ვიცით, ვინ უფრო მშიშარაა, — თქვა პალბიარნმა, — შენც კარგად მოგეხსენება, რომ განრისხებულმა გუნარმა დიდხანს არ იცის შუბის დამიზნება.

ოტკელმა თქვა:

— ყველანი მშიშრები სართ, გარდა სკამკელისა.

ორივეს ბრაზი წაეკიდა.

50

სკამკელი მოსფელში ჩავიდა და ყველაფერი გადასცა გიცურს.

— ჩემი აზრით, — თქვა გიცურმა, — ძალიან კარგი წინადადებაია. რატომ არ მიიღო?

— ეს იმიტომ უფრო მოხდა, რომ ყველას უნდოდა პატივი ეცა

შენთვის. ამიტომ იგი დაელოდა შენს გადაწყვეტილებას. ყველასათვის ასე აჯობებს.

სკამკელი მთელი ღამე დარჩა მასთან. გიცურმა კაცი აფრინა გეირ გოდისთან და ისიც მაშინვე მოვიდა. მაშინ გიცურმა მას ყველაფერი უამბო და ჰკითხა:

— ახლა რა ვქნათ?

— ის, რაც შენ ალბათ უკვე გადაწყვიტე: ისე მოვაგვაროთ საქმე, რომ ჩვენ რაც შეიძლება მეტი სეირი ვნახოთ. მანამდე კი სკამკელმა გაგვიმეოროს თავისი მონათხრობი, რომ ვიცოდეთ, როგორ მოჰყვება სელმეორედ.

ასეც მოიქცნენ. გიცურმა თქვა:

— შენ ალბათ სწორად მოჰყვები ყველაფერს, მაგრამ მაინც შენზე დიდი ავაზაკი არსად შემხვედრია. თუ შენ ჰატიოსანი კაცი გამოდგები, მაშინ მე კაცის ცნობა არ შემძლებია.

სკამკელი უკან დაბრუნდა. ჯერ კირკიუბერში მივიდა და ოტკელს გამოუძახა. იგი კარგად შესვდა სკამკელს. სკამკელმა მას გიცურისა და გეირის მოკითხვა გადასცა და უთხრა:

— ეს საქმე დასამალი არ არის. გეირ გოდისა და გიცურს მიაჩნიათ, რომ არ შეიძლება მისი მოგვარება ლოლიაობით. მათ გირჩიეს გამოიწვიო გუნარი სამსჯავროზე და ბრალი დასდო ქურდობის მონაწილეობაში, ჰალგერდს კი — ქურდობაში.

ოტკელმა თქვა:

— ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც გვირჩიეს.

— ყველაზე მეტად კი ის მოეწონათ, — თქვა სკამკელმა, — რომ შენ ყოჩაღად ირჯებოდი, და მეც, რაც შემეძლო, გაქებდი.

მაშინ ოტკელმა ყველაფერი უამბო თავის ძმებს და ჰალბიარნმა თქვა:

— მე მგონი, ეგ ყველაფერი მტკნარი სიცრუეა.

აპა, დადგა დრო, როდესაც ალთინგის სამსჯავროზე გამოძახების ბოლო დღეებმაც მოაწია. ოტკელმა თავის ძმებსა და სკამკელს უბრძანა ჰლიდარენდს წასულიყვნენ და გუნარი სამსჯავროზე დაებარებინათ. ჰალბიარნმა წასვლაზე თანხმობა განაცხადა, მაგრამ დაუმატა, ოდესმე სანანურად გაგვისდება ეგ მგზავრობაო. და აგერ, თორმეტი კაცი გაემართა ჰლიდარენდისკენ. იქ რომ მივიდნენ, გუნარი ეზოში იყო, მაგრამ მხოლოდ მაშინღა დაინახა ისინი, როდე-

საც სასლს ზედ მოადგნენ. გუნარი სასლში არ შესულა. ოტკელმა მაშინვე ბრძანა, ეუწყებინათ მისთვის სამსჯავროზე გამოძახება. როდესაც საქმეს მორჩნენ, სკამკელმა პკითსა:

— სწორედ იყო ნათქვამი, მასპინძელო?

— თქვენ უფრო იცით, — მიუგო გუნარმა, — მაგრამ ის დროც დადგება, რომ გაგასსენებ მაგ ყიალსა და მეტიჩრობას.

— მაგით ვერ დაგვაშინებ, — თქვა სკამკელმა, — ვიდრე შუბი არ აგიმართავს.

გუნარი განრისსდა. სასლში შევიდა და ყველაფერი კოლსკეგს უამბო. კოლსკეგმა თქვა:

— აფსუს, რომ ჩვენც ესოში არ ვიყავით. იქ რომ ეყოფილიყავით, თავსლაფდასსმულებს გავაბრუნებდით უკან.

გუნარმა თქვა:

— მაგის დროც მოვა. მაგრამ მცირე პატივს კი დასდებს მაგათ ეს მგზავრობა.

არ გასულა დიდი სანი და გუნარი ნიალთან გაემართა. გუნარმა მას ყველაფერი უამბო. ნიალმა უთსრა:

— გულში არ გაიტარო დარდი, იმიტომ, რომ ეს დავა დიდ სახელს შეგძენს, ვიდრე თინგი დამთავრდება. ჩვენ ყველანი მსარში ამოგიდგებით სიტყვითაც და საქმითაც.

გუნარმა მადლობა გადაუხადა და შინ დაბრუნდა.

51

ოტკელი ძმებთან და სკამკელთან ერთად თინგზე გაემგზავრა.

გუნარი, სიგფუსის ვაჟები, ნიალი და მისი ვაჟებიც გაემართნენ თინგზე. ისინი გუნარს უჭერდნენ მხარს და სალსი ამბობდა, მაგათ წინ ვერავინ დაუდგებაო.

ერთსელ გუნარი ველელთა სადგომს მიადგა. აქ იყვნენ პრუტი და პასკულდი. ისინი თავაზიანად მიესალმნენ გუნარს. გუნარმა მათ თავიდან ბოლომდე უამბო თავისი საქმე.

— რას გირჩევს ნიალი? — პკითსა პრუტმა.

— მირჩია თქვენთან, ძმებთან მოვსულიყავი და მეთქვა, რომ იგი დაეთანსმება ყველაფერს, რასაც თქვენ მეტყვით.

— მაშ, ეტყობა, — თქვა პრუტმა, — მას სურს, რომ მე რჩევა

მოგცე, როგორც ნათესავმა. კეთილი. გამოიწვიე ბრძოლაში გიცურ თეთრი, თუ შენვე არ მოგანდეს საქმის განსჯა, და კოლსკეგმა კი ვეირ გოდი გამოისმოს. რაც შეეხება ოტკელსა და მისიანებს, სამაგათო სალსიც გამოჩნდება. აკი იმდენნი ვართ აქ, რომ რასაც მოისურვებ, ყველაფერს მიაღწევ.

გუნარი თავის სადგომში დაბრუნდა და ყველაფერი უამბო ნიალს.

— მეც ეგ მინდოდა, — თქვა ნიალმა.

ულვ აურგოდიმ შეიტყო მათი განზრასვა და გიცურს ამცნო. გიცურმა ოტკელს ჰკითხა:

— ვინ გირჩია გუნარის გამოწვევა სამსჯავროზე?

— სკამკელმა მითხრა, რომ ასეთი რჩევა შენ და ვეირ გოდის მოგიციათ.

— ახლა სად არის ეგ არამზადა, — ჰკითხა გიცურმა, — ასე რომ გაუცურებისარ.

— ავად არის და სადგომში წევს, — თქვა ოტკელმა.

— ნულარც ღირსებია ფეხზე წამოღგომა, — თქვა გიცურმა, — ახლა კი ყველა ერთად გუნართან მივიდეთ და ვუთხრათ, თვითონვე განსაჯოს საქმე, მაგრამ ის კი აღარ ვიცი, დაგვეაბულდება თუ არა.

ბევრი ლანძღავდა სკამკელს და ისიც მთელი თინგის განმავლობაში ავადმყოფი იწვა სადგომში.

გიცური და მისი მეგობრები გუნარს მიეახლნენ. გუნარს ეს სადგომში შეატყობინეს. ყველანი გარეთ გამოვიდნენ და სადგომის წინ ჩამწკრივდნენ. გიცურ თეთრი წინ გამოვიდა და თქვა:

— გვინდა შემოგთავაზოთ, გუნარ, შენ თვითონ განსაჯო საქმე.

— რაღაც არ ეთანხმება ეგ შენს რჩევას სამსჯავროში ჩემი გამოძახების თაობაზე.

— არც მე და არც ვეირს ეგ რჩევა არ მიგვიცია, — თქვა გიცურმა.

— მაშინ უნდა დაამტკიცო, რომ ამ საქმეში ხელი არ გირევია, — თქვა გუნარმა.

— რას მოითხოვ? — ჰკითხა გიცურმა.

— იმას, რომ შემომფიცო, — მიუგო გუნარმა.

— კარგი, — თქვა გიცურმა, — ოღონდ დაგვთანხმდი, შენ განსაჯო საქმე.

— ეგ მე დიდი სანია შემოგთავაზეთ, — მიუგო გუნარმა, — მაგრამ ასლა, მე მგონი, საქმე ძალზე გაიბერა.

ნიალმა თქვა:

— ნუ იტყვი უარს იმაზე, რომ შენ განსაჯო საქმე. მით უფრო მეტ პატივს დაგდებს, რაც უფრო ძნელი საქმეა.

გუნარმა თქვა:

— ჩემი მეგობრების საამებლად მე განვსჯი საქმეს. მაგრამ ოტკელს ვურჩევ, მეტს ნუღარ ამტეხავს საჩხუბრად.

მაშინ პრუტსა და პასკულდს კაცი გაუგზავნეს და ისინიც მოვიდნენ. გიცურმა და გეირ გოდიმ ფიცი წარმოთქვეს და გუნარმა საქმე განსაჯა. ის არავის შოთათბირებია და ასე თქვა:

— მე ასე განვსჯი: შენ უნდა გადაგიხადო ბეღლისა და სანოვაგისათვის, რომელიც ბეღელში იყო, მაგრამ მონაზე კი არაფერს გადავიხდი, რადგან მისი ნაკლოვანებანი დამიმალე. მე მას უკანვე დაგიბრუნებ — ნათქვამია, ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო. იმისათვის კი, რომ მე სამსჯავროზე გამომიძახეთ და გინდოდათ მასსრად აგეგდეთ, ჩემს თავს იმდენსავე მივაკუთვნებ, რამდენიც მთელი ეს ბეღელი და შიგ დამწვარი საქონელი ღირდა. თუ ჩვენთან ჩხუბი უფრო სელს გაძლევთ, როგორც გინდათ, ისე მოიქეცით. მაშინ მე ვიცი, რასაც ვიზამ და თქვენც დაინახავთ ამას.

გიცურმა მიუგო:

— ჩვენ არ გვსურს, რომ შენ რამე გადაიხადო, მაგრამ ამას კი გთხოვთ, იყო ოტკელის მეგობარი.

— ეგ არ მოსდება, — თქვა გუნარმა, — ვიდრე ცოცხალი ვარ. სკამკელთან იმეგობროს. დიდი სანია თავს ევლება.

გიცურმა თქვა:

— ჩვენ ყველას გვინდა, სასიკეთოდ მოვაგვაროთ საქმე, თუმცა პირობებს მარტო შენ გვიყენებ.

საბოლოოდ, თანხმობის ნიშნად, ერთმანეთს ხელი მისცეს და გუნარმა ოტკელს უთხრა:

— შენთვის უმჯობესია გაეცალო აქაურობას და ნათესავებთან წახვიდე. მაგრამ თუ ჩვენს არემარეში გინდა დარჩე, მე ნუღარ შეშეხლები.

გიცურმა თქვა:

— კარგი რჩევაა. დაიჯერებს.

ამ საქმემ დიდი სასელი შესძინა გუნარს. ხალხი თინგიდან სახლებში წავიდ-წამოვიდა. გუნარი თავის სახლში დაბრუნდა და ერთხანს სრული სიმშვიდე სუფევდა.

52

ერთ კაცს რუნოლვი ერქვა. იგი იყო ძე ულვ აურგოდისა. ცხოვრობდა ველზე, მარკარფლიოტის აღმოსავლეთით. თინგიდან მომავალი გზად ოტკელთან შეჩერდა. ოტკელმა მას შავი სარი აჩუქა, ცხრა წლისა. რუნოლვმა საჩუქრისათვის მადლობა გადაუხადა და სთხოვა, როცა სურვილი გექნება, სტუმრად მეწვიეო, მაგრამ, მიპატიჟების მიუხედავად, ოტკელი არ მიდიოდა. რუნოლვი ხშირად უგზავნიდა სალსს და პირობას ასსენებდა და ოტკელიც ჰპირდებოდა მისვლას.

ოტკელს ორი ჩალისფერი ცხენი ჰყავდა, ზურგზე მუქი ზოლი გადასდიოდათ. მთელს თემში მათი ბადალი არ მოიპოვებოდა და ისე იყვნენ ერთმანეთს შეჩვეულნი, რომ სულ ერთად დარბოდნენ.

ოტკელთან ერთი ნორვეგიელი ცხოვრობდა, სასელად აუდოლვი. მან ოტკელის ასული სიგნი შეიყვარა. აუდოლვი ტანადი და ღონიერი კაცი იყო.

53

გაზაფხულზე ოტკელმა თქვა, აღმოსავლეთში, ველზე წავალთ სტუმრადო, და ყველას ძალზე გაესარდა. ოტკელს გაჰყვნენ ორი ძმა, სკამკელი, აუდოლვი და კიდევ სამი კაცი. ოტკელი ერთ-ერთ ჩალისფერ ცხენზე იჯდა, მეორე კი გვერდით მოსდევდა. ისინი მარკარფლიოტის გზას დაადგნენ. ოტკელი წინ მიაჭენებდა ცხენს. უცბად ორივე ცხენი დაფრთხა, გზიდან გადაუხვია და ფლიოტსპლიდისკენ გაჭენდა. ოტკელი უნებურად იმაზე უფრო სწრაფად მიჰქროდა, ვიდრე თვითონ სურდა.

იმავე დროს გუნარი სახლიდან მარტო გამოვიდა, ერთ ხელში ხორბლით სავსე სელკალათა ეჭირა, მეორეში — ნაჯახი. მან თავის ხნულებს მიაშურა და თესლის ჩაყრას მიჰყო სელი. მოსასსამი და ნაჯახიც იქვე დააწყო მიწაზე.

ასლა ისიც უნდა ვთქვათ, როგორ მიაქროლებდა ოტკელი ცხენს იმაზე სწრაფად, ვიდრე თვითონ სურდა. ფესებზე დეზები ეკეთა. იგი ნასნავში მიაჭენებდა ცხენს და ის და გუნარი ერთმანეთს ვერ ხედავდნენ. და სწორედ მაშინ, როდესაც გუნარი წელში გაიმართა, ოტკელი დაეჯახა მას, დეზი ყურთან მოსვდა გუნარს და მაგრად გაკაწრა, ისე, რომ სისხლი გადმოსდინდა. ამ დროს ოტკელის თანამგზავრებიც მოვიდნენ.

— ყველა ხედავს, — თქვა გუნარმა, — რომ დამჭერი და სისხლი ძადინე. ასე მოქცევა ვაუკაცს არ შეეფერის. შენ ჯერ სამსჯავროზე გამომისმე, ახლა კი მეჯახები და წისლებით მიმასპინძლდები.

სკამკელმა უპასუხა:

— ძალზე მედიდურად კი გიჭირავს თავი. სწორედ ეგრე მრისხანედ იყურებოდი თინგზე, შუბს რომ იქნევდი.

გუნარმა თქვა:

— ამას ოქით თუ შემეჩეხე, ჩემი შუბის ქნევა მაშინ ნასე!

და ისინი ერთმანეთს განშორდნენ, სკამკელმა კი ხმამაღლა დაიძახა:

— ძაან კი გააჭენეთ, ბიჭებო!

გუნარი სახლში დაბრუნდა და არავისთვის უთქვამს, რაც შეემთხვა, და არავინ იცოდა, რომ იგი ადამიანმა დაჭრა, მაგრამ ერთსელ მან თავის ძმას, კოლსკეგს უამბო, რაც მოსდა. კოლსკეგმა თქვა:

— შენ ეგ ამბავი სსვებსაც უნდა უამბო, თორემ იტყვიან მკვდარს სწამებს ცილსო. მოწმეებმა წინასწარ უნდა იცოდნენ, რაც მოხდა, რომ შენმა მოქიშპეებმა ვეღარ თქვან, გუნარი ტყუისო.

მაშინ გუნარმა თავის მეზობლებს მოუთხრო მომხდარი ამბავი და თავდაპირველად ამას ბევრი ლაპარაკი არ გამოუწვევია.

ამასობაში ოტკელი თავის ხალხიანად ველზე მივიდა. იქ მათ კარგად დაუსვდნენ. ერთი კვირა დაჰყვეს სტუმრად. ოტკელმა რუნოლვს ყველაფერი უამბო, რაც გუნართან შეემთხვა. ვიღაცამ იკითხა, გუნარს როგორ ეჭირა თავიო მაგ დროს?

სკამკელმა თქვა:

— უბრალო კაცი რომ ყოფილიყო, ვიტყოდი, ტიროდა-მეთქი.

— ეგ კარგი სიტყვა არ არის, — მიუგო რუნოლვმა, — და როდესაც შენ და გუნარი ამის შემდეგ ერთმანეთს შეხვდებით, მაშინ გაიგებთ, რომ გუნარი მტირალა არ გახლავს. კარგია, თუ შენზე უკე-

თესთ არ მოუწიათ საფასურის გაღება შენი ავსიტყვაობისთვის. მე ვფიქრობ, აჯობებს გამოგყვეთ გზაში, რადგან ვიცი, გუნარი მე არაფერს დამიშავებს.

— არ მინდა, — თქვა ოტკელმა, — მდინარის ფონს უფრო ქვევით გადავალ.

რუნოლვმა მას მდიდრული საჩუქრები მიართვა და უთხრა, ალბათ ერთმანეთს ვეღარ შევხვდებითო. ოტკელმა სთხოვა, ჩემს ვაჟს ნუ დაივიწყებ, მე თუ რამე შემემთხვაო.

54

ასლა ისიც უნდა ითქვას, რომ გუნარი ეზოში იყო, ჰლიდარენდში, და დაინახა, სასლისკენ მისი მენახირე მოაჭენებდა ცხენს. მენახირე ეზოში შევიდა და გუნარმა ჰკითხა:

— ეგრე სწრაფად რად მოჰქროდი?

— მინდა ერთგულება გაგიწიო. დავინახე, მარკარფლიოტიდან რვა მსედარი დაეშვა და ოთხ მათგანს ფერადი სამოსელი აცვია.

გუნარმა თქვა:

— ეგ, ალბათ, ოტკელია.

მენახირემ თქვა:

— მე სკამკელისაგან ბევრი საწყენი სიტყვა მომისმენია. ეგენი ველზე იძახდნენ, თითქოს შენ ატირდი, როცა დაგეჯახნენ. ამას იმიტომ გეუბნები, რომ არ მიყვარს უვარგისი ხალხის ენის ჭარტალი.

— ლაყბობას ნუ აპყვები, — თქვა გუნარმა, — ამას იქით, კი, მარტო ის სამუშაო შეასრულე, რომელიც გაგეხარდება.

— ვუთხრა რამე შენს ძმას კოლსკეგს?

— დაწექ და დაიძინე, — მიუგო გუნარმა, — კოლსკეგს მე თავად ვეტყვი.

მენახირე დაწვა და მაშინვე ჩაეძინა. გუნარმა აიღო თავისი უნაგირი და მენახირის ცხენს დაადგა. აიღო ფარი, წელზე ალვირის ნაჩუქარი მახვილი შემოირტყა, თავზე მუზარადი დაიხურა და შუბს წამოავლო ხელი. შუბმა სმამაღლა გაიუღრიალა და რანვეიგმა, მისმა დედამ, გაიგონა ხმა. იგი გუნართან გამოვიდა და უთხრა:

— შვილო, რისხვითა ხარ ანთებული. ასეთი ჯერ არ მახსოვსარ.

გუნარი გავიდა, შუბი წვერით მიწას დაპკრა, ცხენს ზედ შემოევლო და გაქუსლა. რანვეიგი სახლში შევიდა. იქ დიდი ყაყანი იდგა.

— ხმამაღლა ლაპარაკობთ, — თქვა რანვეიგმა, — მაგრამ უფრო ხმამაღლა ყღრიალებდა გუნარის შუბი, როდესაც იგი სახლიდან გადიოდა.

კოლსკეგმა გაიგონა ნათქვამი და უპასუხა:

— ეგ სუმრობა აღარ არის.

— კარგია, — თქვა პალგერდმა, — ახლა კი გააგებინებს, ტირილით იცის გაქცევა თუ არა.

კოლსკეგმა თავის საჭურველს დაავლო ხელი, ცხენს მოახტა და სასწრაფოდ უკან გამოუდგა. გუნარმა ირიბად გადაჭრა აკრატუნგი გეილასტოვნარისკენ, იქიდან კი მდინარე რანგს მიაშურა და პოვთან გადალახა ფონი. იქ, ცხვრის ბაკში რამდენიმე ქალი იყო და ცხვარს წველიდა. გუნარი დაქეეითდა და ცხენი დააბა.

ამ დროს მოვიდნენ ოტკელი და მისი თანამგზავრები. გუნარმა მოსულებს უთხრა:

— ახლა კი თავი დაიცავით — აგერ, ეს ჩემი შუბიც. ვნახოთ, რომელი დამაღვრევინებთ ცრემლებს.

ისინი უცბად გადმოხტნენ ცხენებიდან და გუნარს მისცვივდნენ. წინ პალბიარნი მორბოდა.

— შენ ნუ მოდიხარ, — უთხრა გუნარმა, — შენთვის ზიანის მოყენებას გული არ მაძლევს, მაგრამ როცა საქმე ჩემს სიცოცხლეს ეხება, არავის დავინდობ.

— არ შემიძლია, — თქვა პალბიარნმა, — შენ ხომ ჩემი ძმის მოკვლას აპირებ და ჩემთვის სირცხვილია, გულხელდაკრეფილი ვიჯდე.

მან ორივე ხელით ჩაბღუჯა უშველებელი შუბი და გუნარს დასცა. გუნარმა ფარი დაუხვევდრა, მაგრამ პალბიარნმა გაუპო იგი. გუნარმა ისეთი ძალით დაქაჩა ფარი ძირს, რომ მიწაში ჩაარჭო და ისე ფიცხლად იშიშვლა მახვილი, რომ კაცი თვალს ვერ შეასწრებდა. გუნარმა პალბიარნს მახვილი მაჯის ზემოთ დაპკრა ხელზე და მტევანი წააგდებინა. სკამკელმა უკნიდან მოურბინა გუნარს და უნდოდა დიდი ნაჯახი დაერტყა. გუნარი სწრაფად შებრუნდა მისკენ და თავად დაპკრა შუბი ნაჯახზე ისე, რომ სკამკელს ნაჯახი ხელიდან გაუსხლტა და წყალში ჩავარდა. მაშინ გუნარმა განგმირა სკამკელი, შუბით პაერში ასწია იგი და თავით დაანარცხა მიწაზე.

აუდოლვმა შუბი დააძრო და გუნარს სტყორცნა. გუნარმა პაერშიევე დაიჭირა იგი და უკანვე ესროლა. შუბმა ფარი გააპო, ნორვეგიელს ტანში გაუარა და მიწაში ჩაერჭო. ოტკელს უნდოდა მახვილი შემოეკრა გუნარისთვის, მუსლქვემოთ უმიზნებდა, მაგრამ გუნარი ასტა და დარტყმა აიცდინა. გუნარმა შუბით განგმირა იგი.

ამ დროს კოლსკეგმა მოუსწრო, ჰალკელს ეცა და თავისი მახვილით სასიკვდილოდ დაჭრა. მათ რვავე დასოცეს.

ერთ-ერთმა ქალმა ყველაფერი დაინახა და სახლში გაიქცა. მორდს უამბო, რაც მოსდა, და სთხოვა გაეშველებინა ისინი.

— ეგ ალბათ ისეთი სალხია, — თქვა მორდმა, — რომ სულაც არ დამენანება, ერთმანეთი რომ გაწყვიტონ.

— ეგ რამ გათქმევინა, — უთხრა ქალმა, — იქ ხომ შენი ნათესავი გუნარი და შენი მეგობარი ოტკელიც იქნებიან.

— დიდი ლაქლაქა ყოფილხარ, — თქვა მორდმა და არ წამომდგარა, ვიდრე გარეთ ბრძოლა იყო გახურებული.

გუნარი და კოლსკეგი ბრძოლის შემდეგ შინისკენ გაემართნენ. ცხენები სწრაფად გააქროლეს ქვიშიან ნაპირზე და გუნარი ცხენიდან გადმოვარდა, მაგრამ უცბად წამოხტა. კოლსკეგმა უთხრა:

— ძაან კი გააჭენე, ძმაო!

— სწორედ მაგ სიტყვებით მლანძღავდა სკამკელი, როდესაც ვუთხარი, დამეტაკე-მეთქი.

— ასლა ხომ იძიე შური, — უთხრა კოლსკეგმა.

— აბა, რა ვიცი, — თქვა გუნარმა, — იქნება სხვასავით მამაცი არა ვარ, რადგან სსვეებზე მეტად მიჭირს კაცის მოკვლა.

55

სალხმა მომხდარი ამბავი შეიტყო და ბევრი ამბობდა, ეგ მოსალოდნელიც იყოო. გუნარი ბერგთორსპვალში გაემართა და ყველაფერი ნიალს უამბო. ნიალმა თქვა:

— დიდი ამბავი მოგიხდენია, მაგრამ ბევრიც გადაგიტანია.

— ასლა რა მოხდება? — ჰკითხა გუნარმა.

— შენ გინდა, გიამბო, — ეუბნება ნიალი, — ის, რაც ჯერ არ მომხდარა? თინგზე გაემგზავრები, ჩემი რჩევა-დარიგებით ისარგებ-

ლებ და ეს საქმე დიდ სახელს შეგძენს. ეს იქნება დასაწყისი შენთა საქმეთა საგმიროთა.

— მაშ მირჩიე რამე, — ეუბნება გუნარი.

— კარგი, გირჩევ, — ეუბნება ნიალი, — არასოდეს მოკლა ერთ კაცს მეტი ერთი გვარიდან, არასოდეს დაარღვიო სიმშვიდე, რომლის ჩამოგდებაშიც კარგი ხალხი დაეხმარა, მეტადრე ამ საქმეში.

გუნარმა თქვა:

— მე მგონი, ეგ სხვა ვინმესგან უფრო მოსალოდნელია, ვიდრე ჩემგან.

— რა თქმა უნდა, — ეუბნება ნიალი, — მაგრამ გასსოვდეს, თუ ასე მოხდა, დიდი სნის სიცოცხლე აღარ გექნება დარჩენილი. თუ ეგ არ მოხდა, დიდხანს იცოცხლებ.

გუნარმა პკითხა:

— შენ კი იცი, რა დაგღუპაეს?

— ვიცი, — ეუბნება ნიალი.

— რა? — ეკითხება გუნარი.

— ის, რაც ადამიანებს არასოდეს მოაფიქრდებათ, — ეუბნება ნიალი.

ამის შემდეგ გუნარი შინისკენ გაემართა.

გიცურ თეთრსა და გეირ გოდის კაცი გაუგზავნეს, რაკი დავა უნდა წამოეწყოთ ოტკელის მკვლელობის თაობაზე. ორიეენი ერთმანეთს შესვდნენ, და მოითათბირეს, როგორ მოქცეულიყვნენ. გადაწყვიტეს, რომ დავა კანონის სრული შესაბამისობით უნდა წარემართათ. შემდეგ იმის ფიქრს შეუდგნენ, რომელ მათგანს წამოეწყო დავა, მაგრამ არც ერთს არ სურდა ამის გაკეთება.

— მე მგონი, — თქვა გიცურმა, — ორი გამოსავალიღა რჩება: ან ერთ-ერთი ჩვენთაგანი დავას დაიწყებს და მაშინ წილისყრა მოგეიწევს, ვინ წარმართოს იგი, ან საზღაურს სულაც არ გადაგვისდიან. უნდა გვასსოვდეს, რომ გაძნელდება ამ დავის წამოწყება, რადგან გუნარს პევრი ნათესავი და მეგობარი პყავს. ამიტომ ისიც, ვისაც ჩვენს შორის კენჭი არ შესვდება, ვალდებულია წამოვიდეს და სელი შეგვიწყოს, განზე არ გადგეს, ვიდრე დავა არ დამთავრდება.

მაშინ მათ წილი პყარეს და დავის დაწყება გეირ გოდის შესვდა. მალე ამის შემდეგ ისინი აღმოსაელეთისკენ გაემართნენ, მდინარე გადავლეს და ბრძოლის ადგილთან მივიდნენ მდინარე რანგისთან.

ტვამები ამოთსარეს და ჭრილობები მოწმეებს უჩვენეს. შემდეგ გამოაცხადეს, რამდენი ჭრილობა იყო და ვინ მიაყენა ისინი, და ათ მეზობელს მოუსმეს. გაიგეს, რომ გუნარი სახლში ყოფილა ოცდაათიოდე კაციო. მაშინ გეირ გოდიმ ჰკითხა გიცურს, ხომ არ მოხვალო ათი კაცის თანხლებით.

— არა, არ წავალ, — უპასუხა მან, — თუნდ გაცილებით მეტნიც ვიყოთ.

ამის შემდეგ შინ დაბრუნდნენ. ხმა დავის დაწყების შესახებ მთელ იუმში დაირხა. ამბობდნენ, თინგი, ალბათ, შფოთიანი იქნებაო.

56

ერთ კაცს სკაფტი ერქვა. მამამისი თოროდი იყო, თოროდის დედა კი თორვარი. თორვარის მამა იყო თორმოდ სახელურა, შვილი ოლეივ ფართესი, შვილიშვილი ალვირ ბავშვთმოყვარესი. სკაფტი და მამამისი სასელოვანი პავდინგები იყვნენ და კარგად იცოდნენ კანონები. თოროდი გაუტანელ და მზაკვარ კაცად მიაჩნდათ. ის და მამამისი ყველაფერში ეხმარებოდნენ გიცურ თეთრს.

ფლიოტსჰლიდიდან და მდინარე რანგის პირიდან თინგზე ბლომად ხალხი მოგროვდა. გუნარი ისე უყვარდათ, რომ ყველას მისი დახმარება ეწადა. და აპა, ყველანი თინგზე გაემართნენ და თავიანთი სადგომები გადასურეს. გიცურ თეთრს მხარს უჭერდნენ შემდეგი პავდინგები: სკაფტი თოროდის ძე, ასგრიმ ელიდი-გრიმის ძე, ოდი კიდიაბერგელი და პალდორ არნოლვის ძე.

ერთხელ ყველანი კანონის კლდესთან მივიდნენ. მაშინ წამოდგა გეირ გოდი და განაცხადა, რომ ბრალს სდებს გუნარს ოტკელის, პალბიარნ თეთრის, აუდოლვისა და სკამკელის მკვლელობაში. შემდეგ გამოაცხადა, რომ ბრალს სდებს კოლსკეგს პალკელის მკვლელობაში. გამოცხადებას რომ მორჩა, ხალხმა თქვა, კარგად ილაპარაკაო. ამის შემდეგ ხალხი დაიშალა კანონის კლდესთან.

აპა, დადგა დროც, როდესაც სამსჯავროები საქმეების გარჩევას უნდა შესდგომოდნენ. ორივე მხარეს ბლომად ხალხმა დაიყარა თავი. გეირ გოდი და გიცურ თეთრი სამსჯავროს სამხრეთ მხარეს იდგნენ, გუნარი და ნიალი კი ჩრდილოეთით. გეირ გოდიმ გუნარს შესთავაზა, მოესმინა მისი ფიცი, რომ იგი პატიოსნურად წარმარ-

თავდა საქმეს, და სათანადო ფიციც წარმოთქვა. ამის შემდეგ მან თავისი სარჩელი განმარტა. შემდეგ მისმა მოწმეებმა დაადასტურეს, რომ მან გამოაცხადა იმ ჭრილობების შესახებ, რომლებიც ბრალდებულებმა მიაყენეს; შემდეგ მან სთხოვა მოსარჩელედ და მოპასუხედ დანიშნულ მეზობლებს, თავთავიანთი ადგილები დაეკავებინათ; შემდეგ წინადადება წამოაყენა, აცილება მიეცათ ზედმეტი მეზობლებისათვის; ამის შემდეგ მან სთხოვა მეზობლებს, გამოეტანათ გადაწყვეტილება. ისინი გამოვიდნენ, მოუწოდეს მოწმეებს და განაცხადეს, რომ აუდოლვზე მათ საერთოდ არ სურდათ ლაპარაკი, რადგან იგი ნორვეგიელი იყო და მისი ნამდვილი მოსარჩელე ნორვეგიაშიაო და ამიტომ საჭირო არ არისო აზრის გამოთქმა ამ საკითხზე. შემდეგ მათ ილაპარაკეს ოტკელის საქმეზე და მიიჩნიეს, რომ გუნარი დამნაშავეა, რაშიც ბრალსა სდებენო. ამის შემდეგ გეირ გოდიმ წინადადება მისცა გუნარს დაეცვა თავი და დაასახელა ყოველივე იმის მოწმეები, რაც კი ნასსენები იყო სამსჯავროზე.

გუნარმა თავის მხრივ წინადადება მისცა გეირ გოდის მოესმინა მისი ფიცი და დაცვის სიტყვა, რომლის წარმოთქმასაც იგი აპირებდა. შემდეგ მან ფიცი დადო. გუნარმა თქვა:

— აი, ჩემი დაცვა. მე დაგისახელეთ იმის მოწმეები, რომ ოტკელმა სისხლიანი ჭრილობა მომაყენა დეზით და ვუთხარი კიდეც მათ, რომ ოტკელს ეს უნდა ეზღო. მე წინააღმდეგი ვარ, გეირ გოდი, იმისა, რომ ამ დავაში მე დამდონ ბრალი, და იმისაც, რომ მოსამართლეებმა მე განმსაჯონ, ამიტომ, მთელ შენს სარჩელს უმართებულოდ ვაცხადებ. მე გიკრძალავ შენ ამას უდაო, სწორი და სრული ყადაღით, როგორც ეს მიღებულია ალთინგის დანაწესებითა და საერთო-სახალხო კანონებით თუმცა, ეს ყველაფერი როდია.

— იქნება ჩემი გამოწვევა გსურს ბრძოლაში, როგორც იცი ხოლმე, როცა კანონს არაფრად აგდებ? — თქვა გეირმა.

— არა, — თქვა გუნარმა, — მე ძინდა კანონის კლდიდან ბრალი დაგდო იმაში, რომ შენ მე უკანონოდ დამწამე აუდოლვის მკვლელობა, რასთანაც თქვენ არაფერი გესაქმებათ. მე მსურს, რომ ამისთვის შენ მოგისაჯონ განდევნა სამი წლით.

ნიალმა თქვა:

— ასე საქმის გაგრძელება აღარ შეიძლება, თორემ დავას ბოლო არ ექნება. ჩემი აზრით, ორივე მხარე ბევრ რამეში მართალია. შენს

მიერ ჩადენილ მკვლელობათა შორის ისეთებიც მოიძევება, რომ-ლებზედაც ვერ იტყვი, რომ მათ გამო სასჯელი არ გეკუთვნის. მაგ-რამ შენც გაქვს მის წინააღმდეგ სარჩელი, და შენც, გეირ გოდი, უნდა იცოდე, რომ ჯერ კიდევ არ გადაგვიფიქრებია შენი განდევნა და, ალბათ, გამოვიტანთ კიდეც მაგ განაჩენს, თუ ისე არ მოიქცევი, როგორც მე ვამბობ.

გოდი თოროდმა თქვა:

— ჩვენი აზრით, ასლა ყველაფერს აჯობებს თუ შერიგდებიან მოქიშპენი. რატომ არაფერს ამბობ, გიცურ თეთრო?

— მე მგონი, — თქვა გიცურმა, — ჩვენს დავას მაგარი მხარდაჭე-რა სჭირდება. ეტყობა, გუნარის მეგობრები აქ არიან, და ყველა-ფერს აჯობებს, რომ ღირსეულმა ადამიანებმა გადაწყვიტონ ჩვენი საქმე, თუ გუნარს არაფერი აქვს საწინააღმდეგო.

— მე ყოველთვის მშვიდობის მოსურნე გახლდით, — თქვა გუ-ნარმა, — თუმცა თქვენ შეგიძლიათ ბევრ რამეში დამადანაშაულოთ, მაგრამ იმას კი გეტყვით, რომ მე იძულებული გაესდი ასე მოვქცე-ულიყავი.

ჭკვიანი ადამიანების რჩევით საქმე მომრიგებელ სამსჯავროს გადაეცა გადაწყვეტილების გამოსატანად. საქმეს ექვსი კაცი სჯიდა. თინგზე მაშინვე გამოიტანეს გადაწყვეტილება. გადაწყდა, რომ სკამ-კელისათვის საზღაურის გადახდა საჭირო არ იყო. საზღაურის ნაც-ვლად მის სამაგიეროდ დეზის გაკერა ჩაითვალა. ყველა დანარჩენი მოკლულისათვის საზღაური წესისამებრ უნდა გადახდილიყო. გუ-ნარის ნათესავებმა მისცეს მას ფული, რომ ყველა მოკლულისათვის აქვე, თინგზევე გადაესადა საზღაური. შემდეგ გეირ გოდიმ და გი-ცურ თეთრმა შეპფიცეს გუნარს, რომ ყოველთვის მშვიდობიანობა ექნებოდათ მასთან.

გუნარი თინგიდან სახლისკენ გაეშურა, ხალხს მადლობა გადა-უხადა დახმარებისთვის, ბევრს კი საჩუქარიც მიართვა. ამან გუ-ნარს დიდი სახელი შესძინა და აგერ, ზის იგი თავის სახლში დი-დებით მოსილი.

57

ერთ კაცს სტარკადი ერქვა. მამამისი იყო ბარკ ლურჯკბილწვე-რა, ძე თორკელ ფესებშეკრულისა, რომელმაც მიწა თრიჰიურნინ-გის მთასთან დაიკავა. მას ცოლად ჰყავდა ჰალბერა, ასული ჰროალდ

წითურის და პილდიგუნისა, თორსტეინ ბეღურას ასულისა. პილ-
დიგუნის დედა იყო უნი, ასული ეივინდ ქორჭილასი, და მოდოლე
ბრძენისა, რომლისგანაც წარმოსდგნენ მოდოლვინგები. სტარკა-
დისა და პალბერას ძენი იყვნენ თორგეირი, ბარკი და თორკელი.
პილდიგუნ მკურნალი მათი და იყო. ისინი ფიცსი სასიათისა, ქედ-
მაღალნი და უარშიონი იყვნენ, მოსვენებას არავის აძლევდნენ
თემში.

58

ერთ კაცს ეგილი ერქვა. მამამისი იყო კოლი, ძე ოთარ ბურთი-
სა, მიწა სტოტალიოკის წყაროსა და პატარა ტბის, რეიდარვატნს
შუა რომ დაიკავა. ეგილის ძმა იყო ანუნდ თრალასკოგელი, მამა
პალ ძლიერისა, რომელიც კეთილ ენამჭევრის შვილებთან ერთად
ესწრებოდა თორირ პოლტელის მკვლელობას. ეგილი სანდგილში
ცხოვრობდა. მისი შვილები იყვნენ კოლი, ოთარი და პაუკი. მათი
დედა იყო სტეინვარი, და სტარკადისა. ეგილის შვილები იყვნენ
ასოვანნი, ზვიადნი და უუმურნი. ისინი ყოველთვის სტარკადის
შვილებს ედგნენ მსარში. მათი და იყო გუდრუნ ღამეული მზე. იგი
ძალზე თავაზიანი მანდილოსანი იყო. ეგილმა თავისთან საცხოვ-
რებლად ორი ნორვეგიელი აიყვანა: ერთს თორირი ერქვა, მეორეს
თორგრიმი. ისინი პირველად იყვნენ ისლანდიაში. ორივენი მდიდ-
რები იყვნენ და ბევრი მეგობარი პყავდათ. ორივე გულადი და ბრძო-
ლაში გაწაფული იყო.

სტარკადს ერთი კარგი წაბლა ულაყი პყავდა, რომელზედაც ამ-
ბობდნენ, მისი ბადალი არ მოიძებნებაო.

ერთხელ ისე მოსდა, რომ სამივე სანდგილელი ძმა თრიპიურ-
ნინგში იმყოფებოდა. ისინი დიდხანს საუბრობდნენ ყველა ფლიოტ-
სპლიდელ ბონდზე, და ლაპარაკი ჩამოვარდა იმაზე, თუ გაბედავდა
ვინმე მათთან ცხენთა შებრძოლების გამართვას. ამ ლაპარაკს ისე-
თი სალსიც ესწრებოდა, რომლებსაც სურდათ შეექოთ ისინი და
თავი მოექონათ მათთვის, და თქვეს, ვერავინ ვაბედავს მაგ ბრძო-
ლას და არც არავის პყავს ეგეთი ცხენიო. მაშინ პილდიგუნმა თქვა:

— მე ვიცნობ კაცს, რომელიც გაბედავს ცხენით შებრძოლებას
თქვენთან.

— დაგვისახელე, — უთხრეს მას.

— გუნარ პლიდარენდელი. მას წაბლისფერი ულაყი პყავს და, ალბათ, გაბედავს კიდეც ცსენით შებრძოლებას თქვენთანაც და ვისთანაც გინდათ.

— თქვენ, დედაკაცებს, გგონიათ, — უთსრეს მას, — რომ გუნარს ვერავინ შეედრება. მაგრამ თუ საქმე გეირ გოდის ან გიცურ თეთრის სამარცსვინოდ დამთავრდა, ეგ სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენც ეგრე დაგვემართება.

— თქვენ უარესი მოგივათ, ვიდრე სხვებს, — თქვა პილდიგუნმა. და წაიჩსუბნენ.

სტარკადმა თქვა:

— მე ყველაზე ნაკლებ ვარ მსურველი, რომ თქვენ გუნარს აწყენინოთ, რადგან გაგიჭირდებათ მისი ბედნიერი იღბლის წინააღმდეგ სვლა.

— მოგვცემ თუ არა ნებას, — უთსრეს მას, — გამოვიწვიოთ იგი ცსენთა შებრძოლებაში?

— მოგცემთ, — თქვა სტარკადმა, — თუ არაფერში მოატყუებთ მას.

მათ პირობა მისცეს.

და აჰა, გაემართნენ კიდეც პლიდარენდში. გუნარი სასლში იყო და ეზოში გამოვიდა. კოლსკეგი და ჰიარტიც გამოპყვნენ. ისინი თავაზიანად მიესალმნენ ასალმოსულთ და ჰკითსეს, საით გაგიწევიათო.

— სწორედ აქეთკენ, — უთსრეს მოსულებმა, — გავიგეთ, კაი ულაყი გყოლია და გვინდა ცსენთა შებრძოლებაში გამოგიწვიოთ.

— არაფერი სალაპარაკოა ჩემი ულაყი: ის ჯერ კიდევ ნორჩია და არც ერთსელ არ გამომიცდია.

— შენ, ალბათ, მაინც არ იტყვი უარს ცსენთა შებრძოლების გამართვაზე, — თქვეს მათ, — პილდიგუნი ამბობს, შენ თურმე თავი მოგაქვს შენი ულაყით.

— რად გილაპარაკიათ მაგ საქმეზე? — ჰკითხა გუნარმა.

— იმიტომ, რომ იყო სალსი, — მიუგეს მათ, — რომლებმაც თქვეს, არავინ არის ისეთი, ჩვენს ულაყთან შებრძოლებას რომ გაბედავსო.

— მე გავბედავ შებრძოლებას, — ეუბნება გუნარი, — თუმცა ეს ლაპარაკი სიამოვნებას არ მგვრის.

— მაშ, შევთანხმდით? — ეკითხებიან ისინი.

— თქვენ გინდათ, ყველაფერი თქვენებურად იყოს. მე მაინც გთხოვთ, ისე მოვაწყოთ, რომ ჩვენი ცხენების შებრძოლებამ სხვებსაც მიანიჭოს სიამოვნება, ჩვენ კი არავითარი უსიამოვნება არ შეგვამთხვიოს. მინდა გთხოვოთ, რომ არ დაიწყოთ ჩემი გაკილვა. მაგრამ თუ ისე მომექცევით, როგორც სხვებთან გარჯილხართ, რასაკვირველია, სამაგიეროს გადაგიხდით. მაშინ კი ნულარც ჩემგან ელით დანდობას.

შემდეგ ისინი შინ დაბრუნდნენ. სტარკადმა პკითხა, როგორ იმეზავრეთო. მათ უთხრეს, გუნარმა გამოწვევა მიიღოო.

— ის დაგვეაბულდა ცხენთა შებრძოლებაზე და დავთქვით კიდეც ბრძოლის დღე. ეტყობა, ეშინია წაგებისა და ცდილობდა, უარი ეთქვა.

— ნახავთ, — თქვა პილდიგუნმა, — რომ ძნელია გუნარის გამოწვევა ბრძოლაში, მაგრამ თუ თავი ვერ აარიდა, ძალზე შეუპოვარი ხდება.

გუნარი ნიალთან გაემგზავრა და მოუთხრო ცხენთა შებრძოლებისა და ეგილის ვაჟებთან საუბრის ამბავი.

— როგორ ფიქრობ, რით დამთავრდება ეს ცხენთა შებრძოლება? — პკითხა მან.

— შენ გაიმარჯვებ, — მიუგო ნიალმა, — მაგრამ ეს შებრძოლება ბევრს მოუღებს ბოლოს.

— იქნება მეც? — პკითხა გუნარმა.

— არა, ეს შებრძოლება ბოლოს არ მოგიღებს, — თქვა ნიალმა, — მაგრამ ამ ძველ შუღლს გაისსენებენ, როდესაც ასალს წამოიწყებენ. შენ მარტო ისღა დაგრჩება, თავი დაიცვა.

ამის შემდეგ გუნარი შინისაკენ გაემართა.

59

ამ დროს გუნარმა თავისი სიმამრის, პასკულდის გარდაცვალება შეიტყო. რამდენიმე დღის შემდეგ კი თორგერდმა, თრაინის ცოლმა, გრიოტში ბიჭი შობა. მაშინ მან თავის დედას კაცი გაუგზავნა და სთხოვა, გადაეწყვიტა, რა დაერქმიათ ბიჭისათვის, — გლუმი თუ პასკულდი. იმან პასკულდი აირჩია.

გუნარსა და პალგერდს ორი ძე პყავდათ. ერთს პოგნი ერქვა, მეორეს გრანი. პოგნი ყველაფერში გამობრძმედილი იყო, ჩუმი, ფრთხილი და გულმართალი.

და აპა, სალსი ცხენთა შებრძოლებაზე გაეშურა. ბლომად ხალხი მოჯარდა: აქ იყვნენ გუნარი თავისი ძმებით, სიგფუსის ძენი და ნიალი თავის ვაუებიანად. მოვიდნენ სტარკადი თავის შვილების და ეგილი თავისი ვაუების თანხლებით. მათ თქვეს, დროა ცხენები გამოუშვანო. გუნარმა თანხმობა განაცხადა. სკარპედინმა პკითხა:

— გინდა, შენი ცხენი მე მივუსიო, გუნარ?

— არ მინდა, — უთხრა გუნარმა.

— აგრე აჯობებდა, — ეუბნებოდა სკარპედინი, — მაშინ არც ერთი მსარე არ დაიხევდა უკან.

— შენ ბევრის თქმა და ქმნა არ გჭირდება, — ეუბნება გუნარი, — რომ დავიდარაბა ატესო. თუ მე თვითონ მივუსევ ჩემს ცხენს, მაშინ იოლად არ მოსდება ჩხუბი, თუმცა იგი მაინც არ აგვცდება.

ამის შემდეგ ცხენები გამოიყვანეს და ერთმანეთს დაუყენეს პირისპირ. გუნარი მოემზადა თავისი ცხენის მისასევად, რომელიც სკარპედინს ეჭირა. გუნარს ძოწისფერი სამოსელი ეცვა და ხელში დიდი ჯოხი ეჭირა. და აპა, ცხენები ერთმანეთს დაეტაკნენ და ისეთი გააფთრებით დაუწყეს ერთმანეთს კბენა, რომ სულაც არ სჭირდებოდათ შეგულიანება. ყველა ძალზე კმაყოფილი იყო. მაშინ თორგეირმა და კოლმა გადაწყვიტეს, ისე დაეკრათ თავიანთი ცხენისთვის, რომ მას გუნარის ცხენისთვის ებიძგა და დაენასათ, წაიქცეოდა თუ არა გუნარი. და აპა, ცხენები ერთმანეთს შეასკდნენ და თორგეირი და კოლი მაშინვე უკნიდან მიუხტნენ თავიანთ ცხენს. მაგრამ გუნარმა აიძულა თავისი ცხენი, წინ გამხტარიყო, და თორგეირი და კოლი გულაღმა გაიშსლართნენ, ზედ მათივე ცხენი დაეცათ. ისინი წამსვე წამოსტნენ და გუნარს ეცნენ. გუნარი სელიდან დაუსსლტა, სტაცა კოლს ხელი და ძირს დაასეთქა ისე, რომ კოლმა გრძნობა დაკარგა. მაშინ თორგეირმა, სტარკადის ძემ, გუნარის ცხენს დაპკრა და თვალი წამოაგდებინა, გუნარმა კი თორგეირს ჯოხი პკრა და იმანაც გრძნობა დაკარგა. გუნარი თავის ცხენთან მივიდა და კოლსკენს უთხრა:

— გააგდებინე თავი. რაღა საცოცხლებელია დასაპყარებული.

კოლსკენმა ცხენს თავი მოკვეთა. მაშინ თორგეირი წამოიჭრა,

იარაღს სტაცა სელი და უნდოდა გუნარს მივარდნოდა, მაგრამ სელი შეუშალეს და ზედახორა გაიმართა. სკარპპედინმა თქვა:

— მომბეზრდა ეს გაწამაწია. იარაღით სელში ბრძოლა უფრო შეგვფერის.

გუნარი ისე მშვიდად იყო, რომ ერთი კაცი აკავებდა. არაფერი ურიგო არ წამოსცდენია. ნიალი ცდილობდა მოჩსუბართა გასავებასა და შერიგებას. თორგეირმა თქვა, არ მსურს შერიგება და იქნება იმასაც მოვესწრო, გუნარი ჩემი სელით კვდებოდესო. კოლსკეგმა თქვა:

— გუნარი ისე მაგრად დგას, რომ ლიტონი სიტყვებით ვერ წააქცევ. ასლაც ასე იქნება.

ხალხი ცხენთა შებრძოლების შემდეგ სახლებში წავიდ-წამოვიდა. გუნარს არავინ დასხმია თავს. ასე გავიდა ერთი წელი.

საფხულის თინგზე გუნარი თავის ცოლის ძმას, ოლავ ფარშავანგს შესვდა და ოლავმა იგი სტუმრად მიიწვია თავის სახლში, მაგრამ ურჩია, ფრთხილად ყოფილიყო.

— მათგან ყველაფერი მოსალოდნელია. არასოდეს იმეზავრო მარტო.

ოლავმა ბევრი კარგი რჩევა მისცა გუნარს და ისინი მეგობრებად დაშორდნენ ერთმანეთს.

60

ასგრიმ ელიდი-გრიმის ძემ თინგზე ბრალდება წაუყენა ულვ უგის ძეს. მაგრამ ასგრიმის ამ ბრალდებას, როგორც სშირად სდებოდა, ერთი სუსტი მსარე ჰქონდა. საქმე ის არის, რომ ცხრა მეზობლის ნაცვლად მან სულ სუთს დაუძახა. ამიტომ მისმა მოწინააღმდეგეებმა ბრალდება არასწორად მიიჩნიეს. გუნარმა თქვა:

— მე შენ ბრძოლაში გამოგიწვევ, ულვ უგის ძეე, თუ ამ სამართლიან საქმეში დათმობაზე არ წახვალ. ნიალსა და ჩემს მეგობარს ჰელგის შეუძლიათ იმედი იქონიონ, რომ მე შენ ამ მძიმე საქმეში არ მიგატოვებ, ასგრიმ, თვითონ ისინიც რომ აქ არ იყვნენ.

— მე შენთან არაფერი მაქვს გასაყოფი, — უთხრა ულვმა.

— მაინც ჩემთან გექნება საქმე, — თქვა გუნარმა.

საქმე იმით დამთავრდა, რომ ულვი იძულებული გასდა მთლიანად გადაესადა ფული. მაშინ ასგრიმმა გუნარს უთხრა:

— მინდა გთხოვო, ამ ზაფხულს სტუმრად მეწვიო. ყველა დავაში შენს მხარეზე ვიქნები და არასოდეს გამოვალ შენს წინააღმდეგ.

გუნარი თინვიდან შინისკენ გაემართა. მალე ამის შემდეგ იგი ნიალს შესვდა. მან გუნარს უთხრა ფრთხილად ყოფილიყო, რადგან ყური მოეკრა, თრიპიურნინგელები გუნარზე თავდასხმას აპირებენო. ნიალმა ურჩია, არასოდეს ევლო ისე, რომ თან საკმაო რაოდენობის თანამგზავრები არ სლებოდა, და მუდამ იარაღი ეტარებინა. გუნარი დაპირდა, ყურად ეღო მისი რჩევა და უთხრა, ასგრიმმა დამპატიჟაო.

— ამ შემოდგომაზე მინდა წასვლა, — დაუმატა მან.

— ნურავის გააგებინებ, ვიდრე სასლიდან არ გახვალ. ნურც იმას იტყვი, რამდენ ხანს იქნები წასული. გარდა ამისა, გთხოვ, ჩემი შვილები იასლო თან და ვეღარავინ შემოგბედავთ სელყოფას.

ასეც შეთანხმდნენ.

აგერ, ზაფხულის მერვე კვირამაც მოაწია, და გუნარმა კოლსკეგს უთხრა:

— გაემზადე სამგზავროდ, ტუნგაში უნდა წავიდეთ სტუმრად.

— შევუთვალოთ ნიალის შვილებს? — პკითხა კოლსკეგმა.

— არა, — უთხრა გუნარმა, — არ მინდა ჩემი გულისთვის დავიდარაბაში გაებან.

61

აგერ, ერთად მიდიან სამნი, გუნარი და ძმანი მისნი. გუნარს თან შუბი და ალვირის ნაჩუქარი მახვილი პქონდა, კოლსკეგს კი მასვილი. პიარტიც იარაღში იჯდა. ისინი ტუნგაში მივიდნენ და ასგრიმი მათ გულღიად შესვდა. იქ მათ რამდენიმე ხანი დაპყვეს. შემდეგ განაცხადეს, სასლში წასვლას ვაპირებთო. ასგრიმმა მათ მდიდრული საჩუქრები მიართვა და გაცილება შესთავაზა. გუნარმა შორს დაიჭირა და ასგრიმი სასლში დარჩა.

ერთ კაცს სიგურდ ღორისთავას ეძასდნენ. იგი თიორსუს წყალთან ცსოვრობდა, და თრიპიურნინგში ამოვიდა, რადგან შეპირებული იყო, თვალყური ედევნებინა, რას მოიმოქმედებდა გუნარი, თქვა

სადაც იყო გუნარი და ისიც დაუმატა, ამაზე უფრო მარჯვე შემთსვევა აღარ მოგეცემათ, რადგან სულ სამნი არიანო.

— სულ რამდენი კაცი დაგვჭირდება, რომ ჩავუსაფრდეთ? — იკითხა სტარკადმა.

— თუ ცოტანი ვიქნებით, ვერაფერს გავსდებით მასთან, — თქვა სიგურდმა, — სულ ცოტა, ოცდაათი კაცი მაინც არის საჭირო.

— სად ჩავუსაფრდეთ?

— კნავაპოლარის ბორცვებთან, — მიუგო სიგურდმა, — იქ, ვიდრე სულ ასლოს არ მოვლენ, ვერ დაგვინახავენ.

— წადი სანდგილში, — უთხრა სტარკადმა, — და ეგილს უთხარი, თსუთმეტი კაცი მოვიდეს აქ, ჩვენ კი, რაკი თსუთმეტნი ვართ, აქედან პირდაპირ კნავაპოლარის ბორცვებს მივაშურებთ.

თორგეირმა პილდიგუნს უთხრა:

— აი, ეს მკლავი დაგანახვებს დღეს მკედარ გუნარს.

— მე კი მგონია, — თქვა პილდიგუნმა, — რომ მასთან შესვედრის შემდეგ თავჩაქინდრული დაბრუნდები.

სტარკადი თავის სამ ვაჟთან ერთად თრიპიურნინგიდან გაემართა და თან თერთმეტი კაცი იახლა. ისინი კნავაპოლარის ბორცვებთან მივიდნენ და ლოდინი დაიწყეს. სიგურდი კი სანდგილში მივიდა და თქვა:

— მე აქ სტარკადმა და მისმა ვაჟებმა გამომგზავნეს იმის სათქმელად, ეგილ, რომ შენი ვაჟებიანად კნავაპოლარის ბორცვებისაკენ გაეშურო და გუნარს დაუდარაჯდე.

— რამდენნი უნდა წავიდეთ? — პკითხა ეგილმა.

— ჩემიანად — თსუთმეტნი, — ეუბნება სიგურდი.

კოლმა თქვა:

— ახლა კი ვნახავ, რა ბიჭიც არის კოლსკეგი.

— მე მგონი, ბევრს იღებ თავზე, — ეუბნება სიგურდი.

ეგილმა სთხოვა ნორვეგიელებს, თქვენც წამოგვყევითო. იმათ მიუგეს, ჩვენ არაფერი გვესაქმებაო გუნართან.

— თან, ეტყობა, სასუმარო საქმე არ არის, — თქვა თორირმა, — რაკი ამდენი ხალხი იყრის თავს სამი კაცის წინააღმდეგ.

ეგილი ძალზე გულმოსული გაბრუნდა. მაშინ დიასახლისმა უთხრა ნორვეგიელს.

— ვაი, იმ დღეს, როცა ჩემმა გოგომ თავისი სიამაყე დასწიხლა

და გვერდით მოგიწვა. შენ კი შენს სიმამრსა და მასპინძელს ვერ გაპყოლისარ. ლაჩარი ყოფილხარ.

— გავეცეები შენს ქმარს, — უთხრა ნორვეგიელმა, — მაგრამ ველარც ის და ველარც მე უკან ვეღარ მოვბრუნდებით.

შემდეგ იგი თაყის ამსანაგ თორგრიმთან მივიდა და უთხრა:

— აიღე ჩემი სკივრების გასაღებები. ისინი მე აღარას მარგიან-გთხოვ, ჩვენი დოელათიდან აიღო ყველაფერი, რაც მოგესურვება. მაგრამ წადი ისლანდიიდან და გულში არ გაიტარო შურისძიება ჩემთვის. თუ აქედან არ წასვალ, დაიღუპები.

და ნორვეგიელი დანარჩენებს შეუერთდა.

62

ახლა ისიც უნდა ითქვას, რომ გუნარმა მდინარე თიორსუ გადალასა და აღმოსავლეთისკენ გაემართა, მაგრამ როგორც კი მდინარეს დაშორდა, მაშინვე ძილი მოერია და თქვა, აქ დავისვენებო. ასეც მოიქცნენ. გუნარს ღრმად ჩაეძინა და ძილში კვნესოდა. კოლსკეგმა თქვა:

— ეტყობა, გუნარი სიზმარშია.

პიარტმა თქვა:

— მოდი, გავაღვიძოთ.

— ნუ გააღვიძებ, — თქვა კოლსკეგმა, — დაე გამოიძინოს.

გუნარს დიდხანს ეძინა. ფარი გადაიგდო, ისე დასცხა.

კოლსკეგმა ჰკითხა:

— რა ნახე სიზმრად, ძმაო?

— ისეთი რამ ვნახე, აღრე რომ დამსიზმრებოდა, ტუნგიდან ორი კაცის თანსლებით არ გამოვუდგებოდი გზას.

— გვიამბე შენი სიზმარი, — სთხოვა კოლსკეგმა.

— მესიზმრა, თითქოს კნავაპოლარის ბორცვებს ჩავუარე. აქ თითქოს უამრავი მგელი დავინახე და ყველანი მე მომცვივდნენ, მე კი რანგისკენ გავიქეცი. ისინი გარს შემომეხვივნენ და მე თავს ვიცავდი. ყველა დავკოდე, რომლებიც ახლოს იყვნენ, მაგრამ ისე მჭიდროდ შემომეწყვნენ, რომ ისრის სროლა აღარ შემეძლო. მაშინ მახვილს დავეტანე, ერთი ხელით ვჩეხავდი, მეორეში კი შუბი მეჭირა და იმით ვგმირავდი. ფარი არ მიხმარია და არ ვიცი, რა მიფა-

რავდა. მე და შენ, კოლსკეგ, ბევრი მგელი დავსოცეთ, მაგრამ პიარტი კი დაძლიეს, მკერდი ვაუგლიჯეს და ერთ-ერთი მათგანი შიგ ეულში სწვდა კბილებით. მერე მე თითქოს ისე გავცოფდი, რომ ის მგელი მსარში დაკვრით შუაზე გავჩეხე და ამის შემდეგ მგლები გაიქცნენ. აი, რას გირჩევ, პიარტ, ჩემო ძმაო, დაბრუნდი უკან ტუნგაში.

— არ წავალ, — თქვა პიარტმა, — თუმცა კი ვიცი, ცოცხალი ველარ გადავრჩები, მაგრამ მაინც შენთან წამოვალ.

მაშინ ისინი კვლავ გზას გაუდგნენ და კნავაპოლარის ბორცვებს მიუახლოვდნენ. კოლსკეგმა თქვა:

— ძმაო, სედავ, იქით, ბორცვებს გადაღმა, რა მრავლად მოჩანს შუბები და შეიარაღებული ხალხი?

— ეჭვი არ შემპარვია, — მიუგო გუნარმა, — რომ სიზმარი ამიხდებოდა.

— ახლა რა ვქნათ? — თქვა კოლსკეგმა, — შენ, ალბათ, არ ისურვებ გაქცევით თავის შველას.

— ნუ მივცემთ მაგ საბაბს დაცინვისთვის, — მიუგო გუნარმა, — რანგისკენ წავიდეთ, კონცხზე, იქ უფრო მოსახერხებელია თავის დაცვა.

კონცხზე მივიდნენ და თავდასაცავად მოემზადნენ. იქ რომ მივიდნენ, კოლმა შეუძახა:

— რაო, გუნარ, გარბიხარ?

კოლსკეგმა მიუგო:

— მაშინ იტრაბახე, თუ სვალინდელი დღე ვაგითენდა.

63

სტარკადმა გამხნევება ღაუწყო თავის ხალხს და ისინი კონცხისკენ გაცვივდნენ. სიგურდ ღორისთავა წინ მიუძღოდა მათ. ცალ ხელში პატარა ფარი ეჭირა, მეორეში შუბი. გუნარმა იგი დაინახა და ისარი გასტყორცნა. სიგურდმა რომ მისკენ მომქროლავ ისარს ჭოპკრა თვალი, ფარი აღმართა, მაგრამ ისარმა იგი გააპო, სიგურდს თვალში ეცა და კეფაში გავიდა. სიგურდი იყო პირველი მოკლული. მეორე ისარი გუნარმა ულვპედინს, სტარკადის მოურავს სტყორ-

ცნა. ისარი ულვპედინს მუცელში მოსვდა და იგი ერთ ბონდს ფესებში ჩაუვარდა, ბონდი კი ზედ დაეცა. კოლსკეგმა ქვა ესროლა და ბონდს თავში მოარტყა ისე, რომ იქვე გაათავა. მაშინ სტარკადმა თქვა:

— არ ივარგებს, თუ მაგან ასე დაგვაყარა ისარი. ზედ მივიდეთ და ნუ შევუშინდებით.

ყველანი ერთმანეთს ამსნეებდნენ. გუნარი თავს იცავდა და ისარს ისროდა, ვიდრე შეეძლო. მერე მშვილდი გადააგდო, შუბსა და მასვილს დასწვდა და ორივე ხელით დაუშინა. ბრძოლა გახურდა და გუნარმა და კოლსკეგმა ბევრი გამოასალმეს წუთისოფელს. მაშინ თორგეირ სტარკადის ძემ თქვა:

— მე პილდიგუნს შენი თავის მიტანას დავპირდი, გუნარ!

— არა მგონია, ეგ რაიმეს ნიშნავდეს მისთვის, — მიუგო გუნარმა, — მაგრამ, ასე თუ ისე, შენ ჩემთან ახლოს მოსვლა მოგიწევს.

თორგეირმა ძმებს უთხრა:

— ბარემ ყველა ერთად მივცვივდეთ. ფარი არა აქვს და ჩვენს ხელშია ჩავარდნილი.

ბარკი და თორკელი წინ გავარდნენ და თორგეირს გაუსწრეს. ბარკს უნდოდა მასვილი დაერტყა გუნარისთვის, მაგრამ გუნარმა ისე მძლავრად აუქნია შუბი, რომ ბარკს ხელიდან გააგდებინა მახვილი. აქ მან დაინახა, რომ ხელმარცხნივ, სულ ახლოს, თორკელი იდგა. გუნარი ცალ ფეხზე იყო დაყრდნობილი. მან მასვილი მოიქნია და თორკელს კისერში შემოპკრა ისე, რომ თავი ტანს მოსცილდა. კოლ ეგილის ძემ თქვა:

— მიმიშვით კოლსკეგთან. რამდენჯერ მითქვამს, ერთმანეთს არ დავუვარდებით-მეთქი.

— მაგას ახლავე ვნახავთ, — თქვა კოლსკეგმა.

კოლმა შუბი მოუღერა. კოლსკეგმა ის-ის იყო ერთი მოქიშპე მოკლა და საკმაო ჯაფა ადგა, ამიტომ ვერ მოასწრო ფარის წინ წამოწევა და შუბმა ივი ბარძაყში დაჭრა. კოლსკეგი კოლს მიეჭრა, მასვილი ისე დაპკრა, რომ ფესი თეძოში გადაკვეთა და პკითხა:

— რაო, მოგხვდა?

კოლმა უთხრა:

— ძვირად დამიჯდა, რომ ფარი არ ავიფარე.

და ერთსანს ცალ ფესზე იდგა, თან თავის მოჭრილ ფესს დაპყურებდა. კოლსკეგმა უთსრა:

— რაღას უყურებ. ხომ სედავ, ფესი აღარა გაქვს.

მაშინ კოლი მკვდარი დაეცა მიწაზე.

ეს რომ ეგილმა დაინახა, გუნარისკენ გაექანა და მასვილის დარტყმა დაუპირა, მაგრამ გუნარმა თავისი შუბი დაუსვედრა, პირდაპირ მუცელში გაუყარა, მერე შუბით ასწია და მდინარეში მოისროლა. მაშინ სტარკადმა თქვა:

— გლახაკი ყოფილსარ, თორირ ნორვეგიელო, ეგრე გულსელდაკრეფილი რომ შეპყურებ, როგორ გიკლავენ თვალწინ შენს მასპინძელსა და სიმამრს.

მაშინ ნორვეგიელი გაშმაგებული წამოვარდა. ამასობაში პიარტს ორი კაცი მოეკლა. ნორვეგიელი ზედ მიუხტა და მასვილი აძგერა მკერდში. პიარტი იქვე მკვდარი დაეცა მიწაზე. ეს რომ გუნარმა დაინახა, ნორვეგიელს ეცა და შუაზე გააპო. მცირე სნის შემდეგ გუნარმა თავისი შუბი ბერკსა სტყორცნა. შუბმა ბერკს ტანში გაუარა. და მიწაში ჩაერჭო. ამ დროს კოლსკეგმა პაუკ ეგილის ძეს თავი წაპკვეთა, გუნარმა კი ოთარს იდაყვთან მოსჭრა მკლავი.

მაშინ სტარკადმა თქვა:

— გავიქცეთ; ეს რა სალხი ყოფილა!

გუნარმა თქვა:

— თქვენთვის სირცხვილი იქნება ამ ბრძოლაზე ილაპარაკოთ და არ კი გეტყობოდეთ მასში მონაწილეობის ნიშნები.

ამის თქმა იყო და გუნარი სტარკადსა და მის ვაუს, თორგეირს წამოეწია და ორივე დაჭრა. ამით დამთავრდა ბრძოლა. გუნარმა და მისმა ძმებმა ისინიც დაჭრეს, ვინც გაქცევას ცდილობდა. თოთხმეტი კაცი შეეწირა ბრძოლას და მეთხუთმეტე პიარტი იყო. გუნარმა ფარსე გაწოლილი ჩამოასვენა პიარტი სასლში და იქვე დამარსეს. ბევრი გლოვობდა, რადგან ძალიან უყვარდათ იგი.

სტარკადიც შინ დაბრუნდა. პილდიგუნი, მისი და, თორგეირის ჭრილობების მკურნალობას შეუდგა და თქვა:

— თქვენ, ალბათ, რაღას არ გაიმეტებდით, ოღონდ გუნართან ეს შუღლი არ ჩამოგვარდნოდათ.

— აგრეა, — თქვა სტარკადმა.

სანდგილელმა სტეინვარმა ნორვეგიელ თორგრიმს უთხრა, არ-ხად წასულიყო და მისი მეურნეობის გასაძღოლად დარჩენილიყო, თან არ დაევიწყა თავისი ძასპინძლისა და სიმამრის სიკვდილი. თორგრიმმა თქვა:

— ჩემმა ამხანაგმა თორირმა მიწინასწარმეტყველა, გუნარის ხელით დაიღუპები, თუ ისლანდიაში დარჩიო. ეტყობა, მისვდა, რაც ჭიწერია, რადგან იცოდა, რომ თავად მოკვდებოდა.

— შენ ჩემს ასულს, გუდრუნს მოგათხოვებ და მთელ ჩემს ავლა-დიდებას დაგითმობ.

— არ მეგონა, თუ ასე ძვირად დაგიჯდებოდა ჩემი აქ დარჩენა, — თქვა თორგრიმმა.

და გადაწყვიტეს, რომ თორგრიმი გუდრუნს შეირთავდა. ქორ-წილი ზაფხულში გადაიხადეს.

გუნარი და კოლსკეგი ბერგთორსჰვალში გაემგზავრნენ. ნიალი და მისი ვაჟები ეზოში იყვნენ, გუნარს მიეგებნენ და თავაზიანად მიესალმნენ. მერე საუბარს შეპყვნენ. გუნარმა თქვა:

— შენთან იმიტომ მოვედი, რომ დამეხმარო და რჩევა მომცე.

ნიალმა დასმარება აღუთქვა.

— ბევრი ხალხი შემომაკვდა და ცუდ დღეში ვარ. მინდა ვიცო-დე, — თქვა გუნარმა, — როგორ უნდა მოვიქცე შენი აზრით.

— იმასაც იტყვიან, — თქვა ნიალმა, — რომ შენ ეგ საქმე ძალით ჩაგადენინეს, მაგრამ, დამაცადე, მოვიფიქრო.

ნიალი განმარტოვდა და დიდსანს ფიქრობდა, მერე მობრუნდა და თქვა:

— ყველაფერი მოვიფიქრე და ჩემი აზრით შენ შეუპოვრად და ჭტკიცედ უნდა იმოქმედო. თორგეირმა დააორსულა თორფინა, ჩემი ნათესავი, და მე შენ გადმოგცემ უფლებას, მრუშობა დასწამო მას. მე შენ იმის უფლებასაც გადმოგცემ, რომ დაიწყო დავა სტარკადის წინააღმდეგ; იგი კანონგარეშე უნდა გამოცხადდეს, რადგან ჩემი ტყე გაჩეხა ორიპიურნინგსჰალსარზე. შენ წამოიწყე ორივე საქმე. ჭიდი თქვენი შებრძოლების ადგილზე, ამოთხარე გვამები, უჩვენე მოწმეებს ჭრილობები და გამოაცხადე, რომ არც ერთი მოკლული-სათვის არ არის საჭირო საზღაურის გადასდა, რადგან ისინი შეიკ-

რიბნენ, რათა თავს დაგსსმოდნენ შენ და შენს ძმებს და დაესოცეთ. მაგრამ თუ ამ საკითხის გარჩევას დაიწყებენ თინგზე და გეტყვიან, რომ უწინ შენ დაპკარი თორგეირს და ამიტომ უფლება არა გაქვს წამოაყენო ბრალდება არც შენი და არც სხვისი სახელით, მაშინ პასუხს მე გავცემ და ვეტყვი, რომ მე მოვსსენი ყველა ბრალდება თინგზე თინგსკალარში, და რომ შენ ასლა უფლება გაქვს წამოაყენო ბრალდება შენი და სხვისი სახელითაც. მაშინ ისინი ვალდებულები იქნებიან განიხილონ შენი დავა. შენ აგრეთვე უნდა მოძებნო ბერიანესელი თიურვინგი და ისიც უფლებას გადმოგცემს წამოიწყო დავა ტრალასკოგელი ანუნდის წინააღმდეგ, რომელმაც უნდა წამოაყენოს ბრალდება თავისი ძმის, ეგილის მოკვლის თაობაზე.

გუნარი ჯერ შინისკენ გაემართა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ იგი ნიალის ვაუებთან ერთად იმ ადგილისკენ გაეშურა, სადაც მოკლულთა გვამები იყო ჩაფლული. ამოთხარეს ყველა მიცვალებული. გუნარმა გამოაცხადა, მათზე საზღაურის გადახდა საჭირო არ არისო, რადგან მათ განიზრახესო თავდასხმა და მკვლელობა, და შინ დაბრუნდა.

65

იმავე შემოდგომაზე ვალგარდ რუსი ისლანდიაში დაბრუნდა და შინისკენ გაემართა ჰოვში. თორგეირი ვალგარდთან და მორდთან მივიდა და უთხრა, გუნარი უარს ამბობს საზღაური გადაიხადოსო დასოცილებზე. ვალგარდმა თქვა, ნიალი დაარიგებდა და ბევრ სხვა რამესაც ურჩევდაო. თორგეირმა ვალგარდსა და მის შვილს, მორდს, დასმარება და სელისშეწყობა სთხოვა, მაგრამ ისინი დიდხანს იდგნენ უარზე და ბევრ ფულს მოითხოვდნენ. ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტეს, რომ მორდი თორკატლას ხელს ითხოვდა, გიცურ თეთრის ასულისას, და თორგეირი მაშინვე მორდთან და მამამისთან ერთად დასავლეთისკენ გაემართებოდა მდინარის გაღმა.

მეორე დღეს ისინი, თორმეტი კაცი, შინიდან გავიდნენ და მოსფელს მიაღწიეს. იქ მათ გულღიად შეეგებნენ. შემდეგ გიცურს სთხოვეს, თავისი ასული მორდისათვის მიეთხოვებინა. ბოლოს და ბოლოს იგი დათანხმდა და ქორწილი ორი კვირის მერე დანიშნეს მოსფელში. შემდეგ შინისაკენ გაემართნენ. ქორწილზე დიდძალი ხალხი მოიპატიჟეს. სტუმრები ბლომად მოგროვდნენ და ქორწილ-

მაც კარგად ჩაიარა. თორკატლა მორდთან ერთად შინისაკენ გაემართა და ოჯახს მოპკიდა ხელი, ვალგარდი კი იმ ზაფხულს ისლანდიიდან გაემგზავრა.

მორდი თორგეირს აქეზებდა აღეძრა საქმე გუნარის წინააღმდეგ. თორგეირი ანუნდთან გაემგზავრა და წინადადება მისცა წამოეწყო დავა თავისი ძმის ეგილისა და მისი ვაუების დასოცვის თაობაზე და დაუმატა:

— მე კი წამოვიწყებ საქმეს ჩემი ძმების მკვლელობისა და ჩემი და მამაჩემის ჭრილობების თაობაზე.

ანუნდმა უთხრა, მზად ვარო და აპა, გაემართნენ კიდეც, გამოაცხადეს მკვლელობის ამბავი და დანიშნეს ბრძოლის ადგილთან ახლოს მცხოვრები ცხრა მეზობელი მოწმეებად.

პლიდარენდში შეიტყვეს მთელი ამ სამზადისის ამბავი. გუნარი ნიალთან გაემგზავრა, ყველაფერი უამბო და პკითხა, ასლა როგორ მოვიქცეო.

— ახლა შენ, — უთხრა ნიალმა, — უნდა დანიშნო ბრძოლის ადგილთან ყველაზე ახლოს მცხოვრები მეზობლები და თვით შენი მეზობლები და დაასახელო მოწმეები. კოლს შენი ძმის ჰიარტის მკვლელი უწოდე, რადგან უფლება გაქვს მკვლელად ჩათვალო თავდასხმის ყოველი მონაწილე. შემდეგ ბრალი დასდე კოლს მკვლელობაში, თუმცა იგი ცოცხალი აღარ არის. შემდეგ დაასახელებ შენს მოწმეებს და მოიწვევ მეზობლებს ალთინგზე, რათა თქვან, დაგესსნენ თუ არა თავს კოლი და მისი თანმხლებნი, როდესაც ჰიარტი მოკლეს. სამსჯავროზე გამოიძახე აგრეთვე თორგეირი მრუშობის საქმეზე და ანუნდი თიურვინგის საქმეზე.

გუნარმა ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც ნიალმა ურჩია. ეს სამზადისი ხალხს ეუცხოვა. და აპა, საქმის თინგზე გარჩევის დროაც მოაწია. გუნარი, ნიალი თავისი ვაუებით და სიგფუსის ძენი თინგზე გაემგზავრნენ. მანამდე გუნარმა კაცი გაუგზავნა ცოლეურებს, რათა ისინიც მოსულიყვნენ თინგზე და თან ბლომად ხალხი წამოეყვანათ, და შეუთვალა, დავა მძიმე იქნებაო. მათ თავიანთ მხარეში, დასავლეთში, ბლომად ხალხს დაუყარეს თავი. მორდი, რუნოლვ ველელი, თრიპიურნინგელნი და ტრალასკოგელი ანუნდიც გაემგზავრნენ თინგზე, და იქ რომ მივიდნენ, გიცურ თეთრსა და გეირ გოდის ამოუდგნენ მხარში.

გუნარი, სიგფუსის ძენი და ნიალის ვაუები ერთად იყენენ და ისე მტკიცედ ეჭირათ თავი, რომ ვინც კი გზად გადაეღობებოდა, იძულებული იყო მორიდებოდა, რომ არ წაექციათ. თინგზე ერთთავად ამ დავაზე პქონდათ ლაპარაკი.

გუნარი თავის ცოლეურებს, ოლავსა და სსვებს გამოეგება და ისინიც გულთბილად მიესალმნენ. გუნარს ბრძოლის ამბავი გამოპკითხეს და გუნარმაც ყველაფერი ზუსტად და მიუკერძოებლად მოუთხრო, რა როგორ მოხდა. ისიც უამბო, რა მოიმოქმედა ბრძოლის შემდეგ. ოლავმა უთხრა:

— კარგია, რომ ნიალი ასე ერთგულად გეხმარება ყველაფერში.

გუნარმა თქვა, ვერასოდეს შევძლებ ღირსეულად გადავუხადო ეს სიკეთეო. მერმე დახმარება სთხოვა მათ და ისინიც დაპყაბულდნენ.

და აპა, ორივე მსარემ წამოაყენა თავთავიანთი ბრალდება და დაიწყო მათი გარჩევა. მორდმა იკითხა, როგორ შეიძლება ისეთი კაცი, როგორიც არის გუნარი, რომელმაც თორგეირისათვის დარტყმით უფლება დაკარგა საისჯავროს წინაშე გამოსვლისა, ბრალდებას აყენებდესო. ნიალმა თქვა:

— იყავი თინგზე თინგსკალარში შემოდგომაზე?

— რასაკვირველია, — ეუბნება მორდი.

— მოისმინე თუ არა, — ეუბნება ნიალი, — რომ გუნარმა მას ხრული შერიგება შესთავაზა?

— რასაკვირველია, — ეუბნება მორდი.

— მაშინ მე გამოვაცხადე, — ეუბნება ნიალი, — რომ გუნარმა უფლება მოიპოვა გამოვიდეს სამსჯავროს წინაშე ყოველგვარი საქმით.

— ეგ მართალია, — ეუბნება მორდი, — მაგრამ რატომ გამოაცხადა გუნარმა კოლი პიარტის მკვლელად, როდესაც იგი ნორვეგიელმა მოკლა?

— ეგ მართალია, — ეუბნება ნიალი, — იმიტომ, რომ გუნარმა მას მოწმეთა თანდასწრებით უწოდა მკვლელი.

— იქნება ეგ მართალიც იყოს, — ეუბნება მორდი, — მაგრამ რა-

ტომ გამოაცხადა გუნარმა, რომ საზღაური არავისზეაი გადასახდელი?

— ეგ საკითხავიც არ არის, — ეუბნება ნიალი, — ისინი ხომ იმიტომ მოვიდნენ, რომ ან ჭრილობები მიეყენებინათ მისთვის, ან მოეკლათ იგი.

— გუნარი ხომ უვნებლად გადარჩა? — ეუბნება მორდი.

ნიალმა თქვა:

— გუნარის ძმები კოლსკეგი და პიარტი იქ იყვნენ და ერთი მათგანი მოკლულია, მეორე კი დაჭრეს.

— კანონი თქვენს მხარეზეა, — მიუგო მორდმა, — თუმცა კი ძალიან მიჭირს თითის მოკაკვა.

მაშინ გამოვიდა ჰიალტი, თიორსუსპირელი სკოგის ძე, და თქვა:

— აქამდე არ ვერეოდი თქვენს პაექრობაში, მაგრამ ახლა მინდა გავიგო, რას ნიშნავს, გუნარ, შენთვის ჩემი სიტყვები და ჩემი მეგობრობა?

— რა გინდა? — პკითხა გუნარმა.

— მე მინდა, — მიუგო პიალტიმ, — რომ ღირსეულმა სალხმა სამართლიანი გადაწყვეტილება გამოიტანოს ამ საქმეში.

გუნარმა უპასუხა:

— მაშინ შენ არასოდეს არ უნდა გამოსვიდე ჩემს წინააღმდეგ, ვისთანაც არ უნდა მქონდეს დავა.

— სიტყვას გაძლევ, — მიუგო პიალტიმ.

ამის შემდეგ იგი შეუდგა მოლაპარაკებას გუნარის მოწინააღმდეგეებთან და იმას მიაღწია, რომ ყველანი მორიგდნენ და ფიცი დადეს, შური არ ეძიათ ერთმანეთზე. თორგეირის ჭრილობამ მოსსნა ბრალდება მრუშობის შესახებ, სტარკადის ჭრილობამ — სარჩელი ტყის გაჩეხვის თაობაზე. თორგეირის ძმებისათვის გადაისადეს ნამდვილი საზღაური, რადგან ისინი დაესხნენ თავს გუნარს. ეგილის მოკვლამ მოსსნა თიურვინგის საქმე. პიარტის მოკვლა გაუთანაბრეს კოლისა და ნორვეგიელის მოკვლას. სხვებზე გადახდილ იქნა ნახევარი საზღაური. მსაჯულთა შორის იყვნენ ნიალი, ასგრიმ ელიდი-გრიმის ძე და პიალტი სკეგის ძე.

სტარკადსა და სანდგილელთ ბლომად ფული ემართათ ნიალისა და ნიალმა ეს ფული გუნარს გადასცა იმ საზღაურის ანგარიშში, რომელიც გუნარს მათთვის უნდა გადაესადა. გუნარს თინგზე ისე

მრავლად პყავდა მეგობრები, რომ მან ადგილზევე გადაისადა საზღაური ყველა მკვლელობისათვის და უსვად დაურიგა საჩუქრები პავდინგებს, რომლებიც მას ესმარებოდნენ. ამ საქმემ მას დიდი სახელი მოუსვეჭა და ყველა იმ აზრისა იყო, რომ გუნარს ბადალი არ პყავდა მოელს სამსრეთ მეოთსედში.

გუნარი თინგიდან სასლისკენ გაეშურა. და აპა, არის კაცი თავისთვის, მტრები კი შურით შეპყურებენ მის დიდებას.

67

ასლა თორგეირ ოტკელის ძეზე უნდა გიამბოთ. იგი დაკაუკაცდა, წარმოსადეგი და მძლავრი, პატიოსანი და ალალ-მართალი, მაგრამ ცოტა დამყოლი სასიათისა დადგა. მასთან ყველაზე დაფასებული სალსი მეგობრობდა, ნათესაველს კი უყვარდათ იგი.

ერთსელ თორგეირ სტარკადის ძე თავის ნათესავ მორდთან გაემართა.

— მწყინს, — თქვა მან, — რომ ასე დამთავრდა ჩემი დავა გუნართან, მაგრამ მე შენ ფული იმიტომ გადაგისადე, რომ დამესმარო, ვიდრე ცოცხლები ვართ. მინდა, მირჩიო, როგორ მოვიქცეთ. კარგად დაუფიქრდი. მე ამას ასე გულასდილად იმიტომ გეუბნები, რომ ვიცი შენ გუნარის დაუძინებელი მტერი სარ, ის კი — შენი. მე დიდად დაგიფასებ, თუ ამ საქმეში სელს გამიმართავ.

— ყველას ყოველოვის ისე პგონია, — თქვა მორდმა, — თითქოს მე ფული მიყვარდეს. ასლაც ასე მოსდება. ძნელია ისე მოაგვარო საქმე, რომ შენ თვით არ დაარღვიო მშვიდობა და შენი კი გაიტანო. მაგრამ, ყური მოვკარ, კოლსკეგს თურმე სურს უკან დაიბრუნოს მიწის მეოთსედი ძოეიდარპვალში, რომელიც მამაშენს მისცეს, როგორც საზღაური შვილისათვის. მან უფლება ამ ბრალდებაზე თავისი დედისაგან მიიღო, და სწორედ ეუნარმა ურჩია ფული გადაესადა, მაგრამ მიწა კი არ დათმო. ახლა დაველოდოთ, რა მოსდება შემდეგ, და გამოვაცსადოთ, რომ ჩვენთან შეკრული პირობა დაარღვია. გარდა ამისა, სასნავი მიწები წაართვა თორგეირ ოტკელის ძეს და ამითიც გატეხა სიტყვა. შენ კი გაემგსავრე თორგეირ ოტკელის ძესთან და საქმეში ჩაითრიე. ერთად დაესსით თავს გუნარს. თუ მოკელა ვერ მოგისერსდათ, კიდევ ჩაუსტით. აი, რას ვეტყვი: ნი-

ალმა უწინასწარმეტყველა, რომ თუ ერთი გვარიდან ერთ კაცზე მეტს მოკლავს, მაშინვე დაიღუპება, თუ ამასთანავე მოლაპარაკეებსაც დაარღვევს. საქმეში თორგეირი ჩაითრიე, რადგან გუნარს მისი მამა პყავს მოკლული. თუ ორივე ერთად მიიტანთ იერიშს გუნარზე, შენ ფარი იფარე, თორგეირი კი თამამად მივარდება და გუნარი მას მოკლავს. მაშინ გამოვა, რომ გუნარს ორი კაცი ეყოლება მოკლული ერთი გვარიდან, შენ კი გაქცევით უშველე თავს და, თუ მას ამ საქმისაგან დაღუპვა უწერია, მაშინ იგი დაარღვევს შეთანხმებას. მაშ, მანამდე დაველოდოთ.

ამის შემდეგ თორგეირი შინისკენ გაემართა და ყველაფერი საიდუმლოდ უამბო მამას. გადაწყვიტეს, ისე ემოქმედათ, რომ არავის არაფერი შეეტყო.

68

რამდენიმე ხნის შემდეგ თორგეირ სტარკადის ძე კირკიუბერში გაეშურა თავის სეხნიასთან. ისინი მთელ დღეს ჩურჩულებდნენ. ბოლოს თორგეირ სტარკადის ძემ თავის სეხნიას ოქროთი მოვარაყებული შუბი აჩუქა და შინისკენ გაემართა. ისინი დიდად დამეგობრდნენ.

შემოდგომაზე თინგზე თინგსკალარში კოლსკეგმა ბრალდება წამოაყენა მოეიდარპვალის მიწის თაობაზე. გუნარმა კი მოწმეები დაასასელა და თრიპიურნინგელებს შესთავაზეს ფული ან მიწა სხვა ადგილებში კანონიერი ფასით. თორგეირმა ხალხი დაიმოწმა, რომ გუნარმა მშვიდობა დაარღვია. ამით დამთავრდა თინგი.

გავიდა ერთი წელი. სეხნიები კი კვლავ ერთმანეთს ხვდებოდნენ და მეგობრობდნენ.

ერთხელაც კოლსკეგმა გუნარს უთხრა:

— გავიგე, სეხნიები ძალზე დამეგობრებულან. ბევრი ამბობს, მათ არ უნდა ენდოთო. ცოტა უნდა გაფრთხილდე.

— თუ სიკვდილი მიწერია, სადაც უნდა ვიყო, არ ამცდება — მიუგო გუნარმა.

ამით მოათავეს ლაპარაკი.

შემოდგომაზე გუნარმა თავის მუშებს უბრძანა ერთი კვირა შინ ემუშავათ, მეორე კვირას კი ქვევით, კუნძულებზე აეღოთ თივა. გან-

კარგულება გასცა, ყველანი წასულიყვნენ და თეითონ შინ მარტო დარჩა ქალებთან.

თორგეირ თრიპიურნინგელი თავის სეხნიასთან გაემართა და, როდესაც ერთმანეთს შესვდნენ, ჩვეულებისამებრ, ლაპარაკს შეპყენენ. თორგეირ სტარკადის ძემ თქვა:

— მოდი, რაც იყოს იყოს, გუნარს ჩაეუსტეთ.

— გუნართან შეყრა, — მიუგო თორგეირ ოტკელის ძემ, — ასე იოლი როდია. არც სიტყვის გამტესი მინდა გამოვიდე.

— პირობა ჩვენ კი არა, იმათ დაარღვიეს, — თქვა თორგეირ სტარკადის ძემ, — გუნარმა შენ ხომ სასნავი მიწა წაგართვა, მე და მამაჩემს — მოეიდარჰვალი.

და გადაწყვიტეს, თავს დასხმოდნენ გუნარს. მაშინ თორგეირმა თქვა, რამდენიმე დღის შემდეგ გუნარი სასლში მარტო იქნებაო, და სესნიას უთხრა:

— მოდი ჩემთან თერთმეტი კაცით, მეც მაგდენი მეყოლება.

ამის შემდეგ თორგეირი შინ დაბრუნდა.

69

როდესაც კოლსკეგმა მუშებთან ერთად კუნძულზე სამი დღე დაპყო, თორგეირ სტარკადის ძემ ეს შეიტყო და თავის სეხნიას შეუთვალა, თრიპიურნინგსპალსარის მთაგრეხილზე შემსვდიო. შემდეგ თორგეირი თერთმეტი კაცით გზას გაუდგა თრიპიურნინგიდან. იგი მთაგრეხილზე ავიდა და იქ დაუწყო ლოდინი თავის თანამოსასელეს.

გუნარი ამ დროს სასლში მარტო იყო. სეხნიები ტყეს გაუსწორდნენ და უცბად ისე მოერიათ ძილი, რომ გზას ვეღარ იგნებდნენ. ფარები სის ტოტებზე ჩამოკიდეს, ცხენები მიაბეს და საჭურველი გვერდზე დაილაგეს.

იმ ღამეს ნიალი თორლვსფელში იყო. ძილი არ ეკარებოდა და ერთთავად სასლში შედიოდა და გამოდიოდა. თორპილდმა უძილობის მიზეზი ჰკითხა.

— რაღაცეები მელანდება, — მიუგო ნიალმა, — ვხედავ გუნარის მრავალი მტრის ორეულ სულებს. ერთი რამ მაოცებს: ეტყობათ, გაავებულნი არიან, მაგრამ წინდაუხედავად ირჯებიან.

ცოტა ხნის შემდეგ კარს ვიღაც კაცი მოადგა, ცხენიდან გადმოხტა და სახლში შევიდა. იგი თორპილდისა და სკარპედინის მწყემსი გამოდგა. თორპილდმა ჰკითხა:

— რაო, მიაგვენ ცხვარს?

— უფრო მეტი კი არ ვნახე? — მიუგო მწყემსმა.

— მაინც რა ნახე? — ჰკითხა ნიალმა.

— იქ, მთაზე, ტყეში, ოცდაოთხი კაცი დავინახე. ცხენები მიბმული პყავდათ, ფარები ტოტებზე ეკიდა, თავად კი ეძინათ.

ყველაფერს ისე კარგად დაპკვირვებოდა, რომ მთელი მათი საჭურველი და სამოსელი აღწერა, და ნიალმა ყველა იცნო, ვინ ვინ იყო. ნიალმა მწყემსს უთხრა:

— ნეტავ ყველა მსახური ასეთი გამოგვადგეს. ამ შენს სამსახურს არ დავივიწყებ. ახლა კი ერთ საქმეზე უნდა გაგგზავნო.

ვეახლებიო, უთხრა მწყემსმა.

— გახწი, — თქვა ნიალმა, — პლიდარენდში ჩადი და გუნარს გადაეცი, გრიოტისკენ გაემართოს და სალხი შეკრიბოს. მე კი იმათთან წავალ ტყეში და ისე დავაფრთხობ, რომ უკანვე გაბრუნდებიან. კიდევ კარგი, რომ ამჯერად ვერაფერს მიაღწევენ, დაკარგვიო კი ბევრს დაკარგავენ.

ახლა ნიალზე უნდა გიამბოთ. იგი ხესნიებს დაადგა თავზე და უთხრა:

— ეაგლახად წამოწოლილხართ. ან აქ რამ მოგიყვანათ. სონ იცით, რომ გუნარს ხუმრობა არ უყვარს. კაცმა რომ სიმართლე თქვას, აკი თქვენ გიდევთ გუნებაში კაცის კვლა. იცოდეთ კია, გუნარი სალხს უყრის თავს და საცაა აქ გაჩნდება. ყველას დაგხოცავთ, თუ ახლავე არ აიბარგეთ.

იმათაც აღარ დაუყოვნებიათ. გულგახეთქილებმა იარაღს წამოაელეს სელი, ცხენებს მოახტნენ და თრიპიურნინგისკენ მოუსვეს.

ნიალი გუნართან მივიდა და უთხრა:

— სალხს ნუ დაითხოვ, მე კი წავალ და ვეცდები, ყველაფერი მშვიდობიანად მოვაგვარო. ახლა იმათ ალბათ კაი შიში ჭამეს. ის, რომ შენი მოკვლა ჰქონდათ განზრახული, უფრო ნაკლები როდი დაუჯღებათ. ვიღრე ერთ-ერთი ხესნიის მოკვლა. მე ამ ფულს შევინახავ და ისე ვიზამ, რომ ყოველოვის სელთ გვქონდეს იგი, როცა საჭირო გახდება.

გუნარმა მადლობა გადაუხადა დახმარებისათვის.

ნიალი თრიპიურნინგში გაემგზავრა და სესნიებს უთხრა, გუნარი სალსის დათხოვნას არ აპირებს, ვიდრე თქვენ არ გაგისწორდებათო. ისინიც მაგრად დაფრთხნენ, რაღას არ სთავაზობდნენ და სთხოვდნენ ნიალს, გუნარისთვის გადაეცა მათი წინადადებები. ნიალმა თქვა, გადავცემ ისეთ წინადადებებს, რომლებშიც თავს სიცრუე არ იმალავსო. მათ სთხოვეს ნიალს, მონაწილეობა მიეღო საქმის განხილვაში და აღუთქვეს შეესრულებინათ ყველაფერი, რასაც ის გადაწყვეტდა. ნიალმა უთხრა, გადაწყვეტილებას თინგზე გამოვიტან და თანაც ყველაზე ღირსეული ხალხის თანდასწრებითო. ამაზე შეთანხმდნენ.

ნიალმა ორივე მხარე ერთმანეთს შეასვეღრა. მათ ხელი ხელს დაპკრეს იმის ნიშნად, რომ ურთიერთთან მშვიდობა ექნებოდათ. ნიალს ევალებოდა გადაწყვეტილება გამოეტანა და მსაჯულებად ისინი დაესახელებინა, ვინც სურდა.

რამდენიმე დღის შემდეგ მორდ ვალგარდის ძეს შესვდნენ. მორდმა საყვედურებით აიკლო ისინი იმის გამო, რომ ნიალს მიანდეს საქმის განხილვა, მაშინ რიდესაც იგი გუნარის დიდი მეგობარი იყო, და დააყოლა, ძვირად დაგიჯდებათო ეგ.

აგერ, სალსი, ჩვეულებისამებრ, ალთინგზე გაემგზავრა. ორივე მხარე აქ იყო. ნიალმა ყურადღება ითხოვა და ალთინგზე მყოფ ყველაზე ღირსეულ ხალხს დაეკითხა, რისი მოთხოვნა შეეძლო გუნარს იმისათვის, რომ მას მოკვლას უპირებდნენ. მათ მიუგეს, ისეთ კაცს, როგორიც გუნარია, ბევრი რამის მოთხოვნა შეუძლიაო. ნიალმა იკითხა, ვინ უნდა იყოსო მოპასუხე, ყველა, ვინც გუნარზე თავდასხმას აპირებდა, თუ მარტო მათი მოთავენიო. მათ მიუგეს, უპირველეს ყოვლისა, მოთავენი, თუმცა პასუხს სხვებიც აგებენო.

— იმასაც იტყვიან, — თქვა მორდმა, — რომ ყველაფერში დამნაშავე გუნარია, მან ხომ პირველმა დაარღვია მშვიდობა სესნიებთან.

— მშვიდობას დარღვევა არ ეთქმის, — მიუგო ნიალმა, — თუ ერთი კაცი კანონს იყენებს მეორის წინააღმდეგ. განა კანონი არ იცავს ქვეყანას და უკანონობა კი ღუპავს მას?

შემდეგ ნიალმა თქვა, გუნარი სანაცვლოდ გთავაზობთ მიწას მოეიდარპვალზე, ან ფულსო. მაშინ ორიეემ დაინახა, რომ მორდმა

ისინი მოატყუა. ძალზე ლანძღავდნენ და ამბობდნენ, მაგის გულისთვის გვასდევინებენ საზღაურსო. ნიალმა თორმეტი მსაჯული დაასახელა იმათგან, ვინც თან ასლდა თორგეირებს. ყველას ას-ასი ვერცხლი უნდა გადაესადა, თვით სესნიებს კი — ორას-ორასი. ნიალმა ეს ფული შესანასად დაიტოვა და ორივე მხარემ შეპფიცა, აღარ დაერღვიათ მშვიდობა. ნიალი ფიცის სიტყვებს კარნახობდა.

ამის შემდეგ გუნარი თინგიდან დასავლეთის ველისკენ გაემართა პიარდარპოლტში. ოლავ ფარშავანგი კარგად შესვდა. გუნარმა ნასევარ თვეს დაპყო მასთან, მთელი ველი მოიარა და ყველგან სულითა და გულით ხვდებოდნენ. გამომშვიდობებისას ოლავმა უთხრა:

— მინდა სამი რამ გაჩუქო: ოქროს სამაჯური და წამოსასხამი, რომლებსაც ირლანდიელთა მეფე მიურკიარტანი ფლობდა, და ერთი ნაგაზი, რომელიც ირლანდიაში მაჩუქეს. არც ერთ ჯანმაგარ კაცზე ნაკლებად არ ამოგიდგება მსარში. გარდა ამისა, მას ადამიანის გონება აქვს: თუ იცის რომ მავანი კაცი შენი მტერია, ყეფას დაუწყებს, და არასოდეს არ დაუყეფს შენს მეგობარს. ყოველ კაცს ატყობს, კეთილი უნდა შენთვის თუ ბოროტი. შენთვის იგი თავს არ დაზოგავს. მაგ ძაღლს შავთანას ვეძახით.

მერე ძაღლს უთხრა:

— ახლა შენი პატრონი გუნარია. აბა, შენ იცი, რა სამსახურს გაუწევ.

ძაღლი მაშინვე მივიდა გუნართან და ფერხთით მიუწვა.

ოლავმა გუნარი გააფრთხილა, იცოდე, ბევრი მოშურნე გყავსო.

— შენ სომ ყველაზე სახელოვანი კაცი ხარ მთელ ჩვენს ქვეყანაში.

გუნარმა მადლობა გადაუსადა საჩუქრებისა და კეთილი რჩევისათვის და შინისაკენ გაუდგა გზას.

გუნარმა სასლში რამდენიმე ხანს დაპყო და ირგვლივ სრული სიმშვიდე სუფევდა.

71

მცირე ხანი გავიდა და სესნიები მორდს შესვდნენ. ორივე მისი უკმაყოფილო იყო. ისინი ფიქრობდნენ, რომ მორდის გამო დაკარგეს ბევრი ფული და სანაცვლოდ ვერაფერი მიიღეს. უთხრეს, რამე

მოიფიქრე, როგორ ვავნოთ გუნარსო. მორდი დათანხმდა და თქვა:

— აი, რას გირჩევთ: დაე, თორგეირ ოტკელის ძემ შეაცდინოს ორმპილდი, გუნარის ნათესავი ვოგო. გუნარი შენს წინააღმდეგ გამოიწვევს, მე კი ხმას დავყრი, თითქოს გუნარი ამ საქმის დატოვებას არ აპირებდეს. რამდენიმე ხნის შემდეგ კი თქვენ მას თავს დაესხით, მაგრამ მაშინ, როდესაც სახლში არ იქნება. სახლში თავდასხმას აზრი არა აქვს, ვიდრე ის ნაგაზი ცოცხალია.

ერთმანეთში მოილაპარაკეს, რომ ასეც მოიქცეოდნენ.

ზაფსული გადის. თორგეირმა ორმპილდოან სიარულს მოუსშირა. ვუნარს ეს ვერაფრად ეჭაშნიკა და გული აიყარა თორგეირზე. ასე გრძელდებოდა მთელ ზამთარს. დადგა ზაფსული და მათი ჩუმი შესვედრებიც კიდევ უფრო გასშირდა. თორგეირ ოტკელის ძე მალმალე ხვდებოდა თრიპიურნინგელ თორგეირსა და მორდსაც, და გადაწყვიტეს, თავს დასხმოდნენ გუნარს, როდესაც იგი კუნძულებისაკენ გაემართებოდა თავისი მუშების ნამუშევრის სანახავად.

ერთხელ მორდმა შეიტყო, გუნარი კუნძულებზე წასულაო და თრიპიურნინგში კაცი გაგზავნა და თორგეირთან დააბარა, ახლა ყველაზე მოსახერხებელი დროა გუნარზე თავდასასხმელადო. ისინიც დაუყოვნებლივ თორმეტი კაცის თანხლებით, გამოეშურნენ და კირკიუბერს რომ ჩავიდნენ, იქ კიდევ სხვა თორმეტი კაცი დახვდათ. გადაწყვიტეს, რანგის პირას ჩასულიყვნენ და იქ ჩასაფრებოდნენ გუნარს.

როდესაც გუნარი კუნძულებიდან შინისკენ გამოემართა, კოლსკეგიც თან გამოჰყვა. გუნარს თან მშვილდ-ისარი და თავისი შუბი ჰქონდა. კოლსკეგს კი მოკლე მახვილი და სხვა იარაღი.

72

და აი, ერთსელაც, როდესაც გუნარი ძმასთან ერთად რანგის პირს მიადგა, მის შუბზე სისხლმა გამოუონა. კოლსკეგმა ჰკითხა, ეგ რას ნიშნავსო. გუნარმა მიუგო, სხვა ქვეყნებში ამას სისხლის წვიმას უწოდებენო, და დაუმატა:

— ალვირი მეუბნებოდა, სისხლისმღვრელი ბრძოლის წინ იცისო ეგრე.

გზა განაგრძეს და იარეს, ვიდრე მდინარის პირას მსხდომი

ხალხი და იქვე მიბმული ცხენები არ დაინახეს. გუნარმა თქვა.

— ჩაგვსაფრებიან.

კოლსკეგმა მიუგო:

— დიდი სანია ეგენი სანდონი აღარ არიან. ასლა რა ვუყოთ?

— გვერდით ჩავუქროლოთ და ფონს მივაშუროთ, — თქვა გუნარმა, — იქ გავემზადოთ თავდასაცავად.

ნაპირზე მყოფთ დაინახეს ისინი და მაშინვე დაედევნენ. გუნარმა მშვილდი მოზიდა, ისრები წინ დაიყარა და, როგორც კი მდევრები სასროლ მანძილზე მოასლოვდნენ, სროლა აუტეხა. ბევრი მათგანი დაჭრა, ზოგი მოკლა კიდეც.

მაშინ თორგეირ ოტკელის ძემ თქვა:

— ასე არ ივარგებს. ყველამ ერთად შევუტიოთ.

ასეც მოიქცნენ. წინ ანუნდ ლამაზი, თორგეირის ნათესავი მოუძღოდათ. გუნარმა მას შუბი აძგერა, ფარი შუაზე გაუპო და ტანში გაუტარა შუბი. აგმუნდ ქოჩორამ ზურგიდან მოუარა გუნარს, მაგრამ კოლსკეგმა თვალი მოპკრა, ორივე ფესი მოპკვეთა და მდინარეში გადაუძახა. ივი მაშინვე დაიხრჩო. ცხარე ბრძოლა გაჩაღდა. გუნარი ერთი ხელით ჩესავდა, მეორეთი შუბს სმაროობდა. კოლსკეგმა ბევრი მოკლა და ბევრიც დაჭრა.

თორგეირ სტარკადის ძემ თავის თანამოსახელეს უთხრა:

— რაღაც არ გეტყობა მამაშენის შურის მაძიებლობა.

— მართალი ხარ, — მიუგო სახელის მოზიარემ, — შეტევა ასე არ უნდა მტრისა, მაგრამ შენც უკან გრჩება ფესები და შენი სასაყვედურო არაფერი მჭირს.

თქვა და გამეტებით ეცა გუნარს. შუბით ფარი გაუპო და ხელში დაჭრა. გუნარმა ისეთი ძალით გამოპკრა ფარი, რომ შუბი სათიხართან გადატყდა. გუნარმა მეორე მოწინააღმდეგეს მოპკრა თვალი ხმალმისაწვდენზე, მასეილი პკრა და სასიკვდილოდ დაჭრა. ამის შემდეგ ორივე ხელით ჩაბღუჯა თავისი შუბი. ამ დროს მას მასკილშემართული მიუხტა თორგეირ ოტკელის ძე. რისხვით ანთებული გუნარი სწრაფად შებრუნდა მისკენ, თავისი შუბით განგმირა. პაერში ასწია და მდინარეში გადააგდო. გვამი დინებამ გაიტაცა ფონისკენ და ქვაზე გამორიყა. მას შემდეგ ამ ფონს თორგეირის ფონს ეძახიან.

მაშინ თორგეირ სტარკადის ძემ თქვა:

— გაეიქცეთ. ახლა ჩვენ გამარჯვება არ გვიწერია.

და ყველანი გაიქცნენ.

— გაეეკიდოთ, -- თქვა კოლსკეგმა, — აიღო მშვილდი და ისრები. ჯერ კიდევ მოასწრებ ისრის სასროლზე წამოეწიო თორგეირ სტარკადის ძეს.

გუნარმა მიუგო:

— მარტო იმათზედაც რომ გადავისადოთ საზღაური, ვინც აქ მოკლული გდია, მაშინაც სულ დაგვიცარიელდება ქისა.

— ფული გეყოფა, — თქვა კოლსკეგმა, — თორგეირი კი არ მ.ისვენებს, სანამ ბოლოს არ მოგიღებს.

— ბევრი მაგისთანა თორგეირი უნდა გადამიდგეს წინ, რომ შემაშინოს, — მიუგო გუნარმა.

ამის შემდეგ შინისკენ გაემართნენ და ყველაფერი უამბეს შინაურებს. პალგერდმა დიდად გაისარა ამ ამბის გაგონებისას და გუნარისა და კოლსკეგის ვაჟკაცობას ქება შეასხა. რანვეიგმა კი თქვა:

— იქნება ეგ გმირობაც არის, მაგრამ გული მიგრძნობს, სიკეთე არა გამოვა რა მანდედან.

73

ეს ამბავი ყველგან მოედო და ბევრს ეწყინა თორგეირის სიკვდილი. გიცურ თეთრი და მისი სალსი ბრძოლის ადგილზე მივიდნენ, მკვლელობის ამბავი გამოაცხადეს და მეზობლები თინგზე გამოიძახეს. შემდეგ დასავლეთისკენ გაემგზავრნენ, შინ.

ნიალმა გუნარს უთხრა:

— ფრთხილად იყავ. შენ ორი კაცი მოკალი ერთი გვარისა და გასხოვდეს, თუ კიდევ დაარღვევ პირობას, რომელსაც დაგადებინებენ, დაიღუპები.

— მე არ ვაპირებ მის დარღვევას, — მიუგო გუნარმა, — მაგრამ თინგზე შენი დახმარება მაინც დამჭირდება.

— მე შენი ერთგული ვიქნები, სანამ პირში სული შიდგას.

გუნარი სასლში გაემგზავრა. მოასლოვდა თინგის დრო და ორივე მსარემ დიდძალ სალსს მოუყარა თავი. თინგზე ბევრს მარჩიელობდნენ, როგორ დამთავრდებოდა ეს დავა.

გიცურმა და გეირ გოდიმ ერთმანეთში მოითათბირეს, რომელ

მათგანს წაეყენებინა ბრალდება თორგეირის მკვლელობაზე. ბოლოს და ბოლოს გიცურმა იკისრა ეს საქმე. მან წამოაყენა ბრალდება კანონის კლდესთან და ასე თქვა:

— მე ბრალს ვდებ გუნარ პამუნდის ძეს მასში, რომ იგი უკანონოდ პირველი დაესხა თავს თორგეირ ოტკელის ძეს და ღრმა ჭრილობა მიაყენა მას, რომლისგანაც თორგეირი გარდაიცვალა. მე ვამტკიცებ, რომ ამის გამო იგი კანონგარეშე უნდა გამოვაცხადოთ და არავინ არ უნდა მიაწოდოს მას საჭმელი, არც გზა უჩვენოს და არც სხვა რამ დახმარება გაუწიოს. მისი ქონების ნახევარი მე მერგება, მეორე ნახევარი კი ხალხს იმ მეოთხედიდან, რომლის მცხოვრებლებსაც უფლება აქვთ კანონგარეშე გამოცხადებულის ქონებაზე. მე ამას ვუცხადებ მეოთხედ სამსჯავროს, რომელშიც კანონის ძალით ეს ბრალდება უნდა გაირჩეს. მე ამას ვაცხადებ ყველას გასაგონად კანონის კლდიდან. მე ვაცხადებ, რომ გუნარ პამუნდის ძემ პასუხი უნდა აგოს და განიდევნოს.

მეორეჯერ გიცურმა თავისი მოწმეები დაასახელა და გუნარ პამუნდის ძეს ბრალი დასდო იმაში, რომ მან თორგეირ ოტკელის ძეს მიაყენა ღრმა ჭრილობა, რომლისგანაც იგი იქვე მოკვდა, ამა და ამ ადგილას, სადაც გუნარი ამას წინათ პირველი დაესხა თავს თორგეირს უკანონოდ. შემდეგ მან გამოაცხადა ყველაფერი ისე, როგორც პირველად გააკეთა. შემდეგ იკითხა, რომელ თინგს ეკუთვნოდა გუნარი და რომელ კარ-მიდამოში ცხოვრობდა იგი.

ამის შემდეგ ხალხი კანონის კლდესთან დაიშალა და ყველა ამბობდა, გიცურმა კარგად ილაპარაკაო. გუნარს მშვიდად ეჭირა თავი და ბევრი არაფერი უთქვამს.

და აპა, მოაწია დრომ, როდესაც სამსჯავროებს საქმეები უნდა გაერჩიათ. გუნარი თავისი ხალხით რანგისველელთა სამსჯავროს ჩრდილოეთით იდგა, გიცური — სამხრეთით. გიცურმა მოწმეები დაასახელა და გუნარს წინადადება მისცა მოესმინა მისი ფიცი, ბრალდება და ყველა საბუთი, რომელთა მოყვანასაც იგი აპირებდა. ამის შემდეგ მან ფიცი წარმოთქვა. შემდეგ სამსჯავროს თავისი საქმე მოახსენა. მერე მოწმეებს წინადადება მისცა დაედასტურებინათ, რომ მან ბრალდება წამოაყენა თინგზე. შემდეგ მეზობლებს შესთავაზა, თავიანთი ადგილები დაეკავებინათ, სოლო მოწინააღმდეგეებს კი — აცილება მიეცათ ზედმეტი მეზობლებისათვის.

მაშინ ნიალმა თქვა:

— მეტი აღარ ძალმიძს გულსელდაკრეფილი ჯდომა. წავიდეთ იქ, სადაც მეზობლები სხედან.

მივიდნენ იმ ადგილზე და ოთხ მეზობელს აცილება მისცეს. დანარჩენ სუთს წინადადებით მიმართეს ეთქვათ, გამოვიდნენ თუ არა სესხნიები სასლიდან თავიანთი ხალხითურთ იმ განზრასვით, რომ გუნარს დასსმოდნენ თავს. იმათ უყოყმანოდ მიუგეს, სწორედ აგრე იყოვო. მაშინ ნიალმა თქვა, რომ ეს კანონიერი აცილებაა ბრალდებისა და სამსჯავროზე ამ აცილებით გამოვალ, თუ მოპირდაპირენი შერიგებას არ დათანსმდებიანო. მრავალმა პავდინგმა მსარი დაუჭირა ამ წინადადებას, და გადაწყდა, რომ საქმეს თორმეტი კაცი გაარჩევდა. ორივე მხარემ ხელი ჩამოართვა ერთმანეთს შერიგების ნიშნად. ამის შემდეგ გადაწყდა, თუ როგორი სასღაური უნდა გადაეხადათ, და გადაესადათ აქვე, თინგზე. გუნარსა და კოლსკეგს კი სამი წლით უნდა დაეტოვებინათ ისლანდია, მაგრამ თუ გუნარი ისლანდიიდან არ წავიდოდა, მაშინ მოკლულის ნათესავებს უფლება ექნებოდათ მოეკლათ იგი, თუ შეძლებდნენ. გუნარმა არ შეიმჩნია, რომ უკმაყოფილო იყო გადაწყვეტილებით.

გუნარმა ნიალს ჰკითხა იმ ფულის შესახებ, რომელიც შესანახად ჩააბარა. ნიალს იგი სარგებლით ჰქონდა გაცემული და მთელი თანხა გადაუხადა. სწორედ იმდენი გამოდგა, რამდენიც გუნარს უნდა გადაეხადა.

და აგერ, ხალხი სასლებში წავიდ-წამოვიდა. გუნარი და ნიალი თინგიდან ერთად გაემგზავრნენ. ნიალმა გუნარს უთხრა:

— გთსოვ, ჩემო მეგობარო, ნუ დაარღვევ ამ შეთანხმებას. გახსოვდეს, რაც ითქვა. შენმა პირველმა გამგზავრებამ უცხო ქვეყნებში დიდი სახელი შეგძინა, ეს კი უფრო მეტს მოგიხვეჭს. დაბრუნდები დიდი პატივით, ღრმა მოხუცებულობას მიაღწევ და ვერავინ გაგიბედავს ხელის სლებას. მაგრამ თუ ისლანდიიდან არ წასვალ და შეთანსმებას დაარღვევ, მაშინ აქ მოგკლავენ და ამაზე უარესი რაღა იქნება შენი მეგობრებისთვის.

გუნარმა მიუგო, არ ვაპირებო შეთანსმების დარღვევას. იგი შინ მივიდა და თქვა, რაც გადაწყვიტა სამსჯავრომ. რანვეიგმა უთხრა, კარგი იქნება თუ ისლანდიიდან წახვალ და დაე, ამასობაში შენი მტრები სხვა ვისმეს ედაონო.

თრაინმა, სიგფუსის ძემ, ცოლს განუცხადა, ამ ზაფხულს ისლანდიიდან წასვლას ვაპირებო. ცოლმა აზრი მ.იუწონა. თრაინი შეუთანხმდა პოგნი თეთრს, რომ ის გადაიყვანდა ზღვაზე.

გუნარი და კოლსკეგი ვიკელ არნფინს შეუთანხმდნენ.

ნიალის ვაჟებმა, გრიმმა და ჰელგიმ, მამას ისლანდიიდან წასვლის ნება სთხოვეს. ნიალმა თქვა:

— მძიმე იქნება თქვენთვის ეგ მგზავრობა და არც კი ვიცი, ცოცხლები გადარჩებით თუ არა. თუმცა სახელს კი მოიხვეჭთ და თავსაც გამოიჩენთ, მაგრამ ისიც მოსალოდნელია, რომ ამ გამგზავრებით თქვენი დაბრუნების შემდეგ უფრო მეტ დავიდარაბას გადაგეკიდოთ.

ისინი თავისას არ იმლიდნენ და მამას სთხოვდნენ, გაეშვა. ბოლოს ისიც დათანხმდა, რაკი ასე იყვნენ მოწადინებულნი. შეუთანხმდნენ ბარდ შავსა და ოლავს, ელდელი კეთილის ძეს, რომ გადაეყვანათ ისინი.

სალხში ხმა დაირხა: საუკეთესო ადამიანები ტოვებენ აქაურობასო.

აშასობაში წამოიზარდნენ გუნარის ვაჟები — პოგნი და გრანი. ისინი სულ სხვადასხვა ზნისანი იყვნენ. გრანი დედას დაემსგავსა. პოგნის კი კარგი სახიათი ჰქონდა.

გუნარმა ბრძანა მისი და კოლსკეგის ბარგი ხომალდზე გადაეზიდათ. როდესაც ყველაფერი დატვირთეს, თვით ხომალდი კი თითქმის გაწყობილი იყო, გუნარი ბერგთორსპვალისა და სხვა კარ-მიდამოებისაკენ გაეშურა, რომ ნაცნობები ჩამოეველო და მადლობა გადაესადა ყველასთვის, ვინც კი მას ხელი გაუმართა.

მეორე დღეს იგი ხომალდით გამგზავრების სამზადისს შეუდგა და შინაურებს უთხრა, მივემგზავრებიო. ყველას გული დასწყდა. ყველას იმედი ჰქონდა, გუნარს კიდევ ენახავთო. ვიდრე გზას გაუდგებოდა, ყველას გადაესვია. მის გასაცილებლად ყველა გამოვიდა. გუნარმა შუბი მიწას დაჰკრა, ცხენს შეახტა და კოლსკეგთან ერთად წავიდა.

აგერ, მარკარფლიოტს უახლოვდებიან. ამ დროს გუნარის ცხენმა წაიფორხილა და მსედარიც ძირს გადმოხტა. უცბად მან თვალი

პკიდა მთის ფერდობსა და მასზე მდგარ თავის სახლ-კარს და თქვა:

— ლამაზი რამ არის ეს ფერდობი! ასეთი კარგი ჩემს ღღეში არ მინახავს: გადაბზინებული ანეულები და გადათიბული მინდვრები. შინ დავბრუნდები და არსადაც არ წავალ.

— ნუ გაახარებ შენს მტრებს, — ეუბნება კოლსკეგი, — ნუ გასტეხ სიტყვას. აბა, ვინ იფიქრებს, რომ შენ შენს ნათქვამს გადახვალ. ისიც ხომ იცი, ყველაფერი ისე მოსდება, როგორც ნიალმა გითხრა.

— არსადაც არა ვარ წამსვლელი, — თქვა გუნარმა, — არც ის მინდა, რომ შენ წასვიდე.

— არა, — თქვა კოლსკეგმა, — ვერც ამ საქმეში შევირცხვენ თავსა და ვერც სხვა რამეში გადავუხვევ იმას, რასაც ჩემგან მოელიან. მარტო ეს თუ დამაშორებს შენს თავს. ნათესავებსა და დედაჩემს უთხარი, რომ მე აღარ დავბრუნდები ისლანდიაში, რადგან მალე შენს სიკვდილს შევიტყობ, ძმაო, და მაშინ აღარაფერი აღარ გამომწევს აქეთ.

ისინი ერთმანეთს დაემშვიდობნენ. გუნარი შინ დაბრუნდა, პლიდარენდში, კოლსკეგი სომალდისკენ გაემართა და ისლანდიიდან გაემგზავრა.

პალგერდს გუნარის დაბრუნება გაეხარდა, მაგრამ დედას სმა არ ამოუღია.

ის შემოდგომა და ზამთარი გუნარმა სახლში გაატარა და არცთუ ბევრი ხალხი სლებია თან. ოლავ ფარშავანგმა სტუმრად მიიწვია გუნარი და პალგერდი და ურჩია, სახლ-კარი დედისა და ჰოგნისათვის დაეტოვებინა. გუნარი ჯერ დათანხმდა, მაგრამ მალე გადაიფიქრა.

შემდეგ ზაფხულს კი თინგზე კანონის კლდესთან გიცურმა იგი კანონგარეშე გამოაცხადა. თინგის დამთავრებამდე გიცურმა ალმანაგიას ხევში მოუსმო გუნარის ყველა მოქიშპეს — თრიპიურნინგელ სტარკადსა და მის ვაჟს თორგეირს, მორდსა და ვალგარდ რუსს, გეირ გოდისა და პიალტი სკეგის ძეს, თორბრანდსა და ასბრანდს, თორლეიკის ვაჟებს, ეიოლვსა და მის ძეს ანუნდს, ტრალასკოგელ ანუნდს, სანდგილელ თორგრიმს. გიცურმა თქვა:

— მოდით, ამ ზაფხულს თავს დავესხათ გუნარს და მოვკლათ.

პიალტიმ თქვა:

— მე გუნარს აქ, თინგზე, როდესაც მან ჩემი თხოვნა შეიწყნარა, აღვუთქვი, რომ თავს არ დავესხმოდი. ასეც იქნება.

ამის შემდეგ ჰიალტი წავიდა, იმათ კი, ვინც დარჩა, გადაწყვიტეს, თავს დასხმოდნენ გუნარს, ერთმანეთს ხელი მისცეს თანხმობის ნიშნად და ყველას მოკვლით დაემუქრნენ, ვინც პირობას დაარღვევდა. მორდს დაევალა, თვალყური ედევნებინა და გაერკვია, როდის უფრო აჯობებდა გუნარზე თავდასხმა. სულ ორმოცამდე კაცმა მოიყარა თავი. ფიქრობდნენ, ადვილად გავუსწორდებითო გუნარს, რაკი წასულები არიან კოლსკეგი, თრაინი და გუნარის მეგობრები.

ხალხი თინგიდან სახლებში წავიდ-წამოვიდა. ნიალი გუნართან გაეშურა და უთხრა, კანონგარეშე ხარ გამოცხადებული და მოკვლას გიპირებენო.

— კარგია, — თქვა გუნარმა, — რომ მაფრთხილებ.

— მე მინდა, — თქვა ნიალმა, — შენთან გადმოვიდნენ ჩემი ვაჟები, სკარპჰედინი და ჰასკულდი. ისინი თავს არ დაზოგავენ შენთვის.

— არ მსურს, — მიუგო გუნარმა, — რომ ჩემი გულისთვის შვილები დაგიხოცონ. ჩემგან, პირიქით, მხარდაჭერის იმედი უნდა გქონდეს.

— ეგ სულ ერთია, — თქვა ნიალმა, — შენი სისხლის აღება მაინც ჩემს ბიჭებს მოუწევთ, როცა შენ მოგკლავენ.

— შესაძლოა, — მიუგო გუნარმა, — მაგრამ არ მინდა მაგაშიც მე მედოს ბრალი. მინდა მხოლოდ გთხოვოთ, ჩემს ჰოგნის მიმიხედოთ, გრანიზე კი არაფერს ვიტყვი, რადგან იგი იშვიათად აკეთებს ჩემს საამებელ რასმე.

ნიალმა აღუთქვა, ყველაფერს შეგისრულებო და სახლში წავიდა.

ამბობენ, გუნარი ყველა თავყრილობასა და თინგზე დადიოდა და მტრებს ერთხელაც კი არ გაუბედავთ მასზე ხელის აღმართვა. ერთხანს ისე მიდი-მოდიოდა, თითქოს კანონგარეშე არ ყოფილიყო გამოცხადებული.

76

შემოდგომაზე მორდ ვალგარდის ძემ შემოთვალა, გუნარიანთი ქვეით კუნძულებზე თივის აღებას მოუნდებიან და გუნარი მარტო იქნებაო შინ. როგორც კი გიცურ თეთრმა და გეირ გოდიმ ეს შე-

იტყვეს, მაშინვე მდინარე და ქვიშნარი გადაიარეს და აღმოსავლეთისკენ პოვს მიმართეს. თრიპიურნინგში სტარკადს კაცი გაუგზავნეს. ყველა, ვინც გუნარს თავს უნდა დასხმოდა, იქ შეიკრიბა და დაიწყეს ბჭობა, როგორ მოქცეულიყვნენ. მორდმა თქვა, გუნარს უცბად ვერ მოვახელებთ, თუ თან არ წავიყვანეთ მეზობელი ბონდი თორკელი და გუნარის ეზოში არ შევგზავნეთ შავთანა ძაღლის გამოსაყვანადო.

ამის შემდეგ მათ აღმოსავლეთში ჰლიდარენდს მიაშურეს და თორკელთან კაცი გაგზავნეს. იგი შეიპყრეს და უთხრეს, ან მოგკლავთ ან ნაგაზი მოგვაშორეო. იმანაც ცოცხლად გაღარჩენა ამჯობინა და წამოპყვა.

ჰლიდარენდში მესერიდან სახლისკენ მიწაყრილით გაკვლებული გზა მიუყვებოდა. აქ ისინი შედგნენ და თორკელი სახლისკენ გაემართა. ძაღლი ერდოზე იწვა და თორკელმა იგი გზაზე გადმოიტყუა. ნაგაზმა ხალსი დაინახა, თორკელს ეცა და ბარძაყში სწკდა. ტრალასკოგელმა ანუნდმა ძაღლს ნაჯახი დაპკრა თავში და ქალა გაუხეთქა. ნაგაზმა ერთი საზარლად დაიყმუვლა და მკვდარი დავარდა მიწაზე.

77

გუნარს სახლში გაეღვიძა და თქვა:

— ცუდად არის შენი საქმე, ჩემო შავთანა! ვინ იცის, იქნებ მეც მალე გამოვუდგე შენს გზას.

გუნარის სახლი მთლიანად ხისგან იყო ნაგები, ძელებგადახიდული ბანითა და შიგ დატანებული სარკმლებით, რომლებიც საგდულებით იხურებოდა. გუნარს ჰალგერდთან და დედამისთან ერთად პატარა ოთახში ეძინა.

როდესაც მომხდურნი სასლს მიუახლოვდნენ, არ იცოდნენ, შინ იყო თუ არა გუნარი. გადაწყვიტეს, ერთ-ერთი მათგანი სახურავზე აპარულიყო და შიგ შეეხედა. დანარჩენები მიწაზე დასხდნენ. ნორვეგიელი თორგრიმი ზევით აცოცდა. გუნარმა სარკმელში თვალი მოპკრა მის წითელ სამოსელს და შიგნიდან შუბი ესროლა. თორგრიმს ფეხი დაუსხლტა, ხელიდან ფარი გააგდო და სახურავიდან დაბლა ჩამოვარდა. იგი გიცურთან და მიწაზე მსხდომ ხალხთან მივიდა. გიცურმა მას შეხედა და ჰკითხა:

— რაო, შინ არის გუნარი?

თორგრიმმა მიუგო:

— თავად შეიტყობთ. მე კი ის ვიცი, რომ მისი შუბია სახლში.

და მკვდარი დაეცა მიწაზე.

ყველანი სახლს ეცნენ. გუნარმა ისარი დაუშინა და ისე კარგად იცავდა თავს, რომ ვერაფერს სდებოდნენ მასთან. მაშინ რამდენიმე კაცი სახურავზე ავიდა და უნდოდათ იქიდან დასხმოდნენ თავს. მაგრამ გუნარის ისრები მათ აქაც სწვდებოდა და ვერც აქედან გააწყვეს რამე. ასე გრძელდებოდა ერთხანს.

მომსდურებმა სული მოითქვეს და მეორეჯერ შეუტიეს. გუნარმა კვლავ ისრები დააყარა და ისევ ხელცარიელებმა დაიხიეს უკან. მაშინ გიცურ თეთრმა თქვა:

— უფრო მაგრად მივეძალოთ, თორემ ასე არაფერი გამოგვივა.

ისინი მესამეჯერ მიესივნენ სახლს და დიდსანს ცდილობდნენ მისწვდომოდნენ გუნარს, მაგრამ კვლავ ვერაფერს გახდნენ.

გუნარმა თქვა:

— გარედან ბანზე მაგათი ნასროლი ისარი გდია. ავიღებ და მათვე ვესვრი. თავი მოეჭრებათ, თავიანთივე იარაღით რომ დავჭრი.

დედამისმა უთხრა:

— ნუ იზამ მაგას; ნუღარ გააღიზიანებ, რაკი უკან დაიხიეს.

მაგრამ გუნარმა ისარი მოიტაცა და გასტყორცნა. ისარი ეილივ ანუნდის ძეს მოსვდა და მძიმედ დაჭრა. იგი სხვებისაგან მოშორებით იდგა და ვერავინ შეამჩნია, რომ დაჭრილი იყო.

— აგერ, ოქროსბეჭდიანი ხელი გამოჩნდა და სახურავზე დავარდნილი ისარი აიღო, — თქვა გიცურმა, — ისრებს გარეთ არ დაუწყებდა ძებნას, თვითონ რომ საკმაო ჰქონდეს. აბა, ერთხელ კიდევ მივუხტეთ.

მორდმა თქვა:

— მოდით, სახლს ცეცხლი წავუკიდოთ.

— ჩემი სიცოცხლე რომ მაგაზე იყოს დამოკიდებული, მაშინაც კი არ მოსდება ეგ, — თქვა გიცურმა, — რაიმე გონივრული რჩევა კი შეგიძლია მოგვცე. აკი საზრიან კაცს გეძახიან.

იქვე, მიწაზე, თოკები ეყარა, რომლებსაც სახურავის გასამაგრებლად იყენებდნენ ხოლმე. მორდმა თქვა:

— ავიღოთ ეს თოკები და ერთი ბოლოთი სასურავის ნაპირს გამოვაბათ, მეორე ბოლო კი ქვებს ამოვდოთ, თოკი კუნძზე დავახვიოთ და სასლს სასურავი გადავსადოთ.

აიღეს თოკები და ისე გააკეთეს, როგორც მორდმა ურჩია. გუნარმა გონს მოსვლა ვერ მოასწრო, რომ სასლს სასურავი გადასძვრა. მაშინ ისე დააყარა ისრები, რომ ასლოს ვეღარავინ გაეკარა. მორდმა კვლავ სასლისათვის ცეცხლის წაკიდება ურჩია. გიცურმა უთხრა:

— ვერ გამიგია, რად გვთავაზობ იმას, რაზედაც არც ერთი ჩვენგანი არ დაგეთანხმება. ჩვენ მაგის ჩამდენნი არ გასლავართ.

სწორედ ამ დროს თორბრანდ, თორლეიკის ძე, ბანზე შესტა და გუნარს მშვილდი გადაუჭრა. გუნარმა ორივე სელით შუბი აიტაცა, თორბრანდისკენ გაქანდა, განგმირა და ძირს გადმოაგდო იგი. ამ დროს თორბრანდის ძმა ასბრანდი მოიჭრა, გუნარმა შუბი პკრა მას, მაგრამ ასბრანდმა ფარი დაუხვედრა. შუბმა ფარი გააპო და ასბრანდს ხელში შეერჭო. მაშინ გუნარმა ისეთი ძალით შემოაბრუნა შუბი, რომ ფარი შუაზე გადაიჩესა, ასბრანდს ხელის ძვლები გადაუტყდა და იგი კედლიდან გადმოვარდა. მანამდე გუნარმა რვა კაცი დაჭრა და ორიც მოკლა.

თვით გუნარი ორჯერ დაიჭრა, მაგრამ, ეტყობა, ვერც ჭრილობებს ამჩნევდა და არც სიკვდილზე ფიქრობდა.

გუნარმა პალგერდს უთხრა:

— მომეცი ორი დალალი მაგ თმებიდან და შენ და დედაჩემმა სამშვილდე ლარი დამიგრიხეთ.

— ეგ შენთვის რამეს ნიშნავს? — ეკითხება პალგერდი.

— მაგაზე ჩემი სიცოცხლეა დამოკიდებული, — ეუბნება გუნარი, — რადგან ისინი მე ვერ მომერევიან, ვიდრე ჩემი მშვილდ-ისარი ხელთ მექნება.

— მაშ გაიხსენე, სილა რომ გამაწანი, — ეუბნება პალგერდი, — სულაც არ მადარდებს, რამდენ ხანს გაუძლებ.

— ყველა თავისას ცდილობს, — თქვა გუნარმა, — მეტს აღარა გთხოვ.

რანვეიგმა თქვა:

— სულმდაბლურად ირჯები და დიდხანს ეხსომებათ ეგ შენი სამარცსვინო საქციელი.

გუნარი ვაჟკაცურად და გმირულად იცავდა თავს; კიდევ რვა კაცს მიაყენა მძიმე ჭრილობა, რამაც კინაღამ თან გადიყოლა ისინი. იგი თავს იცავდა, ვიდრე ღონემისდილი არ წაიქცა. მიესივნენ და ჩეხვა დაუწყეს, მაგრამ მაინც დაუსხლტა ხელიდან და კიდევ დიდხანს იგერიებდა მოიერიშეთ. ბოლოს და ბოლოს მოკლეს იგი.

მის თავდაცვაზე გაუტეველელმა სკალდმა თორკელმა ასეთი შაირი გამოთქვა:

გაგვიგონია, სამხრეთში როგორ
იგერიებდა მომხდურებს გუნარ,
ზღვათა რისხვა და მხნე მეომარი.
შუბსაც ხმარობდა მარჯვედ, ჩაუქად
და ახლოს არვის არ იკარებდა.
თექვსმეტი კაცი დაპკოდა და თან
სხვა ორსაც იქვე მოუღო ბოლო
იმ გახურებულ, ცხარე ბრძოლაში.

გიცურმა თქვა:

— მაგარი ხარი წავაქციეთ. ჩვენც კარგი დღე დაგვადგა და ვიდრე ამ ქვეყანაში ხალხი იცხოვრებს, არავის დაავიწყდება, თუ როგორ იცავდა თავს გუნარი.

იგი რანვეიგთან მივიდა და უთხრა:

— დაგვამარხვინებ ორ ჩვენს მოკლულ კაცს შენს მიწა-წყალზე?

— სიამოვნებით მოგცემთ მიწას ორისთვის, მაგრამ უფრო სიხარულით დაგაყრიდით მიწას თქვენ ყველას, — მიუგო მან.

— გეპატიება ეგეთი ლაპარაკი, — უთხრა გიცურმა, — რადგან ბევრი რამ დაკარგე.

მან ბრძანება გასცა, არავის დაეწყო იქაურობის ძარცვა-რბევა. მაშინ თორგეირ სტარკადის ძემ თქვა:

— ჩვენ ჩვენს სახლებში ვერ გავჩერდებით სიგფუსის ვაჟების გამო, თუ შენ, გიცურ, ან შენ, გეირ, მცირეოდენ ხანს არ დაპყოფთ ჩვენთან სამხრეთში.

— აგრე იყოს, — თქვა გიცურმა.

კენჭი ჰყარეს, ვინ დარჩენილიყო და წილი გეირს ხვდა. შემდეგ იგი ოდიში გაემართა და იქ დაბინავდა. მას ჰყავდა შვილი, სასელად ჰროალდი, ხარჭის ნაშობი. ჰროალდის დედას ბიარტეი ერქვა, იკი

იყო და თორვალდ სნეულისა, რომელიც გრიმსნესში, ჰესტლეკ-თან მოკლეს. პროალდი ტრაბახობდა, გუნარს სასიკვდილო ჭრილობა მივაყენეო. ახლა პროალდი მამასთან გადმოვიდა საცხოვრებლად. თორგეირ სტარკადის ძე მეორე ჭრილობით ამაყობდა, რომელიც მას მიეყენებინა გუნარისთვის.

გიცური შინ დარჩა, მოსფელში. ხალხი ყველგან ეგმობდა გუნარის მკვლელობას და ბევრი იგლოვდა მას.

78

ნიალი დიდად დაამწუხრა გუნარის მოკვლამ. ასევე ჭმუნვით იყვნენ მოცულნი სიგფუსის ძენი. მათ ჰკითხეს ნიალს, შეიძლებოდა თუ არა ბრალდების წამოყენება გუნარის მოკვლის თაობაზე, ან, საერთოდ, დავის დაწყება. მან მიუგო, რომ არ შეიძლებოდა, რადგან გუნარი კანონგარეშე იყო გამოცხადებული, და აჯობებდა მტრები იმით დაემცირებინათ, რომ რამდენიმე მათგანი მოეკლათ გუნარის სანაცვლოდ.

აღმართეს სასაფლაო ბექობი და ვუნარი მჯდომარე დამარხეს. რანვეიგმა არ ისურვა, რომ ვუნარის შუბი თან ჩაეტანებინათ. დაე, ამ შუბს იმან მოპკიდოს ხელი, ვინც გუნარისთვის შურისძიებას შოიწადინებსო. ამიტომ გუნარის შუბს არავინ გაპკარებია, რანვეიგი ისე იყო გულმოსული პალგერდზე, რომ ძლიეს იკავებდა თავს სასიკვდილოდ რომ არ გაემეტებინა. იძახდა, მაგან დამიღუპა შვილიო. მაშინ პალგერდი გრიოტში გადასასლდა თავის ვაჟთან, გრანისთან ერთად. მათ მთელი ქონება გაიყვეს: პოგნიმ მიიღო მიწები ჰლიდარენდში და მთელი იქაური მეურნეობა, გრანის კი ის მიწები შესვდა, რომლებსაც აქირავებდნენ ხოლმე.

ერთხელ ისე მოხდა ჰლიდარენდში, რომ მენასირე და მუშა ქალი საქონელს მიერეკებოდნენ გუნარის ბექობის შორიახლოს და ისე მოეჩვენათ, თითქოს გუნარი მხიარულობს და მღერის ბექობშიო. შინ მივიდნენ და გუნარის დედას, რანვეიგს უამბეს ეს ამბავი, რანვეიგმა კი უბრძანა, ნიალისთვის გადაეცათ რაც იცოდნენ. ისინი ბერგთორსპვალში გაემგზავრნენ და ნიალს უამბეს, რაც მოხდა. ნიალმა სთხოვა, მონათხრობი სამჯერ გაემეორებინათ. ამის შემდეგ იგი დიდხანს სმადაბლა ელაპარაკებოდა სკარპედინს. იმანაც იარა-

ღი აისსა და პლიდარენდში გამოემართა. პოგნი და რანვეიგი მას ძალზე კარგად შესვდნენ და გაუხარდათ მისი მოსვლა. რანვეიგმა სთხოვა სკარპედინს, დიდსანს დარჩენილიყო მათთან და ისიც დათანხმდა. ის და პოგნი სულ ერთად იყვნენ. პოგნი მამაცი და ყველაფერში გამოწრთობილი კაცი იყო, მაგრამ არავის ენდობოდა და ამიტომაც ვერ გაბედეს მისთვის მომხდარი ამბის მბობა.

ერთსელ სკარპედინი და პოგნი გუნარის ბექობის სამხრეთ მხარეს იმყოფებოდნენ. მთვარე კაშკაშებდა, ხანდახან თუ გადაეფარებოდა ღრუბელი. მათ მოეჩვენათ, თითქოს ბექობი გადაიხსნა, გუნარი გადმობრუნდა და მთვარეს შეაცქერდა. მოეჩვენათ, თითქოს ბექობში ორი ჩირაღდანი გიზგიზებდა, რომელთაგან ჩრდილები არ ჩნდებოდა, გუნარს კი მსიარული და გახარებული სახე ჰქონდა. მან თქვა შაირი, თან ისე ხმამაღლა, რომ უფრო შორსაც რომ მდგარიყვნენ, მაინც გაიგონებდნენ:

პოგნის მამაცი მამა,
გმირულ საქმეთა მქმნელი,
დუშმანთან უშიშარი,
აწ ასეთ სიტყვას იტყვის:
ვისაც თავს ზუჩი პსურავს,
ის მტერს არ გაექცევა
და არც დაიხევს უკან
და გმირულ სიკვდილს არჩევს
და გმირულ სიკვდილს არჩევს.

ამის შემდეგ ბექობი დაიხურა.

— დაიჯერებდი, ეს ამბავი სხვას რომ ეთქვა შენთვის? — ჰკითხა სკარპედინმა.

— დავიჯერებდი, — მიუგო პოგნიმ, — თუ ნიალი იტყოდა, რადგან გამიგია, იგი არასოდეს ტყუისო.

— დიდ რაღაცას გვაუწყებს ეს ნიშანი, — ამბობს სკარპედინი,— რაკი თვითონ გამოგვეცხადა ორივეს და გვითხრა, უმალ სიკვდილს ვარჩევდი, ვიდრე მტერს რამეს დავუთმობდიო. ეს რჩევა ჩვენ მოგვცა.

— მე ვერაფერს გავხდები, — ეუბნება პოგნი, — თუ შენ არ დამეხმარები.

— მახსოვს, — თქვა სკარპედინმა, — როგორ მოიქცა გუნარი. თქვენი ნათესავის, სიგმუნდის მკვლელობის შემდეგ. დაგეხმარები, როგორც შევძლებ. აკი მამაჩემი დაპირდა გუნარს, რომ დაგეხმარებოდით შენცა და დედამისსაც.

ამის შემდეგ ორივე შინ დაბრუნდა პლიდარენდში.

79

სკარპედინმა თქვა:

— ამაღამვე გავწიოთ, თორემ თუ გაიგეს, რომ მე აქა ვარ, გაფრთხილდებიან.

— ისე ვიზამ, როგორც შენ მეტყვი, — თქვა ჰოგნიმ.

როგორც კი ყველა დაწვა, მათ იარაღი აისხეს. ჰოგნიმ გუნარის შუბს წამოავლო ხელი, რომელმაც მაშინვე გაიუღრიალა. რანვეიგი გააფთრებული წამოსტა და იკითხა:

— ვინ ეკარება გუნარის შუბს, როცა მე ყველას ავუკრძალე მისი ხელის ხლება.

— მინდა, — ამბობს ჰოგნი, — მამაჩემს მივუტანო, რომ თან იქონიოს ვალპალაში ბრძოლისათვის.

— მანამდე შენ თვითონ უნდა იბრძოლო მაგ შუბით და მამაშენისთვის შური იძიო, რადგან თვით შუბი გიწინასწარმეტყველებს ერთისა თუ რამდენიმე კაცის მოკვლას.

ჰოგნი ეზოში გამოვიდა და სკარპედინს სიტყვასიტყვით გადასცა დიდედასთან ნალაპარაკევი. შემდეგ ისინი ოდიში გაემგზავრნენ. ორი ყორანი ფრენით მისდევდა უკან მთელ გზაზე.

ჯერ კიდევ ბნელოდა, როცა ოდის მიაღწიეს და საქონელი სახლებისკენ გამოირეკეს. მაშინ სასლიდან ჰროალდი და თიორვი გამოცვივდნენ და საქონელი უკან გალალეს. იარაღიც ზედ პქონდათ. სკარპედინი წამოუსტა და უთხრა:

— რას გაშტერებულხართ. სწორედ ჩვენ გახლავართ.

და სკარპედინმა თიორვის დასცხო და იქვე გაათავა. ჰროალდს ხელთ შუბი ეპყრა და ჰოგნი მახ მიეჭრა; ჰროალდმა შუბი მოუღერა, მაგრამ ჰოგნიმ ტარი გადაუჭრა და თავად აძგერა შუბი. შემდეგ მკვდრები მიატოვეს და თრიპიურნინგში აბრუნდნენ.

სკარპედინმა სასლთან მიირბინა და ბალახს გლეჯა დაუწყო.

შიგნით მყოფთ საქონელი ეგონათ. სტარკადმა და თორგეირმა იარაღსა და ტანსაცმელს დასტაცეს სელი და ეზოში გამოვარდნენ, მაგრამ სტარკადმა რომ სკარპპედინი დაინახა, შეშინდა და უკან გაბრუნება დააპირა. სკარპპედინმა ღობესთან აჩეხა იგი, პოგნი კი თორგეირს ეცა და შუბით განგმირა.

იქიდან პოვს მიაშურეს. მორდი სახლის წინ კორდზე იჯდა. მან პატიება ითხოვა და შერიგება შესთავაზა. სკარპპედინმა მორდს ოთხი კაცის მოკვლის ამბავი ამცნო და უთხრა:

— შენც ან იმავე გზას გაგიყენებთ, ან თვითონ პოგნის უნდა მიანდო თქვენი საქმის განსჯა, თუკი დაგეთანხმებათ.

პოგნიმ მიუგო, მამაჩემის მკვლელთან შერიგებას არ ვიკისრებო, მაგრამ ბოლოს მაინც დათანხმდა, თვითონ განესაჯა საქმე.

80

ნიალი ყველაფერს აკეთებდა, რომ სტარკადისა და თორგეირის ნათესავები თანახმა გამხდარიყვნენ შერიგებაზე. მოიწვიეს ოინგი და აირჩიეს მსაჯულები. ყოველივე გაითვალისწინეს, გუნარზე თავდასხმაც კი, თუმცა იგი კანონგარეშე იყო გამოცხადებული. მორდმა მთლიანად გადაიხადა მთელი სსვაობა, რადგან გადაწყვეტილება მის საქმეზე მხოლოდ მას შემდეგ გამოიტანეს, როდესაც სკარპპედინისა და პოგნის საქმე გაარჩიეს. მაშინ კი სრული შერიგება მოხდა.

თინგზე დიდი ლაპარაკი შეიქნა გეირ გოდისა და პოგნის დავის თაობაზე და იმით დამთავრდა, რომ ისინი შერიგდნენ და მას შემდეგ ერთმანეთს აღარაფერს ერჩოდნენ. გეირ გოდი სიკვდილამდე პლიდში ცხოვრობდა და ამ საგაში მეტი აღარ იქნება მასზე ლაპარაკი.

ნიალმა პოგნის გაურიგა ალვპეიდი, ვეტრლიდი სკალდის ასული, და ისინი შეუღლდნენ. მათ ეყოლათ ვაჟი არი, რომელიც შეტლანდის კუნძულებზე წავიდა და იქ ითხოვა ქალი. მისი ჩამომავალი იყო ეინარ შეტლანდელი, დიდებული ვაჟკაცი. პოგნი და ნიალი მეგობრებად დარჩნენ და პოგნიზე ამ საგაში მეტი აღარ იქნება ლაპარაკი.

81

ასლა კოლსკეგზე უნდა მოგახსენოთ. იგი ნორვეგიაში ჩავიდა და ზამთარი ვიკში გაატარა, მაგრამ მომდევნო ზაფხულს დანიაში გაემგზავრა, კონუნგ სვეინ ფიწლისწვერას ჩაუდგა სამსახურში ღა დიდ პატივშიც იყო.

ერთ ღამეს დაესიზმრა, თითქოს მასთან ვიღაც კაცი მივიდა, რომელსაც ნათელი გადასდიოდა, გააღვიძა იგი და უთხრა:

— აღსდექ და გამომყევი.

— რა გსურს ჩემგან? — პკითხა კოლსკეგმა.

— მე შენ საცოლეს გიშოვი და ჩემი რაინდი გახდები.

და თითქოს ისიც დაეთანხმა. ამ დროს გამოეღვიძა.

მაშინ ერთ ბრძენ კაცთან მივიდა და თავისი სიზმარი უამბო. იმან სიზმარი აუხსნა და უთხრა, სამსრეთის ქვეყნებში წახვალ და ღვთის რაინდი გახდებიო.

კოლსკეგი დანიაში მოინათლა, მაგრამ იქ გული არ დაუდგა და აღმოსავლეთს მიაშურა, გარდარიკის, და ერთ ზამთარს დაპყო ამ ქვეყანაში. იქიდან მიკლაგარდს გაემგზავრა და ვარანგთა რაზმში შევიდა. უკანასკნელად მასზე ის შეიტყვეს, რომ ქალი შეერთო, ვარანგთა რაზმის ბელადი გამხდარიყო და სიკვდილამდე იქ დარჩენილიყო. ამ საგაში მასზე მეტი აღარ იქნება ლაპარაკი.

82

ახლა ისიც უნდა ითქვას, რომ თრაინ სიგფუსის ძე ნორვეგიაში ჩავიდა თავისი ხალხით. ისინი ნაპირს პალოგალანდთან მიადგნენ, იქიდან კი სამსრეთისაკენ გაემართნენ თრანდპეიმში, პლადირში. როგორც კი ჰაკონ იარლმა ეს შეიტყო, მაშინვე ხალხი გაგზავნა მათი ვინაობის შესატყობად. ისინი დაბრუნდნენ და ყველაფერი მოახსენეს. მაშინ იარლმა დაიბარა თრაინ სიგფუსის ძე, და ისიც ეახლა. იარლმა წარმოშობა პკითხა. თრაინმა უთხრა, პლიდარენდელი გუნარის ახლო ნათესავი ვარო. იარლმა თქვა:

— მით უკეთესი შენთვის, რადგან ისლანდიელი ბევრი მინახავს, მაგრამ მის შესადარს კი არ შევხვედრივარ.

თრაინმა უთხრა:

— სელმწიფეო, ნება მომეცი, ამ ზამთარს შენთან დავრჩე.

იარლმა ნება დართო. თრაინმა მასთან მთელი ზამთარი გაატარა და დიდ პატივშიც იყო.

ერთ კაცს კოლი ერქვა. იგი ვიკინგი იყო, სმალანდელი ასმუნდ იფნისგვერდას ძე. საღგომი აღმოსავლეთით ჰქონდა მდინარე გაუტელვზე. სუთი სომალდი და ბლომად სალსი პყავდა. გაუტელვიდან ნორვეგიისკენ გაემართა, ნაპირზე ვესტფოლდთან გადმოვიდა და მოულოდნელად თავს დაესხა პალვარდ სოტის. პალვარდს სსვენზე მიაგნეს. იგი მამაცურად იცავდა თავს, ვიდრე სახლს ცეცხლი არ წაუკიდეს, და ისიც დანებდა, მაგრამ მაინც მოკლეს, დიდძალი ნადავლი წაიღეს და ლიოდპუსისკენ გაემართნენ. პაკონ იარლმა ეს რომ შეიტყო, ბრძანება გასცა, კოლი კანონგარეშე გამოეცხადებინათ მთელ თავის საბრძანებელში და მისი მოკვლისათვის ჯილდოც დანიშნა.

ერთხელ იარლმა ასეთი რამ თქვა:

— შორს არის გუნარ ჰლიდარენდელი. აქ რომ იყოს, ამ ჩემს კანონგარეშე გამოცხადებულ მტერს მოკლავდა. ასლა კი ისლანდიელები მოკლავენ თვითონ მას. დასანანია, რომ იგი ჩვენთან არ წამოვიდა.

თრაინ სიგფუსის ძემ მიუგო:

— მე გუნარი არ გახლავარ, მაგრამ ასლო ნათესავად ვერგები მას და მზად ვარ ეგ საქმე ვიკისრო.

იარლმა თქვა:

— თანასმა ვარ და კარგადაც გაგამზადებ ლაშქრობისათვის.

მაშინ ეირიკმა, მისმა ძემ, თქვა:

— დიდი ამბით კი გვპირდები, მაგრამ, მე მგონი, შესრულება გაგიჭირდება. ძალზე ძნელი გზა გელის, რადგან ეგ ვიკინგი მრისხანე მეომარია და ადვილად ვერ მოერევი. გულმოდგინედ უნდა შეარჩიო ხალხიცა და ხომალდებიც მაგ ლაშქრობისათვის.

თრაინმა თქვა:

— მე მაინც გავალ სალაშქროდ, რაც არ უნდა მელოდეს.

მაშინ იარლმა მას სუთი ხომალდი მისცა და სალხიც ბლომად აახლა. თრაინს გაპყვნენ გუნარ ლამბის ძე და ლამბი სიგურდის ძე. გუნარი თრაინის ძმის შვილი იყო, სიყრმიდანვე მასთან იზრდებოდა და ერომანეთი ძალიან უყვარდათ. იარლის ძე, ეირიკიც ყვე-

ლაფრით სელს უმართავდა, იარაღი და სალსი კარგად შეამოწმა და ყველაფერი ისე მოაგვარა, როგორც საჭიროდ მიიჩნია. მერე კი, როდესაც გაეწყვნენ, ეირიკმა გზის მაჩვენებელიც გააყოლა.

ისინი სამხრეთისკენ დაუყვნენ ცურვით ნაპირ-ნაპირ და სადაც არ უნდა გადმომსხდარიყვნენ, იარლის წყალობით ყველგან ყველაფერს შიულობდნენ, რაც სჭირდებოდათ. ასე იცურეს აღმოსავლეთისკენ და ლიოდპუსში ჩავიდნენ. აქ შეიტყვეს, რომ კოლი აღმოსავლეთისკენ წასულიყო, დანიაში. ესენიც იქით გაეშურნენ. როდესაც სამხრეთში, პელსინგაბორში მივიდნენ, ნავში მსხდომ ხალხს გადააწყდნენ, რომლებმაც უთხრეს, კოლი ახლახან აქ იყო და ერთსანს კიდევ გაჩერდებაო.

ერთ დღეს, როდესაც კარგი დარი იდგა, კოლმა მისკენ მომავალი ხომალდები დაინახა და თქვა, წუსელ სიზმრად პაკონ იარლი ვნახე და ეს ალბათ იმისი ხალხიაო. თავისიანებს უბრძანა, იარაღი აესხათ. ორივე მხარე საომრად გაემზადა და ბრძოლაც დაიწყო.

დიდსანს იბრძოლეს, მაგრამ ვერც ერთმა ვერ დახძლია. მაშინ კოლი თრაინის ხომალდზე გადასტა, მახვილით გზა გაიკაფა და ბევრი ხალხიც დახოცა. თავზე მოოქრული ჩაჩქანი ესურა. თრაინმა დაატყო, რომ ასე ვერას გახდებოდა, თავის ხალხს გამხნევება დაუწყო, თვითონ კი წინ გაიჭრა და კოლს გადაეღობა. კოლმა თრაინს მახვილი დაჰკრა და ფარი გაუპო. ამ დროს კოლს სელზე ქვა მოსვდა და მახვილი გაუვარდა. მაშინ თრაინმა დასცხო და ფესი მოპკვეთა. ამის შემდეგ კოლი მოკლეს. თრაინმა მას თავი მოსჭრა და გვამი ზღვაში გადააგდო, თავი კი შეინახა.

დიდძალი ნადავლი წამოიღეს, ჩრდილოეთისკენ გაემართნენ, თრანდპეიმში ჩავიდნენ და იარლის სანასავად გაეშურნენ. იარლმა თრაინი კარგად მიიღო. თრაინმა მას კოლის თავი აჩვენა და იარლმა მადლობა გადაუსადა ვაუკაცობისათვის. მაშინ ეირიკმა თქვა, ჯილდოდ მარტო სიტყვები არ იკმარებსო. მართალიაო, დაუმოწმა იარლმა და თრაინს სთხოვა, თან გაჰყოლოდა. მივიდნენ იქ, სადაც იარლს ხომალდებს უშენებდნენ. იარლის ბრძანებით ერთი ისეთი ხომალდი აეგოთ, რომელიც არ წააგავდა ჩვეულებრივ საომარ ხომალდს. ცხვირზე ძელქორის თავი ჰქონდა გაკეთებული და მდიდრულად იყო მორთულ-მოკაზმული.

იარლმა თქვა:

— შენ ფუფუნების მოყვარული კაცი ხარ, თრაინ, და შენი ნათესავი გუნარიც შენსავით იყო. ჰოდა, მინდა, აი ეს ხომალდი გაჩუქო. მას „ძელქორი“ ჰქვია. ჩემი კეთილმოსურნეობის ნიშნად გქონდეს იგი. და დიდად მაამებ, თუ ჩემთან დარჩები იმდენ ხანს, რამდენიც მოგესურვება.

თრაინმა იარლს მადლობა მოასსენა წყალობისათვის და უთხრა, ჯერ არ მიმიწევსო ისლანდიისკენ გული.

იარლს აღმოსავლეთ საზღვრებისაკენ გამგზავრება დასჭირდა შვედების მეფესთან შესახვედრად. თრაინი იმ ზაფხულს თან ახლდა იარლს. იგი მესაჭე იყო და ისე მარჯვედ მართავდა „ძელქორს“. რომ ვერავინ მიჰყვა და ყველა შურით შეჰყურებდა. ეტყობოდა, იარლი დიდად აფასებდა გუნარს, რადგან ყველას სმას აკმენდინებდა, ვინც კი თრაინს გაჰკენწლავდა.

თრაინმა მთელი ზამთარი იარლთან გაატარა. გაზაფხულზე იარლმა ჰკითხა, კიდევ დარჩები, თუ ისლანდიაში წახვალო. თრაინმა მიუგო, ჯერ ვერაფერს ვიტყვი, რადგან არ ვიცი, რა ხდება ისლანდიაშიო. იარლმა უთხრა, ისე მოიქეცი, როგორც საჭიროდ მიგაჩნიაო და თრაინი მასთან დარჩა. ამ დროს ისლანდიიდან გუნარ ჰლიდარენდელის სიკვდილის ხმამ მოაღწია, რაც ყველამ დიდ ამბად მიიჩნია. მაშინ იარლმა აღარ ისურვა თრაინის ისლანდიაში გაშვება და ისიც კვლავ მასთან დარჩა.

83

ახლა ის უნდა ვთქვათ, რომ გრიმი და ჰელგი, ნიალის ვაჟები, ისლანდიიდან იმავე ზაფხულს გაემგზავრნენ, როდესაც თრაინი წავიდა. ხომალდზე მათთან ერთად იყვნენ ოლავ ელდელი კეთილის ძე და ბარდი. გზაში მათ მძლავრმა ჩრდილოეთის გრიგალმა მოუსწრო და გაშლილ ზღვაში გაიტაცა სამხრეთისაკენ. თან ისეთი ნისლი ჩამოწვა, რომ აღარ იცოდნენ, საით მიდიოდნენ, და დიდსანს ცურავდნენ უგზო-უკვლოდ. ბოლოს ერთ თავთხელზე გავიდნენ და იფიქრეს, აქ ახლომახლოს ალბათ მიწა არისო. ნიალის ვაჟებმა ბარდს ჰკითხეს, თუ იცი, რა ქვეყნებიაო აქეთ.

— ამ მხარეს ბევრი ქვეყანაა, — მიუგო მან, — გააჩნია, რომელმა

ქარმა გამოგვრიყა აქეთ, — ეს ან ორკნეის კუნძულებია, ან შოტლანდია, ან ირლანდია.

ორმა ღამემ განვლო და ორივე მხარეს მიწა გამოჩნდა. ფიორდში დიდი მორევი დაინახეს და ღუზა მორევის წინ ჩაუშვეს. ქარი თანდათან განელდა და დილისათვის მთლად ჩადგა. მათ დაინახეს, რომ ფიორდის სიღრმიდან მათკენ ცამეტი ხომალდი მოეშურებოდა.

მაშინ ბარდმა თქვა:

— ახლა რაღა ვქნათ? ეგენი ხომ თავს დაგვესხმიან?

და შეუდგნენ ბჭობას, თავი დაეცვათ თუ დანებებულიყვნენ, მაგრამ ვიდრე რამეს მოიფიქრებდნენ, ვიკინგები თავს წაადგნენ. ერთმანეთს ჰკითხეს, რა ერქვათ მათ წინამძღოლებს. მოვაჭრეთა თავკაცებმა თავიანთი სახელი თქვეს და თავადაც იკითხეს, ვინ მეთაურობდა ვიკინგების რაზმს. მათ თავიანთ თავს უწოდეს გრიოტგარდი და სნეკოლვი და ისიც თქვეს, რომ მამა მათი იყო მოდანი შოტლანდიის დუნგალსბერიდან და რომ ნათესავებად ერგებოდნენ შოტლანდიელთა მეფე მელკოლვს.

— ახლა კი აირჩიეთ, — თქვა გრიოტგარდმა, — ან ნაპირზე გადმოდით და თქვენს ავლა-დიდებას ჩვენ წავიღებთ, ან თავს დაგესხმით და დავხოცავთ ყველას, ვისაც მოვახელებთ.

ჰელგიმ მიუგო:

— ვაჭრებს თავის დაცვა სურთ.

მაშინ ვაჭრებმა უთხრეს:

— ჭირმა წაგიღოს მაგ სიტყვებისათვის. სად შეგვიძლია მაგათი გამკლავება. სიცოცხლე ხომ ქონებაზე ძვირფასია.

მაშინ გრიმმა ვიკინგებს ხმამაღლა დაუწყო ძახილი, რომ მათ ვაჭართა უკმაყოფილო ბუზღუნისათვის ყური არ მოეკრათ. ბარდმა და ოლავმა თქვეს:

— ნუთუ გინდათ, ამ ისლანდიელებმა თქვენს სილაჩრეზე იცინონ? ის გირჩევნიათ, იარაღს მოჰკიდოთ ხელი და თავი დაიცვათ.

მაშინ ყველა იარაღს წაეტანა და ერთმანეთს შეჰფიცეს, მანამდე არ მოეხარათ ქედი, ვიდრე ძალა ეყოფოდათ თავდასაცავად.

ვიკინგებმა მათ სროლა აუტესეს და გაჩაღდა ბრძოლა. ვაჭრები ყოჩაღად იცავდნენ თავს. სნეკოლვი ოლავს მიეჭრა და ტანში შუბი გაუყარა. გრიმმა ისე მძლავრად ჰკრა შუბი სნეკოლვს, რომ იგი ზღვაში გადავარდა. მაშინ პელგი შემობრუნდა, გრიმს მხარში ამოუდგა და სომალდიდან ყველა ვიკინგი გარეკეს. ნიალის ვაუები ყოველთვის იქ იყვნენ, სადაც უფრო ჭირდა. ვიკინგები ვაჭრებს უყვიროდნენ, დაგვნებდითო, ისინი კი პასუხობდნენ, ეგ არ მოსდებაო. სწორედ ამ დროს ზღვას გასედეს და დაინახეს, რომ სამხრეთით, კონცხის მხრიდან, სულ ცოტა, ათი ხომალდი მაინც გამოვიდა. ნიჩბებს მარდად უსვამდნენ და მათკენ მოეშურებოდნენ. ხომალდების ძგიდეებზე ფარი ფარზე იყო ჩამწკრივებული. წინ მომავალ ხომალდზე ანძასთან კაცი იდგა. ტანთ აბრეშუმის სამოსელი ეცვა და თავზე მოოქრული ჩაჩქანი ესურა. გრძელი და ლამაზი თმა ჰქონდა, ხელთ კი ოქროთი მოვარაყებული შუბი ეპყრა. მან იკითხა:

— ვინ ერთობა აქ ამ უთანაბრო თამაშით?

პელგიმ თავისი სახელი უთხრა და ისიც დაუმატა, რომ მისი მოწინააღმდეგენი გრიოტგარდი და სნეკოლვი იყვნენ.

— ამ ხომალდებს ვინ პატრონობს? — იკითხა მან.

პელგიმ მიუგო:

— ერთს, რომელიც ცოცხალი გადარჩა, ბარდ შავს ეძახიან, მეორე კი, რომელსაც ოლავი ერქვა, ბრძოლაში მოკლეს.

— ისლანდიელები ხართ? — ჰკითხა მან.

— რასაკვირველია, — მიუგო პელგიმ.

მან ჰკითხა, ვისი შვილები ხართო, და როდესაც უთხრეს, მიხვდა, ვინც იდგა მის წინაშე, და თქვა:

— შორს არის გავარდნილი თქვენი სახელი.

— შენ ვინა ხარ? — ჰკითხა პელგიმ.

— კარი მქვია და სალმუნდის ძე ვარ.

— საიდან მოდიხარ? — ჰკითხა პელგიმ.

— პებრიდის კუნძულებიდან.

— დროზე მოგვისწარი, — თქვა პელგიმ, — კარგს იზამ, თუ ცოტა ხელს შემოგვაშველებ.

— მზად ვარ ყველაფერში დაგესმაროთ, — თქვა კარიმ, — რას ითხოვთ ჩემგან?

— თავს დაესხი ამათ, — თქვა პელგიმ.

კარი დათანხმდა. ისინი თავს დაესხნენ ვიკინგებს და ბრძოლა კვლავ განახლდა. მცირე ხნის შეტაკების შემდეგ კარი ხნეკოლვის ხომალდზე ასტა. ხნეკოლვი მისკენ შემობრუნდა და უნდოდა, მახვილი შემოეკრა მისთვის. კარიმ უკან ისკუპა და ძელს გადაასტა, რომელიც ხომალდის გასწვრივ იდო. ხნეკოლვმა ისე დაპკრა ძელს, რომ მახვილი შიგ ჩაერჭო. მაშინ კარიმ მახვილი მსარში დასცა. დარტყმა ისეთი ძლიერი იყო, რომ მკლავი ჩამოათალა და ხნეკოლვი იქვე მოკვდა. მაშინ გრიოტგარდმა კარის შუბი სტყორცნა. კარიმ ეს დაინახა, პაერში ახტა და შუბი აიცდინა. ამ დროს მას პელგი და გრიმი წამოეშველნენ. პელგი გრიოტგარდს ეცა, მახვილი დასცხო და იქვე გაათავა. მაშინ მათ მთელი ხომალდი განვლეს ორივე მსარეს. ვიკინგებმა შეწყალება ითხოვეს. დამარცხებულებისთვის ხელი აღარ უხლიათ, მაგრამ მთელი მათი ქონება თან წამოიღეს. ამის შემდეგ თავიანთი ხომალდები ზღვაში გაიყვანეს და კუნძულებისკენ გაემართნენ.

85

იარლს, რომელიც ორკნეის კუნძულებს მართავდა, სახელად სიგურდი ერქვა. იგი იყო ძე ჰლადვირისა, შვილიშვილი თორფინ თავის ქალათა გამპობელისა, შვილიშვილის შვილი ეინარ ტორფიანისა, შვილიშვილის შვილიშვილი რაგნვალდ მოერის იარლისა და შვილიშვილის შვილიშვილის შვილი ეისტეინ მქუხარესი. კარი სიგურდ იარლის რაზმელი იყო. იგი პებრიდის კუნძულებიდან ბრუნდებოდა, სადაც სარკი გამოართვა იარლ გილის. კარიმ ნიალის ვაჟებს სთხოვა, პროსეის კუნძულზე წაყოლოდნენ და აღუთქვა, რომ სიგურდ იარლი მათ კარგად დაუხვდებოდა. ძმები დათანხმდნენ, კარის გაპყვნენ და პროსეის კუნძულზე მივიდნენ. კარიმ ისინი იარლთან მიიყვანა და უთხრა, ვინც იყვნენ.

— სად გადაეყარეთ ერთმანეთს? — პკითხა იარლმა.

— შოტლანდიის ფიორდებში შემხვდნენ. იარლ მოდანის ვაჟებს ებრძოდნენ და ვაჟკაცურად იცავდნენ თავს, ხომალდის ხან ერთ

მსარეს გაიჭრებოდნენ, სან შეორეს და ყოველთვის იქ იყვნენ, სადაც ყველაზე დიდი გასაჭირი იყო. გთხოვ, შენს რაზმში დაიტოვო ისინი.

— იყოს ნება შენი, — უთხრა იარლმა, — რაკი ადრეც ხელი გაგიმართია მათთვის.

ის ზამთარი იარლთან გაატარეს და დიდ პატივშიც იყვნენ. მაგრამ რაც დრო გადიოდა, პელგი გულჩახვეული სდებოდა. იარლს ვერ გაეგო, რა იყო ამის მიზეზი, და პკითხა, რადა ხარო აგრე გულჩათხრობილი და უკმაყოფილო.

— იქნებ აქაურობა არ მოგწონს? — ეკითხება იარლი.

— აქაურობა ძალიან მომწონს, — ამბობს პელგი.

— მაშ რას დაფიქრებულხარ? — ეკითხება იარლი.

— გაქვთ თუ არა შოტლანდიაში სამფლობელოები? — პკითხა პელგიმ.

— მე მგონი, მაქვს, — ეუბნება იარლი, — მერე რაო?

პელგიმ თქვა:

— მგონი, შოტლანდიელებმა იქაური მოურავი მოგიკლეს და ყველა თქვენი შიკრიკი დაატყვევეს, რომ ვერც ერთი ვერ გადმოვიდეს პეტლანდსფიორდის ყურეზე.

იარლმა პკითხა:

— შენ ნათელმხილველი ხარ?

— ჯერ არ შემიმოწმებია, — მიუგო პელგიმ.

— მე კიდევ უფრო მეტ პატივს გცემ, — თქვა იარლმა, — თუ ყველაფერი ეგ მართალია. არადა, ძვირად დაგისვამ ნათქვამს.

— ეგ მაგის კაცი არ არის, — თქვა კარიმ, — ალბათ, მართალია, რასაც ამბობს, რადგან მამა პყავს ნათელმხილველი.

მაშინ იარლმა სალხი გაუზავნა სამხრეთში, კუნძულ სტრაუმეიზე, თავის მოურავ არნლიოტთან. შემდეგ არნლიოტმა გაგზავნა სალსი სამხრეთში, პეტლანდსფიორდის ყურეში. აქ მათ გაიკითხეს და შეიტყვეს, რომ ჰუნდი იარლსა და მელსნატი იარლს თრასვიკში სიგურდ იარლის მოყვარე პავარდი მოეკლათ. მაშინ არნლიოტმა სიგურდ იარლს შემოუთვალა, რომ დიდი ლაშქრით მოსულიყო სამხრეთში და გაერეკა ეს იარლები თავისი საბრძანისიდან. იარლმა რომ ეს შეიტყო, ყველა კუნძულიდან ლაშქარს დაუყარა თავი.

შემდეგ იარლი თავის ლაშქრით სამსრეთისკენ გაემართა. კარი და ნიალის ვაუებიც თან გაყვნენ. ისინი კატანესში მივიდნენ, შოტლანდიაში იარლს ეკუთვნოდა: როსი და მიურეიეი, სუდრილანდი და ღალი. ამ სამფლობელოებიდან ადგილობრივი მკვიდრნი მოვიდნენ მათთან და თქვეს, იარლები ასლოს არიან, თან დიდი ჯარი ახლავთო. მაშინ სიგურდ იარლი თავის ლაშქარს გაუძღვა. ადგილს, სადაც ისინი ერთმანეთს შესვდნენ, დუნგალსნიპას კონცსი ეწოდება. საშინელი ბრძოლა ატყდა. სკოტებმა ბრძოლის ველიდან გაიყვანეს თავიანთი ჯარის ნაწილი, უკნიდან მოუარეს და თავს დაესხნენ იარლის ლაშქარს. დიდძალი ხალხი დაიღუპა, ვიდრე ნიალის ვაუები მათკენ არ შებრუნდნენ და ბრძოლით არ უკუაქციეს მტერი. ბრძოლა მეტისმეტად გასურდა. პელგი და მისი ძმა ისევ წინ გაიჭრნენ იარლის ალმისკენ და თავდაუზოგავად იბრძოდნენ. კარი იარლ მელსნატისკენ შებრუნდა. მელსნატიმ მას შუბი სტყორცნა, მაგრამ კარიმ ჰაერში დაიჭირა იგი, უკანვე გასტყორცნა და იარლი განგმირა. მაშინ იარლი პუნდი გაიქცა და გამარჯვებულებმა იქამდე სდიეს ოტებულთ, ვიდრე არ შეიტყვეს, რომ მელკოლვს დიდი ჯარი შეეკრიბა დუნგალსბერში. მაშინ იარლმა თათბირი გამართა თავის ხალსთან. ყველა უკან დაბრუნებას ამბობდა, რაღგან არ ღირდა შებრძოლება ესოდენ ძლიერ სახმელეთო ლაშქართან. მაშინ უკან გამობრუნდნენ. როდესაც იარლი სტრაუმეიზე მივიდა, ნადავლი გაიყვეს. შემდეგ იარლმა ჩრდილოეთით ჰროსეის მიაშურა. ნიალის ვაუები და კარიც თან ასლდნენ. იარლმა დიდი ნადიმი გამართა და ამ ნადიმზე მან კარი მშვენიერი მასვილითა და ოქროთი მოვარაყებული შუბით დაასაჩუქრა, პელგის ოქროს სამაჯური და წამოსასსამი უბოძა, გრიმს — ფარი და მასვილი. გრიმი და პელგი თავის რაზმში ჩარიცხა და მადლობა ვადაუხადა ბრძოლაში გამოჩენილი სიმამაცისათვის.

მათ იარლთან გამოიზამთრეს და ზაფსულიც იქ გაატარეს, ვიდრე კარი სალაშქროდ არ გაემგზავრა. ისინიც თან გაყვნენ და ბევრგან გადაიხადეს ბრძოლა იმ ზაფხულს და ყველგან გამარჯვებულები გამოდიოდნენ. ისინი კუნძულ მენის მბრძანებელ კონუნგ

გუდრედს შეებრძოლნენ, სძლიეს და დიდძალი ნადავლით დაბრუნდნენ უკან. ის ზამთარიც იარლთან გაატარეს.

გაზაფხულზე ნიალის ვაჟებმა ნორვეგიაში წასვლის ნება ითხოვეს. იარლმა უთხრა, როგორც გენებოთ, ისე მოიქეცითო, და ერთი კარგი ხომალდი და ღონიერი ნიჩბოსნები გაატანა. კარიმ კი თქვა, რომ იმ ზაფხულს ნორვეგიაში ხარკს ჩაუტანდა ჰაკონ იარლს და იქ შესვდებოდნენ ერთმანეთს. ასეც შეთანხმდნენ. ამის შემდეგ ნიალის ვაჟები ზღვაში გავიდნენ, გეზი ნორვეგიისაკენ აიღეს და თრანდჰეიმის ჩრდილოეთით გადმოსხდნენ.

87

ერთ კაცს კოლბეინი ერქვა. იგი იყო არნლიოტის ძე, წარმოშობით თრანდჰეიმიდან. იგი ისლანდიისკენ გაემართა იმ ზაფხულს, როდესაც თრაინი და ნიალის ვაჟები იქიდან წავიდნენ. შემდეგი ზამთარი მან აღმოსავლეთში, ბრეიდალში გაატარა და მერე კი, ზაფხული რომ დადგა, გაუტავიკში თავისი ხომალდი გამართა. როდესაც ყველანი მზად იყვნენ, მათთან ვიღაც კაცი ნავით მიცურდა, ნავი ხომალდს გამოაბა, თვითონ კი ხომალდზე ავიდა კოლბეინთან გამოსალაპარაკებლად. კოლბეინმა სასელი ჰკითხა.

— მე პრაპი მქვია, — უთხრა მან.

— რა გინდა ჩემგან? — ჰკითხა კოლბეინმა.

— მინდა გთხოვო, — ეუბნება პრაპი, — რომ ზღვის გაღმა გამიყვანო.

— ვისი შვილი ხარ? — ეკითხება კოლბეინი.

პრაპმა მიუგო:

— მე არგუმლეიდის შვილი და გეიროლვ მეომრის შვილიშვილი გახლავარ.

კოლბეინმა ჰკითხა:

— რად დაგჭირვებია წასვლა?

— კაცი მოვკალი, — თქვა პრაპმა.

— ვინ მოპკალი? — ჰკითხა კოლბეინმა, — ან ვინ იძიებს შურს შენზე მისთვის?

პრაპმა მიუგო:

— მე მოვკალი ერლიუგი, ძე ერლიუგისა, შვილიშვილი პრონ-

გეირ თეთრისა, და ვაანფიორდელები იძიებენ მისთვის შურს ჩემზე.

— მე მგონი, — თქვა კოლბეინმა, — კარგი დღე არ დაადგება, ვინც შენ გაგიყვანს.

— მე მეგობარს ვმეგობრობ, მაგრამ თუკი ვინმე ცუდად მომექცევა, სამაგიეროსაც გადავუსდი. გარდა ამისა, არც ფული მაკლია საიმისოდ, რომ ამ მგზავრობის ხარჯი გავწიო.

მაშინ კოლბეინმა იგი თან წაიყვანა.

მალე ზურგქარმა დაუბერა და ზღვაში გავიდნენ. პრაპს ხორაგი შემოელია და ახლო მსხდომთ მიუჯდა, მაგრამ ისინი ლანძღვით წამოუხტნენ. ერთმანეთზე გაიწიეს და ატყდა ჩხუბი. პრაპმა უმალ ორი კაცი წაიგდო ფეხქვეშ. კოლბეინს ამბავი მიუტანეს. მან პრაპს დაუძახა, თავისი მარაგი გაუნაწილა და პრაპიც ნებას დაპყვა.

ამასობაში ზღვა განვლეს, ნაპირს მიადგნენ და აგდანესის კონცხთან დადგნენ. კოლბეინმა ჰკითხა, სადა გაქვს გადაყვანისთვის შეპირებული ფულიო.

— ისლანდიაში, — მიუგო პრაპმა.

კოლბეინმა უთხრა:

— შენ ალბათ კიდევ ბევრს მოატყუებ ჩემსავით, მაგრამ მე მაინც მიპატიებია.

ჰრაპმა სთხოვა, მადლობა მაინც მიეღო და ჰკითხა:

— ასლა რას მირჩევ, როგორ მოვიქცე?

— ჯერ ერთი, — უთხრა კოლბეინმა, — რაც შეიძლება მალე აიბარგე ამ ხომალდიდან, რადგან ნორვეგიელებს კარგს ვერაფერს ათქმევინებ შენზე, და კიდევ ერთ კარგ რჩევას მოგცემ — არასოდეს მოატყუო ის, ვისაც შენთვის რაიმე სამსახური გაუწევია.

ამის შემდეგ პრაპი ნაპირზე გადავიდა თავის იარაღიანად. ხელში დიდი ნაჯახი ეჭირა, ოქრომკედშემოვლებულტარიანი. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ბოლოს ველელ გუდბრანდს მიადგა. გუდბრანდი ჰაკონ იარლის დიდი მეგობარი იყო. მათ ერთი საერთო ბომონი ჰქონდათ, რომელსაც მარტო მაშინ აღებდნენ, როდესაც იარლი ჩამოდიოდა. ასეთი დიდი ბომონი სულ ორი იყო ნორვეგიაში. მეორე ჰლადირში იდგა. გუდბრანდის ძეს თრანდი ერქვა, ასულს კი გუდრუნი.

ჰრაპი გუდბრანდს წარუდგა და თავაზიანად მოიკითხა. გუდბრანდმა ვინაობა გამოჰკითხა. ჰრაპმა თავისი სახელი უთხრა და

დაუმატა, ისლანდიელი ვარო. შემდეგ სთხოვა გუდბრანდს, აეყვანა იგი. გუდბრანდმა უთხრა:

— რაღაც არაფერი გეტყობა იღბლიანობისა.

— მე კი ვფიქრობ, ტყუიან, — თქვა პრაპმა, — როდესაც შენზე ამბობენ, ყველასათვის ღია აქვს კარი, ვინც არ უნდა სთხოვოს თავშესაფარიო. ვერც იმას დავიჯერებ, თითქოს შენებრ გულკეთილი არავინ იყოს. მე კი სულ პირიქით ვილაპარაკებ, თუ არ მიმიღებ.

გუდბრანდმა თქვა:

— კარგი, დარჩი ჩემთან.

— სად მიბრძანებ დაჯდომას? — ჰკითხა პრაპმა.

— დაბალ მერსზე, ჩემი საპატიო სკამის პირდაპირ.

პრაპი წავიდა და თავის ადგილზე დაჯდა. მოსაყოლი ბევრი ჰქონდა და პირველად გუდბრანდსაც და სხვებსაც სიამოვნებას ანიჭებდა მისი ყურისგდება. მერე კი ყველას მოეჩვენა, რომ იგი თავს იგდებდა. საბოლოოდ მან მარტო გუდრუნს გაუბა მუსაიფი და ყველა იძახდა, ალბათ მისი შეცდენა უდევს გუნებაშიო.

ეს რომ გუდბრანდმა შეიტყო, დატუქსა გუდრუნი პრაპთან ლაპარაკის გამო და უბრძანა, მასთან განმარტოებით საუბრისთვის თავი აერიდებინა. გუდრუნი ერთსანს ასრულებდა თავის პირობას, მაგრამ მალე ყველაფერი ძველებურად დატრიალდა. მაშინ გუდბრანდმა თავის მოურავს, ასვარდს, დაავალა ერთ ნაბიჯზე არ მოშორებოდა გუდრუნს, სადაც არ უნდა წასულიყო იგი.

ერთსელ ისე მოსდა, რომ გუდრუნმა ნიგვზნარისკენ წასვლის ნება ითხოვა გულის გადასაყოლებლად და ასვარდიც თან გაპყვა. პრაპი უკან აედევნა და მალე მიაგნო კიდეც ორივეს. მან ხელი ჩასჭიდა გუდრუნს და წაიყვანა. ასვარდი მათ ძებნას შეუდგა და მალე თავს წაადგა ბუჩქებში მწოლარეთ. წამსვე ზედ მიეჭრა მათ, ნაჯახი მოუღერა და უნდოდა ფეხებში ჩაეცხო პრაპისთვის, მაგრამ იგი სწრაფად ამოტრიალდა და დარტყმა აიცდინა. პრაპი უმალ ფეხზე წამოვარდა და თავის ნაჯახს სტაცა ხელი. ასვარდმა გაქცევა დააპირა, მაგრამ პრაპმა შუაზე გადაუჩეხა ხერხემალი. მაშინ გუდრუნმა უთხრა:

— შენ ახლა ისეთი საქმე ჩაიდინე, რომ ამის შემდეგ მამაჩემთან

ველარ გაჩერდები, თანაც მას ის უფრო არ დაუჯდება ჭკუაში, რომ მე ფესმძიმედ ვარ.

პრაპი ამბობს:

-- მაგ ამბავს ის სხვებისაგან არ შეიტყობს. წავალ სახლში და მამაშენს ყველაფერს თავად მოვასხენებ.

— მაშინ ცოცხალი ვერ წაუხვალ, — უთხრა გუდრუნმა.

— რაც იქნება, იქნება, — თქვა პრაპმა.

ამის შემდეგ მან გუდრუნი სხვა ქალებთან მიიყვანა, თვითონ კი სახლისკენ გაემართა. გუდბრანდი საპატიო სკამზე იჯდა, გარს რამდენიმე კაცი ესვია. პრაპი წინ დაუდგა და ნაჯახი აღმართა. გუდბრანდმა პკითხა:

— რამ გაგისისხლიანა ნაჯახი?

— ასვარდს ზურგის ტკივილი დავუამე.

— არა მგონია, სიკეთე გდომიდეს მისთვის, — თქვა გუდბრანდმა, — ალბათ მოკალი.

— მართალია, — ეუბნება პრაპი.

— რისთვის? — ეკითხება გუდბრანდი.

— იქნება არც კი ღირდეს სათქმელად, — თქვა პრაპმა, — მაგრამ მან მე ფეხის მოკვეთა დამიპირა.

— სამაგისო რა მოიქმედე? — პკითხა გუდბრანდმა.

— ის, რასთანაც მას არაფერი ესაქმებოდა, — მიუგო პრაპმა.

— მაინც უნდა მითხრა, რა ჩაიდინე.

პრაპმა მიუგო:

— თუ მაინცა და მაინც გინდა იცოდე, შენს ასულთან ვიწექი და ეს არ ეჭაშნიკა.

გუდბრანდმა თქვა:

— ამოიქა, სალხო! სტაცეთ მაგას სელი და მოკალით!

— ცუდად შეგიფასებივარ სიძე კაცი, — უთხრა პრაპმა, — ეგ ხალხი არ გეყოფა ჩემს დასაჭერად.

ყველა ფეხზე წამოცვივდა, მაგრამ პრაპი დაუსხლტა და გარეთ გავარდა. უკან დაედევნენ, მაგრამ პრაპმა ტყეს შეაფარა თავი და ველარ დაიჭირეს. გუდბრანდმა ხალხი შეყარა. და ტყის გაჩხრეკა ბრძანა, მაგრამ მის ასავალ-დასავალს ველარ მიაგნეს, რადგან ტყე დიდი და ხშირი იყო.

პრაპმა ტყეში იქამდე ირბინა, ვიდრე ერთ მოტიტვლებულ ად-

გილას არ გავიდა. აქ მან ქოხი დაინახა. ეზოში ერთი კაცი შეშას ჭრიდა.

ჰრაპმა მას სახელი ჰკითხა და იმანაც უთხრა, ტოვი მქვიაო. ასლა ტოვიმ ჰკითხა სახელი და ჰრაპმა უთხრა, რაც ერქვა. ჰრაპმა ჰკითხა, რად ცხოვრობო სალსისაგან ასე შორს?

— იმიტომ, რომ, — მიუგო ტოვიმ, — აქ არავინ არის ჩემი შემწუსებელი.

— უცნაური საქმე გამოგვდის მე და შენ, — თქვა ჰრაპმა, — მაგრამ ჯერ იმას გეტყვი, ვინცა ვარ. მე გუდბრანდთან ვცხოვრობდი ველზე და გავიქეცი იქიდან, რადგან მისი მოურავი შემომაკვდა. მე ვიცი, რომ მე და შენ ორივე ავაზაკები ვართ, რადგან აქ არ წამოხვიდოდი, ვიღაცას რომ არ ემალებოდე. ახლა აირჩიე, რომელიც გინდა. ან დაგასმენ რომ აქა ხარ, ან საზიაროდ გვექნება ყველაფერი, რაც აქ არის.

ტოვიმ თქვა:

— ყველაფერი ისეა, როგორც შენ ამბობ. მე აგერ ეს ქალი მყავს მოტაცებული და ბევრნიც მეძებდნენ.

შემდეგ მან ჰრაპი სახლში შეიყვანა. მას პატარა, მაგრამ მტკიცედ ნაგები სადგომები ჰქონდა. ბონდმა თავის ცოლს უთხრა, ჰრაპი ჩვენთან უნდა შევიფაროთო.

— მაგ კაცისაგან სიკეთეს ვერავინ ნახავს, — თქვა ქალმა, — მაგრამ, დაე, იყოს ნება შენი.

მას შემდეგ ჰრაპი მათთან დარჩა. იგი ბევრს დაძრწოდა და შინ თითქმის არასოდეს ბრუნდებოდა. სულ გუდრუნთან პაემანზე დადიოდა. მაპაშვილი, გუდბრანდი და თრანდი, დადარაჯებულები იყვნენ, მაგრამ მისი ხელში მოგდება მაინც ვერ შეძლეს. ასე განელო მთელმა წელიწადმა.

გუდბრანდმა პაკონ იარლს შეატყობინა, რა დავიდარაბასაც გადაპკიდა იგი ჰრაპმა. იარლმა ჰრაპი კანონვარეშე გამოაცხადა და მისი მოკვლისთვის ჯილდო დანიშნა. პირობაც დადო, რომ თვითონ გაემგზავრებოდა და ხელსაც გამოიღებდა მის შესაპყრობად, მაგრამ იგი არსად წასულა. მას იოლ საქმედ მიაჩნდა ჰრაპის დაჭერა, რადგან ჰრაპი ასე წინდაუსედავად იქცეოდა.

ასლა ის უნდა ვთქვათ, რომ იმ ზაფხულს ნიალის ვაჟები ორ-კნეის კუნძულებიდან ნორვეგიაში გაემგზავრნენ და ზაფხულის ბაზრობას დაესწრნენ. ამ დროს თრაინ სიგფუსის ძემ თავისი ხომალდი ისლანდიაში წასასვლელად გააწყო და უკვე ყველაფერი მზად ჰქონდა.

იმხანად ჰაკონ იარლი სანადიმოდ ესტუმრა გუდბრანდს. ღამით ჰრაპი, კაცისმკვლელად წოდებული, იარლისა და გუდბრანდის ბომონთან მიიპარა და შიგ შევიდა. აქ მან დაინახა მჯდომარე თორგერდი, ჰელგის პატარძალი. იგი ზორბა მამაკაცის ოდენა იყო. ხელზე ოქროს დიდი სამაჯური ეკეთა, თავზე კი ლეჩაქი ებურა. ჰრაპმა იგი მოგლიჯა და ოქროს სამაჯურიც შესსნა. ამ დროს დაინასა თორი, ეტლზე ამხედრებული, და იმასაც ააძრო ოქროს სამაჯური. მესამე ხელსაბამი ირპას ააცალა. ამის შემდეგ ყველა კერპი გამოათრია ბომონიდან და მთელი მორთულ-მოკაზმულობა აართვა. მერე კი ბომონს ცეცხლი წაუკიდა და მთლიანად გადაბუგა. ამის შემდეგ იქაურობას გაერიდა. ამასობაში გათენება იწყო. ჰრაპი ნახნაეებზე გადადიოდა, როცა უცბად ექვსი შეიარაღებული კაცი წამოუხტა და თავს დაესხა. ჰრაპი შეუპოვრად იცავდა თავს და ბოლოს საქმე იმით გათავდა, რომ სამი კაცი მოკლა, თრანდი სასიკვდილოდ დაჭრა და ორი კი ტყეში გააქცია ისე, რომ მათ ამბავიც კი ვერ წაუღეს იარლს. ჰრაპი თრანდთან მივიდა და უთხრა:

— შემიძლია ასლავე გაგათავო, მაგრამ სელს არ გასლებ. შენ, ჩემს მოყვარეს, მე უკეთ გექცევი, ვიდრე თქვენ მომექეცით.

ჰრაპმა ტყისკენ გაბრუნება დააპირა, მაგრამ დაინახა, რომ გზად ვიღაცები გამოჩნდნენ. ტყისკენ წასვლა ვეღარ გაბედა, ერთ ბუჩქში ჩაწვა და ერთხანს გაყუჩებული იყო.

ჰაკონ იარლი და გუდბრანდი იმ დღეს დილაადრიან მივიდნენ ბომონში, მაგრამ იგი დამწვარი დახვდათ. სამივე ღმერთის კერპები, მთლიანად განძარცულნი, ეზოში ელაგა. მაშინ გუდბრანდმა თქვა:

— დიდი ძალა მისცემიათ ჩვენს ღმერთებს, რაკი თავისით გამოსულან ცეცხლიდან.

— ეგ ღმერთების ნამოქმედარი არ არის, — თქვა იარლმა, — ნამდვილად ვიღაცამ დაწვა ბომონი და ღმერთები გარეთ გამოიტანა.

მაგრამ ღმერთებს არ სჩვევიათ მაშინვე შურისძიება და ამის ჩამდენი განდევნილი იქნება ვალპალადან და ვერასოდეს დაბრუნდება უკან.

სწორედ ამ დროს მათთან იარლის ოთხი მსახური მოვარდა და მომსდარი უბედურება აუწყეს; მინდორში სამი მოკლული და სასიკვდილოდ დაჭრილი თრანდი ენახათ.

— ვის უნდა ექნა ეგ საქმე? — იკითხა იარლმა.

— პრაპ კაცისმკვლელს, — მიუგეს მათ.

— მაშ ბომონიც მას დაუწვავს, — თქვა იარლმა.

ალბათ აგრეთ, დაეთანხმნენ ისინი.

— სად შეიძლება ახლა იყოს? — იკითხა იარლმა.

მათ უთხრეს, თრანდი ამბობს პრაპი სადღაც ბუჩქებში ჩაიმალაო. იარლი მაშინვე იქით გაეშურა საძებრად, მაგრამ პრაპი აღარსად იყო. იარლმა ხალხი გაგზავნა მის საპოვნელად, მაგრამ პრაპს ვერსად მიაგნეს. იარლი სხვებთან ერთად ეძებდა და ბოლოს თვითონვე ბრძანა, ცოტა დაესვენათ.

იარლი ხალხს დაშორდა, განმარტოვდა და ახლოს არავინ გააკარა. ერთხანს ასე იყო მარტო. მერე ორივე მუხლზე დაეცა და თვალებზე სელები აიფარა. შემდეგ თავისიანებთან მიბრუნდა და უთხრა:

— გამომყევით.

ყველა უკან მიჰყვა. მან გადაუსვია გზიდან, რომლითაც ადრე მიდიოდნენ, და ერთ პატარა ხრამს მიადგა. უცბად მათ წინ პრაპი წამოვარდა, თურმე აქ იმალებოდა. იარლმა თავის ხალხს უბრძანა, უკან დასდევნებოდნენ, მაგრამ იგი ისე ფეხმარდი გამოდგა, რომ ვერავინ დაეწია.

პრაპმა პლადირს მიაშურა. ამ დროს თრაინ სიგუუსის ძე და ნიალის ვაჟებიც მსაღ იყვნენ ზღვაში გასასვლელად. პრაპი ნიალის ვაჟებთან მიიჭრა და უთხრა:

— მიშველეთ, თუ ხალხი სართ, თორემ იარლი მოკვლას მიპირებს.

პელგიმ შესედა და უთხრა:

— მე მგონი, შენ კაცს უბედურებას უფრო შეამთხვევ, და ჭკუას იზამს, ვინც არ გაგიკარებს.

— მაშ ნეტავ ბევრ უბედურებას გადააწყდებოდე ჩემი მიზეზით, — თქვა პრაპმა.

— თუ ვაუკაცი ვარ, — მიუგო პელგიმ, — მაგ სიტყვებს ვასდევ-ვინებ, როცა დრო იქნება.

მაშინ პრაპმა თრაინს მიმართა და დასმარება სთხოვა.

— რა გაგჭირვებია? — პკითხა თრაინმა.

— იარლის ბომონი დავწვი და რამდენიმე კაცი შემომაკვდა. საცაა აქ გაჩნდება, რადგან თვითონ დამედევნა უკან.

— არ შემფერის ეგ საქმე, — თქვა თრაინმა, — რადგან იარლს ჩემთვის ბევრი სიკეთე გაუკეთებია.

მაშინ პრაპმა უჩვენა მთელი ვანძი, რომელიც ბომონიდან პქონდა გატაცებული, და მას შესთავაზა. თრაინმა უთხრა, მსოლოდ ასეთივე საზღაურის ფასად თუ გამოგართმევო მაგას.

— მაშინ, — თქვა პრაპმა, — აქ დავრჩები, შენ თვალწინ მომკლავენ და ყველა გაგკილავს მაგისთვის.

ამ დროს მათკენ მომავალი იარლი და მისი ხალხი დაინახეს. მაშინ თრაინი დათანხმდა აეყვანა პრაპი, ნავი გაამზადებინა და ხომალდისკენ გასწია. მან თქვა:

— უფრო კარგად რომ დაიმალო, უმჯობესია ორ კასრს ძირი გამოვტეხოთ და შიგ შეძვრე.

ასეც მოიქცნენ. პრაპი კასრებში ჩაძვრა, მერე ისინი ერთმანეთს გადააბეს და ხომალდის უკან ჩაუშვეს. ამ დროს იარლი თავისი ხალხით ნიალის ვაჟებთან მივიდა და პკითხა, პრაპი თუ იყოო აქ. მათ დაუდასტურეს. იარლმა პკითხა, სად წავიდაო. ეგ არ ვიცითო, მიუგეს მათ.

იარლმა თქვა:

— ვინც მეტყვის, სად არის პრაპი, ჩემგან დიდ ჯილდოს მიიღებს.

მაშინ გრიმმა სმადაბლა უთხრა პელგის:

— რატომ არ უნდა ვუთხრათ? არა მგონია, თრაინმა სიკეთით გადაგვისადოს, თუ არ ვიტყვით.

— მაინც ხმას ნუ ამოვიღებო, — თქვა პელგიმ, — რაკი მისი სიცოცხლე საფრთხეშია.

გრიმმა თქვა:

— შეიძლება იარლმა ჩვენზე იძიოს შური, რადგან ისეა განრისხებული, რომ ალბათ ჯავრს ვინმეზე იყრის.

— მაგას ჩვენ ნუ ვინაღვლით, — თქვა ჰელგიმ, — მაგრამ, როგორც კი საშუალება მოგვეცემა, მაშინვე ზღვაში გავიდეთ.

ისინი თავიანთი სომალდებით ერთ კუნძულს მიადგნენ და ზურგქარს დაუწყეს ლოდინი.

იარლი ხან ერთ მეზღვაურს ეკითხებოდა, ხან მეორეს პრაპის ამბავს, მაგრამ ყველა ეუბნებოდა, არაფერი ვიცითო. მაშინ იარლმა თქვა:

— ახლა ჩემს მეგობარ თრაინთან მივიდეთ. ის გვეტყვის ყველაფერს მის შესახებ, თუ იცის რამე.

ჩასხდნენ საომარ ხომალდში და თრაინის ხომალდისკენ გაემართნენ. თრაინმა დაინახა, რომ იარლი უახლოვდებოდა, წამოდგა და მიესალმა. იარლმა თავაზიანად დაუბრუნა სალამი და უთხრა:

— ერთ კაცს ვეძებთ. იგი ისლანდიელია და პრაპი ჰქვია. მან ძალზე ბევრი ავი საქმე გამიკეთა. ახლა გთხოვთ, გადმოგვცეთ, ან გვითხრათ, სად არის იგი.

თრაინმა თქვა:

— კარგად მოგეხსენებათ, ხელმწიფეო, რომ მე მოვკალი თქვენს მიერ კანონგარეშე გამოცხადებული კაცი და ჩემი სიცოცხლე საფრთხეში ჩავაგდე, და ამის გამო თქვენგან დიდი პატივიც მსვდა წილად.

— ახლა უფრო დიდ პატივისცემას დაიმსახურებ, — თქვა იარლმა.

თრაინი ჩაფიქრდა და აღარ იცოდა, რას უფრო დაუფასებდა იარლი. მაინც უარყო პრაპის იქ ყოფნა და იარლს შესთავაზა, თავად გაეჩხრიკა ხომალდი. იარლს დიდხანს არ უძებნია და ძირს ჩავიდა. თან არავინ იახლა და ისე იყო გაგულისებული, რომ ვერავინ შებედა ხმის გაცემა. მან თქვა:

— მიმყევით ნიალის ვაჟებთან და იმათ ვათქმევინებ სიმართლეს.

მაშინ მოახსენეს, უკვე გავიდნენ ზღვაშიო.

— რაღა გაეწყობა, — თქვა იარლმა, — მაგრამ თრაინის ხომალდთან ორი კასრი იყო, რომლებშიც თავისუფლად დაიმალებოდა კა-

ცი. და თუ ის თრაინსა პაკეს დამალული, ნამდვილად იქ იქნება. წავიდეთ და ერთხელ კიდევ მოვინახულოთ თრაინი.

თრაინმა დაინახა, რომ იარლი კვლავ მისკენ მოეშურება, და თქვა:

— იარლი წეღან გაბრაზებული იყო და ახლა კი მთლად გაშმაგებულია, აწ კი ყველას ბედ-იღბალი კამათელზეა მინდობილი, ვინც აქ არის.

ყველამ აღუთქვა, რომ კრინტს არ დასძრავდნენ, რადგან თავისი თავი ედარდებოდათ. დახვავებული საპალნიდან რამდენიმე ტომარა აიღეს და მათ ადგილზე ჰრაპი ჩამალეს, ზევიდან სხვა, უფრო მსუბუქი ტომრები გადააფარეს. მორჩნენ საქმეს და იარლიც მოადგა. თრაინი თავაზიანად მიეგება. იარლმა აუჩქარებლად დაუბრუნა საალამი და ყველამ შეამჩნია, რომ იგი აღრენილი იყო. იარლმა თრაინს უთხრა:

— გადმომეცი ჰრაპი, რადგან ნამდვილად ვიცი, შენთან არის დამალული.

— აბა, სად უნდა მყავდეს დამალული, ხელმწიფეო, —ეუბნება თრაინი.

— ეგ შენ უფრო გეცოდინება, — ეუბნება იარლი, — მაგრამ, თუ გუმანი არ მღალატობს, წეღან შენ ის კასრებში გყავდა დამალული.

— არ მინდა სიცრუე დამწამოთ, ხელმწიფეო, — ეუბნება თრაინი, — უმჯობესია, თქვენ თვითონვე ნახოთ.

იარლი ხომალდზე ავიდა, დაძებნა, მაგრამ ვერაფერი იპოვა.

— კიდევ ეჭვი გაქვს ჩემზე? — პკითხა თრაინმა.

— რა თქმა უნდა, — მიუგო იარლმა, — მაგრამ ის კი ვერ გამიგია, რატომ ვერ ვპოულობ. როცა ნაპირზე ვარ, ყველაფერს აშკარად ვსედავ, აქ კი ვერაფერს ვნახულობ.

თქვა და ნიჩბოსნებს თავი ნაპირზე გადააყვანინა. ისე იყო აღშფოთებული, რომ ვერავინ სიტყვის თქმას ვერ უბედავდა. სვეინი, მისი ვაჟი, თან ახლდა. მან თქვა:

— უცნაურია, რომ უდანაშაულო ხალხზე გინდა ჯავრის ამოყრა.

მაშინ იარლი კვლავ განმარტოვდა. მერე კი სწრაფად მიბრუნდა მათთან და თქვა:

— ერთხელ კიდევ გავწიოთ მათკენ.

ასეც მოიქცნენ.

— სად შეიძლება დამალულიყო იგი? — ჰკითხა სვეინმა.

— ეგ სულ ერთია, — თქვა იარლმა, — იქ მაინც აღარ იქნება. საპალნესთან ორი ტომარა ეწყო და პრაპი ალბათ მათ მაგივრად იყო ჩამჯდარი საპალნეში.

თრაინმა თქვა:

— აგერ იარლს ხომალდი ისევ გამოპყავს და, ეტყობა, ჩვენკენ ეპირებიან. ამოვიყვანოთ პრაპი საპალნედან და მის ადგილზე სხვა რამე დავდოთ, ტომრები კი ისევ იქ დავტოვოთ.

ასეც მოიქცნენ. შემდეგ თრაინმა თქვა:

— მოდით, პრაპი იალქანში დავმალოთ, ქანდარაზე რომ გვაქვს დახვეული.

ასეც მოიქცნენ. ამ დროს მათთან იარლი მივიდა. იგი საშინლად იყო გააფთრებული და თქვა:

— გადმომცემ თუ არა მაგ კაცს, თრაინ? ახლა კი უფრო სასტიკად დავსჯი.

თრაინმა თქვა:

— მე ადრეც ჩაგაბარებდი იმ კაცს, ჩემს ხელთ რომ ყოფილიყო. ნეტავ ახლა სად იქნება?

— საპალნეში, — თქვა იარლმა.

— რატომ მაშინვე არ დაძებნე იქ? — ჰკითხა თრაინმა.

— არ მომფიქრებია, — იუგო იარლმა.

შემდეგ კვლავ გადააქოთეს მთელი ხომალდი და პრაპი ვერ ნახეს.

— არც ახლა ამაცილებთ თქვენს ეჭვს, ხელმწიფეო? — ეკითხება თრაინი.

— ცხადია, არა, — ეუბნება იარლი, — რადგან ვიცი, რომ შენთან არის დამალული ის კაცი, თუმცა ვერ მივაგენი; მაგრამ მე მირჩევნია შენ მომექცე უღირსად, ვიდრე მე მოგექცე ეგრე.

და იგი ნაპირზე გადავიდა.

— ახლა კი, მგონი, ვსედავ, — თქვა იარლმა, — რომ მას იალქანში პყავს პრაპი დამალული.

ამ დროს ზურგქარმა დაუბერა და თრაინი ზღვაში გავიდა. მაშინ თრაინმა წარმოთქვა სიტყვები, რომლებიც ყველას დიდხანს ახსოვდა:

გავაქროლოთ ბელქორი,
თრაინს ვინ რას დააკლებს.

როცა იარლს ეს სიტყვები გადასცეს, მან თქვა:

— ჩემი უგულისყურობით როდი მოსდა ის, რაც მოსდა, რომ მათი ბედი ერთმანეთშია გადასლართული და ეს დაღუპავს კიდეც ორივეს.

თრაინს დიდსანს არ დაუყვია ზღვაზე. მალე ისლანდიაში ჩავიდა და თავის სახლ-კარს მიაშურა. პრაპი თან გაპყვა და ის წელიწადი მასთან გაატარა. გაზაფხული რომ გავიდა, თრაინმა მას კარ-მიდამო მისცა, რომელსაც პრაპსტადირი ეწოდა, და პრაპი იქ დასახლდა. მეტ დროს კი გრიოტში ატარებდა და მთლად აურიაო იქაურობა. იმასაც ამბობდნენ, ძალზე დაუახლოვდაო ჰალგერდს, მაგრამ სხვები უარყოფდნენ ამ ხმებს.

თრაინმა თავისი ხომალდი მორდ უდარდელს, თავის ნათესავს მისცა. ამ მორდმა მოკლა ოდი ჰალდორის ძე, აღმოსავლეთ მხარეს, გაუტავიკში, ბერუფიორდთან. თრაინის ყველა ნათესავს თავის ბელადად მიაჩნდა იგი.

89

ახლა ის უნდა ვთქვათ, რომ როდესაც თრაინი ხელიდან წაუვიდა ჰაკონ იარლს, მან თავის ძეს, სვეინს, ასე უთხრა:

— წავიყოლიოთ ოთხი საომარი ხომალდი, დავედევნოთ ნიალის ვაჟებს და დავხოცოთ, რადგანაც ისინიც თრაინის მხარეზე იყვნენ ალბათ.

— ეგ ვერაფერი აზრია, — თქვა სვეინმა, — რომ ცილი დასწამო უდანაშაულო სალსს და ბრალიანი კი ხელიდან გაუშვა.

— ეგ ჩემი ნებაა, — მიუგო იარლმა.

ისინი უკან დაედევნენ ნიალის ვაჟებს და ერთ კუნძულთან მიაგნეს მათ. გრიმმა პირველმა დაინახა იარლის ხომალდები.

— აგერ, აქეთ საომარი ხომალდები მოდიან, — თქვა მან, — და იარლიც ვიცანი. ეგ სასიკეთოდ არ მოდის ჩვენთან.

— ნათქვამია, — მიუგო ჰელგიმ, — ვინც თავს იცავს, ყველაზე მამაციც ის არისო, რაც არ უნდა ძლიერი იყოს მისი მოწინააღმდეგე. ასლა კი ჩვენ მოგვიწევს საკუთარი სიცოცხლის დაცვა.

ყველამ სთხოვა მას მეთაურობა ეთავა, და იარალს წამოავლეს ხელი. ამ დროს იარლი მოადგათ და დაუყვირა, დაგვნებდითო. ჰელ-

გიმ მიუგო, თავს დავიცავთ, სადამდეც შევძლებთო. იარლმა შეწყალება აღუთქვა ყველას, ვინც იარაღს დაყრიდა და პელგის ჩამოეცლებოდა, მაგრამ ყველას ისე უყვარდა იგი, რომ მზად იყვნენ მასთან ერთად დახოცილიყვნენ. იარლი თავისი ხალსით მათ თავს დაესხა, მაგრამ ისინი მამაცურად იცავდნენ თავს და ნიალის ვაჟებიც ყოველთვის იქ გაჩნდებოდნენ ხოლმე, საცა მეტი გასაჭირი ადგათ. იარლმა ბევრჯერ შესთავაზა დანებება და შეწყალებას პპირდებოდა, მაგრამ ისინი ერთსა და იმავეს გაიძახოდნენ: არაფრით არ დაგნებდებითო. მაშინ მათ მძლავრად შეუტია ასლაკმა, კუნძულ ლანგეის მკვიდრმა. იგი სამჯერ ავიდა მათ ხომალდზე. გრიმმა თქვა:

— მეტისმეტს ცდილობ და დასანანი იქნება, რომ მაგ შენმა მოწადინებამ უქმად ჩაგიაროს.

ამ სიტყვებით გრიმმა შუბს წამოავლო სელი, ასლაკს სტყორცნა და ყელი გაუგმირა. ასლაკი იქვე მოკვდა. ცოტა ხნის შემდეგ პელგიმ ეგილი მოკლა, იარლის მედროშე. მაშინ მათ სვეინ პაკონის ძემ შეუტია და თავისიანებს უბრძანა, ფარებით გარსშემოწყობოდნენ მტერს მჭიდროდ ისე, რომ მოგერიების საშუალება აღარ მიეცათ, და ასე შეიპყრეს ისინი. პაკონს მაშინვე მათი დასოცვა სურდა, მაგრამ სვეინმა გადაათქმევინა, რადგან უკვე ღამე იყო. მაშინ იარლმა თქვა:

— მაშ ხვალ დახოცეთ, ამაღამ კი მაგრად შეუკარით ხელ-ფესი.

— დაე, აგრე იყოს, — თქვა სვეინმა, — მაგრამ უფრო მამაც ვაჟკაცებს ჯერაც არ შევხვედრიეარ. დასანანია მათი დახოცვა.

იარლმა თქვა:

— მე მაგათ ორი უმამაცესი კაცი მომიკლეს და ამიტომ უნდა დაიხოცონ.

— მაშ უფრო მეტი პატივის ღირსნი ყოფილან, — თქვა სვეინმა, — მაგრამ, დაე, შენებურად იყოს.

მაშინ მათ ხელ-ფეხი შეუკრეს და ბორკილები დაადეს. ამის შემდეგ იარლი დაწვა. როდესაც მან დაიძინა, გრიმმა პელგის უთხრა:

— ნეტავი ერთი აქედან გამიყვანა.

— იქნება რამე ხრიკი მოვიგონოთ, — თქვა პელგიმ.

მაშინ გრიმმა დაინახა, რომ შორიახლოს ნაჯახი ეგდო, რომელსაც პირი ზემოთ ჰქონდა მოქცეული. გრიმი მასთან მიხოხდა და გადაიჭრა მშვილდის ლარი, რომლითაც ხელები ჰქონდა გაკრული,

მაგრამ სელიც გაიჭრა. ამის შემდეგ მან პელგი გაათავისუფლა. მერე ხომალდის ძგიდეზე გადაძვრნენ და ნაპირსაც მიაღწიეს ისე, რომ არც იარლსა და არც მის სალსს არაფერი შეუტყვიათ. პელგიმ და გრიმმა ბორკილები მოიცილეს და კუნძულის მეორე მხარეს მიაშურეს. ამასობაში გათენებაც იწყო. აქ მათ ხომალდი დაინახეს და მისვდნენ, რომ იგი კარი სალმუნდის ძეს ეკუთვნოდა. მივიდნენ მასთან და უამბეს, რა დავიდარაბაც გადახდათ და თავიანთი ჭრილობები უჩვენეს, თან დაუმატეს, იარლს ალბათ ჯერ კიდევ სძინავსო. კარიმ თქვა:

— ცუდია, რომ ამდენი ამბავი გადაგხდენიათ ბოროტი სალსის წყალობით. ასლა რაღას აპირებთ?

— მივალთ იარლთან და მოვკლავთ, — მიუგეს მათ.

— მაგას ვერ იზამთ, — თქვა კარიმ, — როგორც არ უნდა ეცადოთ, მაგრამ მაინც უნდა გავიგოთ, ასლა სად არის იგი.

მათ იმ ადგილისკენ გაცურეს, მაგრამ იარლი იქ აღარ იყო. მაშინ კარი პლადირში გაემართა იარლთან და სარკი გადასცა. იარლმა ჰკითხა:

— შენ შეიფარე ნიალის ვაჟები?

— რასაკვირველია, — მიუგო კარიმ.

— გადმომცემ მათ თუ არა?

— არა, მაგას არ ვიზამ, — თქვა კარიმ.

— შეგიძლია დაიფიცო, რომ მათთან ერთად თავდასხმას არ მიპირებდი? — ჰკითხა იარლმა.

მაშინ იარლის ძემ, ეირიკმა უთხრა:

— არ არის მართებული მაგ შეკითხვის მიცემა: კარი ხომ ყოველთვის ჩვენი მეგობარი იყო. არაფერი მოხდებოდა, მე რომ თქვენთან ერთად ვყოფილიყავ. ნიალის ვაჟებს ვერაფერს შებედავდნენ და ვინც ღირსი იყო, ის დაისჯებოდა. ახლა კი, ჩემი აზრით, ის უფრო გვმართებს, რომ ნიალის ვაჟებს მდიდრული საჩუქრები მივართვათ, რაკი ამდენ გასაჭირსა და საფრთხეს გაუძლეს და დაიჭრნენ კიდეც.

იარლმა თქვა:

— მართალს ამბობ, მაგრამ არ ვიცი ისურვებენ კია შერიგებას?

იარლმა კარის დაავალა, შეეტყო, სურდათ თუ არა ნიალის ძეთ შერიგება. კარიმ პელგის პკითხა, მიიღებდა თუ არა საზღაურს იარლისაგან.

პელგიმ მიუგო:

— მე მაგას მივიღებ მხოლოდ მისი შვილის, ეირიკისაგან, იარლთან კი საქმეს არ დავიჭერ.

კარიმ ეირიკს მათი პასუხი გადასცა.

— აგრე იყოს, — თქვა ეირიკმა, — ჩემგან მიიღებს საზღაურს, რაკი აგრე ამჯობინებს, და გადაეცი, რომ მათ ჩემთან ვეპატიჟები და მამაჩემი არაფერს არ დაუშავებთ.

მათ მიიღეს მიწვევა, გაემგზავრნენ ეირიკთან და იქამდე დარჩნენ მასთან, ვიდრე კარი დასავლეთისკენ წასასვლელად არ გაემზადა. მაშინ კარიმ ეირიკის პატივსაცემად ლხინი გამართა და საჩუქრები მიართვა მას და ნიალის ვაჟებსაც.

ამის შემდეგ კარი დასავლეთისკენ გაემართა, ზღვა გადალახა და სიგურდ იარლს ეასლა. იარლი მათ კარგად შესვდა და მთელი ზამთარი მასთან გაატარეს.

გაზაფხულზე კარიმ ნიალის ვაჟებს სთხოვა, სალაშქროდ წაპყოლოდნენ. გრიმი დათანხმდა იმ პირობით, თუ შემდეგ კარი ისლანდიაში წაპყვებოდა. კარი დაჰყაბულდა. მაშინ ისინი სალაშქროდ გაემართნენ. მათ მოვლეს სამხრეთი ანგულსეის კუნძულთან და შეესივნენ პებრიდის ყველა კუნძულს. შემდეგ სალტირის ნახევარკუნძულს მიმართეს, ხმელეთზე გადავიდნენ, ადგილობრივი მცხოვრებლები დაარბიეს და დიდძალი ნადავლით დაბრუნდნენ ხომალდებზე. იქიდან სამხრეთისკენ დაეშვნენ და ბრიტანელთა ქვეყანა დალაშქრეს. შემდეგ კუნძულ მენთან მიცურდნენ, აქაურ კონუნგ გუდრედს შესვდნენ და ბრძოლა გაუმართეს, სძლიეს მას, მოკლეს დუნგალი, მისი შვილი, და დიდძალი ნადავლი იგდეს ხელთ. იქიდან ჩრდილოეთისკენ გასწიეს, კოლის კუნძულზე გილი იარლს შესვდნენ, რომელმაც ისინი კარგად მიიღო და რამდენიმე ხანს დარჩნენ მასთან. იარლი მათ ორკნეის კუნძულებზე გაპყვა სიგურდ იარლის სანახავად. გაზაფხულზე კი სიგურდ იარლმა გილის თავისი და ნერეიდი მიათხოვა. ამის შემდეგ გილი იარლი პებრიდის კუნძულებზე დაბრუნდა.

90

იმ ზაფხულს კარი და ნიალის ვაჟები ისლანდიაში გასამგზავრებლად გაემზადნენ. მზადებას რომ მორჩნენ, იარლს ეახლნენ. იარლმა მათ კარგი საჩუქრები მიუძღვნა და ერთმანეთს კეთილ მეგობრებად დასცილდნენ. და აგერ, ზღვაშიც გავიდნენ. ზურგქარმა დაუბერა და ზღვაზე დიდხანს არ დაუყვიათ, მალე ჩავიდნენ ეირარში. აქ ცხენები იშოვეს და ხომალდებიდან პირდაპირ ბერგთორსპვალისკენ გაეშურნენ. შინ რომ მივიდნენ, ყველა სიხარულით შეეგება. ნადავლი სახლში გადაზიდეს და ხომალდი ნაპირზე ააგორეს გორგოლაჭებით საზამთროდ. ის ზამთარი კარიმ ნიალთან გაატარა. გაზაფხულზე კი კარიმ ნიალის ასულს, პელგას სელი სთხოვა და გრიმმა და პელგიმაც მსარი დაუჭირეს კარის. საქმე იმით გათავდა რომ პელგა კარიზე დაინიშნა და ქორწილის დროც დათქვეს. შუა ზაფხულამდე ორი კვირით ადრე იქორწინეს კიდეც. ის წელიწადი კარიმ თავის ცოლთან ერთად ნიალთან გაატარა. შემდეგ კარიმ მიწა იყიდა დიურპოლმში, მიუდალის ველის აღმოსავლეთ ნაწილში და კარ-მიდამო გაიშენა. მამულს მეთვალყურე მიუჩინეს და თვითონ კი სულ ნიალთან იყვნენ.

91

პრაპს კარ-მიდამო ჰქონდა პრაპსტადირში, მაგრამ მთელ დროს გრიოტში ატარებდა და ამბობენ, მთლად აურ-დაურიაო იქაურობა. თუმცა თრაინი კარგად ეპყრობოდა.

ერთხელ, როცა კეთილ მარკელი ბერგთორსპვალში იმყოფებოდა, ნიალის ვაჟებმა უთხრეს, რა დავიდარაბასაც ვადაეყარნენ თრაინის მიზეზით და რომ მისგან ბევრის მოთხოვნაც შეეძლოთ ამის გამო. ნიალმა თქვა, უმჯობესი იქნება, თუ კეთილი ამას გადასცემს თავის ძმას თრაინსო. ისიც დაპირდა. კეთილს ვადა მისცეს თრაინთან მოსალაპარაკებლად.

რამდენიმე ხნის შემდეგ მათ ჰკითხეს კეთილს, როგორ იყო საქმე და კეთილმა უთხრა, ვერ გადმოგცემთო თრაინის სიტყვებს.

— მაგრამ, ეტყობა, ისე მიაჩნია, რომ მე ძალზე დიდად ვაფასებ თქვენთან მოყვრობას, — თქვა მან.

ამით ლაპარაკი მოათავეს, რაკი დაინახეს, რომ საქმე მათ საწი-

ნააღმდეგოდ შეტრიალდა და მამას დაეკითხნენ, როგორ მოქცეულიყვნენ, თან ისიც დაუმატეს, ამ საქმეს ასე არ დავტოვებთო. ნიალმა მიუგო:

— ეგ არც თუ ისე იოლი საქმეა. თქვენ რომ ახლა ისინი დახოცოთ, ყველა იფიქრებს, უდანაშაულო სალსი შეიწირესო. მე გირჩევთ, ისე გააკეთოთ, რომ რაც შეიძლება მეტი სალსი ალაპარაკოთ ამ საქმეზე მათთან, რათა რაც შეიძლება ბევრმა ხალხმა მოისმინოს მათი ურიგო ლაპარაკი თქვენზე. მერე მოწმეებად გამოგვადგებიან. მათთან კარი დავალაპარაკოთ, რადგან დინჯი და ჭკუადამჯდარი კაცია. თქვენს შორის შუღლი გაღვივდება, რადგან თქვენი მტრები სხვებთან თქვენს ლანძღვას მოპყვებიან; ეტყობა ჭკუა მაგრად პკლებიათ. შეიძლება ისიც კი თქვან, რომ ჩემი შვილები აჭიანურებენ დავის წამოწყებას, მაგრამ ცოტა ხანს მაგასაც უნდა შეეგუოთ, რადგან ყველაფერს შეიძლება სხვადასხვა მხრიდან მივუდგეთ. თქვენ კი ყოველთვის შეგეძლებათ დავის ატესვა, თუ შეურაცხყოფას მოგაყენებენ. ისე კი, თავიდანვე რომ ჩემთვის გეკითხათ, ახლა სმას ვერავინ ვერ ამოიღებდა და არც თქვენ მოგეცხებოდათ ლაქა. ახლა კი, რაც დრო გავა, მით უფრო მეტი დავიდარაბისა და დამცირების გადატანა მოგიწევთ და ვერც სირცხვილს ჩამოირეცხთ, თუ იარაღს არ მოპკიდეთ ხელი. დიდსანს იქნებით მაგ გაწამაწიაში, ვიდრე სამშვიდობოზე გახვალთ.

ამით მოათავეს ლაპარაკი. მაგრამ ეს ამბავი ბევრს ენაზე ეკერა. ერთხელ ძმებმა კარის გრიოტში წასვლა სთხოვეს. კარიმ მიუგო, იქითკენ გული მაინცდამაინც არ მიმიწევს, მაგრამ ნიალის სათრით მაინც წავალო. ამის შემდეგ კარი თრაინთან გაემგზავრა. ილაპარაკეს საქმეზე, მაგრამ ორივე თავისას გაიძახოდა. კარი შინ დაბრუნდა. ნიალის ვაჟებმა პკითხეს, როგორ არისო საქმე.

— იქნება ისე მოსდეს, რომ თქვენ თვითონ მოისმინოთ მისი ნათქვამი, — თქვა მან.

თრაინს თავის კარ-მიდამოში თხუთმეტი კაცი ეყენა, რომლებსაც ბრძოლა შეეძლოთ და რვა მათგანი ყოველთვის თან ახლდა, სადაც არ უნდა წასულიყო. თრაინი ფუფუნების მოყვარული კაცი იყო და ყველგან ლურჯი წამოსასხამითა და მოოქრული მუზარადით დადიოდა. ხელში იარლის ნაჩუქარი შუბი ეჭირა, ლამაზი ფარითა და მახვილით იყო აღჭურვილი. მასთან ერთად ყოველთვის

მგზავრობდნენ გუნარ ლამბის ძე, ლამბი სიგურდის ძე და გრანი გუნარ პლიდარენდელის ძე. პრაპი კაცისმკვლელიც მუდამ თან დაპყავდა. თრაინის ერთ მოსამსასურეს ლოდინი ერქვა და ისიც სულ თან დასდევდა. ლოდინის ძმას ტიარვი ერქვა და ისიც დღენიადაგ თან ახლდა თრაინს. ყველაზე მეტად ნიალის ვაუების ძვირს პრაპი კაცისმკვლელი და გრანი ლაპარაკობდნენ და სწორედ მათი ბრალი იყო, რომ ნიალის ვაუებისთვის არ შეუთავაზებიათ შერიგება.

ნიალის ვაუებს სშირად შეუსსენებიათ კარისთვის, თრაინთან წაგვყევიო, და ბოლოს კარიმ თქვა, კარგი იქნება, თუ თრაინის პასუხს გავიგებთო. მაშინ აიყარა ნიალის ოთხიეე ვაუი, მესუთე კარი იყო, და გრიოტისკენ გაუტიეს. სახლს ფართო წინკარი ჰქონდა, სადაც ბლომად ხალხს შეეძლო თავმოყრა. წინკარში ვიღაც დედაკაცი იდგა და მომავალი ნიალის ვაუები რომ დაინახა, თრაინს შეატყობინა. თრაინმა თავის სალხს უბრძანა, იარაღი აესხათ და გარეთ გამოსულიყვნენ. ასეც მოიქცნენ. თრაინი ზღურბლის შუაგულზე იდგა, აქეთ-იქიდან შემოსდგომოდნენ პრაპი კაცისმკვლელი და გრანი გუნარის ძე, შემდეგ გუნარ ლამბის ძე, მერე ლოდინი და ტიარვი, შემდეგ ლამბი სიგურდის ძე, შემდეგ დანარჩენნი, რადგან ყველა მოსამსასურე შინ იყო. სკარპედინი და მისი თანამგზავრები სახლთან ავიდნენ. წინ სკარპედინი მიდიოდა, უკან კარი მიპყვებოდა, მერე ჰასკულდი, გრიმი, ბოლოს — ჰელგი. სახლს რომ მიუახლოვდნენ, წინ მდგომს არავის უთქვამს სალამი. სკარპედინმა თქვა:

— ეტყობა, სასურველი სტუმრები ვართ.

პალგერდი წინკარში იდგა და სმადაბლა ესაუბრებოდა პრაპს. მან თქვა:

— არა მგონია, აქ მყოფთაგანს ვისმე თქვენი ნახვა გახარებოდეს.

სკარპედინმა თქვა:

— შენ არავინ არაფერს გეკითხება, რადგან ერთი ავი და მრუში დედაკაცი ხარ.

— ძვირად დაგიჯდება ეგ სიტყვები, ვიდრე აქედან გააწევ, — უთხრა პალგერდმა.

ჰელგიმ თქვა:

— მე შენს სანასავად მოვედი, თრაინ. გადამისდი თუ არა რამეს

იმ დავიდარაბისთვის, რასაც შენი მიზეზით გადავეყარე ნორვეგიაში?

თრაინმა მიუგო:

— არ მეგონა, თუ ძმები ფულზე გაცვლიდით თქვენს ვაჟკაცობას. კიდევ დიდსანს ეცდებით რამის დაცინცვლას?

— ბევრი ამბობს, — თქვა პელგიმ, — რომ საზღაური შენ უნდა შემოგეძლია, რაკი საქმე შენს სიცოცხლეს ესებოდა.

მაშინ პრაპმა თქვა:

— ბედმა ინება და თქვენ ხათაბალას გადაგკიდათ. ალბათ ღირსნიც იყავით. ჩვენ კი მშვიდობიანად დავაღწიეთ თავი.

— დიდი ვერაფერი ბედნაა, — უთხრა პელგიმ, — კაცმა იარლს უმუსთლოს და სანაცვლოდ შენი თავი მიიღოს.

— იქნება გინდა მე მომთხოვო საზღაური? — ჰკითხა პრაპმა, — სწორედ ისე მოგართმევ, როგორც მე მიმაჩნია საჭიროდ.

— თუ საქმე ისე მოეწყო, რომ მე და შენ შევხვდით ერთმანეთს სადმე, — მიუგო პელგიმ, — კარგ დღეს დაგაყრი.

სკარპედინმა თქვა:

— თავს ნუ გაუყადრებ პრაპს. უმჯობესია, ტყავი გავაძროთ და წითლად შევუღებოთ.

პრაპმა თქვა:

— სმა გაიკმინდე, სკარპედინ, თორემ ამ ჩემი ნაჯასით თავს შუაზე გაგიპობ.

— მაგასაც ვნახავთ, — უთხრა სკარპედინმა, — ვინ ვის ჩაქოლავს.

— წაეთრიეთ აქედან, ნესვიწვერაებო, — უთხრა ჰალგერდმა, — ამას იქით ასე დაგიძახებთ. მამათქვენს კი ქოსას შევარქმევთ.

მათ იქამდე არ მოუცლიათ ფეხი, ვიდრე ყველა იქ მყოფმა არ წარმოთქვა ეს შეურაცხმყოფელი სიტყვები, გარდა თრაინისა, რომელიც ყველას გაჩუმებას ცდილობდა.

ამის შემდეგ ნიალის ვაჟები მოტრიალდნენ და სასლისკენ წამოვიდნენ. შინდაბრუნებულებმა ყველაფერი უამბეს თავიანთ მამას.

— დაიმოწმეთ ვინმე მაგ სიტყვებზე? — ჰკითხა ნიალმა.

— არა, — მიუგო სკარპედინმა, — ჩვენ ამ საქმეში იარაღის გარდა აღარაფერს მოვიშველიებთ.

— ასლა აღარავინ დაიჯერებს, — თქვა ბერგთორამ, — რომ თქვენ გული გერჩით ბრძოლისათვის.

— ნუღარ აგულიანებ, ქალბატონო, — თქვა კარიმ, — მაგ შენს შვილებს, ისედაც ატესილები არიან.

ამის შემდეგ მამა-შვილნი და კარი დიდხანს საუბრობდნენ სმადაბლა.

92

ამ დავაზე ბევრი მითქმა-მოთქმა შეიქნა. ყველა ამბობდა, საქმე ამით არ გათავდებაო.

რუნოლვი, აღმოსავლეთ ველელი ულვ აურგოდის ძე, კარგი მეგობარი იყო თრაინისა და სტუმრად დაპატიჟა იგი. მათ დათქვეს, რომ თრაინი აღმოსავლეთში ზამთრის დამდეგიდან სამი კვირის ან ერთი თვის შემდეგ გაემგზავრებოდა. თრაინმა სთხოვა პრაპ კაცისმკვლელსა და გრანი გუნარის ძეს, გუნარ ლამბის ძეს, ლამბი სიგურდის ძეს, ლოდინსა და ტიარვს, თან გაპყოლოდნენ. სულ რვანი იყვნენ. მათ თან უნდა ხლებოდნენ აგრეთვე თორგერდი და პალგერდი. თრაინმა განაცხადა, რომ განზრახული პქონდა მარკში შეევლო თავის ძმასთან, კეთილთან, და ისიც თქვა, რამდენ ღამეს არ იქნებოდა სასლში. ისინი გზას გაუდგნენ და ყველა თავით ფეხამდე იყო შეიარაღებული. მარკარფლიოტის აღმოსავლეთ ნაპირზე რომ გადავიდნენ, სამი მაწანწალა დედაკაცი შემოსვდათ, რომლებმაც სთხოვეს, დასავლეთ ნაპირზე გადაეყვანათ ისინი ცხენებით. ასეც მოიქცნენ.

ამის შემდეგ ისინი აღმოსავლეთ ველისკენ გაემართნენ, სადაც მათ კარგად შესვდნენ. კეთილ მარკელი აქვე იყო და სამი ღამე იქ გაათიეს. რუნოლვი და კეთილი სთხოვდნენ თრაინს, შერიგებოდა ნიალის ვაჟებს, მაგრამ თრაინმა გაჯავრებით თქვა, არაფერსაც არ გადავიხდი და ნიალის ვაჟები ვერსად მომასელთებენ მოუმზადებელს. სადაც არ უნდა გადამაწყდნენო.

— შეიძლება აგრეც იყოს, — თქვა რუნოლვმა, — მაგრამ, როგორც მე მგონია, გუნარ ჰლიდარენდელის მოკვლის შემდეგ მათი ბადალი აღარავინ არის და ვინ იცის, თქვენ ყველამ იქნებ სათითაოდ თავს დაიტესოთ უბედურება.

თრაინმა თქვა, ეგ მე ვერ შემაშინებსო. ამის შემდეგ ის მარკისკენ გაემართა და ორი ღამე დაპყო იქ. მერე აღმოსაელეთ ველისკენ გაეშურა. ორივე ოჯახში გულუსვად დაასაჩუქრეს.

იმ სანებში მარკარფლიოტი მთლიანად არ იყო დაფარული ყინულით, რომელიც ნაპირებს მოსდებოდა და შუა მდინარეზეც აქაიქ გახიდულიყო.

თრაინმა იმ საღამოს შინ დაბრუნება დააპირა. რუნოლვმა სთხოვა, ნუ წასვალო, და გააფრთხილა, რახან ყველამ იცის, იმ ღღეს უკან ნუ დაბრუნდებიო. თრაინმა მიუგო:

— ეგ სილაჩრეა და არც ვიკისრებ მაგას.

მაწანწალა ლედაკაცები მდინარეზე რომ გადავიდნენ, ბერგთორსპვალში მივიდნენ და ბერგთორამ ჰკითხა, საიდან მოსვალთო. იმათაც უთხრეს, რომ აღმოსავლეთიდან, ეიაფიალის მთისძირიდან მოდიოდნენ.

— ვინ გადმოგიყვანათ მარკარფლიოტზე? — ჰკითხა ბერგთორამ.

— ბაქია და ყოყოჩა კაცებმა, — თქვეს მათ.

— ვინ იყვნენ? — ჰკითხა ბერგთორამ.

— თრაინ სიგფუსის ძე, — მიუგეს მათ, — და მისი დამქაშები. ჩვენ ის არ მოგვეწონა, რომ აუგად იხსენიებდნენ შენს ქმარ-შვილს.

ბერგთორამ თქვა:

— ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო.

ბერგთორამ ისინი დაასაჩუქრა და ჰკითხა, თრაინი როდის დაბრუნდებაო. ლედაკაცებმა უთხრეს, ოთხი თუ ხუთი ღღით არის წასული სასლიდანო. ამის შემდეგ ისინი თავის გზას გაუყვნენ. ბერგთორამ ეს ამბავი თავის შვილებსა და სიძეს, კარის უთხრა, და ისინი ლიდხანს ჩუმად თათბირობდნენ.

სწორედ იმ ღილას, როდესაც თრაინი აღმოსავლეთიდან გამოემართა, ნიალს ადრე გამოელვიძა და გაიგონა, როგორ გაიუღრიალა სკარპპედინის ნაჯასმა კედელზე. ნიალი ადგა და გარეთ გამოვიდა. ხედავს, მის ვაუებს იარაღი აუსსამთ და კარი, მისი სიძეც, შეიარაღებულა. წინ სკარპპედინი მიუძღოდათ, ცისფერი კურტაკი ემოსა, ხელში პატარა მრგვალი ფარი ეჭირა და მხარზე ნაჯასი გაედო. უკან კარი მიპყვებოდა. ტანთ აბრეშუმის სამოსელი ეცვა, თავზე მოოქრული მუსარადი ეხურა, ხელთ ფარი ეპყრა, რომელზედაც ლომი იყო გამოსახული. მას ჰელგი მისდევდა. ბოკლესასელოებია-

ნი გრძელი წითელი ფერის ჯუბა ეცვა, თავზე მუზარადი ესურა, სელთ წითელი ფარი პქონდა ზედგამოსახული ირმით. სულ სსვადასსვაფრად იყვნენ გამოწყობილნი. ნიალმა სკარპედინს დაუძახა:

— საით გაგიწევია, შვილო?

— ცხვრების საძებრად, — მიუგო მან.

— შენ ერთსელაც ეგრე მითსარი, — თქვა ნიალმა, — და ხალსზე კი ინადირეთ.

სკარპედინმა გაიცინა და თქვა:

— გესმით, რას ამბობს ე ბერიკაცი? კი არ გვიჯერებს და.

— განა როდის გითქვამს ეგ ადრე? — პკითსა კარიმ.

— მაშინ, სიგმუნდ თეთრი რომ მოვკალი, გუნარის ნათესავი, — მიუგო სკარპედინმა.

— მერე და რისთვის? — პკითხა კარიმ.

— მან ჩემი აღმზრდელი, თორდ აზატის ძე მოკლა, — მიუგო სკარპედინმა.

ნიალი შინ შებრუნდა, ისინი კი რაუღარსკრიდურის მთისკენ წავიდნენ და იქ დაიწყეს ლოდინი. აქედან შეეძლოთ დაენასათ აღმოსავლეთ ველის მსრიდან მომავალნი. მზე ანათებდა და მშვენიერი დარი იდგა.

აგერ, თრაინი თავისი ხალხით ქვეშიან ნაპირს მოპყვება აღმოსავლეთ ველის მსრიდან. ლამბი სიგურდის ძე ამბობს:

— რაუდასკრიდურთან მზეზე ფარები ელავენ. ალბათ სალხია ჩასაფრებული.

— გავბრუნდეთ და მდინარეს მივდიოთ, — ამბობს თრაინი, — მაშინ ისინიც აქეთ გამოაშურებენ, თუ საქმე აქვთ ჩვენთან.

და მდინარეს დაუყენენ. სკარპედინმა თქვა:

— დაგვინახეს, რაკი გზიდან გადაუსვიეს. ასლა ისღა დაგვრჩენია, ქვეეით დავეშვათ და გზა გადავუჭრათ.

კარიმ თქვა:

— ბევრი როდი გაბედავს ჩვენსავით ჩასაფრებას ასეთ დროს: ისინი რვანი არიან, ჩვენ კი სუთნი.

მდინარისკენ გაიქცნენ და ქვეეით ყინულის ხიდი დაინახეს. ზედ გადასვლა დააპირეს. თრაინი თავისი სალხით ამ ხიდის წინ გაჩერდა და თქვა:

— ნეტავ ამ სალხს რაღა უნდა? სულ სუთნი არიან, ჩვენ კი რვანი ვართ.

ლამბი სიგურდის ძემ თქვა:

— მე მგონი, ეგენი მაშინაც კი გაბედავდნენ თავდასხმას, უფრო მეტნიც რომ ვყოფილიყავით.

თრაინმა მოსასსამი გადაიძრო და მუზარადი მოისადა.

მდინარისკენ რომ გარბოდნენ, სკარპედინს სამლზე თასმა გაუწყდა და შეჩერდა.

— რაღას უყურებ, სკარპედინ? — პკითხა გრიმმა.

— ფეხზე თასმა გამიწყდა და ვიკრავ, — მიუგო მან.

— გავიქცეთ, — თქვა კარიმ, — ეგ ჩვენ არ ჩამოგვრჩება.

ისინი სწრაფად დაეშვნენ თავქვე ყინულის ხიდისკენ. სკარპედინი მაშინვე წამოხტა, როგორც კი თასმა შეიკრა, და ნაჯახი მოიმარჯვა. იგი პირდაპირ მდინარისკენ გაიქცა, მაგრამ წყალი ისე ღრმა იყო, რომ ფონს გასვლა არსად შეიძლებოდა. მეორე ნაპირთან წყლის დინებას ყინულის ვეება სქელი ნაჭერი მიეგდო, რომელიც სარკესავით იყო მოლაპლაპებული და თრაინი თავისი ხალსით ზედ იდგა. სკარპედინმა ისკუპა, პაერში ნახტომი გააკეთა, წყალს გადაასტა და ყინულზე სრიალით დაქანდა. ყინული ისე იყო მოკრიალებული, რომ იგი ფრინველივით მიქროდა. თრაინი სწორედ მუზარადის დასურვას აპირებდა, მაგრამ სკარპედინმა მიუსწრო, გვერდით ჩაუქროლა, ნაჯახი დაპკრა და თავი ყბებამდე გაუპო ისე, რომ კბილები ყინულზე დააყრევინა. ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ ვერავინ შეძლო სელის განძრევა, და სკარპედინი არ შეჩერებულა. ტიარვიმ ფეხებში ფარი შეუგდო, მაგრამ სკარპედინი ზეღ გადაევლო, თავი შეიმაგრა და სრიალით მიიჭრა ნაპირთან.

აქ მას კარი და დანარჩენები შემოეგებნენ.

— სწორედ რომ ვაუკაცური საქციელი იყო, — თქვა კარიმ.

— ახლა თქვენ იცით, — უთხრა სკარპედინმა.

მაშინ ისინი მოწინააღმდეგეებს მისცვივდნენ. გრიმმა და პელგიმ პრაპს მოასელეს და ერთბაშად დაესხნენ თავს. ჰრაპმა გრიმს ნაჯახი მოუქნია, მაგრამ პელგიმ დაინასა, სელზე დაპკრა, მოპკვეთა და ნაჯახი ძირს დააგდებინა. ჰრაპმა თქვა:

— ეგ კი კარგი საქმე გააკეთე, რადგან მაგ სელს ბევრისთვის სიცოცხლეც გაუმწარებია და მზეც დაუბნელებია.

— ასლა კი დაგიდგა აღსასრული, — უთხრა გრიმმა და შუბი აძ-
:გერა. ჰრაპი იქვე დაეცა მკვდარი.

ტიარვიმ კარის შეუტია და შუბი სტყორცნა. კარი მაღლა ასტა
·და შუბმა ფეხებქვეშ გაუქროლა. ასლა კარი ეცა, მკერდში მახვილი
გაუყარა და ტიარვი წამსვე მ.ოკვდა. სკარპპედინი წასწვდა გუნარ
·ლამბის ძესა და გრანი გუნარის ძეს და თქვა:

— ეს ორი ლეკვი დავიჭირე და რა ვუყო?

— რაც გინდა უყავი, — უთხრა პელგიმ, — თუ გინდა, ორივე და-
ხოცე.

— არ მინდა, — მიუგო სკარპპედინმა, — თან პოგნის ვესმარებო-
·დე და თან ძმას ვუკლავდე.

— ერთხელაც იქნება, — ამბობს პელგი, — ინანებ, რომ არ მოკა-
ლი, რადგან ეგ არასოდეს იქნება ჩვენსავით ერთგული.

სკარპპედინმა თქვა:

— ეგენი მე ვერ შემაშინებენ.

ასე შეიბრალეს გრანი გუნარის ძე და გუნარ ლამბის ძე, ლამ-
ბი სიგურდის ძე და ლოდინი.

ამის შემდეგ ისინი შინისკენ გაემართნენ და ნიალმა ამბავი გა-
მოპკითხა. ყველაფერი დაწვრილებით უამბეს. ნიალმა თქვა:

— ეგ დიდი ამბავია და ისე ვატყობ, სიცოცხლის ფასადაც და-
უჯდება რომელიმე ჩემს შვილს, თუ ყველას არა.

გუნარ ლამბის ძე შინ დაბრუნდა, თრაინის გვამი გრიოტში ვა-
·დაიტანა, სადაც იგი ბექობში დამარხეს.

93

კეთილ მარკელს ცოლად პყავდა თორგერდი, ნიალის ასული.
·თან თრაინის ძმა იყო. იგი ორცეცხლშუა აღმოჩნდა, ნიალთან გაე-
შურა და პკითხა, აპირებდა თუ არა რაიმე საზღაურის გაღებას
თრაინის მოკვლისათვის. ნიალმა მიუგო:

— მე ისე გადავისდი, რომ ყველა კმაყოფილი დარჩებით, მაგრამ
·მინდა შენს ძმებს მოელაპარაკო და დაიყოლიო, მიიღონ საზღაური,
რაც ერგებათ, და ამაზე მოვრიგდეთ.

კეთილმა თქვა, სიამოვნებით დაგთანხმდებითო. და მაშინვე ში-
ნისკენ გაეშურა. მალე მან თავის ძმებს პლიდარენდში მოუსმო უკ-

ლებლივ ყველას და საუბარი გაუბა. პოგნიც მათთან იყო და ისიც მორიგებას ურჩევდა. ბოლოს ისე მოხდა, რომ მომრიგებლებიც აირჩიეს. შემდეგ ადგილიც დანიშნეს შესახვედრად. თრაინის მოკვლის საზღაური ჩაიბარეს და ერთმანეთში გაინაწილეს წესისამებრ. ბოლოს მშვიდობაც ითქვა და ერთმანეთსაც შეეფიცეს. ნიალმა უსვად გაიღო საზღაური. ამის შემდეგ ერთსანს სიწყნარე სუფევდა.

ერთსელ ნიალი მარკში გაემგზავრა, კეთილს შესვდა და მთელი დღე საუბარში გაატარეს. საღამოს ნიალი შინ დაბრუნდა და კაცმა არ იცოდა, რაზე პქონდა ლაპარაკი. კეთილი გრიოტს გაემგზავრა. მან თორგერდს უთხრა:

— მე ყოველთვის მიყვარდა ჩემი ძმა თრაინი და ახლა გადავწყვიტე დავამტკიცო ეს იმით, რომ აღსაზრდელად ავიყვანოთ ჰასკულდი, მისი შვილი.

— თანასმა ვარ, — მიუგო თორგერდმა, — ყველაფერი უნდა გაუკეთო, რაც შეგიძლია, და როცა გაიზრდება, შურიც უნდა იძიო მისთვის, თუ იგი იარაღით მოკლეს. საქორწინო ფულიც უნდ› მისცე, როცა ქალს შეირთავს. ეს ყოველივე ფიცით უნდა დაადასტურო.

კეთილი ყველაფერზე დაეთანხმა. ამრიგად, ჰასკულდი კეთილთან გადავიდა და რამდენიმე ხანს იქ ცხოვრობდა.

94

ერთსელ ნიალი მარკში გაემგზავრა, სადაც მას კარგად შეხვდნენ. ღამეც იქ გაათია. საღამო ხანს ნიალმა ყრმა ჰასკულდს დაუძახა და ისიც მაშინვე მოვიდა მასთან. ნიალს ხელზე ოქროს ბეჭედი ეკეთა და ყმაწვილს უჩვენა. იმანაც აიღო ბეჭედი, დააცქერდა და თითზე წამოიცვა. ნიალმა უთხრა:

— გინდა, გაჩუქო ეგ ბეჭედი?

— მინდა, — მიუგო ყმაწვილმა.

— იცი თუ არა, — ეკითხება ნიალი, — როგორ მოკვდა მამაშენი?

ყმაწვილმა მიუგო:

— ვიცი, რომ სკარპედინმა მოკლა, მაგრამ რაღად გვინდა ამის

გასსენება, როცა მშვიდობაა ჩამოვარდნილი და საზღაურიც მთლიანად ვადასდილი.

— შენი პასუსი, — უთსრა ნიალმა, — ჩემს შეკითხვაზე უკეთესი იყო, და შენც კარგი ადამიანი დადგები.

— მახარია, რომ მაგას მიწინასწარმეტყველებ, — უთხრა ყმაწვილმა, — რადგან ვიცი, ნათელმსილველი ხარ და ტყუილს არასოდეს იტყვი.

ნიალი ეუბნება:

— მინდა აღსაზრდელად აგიყვანო, თუ არაფერი გაქვს საწინააღმდეგო.

პასკულდმა მიუგო, ყველაფერზე თანახმა ვიქნები, რასაც კი სასიკეთო რამეს შემომთავაზებო. ბოლოს ისე მოხდა, რომ პასკულდი ნიალს წაპყვა სახლში და მასთან იზრდებოდა. ნიალი თავს ევლებოდა და ძალიან უყვარდა იგი. ნიალის ვაჟებს ყველგან თან დაპყავდათ ბიჭუნა და ცდილობდნენ ყველაფერი გაეკეთებინათ მისთვის.

გავიდა სანი და პასკულდი წამოიზარდა. იგი ტანადი და ძლიერი, ლამაზი ჭაბუკი დადგა. მშვენიერი თმა პქონდა. ყველასთან თავაზიანი, გულუხვი, თავდაჭერილი და იარაღის ხმარებაშიც შესანიშნავად იყო გაწვრთნილი; ყველაზე მხოლოდ კარგს ლაპარაკობდა და ყველას უყვარდა. ნიალის ვაჟები და პასკულდი ერთმანეთს გვერდიდან არ შორდებოდნენ.

95

ერთ კაცს ფლოსი ერქვა. მისი მამა იყო თორდ ფრეისგოდი, პაპა კი აცური, შვილი ასბიარნისა, შვილიშვილი ჰეიანგრელი ბიარნისა, შვილიშვილის შვილი პელგისა, შვილიშვილის შვილიშვილი ბიარნ ხარისფესასი. ფლოსის დედას ერქვა ინგუნი, იგი იყო ასული ესპიპოლელი თორირისა, შვილიშვილი პამუნდ მოუსავლეთის ტყავისა, შვილიშვილის შვილი პიარისა, შვილიშვილის შვილიშვილი პალვისა, რომელიც პალველ რაინდებს წინამძღვრობდა, შვილიშვილის შვილიშვილის შვილი პიარლეივ მექალთანესი. თორირის დედა იყო ინგუნი, ასული პელგი მჭლესი, რომელმაც ეიაფიორდში დაიკავა მიწა. ფლოსის ცოლად პყავდა სტეინვარი, ასული

სიდელი პალისა. იგი ქორწინების გარეშე დაიბადა. მისი დედა პერიოლვ თეთრის ასული სოლვარი იყო.

ფლოსი სვინაფელში ცხოვრობდა და დიდ პავდინგად ითვლებოდა. იგი ასოვანი, ბრგე და მძლავრი, თავმოყვარე კაცი იყო. მის ძმას სტარკადი ერქვა. ისინი ნასევარძმები იყვნენ, ერთი მამის შვილები. სტარკადის დედას თრასლაუგი ერქვა, მისი მამა იყო თორსტეინ სირი, ძე გეირლეივისა, დედა კი — უნი, ასული ეივინდ ქორწილასი, პირველი ასალმოსასლესი, და მოდოლვ ბრძენისა. ფლოსის პყავდა კიდევ ძმები თორგეირი და სტეინი, კოლბეინი და ეგილი.

სტარკადის, ფლოსის ძმის ასულს პილდიგუნი ერქვა. იგი ძალზე გამრჯე და იშვიათი სილამაზის ქალი იყო. სელსაქმეში ბევრი ვერ შეედრებოდა. სასტიკი და დაუზოგველი სასიათი ჰქონდა, მაგრამ, როცა საჭირო იყო, სიკეთეში ტოლს არავის უდებდა.

96

ერთ კაცს პალი ერქვა. სიდელ პალს ეძახდნენ. იგი იყო შვილი თორსტეინისა, შვილიშვილი ბადვარისა. პალის დედა იყო თორდისი, ასული აცურისა, შვილიშვილი პროდლაუგისა, შვილიშვილის შვილი მერელი რაგნვალდისა, შვილიშვილის შვილიშვილი ეისტეინ მქუხარესი. პალს ცოლად ჰყავდა იორეიდი, ასული თიდრანდი ბრძენისა, შვილიშვილი კეთილ თვინიერისა, შვილიშვილის შვილი ვერადალელი თიდრანდის ძის თორირისა. იორეიდის ძმები იყვნენ ნიარდვიკელი კეთილ თვინიერი და თორვალდი, მამა პელგისა, რომელიც იყო დროპლაუგის ერთ-ერთი ვაუთაგანი. იორეიდის დას ერქვა პალკატლა, რომლის შვილები იყვნენ თორკელ გეიტირის ძე და თიდრანდი. პალის ძმას თორსტეინი ერქვა და მეტსასელად დიდმუცელას ეძახდნენ. მისი შვილი იყო კოლი, რომელიც კარიმ უელსში მოკლა. სიდელი პალის შვილები იყვნენ თორსტეინი და ეგილი, თორვალდი და ლიოტი, და აგრეთვე თიდრანდი, რომელზედაც ამბობენ, ღმერთქალმა დისებმა მოკლესო.

ერთ კაცს თორირი ერქვა. ხალხი თორირ ჰოლტელს ეძახდა. მისი შვილები იყვნენ თორგეირ სკორარგეირი, თორლეივ ყორანი, რომლის ჩამომავალნიც ტყის მცსოვრებნი არიან, და თორგრიმ ვეება.

ახლა ისიც უნდა ითქვას, რომ ნიალმა პასკულდს უთხრა:

— ჩემი აზრით, ქალი უნდა შეირთო, შვილო.

პასკულდი სიამოვნებით დაეთანხმა და სთხოვა ნიალს, დახმარებოდა ამ საქმეში. ისიც ჰკითხა, სად აჯობებდა საპატარძლოს ძებნა.

— ერთ ქალს ჰილდიგუნი ჰქვია, იგი თორდ ფრეისგოდის ძის სტარკადის ასულია და მასზე უკეთესი საპატარძლო არსად მეგულება.

პასკულდმა უთხრა:

— შენ იცი, მამაჩემო, ისე მოიქცევი, როგორც შენ ისურვებ.

— მაშ, მანდეთ გავწიოთ, — თქვა ნიალმა.

ამის შემდეგ ნიალმა თან იახლა რამდენიმე კაცი. სიგფუსის ძენი, ნიალის ვაჟები და კარი სალმუნდის ძე გაპყვნენ ნიალს და ყველანი ერთად გაემართნენ აღმოსავლეთისაკენ სვინაფელში, სადაც მათ კარგად შეხვდნენ. მეორე დღეს ნიალმა და ფლოსიმ ლაპარაკი ჩამოაგდეს და ბოლოს ნიალმა უთხრა:

— მე აქ შენი ძმისშვილის, ჰილდიგუნის გასარიგებლად ვარ მოსული.

— მერე და, ვის ურიგებ? — ჰკითხა ფლოსიმ.

— პასკულდს, ჩემს აღზრდილს, — უთხრა ნიალმა.

— კარგი საქმე გიფიქრია, — მიუგო ფლოსიმ, — თუმცა შეიძლება, შარს გადაგკიდოთ მაგ ამბავმა ორივე მხარე. მაინც რას მეტყვი პასკულდზე?

— კარგის მეტი არაფერი მეთქმის, — თქვა ნიალმა, — თან იმდენ ფულსაც გამოვაყოლებ, რამდენსაც თქვენ ჩათვლით საჭიროდ, თუ ჩვენს სიტყვას დაპყაბულდებით.

— ბარემ ქალსაც დავუძახოთ, — თქვა ფლოსიმ, — და გავიგოთ, თვალში მოსდის თუ არა საქმრო.

დაუძახეს ქალს და ისიც მოვიდა. ფლოსიმ ნიშნობის ამბავი უთხრა. ჰილდიგუნმა თქვა, მე თავმოყვარე ქალი გახლავართო, და დააყოლა:

— არც კი ვიცი, რა როგორ იქნება, რადგან ესენიც ამაყი ხალხია. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ამ კაცს არავითარი ძალაუფლება არ გააჩნია. შენ კი სიტყვა გაქვს მოცემული, რომ ისეთ კაცს არ მიმათხოვებ, ვისაც გოდორდი არ ექნებოდა.

— თუ შენ გათსოვება არ ვინდა, მე მაგ საქმეზე მეტს აღარ ვილაპარაკებ — თქვა ფლოსიმ.

— იმას როდი ვამბობ, — თქვა ჰილდიგუნმა, — თითქოს ჰასკულდს ცოლად არ გავყვები-მეთქი, თუკი მას გოდორდს უშოვით. სხვაფრივ კი ვერ დამითანხმებთ.

ნიალმა თქვა:

— მაშინ ჩემი სათხოვარი ის იქნება, რომ სამი წელიწადი დამაცადოთ.

ფლოსი დათანხმდა.

— კიდევ ერთ პირობას გთხოვთ, — თქვა ჰილდიგუნმა, — თუ ეს საქმე მოსდა, მაშინ აქ, აღმოსავლეთში უნდა ვიცხოვროთ.

ნიალმა უთხრა, დაე, ეგ საკითხი ჰასკულდმა გადაწყვიტოს. ჰასკულდმა კი თქვა, მე ბევრს ვენდობი, მაგრამ ყველაზე მეტად ჩემი აღმზრდელი მამისა მჯერაო. ამის შემდეგ ისინი შინისკენ გამოეშურნენ დასავლეთში.

ნიალი ჰასკულდისათვის გოდორდის ძებნას შეუდგა, მაგრამ არავინ ისურვა თავისი გოდორდის გაყიდვა. ამასობაში ზაფხულიც მოასლოვდა და ალთინგის დრომაც მოაწია.

იმ ზაფხულს თინგზე ბევრი ხალხი დაობდა. ბევრნი, ჩვეულებისამებრ, ნიალთან მოდიოდნენ რჩევის საკითხავად, მაგრამ ნიალი ისეთ რჩევა-დარიგებას აძლევდა, რაც საქმეს არაფერს ადგებოდა და არც ერთი სარჩელი და დაცვა მართებული არ გამოდგა. ამაზე დიდი აყალ-მაყალი ატყდა, რაკი ვერც ერთი დავა ვერ გადაწყდა, და ხალხი უკმაყოფილო დაიშალა თინგიდან.

გავიდა ხანი და მეორე თინგის დროც დადგა. ნიალი თინგზე გაემგზავრა. თავდაპირველად ყველაფერი მშვიდად მიმდინარეობდა, ვიდრე ნიალმა არ თქვა, დროა ჩვენი საქმე დავიწყოთო. ბევრმა უთხრა, არაფერი გამოვა, რადგან ვერავინ შეძლო მიეღწია თავისი დავის გადაწყვეტისათვის, თუმცა მოპასუხენი გამოძახებულნი არიანო თინგზე.

— ჩვენ ის გვირჩევნია, — თქვეს მათ, — ჩვენი საქმის მოსაგებად ფარ-ხმალი ავიღოთ ხელში.

— ეგ არ ივარგებს, — თქვა ნიალმა, — ვერაფერი საქმე იქნება, თუ ქვეყანა კანონებს არ დაიცავს. ახლა კი თქვენს საჩივარში სი-

მართლე თქვენს მსარეზეა და ეს საქმე გვეხება ჩვენ, იმ ადამიანებს, რომლებმაც ვიცით კანონები და ვასწორებთ კიდეც მათ. მე ვფიქრობ, ჩვენ, ჰავდინგებს გვმართებს შევიკრიბოთ და ავწონ-დავწონოთ ყველაფერი.

მაშინ ისინი ლაგრეტაზე გაეშურნენ. აქ ნიალმა თქვა:

— მე შენ მოგმართავ, სკაფტი თოროდის ძევ, და სსვა ჰავდინგებსაც, რომ ჩემი აზრით ყოველთვის ჩიხში ვემწყვდევით, თუ საქმის გარჩევა მეოთხედ სამსჯავროში სდება და ისე ირევა ყველაფერი, რომ აღარც თავი უჩანს, აღარც ბოლო. მე ვფიქრობ, აჯობებს, თუ გვექნება მეხუთე სამსჯავრო, სადაც ისეთი საქმეები გაირჩევა, რომლებიც მეოთხედმა სამსჯავრომ ვერ გადაწყვიტა.

— ვის შეიყვან, — ჰკითხა სკაფტიმ, — ამ მეხუთე სამსჯავროში? ოთხივე სამსჯავრო ხომ ადრინდელი გოდორდებისაგან არის შემდგარი და ყოველ მათგანში სამი თორმეტეული ანუ ოცდათექვსმეტი მსაჯული შედის.

— ჩემი აზრით, — თქვა ნიალმა, — კარგი იქნება, თუ ახალ გოდორდებს შევქმნით და ყოველი მეოთხედიდან ავირჩევთ ისეთ ხალხს, რომლებსაც სხვაზე მეტად შეეფერებათ გოდის წოდება, და ნებას დავრთავთ ყველას, ვინც მოისურვებს, შევიდეს მათს გოდორდში.

— ეგ რჩევა მოსაწონია, — თქვა სკაფტიმ, — მერე და რა საქმეები უნდა გაარჩიოს მაგ სამსჯავრომ?

— აქ უნდა გაირჩეს საქმეები, — მიუგო ნიალმა, — რომლებიც ეხება თინგზე მომხდარ არეულ-დარეულობას, კანონის დარღვევას, ცრუმოწმეობასა და არასწორ ჩვენებებს. აქვე გაარჩევენ იმ გადაუწყვეტელ საქმეებსაც, რომლებზედაც მსაჯულებმა მეოთხედ სამსჯავროში საერთო აზრი ვერ გამოიტანეს და მათ მეხუთე სამსჯავროში გადმოგზავნიან. მეხუთე სამსჯავრო გაარჩევს აგრეთვე ქრთამის აღებ-მიცემობის საქმეებს. ამ სამსჯავროში უნდა დადონ ყველაზე მტკიცე ფიცი და ყოველი ფიცი უნდა განამტკიცოს ორმა კაცმა, რომლებმაც თავიანთი პატიოსნებით უნდა ზღონ დადებული ფიცის სიმტკიცე. ასევე, თუ ერთი მხარე მართებულად აწარმოებს საქმეს, მეორე მხარე კი არასწორად, საქმე იმ მხარის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს, რომელიც წესების დაცვით აწარმოებს საქმეს. საქმეები აქაც ისე უნდა გაირჩეს, როგორც მეოთხედ სამსჯავ-

როებში, იმ განსხვავებით, რომ როდესაც მესუთე სამსჯავროში დაინიშნება მსაჯულთა ოთხი თორმეტეული, მოსარჩელემ აცილება უნდა მისცეს ექვს მსაჯულს, მოპასუხემაც ექვსს. თუ მოპასუხე არავის აცილებას არ ისურვებს, მაშინ მოსარჩელემ აცილება უნდა მისცეს თორმეტივე კაცს. თუ მოსარჩელე ამას არ გააკეთებს, მაშინ საქმე სწორი არ იქნება, რადგან ყველა საქმე მსაჯულთა სამმა თორმეტეულმა უნდა განსაჯოს.

ამის შემდეგ სკაფტი თოროდის ძემ დააკანონა მესუთე სამსჯავრო და ყველაფერი, რაც ითქვა. შემდეგ ხალხმა კანონის კლდეს მიაშურა. მაშინ დაწესდა ასალი გოდორდები. ჩრდილოეთ მეოთხედში შემდეგი გოდორდები დაარსდა: მელის მკვიდრთა გოდორდი მიდფიორდში და ლაუვასელთა გოდორდი ეიაფიორდში.

მაშინ ნიალმა ყურადღება ითხოვა და თქვა:

— ბევრმა უწყის, რაც მოხდა ჩვენს ვაჟებსა და გრიოტის მცსოვრებთა შორის; რომ ჩემმა შვილებმა მოკლეს თრაინ სიგფუსის ძე. მაგრამ ჩვენ ერთმანეთში მაინც მოვრიგდით და მე აღსაზრდელად ავიყვანე პასკულდი და ქალიც გავურიგე: პასკულდმა რომ ის ქალი შეირთოს, გოდის წოდება უნდა ჰქონდეს. თავის გოდორდს კი არავინ პყიდის. ახლა მინდა გთხოვოთ, ნება დამრთოთ დავაწესო ასალი გოდორდი პვიტანესში პასკულდისათვის.

ნიალმა ამაზე ყველა დაითანხმა. შემდეგ მან გოდორდი დააწესა პასკულდისათვის და იმ დღიდან მას ჰასკულდ ჰვიტანესგოდი შეარქვეს. ამის შემდეგ ხალხი თინგიდან თავიანთ სახლებში დაბრუნდა.

ნიალი შინ დიდხანს არ გაჩერებულა, თავის ვაჟებიანად აღმოსავლეთისკენ გაეშურა სვინაფელში, ფლოსის პირობა შეასრულა და იმანაც უთხრა, რომ სიტყვას არ გატეხდა. ჰილდიგუნი ჰასკულდს გაურიგეს და ქორწილიც დანიშნეს. ამით საქმე მოათავეს და შინ დაბრუნდნენ.

მეორეჯერ ისინი ქორწილში გაემგზავრნენ. ქორწილი რომ გადაიხადეს, ფლოსიმ ჰილდიგუნს მისი წილი გამოუყო და მთლიანად გადასცა. ახალდაქორწინებულნი ბერგთორსჰვალში გაემართნენ და მთელი წელიწადი იქ გაატარეს. ჰილდიგუნი და ბერგთორა ერთმანეთს მშვენივრად შეეწყვნენ. შემდეგ გაზაფხულზე კი ნიალმა ოსაბერში მიწა იყიდა და ჰასკულდს გადასცა. ჰასკულდი საცსოვრებლად იქ გადავიდა. ნიალმა მას მოსამსახურეები შეურჩია. ყველანი

ისე შესმატკბილებულნი იყვნენ, რომ უერთმანეთოდ თითსაც არ ანძრევდნენ. ჰასკულდი დიდხანს ცხოვრობდა ოსაბერში, ერთმანეთს მუდამ მხარში ედგნენ და ნიალის ვაჟები ხშირად მიდიოდნენ ჰასკულდთან. ერთმანეთისკენ ისე მიუწევდათ გული, რომ ყოველ შემოდგომაზე სტუმრად ეპატიჟებოდნენ და ძვირფასი ძღვენით უმასპინძლდებოდნენ ერთმანეთს.

გამოსდა ხანი.

98

ერთ კაცს ლიუტინგი ერქვა. მისი კარ-მიდამო სამსტადირი იყო. ცოლად პყავდა სტეინვარი, სიგფუსის ასული, თრაინის და. ლიუტინგი ტანმაღალი, ღონიერი, შეძლებული და ფიცხი გუნების კაცი იყო.

ერთხელ ისე მოხდა, რომ ლიუტინგს სტუმრიანობა ჰქონდა სამსტადირში. დაპატიჟებული ჰყავდა ჰასკულდი და სიგფუსის ვაჟები. ყველანი მოვიდნენ. აქ იყვნენ აგრეთვე გრანი გუნარის ძე, გუნარ ლამბის ძე და ლამბი სიგურდის ძე.

ჰასკულდ ნიალის ძესა და დედამისს სახლ-კარი ჰოლტში ჰქონდათ და ჰასკულდი ბერგთორსპვალიდან შინ ხშირად სამსტადირზე გავლით ბრუნდებოდა. ჰასკულდს ერთი ძე პყავდა, სახელად ამუნდი. იგი ბრმა დაიბადა. ისე კი ზორბა ბიჭი იყო და ღონეც ერჩოდა. ლიუტინგს ორი ძმა ჰყავდა, ერთს ჰალსტეინი ერქვა, მეორეს ჰალგრიმი. ისინი ყველგან ჩხუბსა და აყალ-მაყალს ტეხდნენ და ნიადაგ თავიანთ ძმასთან ცხოვრობდნენ, რაკი სხვას ვერავის იგუებდნენ.

ერთ დღეს ლიუტინგი ეზოში იყო და დროდადრო სახლში შედიოდა. ბოლოს ის იყო თავის ადგილზე უნდა დამჯდარიყო, რომ შემოვიდა დედაკაცი, რომელიც ეზოში საქმობდა. მან თქვა:

— აფსუს, რომ ახლა გარეთ არ იყავით, რადგან ჩვენს კარ-მიდამოზე ერთმა წითელმა კოჭმა გადაიარა.

— ვინ ბრძანდებოდა ეგ წითელი კოჭი? — ჰკითხა ლიუტინგმა.

— ჰასკულდ ნიალის ძე, რომელმაც ეს არის ასლა გაიარა ჩვენს სახლთან, — მიუგო ქალმა.

ლიუტინგმა თქვა:

— ეგ ხშირად დაიარება ამ ჩვენს კარ-მიდამოზე და ერთხელაც

იქნება მოთმინებას დამაკარგვინებს. მოდი, წავიდეთ მე და შენ, ჰასკულდ, თუ გსურს შური იძიო მამაშენისთვის, და მოვკლათ ჰასკულდ ნიალის ძე.

— ეგ მე არა მსურს, — მიუგო ჰასკულდმა, — ვაგლასად გადავუსდიდი მაგით სიკეთეს ჩემს აღმზრდელ მამას. ნურც გღირსებია ამაზე მეტი ლსენა და პურ-მარილი.

იგი მაგიდიდან წამოხტა, თავისი ცხენი მოაყვანინა და სახლში წავიდა. მაშინ ლიუტინგმა გრანი გუნარის ძეს უთხრა:

— შენ იქ იყავი, როცა თრაინი მოკლეს და ალბათ გახსოვს კიდეც, ასევე შენც, გუნარ ლამბის ძევ, და შენც, ლამბი სიგურდის ძევ. ახლა მე წინადადებას გაძლევთ, წავიდეთ, თავს დავესსათ ამ საღამოსვე და მოვკლათ ჰასკულდი.

— არა, — მიუგო გრანიმ, — მე ნიალის ვაუებს ხელს არ ვახლებ და ვერც იმ პირობას დავარღვევ, რაც ღირსეულმა ადამიანებმა დათქვეს.

იგივე უთხრეს სიგფუსის ვაუებმაც და სხვებმაც. ბოლოს წასვლა გადაწყვიტეს.

როდესაც ყველანი წავიდნენ, ლიუტინგმა თქვა:

— ყველამ იცის, რომ მე არაფერი საზღაური არ მიმიღია ჩემი ცოლის ძმის თრაინისთვის და ვერც იმის სისხლის აუღებლობას დავჯერდები.

ამის შემდეგ მან თავის ორივე ძმას და სამ მოსამსახურეს უბრძანა თან წაპყოლოდნენ. იმავე გზას დაადგნენ, რომელზედაც ჰასკულდს უნდა გაევლო, და მის სახლთან ჩრდილოეთის მხრიდან ჩაუსაფრდნენ ერთ ჩახრამულ ადგილას. საღამომდე ელოდნენ და როდესაც ჰასკულდი თავს წამოადგათ, იარაღით ხელში გადმოუხტნენ და მისცვივდნენ. ჰასკულდი ისე მხნედ იცავდა თავს, რომ დიდხანს ვერაფერს გახდნენ. მან ხელში დაჭრა ლიუტინგი, ორი კაცი მოუკლა და ბოლოს თვითონაც დაეცა. ჰასკულდს თექვსმეტი ჭრილობა მიაყენეს, მაგრამ თავი არ მოუკვეთიათ. შემდეგ ტყისკენ გასწიეს, მდინარე რანგის აღმოსავლეთით, და იქ დაიმალნენ.

იმავე საღამოს ჰროდნიუს მეცხვარემ ჰასკულდი მკვდარი ნახა, სახლში მივიდა და ჰროდნიუს მისი შვილის მოკვლის ამბავი აუწყა. ჰროდნიუმ თქვა:

— იქნებ ჯერ არ მომკვდარა. თავი ხომ არ მოუჭრიათ?

არაო, მიუგო მეცხვარემ.

— უნდა ვნახო და გავიგებ, — თქვა პროდნიუმ, — მოიყვანე ჩემი ცხენი და მანჯიკი.

მეცხვარემ ყველაფერი შეასრულა და გაამზადა, რაც დასჭირდებოდათ და შემდეგ იმ ადგილისკენ გაემართნენ, სადაც პასკულდი ეგდო. პროდნიუმ ჭრილობებს დახედა და თქვა:

— მეც ასე ვფიქრობდი, რომ ჯერ არ იქნებოდა მკვდარი და ნიალს კი ამაზე მძიმე ჭრილობებიც მოურჩენია.

შემდეგ მათ პასკულდი მანჯიკზე დაასვენეს და ბერგთორსპვალში გაემართნენ. აქ იგი ფარეხში შეიყვანეს და კედელზე ზურგმიბჯენილი დასვეს. მერე ორივენი სახლთან მივიდნენ და კარზე დაარახუნეს. კარი ერთმა მუშამ გაუღო. პროდნიუმ მას გვერდი აუარა და პირდაპირ იქით გაემართა, სადაც ნიალს ეძინა. პროდნიუმ იკითხა, ელვიძა თუ არა ნიალს. ნიალმა უთხრა, მეძინა და ახლა გავიღვიძეო, და პკითხა:

— ამ დილაადრიან რამ მოგიყვანა?

პროდნიუმ უთხრა:

— ადექი მაგ ქვეშაგებიდან, მოეშვი ჩემს რაყიფს და გარეთ გამოდი. ეგეც გამოვიდეს და შენი შვილებიც.

ისინი ადგნენ და გარეთ გამოვიდნენ. სკარპედინმა თქვა:

— იარაღიც თან ვიქონიოთ.

ნიალს ამაზე არაფერი უთქვამს, ისინიც მაშინვე უკან შებრუნდნენ და იარაღასსმულნი გამოვიდნენ. ჰროდნიუ მათ გაუძღვა და ფარეხთან მიიყვანა. შიგ შევიდა და იმათაც სთხოვა, შეპყოლოდნენ. პროდნიუმ ჭრაქი ზეასწია და თქვა:

— აი, ნიალ, პასკულდი, შენი შვილი, მთლად აჩეხილია და მკურნალობა ესაჭიროება.

ნიალმა თქვა:

— სიკვდილის ნიშნებს უფრო ვამჩნევ და სიცოცხლისა აღარაფერი ეტყობა. რატომ თვალები და პირი არ დაგიხურავს მისთვის? აგერ, ნესტოებიც ღია აქვს.

— მინდა ეგ სკარპედინმა გააკეთოს, — უთხრა პროდნიუმ.

სკარპედინი მივიდა და თვალები დაუხუჭა, პირი დაუმუწა დ> ნესტოები დაუცო. შემდეგ თავის მამას პკითხა:

— რას იტყვი, ვისი მოკლული იქნება?

ნიალმა მიუგო:

— ალბათ სამსტადირელმა ლიუტინგმა და მისმა ძმებმა მოკლეს.

პროდნიუმ თქვა:

— შენთვის მომინდვია, სკარპედინ, ძმის სისხლის აღება და, თუმცა იგი უკანონოდ იყო შობილი, მაინც იმედი მაქვს, საქმეს ისე მოეკიდები, როგორც საჭიროა, და არც ცდას დააკლებ.

ბერგთორამ თქვა:

— უცნაურად იქცევით. ხალხს სოცავთ მცირე მიზეზით და ახლა კი ცოსნას მოპყვებით, ვიდრე ყველაფერი უქმად არ ჩაგიელით. საცაა ამ ამბავს ჰასკულდ პვიტანესგოდი შეიტყობს, ის თქვენ საზღაურს შემოგთავაზებთ და უარს ვეღარ ეტყვით. ახლავე უნდა შეუდგეთ საქმეს, თუ რამეს აპირებთ.

სკარპედინმა თქვა:

— სამართლიანად გვაგულიანებს დედაჩვენი.

ისინი უცბად გამოიჭრნენ ფარეხიდან. პროდნიუ ნიალს გაპყვა სახლში და ღამის გასათევად იქვე დარჩა.

99

ახლა სკარპედინსა და მის ძმებზე უნდა გიამბოთ. ისინი მდინარე რანგისკენ მიმავალ გზაზე მიდიოდნენ. სკარპედინმა თქვა:

— დავდგეთ და ყური დავუგდოთ.

შემდეგ მან თქვა:

— წყნარად ვიაროთ, რადგან ზემოთ, მდინარის პირას ლაპარაკი მესმის. თქვენ ვინ გირჩევნიათ, მარტო ლიუტინგი თუ ორივე მისი ძმა?

ძმებმა უთხრეს, მარტო ლიუტინგი გვირჩევნიაო.

— ჩვენთვის მთავარი სწორედ ეგ არის, — თქვა სკარპედინმა,— მე ვფიქრობ, არ ივარგებს თუ ეგ სელიდან წაგვივიდა. ამიტომ, მე მგონი, ვეღარ გაგვექცევა, თუ მე დავიტოვებ მას.

— ჩვენ ისე მიეეპარებით, — თქვა ჰელგიმ, — და ისე მივუდგებით, რომ თავს ვერ დაგვაღწევს.

ამის შემდეგ იქით გაემართნენ საიდანაც სკარპედინს ლაპარაკი მოესმა, და დაინახეს, რომ რუს პირას დგანან ლიუტინგი და მისი ძმები. სკარპედინი რუს გადაასტა და ხრეშით დაფარულ ნაპირზე

ამოყო თავი. იქვე იდგა პალგრიმი თავის ძმებიანად. სკარპედინმა პალგრიმს ფერდში დაპკრა და მთლიანად მოპკვეთა ფესი, მეორე სელით კი პალკელს წასწვდა. ლიუტინგს სურდა, შუბი ეკრა მისთვის, მაგრამ პელგიმ მიუსწრო და ფარი დაუყენა წინ. შუბი ფარს მოსვდა. მაშინ ლიუტინგი ქვას დასწვდა და სკარპედინს ესროლა. იმანაც სელი გაუშვა პალკელს. პალკელს ხრეშიან ფერდობზე უნდოდა არბენა, მაგრამ მუსლისთავებზე დაეცა და ახოსება იწყო. სკარპედინმა შორიდანვე ესროლა ნაჯასი და ხერსემალი გადაუჩეხა. ლიუტინგი გაბრუნდა და სცადა გაქცევით გადაერჩინა თავი, მაგრამ გრიმი და პელგი უკან მიპყვნენ და ორივემ სათითაოდ მიაყენა მას ჭრილობა. ლიუტინგი მდინარეში გადაეშვა, თავის ცხენებთანაც მიაღწია და ოსაბერში აიჭრა ჭენებით.

პასკულდი შინ იყო და უმალ გამოეგება. ლიუტინგმა უამბორაც თავს გადახდა.

— უნდა გქონოდა მაგის მოლოდინი. უგუნურად მოქცეულხარ. მართალი უთქვამთ, დიდხანს არ შერჩებაო ხელს შემონაკრავი. მე მგონი, ამას იქით ფხიზლად უნდა მოიქცე, რომ არაფერი აგიტეხონ.

— მართალს ამბობ, — ეუბნება ლიუტინგი, — რომ ძლივს დავაღწიე თავი ხიფათს, მაგრამ ახლა მინდა, ნიალთან და მის შვილებთან შემარიგო, რომ ჩემი სახლ-კარი მაინც შევინარჩუნო.

— დაე, აგრე იყოს, — თქვა პასკულდმა.

ამის შემდეგ პასკულდმა თავისი ცხენი შეაკაზმვინა და ბერგთორსპვალისაკენ გაეშურა ხუთი კაცის თანხლებით. ნიალის ვაჟები უკვე მოსულები იყვნენ და დასაძინებლად დაწოლილიყვნენ. პასკულდმა მაშინვე ნიალი მოძებნა და ლაპარაკი გააბეს. პასკულდმა ნიალს უთხრა:

— მე აქ იმიტომ მოვედი, რომ ჩემი მოყვარის, ლიუტინგის თავი შეგავედრო. მას თქვენს წინაშე დიდი დანაშაული მიუძღვის. მშვიდობა დაარღვია და შვილი მოგიკლა.

ნიალმა თქვა:

— ლიუტინგს ალბათ პგონია, რომ უკვე საკმაოდ ზღო იმით, რაკი ძმები დაუსოცეს. ამ ლაპარაკს მე მხოლოდ შენი სათრით ვიწყებ და პირველ პირობად მოვითხოვ, რომ ლიუტინგის ძმების ძოკვლისთვის საზღაური არ იქნეს გადახდილი. ლიუტინგი ვერა-

ფერს მიიღებს ვერც თავისი ჭრილობებისათვის, მაგრამ სრულ საშღაურს კი გადიხდის ჰასკულდისათვის.

ჰასკულდმა თქვა:

— მე მინდა მარტო შენ განსაჯო საქმე.

ნიალმა უთხრა:

— ისე გავაკეთებ, როგორც შენ გინდა.

— იქნება გინდა, — ჰკითხა ჰასკულდმა, — რომ შენი ვაჟებიც აქ იყვნენ?

ნიალმა მიუგო:

— ეგ ჩვენ მშვიდობას ვერ მოგვიტანს, მაგრამ იმ მშვიდობას კი, რომელსაც მე დავამყარებ, დაიცავენ.

მაშინ ჰასკულდმა უთხრა:

— მაშ, მოერჩეთ საქმეს და ბარემ აღუთქვი ლიუტინგს, რომ შენი შვილები შურს არ იძიებენ მასზე.

— კეთილი, — მიუგო ნიალმა.

— ჩემი სურვილია, — განაგრძო ნიალმა, — რომ მან გადაიხადოს ორასი ვერცხლი ჰასკულდის მკვლელობისათვის და შეუძლია საცხოვრებლად სამხტადირში დარჩეს, მაგრამ, ჩემი აზრით, მისთვის უმჯობესია, თუ თავის სახლ-კარს გაყიდის და სხვაგან გადავა. იმიტომ კი არა, რომ ან მე ან ჩემი ვაჟები სიტყვას გავტეხთ; მაგრამ, შეიძლება, ისეთი ვინმე გამოჩნდეს ამ მიდამოებში, რომელსაც ლიუტინგი უნდა მოერიდოს. მაგრამ თუ ისე ეგონება, რომ ამ ადგილებიდან მისი განდევნა მსურს, მაშინ ნებას მივცემ, იცხოვროს ამ მიდამოებში, ოღონდ ძალზე დიდ საფრთხეში კი ჩაიგდებს თავს.

ამის შემდეგ ჰასკულდი სახლისკენ გაემართა. ნიალის ვაჟებმა გაიღვიძეს და მამას ჰკითხეს, ვინ მოვიდაო, და ნიალმაც უთხრა, ჰასკულდი იყოო, ჩემი აღზრდილი.

— ალბათ ლიუტინგზე გთხოვა, — თქვა სკარპჰედინმა.

— ჰო, — მიუგო ნიალმა.

— ვერ მომხდარა კარგი საქმე, — თქვა გრიმმა.

— ჰასკულდი მისთვის თავს არ გამოიდებდა, — თქვა ნიალმა, — შენ რომ იგი მოგეკლა, როგორც გუნებაში გქონდა.

— მამაჩვენს ნურაფერს ვაყვედრით, — თქვა სკარპჰედინმა.

ახლა ისღა უნდა ითქვას, რომ მათ შორის მშვიდობა აღარასოდეს არ დარღვეულა.

ნორვეგიაში მმართველთა შეცვლა მოხდა. პაკონ იარლს ბოლო მოეღო და მისი ადგილი ოლავ ტრიუგვის ძემ დაიკავა. პაკონ იარლს კი აღსასრული იმის გამო დაუდგა, რომ მონამ, სახელად კარკმა, ყელი გამოსჭრა რიმულში, გაულარდალში.

იმავე დროს მოვიდა ამბავი, რომ ნორვეგიაში რჯულიც შეიცვალაო. ხალხმა ძველი სარწმუნოება უარყო და კონუნგმა მონათლა დასავლეთის ქვეყნები — შეტლანდის, ორკნეისა და ფარერის კუნძულებიო.

ბევრი ამბობდა და ნიალსაც სმენია, ძველ რჯულზე ხელის აღება დიდ მკრეხელობას ნიშნავსო. მაშინ ნიალმა თქვა:

— მე მგონია, რომ ეს ახალი სარწმუნოება ბევრად უკეთესი უნდა იყოს და ნეტარება მას, ვინც მას იწამებს. და თუ აქ ჩამოვლენ ის ადამიანები, რომლებიც ახალ რჯულს ქადაგებენ, მე ყოველნაირად მხარს დავუჭერ მათ.

იგი ხშირად განმარტოვდებოდა ხოლმე და თავისთვის ბუტბუტებდა.

სწორედ იმ შემოდგომაზე ქვეყნის აღმოსავლეთ მხარეს, ბერუფიორდის იმ ადგილთან, რომელსაც გაუტავიკი ეწოდება, ნაპირს ხომალდი მოადგა. ხომალდის წინამძღოლს თანგბრანდი ერქვა. იგი საქსონელი გრაფის ვილბალდრის შვილი იყო. თანგბრანდი ისლანდიაში კონუნგმა ოლავ ტრიუგვის ძემ გამოგზავნა რჯულის საქადაგებლად. მას თან ერთი ისლანდიელი ახლდა, სახელად გუდლეივი. მისი მამა იყო არი, პაპა — მარი, პაპის მამა — ატლი, პაპისპაპა კი — ულვ ელამი. ულვ ელამი იყო ძე პოგნი თეთრისა, შვილიშვილი ოტრიუგისა, შვილიშვილის შვილი ობლაუდისა, შვილიშვილის შვილიშვილი ჰიარლეივ მექალთანესი, ჰარდალანდის კონუნგისა. გუდლეივს ბევრი ხალხი ჰყავდა დახოცილი და ყველაფერში უშიშარი და მტკიცე ხასიათი ჰქონდა.

ბერუნესის კონცხზე ორი ძმა ცხოვრობდა. ერთს თორლეივი ერქვა, მეორეს კეთილი. მამა მათი იყო ჰოლმსტეინი, ძე ბრეიდალელი აცურისა. მათ ხალხს მოუხმეს და აუკრძალეს ახალ მოსულებთან რაიმე ვაჭრობის გაბმა. ეს ამბავი სიდელ ჰალს მიუვიდა.

მან ოცდაათამდე კაცი გაიყოლა და სომალდებს მიაშურა, მაშინვე თანგბრანდი მოძებნა და ჰკითხა:

— ცუდად მიგდით განა ვაჭრობის საქმე?

დიახო, დაუმოწმა თანგბრანდმა.

— ახლავე მოგახსენებ, რატომაც გეახელი, — ეუბნება ჰალი, — მინდა, ყველანი ჩემთან სახლში მიგიპატიჟოთ და რასაც კი შევძლებ, შევისყიდო თქვენგან.

თანგბრანდმა მადლობა გადაუხადა და მასთან გაემგზავრა.

ერთხელ, შემოდგომაზე, თანგბრანდი დილაადრიან გარეთ გამოვიდა, ეზოში კარავი დაადგმევინა და წირვა გამართა, თან შთაგონებით გალობდა, რადგან დიდი ობა იდგა. ჰალმა თანგბრანდს ჰკითხა:

— ვის სახელზე მოაწყვე ეს წირვა?

— მთავარანგელოზ მიხეილის სახელზე, — მიუგო თანგბრანდმა.

— მერე რაო, რა მინდაო, მაგ ანგელოზმა? — ეკითხება ჰალი.

— ძალზე სათნო ანგელოზია, — მიუგებს თანგბრანდი, — ყველაფერს რასაც შენ მოიმოქმედებ, ავსა თუ კარგს, სასწორზე წონის და ისეთი ღვთისნიერია, რომ სიკეთეში ჩაგითვლის იმ ნამოქმედარს, რომელიც თვალში მოუვა.

ჰალმა თქვა:

— მინდა იგი მეგობრად გავიხადო.

— ეგ შესაძლებელია, — მიუგო თანგბრანდმა, — თუკი დღესვე მიმართავ მას და უფალს.

— მაგას იმ პირობით გავაკეთებ, — უთხრა ჰალმა, — თუ სიტყვას მომცემ, რომ იგი ჩემი მფარველი ანგელოზი გახდება.

— მომიცია აღთქმა, — თქვა თანგბრანდმა.

მაშინ ჰალი მთელი თავისი ჯალაბობით მოინათლა.

101

გაზაფხული რომ დადგა, თანგბრანდი საქადაგებლად გაუდგა გზას და ჰალიც თან გაჰყვა. ლონსპეიდის ველი გადავლეს და სტავაფელს მიაღწიეს, სადაც იმხანად თორკელი ცხოვრობდა. ის სხვაზე მეტად თათხავდა ახალ სარწმუნოებას და ორთაბრძოლაში გაიწვია თანგბრანდი. თანგბრანდმა ბრძოლაში ფარის ნაცვლად ჯვარ-

ცმა წარიტანა და შერკინება იმით დამთავრდა, რომ თანგბრანდმა სძლია და მოკლა თორკელი.

იქიდან ისინი ჰორნაფიორდში გაემართნენ და ღამის გასათევად ბორგარჰავნში გაჩერდნენ, ჰეინაბერგსანდის ქვიშნარის დასავლეთით. აქ ცხოვრობდა ჰილდირ ბებერი. მისი შვილი იყო გლუმი, რომელმაც შემდგომში ფლოსისთან ერთად ცეცხლს მისცა ნიალის სახლ-კარი. ჰილდირი მთელი სახლეულით ახალ რწმენას ეზიარა.

იქიდან ფელსჰვერვისკენ გაემართნენ და ღამე კალვაფელის მთასთან გაათიეს. იქ ცხოვრობდა კოლი თორსტეინის ძე, ჰალის ნათესავი, და მან მთელი სახლეულით ირწმუნა ახალი რჯული.

იქიდან მდინარე ბრეიდისკენ გაემართნენ, სადაც აცურ პროალდის ძე, ჰალის ნათესავი ცხოვრობდა. მან სანახევრო კურთხევა მიიღო.

იქიდან სვინაფელისკენ გაემართნენ და ფლოსიმ სანახევრო კურთხევა მიიღო, თან თინგზე მხარდაჭერა აღუთქვა.

იქიდან დასავლეთში სკოგაჰვერვისკენ გაემართნენ და ღამე კირკიუბერში გაათიეს. აქ ცხოვრობდა სურტი, ძე ასბიარნისა, შვილიშვილი თორსტეინისა, შვილიშვილის შვილი კეთილ ბრიყვისა. სურტი და მისი წინაპრები ერთთავად ქრისტიანები იყვნენ.

შემდეგ ისინი სკოგაჰვერვიდან ჰავდაბრეკში გაემართნენ. ამასობაში, მათი მოგზაურობის ამბავი ყველგან მოეფინა.

ერთ კაცს ჰედინ გრძნეული ერქვა. იგი კერლინგარდალში ცხოვრობდა. წარმართებმა იგი მოისყიდეს, რათა მას მოეკლა თანგბრანდი და მისი თანმსლებნიც დაეხოცა. იგი არნარსტაკსჰეიდის ველზე გაეშურა და ღმერთებს უსვად შესწირა მსხვერპლი. თანგბრანდი რომ აღმოსავლეთიდან მოდიოდა, მის ქვეშ მიწამ პირი ჰქნა, მაგრამ თანგბრანდმა ცხენიდან გადმოხტომა მოასწრო და უფსკრულის პირას შერჩა. მიწამ ჩაყლაპა ცხენიც და თუ ზედ რაშე იყო, და მერე იგი თვალით აღარ უნახავთ.

მაშინ თანგბრანდმა ღმერთს მადლობა შესწირა.

102

გუდლეივმა ძებნა დაუწყო ჰედინ გრძნეულს და ველზე ნახა იგი. კერლინგარდალამდე სდია, წამოეწია, შუბი სტყორცნა და შიგ გულში მოარტყა.

იქიდან დიურპოლმისკენ გაემართნენ და ხალხს მოუხმეს. შემდეგ ახალი სარწმუნოება უქადაგეს. ინგიალდი, თორკელ ნესვის ხოჯოს ძე, მოინათლა.

იქიდან ფლიოტსპლიდში გაემართნენ და იქ იქადაგეს. რადგან ყველაზე მეტად ვეტრლიდი სკალდი და მისი ძე არი იხსენიებდნენ აუგად ახალ სარწმუნოებას, მათ მოკლეს ვეტრლიდი და ასეთი შაირიც გამოთქვეს:

ფართა გამომცდელს
მახვილი თვისი
უძგერებია
ლოცვათ ჯავშნისთვის.
მძლე გუდლეივმა
სიკვდილის ურო
ვეტრლიდი მგოსანს
დასცა, ვით გრდემლსა.

იქიდან თანგბრანდი ბერგთორსპვალისკენ გაემართა. ნიალი და მთელი მისი სახლობა მოინათლა, მაგრამ მორდი და ვალგარდი დიდად ეურჩებოდნენ ახალ რჯულს.

იქიდან დასავლეთისკენ გაემართნენ, მდინარეზე გადავიდნენ და პაუკადალის ველზე პალი მონათლეს, რომელიც მაშინ სამი წლისა იყო.

იქიდან გრიმსნესში გაემართნენ. აქ თორვალდ სნეულმა ხალხი აამხედრა მათ წინააღმდეგ და ულვ უგის ძეს შეუთვალა თავს დასხმოდა თანგბრანდს და მოეკლა იგი, თან ეს შაირიც გამოთქვა:

ულვსა,უგის ძეს,
ჩემს სწორს ძმად შეზრდილს,
შეეუთვლი სიტყვას,
რომ მიერთგულოს.
დაე, ღვთისმგმობი
კლდეს გადაჩეხოს,
მე კი მეორეს
ჩავაგდებ უფსკრულს.

ულვ უგის ძემ საპასუხოდ ეს შაირი გამოთქვა:

თავს ვერ ეოგატყუებინებ
და თხოვნას ვერ შეგისრულებ

შიკრიკის პირით შემოთვლილხ.
ცბიერია ეგ ვედრება.
ზღვის ტალღებზე მოჭენავო,
გულში აეი რამ გდებია,
ეხედავ, რა შავი დღეც მელის,
თუ არ გაგიფრთხილდი მეტად.

— და არც იმას ვაპირებ, — დააყოლა მან, — ვინმეს გავაბრიყვებინო თავი. ის ურჩევნია, გაფრთხილდეს, რომ თვითონვე არ გამოთხაროს თავისი დასაკლავი დანა.

ამის შემდეგ მოციქული თორვალდ სნეულთან გაბრუნდა და ულვის ნათქვამი გადასცა. თორვალდთან ბლომად ხალხმა დაიყარა თავი და მან ყველას ურჩია ბლასკოგაპეიდთან ჩასაფრებულიყვნენ. თანგბრანდი და გუდლეივი პაუკადალიდან დაადგნენ გზას. წინ ერთი მხედარი შემოსვდათ. მან იკითხა, რომელიაო თქვენგან გუდლეივი, და როდესაც გაიგო, რომელიც იყო, უთხრა:

— შენს ძმას, რეიკიაპოლელ თორგილსს დაუმადლე ის, რასაც მე გეტყვი: ბევრ ადგილას ჩაგისაფრდა ხალხი და თორვალდ სნეული თავისი დამქაშებით ჰესტლეკის რუსთან გელოდება გრიმსნესში.

— მაინც არ ავარიდებთ თავს მასთან შეხვედრას, — თქვა გუდლეივმა.

ისინი ჰესტლეკისკენ დაეშვნენ. თორვალდი უკვე წყლის აქეთ ნაპირზე გადმოსულიყო. გუდლეივმა თანგბრანდს უთხრა:

— აგერ, თორვალდი. ბარემ თავს დავესხათ.

თანგბრანდმა შუბი სტყორცნა და თორვალდი განგმირა, გუდლეივმაც დაპკრა და მკლავი ჩამოათალა, რამაც მაშინვე ბოლო მოუღო თორვალდს.

ამის შემდეგ ისინი თინგზე გაემგზავრნენ და კინაღამ ისე მოხდა, რომ თორვალდის ნათესავები თავს დაესხნენ მათ; მაგრამ ნიალი და აღმოსავლეთ ფიორდების მცხოვრებნი მხარში ამოუდგნენ თანგბრანდს.

მაშინ ჰიალტი სკეგის ძემ ეს შაირი გამოთქვა:

ყოველთვის გავბედავ
ოდინ და ფრეია
ძაღლებად ჩავთვალო
და მასხრად ავიგდო.

იმ ზაფხულს ჰიალტი და გიცურ თეთრი ისლანდიიდან გაემგზავრნენ, თანგბრანდის ხომალდი კი აღმოსავლეთში ბულანდსნესის კონცხთან დაიმსხვრა. ამ ხომალდს „აზავერი“ ეწოდებოდა. თანგბრანდი ისლანდიის დასავლეთ ნაწილში მოჰყვა მოგზაურობას. მის წინააღმდეგ გამოვიდა სტეინუნი, სკალდ რევის დედა, რომელმაც თანგბრანდს წარმართად მოქცევა დაუპირა და დიდხანს გაუბა მასლაათი. თანგბრანდი დუმდა, ვიდრე იგი ლაპარაკობდა, მერე კი თვითონ დაიწყო და კაი სანს არ გაჩერებულა და სულ თავგზა აუბნია საწყალ დედაკაცს.

— ნუთუ არ გაგიგია, — ჰკითხა სტეინუნმა, — თორს თურმე ხმალში გაუწვევია ქრისტე, მაგრამ იმას ბრძოლაში გასვლა ვერ გაუბედავს თორთან.

— მე ისიც მსმენია, — მიუგო თანგბრანდმა, — რომ თორი მიწა და ნაცარიდა იქნებოდა, უფალს რომ არ ენებებინა მისი სიცოცხლე.

— იცი კი, — ჰკითხა ქალმა, — ვინ დაგიღუპა ხომალდი?

— მაგაზე რაღას მეტყვი? — ჰკითხა თანგბრანდმა.

— აი, რას გეტყვი, — მიუგო სტეინუნმა:

თორმა გემა დაულეწა
ზანზალაკის მოდარაჯეს,
ღმერთებმაც არ შეიბრალეს
და თვით ზღვების აზავერი
კლდეს და მეჩეჩს მიასეთქეს.
ვეღარც ქრისტემ ვერ უშველა
და ახლა კი დამსხვრეული
თევზის ლუკმად გადაიქცა.

კიდევ ერთი შაირიც უთხრა:

თორმა ხომალდს სდია
ვით ზღვასა რამ ნადირს,
მერე ხელი სტაცა
და კლდეს მიახეთქა.
თანგბრანდის ხომალდი
აწ ვეღარ იცურებს,
თორის რისხვამ იგი
ბოსპო, დაამსხვრია.

ამის შემდეგ თანგბრანდი და სტეინუნი ერთმანეთს დასცილ-
დნენ და თანგბრანდმა თავისი ხალხით დასავლეთში ბარდასტრან-
დის სანაპიროს მიაშურა.

103

გესტ ოდლეივის ძე ბარდასტრანდზე, ჰაგიში ცხოვრობდა. ძალ-
ზე ჭკვიანი კაცი იყო და შეეძლო ადამიანისთვის წინასწარ ეთქვა,
რა მოხდებოდა, რა აღსრულდებოდა. მან ნადიმი გაუმართა თან-
გბრანდსა და მის თანმხლებ პირებს. ისინი ჰაგიში სამოცამდე კაცის
თანხლებით ჩავიდნენ, სადაც მათ, როგორც ამბობენ, ორასი წარ-
მართი დასვდათ და კიდევ ერთ ბერსერკს ელოდნენ, რომელსაც
ოტრიუგი ერქვა. ყველას ეშინოდა მისი. მასზე ამბობდნენ, არც
ცეცხლისა ეშინია, არც ალესილი მახვილისაო, და წარმართებიც
შიშით იყვნენ აღვსილნი. მაშინ თანგბრანდმა პკითხა წარმართებს,
სურდათ თუ არა მიეღოთ ასალი რჯული, მაგრამ ყველამ შორს და-
იჭირა.

— მინდა სცადოთ, — თქვა თანგბრანდმა, — და თქვენ თვითონვე
დარწმუნდეთ, რომელი რჯული უკეთესია. მოდით, გავაჩაღოთ სამი
კოცონი. თქვენ, წარმართებმა, ერთ მათგანს შეულოცეთ, მე მეო-
რეს შევულოცავ, მესამე კი ხელუსლებელი დავტოვოთ. თუ ის ბერ-
სერკი ჩემს შელოცვილ კოცონს შეუშინდება, მაგრამ თქვენსაში გა-
ივლის, მაშინ ახალი სარწმუნოება უნდა მიიღოთ.

— კარგი სიტყვაა, — ამბობს გესტი, — მე და ჩემიანები ყაბულსა
ვართ.

გესტის ამ სიტყვებმა ბევრი გადმოიბირა. ამ დროს ამბავი მო-
იტანეს, ბერსერკი მოდისო. მაშინვე ცეცხლი გააჩაღეს და სამივე კო-
ცონი აგიზგიზდა. კაცებმა იარაღს სტაცეს ხელი, მერხებზე ჩამოს-
ხდნენ და ლოდინი დაიწყეს. ბერსერკი იარაღიანად შემოვარდა სახ-
ლში. მაშინვე იმ ოთახს მიაშურა, სადაც ცეცხლი ენთო, გაიარა
წარმართების შელოცვილ კოცონში, მიადგა თანგბრანდის შელოც-
ვილ კოცონს, ვერ გაბედა მასში გაევლა და წამოიძახა, ლამის და-
ვიწვაო. მან მერხებისკენ აიქნია მახვილი, მაგრამ განივად გადე-
ბულ ძელს მოახვედრა. თანგბრანდმა ხელზე ჯვარცმა დაპკრა. მოხ-
და დიდი სასწაული და ბერსერკს მახვილი ხელიდან გაუვარდა. მა-

შინ თანგბრანდმა მკერდში მასვილი ატაკა, გუდლეივმა კი ერთი დაკვრით წააცალა მარჯვენა. წამსვე იქ მყოფნი მისცვივდნენ და მოკლეს ბერსერკი. ამის შემდეგ თანგბრანდმა ჰკითხა, სურდათ თუ არა ახალი რჯულის მიღება. გესტმა მიუგო, რომ თავის ნათქვამს არ გადავიდოდა. მაშინ თანგბრანდმა მონათლა გესტი, მისი სახლეულნი და მრავალნი სხვანი. თანგბრანდი გესტს დაეკითხა, ხომ არ გასდგომოდა გზას დასავლეთის ფიორდებისაკენ, მაგრამ გესტმა არ ურჩია, რადგან იქაური ხალხი ძალზე ურჯუკი და მიუკარებელიაო.

— და თუკი ეგ მოსახდენია, რომ მაგ რჯულმა ყველგან უნდა გაიდგას ფესვები, მაშინ სწორედ ალთინგზე უნდა მოხდეს, რადგან ყველა ჰავდინგი იქ იქნება მოსული ყოველი მსრიდან.

— თინგზე აკი ვიქადაგე, — მიუგო თანგბრანდმა, — და იმაზე დიდი გასაჭირი არსად დამდგომია.

— შენ მაინც უდიდესი საქმე გააკეთე, — უთხრა გესტმა, — თუმცა შეიძლება სხვას სვდეს წილად ახალი რჯულის დაკანონება. ნათქვამია, მუსა ერთი შემოკვრით არ წაიქცევაო.

ამის შემდეგ გესტმა თანგბრანდს ძვირფასი საჩუქრები მიართვა და იგი სამხრეთის მეოთხედისაკენ გაემართა, იქიდან კი აღმოსავლეთ ფიორდებს მიაშურა. ღამის გასათევად ბერგთორსპვალში გაჩერდა და ნიალმა მას ძვირფასი საჩუქრები უძღვნა. შემდეგ იგი აღმოსავლეთისაკენ გაემართა სიდელ ჰალთან. მან ბრძანა, შეეკეთებინათ მისი ხომალდი, რომელსაც წარმართებმა „რკინის გოდორი" შეარქვეს. ამ ხომალდით თანგბრანდი გუდლეივთან ერთად ისლანდიიდან გაემგზავრა.

104

იმავე ზაფხულს თინგზე პიალტი სკეგის ძეს განდევნა მიუსაჯეს ღვთისმგმობელობისათვის.

თანგბრანდმა კონუნგ ოლავს დაწვრილებით მოუთხრო, თუ რა ვნება და დავიდარაბა დაატეხეს მას ისლანდიელებმა, და დაუმატა, ისე არიან მისნობაში გაწაფულნი, რომ ჩემს ცხენს ფეხქვეშ მიწა გაუსკდა და შიგ ჩაიტანაო. კონუნგი ოლავი განრისხდა და ბრძანება გასცა, შეეპყროთ თუკი ვინმე ისლანდიელი იმყოფებოდა მის ქვეყანაში, დილეგში ჩაეყარათ ისინი და სიკვდილით დაესაჯათ. მა-

შინ ეასლნენ გიცურ თეთრი და პიალტი, ამ სალსის თავდებობა იკისრეს და აღუთქვეს, წასულიყვნენ ისლანდიაში და ასალი სარწმუნოება ექადაგათ. კონუნგს ჭკუაში დაუჯდა ეს აზრი და ამრიგად, ისლანდიელები სიკვდილს გადაურჩნენ. გიცურმა და პიალტიმ სასწრაფოდ გამართეს ხომალდი და ისლანდიაში გასამგზავრებლად გაემზადნენ. ზაფსულის ათი კვირა იყო გავლილი, როდესაც ისინი ეირართან მიადგნენ ნაპირს. მალე იშოვეს ცხენები და ხალსიც დაიქირავეს ხომალდის გადმოსატვირთად. შემდეგ ისინი, სულ ოცდაათი კაცი, თინგზე გაემართნენ და ქრისტიანებს შეუთვალეს, მზად ყოფილიყვნენ მსარდასაჭერად. ჰიალტი რეიდარმულის მთასთან ჩამორჩა სხვებს, რადგან თავისი განდევნის ამბავი შეიტყო, მაგრამ როდესაც დანარჩენები გიაბაკიდან ველანდკატლის ყურესკენ დაეშვნენ, პიალტი მათ წამოეწია და უთხრა, არ მინდა წარმართებს ეგონოთ, თითქოს იმათი მეშინოდესო. აქ მათ მრავალი ქრისტიანი შემოუერთდა. ცხენებზე ამსედრებულნი და საომრად დაწყობილნი თინგისკენ გაემართნენ. წარმართებიც საბრძოლველად გაემზადნენ და, ცოტას გაწყდა, თინგის მთელი ჯამაათი ერთმანეთს არ დაერია, მაგრამ საქმე აქამდე არ მისულა.

105

ერთ კაცს თორგეირი ერქვა. იგი ლიოსავატნში ცხოვრობდა. მისი მამა იყო ტიარვი, თორკელ ასმახის ძე. დედამისს თორუნი ერქვა. იგი იყო ასული თორსტეინისა, შვილიშვილი სიგმუნდისა, შვილიშვილის შვილი გნუპ-ბარდისა. მის ცოლს გუდრიდი ერქვა. იგი იყო ასული პლეიდრარგარდელი თორკელ შავისა. მისი ძმა იყო ორმ ზურგის ჯიბე, მამა საუერბერელი პლენი ბებრისა. ორმისა და თორკელის მამა იყო თორკელ ყურპანტურა, შვილი კეთილ სელაპისა, შვილიშვილი არნოლვისა, შვილიშვილის შვილი ბიარნოლვისა. ბიარნოლვის მამა იყო შვილი გრიმ წვეროსანისა, შვილიშვილი კეთილ ორაგულისა, შვილიშვილის შვილი პრავნისტელი პალ-ბიარნ მოალქაჯოსი.

ქრისტიანებმა კარვები დასცეს და გიცური და ჰიალტი მოსფელელთა სადგომებში დაბინავდნენ. მეორე დღეს ყველამ კანონის კლდეს მიაშურა. ქრისტიანებმაც და წარმართებმაც თავ-თავიანთი

მოწმეები დაასახელეს და თქვეს, რომ ერთმანეთის კანონს არ დაემორჩილებოდნენ. ამაზე ისეთი ღრიანცელი ატყდა კანონის კლდესთან, რომ აღარავის აღარაფერი ეყურებოდა ერთმანეთისა. შემდეგ სალხი დაიშალა და იძასდა, ყველაფერი აირ-დაირიაო. ქრისტიანებმა თავიანთ კანონთმეტყველად სიდელი პალი აირჩიეს. პალი ლიოსავატნელ თორგეირ გოდისთან მივიდა და ვერცსლის სამი მარკა მისცა, რათა მას ეკისრა კანონთმეტყველად გამოსვლა. ამით პალმა საშიში ნაბიჯი გადადგა, რადგან თორგეირი წარმართი იყო. თორგეირი მთელი დღე იწვა თავზე წამოსასხამწაფარებული ისე, რომ ვერავინ ვერ დაელაპარაკებოდა. მეორე დღეს ხალხმა კანონის კლდეს მიაშურა. თორგეირმა ყურადღება ითხოვა და თქვა:

— ასე მგონია, რომ ჩვენი საშველი არ იქნება, თუ ყველასათვის ერთი კანონი არ შემოვიღეთ. უკეთუ კანონი გავთიშეთ, მშვიდობაც მოვეშლება და მაშინ კი აღარ გვეცხოვრება. ასლა მინდა ეკითხო წარმართებსაც და ქრისტიანებსაც, იგუებენ თუ არა საერთო კანონს, რომელსაც მე აქ გამოვაცხადებ.

ყველამ დასტური მისცა. მაშინ თორგეირმა მათ მოსთხოვა ფიცით შეკრულიყვნენ და საწინდარიც მიეცათ მისთვის. ყველამ ფიცი დადო და საწინდარიც გაიღო.

— ჩვენი უპირველესი კანონი ის იქნება, — თქვა მან, — რომ ჩვენს ქვეყანაში ყველამ ქრისტიანობა მიიღოს და იწამოს ერთი ღვთაება — მამაღმერთი, ძე მისი და სული წმიდა. ყველამ ხელი უნდა აიღოს კერპთაყვანისმცემლობაზე და დაეხსნას ბავშვების გადაგდებას და ცხენის ხორცის ჭამას. ის, ვისაც ამ წესის დარღვევაზე მოასწრებენ, განდევნილი იქნება, მაგრამ თუ ვერავინ გაუგო, შერჩება და ეგ არის.

მაგრამ ამ ბოლო პირობამაც კიდევ რამდენიმე წელს იბოგინა, მერე ისიც მოისსნა და მას შემდეგ აღარავის გაუბედავს წარმართული ადათ-წესების დაცვა არც ფარულად და არც აშკარად.

შემდეგ მან ილაპარაკა აღდგომასა და მარხვაზე, შობასა და პასექზე, და კიდევ მრავალ სხვა უქმესა და დღესასწაულზე.

წარმართებს მიაჩნდათ, რომ ისინი მაგრად გააცურეს, მაგრამ ახალი სარწმუნოება კანონით დაწესდა და ყველა ისლანდიელი გაქრისტიანდა.

ამის შემდეგ თინგიდან ყველანი სახლებში წავიდ-წამოვიდნენ.

აი, რა მოხდა სამი წლის შემდეგ თინგზე თინგსკალარში. ამუნდ უსინათლო, პასკულდის ძე, ნიალის შვილიშვილი, თინგზე იყო. მან მოითხოვა სადგომეებს შუა გაეტარებინათ და იმ სადგომთან მივიდა, რომელშიც სამსტადირელი ლიუტინგი იმყოფებოდა. ამუნდმა ბრძანა, სადგომში შეეყვანათ იგი, იქ, სადაც ლიუტინგი იჯდა. მან თქვა:

— აქ არის ლიუტინგ სამსტადირელი?

— რა გნებავს ჩემგან? — ჰკითხა ლიუტინგმა.

— მინდა გავიგო, — უთხრა ამუნდმა, — რა საზღაურს გადამისდი მამაჩემისთვის. მე ქორწინების გარეშე ვარ ნაშობი და არავითარი საზღაური არ მიმიღია.

— მე სრული საზღაური გადავუხადე პაპაშენსა და შენს ბიძებსაც, ჩემს ძმებზე კი არავის არაფერი მოუცია. თუ მე ურიგოდ მოვიქეცი, არც ჩემთვის დაუყრიათ ხეირი.

— მე არ გეკითხები, — უთხრა ამუნდმა, — გადაიხადე თუ არა მათზე საზღაური. ვიცი, რომ შერიგდით. მე შენ ვეკითხები, რა საზღაურს გადამიხდი მე.

— არც არაფერს, — მიუგო ლიუტინგმა.

— ვერ გამიგია, — ამბობს ამუნდი, — ღმერთს რა პირით უნდა შესედო, როცა შენი სიტყვები ლახვარივით მსვდება გულში. ამას კი გეტყვი, ორივე თვალში სინათლე რომ მქონდეს, ან გადაგახდევინებდი მამაჩემის საზღაურს, ან სიცოცხლედ დაგისვამდი მის თავს. აწ კი ღმერთმა გაგვსაჯოს.

ამის შემდეგ იგი გამოვიდა და სადგომის კარში რომ გადიოდა, უკან მოტრიალდა. და ის იყო, თვალთ აეხილა. მან თქვა:

— დიდება უფალს, ახლა კი ვხედავ, რა სურს მას.

შემდეგ ისევ სადგომში შევარდა, ლიუტინგს მიეჭრა, ნაჯახი დაპკრა თავში ისე, რომ ყუამდე ჩაატანა, და თავისკენ გამოპკრა. ლიუტინგი პირქვე წაემხო და იქვე მოკვდა.

ამუნდი გასასვლელისკენ გაემართა და იმ ადგილთან რომ მივიდა, სადაც თვალთ აეხილა, სინათლე კვლავ ჩაუქრა თვალებში და ამის შემდეგ იგი სიკვდილამდე ბრმად დარჩა. ამუნდის თხოვნით იგი ნიალთან და მის ვაუებთან მიიყვანეს და ლიუტინგის მოკვლის ამბავი აუწყა მათ.

— ვერ გაგამტყუნებ, — უთხრა ნიალმა, — რადგან გარდუვალი იყო, რაც მოხდა. ყველასთვის ჭკუის სასწავლებელი უნდა იყოს ეგ ამბავი, რათა დროზე გადუსადოს ვალი იმას, ვისაც იგი ერგება.

ამის შემდეგ ნიალმა ლიუტინგის ნათესავებს შერიგება შესთავაზა. საქმეში ჰასკულდ ჰვიტანესგოდი ჩაერია და ლიუტინგის ნათესავები შერიგებაზე დაიყოლია. საქმე მომრიგებელ სამსჯავროს გადასცეს და ჩადენილი დანაშაულისთვის ნასევარი საზღაური დაინიშნა, რადგან ამუნდის მოთხოვნა სამართლიანად იქნა მიჩნეული. შემდეგ ფიცის დადებას შეუდგნენ და ლიუტინგის ნათესავებმა მშვიდობის საწინდარიც მისცეს მას. ხალხი თინგიდან სახლებში წავიდ-წამოვიდა და ერთსანს სიმშვიდე სუფევდა.

107

ვალგარდ რუსი ისლანდიაში დაბრუნდა. ის მაშინ წარმართი იყო. იგი პოვში გაემგზავრა მორდთან, თავის შვილთან, და ზამთარი იქ გაატარა. მან მორდს უთხრა:

— მე აქაურობა სულ მივიარ-მოვიარე და ვსედავ, ბევრი რამ შეცვლილა. ვიყავი ჰვიტანესში, ბევრ ადგილას სადგომის კედლები ამოუყვანიათ და ყველაფერი ყირაზე დაუყენებიათ. თინგსკალარშიც ვიყავი თინგზე და იქაც ჩვენი სადგომის კედლები სულ ერთიანად ჩამოუნგრევიათ. მაინც რისთვის ავუგდივართ აგრე?

მორდმა მიუგო:

— აქ ასალი გოდორდები და მესუოე სამსჯავრო დააწესეს. ხალხი ჩემი გოდორდიდან გამოვიდა და ჰასკულდის გოდორდს შეუერთდა.

ვალგარდმა უთხრა:

— ცუდად გადაგისდია ჩემი ამაგი გოდორდისათვის, რომელიც შენ გადმოგეცი და ვერც სიმედგრე გამოგიჩენია. ახლა იმით უნდა გადაუხადო სამაგიერო, რომ ყველას სიცოცხლე მოუსწრაფო. ეგ კი მაშინ მოხდება, თუ ერომანეთზე გააგულიანებ და არც ცილისწამებას მოერიდები, ვიდრე ნიალის ვაჟები ჰასკულდს არ მოკლავენ. მისთვის ბევრი გამოიდებს თავს და ნიალის ვაჟებსაც თან გადაიყოლებს ეგ ამბავი.

— მე მაგას ვერ მოვახერხებ, — მიუგო მორდმა.

— შენ მე მიგდე ყური, — უთხრა ვალგარდმა, — მოიპატიჟე ნი-

ალის ვაუები და საჩუქრებით გაისტუმრე. ცილისწამებას კი მაშინ მიპყავ სელი, როდესაც თქვენს მეგობრობას წინ აღარაფერი დაუდგება და ისინიც შენ საკუთარ თავზე ნაკლებ არ გენდობიან. მაგით აზღვევინებ სკარპედინს იმას, რომ შენი წილი დოვლათი მიითვისა გუნარის სიკვდილის შემდეგ. ვოდორდობას კი მაშინ ჩაიგდებ სრულად სელში, როცა მაგათი გასაგისი გაწყდება.

ასე გადაწყვიტეს შეესრულებინათ ყველაფერი, რაც ერთმანეთში მოითათბირეს.

მორდმა უთხრა:

— მამაჩემო, უკვე სანში სარ შესული და კარგი იქნება, თუ მოინათლები.

— მაგას არ ვიზამ, — მიუგო ვალგარდმა, — ის მირჩევნია, შენც დაესხნა მაგ სარწმუნოებას და ვნახოთ ერთი, რა მოხდება.

მორდმა ამაზე უარი უთხრა. ვალგარდმა მის თვალწინ დალეწა ჯვარიცა და სხვა წმიდა საგნებიც. მაშინ იგი ავად გახდა, მოკვდა და მიწას მიაბარეს წარმართული წესით.

108

მცირე ხნის შემდეგ მორდი ბერგთორსპვალში გაემგზავრა და სკარპედინს შეხვდა. ტკბილი ლაპარაკი გაუბა, მთელი დღე ენა არ გაუჩერებია და უთხრა, გულით მწადია თქვენთან დაახლოებაო. სკარპედინმა ეს ყველაფერი კარგად მიიღო, მაგრამ ის კი უთხრა, ადრე არ გიძებნიაო ჩვენი გზა. ბოლოს მაინც ისე დამეგობრდნენ, რომ ერთმანეთის დაუკითხავად ნაბიჯს არსად დგამდნენ. ნიალს ვერაფრად ეჭაშნიკებოდა, რომ მორდი მათთან დაიარებოდა და ხშირად გულიც მოსვლია ამაზე.

ერთსელ ისე მოხდა, რომ მორდი ბერგთორსპვალში მივიდა და ნიალის ვაუებს უთხრა:

— ხალხის დაპატიჟებას ვაპირებ, რომ მამაჩემის შესანდობარი დავლიოთ და მინდა გთხოვოთ თქვენ, ნიალის ვაუებსა და კარის, მეწვიოთ, და სიტყვას გაძლევთ, სელცარიელს არ გამოგიშვებთ.

დაპირდნენ მისვლას და მორდიც სასლისკენ გაეშურა სამზადისისთვის. მან მრავალი ბონდი მოიწვია და ნადიმზე სალსმა კარგა ბლომად დაიყარა თავი. კარი და ნიალის ვაუებიც მოვიდნენ.

მორდმა სკარპპედინს ოქროს ბალთა მიართვა, კარის — ვერცხლის სარტყელი. გრიმსა და პელგის მდიდრული საჩუქრები მიუძღვნა. ისინი სახლში დაბრუნდნენ, თავს იწონებდნენ საჩუქრებით და ნიალს უჩვენებდნენ მათ. ნიალმა უთხრა, ძვირად არ დაგიჯდეთო ეგ ძღვენი.

— გაფრთხილდით, ისე არ გადაუხადოთ მაგ საჩუქრების მომცემს, როგორც მას სწადია.

109

მალე პასკულდმა და ნიალის ვაჟებმა ერთმანეთი დაპატიჟეს. პირველად პასკულდი ეწვია მათ. სკარპპედინს ერთი ქურანი პყავდა, ოთხი წლისა, აწვართული და კოხტა, ჯერაც დაუკოდავი და ცხენთა შებრძოლებისთვის გაუხედნელი. ეს ცხენი სკარპპედინმა პასკულდს აჩუქა და ორი ფაშატიც მიაყოლა. ყველამ საჩუქარი მიართვა პასკულდს და თავისი სიყვარულიც დაუდასტურა.

შემდეგ პასკულდმა მიიწვია ისინი ოსაბერში. სტუმარი ბევრი პყავდა და იქაურობა ხალხით იყო სავსე. მან ადრევე დაარღვია თავისი მთავარი საცხოვრებელი სახლი, მაგრამ სამი ფარდული ჰქონდა, სადაც საწოლები გაემზადებინათ. ყველა მოვიდა, ვინც დაპატიჟებული იყო. დიდებული ლხინი გამოუვიდათ და სტუმრებმა წასვლა დააპირეს, პასკულდმა ყველას ძვირფასი საჩუქრები დაურიგა და ნიალის ვაჟები ვამოაცილა. სიგფუსის ძენიც და უამრავი ხალხი თან გაპყვა მათ და ერთმანეთს არწმუნებდნენ, რომ ვერაფერი ვერ შეძლებდა მათ წაკიდებას.

რამდენიმე ხნის შემდეგ ოსაბერში მორდი მივიდა და პასკულდი სალაპარაკოდ გამოიხმო. განცალკევდნენ და საუბარი გააბეს. მორდმა უთხრა:

— რა დიდი განსხვავებაა შენსა და ნიალის ვაჟებს შორის. შენ მათ ძვირფასი საჩუქრები მიუძღვენი, იმათ კი თავიანთი საჩუქრებით მთლად გაგამასხარავეს.

— ეგ საიდან გამოიყვანე? — ჰკითხა პასკულდმა.

— შენ მათ ცხენი გაჩუქეს, რომელსაც სახელად გიუმაჟი უწოდეს, ამით მასსრად აგიგდეს, რადგან ბრძოლებში გამოუცდელად გთვლიან. ისიც შემიძლია გითხრა, რომ მათ შურს ჰგვრის შენი გოდორდი. იგი სკარპპედინმა ჩაიბარა თინგზე, ვიდრე შენ იქ მის-

ვიდოდი მესუთე სამსჯავროში გამოძახებამდე. სკარპედინს აზრადაც არ მოსვლია მაგ ეოდორდის სელიდან გაშვება.

— ეგ ეგრე არ არის, — მიუგო პასკულდმა, — მე იგი შემოდგოშის თინგზე გადმომცეს.

— მაშინ ნიალს დაუყოლიებია, — თქვა მორდმა, — მათ ლიუტინგთანაც დაარღვიეს პირობა.

— არა მგონია, იმათი სელი ერიოს მაგ ამბავში, — მიუგო პასკულდმა.

— იმაზე მაინც ხომ ვერაფერს იტყვი, — თქვა მორდმა, — შენ და სკარპედინი რომ ერთად მიდიოდით მარკარფლიოტისკენ და სკარპედინს ქამრის შიგნიდან ნაჯახი გაუვარდა, რომლითაც მოკვლას გიპირებდა.

— ეგ ხომ, — მიუგო პასკულდმა, — შეშის საჭრელი ცული იყო და მე თავად დავუნახე, როგორ ჩაიტანა იგი ქამარში. აი, მოკლედ რას გეტყვი, — თქვა პასკულდმა, — რაც არ უნდა მითხრა ურიგო ნიალის ვაჟებზე, არაფერს არ დავიჯერებ. მაგრამ ისიც კი რომ მოხდეს, რომ შენი ნათქვამი მართალი გამოდგეს და ან მე უნდა შოვკლა ისინი, ან იმათ მომკლან, მაშინაც კი ვამჯობინებ იმათი სელით დავიღუპო, ვიდრე მათ ვავნო რამე. შენ კი კაი კაცი ვერ ყოფილხარ, რომ მაგას მეუბნები.

მაშინ მორდი შინისკენ გაბრუნდა.

მცირე ხნის შემდეგ მორდი ნიალიანთა მივიდა და დიდხანს ესაუბრებოდა ძმებსა და კარის.

— მითხრეს, — თქვა მორდმა, — პასკულდს უთქვამს თითქოს შენ, სკარპედინ, დაგერღვიოს პირობა ლიუტინგთან. ისიც გავიგე, თითქოს მოსჩვენებია, რომ შენ მისი მოკვლა გდებოდეს გუნებაში, როდესაც შენ და ის მარკარფლიოტში მიდიოდით აღმოსავლეთისკენ. მე კი მგონია, თავად გიპირებდა მოკვლას, როდესაც ნადიმზე დაგპატიჟა და ღამის გასათევად სახლიდან ყველაზე დაშორებულ ფარდულში გაგიტყუა, რომელთანაც მთელ ღამეს შეშას ეზიდებოდნენ და შენი დაწვა უნდოდა მასში. მაგრამ ისე მოხდა, რომ იმ ღამეს პოგნი გუნარის ძე მოვიდა და განზრახვა ვეღარ შეისრულეს, რადგან მისი შეეშინდათ. მერე გამოგაცილათ და თან უამრავი ხალხი ახლდა. მაშინ მან ხელმეორედ დააპირა იერიშის მოტანა თქვენზე და გრანი გუნარის ძეს და გუნარ ლამბის ძეს მიანდო თქვენი მოკვლა. მაგრამ მათ ელდა ეცათ და ვერ შემოგბედეს თავდასხმა.

ეს რომ უთხრა, ისინი თავდაპირველად გამოედავნენ, მაგრამ ბოლოს მაინც დაუჯერეს. მათ გული აიცრუეს პასკულდზე და თითქმის ხმასაც აღარ სცემდნენ, თუ სადმე შეხვდებოდნენ. პასკულდიც ნაკლებად აქცევდა მათ ყურადღებას, და ასე გაიარა რამდენიმე სანმა.

შემოდგომაზე პასკულდი აღმოსავლეთისკენ გაემართა სვინაფელში სტუმრად და ფლოსიმ იგი კარგად მიიღო. პილდიგუნიც იქ იყო. ფლოსიმ პასკულდს უთხრა:

— პილდიგუნმა მითხრა, შენ და ნიალის ვაჟები ძველებურად ველარ ყოფილხართ ერთმანეთში. არ მომწონს ეგ ამბავი და მოდი ასე გავაკეთოთ: ნუღარ დაბრუნდები დასავლეთში, მე შენ სკაფტაფელში დაგაბინავებ და ოსაბერში საცხოვრებლად კი ჩემს ძმას თორგეირს გავგზავნი.

— მაშინ ზოგი იტყვის, — თქვა პასკულდმა, — შიშმა გააქცია აქედანო და მაგას კი ვერავის ვერ ვათქმევინებ.

— მაშ, ეტყობა, — თქვა ფლოსიმ, — ცუდი ამბავი დატრიალდება.

— საწყენია, — თქვა პასკულდმა, — რადგან მირჩევნია საზღაურად არ დავუჯდე არავის, ვიდრე ბევრი ადამიანის უბედურების მიზეზი გავხდე.

რამდენიმე დღის შემდეგ პასკულდი შინ წასასვლელად აიყარა. ფლოსიმ მას ძოწისფერი წამოსასხამი აჩუქა, კიდეებში ძირამდე მაქმანშემოვლებული. პასკულდი შინ დაბრუნდა ოსაბერში. ერთხანს სიწყნარე იყო.

პასკულდი ისე უყვარდათ, რომ იშვიათად თუ ვინმეს ედო მისი მტრობა გულში, მაგრამ მასსა და ნიალის ვაჟებს შორის შუღლი მთელი ზამთრის განმავლობაში არ განელებულა.

ნიალმა აღსაზრდელად აიყვანა კარის შვილი, რომელსაც თორდი ერქვა. მან აღზარდა აგრეთვე თორპალ ასგრიმის ძე და ელიდიგრიმის შვილიშვილი. თორპალი მსნე და მტკიცე სასიათის კაცი იყო ყველაფერში. მან ნიალისგან ისე შეისწავლა კანონები, რომ ისლანდიაში მესამე კაცად ითვლებოდა კანონთმცოდნეობაში.

იმ წელს ნაადრევი გაზაფხული დაიჭირა და ხალხი პურის თესვას შეუდგა.

110

ერთ დღეს მორდი ბერგთორსპვალში ამოვიდა. იგი მაშინვე განცალკევდა ნიალის ვაუებთან და კარისთან სალაპარაკოდ, მოპყვა თავისებურად პასკულდის ლანძღვას. რაღა არ დასწამა და მერე არც აცივა, არც აცხელა და სკარპედინსა და დანარჩენებს ურჩია, მოეკლათ პასკულდი; თან დააყოლა, ის დაგასწრებთ, თუ ასლავე არ დაესხმით თავსო.

— შენებურად გავაკეთებთ, — უთხრა სკარპედინმა, — თუ შენც ჩვენთან ერთად წამოხვალ და ხელსაც გაურევ ამ საქმეში.

— მაგაზე უკან არ დავიხევ, — უთხრა მორდმა.

ხელი ხელს დაპკრეს და მორდი საღამოსთვის დაიბარეს.

ბერგთორამ ნიალს პკითხა:

— რა ლაპარაკი აუტყდათ გარეთ?

— უჩემოდ მოითათბირეს რაღაცა, — მიუგო ნიალმა, — იშვიათად აუქცევიათ ჩემთვის მსარი, როცა კარგ გზას დასდგომიან.

იმ საღამოს არც სკარპედინი, არც მისი ძმები და არც კარი არ დაწოლილან დასაძინებლად. იმავე ღამეს მოვიდა მორდ ვალგარდის ძე. ნიალის ვაუებმა და კარიმ იარაღს წამოავლეს ხელი და ყველამ ერთად გაქუსლა. იარეს, ვიდრე ოსაბერში არ მივიდნენ, და მესერთან დაუდარაჯდნენ. კარგი ამინდი იდგა და მზეც ამოიწვერა.

111

ამ დროს პასკულდ პვიტანესგოდიმ გაიღვიძა, ტანთ ჩაიცვა და ფლოსის ნაჩუქარი წამოსასხამი მოისურა. ცალ ხელში სორბლით სავსე კოთხო დაიჭირა, მეორეში მასვილი; გავიდა მინდორში, რომელსაც მესერი პქონდა შემოვლებული, და თესვას მიპყო ხელი.

სკარპედინმა და დანარჩენებმა მოითათბირეს, რომ ყველა ერთად დაესხმოდა თავს. სკარპედინი მესერის უკნიდან გამოუსტა და პასკულდმა რომ დაინახა, გაქცევა დააპირა, მაგრამ სკარპედინი ჯიქურ ზედ მივარდა და უთხრა:

— ადგილიდან არ გაინძრე, პვიტანესგოდი!

და თავში დაპკრა ნაჯასი. პასკულდი ჩაიკეცა, მუხლებზე დაეცა და თქვა:

— ღმერთი იყოს ჩემი შემწე და თქვენც მოგიტევოთ.

მაშინ მიეხივნენ და ყველამ სათითაოდ სცა მახვილი. მორდმა თქვა:

— ერთი აზრი მომივიდა.

— რა აზრი? — ჰკითხა სკარპედინმა.

— ის, რომ ჯერ მე წავალ სასლში, იქიდან კი გრიოტში ავალ, და შევატყობინებ ამ ამბავს და დავგმობ კიდეც. დანამდვილებით ვიცი, თორგერდი მოითხოვს, რომ განვაცხადო ეს მკვლელობა. მე აგრეც მოვიქცევი და ეს მათ საქმეს წაუსდენს. ოსაბერშიც კაცს გავგზავნი იმის გასაგებად, თუ რას აპირებენ და ეს კაცი ამ ამბავსაც იქ შეიტყობს, მე კი თავს ისე დავიჭერ, თითქოს მათგან გავიგე ყველაფერი.

— აუცილებლად ეგრე გააკეთე, — უთხრა სკარპედინმა.

ძმები და კარი სასლისკენ გაუდგნენ გზას. შინ რომ მივიდნენ, ნიალს მოუთხრეს, რაც მოხდა.

— სავალალო ამბავია, — თქვა ნიალმა, — მწყინს მაგის გაგება და, თუ სიმართლე გინდათ გითხრათ, იმდენად გულს მიკლავს ეგ უბედურება, რომ მერჩია ორი საკუთარი შვილი მომკვდომოდა, ოღონდ პასკულდს ეცოცხლა.

— აბა, რა უნდა გითხრა, — მიუგო სკარპედინმა, — დაბერებულსარ და იმიტომაც ეგრე გერევა დარდი.

— სიბერეზე როდია საქმე, — თქვა ნიალმა, — მე უფრო ვიცი, რაც მოჰყვება მაგას.

— რა მოჰყვება? — ჰკითხა სკარპედინმა.

— ჩემი სიკვდილი, — მიუგო ნიალმა, — ჩემი ცოლისა და ყველა ჩემი ვაჟის სიკვდილი.

— მე რაღას მეტყვი? — ჰკითხა კარიმ.

— ძალზე გაუჭირდებათ შენს ბედს წინ გადაუდგნენ, — მიუგო ნიალმა, — საბოლოოდ ყველას შენ აჯობებ.

პასკულდის სიკვდილს ნიალი ძლიერ განიცდიდა და ისე ვერ ასსენებდა მის სასელს, რომ სლუკუნი არ ავარდნოდა.

პილდიგუნს გაეღვიძა და დაინახა, რომ პასკულდი თავის საწოლში აღარ იყო. მან თქვა:

— ცუდი და ავის მომასწავებელი სიზმარი ვნახე. მოძებნეთ პასკულდი.

მთელი სასლი გადააბრუნეს, მაგრამ ვერსად ·მიაგნეს. მაშინ პილდიგუნმა ტანთ ჩაიცვა და ორი კაცის თანხლებით მინდორში გავიდა. აქ მათ მოკლული პასკულდი ნახეს. ამ დროს მორდ ვალგარდის ძის მეცხვარე მოვიდა და პილდიგუნს უთხრა, ეს არის ნიალის ვაჟებმა აიარესო.

— სკარპედინმა დამიძახა და მითხრა, შე ექენიო ეგ საქმე, — თქვა მან.

— პატარა გმირობა როდი ვამოუჩენია, — თქვა პილდიგუნმა, — თუ მარტო მისი ნამოქმედარია.

მან მოსასხამი აიღო, მოსწმინდა სისხლი და შიგ შეახვია მოელი შედედებული სისხლი, ისევე დაკეცა მოსასხამი და სკივრში შეინახა. შემდეგ კაცი გაგზავნა გრიოტში და შეატყობინა, რაც მოხდი. მორდი უკვე მისულიყო და ყველაფერი ეამბნა. აქვე მოვიდა კეთილ მარკელი. თორგერდმა კეთილს უთხრა.

— აპა, ხომ ხედავ, პასკულდიც მოგვიკლეს. ახლა კი გაიხსენე შენი დანაპირები.

— შეიძლება მაშინ, — თქვა კეთილმა, — მეტისმეტი მომივიდა, როცა პირობას ვდებდი, რადგან არ მეგონა თუ ეს დღე დაგვიდგებოდა. ახლა კი რა ვქნა, ცხვირი პირიდან არ მოიჭრებაო და მე ხომ ნიალის ქალი მყავს ცოლად.

— შენ გინდა თუ არა, — პკითხა თორგერდმა, — რომ მორდმა ეს მკვლელობა განაცხადოს?

— აბა, რა ვიცი, — მიუგო კეთილმა, — მისგან ავს უფრო უნდა ელოდეს კაცი, ვიდრე სიკეთეს.

მაგრამ, როგორც კი მას მორდმა დაუწყო ლაპარაკი, კეთილსაც ის დაემართა, რაც სხვებს მოსდიოდათ: მოეჩვენა, რომ შეიძლებოდა მორდის ნდობა, და გადაწყდა მორდს განეცხადებინა მკვლელობის ამბავი და თინგზე დავის წამოწყების სამზადისსაც შესდგომოდა.

ბორდი ოსაბერში გაემართა. იქვე მოვიდა ცხრა მეზობელი, რომლებიც ყველაზე ახლოს ცხოვრობდნენ მკვლელობის ადგილთან. მორდს თან ათი კაცი ახლდა. მორდმა მეზობლებს პასკულდის ჭრილობები უჩვენა, დაიმოწმა ამ ჭრილობების მნახველნი და საოთოთაოდ ჩამოთვალა, ვინ რომელი ჭრილობა მიაყენა, გარდა ერთისა, თითქოს არ იცოდა, ვინ მიაყენა პასკულდს ეს ჭრილობა, სინამდვილეში კი თვითონ მისი ნახელავი იყო. მკვლელად სკარპედინი გამოაცხადა, ჭრილობების მიმყენებლებად კი მისი ძმები და კარი. შემდეგ მკვლელობის ადგილთან მცხოვრები ცხრავე მეზობელი ალთინგზე მიიწვია. ამის მერე კი იგი სასლში გაეშურა. იგი თითქმის არ ხვდებოდა ნიალის ვაჟებს და, თუ სადმე გადაეყრებოდა, კუშტად შესცქეროდა, რადგან ასე პქონდათ დათქმული.

პასკულდის მკვლელობის ამბავი მთელმა სალსმა გაიგო და ყველა გმობდა ამ საქციელს. ნიალის ვაჟები ასგრიმ ელიდი-გრიმის ძესთან გაემგზავრნენ და მხარდაჭერა სთხოვეს.

— იმედი გქონდეთ, — უთხრა მან, — რომ მე მხარში ამოგიდგებით, რა დიდი საქმეც არ უნდა იყოს, თუმცა გული ცუდს მიგრძნობს, რადგან ხისლის აღებას ბევრი გაიძახის და ყველგან გძრახავენ მაგ მკვლელობისათვის.

ამრიგად, ნიალის ვაჟები სასლისკენ გამოემართნენ.

113

ერთ კაცს გუდმუნდ მძლავრი ერქვა. იგი მადრუველირზე ცხოვრობდა ეიაფიორდში. მისი მამა იყო ეიოლვი, ძე ეინარისა, შვილიშვილი აუდუნ კოტორასი, შვილიშვილის შვილი თორლევ ქონიანისა, შვილიშვილის შვილიშვილი თორსტეინ კეთროვანისა. შვილიშვილის შვილიშვილის შვილი გრიმ კამბანისა. გუდმუნდის დედა იყო პალბერა, ასული თოროდ ზუჩისა, პალბერას დედას კი რეგინლეივი ერქვა და მისი მამა იყო სემუნდი პებრიდის კუნძულებიდან. მისი სახელი ეწოდება სემუნდარპლიდს (სემუნდის ფერდობი) სკაგაფიორდში. გუდმუნდის მამის ეიოლვის დედა იყო ვალბორგი, რომლის დედა იყო იორუნ უშობელი, ასული კონუნგ წმიდა ოსვალდისა. ეიოლვის მამის ეინარის დედა იყო პელგა, ასული პელგი მჭლესი, რომელიც ეიაფიორდში დასასლდა. პელგის მამა

იყო ეივინდ ნორვეგიელი, დედა კი რავარტა, ასული ირლანდიის მეფის კიარვალისა. პელგი მჭლეს ასულის პელგას დედა იყო თორუნ რქოსანი, ასული კეთილ ცსვირპაჭუასი, შვილიშვილი ბიარნ სარისფესასი, შვილიშვილის შვილი პერსირ გრიმისა. გრიმის დედა იყო პერვარი, პერვარის დედა კი იყო თორგერდი, ასული პალოგალანდის კონუნგ პალეიგისა.

გუდმუნდ მძლავრის ცოლს ერქვა თორლაუგი. იგი იყო ასული ატლი ღონიერისა, რომლის მამაც იყო ეილივ არწივი, შვილი ბარდ ალელისა, შვილიშვილი კეთილ მელასი, შვილიშვილის შვილი სკიდ ბებრისა. თორლაუგის დედას ერქვა პერდისი, იგი იყო ასული თორდ პაუდელისა, რომლის მამაც იყო ბიარნ ზეთის ვარცლი, ძე პროალდისა. პროალდის მამას ერქვა ბიარნ რკინისგვერდა, მისი მამა კი იყო რაგნარ ლოდბროკი, ძე სიგურდ ბეჭდისა, შვილიშვილი რანდვერისა, შვილიშვილის შვილი რადბარდისა. თორდის ასულის პერდისის დედა იყო თორგერდი, სკიდის ასული. მისი დედა იყო ფრიგერდი, ასული ირლანდიის მეფის კიარვალისა.

გუდმუნდი სასელოვანი პავდინგი და შეძლებული კაცი იყო. მისი სასლეული ას კაცამდე აღწევდა. მას შეეწროებული პყავდა ჩრდილოელი პავდინგები ისე, რომ ზოგმა მიატოვა თავისი კარ-მიდამო და იქიდან გადაიბარგა, ზოგს სიცოცხლე მოუსწრაფა, ზოგმაც მას დაუთმო თავისი გოდორდი. მისგან წარმოიშვნენ ისლანდიის ყველაზე სასელოვანი ადამიანები: ოდის მცხოვრებნი და სტურლუნგები, პვამის მკვიდრნი და ფლიოტელები, კეთილ ეპისკოპოსი და ბევრი სხვა გამოჩენილი ადამიანი.

გუდმუნდი ასგრიმ ელიდი-გრიმის ძეს მეგობრობდა და ასგრიმს მისი მსარდაჭერის იმედი პქონდა.

114

ერთ კაცს სნორი ერქვა, მეტსასელად გოდის ეძახდნენ. იგი პელგაფელში ცხოვრობდა, ვიდრე გუდრუნმა, ოსვივრის ასულმა არ შეისყიდა მისი კარ-მიდამო, სადაც მან თავისი დღენი დალია. შაშინ სნორი პვამსფიორდში გადასახლდა და სელინგსდალსტუნგში დაბინავდა. სნორის მამას თორგრიმი ერქვა. იგი იყო შვილი თორსტეინ ვირთევზასი, შვილიშვილი თოროლვ მოსტრელი წვეროსა-

ნისა, შვილიშვილის შვილი არნოლვ თევზირეკიასი. თუმცა არი ბრძენი ამბობს, თოროლვი თორგილ ვეშაპგვერდას შვილი იყოვო. თოროლვ მოსტრელ წვეროსანს ცოლად ჰყავდა ოსკი, თორსტეინ წითურის ასული. თორგრიმის დედას თორა ერქვა, იგი იყო ასული ოლეივ გაუბედავისა, შვილიშვილი თორსტეინ წითურისა, შვილიშვილის შვილი ოლეივ თეთრისა, შვილიშვილის შვილიშვილი ინგიალდისა, შვილიშვილის შვილიშვილის შვილი ჰელგისა. ინგიალდის დედას ერქვა თორა. იგი იყო ასული სიგურდ გველისთვალასი, შვილიშვილი რაგნარ ლოდბროკისა. სნორი გოდის დედა იყო თორდისი, სურტის ასული, გისლის და.

სნორი ასგრიმ ელიდი-გრიმის ძის დიდი მეგობარი იყო და ასგრიმი მისგან მსარდაჭერას ელოდა. სნორი ყველაზე ჭკვიანი კაცი იყო იმათ შორის, ვისაც ნათელმხილველობის უნარი არ ჰქონდა. მოყვარეთ კეთილად ექცეოდა, მაგრამ მტრებს კი არ ინდობდა.

იმსანად თინგზე აუარებელი ხალხი გაემგზავრა ყველა მეოთხედიდან და ბევრმა წამოიწყო თავისი დავა.

115

ფლოსიმ ჰასკულდის მოკვლის ამბავი შეიტყო, რამაც ძალზე დასწყვიტა გული და დიდად განარისხა, მაგრამ თავი შეიკავა. მას უთხრეს, რომ მზადდებოდა დავა ჰასკულდის მკვლელების წინააღმდეგ, მაგრამ ფლოსის კრინტი არ დაუძრავს. მან სიდელ ჰალს, თავის სიძეს, და ლიოტს, თავის ეაუს, შეუთვალა, რაც შეიძლება ბევრი ხალხი წამოეყვანათ თინგზე. ლიოტზე ამბობდნენ, ისეთი ჰავდინგი დადგება, აღმოსავლეთს რომ არ მოსწრებიაო. უწინასწარმეტყველეს კიდეც, თუ სამ ზაფხულს დაესწრო თინგს და შინაც უვნებელი დაბრუნდა, მაშინ იგი ყველაზე დიდი და უფროსი ჰავდინგი გახდებაო თავის გვარში. ერთხელ უკვე ნამყოფი იყო თინგზე და ახლა მეორედ ეპირებოდა იქით. ფლოსიმ კაცი გაუგზავნა კოლ-თორსტეინის ძესა და გლუმ ჰილდირის ძეს, გეირლეივის შვილიშვილს, ანუნდ ზურგჯიბის შვილიშვილის შვილს, და მოდოლვ კეთილის ძეს. მთელი ეს ხალხი ფლოსის შესახვედრად დაიძრა. ჰალმაც ბლომად ხალხის მოყვანა ითავა.

ფლოსიმ კირკიუბერს მიაშურა და სურტ ასბიარნის ძე ინახუ-

ლა. იქიდან მან თავისი ძმისწული, კოლბეინ ეგილის ძე დაიბარა და ისიც მოვიდა.

იქიდან ფლოსი პავდაბრეკას გაემართა. აქ ცხოვრობდა თორგრიმ პრანჯია, თორკილ ლამაზის ძე. ფლოსიმ სითოვა ალთინგსე წაპყოლოდა, ისიც დაეთანხმა და უთხრა:

— ბევრჯერ მინახავსარ უფრო კარგ გუნებაზე, ძმობილო, თუმცა კარგად მესმის, რაც გაწუხებს.

ფლოსიმ მიუგო:

— სიმართლე გითხრა, ყველაფერს დავთმობდი, რაც კი რამ მაბადია, ოღონდ ეს არ მომხდარიყო. ღვარძლიდან ხეირიანი ნაყოფი ვერ იხარებს.

იქიდან იგი არნარსტაკსპეიდის ველზე გაემართა და საღამოს სოლპეიარში მივიდა. აქ ცხოვრობდა ლოდმუნდ ულვის ძე, ფლოსის დიდი მეგობარი. ფლოსი ღამის გასათევად მასთან დარჩა. დილით კი ლოდმუნდი მასთან ერთად დალის ველისკენ გაემართა. აქ ცხოვრობდა რუნოლვი, ულვ აურგოდის შვილი. ფლოსიმ რუნოლვს უთხრა:

— ახლა უნდა გაგვაგებინო სიმართლე, როგორ მოკლეს პასკულდ პვიტანესგოდი. შენ ალალ-მართალი კაცი ხარ და ეგ ამბავიც სხვაზე უკეთ უწყი. ისე, რომ ყველაფერს დავიჯერებ, რასაც იტყვი. იმის შესახებ, თუ რა მოხდა მათ შორის.

რუნოლვმა თქვა:

— ვერაფრით მაგ საქმეს ვერ გაამართლებ, კაცს ერთი ბეწო ბრალი არ მიუძღოდა, ისე გაასაღეს. ყველა დასტირის, მაგრამ არავინ ისე ცხარედ არ იგლოვს, როგორც ნიალი, მისი აღმზრდელი.

— მაშინ გაუჭირდებათ მომხრეების მოძებნა, — თქვა ფლოსიმ.

— ეგრეც იქნება, — მიუგო რუნოლვმა, — თუ არაფერი გამოტყვრა.

— ჯერჯერობით რა ქნეს? — ჰკითხა ფლოსიმ.

— მეზობლებს გამოუძახეს თინგზე, — მიუგო რუნოლვმა, — და მკვლელობის ამბავიც გამოაცხადეს.

— ვინ გააკეთა ეგ? — ჰკითხა ფლოსიმ.

— მორდ ვალგარდის ძემ, — მიუგო რუნოლვმა.

— არის კი საიმედო? — ჰკითხა ფლოსიმ.

— ნათესავად მერგება, — თქვა რუნოლვმა, — მაგრამ მაინც უნ-

და ვთქვა, რომ ბევრს მისგან სიგლახე უფრო ახსოვს, ვიდრე სიკეთე. ახლა ამას გთხოვ, ფლოსი, რისხვა დაიცხრო და ითავო, თუკი რამე შემოეკლება ამ დავიდარაბას, რაკი ნიალიცა და სხვა ღირსეული ადამიანები საპატიო წინადადებას შემოგთავაზებენ.

ფლოსიმ უთხრა:

— წამოდი თინგზე, რუნოლვ, და სიტყვა შემომაწიე, თუ უარესად არ დატრიალდა საქმე.

ამით მოათავეს ლაპარაკი და რუნოლვმა თინგზე წაყოლა აღუთქვა. მან კაცი გაუგზავნა პავრ ჭკუიანს, თავის ნათესავს, და ისიც მაშინვე მოვიდა.

ფლოსი იქიდან ოსაბერში ავიდა.

116

პილდიგუნი ეზოში იყო. მან თქვა:

— დაე, ყველა მამაკაცი, ვინც შინ არის, გარეთ გამოვიდეს, როდესაც ფლოსის ცხენი ფეხს შემოდგამს ჩვენს კარ-მიდამოზე, ქალებმა სახლი მიალაგონ და ფარდები ჩამოაფარონ, ფლოსის კი საპატიო სკამი განუმზადონ.

მალე ფლოსიმ ეზოში ცხენი შემოაგელვა. პილდიგუნი წინ მიეგება და უთხრა:

— კეთილი იყოს შენი მობრძანება, მოკეთეე, რადგან გულს მიხარებს შენი დარბაზობა.

— ჩვენ აქ, — მიუგო ფლოსიმ, — წავიხემსებთ და ისევ ჩვენს გზას გავუღგებით.

ცხენები დააბეს. ფლოსი სახლში შევიდა, დაჯდა, საპატიო სკამი იატაკზე მიაგდო და თქვა:

— მე არც კონუნგი ვარ და არც იარლი. ტყუილად მიდგამ მაგ საპატიო სკამს და არც ჩემი დაცინვა გეკადრება.

პილდიგუნი გვერდით ედგა. მან თქვა:

— დასანანია, რომ არ გესიამოვნა, რადგან ჩვენ ეგ წრფელი გულით გავაკეთეთ.

ფლოსიმ თქვა:

— თუ წრფელი გულით მეპყრობი, მაშინ სწორი საქმე თავისთავად გაიგნებს გზას, ცუდს კი თავისი მიეზღვის.

პილდიგუნმა ციცად ვაიცინა და უთხრა:

— ღირს კი მაგაზე ლაპარაკი. ჯერ ადრეა.

იგი გვერდით მიუჯდა ფლოსის და დიდხანს საუბრობდნენ სმა-ლაბლა. შემდეგ სუფრა გაშალეს. ფლოსი და მისი ხალხი ხელას ბანას შეუდგნენ. ფლოსიმ პირსასოცს დასედა და დაინახა, რომ იგი სულ დაძენძილი და ბოლომოსეული იყო. ფლოსიმ იგი სკამზე მოისროლა, რადგან არ ისურვა ამ პირსასოცით ხელის შემშრალება, სუფრას ბოლო მოასია, ხელი შეიმშრალა და ნაჭერი თავისიანებს გადაუგდო. შემდეგ მაგიდას მიუჯდა და სალხს სთხოვა, მიირთვითო. ამ დროს ოთახში პილდიგუნი შემოვიდა, თვალებზე ჩამოშლილი თმები უკან გადაიყარა და ატირდა. ფლოსიმ უთხრა:

— დარდს დაუჯაბნიხარ, ჩემო ნათესავო, მაგრამ ეგ ცრემლები მადლიანია, რადგან კარგ კაცს იგლოვ.

— რითი შემიწყობ ხელს პასკულდის მკვლელების წინააღმდეგ, — პკითხა პილდიგუნმა, — და რა დახმარებას გამიწევ?

ფლოსიმ მიუგო:

— მე ბოლომდე მივყვები შენს საქმეს, ან ისეთ მშვიდობას ჩამოვაგდებ, რომელიც ყოველმხრივ პატივს დაგვდებს ღირსეული ხალხის თვალში.

პილდიგუნმა უთხრა:

— საჭირო რომ გამხდარიყო, პასკულდი შენთვის შურს იძიებდა.

ფლოსიმ უთხრა:

— მძვინვარება არ გკლებია და ვხედავ, რაც ენებავს.

პილდიგუნმა თქვა:

— არნორს, ფორსარსკოგარელი არნოლვის ძეს მაგდენი არ დაუშავებია მამაშენის, თორდ ფრეისგოდისთვის, მაგრამ შენმა ძმებმა, კოლბეინმა და ეგილმა თინგზე მოკლეს იგი სკაფტაფელში.

პილდიგუნი მეორე ოთახში გავიდა და თავისი სკივრი გახსნა, ამოიღო ფლოსის მიერ პასკულდისთვის ნაჩუქარი წამოსასხამი, რომელშიც იგი მოკლეს, და რომელშიც პილდიგუნი ინახავდა პასკულდის სისხლს. პილდიგუნი ამ წამოსასხამით ოთახში შემოვიდა და ხმაამოუღებლად ფლოსის მიადგა. ფლოსის ჭამა უკვე მოეთავებინა და მაგიდაც ალაგებული იყო. პილდიგუნმა მას ზედ გადააფა-

რა წამოსასსამი ისე, რომ მთელი გამხმარი სისხლი თავზე დაეყარა. მაშინ პილდიგუნმა თქვა:

— ეგ წამოსასსამი, ფლოსი, შენ უბოძე პასკულდს და ახლა მინდა უკან დაგიბრუნო. სწორედ მაგ წამოსასსამში მოკლეს იგი. მოწმედ მყავდეს ღმერთი და კეთილი ხალხი, რომ გაფიცებ მაგ შენი ქრისტეს ყველა სასწაულს, შენს ვაჟკაცობასა და კეთილშობილებას, შური იძიო ამ ჭრილობებისათვის, რომლებმაც იგი იმსხვერპლეს, არადა, დაე, სულმდაბალი უნამუსო გიწოდოს ყველამ.

ფლოსიმ წამოსასსამი მოიშორა, უკანვე მიუგდო სელებში და უთხრა:

— ნამდვილი ალქაჯი ყოფილხარ და გინდა ისეთი საქმე დაგვაწყებინო, რაც ყველას უბედურებას გვწვევს. ტყუილად როდი უთქვამთ, ქალის დაქცეულიაო ეს ქვეყანა.

ფლოსი ისე იყო აფორიაქებული, რომ სახეზე ხან სისხლივით წითლდებოდა, ხან სმელი ბალახივით კარგავდა ფერს და ხანაც ისე ლურჯდებოდა, რომ მკვდარს ემსგავსებოდა.

ფლოსი და მისი ხალხი წავიდნენ. იგი პოლტსვადის ფონთან მიეყიდა და აქ დაელოდა სიგფუსის ვაჟებს და სხვა თავისიანებს.

პასკულდ ნიალის ძის დედის პროდნიუს ძმის ინგიალდის კარმიდამოს კელდური ეწოდებოდა. ინგიალდი და პროდნიუ იყვნენ შვილები პასკულდ თეთრისა, რომლის მამა იყო ინგიალდ ძლიერი. შვილი გეირფინ წითურისა, შვილიშვილი სალვისა, შვილიშვილის შვილი გუნსტეინ ბერსერკთმულეტისა. ინგიალდს ცოლად პყავდა თრასლაუგი, ასული ეგილისა, თორდ ფრეისგოდის ძისა. ეგილის დედა იყო თრასლაუგი, თორსტეინ სირის ასული. თრასლაუგის დედა იყო უნი, ეივინდ ქორჭილას ასული.

ფლოსიმ ინგიალდს შეუთვალა მასთან მოსულიყო. ინგიალდი მაშინვე გამოეშურა და თან თსუთმეტი კაცი იასლა. იგი მაღალი, ძალოვანი კაცი იყო. ლაპარაკი არ უყვარდა. უშიშარი მეომარი იყო და მეგობრებისათვის არაფერი შურდა. ფლოსი სიხარულით მიეგება მას და უთხრა:

— ძნელ საქმეში გავებით, ჩემო მოყვარეო, და იოლი როდია თავის დაღწევა. ჩემი სათხოვარი ის არის, არ მიმატოვო ამ საქმეში, ვიდრე გაწამაწიას არ მოვრჩებით.

ინგიალდმა თქვა:

— მე თვითონაც ცუდ დღეში ვარ, რადგან ნიალი და მისი ვაჟები ნათესავებად მერგებიან, და სხვა დიდი ამბებიც არის შუაში გაჩსერილი.

ფლოსიმ თქვა:

— მე მგონი, როცა ცოლად ჩემს ძმისშვილს გატანდი, პირობა მომეცი, რომ ყოველთვის მსარში ამომიდგებოდი, რა საქმეც არ უნდა ყოფილიყო.

— ალბათ, — მიუგო ინგიალდმა, — ეგრეც გავაკეთებ, მხოლოდ ჯერ მაინც მინდა შინ შევიარო და იქიდან თინგზე წამოვალ.

117

სიგფუსის ვაჟებმა შეიტყვეს, რომ ფლოსი პოლტსვადის ფონთან იმყოფებოდა და იქით გაემართნენ მასთან შესახვედრად. აქ იყვნენ კეთილ მარკელი და მისი ძმა, ლამბი, თორკელი და მორდი, სიგფუსის ვაჟები და მათი ძმა სიგმუნდი, ლამბი სიგურდის ძე, გუნარ ლამბის ძე, გრანი გუნარის ძე და ვებრანდ პამუნდის ძე. ფლოსი მათ შესასვედრად წამოდგა და სიხარულით მიეგება. ისინი მდინარისკენ წავიდნენ და ფლოსიმ სთხოვა, სიმართლე ეამბნათ მისთვის და მათი მონათხრობი ზუსტად დაემთხვა დალელი რუნოლვის ნათქვამს. ფლოსიმ კეთილ მარკელს უთხრა:

— აი, რა მინდა გკითხო: მომყვებით თუ არა ბოლომდე ამ საქმეში შენ და სიგფუსის ვაჟები?

კეთილმა მიუგო:

— მე ის მინდა, რომ ჩვენს შორის მშვიდობა ჩამოვარდეს. მაგრამ ფიცი მაქვს დადებული არ მოვეშვა ამ საქმეს, ვიდრე როგორმე არ დამთავრდება იგი, და თავი არ დავზოგო მისთვის.

ფლოსიმ უთხრა:

— ვაჟკაცი ყოფილხარ, ნეტავ ბევრნი იყვნენ შენისთანანი.

მაშინ გრანი გუნარის ძე და გუნარ ლამბის ძე ერთად ალაპარაკდნენ:

— ჩვენ კანონგარეშე გამოცხადებას და სიკვდილით დასჯას მოვითხოვთ.

ფლოსიმ თქვა:

— ჩვენ არც არჩევანს გვეკითხება ვინმე და არც არადანს.

გრანიმ თქვა:

— როცა მარკარფლიოტზე თრაინი მოკლეს და მერე მისი შვილი პასკულდი, მე მაშინვე ჩავიდე გულში, რომ არასოდეს სამუდამოდ არ შევურიგდებოდი მათ. იმასღა ენატრობ, ნეტავ იქ მამყოფა, სადაც მაგათ დასოცავენ სათითაოდ.

ფლოსიმ თქვა:

— აკი, ისე ასლოს იყავ მათთან, რომ შეგეძლო შური გეძია, თუ გულიც გერჩოდა და მკლაეიც. მე კი მგონია, ერთი დროც იქნებ:. როდესაც შენცა და ბევრი სხვაც არაფერს არ დაიშურებთ, ოღონდ მაგ საქმეში არ იყოთ გარეული, ახლა რომ ასე ხართ მოწადინებული. აშკარად ვსედავ, თუ ნიალი მოვკალით ან მისი შვილები დავსოცეთ, მაგათ რომ სასელი აქვთ, ალბათ იმდენი ხალხი აგვიტყდება, რომ მერე ბევრს ჩავუვარდებით მუსლებში და ხვეწნას დავუწყებთ, მსარი დაგვიჭირონ, ვიდრე ამ ჭირს მოვრჩებით. იმასაც ელოდეთ, რომ ბევრი გაღატაკდება, ეისაც ადრე დიდი დოვლათი ჰქონდა და ზოგი კი ქონებასაც დაკარგავს და თავსაც.

მორდ ვალგარდის ძე ფლოსის სანასავად მოვიდა და მასთან ერთად თინგზე წასვლის სურვილი გამოთქვა თავისი ხალხითურთ. ფლოსი კმაყოფილი დარჩა და სთხოვა თავისი ასული რანვეიგი გაერიგებინა ფლოსის ძმისწულის სტარკადისათვის, რომელიც სტავაფელში ცხოვრობდა. ფლოსის ამით მორდისა და მისიანების ერთგულების განმტკიცება სწადდა. მორდმა დააიმედა, მაგრამ გიცურ თეთრს მიანდო ეს საქმე და სთხოვა, თინგზე ელაპარაკა ამის შესახებ. მორდს ცოლად ჰყავდა თორკატლა, გიცურ თეთრის ასული. მორდი და ფლოსი ერთად გაემართნენ თინგზე და მთელი დღე საუბარში გაატარეს.

118

ნიალმა სკარპედინს ჰკითხა:

— ახლა რა გაქვთ გუნებაში ძმებსა და სიძეს?

სკარპედინმა მიუგო:

— ჩვენ ბევრი ფიქრი არ ვიცით, როცა რამეს ვაპირებთ. შენ კი გეტყვი, რომ ჯერ ტუნგაში წავალთ ასგრიმთან, ელიდი-გრიმის ძესთან, მერე თინგზე. შენ საით გიჭირავს გეზი, მამაჩემო?

ნიალმა მიუგო.

— მე თინგზე წავალ, რადგან ჩემი ღირსების საკითხია, არ მიგატოვოთ არც ერთ საქმეში, ვიდრე ცოცხალი ვარ. მე მგონი, ბევრი გაიმეტებს ჩემთვის კეთილ სიტყვას და თუ რამეში გამოვადგებით, თორემ არაფერს არ დაგიშავებთ.

იქვე იყო თორჰალ ასგრიმის ძე, რომელსაც ნიალი ზრდიდა. ნიალის ვაჟებმა მას სიცილი დააყარეს, რადგან რაღაც უშნო ყავისფერარშიებიანი შინნაქსოვი მაუდის წამოსასხამი მოესურა, და პკითხეს, როდემდე აპირებ მაგის ტარებასო. თორპალმა მიუგო:

— ამას მაშინ გადავაგდებ, როცა ჩემი აღმზრდელის მოკვლისათვის დავის წამოწყება დამჭირდება.

ნიალმა უთხრა:

— მაშინ დაანახვებ ყველას, რა ბიჭიც ყოფილხარ.

ყველანი აიყარნენ, სახლიდან გავიდნენ, თითქმის ოცდაათი კაცი, და იარეს, ვიდრე მდინარე თიორსას არ მიადგნენ. აქ მათ წამოეწიენენ ნიალის ნათესავები, თორლეივ ყორანი და თორგრიმ ვეება. ისინი პოლტელი თორირის შვილები იყვნენ. მათ ნიალის ვაჟებს თავიანთი მხარდაჭერა და თინგზე სლება აღუთქვეს და ისინიც სისარულით დაეთანხმნენ. ყველა ერთად გადავიდა თიორსაზე და ლაქსარბაკამდე მივიდნენ. აქ მათ ჰიალტი სკეგის ძე დაუსვდათ. ნიალმა მას ლაპარაკი გაუბა და დიდსანს საუბრობდნენ სმადაბლა. ჰიალტიმ თქვა:

— მე არ მჩვევია დამალვა, თუ რამე მაქვს გულში. ნიალმა დახმარება მთხოვა, მეც დავთანხმდი და მსარდაჭერა აღვუთქვი. თავისი კეთილი რჩევებით მას ადრევე აქვს გადასდილი ეს ვალი ჩემთვისაც და მრავალი სხვისთვისაც.

ჰიალტიმ ნიალს უამბო ყველაფერი ფლოსის მიმოსვლის შესახებ. მათ თორპალი გაგზავნეს ტუნგაში და დააბარეს, რომ საღამოს თვითონაც იქ მივიდოდნენ. ასგრიმი მაშინვე გაემზადა და გარეთ იდგა, როდესაც ნიალი გალავანში შევიდა. მას მსრებზე ლურჯი ფერის მოსასხამი და თავზე ნაბდის ქუდი ესურა, სელში პატარა, ყუაწაწერილებული ნაჯახი ეჭირა. ასგრიმმა იკი ცხენიდან გადმოსვა, ატატებული შეიყვანა სახლში და საპატიო სკამზე დასვა. შემდეგ სახლში შევიდნენ ნიალის ვაჟები და კარი. მაშინ ასგრიმი

გარეთ გამოვიდა. პიალტიმ უკან გაბრუნება დააპირა, რადგან ეგონა ბევრი ხალხი მოგროვდაო. ასგრიმმა ლაგამში მოპკიდა ხელი, არ გაუშვა და ბრძანება გასცა, უნაგირები მოეხსნათ მათი ცხენებისათვის, პიალტის სახლში შეუძღვა და ნიალს გვერდით მოუსვა. თორლეივი და მისი ძმა თავიანთ ხალხიანად მეორე მერხზე ისხდნენ. ასგრიმი ნიალის წინ სკამზე ჩამოჯდა და ჰკითხა:

— რას გეუბნება გული თქვენს საქმეზე?

ნიალმა მიუგო:

— უფრო ცუდს, რადგან ვშიშობ, რომ იღბლიანი ხალხი არ გვეყოლება ამ საქმეში.

თან დააყოლა:

— შეატყობინე ყველას, ვინც შენს თინგს ეკუთვნის და ჩემთან ერთად წამოდი თინგზე.

— მეც მაგას ვაპირებდი, — უთხრა ასგრიმმა, — და აქვე მინდა აღგითქვა, რომ არასოდეს გამოვაკლდები შენს საქმეს, ვიდრე ხალხი მეყოლება.

ყველამ მადლობა გადაუხადა, ვინც იქ იყო, და თქვეს, ვაუკაცური სიტყვაააო. ღამე იქ გაათიეს, მეორე დღეს კი ასგრიმის ხალხი მთლიანად შეგროვდა. შემდეგ ყველა ერთად გაემართა თინგზე და იქ რომ მივიდნენ, თავიანთი სადგომები გადახურეს.

119

ფლოსი უკვე მისულიყო თინგზე და მთელი თავისი სადგომი გაეწყო. რუნოლვმა დალელთა სადგომი დაიკავა, მორდმა კი რანგისპირელთა სადგომი. აღმოსავლეთის ყველაზე შორი ადგილებიდან სიდელი პალი იყო მოსული, მაგრამ სხვა თითქმის არავინ ჩამოსულა. თავისი მხრიდან კი მას ბლომად მოეყვანა ხალხი. იგი მაშინვე ფლოსის ხალხს შეუერთდა და შერიგება და მშვიდობის ჩამოგდება სთხოვა. პალი ჭკვიანი და უწყინარი კაცი იყო. ფლოსი თავაზიანად გამოეპასუხა, მაგრამ გარკვევით არაფერი უთქვამს. პალმა ჰკითხა, ვინ დაჰპირდა მას მხარდაჭერას. ფლოსიმ დაუსახელა მორდ ვალგარდის ძე და თქვა, რომ მისი ასული თავის ნათესავს, სტარკადს გაურიგა. პალმა უთხრა, ქალი კი კარგი აგირჩევია, მაგრამ მორდთან საქმის დაჭერა ხელს არ მოგცემსო.

— მაგაში ამ თინგის დამთავრებამდეც დარწმუნდები, — უთხრა მან.

ამით მოათავეს ლაპარაკი.

ერთ დღეს ნიალმა და ასგრიმმა დიდსანს ისაუბრეს სმადაბლა მერე ასგრიმი წამოხტა და ნიალის ვაჟებს უთხრა:

— წავიდეთ, მეგობრები მოვძებნოთ, რომ ვერ მოგვერიონ. ამ საქმეში მაგარი გაქაჩვა გვმართებს.

ასგრიმი გარეთ გამოვიდა, უკან ჰელგი მოპყვა, ნიალის ძე, შემდეგ კარი სალმუნდის ძე, შემდეგ გრიმი ნიალის ძე, შემდეგ სკარპპედინი, შემდეგ თორჰალი, შემდეგ თორგრიმ ვეება, შემდეგ თორლეივ ყორანი. ისინი გიცურ თეთრის სადგომს მიადგნენ და შიგ შევიდნენ. გიცური წინ შეეგება, სთხოვა დამსსდარიყენენ და სასმელი შესთავაზა. ასგრიმმა თქვა:

— მაგისთვის არ მოვსულვართ. პირდაპირ და გასაგებად გეტყვით, რაც გვინდა: რა მსარდაჭერის იმედი მქონდეს შენგან? აკი ჩემი ნათესავი ხარ?

გიცურმა მიუგო:

— ჩემს დას, იორუნს, ალბათ იმედი აქვს, რომ უარს არ გეტყვით დასმარებაზე. აგრე იყოს. დაე, ამას იქით ერთ ბედ ქვეშ ვიყოთ.

ასგრიმმა მადლობა გადაუსადა და წამოვიდა. სკარპპედინმა ჰკითხა:

— ახლა საით წავიდეთ?

ასგრიმმა მიუგო:

— ალფუსელთა სადგომებისაკენ.

იქით აიღეს გეზი. ასგრიმმა იკითხა, სადგომში იყო თუ არა სკაფტი თოროდის ძე. უთხრეს, აქ არისო. მაშინ შიგ შევიდნენ. სკაფტი შემაღლებულ ადგილზე იჯდა და სისარულით შეეგება მაო ასგრიმმა თავაზიანად დაუბრუნა სალამი. სკაფტიმ მას თავის გვერდით შესთავაზა ადგილი. ასგრიმმა უთხრა, დიდხანს ვერ დავრჩებიო, და დაუმატა:

— საქმეზე ვარ მოსული შენთან.

— გამაგებინე, რა მოხდა, — ეუბნება სკაფტი.

— მინდა, გთხოვო, მსარი დაგვიჭირო მე და ჩემს ნათესავებს, — უთხრა ასგრიმმა.

— რას ვიფიქრებდი, — თქვა სკაფტიმ, — რომ თქვენი დავა ჩემს კარამდე მოაღწევდა.

ასგრიმმა უთხრა:

— ვერ არის ეგ კარგი სიტყვა; არ ვარგა კაცისათვის ხელის აკვრა, როდესაც მას დასმარება უფრო სჭირდება.

— ვინ არის ის კაცი, — პკითსა სკაფტიმ, — ოთხი კაცის უკან რომ მოდის, ასოვანი და ფერგამკრთალი, განწირული სახე აქვს, მკაცრი იერი და დევიეით არის.

სკარპპედინმა უთხრა:

— სკარპპედინი მქვია და თინგზეც ბევრჯერ გინახივარ. ეტყობა, მე შენზე ჭკვიანი ვარ, რადგან უკითხავადაც ვიცი შენი სახელი. შენ სარ სკაფტი თოროდის ძე, უწინ კი შენს თავს ჯაგართმიანს უწოდებდი, როცა კეთილ ელდელი მოკალი. მაშინ შენ თავი გაღიპარსე და ზედ კუპრი წაისვი. მერე მონებს ფული მიეცი, მიწაში ბელტის ზოლი ამოაჭრევინე და ღამე შიგ ჩაწექი. ბოლოს თოროლე ეირარელი ლოფტის ძესთან მისვედი, იმან მიგიღო და თავის სომალღზე ფქვილის ტომრით გაგიყვანა.

ამის შემდეგ ასგრიმი და დანარჩენები გარეთ გამოვიდნენ. სკარპპედინმა იკითსა:

— ახლა საით გავწიოთ?

— სნორი გოდის სადგომისკენ, — მიუგო ასგრიმმა.

ისინი სნორის სადგომისკენ წავიდნენ. სადგომის შესასვლელთან ვიღაც კაცი იდგა. ასგრიმმა პკითსა, სადგომში თუ არისო სნორი. კაცმა დაუდასტურა. ასგრიმი შიგ შევიდა და დანარჩენებიც შეპყენენ. სნორი შემაღლებულ ადგილზე იჯდა. ასგრიმი მასთან მივიდა და თავაზიანად მიესალმა. სნორი ალერსიანად დაუხვდა და სთხოვა, დამჯდარიყო. ასგრიმმა უთხრა, დიდსანს ვერ დავრჩებიო, და დაუმატა:

— საქმეზე მოვედი შენთან.

სნორიმ სთხოვა ასგრიმს ეთქვა, რაზეც იყო მოსული. ასგრიმმა უთხრა:

— მინდა სამსჯავროზე წამომყვე და მსარი დამიჭირო, რადგან ჭკვიანი კაცი ხარ და თავის გატანაც შეგიძლია.

— ახლა თავად ჩვენ მიგვდის ცუდად საქმე სამსჯავროში, — მიუგო სნორიმ, — ისედაც ბევრია ატეხილი ჩვენს წინააღმდეგ. ამი-

ტომ აღარ გვინდა სხვა მეოთხედის სალსის რთულ საქმეში გაეერიოთ.

— რა გაეწყობა, — უთხრა ასგრიმმა, — აკი შენ არაფერი ვალი არ გადევს ჩვენი.

— ვიცი, რომ კაცური კაცი ხარ, — უთხრა სნორიმ, — და პირობას გაძლევ, რომ შენს წინააღმდეგ არ გამოვალ და არც შენს მტრებს დავეხმარები.

ასგრიმმა მადლობა გადაუხადა. სნორიმ თქვა:

— ვინ არის ის კაცი იმ ოთხს რომ მოპყვება, ფერგამკრთალი და მკაცრსახიანი, კბილები რომ დაულრჭენია და მხარზე ნაჯახი გაუდვია?

— მე პედინი მქვია, — მიუგო სკარპედინმა, — ზოგი კი სრულ სახელს, სკარპედინს მიწოდებს. იქნებ კიდევ რამე გაქვს საოქმელი?

სნორიმ უთხრა:

— იმას გეტყვი, რომ მკაცრი და მაგარი კაცი ჩანხარ, მაგრამ მაინც, მგონია, ბედმა უკვე გიმტყუნა და დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დაგრჩენია.

— რა ვუყოთ, — მიუგო სკარპედინმა, — სიკვდილი ყველას ვალია და გადახდა გვმართებს. შენ კი ეგრე ჯდომახა და მკითხაობაზ გიჯობს მამაშენისთვის იძიო შური.

— ეგ ადრეც ბევრს უთქვამს ჩემთვის, — თქვა სნორიმ, — მაგრამ მაგით გულს ვერ მომაყვანინებ.

ამის შემდეგ ისინი გარეთ გამოვიდნენ ისე, რომ ვერავითარი მხარდაჭერა ვერ დაიბეევეს. იქიდან სკაგაფიორდელთა სადგომისკენ გაეშურნენ. აქ მოეწყო თავისი სადგომი პავრ მდიდარს. მისი მამა იყო თორკელი, ძე გოდალირელი ეირიკისა, შვილიშვილი გეირმუნდისა, შვილიშვილის შვილი პროალდისა, შვილიშვილის შვილიშვილი ეირიკ წვერცანცარასი, რომელმაც ბოლო მოუღო გრიოტგარდს სოკნარდალში, ნორვეგიაში. პავრის დედას თორუნი ერქვა. მისი მამა იყო მიურკელი ასბიარნ ქაჩალი, პროსბიარნის ძე.

ასგრიმი და დანარჩენები სადგომში შევიდნენ. პავრი სადგომის შუაგულში იჯდა და ვიღაც კაცს ესაუბრებოდა. ასგრიმი მასთან მივიდა და მიესალმა. პავრი თავაზიანად შესვდა და სთხოვა დამჯდარიყო. ასგრიმმა უთხრა:

— მინდა გთხოვო, დაგვესმარო მე და ჩემს ნათესავებს.

პავრმა უცბად მოუჭრა, თქვენს დავიდარაბაში ჩარევა არ მსურსო.

— მაგრამ მინდა კი გკითხო, — დაუმატა მან, — ვინ არის ის ფერწასული კაცი იმ ოთხს რომ მოპყვება და ისე კუშტად გამოიყურება, თითქოს ზღვისქვეშეთიდან ამოსულიყოს?

სკარპედინმა უთხრა:

— რას კითხულობ ჩემს ვინაობას, შე რძის ნადღვებო; მე ყველგან გავბედავ გავლას, სადაც არ უნდა გადამიდგე და არც მაშინ შემეშინდება, შენისთანებმა რომ შემიკრან გზა. ის გირჩევნია, შენს დას, სვანლაუგს მიხედო. ეიდის რკინის დაშნამ და სტედიაკოლმა სასლიდან მოგტაცეს იგი და შენ კი ხელის განძრევაც ვერ გაგიბედავს.

ასგრიმმა თქვა:

— გავიდეთ აქედან, აქ დასმარების იმედს ვერ ვიქონიებთ.

შემდეგ ისინი მადრუველირის მცსოვრებთა სადგომებთან მივიდნენ და იკითხეს, აქ თუ არისო გუდმუნდ მძლავრი. აქ არისო, უთხრეს. ისინი სადგომში შევიდნენ. სადგომის შუაგულში აღმართული იყო საპატიო სკამი და ზედ გუდმუნდ მძლავრი იჯდა. ასგრიმი მასთან მივიდა და მიესალმა. გუდმუნდი თავაზიანად შეხვდა და სთხოვა დამჯდარიყო. ასგრიმმა უთხრა:

— მე დაჯდომა კი არა, ის მინდა, რომ მსარდაჭერა გთხოვო, რადგან შენ გულადი კაცი და ძლიერი ჰავდინგი ხარ.

გუდმუნდმა მიუგო:

— მე თქვენს წინააღმდეგ არ გამოვალ. თუ დავინახე, რომ შესაძლებელია თქვენთვის დახმარების გაწევა, ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ.

გუდმუნდი მათ ალერსიანად დაუხვდა. ასგრიმმა მადლობა გადაუხადა კეთილი სიტყვისათვის. გუდმუნდმა თქვა:

— შენს ხალხში ერთ ვინმეს ვხედავ, რომელსაც კარგა ხანია შევყურებ და, ასე მგონია, მისი მსგავსისათვის ჯერ არსად დამიკრავს თვალი.

— რომელია? — ეკითხა ასგრიმმა.

— აგერ, იმ ოთხს რომ მოპყვება, — უთხრა გუდმუნდმა, — წაბლისფერი თმა აქვს და ფერგამკრთალი სახე, ტანმაღალია და მძლავ-

რი. და ისეთი ფიცსელი ვაუკაცი ჩანს, რომ მირჩევნია ეგ მყავდეს სსვა ათის ყოლას. და მაინც, ეტყობა, განწირული კაცია.

სკარპედინმა თქვა:

— ვიცი, ჩემზე ლაპარაკობ. მე და შენ ორთავეს უიღბლო გზა გვიძევს წინ, თუმცა სსვადასხვა მხარეს მიმავალი. მე მამტყუნებენ ჰასკულდ პვიტანესგოდის მოკვლისათვის და მართალნიც არიან. შენ კი გთათსავენ თორკელ უტიფარი და ჰელგი თორირის ძე, რაც შენ გულზე გხეთქავს.

და გამოვიდნენ კიდეც. სკარპედინმა თქვა:

— ახლა საით გაეწიოთ?

— ლიოსავატნელთა სადგომებისაკენ, — მიუგო ასგრიმმა.

ეს სადგომი თორკელ უტიფარს ჰქონდა გადასურული. მისი მამა იყო თორგეირ გოდი, ძე ტიარვისა, შვილიშვილი თორკელ ასმასისა. თორგეირის დედას ერქვა თორუნი, მისი მამა იყო თორსტეინი, ძე სიგმუნდისა, შვილიშვილი გნუპა-ბარდისა. თორკელ უტიფარის დედას ერქვა გუდრიდი, მისი მამა იყო პლეიდრარგარდელი თორკელ შავი, ძე თორირ ყურპანტურასი, შვილიშვილი კეთილ სელაპისა, შვილიშვილის შვილი არნოლვისა, შვილიშვილის შვილიშვილი ბიარნოლვისა. ბიარნოლვის მამა იყო გრიმ წვეროსანი, ძე კეთილ ორაგულისა, შვილიშვილი ჰალბიარნ მოალქაჯოსი.

თორკელ უტიფარი ადრე ისლანდიიდან წასული იყო და თავიც გამოიჩინა უცსო ქვეყნებში. მას მოკლული ჰყავდა ყაჩაღი აღმოსავლეთში, იამტასკოგის ტყეში. შემდეგ იგი აღმოსავლეთისკენ გაემართა შვეციაში, დაუძმაკაცდა სერკვირ ოსერს, და ერთად წავიდნენ სალაშქროდ აღმოსავლეთის ქვეყნებში. ბალაგარდსიდის აღმოსავლეთით თორკელი ერთ საღამოს თავისიანებისთვის წყლის მოსატანად წავიდა. აქ იგი მსეცკაცს წააწყდა, შეება, დიდსანს იბრძოლეს და ბოლოს თორკელმა მოკლა მსეცკაცი. იქიდან იგი აღმოსავლეთისკენ ადალსიუსლაში გაემგზავრა. აქ მან მფრინავი გველეშაპი მოკლა. შემდეგ შვეციაში დაბრუნდა, იქიდან ნორვეგიაში და ბოლოს ისლანდიისკენ გაემართა. მან თავისი გმირობის ამბები გამოასასვინა საწოლის თავზე და საპატიო სკამის პირდაპირ. გარდა ამისა, მას თავის ძმებთან ერთად შებრძოლება მოუხდა გუდმუნდ მძლავრთან ლიოსავატნის გზაზე და ლიოსავატნელებმა სძლიეს გუდმუნდს. მას შემდეგ, თორირ ჰელგის ძე და თორკელ უტიფარი

სულ გუდმუნდის ლანძღვაში იყვნენ. თორკელი ამბობდა, მთელ ისლანდიაში კაცი არ მოიძებნება ისეთი, რომ ორთაბრძოლაში არ გაეყვე ან შეეშინდეო. მას თორკელ უტიფარი შეარქვეს, რადგან არც სიტყვით ინდობდა, არც საქმით, ვისაც კი გადაეყრებოდა.

120

ასგრიმი და მისი თანმხლებნი თორკელის სადგომისკენ გაემართნენ. ასგრიმმა დანარჩენებს უთხრა:

— ეს სადგომი თორკელ უტიფარს, ძლავრ მეომარს ეკუთვნის და ძაან საქმეს გავაკეთებთ, თუ მსარდაჭერაზე დავიყოლიეთ. აქ კი ყოველმხრივ სიფრთხილე გვმართებს, რადგან ძალზე ახირებული და აუტანელი სახიათის კაცია. შენ კი, სკარპედინ, უნდა გთხოვო, რომ ლაპარაკში არ ჩაგვერიო.

სკარპედინმა ჩაიცინა. მას ცისფერი კურტაკი, ლურჯზოლებიანი წვივსაცმელი და ფეხზე მაღალყელიანი შავი სამლები ეცვა. ვერცხლის სარტყელი ერტყა, სელში ნაჯახი ეჭირა, რომლითაც თრაინი მოკლა და რომელსაც იეი რიმუგუგს („ბრძოლის ბუმბერასს") ეძახდა, და პატარა, მრგვალი ფარი ეკავა. თავზე აბრეშუმის ბაფთა პქონდა წაკრული და თმა ყურებს უკან გადაევარცხნა. იგი ყველასგან გამოირჩეოდა მეომრული იერით და ისინიც კი სცნობდნენ, ვისაც ადრე არ ენახა. იგი მიდიოდა ისე, რომ არც წინ უსწრებდა ვისმე და არც უკან რჩებოდა. ისინი სადგომში შევიდნენ და შიგნითა ნაწილში გავიდნენ. თორკელი შუაში იჯდა და აქეთ-იქიდან თავისი ხალხი შემოსსდომოდა. ასგრიმმა უთხრა:

— ჩვენ აქ იმიტომ მოვედით, რომ გთხოვოთ მსარი დაგვიჭირო და სამსჯავროზეც წამოგვყვე.

თორკელმა მიუგო:

— ჩემი მსარდაჭერა რაღად გინდათ, რაკი გუდმუნდთან ყოფილხართ. ის ალბათ დაგპირდა დასმარების გაწევას.

— ვერ დავიყოლიეთ, — უპასუხა ასგრიმმა.

თორკელმა თქვა:

— ეტყობა, გუდმუნდს ჭკუაში არ დაუჯდა თქვენი ამბავი და მართლაც მაგაზე უარესი საქმე რაღა იქნება. ისიც ვიცი, აქ რამ

ქოგიყვანა: შენ გგონია, მე უფრო იოლად დამიყოლიებ, ვიღრე გუდ-ქუნდს, და მაგ ურიგო საქმეშიც გამოგყვები.

ასგრიმმა იყუჩა, რადგან დაატყო ვერაფერს სდებოდა.

თორკელმა თქვა:

— ვინ არის ის მაღალი და შემაძრწუნებელი კაცი, იმ ოთხს რომ მოპყვება, ფერგამკრთალი და მკაცრი იერისა. თან, ეტყობა, ბედს გაუწირავს და ავი გუნებისა უნდა იყოს.

სკარპედინმა უთხრა:

— მე სკარპედინი მქვია და არაფერი მჭირს შენი ხელწამოსაკრავი, რადგან არაფერი დამიშავებია შენთვის. ის მაინც არ მოქსელია არასოდეს, რომ მამაჩემი დამეჩაგროს და ბრძოლა გამემართოს მასთან, როგორც შენ აუტყდი მამაშენს. შენ ხომ ალთინგზეც იშვიათად დაიარებოდი და თინგის საქმეებითაც იშვიათად შეგიწუსებია თავი, ალბათ სახლში ყველის ამოყვანა უფრო გეხერხება მარტოხელას ექსარაში. გირჩევნია კბილებიდან იმ შენი ჭაკი ცხენის უკანა ნაწლავის სორცი გამოიჩიჩქნო, რომელსაც თინგზე წამოსვლამდე შეექეცი, შენი მენახირე კი შეგყურებდა და უკვირდა, რომ მაგ სისაძაგლეს სჩადიოდი.

თორკელი განრისხებული წამოვარდა, მახვილს დაავლო ხელი და თქვა:

— ეს მახვილი შვედეთს ჩავიგდე ხელში, როცა ერთი დიდი მეომარი მოვკალი. შემდეგაც ბევრისთვის მომიღია ბოლო ამ პატარა მახვილით და, თუ სადმე ხელში ჩამიჯარდი, შიგ გულში გაგიყრი მაგ სიტყვებისთვის.

სკარპედინი იდგა ნაჯახმოღერებული. მან ჩაიცინა და თქვა:

— ეს ნაჯახი მქონდა ხელთ, როდესაც თორმეტ წყრთაზე გადავასტი მარკარფლიოტს და თრაინ სიგფუსის ძე მოვკალი და თუმცა იქვე რვა კაცი იდგა, მაინც ვერავინ მასლო ხელი. ჯერ არავისთვის ამიცდენია, თუ ვინმესთვის მომიქნევია ეს ნაჯახი.

შემდეგ მან ხელის კვრით მოიშორა თავისი ძმები და კარი და თორკელს ზედ მიადგა. სკარპედინმა თქვა:

— ორში ერთი, თორკელ უტიფარო: ან დაჯექი და ეგ მახვილი ჩააგე, ან შუაზე გაგჩესავ აი ამ ნაჯახით.

თორკელი დაჯდა და მახვილი ჩააგო. ასეთი რამ მას არც მანამ-

დე მოსვლია, არც შემდეგ. ასგრიმი და დანარჩენები გარეთ გამოვიდნენ. სკარპპედინმა თქვა:

— ახლა საით წავიდეთ?

ასგრიმმა მიუგო:

— შინ, ჩვენს სადგომში.

— აპა, ეს ხვეწნაც მოგვყირჭდა და სასლში ვბრუნდებით კიდეც, — თქვა სკარპპედინმა.

ასგრიმი მას მიუბრუნდა და უთხრა:

— ბევრგან გამოგიჩენია ენამწარობა, მაგრამ ახლა კი თორკელმა, მე მგონი, შენგან სწორედ ის მიიღო, რის ღირსიც იყო.

ამის შემდეგ ისინი თავიანთ სადგომში დაბრუნდნენ და ყველაფერი დაწვრილებით უამბეს ნიალს. მან თქვა:

— დაე, მოხდეს, რაც მოსახდენია, რაკი ბედს ასე უნებებია.

გუდმუნდ მძლავრმა შეიტყო, რაც სკარპპედინსა და თორკელს შორის მოხდა და ასე თქვა:

— თქვენც კარგად უწყით, რაც ჩემსა და ლიოსავატნელებს შორის მოხდა, მაგრამ მე მათგან ისეთი დამცირება არ შემსვედრია, როგორი სირცხვილიც ახლა სკარპპედინმა აჭამა თორკელს, და ახიც არის.

შემდეგ გუდმუნდმა თავის ძმას, ეინარ თვერელს უთხრა:

— წაიყვანე მთელი ჩემი ხალხი და დაეხმარე ნიალის ვაჟებს, როცა სამსჯავრო საქმეს შეუდგება, და თუ მომავალ ზაფხულსაც ხალხი დასჭირდათ, მაშინ მე თვითონ გამოვექომაგები მათ.

ეინარი დაეთანხმა და ასგრიმს შეუთვალა ეს ამბავი. ასგრიმმა თქვა:

— ბევრი როდი გვეყავს გუდმუნდისთანა პავდინგი.

ასგრიმმა ეს ამბავი ნიალს შეატყობინა.

121

მეორე დღეს ერთმანეთს შეხვდნენ ასგრიმი, გიცურ თეთრი, პიალტი სკეგის ძე და ეინარ თვერელი. აქვე იყო მორდ ვალგარდის ძეც. მანამდე მას უკვე ხელი აეღო საქმის გაძღოლაზე და სიგფუსის ვაჟებს გადააბარა იგი. მაშინ ასგრიმმა თქვა:

— პირველად შენ მოგმართავ, გიცურ თეთრო, და თქვენც, პი-

ალტი და ეინარ, მინდა გითხრათ, როგორც მიდის ჩვენი საქმე. თქვენ ალბათ იცით, რომ მორდმა დავა წამოიწყო, მაგრამ საქმეც ის არის, რომ მორდი თავად მონაწილეობდა პასკულდის მკელელობაში და ჭრილობაც მიაყენა, მაგრამ ამ ჭრილობის მიმყენებელი დასახელებული არ ყოფილა. მე მგონი, ამ ბრალდებას სწორედ ამიტომ საფუძველი არ ექნება კანონის თვალსაზრისით.

— მაშინ ბარემ ასლავე გამოვაცხადოთ ეგ ამბავი, — თქვა პიალტიმ.

თორპალ ასგრიმის ძემ უთხრა:

— ეგრე არ ივარგებს. უმჯობესი იქნება თუ მაგ ამბავს სამსჯავროს დაწყებამდე არ გავამხელთ.

რათაო, ეკითხება პიალტი.

თორპალმა მიუგო:

— მაგათ რომ ახლა ის გაიგონ, რომ საქმე სწორად არა აქვთ დაწყებული, შეუძლიათ გამოასწორონ იგი იმით, რომ მაშინვე კაცს გაგზავნიან თინგიდან სახლში, რათა მეზობლებს გამოუძახონ თინგზე, ახალ მოწმეებად დაასახელონ და მაშინ ყველაფერი მართებული იქნება.

— ბრძენი ყოფილხარ, თორპალ, — უთხრეს მას, — ისე იყოს, როგორც შენ ამბობ.

ამის შემდეგ თავთავიანთ სადგომებში წავიდ-წამოვიდნენ.

სიგფუსის ვაუებმა თავიანთი ბრალდება გამოაცხადეს კანონის კლდესთან და მოპასუხეებს ჰკითხეს, რომელ თინგს ეკუთვნოდნენ ისინი და სად ცხოვრობდნენ. ხუთშაბათ საღამოს სამსჯავრო უნდა შესდგომოდა საქმეთა განხილვას, მანამდე კი თინგზე სრული სიწყნარე იყო. ბევრი ცდილობდა მათ შერიგებას, მაგრამ ფლოსი ვერ გატეხეს, სხვები კი ისე სიტყვამრავლობდნენ, რომ საქმეს სასიკეთო პირი არ უჩანდა.

და აპა, დადგა დრო, როცა სამსჯავრო უნდა გახსნილიყო. მოაწია ხუთშაბათ საღამომ. ყველამ, ვინც კი თინგზე იყო, სამსჯავროს მიაშურა. ფლოსი და მისი ხალხი რანგისპირელთა სამსჯავროს სამხრეთით იდგნენ. მასთან ერთად იყვნენ სიდელი ჰალი და რუნოლვ დალელი, ულვ აურგოდის ძე, და ყველა ისინი, ვინც ფლოსის მხარდაჭერა აღუთქვეს. რანგისპირელთა სამსჯავროს ჩრდილოეთ მხარეს კი იდგნენ ასგრიმი და გიცურ თეთრი, პიალტი და ეინარ

თვერელი. ნიალის ვაჟები, კარი, თორლეივ ყორანი და თორგრიმ ვეება კი შინ ისხდნენ, სადგომში, იარაღასხმულნი, და თავდასხმის სალისს დაუკარგავდნენ ყველას, ვინც არ უნდა ყოფილიყო.

ნიალმა მსაჯულთ შესთავაზა, თავიანთ ადგილებზე დამსხდარიყვნენ სამსჯავროში. სიგფუსის ვაჟებმა დავა წამოიწყეს. მათ მოწმეები დაასახელეს და ნიალის ვაჟებს შესთავაზეს მათი ფიცი მოესმინათ. შემდეგ ფიცი დადეს. ამის მერე თავიანთი დავა გამოაცხადეს, მოწმეებს მოუხმეს და მეზობლებს სთხოვეს, ადგილები დაეკავებინათ. ამის შემდეგ მოპასუხეთ შესთავაზეს აცილება მიეცათ იმ მეზობლებისათვის, რომლებიც უფლებამოსილად არ მიაჩნდათ.

თორპალ ასგრიმის ძემ მოწმეები დაასახელა და დავა უსაფუძველოდ გამოაცხადა, რადგან მის დამწყებს თვითვე პქონდა კანონი დარღვეული და სასჯელი ეკუთვნოდა.

— ვისზე ამბობ მაგას? — პკითხა ფლოსიმ.

თორპალმა მიუგო:

— მორდ ვალგარდის ძე თან ასლდა ნიალის ვაჟებს პასკულდის მკვლელობისას და სწორედ ის გახლავთ იმ ჭრილობის მიმყენებელი, რომელიც არ დაუსახელებიათ, როდესაც ჭრილობების მოწმეთ აცხადებდნენ. თქვენ ვერაფერს იტყვით იმის წინააღმდეგ, რომ ეგ დავა საფუძველს მოკლებულია.

122

ნიალი წამოდგა და თქვა:

— მე ამას გთხოვთ, სიდელო პალ, ფლოსი, სიგფუსის ძენო, თქვენ ყველას და მთელ ჩვენს სალხს, არ დაიშალოთ და მოისმინოთ ჩემი სათქმელი.

ნიალს თხოვნა შეუსრულეს. მაშინ მან თქვა:

— მე მგონი, ეს საქმე ისე აირია, რომ საშველი აღარ არის. ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან მას ძირფესვშივე ღვარძლი პქონდა გამჯდარი. მინდა იცოდეთ, რომ პასკულდი ჩემს შვილებზე მეტად მიყვარდა და როცა მისი მოკვლის ამბავი შევიტყვე, მეგონა, თავლის ჩინი დაეკარგე-მეთქი. მერჩია, ერთი შვილიც არ შემრჩენოდა, ოღონდ მას ეცოცხლა. ასლა ამასღა გთხოვთ, სიდელო პალ და რუნოლვ ღალელო, გიცურ თეთრო და ეინარ თვერელო, და შენცა,

პაერ ქველო, რომ გადამახდევინოთ საზღაური ჩემი შვილების ძიერ ჩადენილი მკვლელობისათვის და მინდა იმ სალხმა გაგვსაჯოს, ვინც ამ საქმეში გამოდგება.

გიცურიც, ეინარიცა და პაერიც სათითაოდ ელაპარაკნენ ფლოსის და დიდხანს სთხოვდნენ შერიგებას და სანაცვლოდ მეგობრობას პპირდებოდნენ. ფლოსი ყველაფერზე თავაზიან პასუხს იძლეოდა, მაგრამ არაფერს დაპპირებია. სიდელმა პალმა ფლოსის უთხრა:

— გინდა, შეასრულო შენი პირობა, რომელიც მე მოვთხოვე, როდესაც ისლანდიიდან გავიყვანე შენი ნათესავი თორვრიმ კეთილ სქელის ძე, პალ წითური რომ მოკლა?

ფლოსიმ მიუგო:

— შევასრულებ, ჩემო სიმამრო, რადგან შენ ისეთ რამეს თუ მთხოვ, რაც კიდევ უფრო მეტ პატივს დამდებს.

პალმა უთხრა:

— მაშ ჩემი სურვილია, რომ შენ დაუყოვნებლივ შერიგდე, ღირსეულ ადამიანებს განასჯევინო ეს საქმე და მეგობრებად გაიხადო საუკეთესო სალხი.

ფლოსიმ თქვა:

— მაშ უწყოდეთ, რომ ისე მოვიქცევი, როგორც ჩემი სიმამრი პალი და სხვა ღირსეული ადამიანები მირჩევენ. დაე, მან და იმ ღირსეულმა ადამიანებმა, რომლებსაც ორივე მხარე კანონიერად დაასახელებს, განსაჯონ ჩვენი საქმე. მე მგონი, ნიალი ღირსია, რომ ასე მოვექცე მას.

ნიალმა მადლობა გადაუხადა მასაც და სხვებსაც და ყველა იქ მყოფმა მოიწონა ფლოსის საქციელი. ფლოსიმ თქვა:

— ახლა ჩემს შუამავლებს დავასახელებ. პირველს ვასახელებ ჩემს სიმამრ პალს, შემდეგ აცურ ბრეიდელს, სურტ ასბიარნის ძეს კირკიუბერიდან, მოდოლვ კეთილის ძეს, — იგი იმხანად ასარში ცხოვრობდა, — პაერსა და რუნოლვ დალელს. და ალბათ ყველანი დამეთანხმებით, რომ ჩემიანებში ესენი ყველაზე შესაფერნი არიან ამ საქმისათვის.

ახლა ნიალს სთხოვა, დაესახელებინა თავისი შუამავლები. ნიალი წამოდგა და თქვა:

— ამ საქმეში მე, უპირველეს ყოვლისა, ვასახელებ ასგრიმ

ელიდი-ბრიმის ძეს, შემდეგ ჰიალტი სკეგის ძეს, გიცურ თეორს, ეინარ თვერელს, სნორი გოდის და გუდმუნდ მძლავრს.

ამის შემდეგ ნიალმა, ფლოსიმ და სიგფუსის ვაჟებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და ნიალი თავის ვაჟებსა და კარის თავდებად დაუდგა, რომ ყველანი უკლებლივ შეასრულებდნენ, რასაც ეს თორმეტი კაცი გადაწყვეტდა. უნდა ითქვას, რომ ყველა, ვინც თინგზე იყო, შვებით შესვდა ამ ამბავს. სნორისა და გუდმუნდს სალსი გაუგზავნეს, რადგან ისინი თავიანთი სადგომებიდან არ გამოსულან. გადაწყდა, რომ მსაჯულნი სათათბიროდ დასხდებოდნენ ლაგრეტაში, სხვა დანარჩენნი კი იქაურობას გაეცლებოდნენ.

123

სნორი გოდიმ ასე თქვა:

— აბა, ეს თორმეტი კაციც შევიყარეთ ამ საქმის გადასაწყვეტად. ჩემი სათხოვარი ყველასთან ის არის, რომ ნუ გავართულებთ საქმეს იმდენად, რომ მათი შერიგება აღარ მოსერხდეს.

გუდმუნდმა თქვა:

— იქნება გინდათ, რომელიმე მათგანი განვდევნოთ თავისი მხარიდან, ან მთლიანად ქვეყნიდან?

— არა, — მიუგო სნორიმ, — მაგას ხშირად ცუდი ბოლო მოსდევს სოლმე და იწყება ერთმანეთის ხოცვა და პირგამტესლობა. ჯინდა ისეთი დიდი საზღაური გავაღებინოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში არავინ გამოვიდეს ჰასკულდზე მეტად დაფასებული.

ყველამ გონივრულად მიიჩნია მისი ნათქვამი. შემდეგ დიდხანს ითათბირეს და ვერაფრით ვერ მორიგდნენ, თუ პირველს ვის დაესახელებინა საზღაურის ოდენობა და საქმე იქამდე მივიდა, რომ წილი ყარეს და აზრის გამოთქმა სნორის შეხვდა. მან თქვა:

— დიდხანს არ ვაპირებ ამაზე თავისტეხას და ახლავე მოგასსენებთ, რაზედაც ვდგავარ. მე მინდა, რომ ჰასკულდისთვის გადიხადონ სამმაგი საზღაური, ეს კი ექვსას ვერცხლს შეადგენს. იქნებ თქვენ თქვენი თქვათ და ან მეტად ან ნაკლებად შეაფასოთ.

მათ მიუგეს, რომ არაფრის შესწორებას არ ვაპირებთო.

— და კიდევ ის უნდა დავუმატო, — თქვა სნორიმ, — რომ მთელი ფული აქვე, თინგზე უნდა იქნეს გადახდილი.

მაშინ გიცურ თეთრმა თქვა:

— არა მგონია, ეგ მოხდეს, რადგან სად ექნებათ იმდენი ფული, რომ მთლიანად გადაიხადონ საზღაური.

გუდმუნდმა თქვა:

— მე ვიცი, რაც სურს სნორის. მას უნდა, რომ ჩვენ ყველაპ, შუამავალმა მსაჯულებმა, სათითაოდ იმდენი გავიღოთ, რამდენსაც; ჩვენი სინდისი გვიკარნახებს, და მაშინ ბევრი მოპბაძავს ჩვენს მაგალითს.

სიდელმა პალმა მას მადლობა გადაუხადა და თქვა, სიამოვნებით დავდებ იმდენს, რამდენსაც სხვა იკისრებსო. მაშინ ყველა შუამავალი თანახმა გახდა. ამის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ კანონის კლდესთან პალი გამოაცხადებდა გადაწყვეტილებას, და დაიშალნენ. შემდეგ ზარს ჩამოკრეს და ყველამ კანონის კლდეს მიაშურა. პალი ადგა და თქვა:

— იმ საქმეზე, რომელზედაც ჩვენ ვიმსჯელეთ, ყველა შევთანხმდით და ექვსასი ვერცხლი გადავწყვიტეთ. შუამავლები ნახევარი წილის გადახდას ვკისრულობთ, რადგან მთელი თანხა აქ, თინგზევე უნდა იქნეს გადახდილი. ახლა ყველას იმას გთხოვთ, რამე თქვენც გაიმეტოთ ღვთის გულისათვის.

ყველამ დასტური მისცა. მაშინ პალმა გადაწყვეტილების მოწმენი დაასახელა, რომ არაეის შეძლებოდა მისი დარღვევა. ნიალმა მსაჯულთ მადლობა გადაუხადა ასეთი გადაწყვეტილებისთვის. სკარპედინი იქვე იდგა, ხმას არ იღებდა და ზიზღით ეღიმებოდა. შემდეგ კანონის კლდესთან ყველანი დაიშალნენ და თავ-თავიანთ სადგომებში წავიდნენ. შუამავალმა მსაჯულებმა ეკლესიის ეზოში შეაგროვეს მთელი თანხა, რაც მათ გაიღეს. ნიალის ვაჟებმა და კარიმ, რაც ფული პქონდათ, ამოალაგეს. ას ვერცხლამდე დაგროვდა. ნიალმა თავისი ფული ამოიღო და ამან კიდევ ცალკე ასი ვერცხლი შეადგინა. შემდეგ მთელი ეს ფული ლაგრეტაში გადაიტანეს და ყველამ იმდენი გაიღო, რომ საჭირო თანხას ერთი პენინგიც აღარ დაპკლებია. ნიალმა აიღო აბრეშუმის სამოსელი და ერთი წყვილი წაღები და ზემოდან დააწყო. ამის შემდეგ პალმა ნიალს უთხრა თავისი ვაჟები მოეყვანა.

— მე კი ფლოსის მოვიყვან და დაე, ერთმანეთს ერთგულება შეპფიცონ.

მაშინ ნიალი თავის სადგომში დაბრუნდა და ვაუებს უთხრა:

— აპა, ეს ჩვენი საქმეც კარგად გათავდა: შევრიგდით კიდეც და თანსაც შეეაგროვეთ. ახლა ჩვენცა და ისინიც უნდა წავიდეთ და ერთმანეთს მშვიდობა და ერთგულება შევფიცოთ. ისღა უნდა გთხოვოთ, არაფრით გააფუჭოთ საქმე.

სკარპპედინმა შუბლზე გადაისვა ხელი და ჩაიცინა. შემდეგ ყველანი ლაგრეტაზე წავიდნენ.

პალი ფლოსისთან მივიდა და უთხრა:

— გასწი ახლა კანონის კლდესთან. მთელი ფული შეგროვილია და ადგილზე აწყვია.

ფლოსიმ სიგფუსის ვაუებს სთხოვა, თან წაპყოლოდნენ. ყველა გამოვიდა სადგომიდან და აღმოსავლეთიდან მიადგნენ ლაგრეტას. ნიალი და მისი ვაუები დასავლეთის მხრიდან მივიდნენ. სკარპპედინი შუა მერსთან გავიდა და იქ დადგა. ფლოსი ლაგრეტაში შემოვიდა, რათა ფული ენახა, და თქვა:

— დიდი და კარგი თანხაა და მთლიანადაც არის გადახდილი, როგორც ველოდით კიდეც.

შემდეგ მან აბრეშუმის საფარი აიღო და იკითხა, ეს ვიღამ დადოვო აქ, მაგრამ პასუხი არავის გაუცია. ფლოსიმ კვლავ აიქნია საფარი და იკითხა, ვისი დადებული იყო იგი, და თან გაიცინა, მაგრამ არავინ უპასუხა. ფლოსიმ თქვა:

— ეგ როგორღაა, რომ არც ერთმა თქვენგანმა არ იცის, ვისია ეს საბურველი; ან იქნებ თქმას ვერ მიბედავთ?

სკარპპედინმა თქვა:

— შენ როგორ ფიქრობ, ვისი მოცემული იქნება?

ფლოსიმ მიუგო:

— მაშ გეტყვი, რაკი გინდა იცოდე, თუ რას ვფიქრობ. ჩემი აზრით, ეს საფარი ალბათ მამაშენის, მაგ ქოსა ბეხრეკის დადებულია, რადგან ბევრს, მის შემსედვარეს, ვერ გაუგია, კაცი უფროა იგი თუ ქალი.

სკარპპედინმა თქვა:

— უღირსი საქმეა გაპკილო ბერიკაცი, რომლისთვისაც ჯერ არც ერთ თავმოყვარე კაცს არ უკადრებია ცუდი რამ. ყველამ კარგად იცით, რომ იგი კაცია, რადგან შვილები გააჩინა თავის ცოლთან, და განა რამდენი ნათესავი მარსია ჩვენი კარ-მიდამოს ასლოს, ვისთვისაც ან საზღაური არ მიგვეღოს ან შური არ გვეძიოს.

ამ სიტყვებით სკარპედინმა საფარი გამოართვა და ლურჯი ფერის საწმერთული მიუგდო ფლოსის, ეგ უფრო გამოადგებაო.

ფლოსიმ ჰკითხა:

— რაში უნდა გამომადგეს?

სკარპედინმა მიუგო:

— რაში და — აკი ამბობენ, რომ სვინაფელის მთის ჯადოქარს პატარძლად უსისარ ყოველ მეცხრე ღამეს და ქალივით გსმარობს თურმე.

მაშინ ფლოსიმ ფესისკვრით მოიშორა ფული და თქვა, ერთ პენინგსაც არ ვასლებო სელს, და ან სულაც ნუ გადაისდიან საზღაურს პასკულდზე ან შურს ვიძიებო მისთვის. ფლოსიმ აღარც შერიგება ინდომა, აღარც მშვიდობა და სიგფუსის ვაჟებს უთხრა:

— გავწიოთ შინისკენ. აწ ერთი ბედი გველის ყველას.

ისინი თავიანთ სადგომებში დაბრუნდნენ. პალმა თქვა:

— ძალზე უიღბლო ხალხი ყოფილა ამ საქმეში გარეული.

ნიალი და მისი ვაჟები თავიანთ სადგომში დაბრუნდნენ. ნიალმა თქვა:

— აპა, სრულდება კიდეც, რაც ადრევე მიგრძნო გულმა. ეს საქმე ჩვენთვის სასიკეთოდ არ ვათავდება.

— ეგ არ მოსდება, — მიუგო სკარპედინმა, — კანონით ვერაფერს ვერ დაგვაკლებენ.

— ამას ისეთი რამე მოპყვება, — თქვა ნიალმა, — რაც ჩვენ ხეირს არ დაგვაყრის.

ზოგიერთმა, რომლებსაც ფული ჰქონდათ შემოტანილი, ლაპარაკი ჩამოაგდო იმაზე, რომ უკანვე წაეღოთ იგი. გუდმუნდმა თქვა:

— ასეთ სირცხვილს მე თავს არ დავიტეხ და რაც მიმიცია, იმას სელს არ მოვკიდებ არც აქ და არც სხვაგან სადმე.

— კარგი სიტყვაა, — თქვეს სხვებმა და აღარც მათ ისურვეს ფულის აღება.

სნორი გოდიმ თქვა:

— მე გირჩევთ, გიცურ თეთრმა და ჰიალტი სკეგის ძემ შეინასონ ეს თანხა მომავალ ალთინგამდე. მე მგონი, დიდი ხანი არ გაივლის, რომ ეგ ფული საჭირო გახდება.

ჰიალტიმ შესანახად თანხის ერთი ნახევარი წაიღო, გიცურმა მეორე. ამის შემდეგ ხალხი თავიანთ სადგომებს დაუბრუნდა.

ფლოსიმ თავისი სალსი ალმანაგიას ხევში დაიბარა და თვითონაც იქით გაემართა. როცა ყველა მოვიდა, ასამდე კაცი მოგროვდა. ფლოსიმ სიგფუსის ვაუებს უთხრა:

— რა დახმარება შემიძლია გაგიწიოთ თქვენს საქმეში, რომ კმაყოფილები დამრჩეთ?

გუნარ ლამბის ძემ თქვა:

— ჩვენ იქამდე ვერ მოვისვენებთ, ვიდრე ყველა ძმას, ნიალაი ვაუებს არ დავხოცავთ.

ფლოსიმ თქვა:

— მინდა აღვუთქვა სიგფუსის ვაუებს, რომ მე ამ საქმეს მანამდე არ მოვეშვები, ვიდრე ერთ-ერთი მსარეთაგანი ქედს არ მოიდრეკს მეორის წინაშე. ისიც მინდა ვიცოდე, არის თუ არა აქ ვინმე ისეთი, ვისაც არ სურს მსარში ამოგვიდგეს ამ საქმეში.

ყველამ განაცხადა მონაწილეობის სურვილი. ფლოსიმ თქვა:

— მაშ, ყველა სათითაოდ მოვიდეს ჩემთან და შემომფიცოს, რომ უკან არ დაიხევს ამ საქმეში.

ყველა სათითაოდ მივიდა ფლოსისთან და შეპფიცა. ფლოსიმ თქვა:

— ასლა ხელი მივცეთ ერთმანეთს იმის ნიშნად, რომ ქონებასაც დაკარგავს და სიცოცხლესაც, ვინც განზე განუდგება ჩვენს საქმეს.

აი, რომელი პავდინგები იყვნენ ფლოსისთან: კოლი, თორსტეინ ფაშვიანის ძე, სიდელი პალის ძმისშვილი, პროალდ აცურ ბრეიდელის ძე, აცურ ანუნდ ზურგჯიბეს ძე, თორსტეინ ლამაზი გეირლეივის ძე, გლუმ ჰილდირის ძე, მოდოლვ კეთილის ძე, თორირ მარტუნგელი თორდ ავის ძე, ფლოსის ძმები: კოლბეინი და ეგილი, კეთილ სიგფუსის ძე და მისი ძმები მორდი, თორკელი და ლამბი, გრანი გუნარის ძე, გუნარ ლამბის ძე და მისი ძმა სიგურდი, ინგიალდ კელდურელი, ჰროარ ჰამუნდის ძე.

ფლოსიმ სიგფუსის ვაუებს უთხრა:

— აირჩიეთ ბელადი, ვინც ყველაზე შესაფერად მიგაჩნიათ ამ საქმისთვის, რადგან მთელ ამ ამბავს ერთი ვინმე უნდა ჩაუდგეს სათავეში.

კეთილ მარკელმა მიუგო:

— თუ ჩვენ, ძმებს, არჩევა დაგვჭირდა ვინმესი, მაშინ პირველ რიგში შენ დაგადებთ ხელს, რადგან ბევრი რამ გვაფიქრებინებს ამას. შენ სასელოვანი მოდგმის კაცი და პავდინგი ხარ, შეუპოვარი და ჭკვიანი. ჩვენი აზრით, შენ უკეთ იცი, რა დღეშიც ვართ.

ფლოსიმ თქვა:

— იქნებ ისიც მოხდეს, რომ ვიკისრო, რასაც თქვენ მთხოვთ. მაშ ასლავე გეტყვით, თუ რა გზას უნდა დავადგეთ. ჩემი რჩევაა, ყველა თქვენგანი თინგიდან შინ დაბრუნდეს და მთელი ზაფხული თავის საშინაო საქმეებს მოანდომოს, ვიდრე მინდვრად თივის აღებას მოუნდებიან. მეც სახლში წავალ და ამ ზაფხულს შინ ვიქნები. მაგრამ იმ კვირაძალს კი, როდესაც ზამთრის დადგომამდე რვა კვირაღა იქნება დარჩენილი, სასლში წირვას გადავიხდი და მერე დასავლეთისკენ გავწევ ლომაგნუპსანდის ქვიშნარის გავლით. ყოველ ჩვენგანს ორი ცხენი ეყოლება წამოყვანილი. იმათ მეტს თან არავის ვიახლებ, ვინც ახლა ფიცით შეგვეკრა, რადგან ისედაც საკმაონი ვართ, თუ ამდენივე დავრჩით. მე მთელ კვირადღეს და მთელ ღამეს ვივლი და კვირის მეორე დღის ბოლოს თრიპიურნინგსპალსარის ქედს მივადგები, ალბათ სამსრობისას, თქვენ კი ყველანი, იმ დროს იქ იქნებით. თუ ვინმე, ფიცის დამდებთაგან, არ გამოცხადდება, სიცოცხლის ფასად დავუსვამთ, თუ ბედმა გაგვიმართლა.

კეთილმა თქვა:

— მაინც როგორ მოასერსებ სასლიდან კვირა დღეს გამოსული იმავე კვირის მეორე დღეს თრიპიურნინგპალსარში ჩასვლას?

ფლოსიმ მიუგო:

— მე სკაფტარტუნგიდან გავალ და ჩრდილოეთიდან შემოვუვლი ეიაფიალაიაკულის მყინვარს, იქიდან კი გოდალანდისკენ დაეშვები და ყველაფერს მოვასწრებ, თუ სწრაფად ვიარე. გეტყვით. რაც გუნებაში მაქვს. როცა ყველა ერთად შევიყრებით ადგილზე, იქიდან ბერგთორსპვალისკენ გავწევთ, ცეცხლითა და მახვილით დავატყდებით თავს ნიალის ვაჟებს და ფესს არ მოვიცვლით, ვიდრე ყველას მუსრს არ გავავლებთ. ჯერ ნურავის გაუმხელთ ამ ჩვენს განზრახვას, რადგან მასზე პკიდია ყველა ჩვენთაგანის სიცოცხლე. ასლა კი ჩვენი ცხენები მოვაყვანინოთ და სახლებში წავიდეთ.

ისინი თავთავიანთ სადგომებში დაიშალნენ. ამის შემდეგ ფლოსიმ ცხენები შეაკაზმვინა. ყველანი შინისკენ გაეშურნენ ისე, რომ

ერთმანეთს აღარ დალოდებიან. ფლოსიმ აღარ ისურვა თავისი სიმამრის, პალის შესვედრა, რაკი იცოდა, ეცდებოდა სელი აეღებინებინა განსრასვაზე.

ნიალი და მისი ვაჟები თინგიდან შინისკენ გაემართნენ და მთელი ზაფხული სასლში გაატარეს. ნიალმა ჰკითხა კარის, აპირებდა თუ არა იგი წასვლას აღმოსავლეთით, დიურპოლმში, სადაც მისი კარ-მიდამო იყო. კარიმ მიუგო:

— არ წავალ აღმოსავლეთში იმიტომ, რომ მეც შენი შვილების ბედი უნდა გავიზიარო.

ნიალმა მადლობა გადაუხადა და უთხრა, მეც მაგის იმედი მქონდაო. ეზოში მოსამსახურეებთან ერთად მუდამ იმყოფებოდა ოცდაათამდე კაცი, რომლებსაც იარაღის ხმარება შეეძლოთ.

ერთხელ ისე მოხდა, რომ პროდნიუ, პასკულდის ასული, კელდურში ამოვიდა. ინგიალდი, მისი ძმა, სიხარულით მიეგება. პროდნიუმ სალამზე არ უპასუხა და სთხოვა, გარეთ გაპყოლოდა. ინგიალდი ასეც მოიქცა და გაპყვა მას. ორივე ეზოდან გავიდა. ჰროდნიუმ მას სელი სტაცა და დასვა. პროდნიუმ ჰკითხა:

— მართალია, რომ ფიცი დაგიდვია, თავს დაესხა ნიალსა და მის ვაჟებს და დასოცო ისინი?

ინგიალდმა მიუგო:

— მართალია.

— ყოველად უღირსი ყოფილხარ, — უთხრა პროდნიუმ, — შენ ხომ ნიალმა სამჯერ გადაგარჩინა სამუდამო განდევნას.

— ასლა ისე აეწყო ყველაფერი, — მიუგო ინგიალდმა, — რომ თავს წავაგებ, თუ ეგ არ გავაკეთე.

— არაფერიც, — უთხრა ქალმა, — ცოცხალიც დარჩები და კაი კაცადაც ჩაითვლები, თუ არ უღალატებ, ვისაც შენთვის სიკეთე უქნია.

მან შულდაკიდან სისსლში ამოთხვრილი და დაჩვრეტილი ტილოს ქუდი ამოიღო და თქვა:

— ეს ქუდი თავზე ეხურა პასკულდ ნიალის ძეს, როცა მოკლეს. განა შეგფერის, მსარს უჭერდე იმათ, ვინც ეს საქმე დაგვმართა?

ინგიალდმა თქვა:

— დაე, რაც უნდა მოხდეს; აღარ წავალ ნიალის წინააღმდეგ. მაგრამ ვიცი, ამას არ შემარჩენენ.

პროდნიუმ უთხრა:

— შენ შეგიძლია დიდი სამსახური გაუწიო ნიალსა და მის ვაჟებს, თუ მათი მტრების გულისნადებს გაუმსელ.

— მაგას არ ვიზამ, — მიუგო ინგიალდმა, — რადგან ყველაზე სულმდაბალი გამოვალ, თუ გავცემ იმას, რაც გამანდეს. მაგრამ ის კი ვაუკაცური საქმე იქნება, რომ მათ საქმეს განზე გავუდგე, რადგან ვიცი, ეცდებიან სამაგიერო გადამიხადონ. შენ კი ნიალსა და მის ვაჟებს უთხარ, მთელ ზაფხულს ფხიზლად იყვნენ და ხალხიც ბლომად იყოლიონ. ეს კეთილი რჩევაა.

ამის შემდეგ პროდნიუ ბერგთორსპვალში გაემართა და ნიალს თავისი ნასაუბრალი გადასცა. ნიალმა მადლობა გადაუხადა და უთხრა, კარგად მოქცეულხარო.

— ნამდვილად ცუდად მოიქცეოდა, თუ ჩემს წინააღმდეგ გამოილაშქრებდა.

ამის შემდეგ პროდნიუ შინ გაბრუნდა და ნიალმა კი თავის ვაჟებს უამბო ყველაფერი.

ერთი დედაბერი ცხოვრობდა ბერგთორსპვალში, რომელსაც ხეუნი ერქვა. მან ბევრი რამ იცოდა და ნათელმსილველობაც შეეძლო, მაგრამ ძალზე მოხუცებული იყო და ნიალის ვაჟები გამოჩერჩეტებულს ეძახდნენ, რადგან გაუთავებლად ლაქლაქებდა, თუმცა მისი ნათქვამი ხშირად ამხდარა. ერთ დღესაც ჯოხს წამოაყრდნო ხელი და სახლს უკნიდან შემოუარა, სადაც თივის ზვინი იდგა. მან ჯოხით ცემა დაუწყო ზვინს და თან სწყევლიდა, თან ეუბნებოდა, ნუმც მოყრილხარ ჩემ სნობამდე, შე ოხერო და უბედუროო. სკარპპედინს გაეცინა და ჰკითხა, რას ერჩი, რა დაგიშავა მაგ ზვინმაო. დედაბერმა უთხრა:

— ამ ზვინს აიღებენ და ცეცხლს წაუკიდებენ, როცა ნიალსა და ჩემს გაზრდილ ბერგთორას დაწვავენ. გადააგდეთ წყალში, ან ასლავე დაწვით.

— მაგას არ ვიზამთ, — მიუგო სკარპპედინმა, — თუ დაწვა გვიწერია, სხვა რამ გამოჩნდება ცეცხლის წასაკიდებელი, ეგ ზვინიც რომ არ იდგეს მანდ.

დედაბერი მთელ ზაფხულს ზვინის აღებაზე ქაქანებდა, მაგრამ ყური არავის უთხოვებია.

125

რეიკირში, სკეიდის ველზე ცხოვრობდა რუნოლვ თორსტეინის ძე. მის ვაჟს პილდიგლუმი ერქვა. კვირა ღამეს, როდესაც თორმეტი კვირა იყო დარჩენილი ზამთრის დადგომამდე, იგი გარეთ გამოვიდა და ისეთი გრგვინვა შემოესმა, თითქოს ცა და დედამიწა შეირყაო. მან დასავლეთისკენ გაიხედა და მოეჩვენა ცეცხლოვანი რკალი და მასში ლეგა ჰუნეზე ამსედრებული კაცი. იგი გამალებით მოგელვებდა ცხენს და გვერდით ჩაიქროლა. სელში აალებული მაშხალა ეჭირა. მან ასლოს გაიარა და პილდიგლუმმა კარგად დაინახა, რომ იგი კუპრივით შავი იყო. მხედარმა ხმამაღლა შემოსძახა ეს ლექსი:

ქურანს მოვაქროლებ
ქედზე ქაფმოდებულს,
ქარში ფაფარგაშლილს.
ბოროტება მომაქვს
მე ამ მუგუზალის
ცეცხლითა და შხამით.
ფლოსის ზრახვანი
ამ მუგუზალს პგავს,
ფლოსის ზრახვანი
ამ ბუგუზალს პგავს.

პილდიგლუმს მოეჩვენა, რომ მხედარმა მაშხალა აღმოსავლეთის მხარეს გადააგდო მთებში და ისეთი სანძარი გაჩნდა, რომ მთებიც კი აღარ ჩანდა. შემდეგ პილდიგლუმს მოეჩვენა, რომ მხედარმა აღმოსავლეთისკენ გაქუსლა, ცეცხლში შეიჭრა და გაქრა. ჰილდიგლუმი სასლში შევიდა, თავის საწოლზე დაწვა და დიდსანს იყო აუცნობადაკარგული. შემდეგ ყველაფერი გაიხსენა, რაც იხილა, და თავის მამას უამბო, მან კი ურჩია, ჰიალტი სკეგის ძისთვის ეთქვა ნანასი. პილდიგლუმი მასთან გაემართა და ყველაფერი გადასცა.

— ალი მოგჩვენებია, — თქვა ჰიალტიმ, — ეგ კარგს არას მოასწავებს.

126

ზამთრის დამდეგამდე ორი თვე იყო დარჩენილი, როდესაც ფლოსი აღმოსავლეთიდან წამოსასვლელად გაემზადა და ისმო ყვე-

ლა, ვინც თანსლება აღუთქვა. ყველას ორ-ორი ცხენი პყავდა დ კარგი საჭურველი პქონდა. სვინაფელში შეიყარნენ და ღამეც იქ გაათიეს. ფლოსიმ დილაადრიან გაამართვინა საკვირაო წირვა. შემდეგ იგი მაგიდას მიუჯდა. ფლოსიმ თავის ჯალაბობას დაუბარა, ვის რა უნდა ეკეთებინა, სანამ იგი შინ არ იქნებოდა. ამის შემდეგ მან თავის ცხენებს მიაშურა.

ფლოსი და მისი ხალხი დასავლეთისკენ დაიძრნენ ქვიშნარის გავლით. ფლოსიმ ბრძანა აუჩქარებლად ეცლოთ და დალოდებოდნენ ყველას, ვისაც გზად დაყოვნება მოუწევდა. იარეს დასავლეთისკენ სკოგაპვერვის გზით და კირკიუბერს მიაღწიეს. ფლოსიმ ყველას უბრძანა ეკლესიაში წასულიყვნენ და ელოცათ. ასეც მოიქცნენ. მერე ისევ ცხენებს მოასსდნენ და მთებში ფისკივატნის ტბას მიაშურეს, დასავლეთიდან შემოუარეს მას და დასავლეთისკენ გაემართნენ ქვიშნარზე გავლით, ხელმარცხნივ მოიტოვეს ეიაფიალაიაკულის მყინვარი და გოდალანდის გზით მდინარე მარკარფლიოტისკენ დაეშვნენ. კვირის მეორე დღეს, ნაშუადღევს, თრიპიურნინგსპალსარის ქედს მიადგნენ და საღამომდე გაჩერდნენ. აქ მოსული იყო ყველა, გარდა ინგიალდ კელდურელისა, და სიგფუსის ვაჟები მას ლანძღვით იკლებდნენ, მაგრამ ფლოსიმ სთხოვა, უდიერად ნუ ასსენებთ, ვიდრე თვითონ აქ არ არისო.

— მერე გავუსწორდებით, — დაუმატა მან.

127

ახლა ის უნდა ვთქვათ, თუ რა მოხდა ბერგთორსპვალში. გრიმი და პელგი პოლარში გაემგზავრნენ, სადაც თავიანთი შვილები პყავდათ აღსაზრდელად გაბარებული, და თავიანთ მამას უთხრეს, ამ საღამოს არ დავბრუნდებითო. მათ მთელი დღე პოლარში გაატარეს. აქ მაწანწალა დედაკაცები მოვიდნენ და თქვეს, შორიდან მოვდივართო. ჰკითხეს, რა ამბები მოგაქვთო, და იმათაც მიუგეს, ისეთი დიდი არაფერი ვიცით, მაგრამ რაღაცას მაინც გეტყვითო. მათ ჰკითხეს, რა მოხდაო და სთხოვეს, არაფერი დაემალათ. ისინიც დათანხმდნენ.

— ჩვენ ფლიოტსპლიდიდან ჩამოვდიოდით და დავინახეთ ცხენებზე ამხედრებული სიგფუსის ვაჟები შეიარაღებულნი თრიპიურ-

ნინგსპალსარისკენ მიდიოდნენ. სულ ოსუომეტნი იყვნენ. ვნასეთ გრანი გუნარის ძე და გუნარ ლაშბის ძეც, სულ სუთი კაცი იქნებოდა. და ისინიც იქით მიემართებოდნენ. ეტყობა, დიდ ამბავში არიან.

პელგი ნიალის ძემ თქვა:

— ალბათ ფლოსი მოვიდა აღმოსავლეთიდან და ყველა მასთან იყრის თავს. ასლა კი მე და გრიმს იქ ვემართებს ყოფნა, სადაც სკარპედინია.

მართალს ამბობო, დაუდასტურა გრიმმა და შინისკენ გამოემართნენ.

იმ საღამოს ბერგთორამ შინაურებს უთხრა:

— აირჩიეთ, ვის რა საჭმელი გესიამოვნებათ, რადგან ამ საღამოს უკანასკნელად გაგიშლით სუფრას.

— ეგ როგორ იქნება, — უთხრეს იქ მყოფებმა.

— მაინც აგრე მოსდება, — მიუგო მან, — კიდევ უფრო მეტსაც ვეტყოდით, რომ მინდოდეს, მაგრამ ერთს კი ვიტყვი, რომ გრიმი და პელგი ამ საღამოს შინ ვასშმობამდე მობრუნდებიან. და თუ ეს მოხდა, ყველაფერი ასდება, რასაც ვამბობ.

შემდეგ სუფრის გაშლას შეუდგა.

ნიალმა თქვა:

— უცნაური რაღაც მეჩვენება. აქეთ-იქით ვიყურები და თითქოს კედლებიც ჩამოქცეულა მთელ სახლში და მაგიდაცა და საჭმელებიც სულ სისხლში ცურავს.

ყველამ გაიცა გარდა სკარპედინისა. მან თქვა, ტყუილად გულს ნუ გაიტესთ და ისეთი რამე ნუ დაეცდებათ, რომ მასხრაღ აგვიგდონო.

— ჩვენ სომ პევრად უფრო მეტი მოგვეთსოვება, ვიდრე სხვას.

გრიმი და პელგი დაბრუნდნენ ვახშმობის დამთავრებამდე და ყველა სასტად დარჩა. ნიალმა ჰკითხა, ასე მალე რად დაბრუნდითო, და იმათაც უთხრეს, რაც გაეგოთ. ნიალმა ბრძანა, არავინ დაწვეს და ყველანი ფხიზლად იყავითო.

128

ფლოსიმ თავის სალსს უთხრა:

— აბა, გავწიოთ ბერგთორსპალისკენ, რომ ვახშმობამდე ჩავუსწროთ.

ასეც მოიქცნენ. ბორცვის წინ ღარტაფი იყო და ისინი შიგ შეკიდნენ, ცხენები დააბეს და ფესი არ მოუცელიათ, ვიდრე კარგად არ ჩამობნელდა. ფლოსიმ თქვა:

— ახლა სახლთან მივიდეთ. ერთმანეთს ნუ დაეცილდებით, დინჯად ვიაროთ და ვნახოთ, რას იზამენ.

ნიალი და მისი ვაჟები, კარი და მოელი ჯალაბობა სახლის წინ იდგნენ გამწკრივებულნი. ოცდაათ კაცამდე იქნებოდნენ. ფლოსი შეჩერდა და თქვა:

— ახლა ვაცადოთ, როგორ მოიქცევიან, თორემ, თუ ეერე იდგნენ სახლის წინ, ჩვენ მაგათ ვერაფერს დავაკლებთ.

— მაშ ტყუილად მოვსულვართ, — თქვა გრანი გუნარის ძემ. — თუ იერიშის მიტანას ვერ ვბედავთ.

— ეგ არ მოხდება, — მიუგო ფლოსიმ, — ჩვენ მათ თავს დავესხმით, გარეთაც რომ იდგნენ. მაგრამ ეგ თათბირი ძვირად დაგვიჯდება და ბევრი ჩვენგანი ვეღარ შეძლებს იმის მოყოლას, თუ ვის ღარჩა გამარჯვება.

ნიალმა თავისიანებს უთხრა:

— როგორ გგონიათ, რამდენნი იქნებიან?

— ხალხი კი ბევრი პყავთ და დარაზმულნიც დგანან, — მიუგო სკარპედინმა, — მაგრამ იმიტომ გაჩერდნენ, რომ იმედი არა აქვთ ჩვენი მორევისა.

— მაგას ვერ შეძლებენ, — თქვა ნიალმა, — ახლა კი ჩემი სურვილია, ყველანი სახლში შევიდეთ. გუნარ ჰლიდარენდელს ძლიეს მოერივნენ და ის სომ მარტო იყო. ეს სახლიც უფრო მტკიცედ არის ნაგები, ვიდრე გუნარისა იყო, და მომხდურნიც ვერაფერს ვახდეზიან.

— ეგ გზა სამშვიდობოს ვერ გაგეიყვანს, — თქვა სკარპედინმა,— ის პავდინგები, გუნარს თავს რომ დაესხნენ, იმდენად კეთილშობილი ხალხი იყო, რომ უკან გაბრუნებას უფრო იკისრებდნენ, ვიდრე სახლში მის დაწვას. ესენი კი მაშინვე ცეცხლში გამოგვბუგავენ, თუ სხვაფრივ ვერ მოგვიარეს, რადგან ყველაფერზე წავლენ, ოღონდ გაგვანადგურონ. მათ კარგად იციან, რომ ცოცხლები ვერ გადაგვირჩებიან, და ასეც იქნება, თუ სელიდან დავუსხლტით. ისე კი ვერაფრად მეპიტნავება, რომ მელასავით შებოლვით გამომაგდონ სოროდან.

ნიალმა თქვა:

— თქვენ თქვენსას არ იშლით და არაფრად აგდებთ ჩემს რჩევას, ჩემო შვილებო, და არც ხათრს მიწევთ. სიჭაბუკეში აგრე როდი იქცეოდით და უკეთესადაც მიგდიოდათ საქმე.

პელგიმ თქვა:

— ისე გავაკეთოთ, როგორც მამაჩვენს უნდა. ეგრე აჯობებს ჩვენთვის.

— მაგაში დარწმუნებული არა ვარ, — თქვა სკარპედინმა, — იმიტომ, რომ მაგის დღეები დათვლილია. მაგრამ მამაჩემის საამებლად შემიძლია, მასთან ერთად დავიწვა თავი, რადგან მე სიკვდილი არ მაშინებს.

შემდეგ მან კარის უთხრა:

— მსარი მხარს მივცეთ, ჩემო სიძევ, და ერთმანეთს ნუ მივატოვებთ.

— მეც ეგა მაქვს გუნებაში, — მიუგო კარიმ, — მაგრამ თუ განგება სხვაფრივ განსჯის, ჩვენ ვერაფერს გავხდებით.

— შური იძიე ჩვენთვის, — უთხრა სკარპედინმა, — ჩვენ კი შენთვის ვიძიებთ შურს, თუ ცოცხალი დავრჩით.

კარიმ სიტყვა მისცა, რომ ასეც მოიქცეოდა. შემდეგ ისინი შიგნით შევიდნენ და კარებთან გამწკრივდნენ.

ფლოსიმ თქვა:

— დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დარჩენიათ, რაკი შიგნით შევიდნენ. ახლა სასწრაფოდ სახლთან უნდა მივიდეთ და კართან ახლო მივდგეთ, რომ გარეთ ვერავინ გამოვიდეს, კარი ან ნიალის ვაჟებთაგანი, თორემ დავიღუპებით.

ფლოსი თავისი სალხიანად სახლთან მივიდა და ალყა შემოარტყა, ეშინოდა საიდუმლო გასასვლელი არ გამოჩნდეს სადმეო. ფლოსი და მის ახლოს მდგომნი ზედ მიადგნენ მთავარ შესასვლელს. პროალდ აცურის ძემ იქით ისკუპა, სადაც სკარპედინი იდგა, და შუბი პკრა, მაგრამ სკარპედინმა ნაჯასით შუბის ტარი გადაულეწა და ნაჯახი ფარს მოხვდა. ისე, რომ ფარი პატრონს ზედ აეკრა და ნაჯასის წინა წვერი სახეში მოხვდა. პროალდი უკან გადავარდა და იქვე მოკვდა.

კარიმ თქვა:

— შენს დარტყმას ვერავინ გადურჩება, სკარპედინ, და ვერც. ვაუკაცობით შეგედრება ჩვენთაგანი ვინმე.

— ეგ მე არ ვიცი, — მიუგო სკარპედინმა, ტუჩი აიბზუა და ჩაიცინა.

კარი, გრიმი და პელგი შიგნიდან შუბებს სტყორცნიდნენ და ბევრიც დაჭრეს, ფლოსისა და მის ხალხს კი ვერაფერი ეღონათ. მაშინ ფლოსიმ თქვა:

— დიდი ზარალი ვნასეთ. ბევრი ჩვენგანი დაიჭრა და მოგვიკლეს ის, ვისაც ყველაზე ნაკლებ შეველეოდით. აშკარაა, იარაღით მათთან ვერაფერს გავაწყობთ, მით უმეტეს, რომ ყველა ვერ იჩენს ისეთ სიმამაცეს, როგორც იქადნებოდა. სხვა რაღაც უნდა მოვიფიქროთ. ორი საშუალება გვაქვს და არც ერთი არ ვარგა: ან უკან გავბრუნდეთ, და მაშინ დაღუპვა ველის, ან თავიანთსავე სახლში გამოვბუგოთ ისინი, მაგრამ ეს დიდი დანაშაულია ღვთის წინაშე, რაკი ქრისტიანები ვართ. და მაინც ამ გზას უნდა მივმართოთ და რაც შეიძლება, მალე.

129

ცეცხლი გააჩაღეს და დიდი კოცონი დაანთეს კარების წინ. მაშინ სკარპედინმა თქვა:

— რაო, ყმაწვილებო, ცეცხლს აჩაღებთ? რამის შეწვას თუ აპირებთ?

გრანი გუნარის ძემ მიუგო:

— ვაპირებთ კიდეც და შენც ზედ მიგაყოლებთ.

სკარპედინმა უთხრა:

— ეგრე მისდი მამაშენის სისხლის აღებას? იმას უფრო აფასებ, რაც არაფრად უნდა გიღირდეს.

მაშინ ქალებმა ცეცხლს შრატი გადაასხეს და ჩააქრეს.

კოლ თორსტეინის ძემ ფლოსის უთხრა:

— ერთი რამ მომაფიქრდა. დარბაზის თავზე სხვენი დავინახე განივ ძელთან. სწორედ იქ უნდა გავაჩინოთ ხანძარი და ამისათვის კი საჭიროა ცეცხლი წავუკიდოთ სახლზე მიდგმულ თივის ზვინს.

თივის ზვინს ცეცხლი წაუკიდეს და შიგნით მყოფებმა მანამდე ვერაფერი იგრძნეს, ვიდრე მთელი შენობა ცეცხლში არ ვაესვა.

მაშინ ფლოსიმ და მისმა სალსმა ყველა შესასვლელთან კოცონი დაანთეს. შიგნით მყოფმა ქალებმა მოთქმა-გოდება ატეხეს. ნიალმა მათ უთხრა:

— გამაგრდით და მოეშვით მაგ ვიშვიშს. თქვენი ვაება სანმოკლე ქარიშხალია და დიდხანს თავს აღარ დაგატყდებათ მისი მსგავსი. გახსოვდეთ, რომ ღმერთი მოწყალეა და დასაწვავად არც ამ ქვეყნად გაგიმეტებთ და არც იმ ქვეყნად.

ასეთი შეგონებითა და სხვა კიდევ უფრო გონივრული სიტყვებით ამხნევებდა ნიალი მათ. ასლა უკვე ყველა შენობას მოედო ცეცხლი. მაშინ ნიალი კარებთან გამოვიდა და თქვა:

— ასლოს არის ფლოსი, რომ ჩემი ნათქვამი გაიგონოს?

მესმისო, მიუგო ფლოსიმ. ნიალმა უთხრა:

— იქნებ შეურიგდე ჩემს შვილებს, ან ზოგს მაინც მისცე გარეთ გამოსვლის ნება?

ფლოსიმ მიუგო:

— მე შენს შვილებს არ შევურიგდები, საბოლოოდ გავუსწორდებით მათ და აქედან ფეხს არ მოვიცვლით, ვიდრე ყველა შენს ვაუს არ მოვუღებთ ბოლოს. მაგრამ ქალებს, ბავშვებსა და ჯალაბობას კი მივცემ გამოსვლის ნებას.

ნიალი უკან შებრუნდა და იქ მყოფთ უთხრა:

— გავიდეს ყველა, ვისაც გასვლის ნება აქვს. შენც, თორპალა, ასგრიმის ასულო, გადი და დანარჩენებიც თან გაპყეეით.

თორპალამ თქვა:

— არ მეგონა, რომ ასე დავშორდებოდით ერთმანეთს მე და პელგი. მამაჩემსა და ჩემს ძმებს შურს ვაძიებინებ ხალხის გაულეტისათვის, ყველაფრისათვის, რაც აქ სდება.

ნიალმა უთხრა:

— სიკეთე ნუ მოგეშალოს, რაკი აგრე კარგი ქალი ყოფილხარ.

ამის შემდეგ თორპალა გარეთ გამოვიდა და თან ბევრი სალხი გამოპყვა.

მაშინ ასტრიდ დიუპარბაკელმა პელგი ნიალის ძეს უთხრა:

— ჩემთან ერთად შენც გამოდი, ქალის მოსასხამს მოგახურაკ და თავსაც თავშლით წაგიკრავ.

პელგი ჯერ უარზე იდგა, მაგრამ მერე თსოვნას დაპყვა. ასტრიდმა თავზე თავშალი შემოახვია, თორპილდმა კი მხრებზე ქა-

ლის მოსასხამი მოახურა და იგი სახლიდან გამოვიდა. ქალებს შორის მოდიოდა. უკან მოჰყვნენ ნიალის ახულები თორგერდი და ჰელგა, და კიდევ სხვები. და როდესაც ჰელგი გამოვიდა, ფლოსიმ თქვა:

— ის ქალი, ავერ რომ მოდის, მაღალია და ბეჭებშიც განიერი. სტაცეთ ხელი და დააკავეთ.

ეს რომ პელგიმ გაიგონა, თავშალი და ქალის მოსასხამი გადაიძრო. ხელთ მასვილი ეპყრა. იქვე მდგარ კაცს შემოუქნია და წაგრძელებული ფარის ძირი და ფესი წააცალა. ამ დროს ფლოსიმ მიუსწრო, პელგის კისერში მასვილი დასცა და მყისვე თავი გააგდებინა.

შემდეგ იგი კართან მივიდა და ნიალი და ბერგთორა სალაპარაკოდ გამოიხმო. ნიალი გამოვიდა. ფლოსიმ უთხრა:

— მინდა გარეთ გამოხვიდე, რადგან არ იქნება სწორი, შენ რომ მაგ ცეცხლში დაიწვა.

ნიალმა მიუგო:

— მე არ გამოვალ, რადგან დავბერდი და ძალა აღარ შემწევს ჩემი შვილებისთვის შურის საძიებლად. შერცხვენილმა კი არ მინდა ამქვეყნად ვიარო.

ახლა ბერგთორას უთხრა ფლოსიმ:

— შენ მაინც გამოდი, დედაკაცო, არ მინდა მაგ ცეცხლში დაიღუპო.

ბერგთორამ უპასუხა:

— მე ახალგაზრდა მიმათხოვეს ნიალს და მაშინ სიტყვა მივეცი, რომ ორივეს ერთი ბედი გვექნებოდა.

და ორივენი შინ შებრუნდნენ. ბერგთორამ თქვა:

— ახლა როგორ მოვიქცეთ?

წავიდეთ და ჩვენს საწოლში ჩავწვეთ, — მიუგო ნიალმა.

ბერგთორამ პატარა თორდ კარის ძეს უთხრა:

— შენ სახლიდან გაგიყვანენ და დაწვას გადარჩები.

— აკი დამპირდი, დიდედაჩემო, — მიუგო ბიჭუნამ, — რომ ჩვენ ერთმანეთს არასოდეს დავშორდებოდით. თქვენთან ერთად სიკვდილი მირჩევნია ცოცხლად გადარჩენას.

მაშინ ბერგთორამ ბავშვი ხელში ატატებული მიიყვანა საწოლთან.

ნიალმა თავის მოურავს უთხრა:

— შესედე, სად დავწვებით და როგორ მოვთავსდებით, რადგან მე აღარ გავინძრევი, როგორც არ უნდა შემაწუსოს კვამლმა ან სიცხოველემ. კარგად დაუკვირდი, ხომ უნდა იცოდე, სად ეძებო ჩვენი ძვლები.

მოურავმა ყველაფრის შესრულება აღუთქვა. ოდესღაც ხარი დაეკლათ და მისი ტყავი იქვე იდო. ნიალმა მოურავს უთხრა, ეს ტყავი ზედ გადაეფარებინა მათთვის, და მოურავი ამასაც დაპპირდა. შემდეგ საწოლზე დაწვნენ და ბიჭუნა შუაში ჩაიწვინეს. მერე თვითონაც გადაიწერეს პირჯვარი, ბავშვსაც გადასასეს და თავიანთ სული უფალს მიანდეს. ეს იყო მათი უკანასკნელი სიტყვები. მოურავმა ტყავი აიღო, ზედ გადააფარა მწოლიარეთ და გამოვიდა. წინ კეთილ მარკელი შემოსვდა, რომელმაც გარეთ გამოათრია იგი. მან დაწვრილებით გამოპკითხა თავისი სიმამრის, ნიალის ამბავი და მოურავმაც სრული სიმართლე უამბო. კეთილმა თქვა:

— დიდი სიმწარე გვაგემა ბედმა, რაკი ორივეს ეს უბედურება დაგვატეხა თავს.

სკარპპედინმა რომ დაინახა, როგორ ჩაწვა საწოლში მამამისი, თქვა:

— ადრე წვება მამაჩვენი, მაგრამ, რა ქნას, დაგვიბერდა.

მაშინ სკარპპედინი, კარი და გრიმი დასწედნენ მუგუსლებს, რომლებიც ზემოდან ცვიოდა, და გარეთ მდგომთ დააყარეს. ერთხანს ასე გრძელდებოდა. გარედან მათ შუბების სროლა დაუწყეს, მაგრამ ისინი ჰაერშივე იჭერდნენ და უკან სტყორცნიდნენ. მაშინ ფლოსიმ ბრძანა, შეეწყვიტათ შუბების სროლა.

— იარაღით ყოველგვარი შეხლა-შემოხლა ჩვენვე დაგვაზარალებს, — თქვა მან, — გიჯობთ, დაიცადოთ, ვიდრე ცეცხლი თავისას არ იზამს.

ასეც მოიქცნენ. ზემოდან დიდმა კოჭებმა იწყეს ჩამოცვენა. სკარპპედინმა თქვა:

— მამაჩემი ალბათ უკვე მკვდარია. აღარც კვნესა ისმის მისი და აღარც წამოხველება.

ისინი დარბაზის ბოლოში გავიდნენ. აქ განივად გადებული ძელი ჩამოვარდნილიყო, შუაგული გამოსწვოდა. კარიმ სკარპპედინს უთხრა:

— ამ ძელზე აირბინე, მეც ხელს შემოგაშველებ, მერე მე მოგ-

ყვები. ორივე თავს დავაღწევთ, თუ ასე მოვიქცევით, რადგან მთელი კვამლი ქარს იქით მიაქვს.

სკარპედინმა უთხრა:

— ჯერ შენ გაიქეცი. მეც უკან მოგყვები.

— ეგრე არ ივარგებს, — მიუგო კარიმ, — რადგან მე სხვა ადგილზეც გავალ, თუ აქ არაფერი ვამოვიდა.

— ეგ მე არა მსურს, — ეუბნება სკარპედინი, — წინ შენ წადი და მეც ფესდაფეხ მოგყვები.

კარიმ თქვა:

— ყოველი ადამიანი უნდა ცდილობდეს სიცოცხლე შეინარჩუნოს, თუ საშუალება აქვს, და მეც აგრე მოვიქცევი. თუ ახლა დავცილდით, მეტს ვეღარ ვნახავთ ერთმანეთს, რადგან თუ ცეცხლს გავაღწიე როგორმე, იმის თავი აღარ მექნება, რომ ისევ შემოვიჭრე ამ ცეცხლში შენთან და მაშინ თითოეულ ჩვენგანს თავისი გზა ექნება.

— მე კიდევ ის მიხარია, — უთხრა სკარპედინმა, — რომ თუ აქედან გახვედი, ჩემო სიძევ, ჩვენთვის შურს იძიებ.

მაშინ კარიმ ანთებულ მუგუზალს დაავლო ხელი და ძელზე აირბინა, მუგუზალი სახურავიდან ქვემოთ ისროლა. იგი სახლთან ახლო მდგომთ დაეცა. ისინი უკან მიაწყდნენ. კარის მთელ ტანსაცმელსა და თმაზე ცეცხლი ეკიდა. იგი სახურავიდან ჩახტა და კვამლის მიმართულებით გაიქცა. მაშინ ყველაზე ახლოს მდგომმა კაცმა თქვა:

— იმ სასურავიდან ვგონებ კაცი გადმოხტა, არა?

— რას ამბობ? — უთხრა მეორემ, — ეგ ხომ სკარპედინის ნასროლი მუგუზალი იყო.

აღარავინ დაეჭვებულა. კარი ნაკადულთან მიიჭრა, წყალში გადაეშვა და ტანზე ცეცხლი ჩაიქრო. კვლავ კვამლი იფარა, ერთ ორმოსთან მიირბინა და იქ დაისვენა. მას შემდეგ, ამ ადგილს კარის ორმოს ეძახიან.

130

ახლა სკარპედინს მივხედოთ. იგი კარის სირბილით აჰყვა ძელზე და იმ ადგილთან რომ მივიდა, სადაც ძელი ყველაზე მეტად იყო დამწვარი, იგი ძირს ჩამოიქცა. სკარპედინმა გადმოხტომა მოასწრო, ისევ ძელზე ავარდა და კედელთან მივიდა, მაგრამ აქ მას ძე-

ლი ფესქვეშ გამოეცალა და სკარპპედინი ძირს ჩამოვარდა. მაშინ მან თქვა:

— ასლა კი ვსედავ, რაც მიწერია.

შემდეგ იგი გვერდით კედელს გაუყვა. გუნარ ლამბის ძე კედელზე ასტა, სკარპპედინი დაინასა და თქვა:

— რაო, სტირი, სკარპპედინ?

— არა, — მიუგო სკარპპედინმა, — მაგრამ, ამ ოხერმა ბოლმა თვალები დამწვა. შენ, რაო, იცინი თუ?

— მა რას ვიზამ, — ეუბნება გუნარი, — რაც შენ თრაინი მოკალ მარკარფლიოტზე, მას შემდეგ ასე არ მიცინია.

სკარპპედინმა თქვა:

— აპა, მაშ ეს გქონდეს სამასსოვროდ.

და ქისიდან თრაინის კბილი ამოიღო, გუნარს სტყორცნა, თვალში ისე მოახვედრა, რომ თვალი ლოყაზე გადმოეღვენთა და გუნარი კედლიდან გადმოვარდა.

მაშინ სკარპპედინმა თავის ძმას, გრიმს მიაშურა. ერთმანეთს ხელი ჩასჭიდეს და ფესებით ცეცხლის ქრობას მოპყვნენ. და როდესაც შუა დარბაზს მიაღწიეს, გრიმი მკვდარი დაეცა. მაშინ სკარპპედინი სახლის ბოლოში გავიდა. გაისმა ზათქის ხმა და მთელი სახურავი ჩამოიქცა. სკარპპედინი მასსა და კედელს შუა მოექცა და ვერაფრით ვეღარ შეძლო იქიდან გამოსვლა.

ფლოსი და მისი სალხი ხანძარს არ მოსცილებიან, ვიდრე საკმაოდ არ ინათა. ამ დროს მათ ვიღაც ცხენოსანი მოუახლოვდათ. ფლოსიმ სახელი პკითხა. ვეირმუნდი მქვია და სიგფუსის ვაჟების ნათესავი ვარო, მიუგო მოსულმა და დაუმატა:

— დიდი საქმე მოვიხდენიათ.

ფლოსიმ მიუგო:

— ხალხი ამას დიდ საქმედაც მიიჩნევს და ავ საქმედაც. ახლა კი აღარაფერი გაეწყობა.

— ღირსეულ კაცთაგან ვინ დაიღუპა აქ? — პკითხა გეირმუნდმა.

ფლოსიმ მიუგო:

— აქ დაიღუპნენ ნიალი და ბერგთორა, ნიალის ყველა ვაჟი, თორდ კარის ძე, კარი სალმუნდის ძე და თორდ აზატი. სხვებზე კი ვერაფერს ვიტყვით, რადგან მათზე დანამდვილებით არაფერი ვიცით.

გეირმუნდმა თქვა:

— შენ მკვდრებში ჩათვალე კაცი, რომელიც ახლა შორს არის აქედან და რომელსაც ამ დილით ველაპარაკე.

— ვინ არის? — ჰკითხა ფლოსიმ.

— კარი სალმუნდის ძე შეგვხვდა მე და ბარდს, ჩემს მეზობელს, — ეუბნება გეირმუნდი, — და ბარდმა მას თავისი ცხენი მისცა. თმა სულ შეტრუსული ჰქონდა და ტანსაცმელიც დამწვარი.

— ჰქონდა რამე იარაღი? — ეკითხება ფლოსი.

— ჰქონდა მახვილი ფიარსვავნირი („სიცოცხლის გამყუჩებელი"), — ეუბნება გეირმუნდი, — მახვილს პირი გალურჯებოდა და ჩვენ ვუთხარით, ალბათ წრთობა მოაკლდაო და მან გვიპასუხა, ისევ გამოვაწრთობ სიგფუსის ვაჟებისა და იმ დანარჩენი ხალხის სისხლში, ნიალის დაწვაში რომ ურევია სელიო.

ფლოსიმ ჰკითხა:

— სკარპჰედინსა და გრიმზე რაღა თქვა?

გეირმუნდმა მიუგო:

— ცოცხლები დავტოვე, მაგრამ ახლა ალბათ ორივე მკვდარიაო.

ფლოსიმ თქვა:

— შენი ნათქვამი ჩვენ მოსვენებას აღარ მოგვცემს, რადგან ისეთი კაცი გადარჩენილა, რომელიც სხვაზე მეტად უტოლდება გუნარ ჰლიდარენდელს ყველაფერში. ახლა კი, სიგფუსის ძენო და თქვენც, ყველამ, იცოდეთ ამ ხანძრის გამო ისეთი დიდი დავა ატყდება, რომ ბევრი თავს დაკარგავს, ზოგს კი მთელ ქონებადაც დაუჯდება. ვეჭვობ, სიგფუსის ძენო, რომელიმე თქვენგანმა გაბედოს შინ ჯდომა ამას იქით, და არც დაიძრახებით. ამიტომ ყველას ჩემთან გეპატიჟებით აღმოსავლეთში და დაე, ერთ ბედს ქვეშ ვიყვნეთ.

ყველამ მადლობა გადაუხადა. მოდოლვ კეთილის ძემ შაირი გამოთქვა:

ერთიღა გადარჩა
ნიალიანთაგან,
სიგფუსის ვაჟებმა
დამართეს ეს საქმე.
პასკულდის სიკვდილმა
ნიალს დღეს უწია,
შთანთქა ცეცხლის ალმა
მთელი კარ-მიდამო.

— უმჯობესია სსვა რამით მოგვქონდეს თავი, — თქვა ფლოსიმ, — ვიდრე იმით, რომ თავისივე სასლში გამოვბუგეთ ნიალი. მაგაში არაფერია სატრაბახო.

შემდეგ ფლოსი კედელზე ავიდა გლუმ პილდირის ძისა და სხვათა თანხლებით. გლუმმა იკითსა:

— მართლა კი მოკვდა სკარპედინი?

სსვებმა თქვეს, ალბათ უკვე დიდიხნის მკვდარიაო. ცეცხლის ალი ხან აეგზნებოდა, ხან ნელდებოდა. მათ გაიგონეს, რომ ქვემოთ, ცეცხლში, ვიღაცამ შაირი თქვა:

განა ქალს ძალუძს
წინააღუდგეს
თეალთაგან ნადენ
წვიმის ნიაღვარს,
ოდეს მოესმის
ფართა სათქუნი

გრან გუნარის ძემ თქვა:

— ცოცხალმა თუ მკვდარმა სკარპედინმა თქვა ეს შაირი?

— მაგის გამოცნობას ასლა არ დავიწყებ, — უთსრა ფლოსიმ.

— მოდით, მოვძებნოთ სკარპედინი და სხვები, ვინც აქ დაიწვა, — თქვა გრანიმ.

— არ არის საჭირო, — უთსრა ფლოსიმ, — მარტო შენებრ ბრიყვებს შეუძლიათ მაგაზე ფიქრი, როცა მთელ მხარეში სალხი იყრის თავს. ვინც ასლა ფიცსლად არ მოიქცევა, ბოლოს ისე დაფრთხება, რომ არც კი ეცოდინება, საით გაიქცეს, და ჩემი რჩევაა, რაც შეიძლება მალე გავეცალოთ აქაურობას.

ფლოსიმ და მისმა სალსმა სასწრაფოდ თავიანთ ცსენებს მიაშურეს. ფლოსიმ გეირმუნდს ჰკითსა:

— როგორ გგონია, ინგიალდი შინ იქნება კელდურში?

გეირმუნდმა უთსრა, ალბათ შინ არისო.

— მაგან, — თქვა ფლოსიმ, — ჩვენთვის მოცემული სიტყვა გატეხა და ყველა პირობას გადაუსვია.

ფლოსიმ სიგფუსის ვაჟებს უთსრა:

— რა ვუყოთ ინგიალდს? გინდათ აპატიოთ, თუ წავიდეთ მასთან და მოვკლათ?

ყველამ წასვლა და მოკვლა თქვა. მაშინ ფლოსი თავის ცხენს მოასტა, აგრეთვე სხვებიც, და გაეშურნენ. ფლოსი წინ მიდიოდა, მდინარე რანგისკენ გაემართა და ზეგით აუყვა. ამ დროს მდინარის გაღმა მომავალი მხედარი დაინახა და იცნო ინგიალდ კელდურელი. ფლოსიმ დაუძახა. ინგიალდი შეჩერდა და მათკენ მობრუნდა. ფლოსიმ უთხრა:

— შენ ჩვენთვის მოცემული სიტყვა გატეხე და ამიტომ ქონებასაც უნდა გამოესალმო და სიცოცხლესაც. აგერ, სიგფუსის ძენი აქ არიან და მოკვლას გიპირებენ. მე მგონი, ცუდად არის შენი საქმე, მაგრამ სიცოცხლეს შეგინარჩუნებ, თუ მე მომანდობ ჩვენი საქმის განსჯას.

ინგიალდი კი ეუბნება:

— უმალ კარისთან წავალ, ვიდრე შენ გაგარჩევინებ საქმეს. სიგფუსის ვაჟებს კი იმას ვეტყვი, რომ მე მაგათი უფრო ნაკლებ მეშინია, ვიდრე მაგათ ჩემი.

— დაიცა მანდ. — უთხრა ფლოსიმ, — თუ მსდალი არა სარ, ანაბარს გამოგიგზავნი.

— რაღა თქმა უნდა, დავიცდი, — მიუგო ინგიალდმა.

თორსტეინ კოლბეინის ძე, ფლოსის ძმისწული, წინ გამოვიდა, ფლოსის გვერდით ამოუდგა ცხენით და ხელში შუბი ეჭირა. იგი ფლოსის მომხრეთაგან ერთ-ერთი უმამაცესი და ღირსეული კაცი იყო. ფლოსიმ მას შუბი გამოსტაცა, ინგიალდს სტყორცნა და მარცხენა მხრიდან მოარტყა. შუბმა ფარი გაუპო, სახელური ქვემოთ, მუხლის თავთან ბარძაყში მოხვდა და უნაგირში გაიჭედა. ფლოსიმ ინგიალდს ჰკითხა:

— რაო, მოგხვდა?

— მომხვდა, — მიუგო ინგიალდმა, — მაგრამ მე ამას ნაფხაჭნი ვეძახი და არა იარას.

ინგიალდმა ჭრილობიდან შუბი ამოიძრო და ფლოსის უთხრა:

— აბა, ახლა შენ დამიდექი, თუ ლაჩარი არა სარ.

და შუბი მდინარის გაღმიდან გამოსტყორცნა. ფლოსიმ დაინახა, რომ შუბი პირდაპირ მისკენ მოქროდა და უკან დაქაჩა ცხენი. შუბმა ფლოსის ცხენს გადაუქროლა, ასცდა მას და შიგ გულში მოხვდა

თორსტეინს, რომელიც მკვდარი გადმოვარდა ძირს. ინგიალდმა ტყეს მისცა თავი და ველარავინ დაეწია. ფლოსიმ თავის ხალხს უთხრა:

— ბევრი ხალხი დაკარგეულა. ახლა კი, აგერ, რა დაგვემართა. ჩემი რჩევაა, თრიპიურნინგსპალსარის ქედს მივმართოთ. იქიდან მთელი მსარე ხელისგულივით მოჩანს და დავინახავთ, თუ სადმე შეჯგუფებული მსედრები იქნებიან. ახლა ისინი ყოველი მხრიდან შეყრიან ხალხს და იფიქრებენ, რომ ჩვენ თრიპიურნინგსპალსარიდან აღმოსავლეთით, ფლიოტსპლიდისკენ წავედით. ისიც ეგონებათ, რომ აღმოსავლეთის მთებისკენ გავეშურეთ, იქიდან კი ჩვენი მსარისკენ. მათი უმრავლესობა იქით გაემართება, ზოგი მათგანი კი ზღვისპირს გაუყვება ხელიალანდსმულის ქედისაკენ, რადგან ვერ იფიქრებენ, რომ ჩვენც იქით წავედით. ჩვენ კი, ჩემი რჩევაა, თრიპიურნინგის მთას მივაშურით და იქ დაველოდოთ მზის სამჯერ ჩასვლას.

ასეც მოიქცნენ.

131

ახლა კარიზე უნდა გიამბოთ. იგი ამოძვრა ორმოდან, რომელშიც ისვენებდა, და იარა, ვიდრე ბარღს არ შესვდა. მათ შორის ის საუბარი გაიმართა, რომელზედაც გეირმუნდმა ილაპარაკა. იქიდან კარი ცხენით მორდ ვალგარდის ძისკენ გაემართა და ყველაფერი უამბო. მორდი ძალზე დაღონდა. კარიმ უთხრა, ვაუკაცს სხვა რამ უფრო შეჰფერის, ვიდრე მიცვალებულთა გამო წუწუნიო, და ურჩია, ხალხი შეეკრიბა და პოლტსვადის ფონთან მოეყვანა ისინი.

შემდეგ იგი თიორსარდალში გაეშურა პიალტი სკეგის ძესთან. მდინარე თიორსაზე რომ გადავიდა, დაინახა მისკენ ვიღაც სწრაფად მოაჭენებდა ცხენს. კარიმ დაიცადა და იცნო, რომ ეს იყო ინგიალდ კელდურელი. ბარძაყი მთლად გასისხლიანებული პქონდა. კარიმ პკითხა, ვინ დაგჭრაო. ინგიალდმა მოუთხრო, რაც შეემთხვა.

— სად შეგხვდნენ? — პკითხა კარიმ.

— რანგის პირას, — მიუგო ინგიალდმა, — მან მე შუბი მესროლა.

— შენ რაღა პქენი? — ეკითხება კარი.

— შუბი უკანვე ვისროლე, — მიუგო ინგიალდმა, — ასე თქვეს, ვიღაცას მოსვდა და იქვე გაათავაო.

— ხომ არ იცი, — პკითხა კარიმ, — ვის მოარტყი?

— მე მგონი, თორსტეინი იყო, ფლოსის ძმისწული, — მიუგო ინგიალდმა.

— დაილოცოს შენი მარჯვენა, — უთხრა კარიმ.

შემდეგ ორივე ერთად ჰიალტი სკეგის ძესთან გაემგზავრა და უამბეს, რაც მოხდა. იგი აღშფოთდა და თქვა, სასწრაფოდ უნდა დავეწიოთ და ყველა გავწყვიტოთო. შემდეგ ხალხს მოუხმო და ყველა ერთად შეყარა. მაშინ ყველანი გაემართნენ მორდ ვალგარდის ძესთან შესასვენებლად. კარიც მათთან იყო. ჰოლტსვადის ფონთან იდგა მორდი დიდძალი ხალხით. მდევარი გაიყო. ზოგი აღმოსავლეთის გზით დაეშვა სელიალანდსმულისკენ, ზოგი ფლიოტსპლიდისკენ აუყვა, ზოგმა თრიპიურნინგის ქედზე გადავლით გუდალანდს მიაშურა და შემდეგ ჩრდილოეთის ქვიშნარს მიმართა. ზოგმა ფისკივატნისკენ გასწია და უკან გამობრუნდა, ზოგიც აღმოსავლეთისკენ ჰოლტში გაემართა ქვემო გზით და თორგეირს უამბო, რაც მოხდა. ისიც პკითხეს, აქეთ სომ არ გამოუვლიათო. თორგეირმა თქვა:

— მე, რა თქმა უნდა, დიდი პავდინგი არ გასლავართ, მაგრამ ფლოსიმ ასჯერ მაინც უნდა გაზომოს, ვიდრე ჩემ წინ გაელას გაბედავს, რაკი ბიძაჩემი ნიალი და ბიძაშვილები დამისოცა. თქვენ კი ისდა დაგრჩენიათ, რომ უკან გაბრუნდეთ, რადგან ძალზე შორს წამოსულხართ მათ საძებრად. კარის კი ასე უთსარით, აქ მოვიდეს და ჩემთან იყოს, თუ უნდა. მაგრამ თუ აქეთ, აღმოსაელეთში გადმოსვლას არ ინდომებს, მაშინ მე მის სახლ-კარს მივხედავ დიურპოლმარში, თუ ისურვებს. ისიც უთხარით, რომ დავესმარები და ალთინგზეც წავყვები. ბარემ ეგეც იცოდეს, რომ ჩვენ, ძმებს, როგორც ახლო ნათესავებს, უფლება გვაქვს წამოვიწყოთ დავა. ჩვენ ისე გვინდა საქმე დავიჭიროთ, რომ ყველაფერი ვიღონოთ და კანონგარეშე გამოვაცხადოთ ისინი და მერე სისხლი ავიღოთ. მაგრამ ჯერ ვერ გამოგყვებით, რადგან ვიცი, ახლა ყველაფერი ამაოა. ისინი ალბათ ძალზე ფრთხილობენ.

მაშინ უკან გამობრუნდნენ და ჰოვში დაიყარეს თავი, თან იძახდნენ, თავი შევირცხვინეთ, რაკი მათ ვერსად მივაგენითო. მორდმა თქვა, მთლად ეგრე როდია საქმეო. ბევრმა მოითხოვა, ფლიოტსპილ-

დში წავიდეთ და დავარბიოთ იმათი სახლ-კარი, ვინც ამ საქმეში ურევიაო. საბოლოო სიტყვა მაინც მორდს მიანდეს. მან თქვა, ეგ სრული უგუნურება იქნებაო.

— კი მაგრამ, რად ამბობ მაგას?

— იმიტომ, — მიუგო მან, — რომ თუ მათი კარ-მიდამო კვლავინდებურად ხელუსლებელი დარჩება, ისინი თავიანთ სახლ-კარს მიაკითხავენ და ცოლებსაც მოინახულებენ. სწორედ მაშინ გამოვიჭერთ ყველას. ეჭვი ნუ შეგეპარებათ, რომ კარის ყველაფერში ეუერთგულებ. რადგან მე საკუთარ თავზეც ვაგებ პასუხს.

ჰიალტიმ უთხრა, ისე მოიქეცი, როგორც ამბობო. შემდეგ ჰიალტიმ კარი თავის სახლში მიიპატიჟა და ისიც პირველად მასთან მისვლას დაპირდა. კარის უთხრეს, რომ თორგეირი თავისთან ეპატიჟებოდა მას, მაგრამ მან თქვა, მაგ მოწვევას მერე გამოვიყენებო, და დაუმატა, გული მიგრძნობს, ყველაფერი კარგად მოეწყობა, თუ ასეთი ხალხი ბევრი გვეყოლებაო. ამის შემდეგ ყველანი დაიშალნენ.

ფლოსი და მისი ხალხი თავიანთი საფარიდან ყველაფერს ხედავდნენ. ფლოსიმ თქვა:

— წავიყვანოთ ჩვენი ცხენები და წავიდეთ აქედან. ახლა კი აღარაფერი გვიჭირს.

სიგფუსის ვაჟებმა ჰკითხეს, ღირდა თუ არა სახლებში დაბრუნებულიყვნენ და შინაური საქმეებისთვის მიეხედათ.

— მორდი ივარაუდებს, — თქვა ფლოსიმ, — რომ თქვენ თქვენს ცოლებს მიაკითხავთ და ეტყობა, მისი ნაკარნახევი უნდა იყოს, რომ ხელი არ ეხლოთ თქვენი კარ-მიდამოსთვის. გირჩევთ, ნუ დაიფანტებით და ყველანი მე გამომყვეთ აღმოსავლეთში.

ყველამ დაუჯერა ფლოსის, გზას დაადგნენ. მყინვარს ჩრდილოეთიდან შემოუარეს და აღმოსავლეთში სვინაფელს მიაშურეს. ფლოსიმ ხალხი გაგზავნა თადარიგის დასაჭერად, რომ არაფერი დაპკლებოდათ.

ფლოსის არასოდეს დაუქადნია თავისი ნამოქმედარით და არც შიში შეუმჩნევია ვინმეს მისთვის. მან მთელი ზამთარი შინ გაატარა, ვიდრე შობამაც არ გაიარა.

კარიმ პიალტის სთხოვა, წაპყოლოდა ნიალის ძელების მოსანახად.

— ყველა დაიჯერებს შენს ნათქვამს იმის შესახებ, რაც თავად გექნება ნანახი.

პიალტიმ თქვა, სიამოვნებით გადავიტანდიო ნიალის ძელებს ეკლესიაში. თხუთმეტი კაცი გაემართა ერთად. ისინი აღმოსავლეთისკენ გაუდგნენ გზას, მდინარე თიორსაზე გადავიდნენ და გზადაგზა ხალხს უსმობდნენ, ვიდრე ნიალის მეზობლებთან ერთად ასამდე კაცმა არ დაიყარა თავი. ბერგთორსპვალს შუადღეს მიადგნენ. პიალტიმ კარის პკითსა, სად უნდა წოლილიყო ნიალი, და კარიმაც უჩვენა ადგილი, სადაც აუარებელი ფერფლი გახდა გადასაყრელი. ქვეშ ტყავი გამოჩნდა, რომელიც ცეცხლისაგან შეჭმუჭვნილიყო. ტყავი გადახადეს და ორივე გვამი დაუმწვარი დახვდათ. მადლობა შესწირეს უფალს და, რაც იხილეს, დიდ სასწაულად მიიჩნიეს. შემდეგ ბიჭუნა ამოიყვანეს, მათ შუა რომ იწვა. მას თითი პქონდა დამწვარი, რომელიც ტყავის ქვეშიდან გამოეყო. გამოიტანეს ნიალი, მერე ბერგთორაც. ყველა ახლოს მივიდა, რომ გვამებზე დაეხედათ. პიალტიმ თქვა:

— რას იტყვით ამ გვამებზე?

მათ მიუგეს:

— ჯერ შენი სათქმელი გვინდა მოვისმინოთ.

პიალტიმ თქვა:

— დაუფარავად გეტყვით ჩემს აზრს. ბერგთორას გვამი ისე გამოიყურება, როგორც ველოდი, და უკეთესადაც. ნიალის გვამსა და სახეს კი, ვხედავ, ისეთი ნათელი გადასდის, რომ ჯერ არსად მინახავს ასე ნათელმოსილი გვამი.

ყველამ დაუდასტურა ნათქვამი. შემდეგ სკარპედინის ძებნას შეუდგნენ. შინაურებმა იმ ადგილზე მიუთითეს, სადაც ფლოსიმ და მისმა ხალხმა გაიგონეს წარმოთქმული შაირი. აქ სახურავი იყო ჩამოქცეული და პიალტიმ თქვა, აქ გავთხაროთო. ასეც მოიქცნენ და სკარპედინის გვამს მიაგნეს. იგი კედელთან იყო მიმდგარი, ფეხები მუხლებამდე პქონდა დამწვარი, დანარჩენ ადგილებზე კი ცეცხლი არ გაპკარებოდა. წვერ-ულვაში დაეკვნიტა. თვალები ღია

ჰქონდა, მაგრამ არ კი დასიებოდა. თავისი ნაჯახი ისე ღრმად ჩაერჭო კედელში, რომ პირი ნასევრამდე ჩასულიყო, მაგრამ არ დაბლაგვებულიყო. ნაჯახი ამოაძრეს. პიალტიმ იგი ხელში აიღო და თქვა:

— იშვიათი იარაღია და ბევრი ვერ შეძლებს მის ტარებას.

კარიმ თქვა:

— მე ვიცი კაცი, რომელიც მაგ ნაჯახის ტარებას შეძლებს.

— ვინ არის? — ჰკითხა პიალტიმ.

— თორგეირ სკორარგეირი, — მიუგო კარიმ, — ჩემი აზრით, იგი უპირველესი კაცია თავის გვარში.

შემდეგ სკარპედინს გახადეს ტანსაცმელი, ცეცხლს რომ სასწაულით გადარჩენოდა. სელები გულზე გადაეჯვარედინებინა, მარჯვენა ხელი ზემოდან შემოედო. ტანზე ორი დამწვარი ადგილი უნახეს. ერთი ბეჭებს შუა, მეორე მკერდზე. და ორივეს ჯვარის მოყვანილობა ჰქონდა. ყველამ იფიქრა, ალბათ, თვითონ ამოიწვაო. ასე თქვეს, მკვდარ სკარპედინთან უფრო ადვილი ყოფილა დგომა, რადგან ასლა აღარავის ეშინიაო მისი.

ასლა გრიმს დაუწყეს ძებნა და დარბაზის შუაგულში მიაგნეს მის ძვლებს. მის პირდაპირ კი, გასწვრივი კედლის ქვეშ, თორდ აზატი ნასეს. საფეიქრო ოთახში სეუნ დედაბრისა და კიდევ სამი სხვა გვამი იპოვეს. სულ თერთმეტი კაცის ძვლები ნახეს. გვამები ეკლესიაში გადაიტანეს.

ამის შემდეგ პიალტი შინისკენ გაემართა და კარიც თან გაჰყვა. ინგიალდს ფესი გაუსივდა. მაშინ პიალტისთან მივიდა, რომელმაც იგი მოარჩინა, მაგრამ ინგიალდი დაკოჭლდა.

კარი ტუნგაში გაემგზავრა ასგრიმ ელიდი-გრიმის ძესთან. თორპალა უკვე მისულიყო სახლში და ყველაფრის მოყოლა მოესწრო. ასგრიმი კარის სულით და გულით შეხვდა და სთხოვა, მთელი წელიწადი მასთან გაეტარებინა. კარი დათანხმდა. ასგრიმმა თავის სასლში მიიწვია ყველა, ვინც ბერგთორსპვალში ცხოვრობდა. კარიმ წინადადება მოუწონა და უთხრა, ყველას სახელით თანხმობას გიცხადებო და ყველანი ასგრიმთან გადმოვიდნენ.

როდესაც თორპალ ასგრიმის ძეს უთხრეს ნიალის, მისი აღმზრდელის სიკვდილისა და ცეცხლში დაწვის ამბავი, ბოღმა ისე მოაწვა, რომ ყურებიდან სისხლის ნაკადმა გადმოხეთქა და ვერაფ-

რით ვერ შეუჩერეს. ბოლოს გული წაუვიდა და სისხლის დენაც შეწყდა. ამის შემდეგ იგი წამოდგა და თქვა, ქალაჩუნობა გამომიეიდაო, და დაუმატა:

— ნეტავ შური მაძიებინა ნიალის მკვლელებზე იმისათვის, რაც ახლა დამემართა.

სხვებმა უთხრეს, ეგ არაფერი სამარცხვინოაო, მაგრამ მან თქვა, ჩემს სიტყვას არ გადავალ, ვინც რა უნდა თქვასო.

ასგრიმმა კარის პკითხა, რა დახმარების იმედი უნდა პქონოდა მდინარეთა აღმოსავლეთ მხარეს მცხოვრებთაგან. კარიმ მიუგო, მორდ ვალგარდის ძე და პიალტი სკეგის ძე ყველაფრით დაგეხმარებიან, რითიც შეძლებენო. ასევე მოიქცეოდნენ თორგეირ სკორარგეირი და მისი ძმებიც. ასგრიმმა თქვა, ეგ დიდი ძალა იქნებაო.

— შენ რიღათი დაგვეხმარები? — პკითხა კარიმ.

— ყველაფრით, რითიც შევძლებ, — მიუგო ასგრიმმა, — და არც სიცოცხლეს დავიშურებ.

— აგრე პქენი, — ეუბნება კარი.

— მე ამ საქმეში, — ამბობს ასგრიმი, — გიცურ თეთრიც ჩავრიე და რჩევაც ვკითხე, როგორ მოვიქცეთ.

— კარგი გიქნია, — უთხრა კარიმ, — მერე და, რა გირჩია?

ასგრიმმა მიუგო:

— გვირჩია გაზაფხულამდე დინჯად ვიყოთ ჩვენთვის, მერე კი აღმოსავლეთში წავიდეთ და დავა წამოვიწყოთ ფლოსის წინააღმდეგ ჰელგის მკვლელობის თაობაზე და მკვლელობის ადგილთან მცხოვრები მეზობლები გამოვიძახოთ სამსჯავროში, თინგზე ხანძრის ამბავი გამოვაცხადოთ და მოწმეებად იგივე მეზობლები დავასახელოთ. მე ვკითხე გიცურს, ვინ უნდა გაუძღვეს-მეთქი მკვლელობის დავას, და მან მითხრა, მორდმა უნდა ითავოს, ნებავს თუ არაო. „დაე, ყველაზე დიდი სიმძიმე მას დააწვეს, რადგან მთელ საქმეში ყველაზე ცუდად ის მოიქცაო. კარის ყოველთვის სიშმაგე იპყრობს მის დანასვაზე და სწორედ მაგიტომაც გამიადვილდება მისი დაყოლიებაო“, — მითხრა გიცურმა.

მაშინ კარიმ თქვა:

— სანამ შეგვეძლება და შენ გვიწინამძღვრებ, შენს რჩევას არ გადავალთ.

კარიზე უნდა ითქვას, რომ ღამ-ღამობით არ ეძინა. ასგრიმს

ერთ ღამეს გაეღვიძა და გაიგონა, რომ კარის ეღვიძა. ასგრიმმა ჰკითხა:

— ღამე ძილი არ გეკარება?

მაშინ კარიმ შაირი უთხრა:

ღამით თვალზე რული
აღარ მეკარება
და ძილგატეხილი
ნიალს ვხედავ მუდამ.
მას შემდეგ, რაც ცეცხლმა
შთანთქა სახლი მისი,
გულს აღარ სცილდება
მწუხარება მწველი.

არავიზე ისე ხშირად არ ლაპარაკობდა კარი, როგორც ნიალსა და სკარპჰედინზე. მას არასოდეს აუგად არ უხსენებია თავისი მტრები და არც არასოდეს დამუქრებია მათ.

133

ერთ ღამეს სვინაფელში ისე მოხდა, რომ ფლოსიმ ძილში ბორგვა დაიწყო. გლუმ ჰილდირის ძემ მისი გაღვიძება სცადა და დიდხანს ვერ გამოაფხიზლა.

მაშინ ფლოსიმ თქვა:

— დამიძახეთ კეთილ მარკელს.

კეთილი მოვიდა. ფლოსიმ უთხრა:

— მინდა ჩემი სიზმარი გიამბო.

— მიამბე, — უთხრა კეთილმა.

— მეზმანა, თითქოს — თქვა ფლოსიმ, — ლომაგნუპარში ვიყავი. გამოვდიეარ სახლიდან და შევეყურებ ქარაფს. იგი გადაიხსნა და იქიდან გამოვიდა კაცი, შემოსილი თხის ტყავებით, ხელში რკინის კეტი ეჭირა. მოდიოდა და ჩემს ხალსს ეძახდა, ხან ვის და ხან ვის, თან სახელებით. პირველად მან გრიმ წითურსა და არნი კოლის ძეს მოუხმო. ეს მე მეუცხოვა. მერე თითქოს ეიოლვს უხმო, ბალვერკის ძეს, და ლიოტს, სიდელი ჰალის ძეს. და კიდევ ექვს კაცს. შემდეგ ერთხანს ჩუმად იყო. შემდეგ ხუთ ჩვენებურს დაუძახა, სიგფუსის ვაუებს, შენს ძმებს. ახლა სხვა ხუთ კაცს უხმო, მათ შორის

ლამბისაც, მოდოლვსაც და გლუმსაც. მერე კიდევ სამს დაუძახა. ბოლოს მან გუნარ ლამბის ძესა და კოლ თორსტეინის ძეს მოუხმო. ამის შემდეგ ჩემკენ წამოვიდა. მე ვკითხე, ახალი რა იციმეთქი. მან მომიგო, სათქმელი ბევრი მაქვსო. მერე სასელი ვკითხე. მითხრა იარნგრიმი („რკინის გრიმი") მქვიაო. ვკითხე, საით მიდიოდა, და ალთინგზე მივდივარო. „იქ რა გესაქმება-მეთქი?" მან მიპასუხა: ჯერ მოწმეებს გამოვიყვან, მერე მსაჯულთ და ამის შემდეგ ბრძოლის ველსაც გავამზადებ მებრძოლთათვისო. შემდეგ ასეთი შაირი თქვა.

მეომარი მოვა
და მინდორ-ველს მოპფენს
მოკვეთილ თავებით
მალე, ნახავთ ყველა.
მოელვაოე მახვილთ
მღერასაც მოისმენთ,
სისხლის ნამი დაპკრავს
ბრძოლის მონაწილეთ.

შემდეგ მან თავისი კეტი მიწას დაპკრა და საშინელი ჭექა გაისმა. მერე კლდეში შევიდა. მე შიშმა შემიპყრო. ახლა ის მინდა, რომ მითხრა, შენი აზრით, რას უნდა ნიშნავდეს ჩემი სიზმარი.

— მე მგონი, — თქვა კეთილმა, — ყველა სასიკვდილოდ არის განწირული, ვინც დასახელებული იყო. ჩემი ფიქრით, უკეთესი იქნება, თუ ჯერჯერობით არავის გავუმხელთ მაგ სიზმარს.

აგრეც მოვიქცევიო, უთხრა ფლოსიმ.

აგერ, ზამთარიც გადის და შობაც გათავდა. ფლოსიმ თავის ხალხს უთხრა:

— მე ვფიქრობ, უნდა გავიდეთ შინიდან, რადგან, არა მგონია, მოგვეშვნენ. უნდა წავიდეთ და ხალხს დახმარება ვთხოვოთ. ახლა კი აგვიხდება, რაც ადრე გითხარით, ბევრს ჩავუვარდებით-მეთქი ფესებში, სანამ ეს საქმე დამთავრდება.

134

ამის შემდეგ წასასვლელად გაემზადნენ. ფლოსიმ გრძელი შარვალი ჩაიცვა, რომელიც ტერფებსაც უფარავდა, რადგან ფეხით სი-

არულს აპირებდა და იცოდა, სხვებსაც იოლად მოეჩვენებოდათ ფეხით სიარული. ჯერ გაემართნენ კნაპავალისკენ, მეორე საღამოს კი ბრეიდაში, იქიდან კალვაფელში, იქიდან ბიარნანესში პორნაფიორდის ახლოს, იქიდან სტავაფელზე გადავლით ლონში, შემდეგ კი თვატასკენ სიდელ პალთან. ფლოსის ცოლად პყავდა მისი ასული სტეინვარი. პალი მას სულითა და გულით შესვდა. ფლოსიმ პალს უთხრა:

— მინდა გთხოვო, ჩემო სიმამრო, თინგზე წამომყვე და თან იახლო ყველა, ვინც თინგზე დაგყვება.

პალმა მიუგო:

— გამართლდა ანდაზა, დიდხანს არ შერჩებაო ხელს შემონაკრავი. ბევრ შენს მომხრეთაგანს, რომლებიც სხვებს აქეზებდნენ უგვანო საქმეზე, ახლა თავი ვერ აუწევია ზევით. მე კი, რასაკვირველია, ვალდებული ვარ დაგეხმარო, რითიც შემიძლია.

ფლოსიმ პკითხა:

— როგორ მოიქცეოდი ჩემს ადგილას?

პალმა მიუგო:

— უნდა წასვიდე ჩრდილოეთში ვაპნაფიორდისკენ და დახმარება სთხოვო იქაურ პავდინგებს. მათი ხელშეწყობა თინგის დამთავრებამდე დაგჭირდება.

ფლოსიმ სამი ღამე დაპყო იქ, დაისვენა და აღმოსავლეთისკენ გაემართა გეიტაპელურში, იქიდან კი ბერუფიორდში, სადაც ღამე გაათიეს. აქედან ისევ აღმოსავლეთისკენ გასწიეს ბრეიდალის ველზე, ჰეიდალირში. აქ ცხოვრობდა ჰალბიარნ ძლიერი. მას ცოლად პყავდა ოდნიუ, სორლი ბროდპელგის ძის და. ფლოსი აქ კარგად მიიღეს. ჰალბიარნი სულ ნიალის დაწვაზე ეკითხებოდა და ფლოსიმ ყველაფერი დალაგებით უამბო. ჰალბიარნმა ჰკითხა, სადამდე აპირებო მისვლას ჩრდილოეთის ფიორდებში, და ფლოსიმ უთხრა, რომ ვაპნაფიორდისკენ მიემართებოდა. ფლოსიმ ქამრიდან ფულის ქისა მოიხსნა და ჰალბიარნს შესთავაზა. ჰალბიარნმა ფული გამოართვა, მაგრამ ეს კი უთხრა, შენ ჩემი ვალი არა გქონიაო და დაუმატა:

— გამაგებინე მაინც, რითი გადაგისადო ჰატივისცემა.

— მე ფული არ მჭირდება, — ეუბნება ფლოსი, — მინდა თინგზე გამომყვე და მხარი დამიჭირო საქმეში, თუმცა არც ჩემიანი სარ და არც ნათესავი.

ჰალბიარნმა უთხრა:

— პირობას გაძლევ, რომ თინგზეც წამოგყვები და მსარსაც დაგიჭერ, როგორც საკუთარ ძმას.

ფლოსიმ მადლობა გადაუხადა. იქიდან ფლოსი ბრეიდალსპეიდის ველზე გავიდა და პრავნკელსტადირს მიაშურა. აქ ცხოვრობდა პრავნკელი, ძე თორირისა, შვილიშვილი პრავნკელისა, შვილიშვილის შვილი პრავნისა. ფლოსის აქ კარგად შეხვდნენ და მან პრავნკელს თინგზე წაყოლა და დახმარება სთხოვა. პრავნკელი დიდსანს უარობდა, მაგრამ ბოლოს მაინც ისე მოხდა, რომ დაპპირდა თავისი შვილი თორირი გაეყოლებინა ხალხით, რათა დახმარებოდა ისევე, როგორც იმავე თინგის გოდი. ფლოსიმ მადლობა გადაუხადა, გზა განაგრძო და ბერსასტადირში მივიდა. აქ ცხოვრობდა ჰოლმსტეინი, ძე ბერსი გონიერისა. იგი ძალზე კარგად შეხვდა ფლოსის, და ფლოსიმ მას დახმარება სთხოვა. ჰოლმსტეინმა უთხრა, ღიდი ხანია ეგ ვალი კისრად მდევსო. იქიდან ფლოსი და მისი ხალხი ვალთიოვსტადირისკენ გაემართნენ. აქ ცხოვრობდა სორლი ბროდ-ჰელგის ძე, ძმა ბიარნ ბროდ-ჰელგის ძისა. მას ცოლად ჰყავდა თორდისი. მადრუველირელი გუდმუნდ მძლავრის ასული. ფლოსის კარგად შეხვდნენ. დილით კი ფლოსიმ ლაპარაკი წამოუწყო სორლის იმის შესახებ, რომ თინგზე წაპყოლოდა, თანაც უთხრა, მაგ სიკეთეს დაგიფასებო.

— ჯერ ვერაფერს გეტყვი, — უთხრა სორლიმ, — ვიდრე არ მეცოდინება, ვის მსარეზე იქნება გუდმუნდ მძლავრი, ჩემი სიმამრი, რადგან მე იმას დავეხმარები, ვისაც ის მიემხრობა.

ფლოსიმ თქვა:

— მაგ პასუხზე გეტყობა, რომ ცოლის ჭკუაზე დადიხარ.

ფლოსი ადგა და თავის ხალხს უბრძანა, იარაღი აეღოთ და ჩაეცვათ. ისე წავიდნენ, რომ სორლი ვერ დაითანხმეს. ლაგარფლიოტს ჩაუარეს და სრიოკი ველის გავლით ნიარდვიკისკენ გაემართნენ. აქ ცხოვრობდა ორი ძმა, თორკელ უჭკვიანესი და თორვალდი. მათი მამა იყო კეთილ მქუსარე, ძე თიდრანდი ბრძენისა, შვილიშვილი კეთილ მქუსარესი, შვილიშვილის შვილი თორირ როჭოსი. თორკელ უჭკვიანესისა და თორვალდის დედა იყო ინგვილდი, ასული თორკელ უჭკვიანესისა. ფლოსის აქაც კარგად შესვდნენ. ფლოსიმ ძმებს აუწყა, რაზეც იყო მოსული, და მხარდაჭერა სთხოვა, მაგრამ

ისინი უარზე იდგნენ, ვიდრე თითოეულს სამ-სამი მარკა არ აჩუქა. მაშინ მათ ფლოსის დახმარება აღუთქვეს. ინგვილდი, დედა მათი, იქვე იდგა და ატირდა, როდესაც გაიგონა, როგორ დაპირდნენ მისი შვილები ფლოსის თინგზე წაყოლას. თორკელმა ჰკითხა:

— რა გატირებს, დედი?

მან მიუგო:

— სიზმრად ვნახე, ვითომ თორვალდს, შენს ძმას, წითელი კურტაკი ეცვა და ისე ჰქონდა მოჭერილი ტანზე, თითქოს ზედ მიუკერებიათო. ფეხებზეც წითელი საწვივეები და პაჭიჭები ეცვა და ზედ უშნო თასმები დაეხვია. თან ვუყურებდი და თან მეცოდებოდა, რადგან ვხედავდი, თავს კარგად ვერ გრძნობდა, მაგრამ ვერაფრით ვახერხებდი შველას.

ყველამ გაიცინა, სიზმარი აბდა-უბდად ჩათვალეს და თქვეს, ეგ ლაქლაქი თინგზე წასვლას ვერ დაგვაშლევინებსო. ფლოსიმ დიდი მადლობა გადაუხადა, იქიდან ვაპნაფიორდისკენ გაემართა და ჰოვში მივიდა. აქ ცხოვრობდა ბიარნ ბროდ-ჰელგის ძე, შვილიშვილი თორგილსისა, შვილიშვილის შვილი თორსტეინ თეთრისა, რომლის მამა იყო ალვირი, ძე ეივალდისა, შვილიშვილი თორირ აზავერისა. ბიარნის დედა იყო ჰალა, ლიუტინგის ასული. ბროდ-ჰელგის დედა იყო ასვარი, ასული თორირისა, რომლის მამა იყო გრაუტ-ატლი, ძე თორირ როჭოსი. ბიარნ ბროდ-ჰელგის ძეს ცოლად ჰყავდა რანკეიგი, ასული თორგეირისა, რომლის მამა იყო ეირიკ გოდალირელი, ძე გეირმუნდისა, შვილიშვილი ჰროალდისა, შვილიშვილის შვილი ეირიკ წვერცანცარასი. ბიარნი სულითა და გულით შეხვდა ფლოსის. ფლოსიმ ბიარნის გასამრჯელო შესთავაზა დახმარებისათვის. ბიარნიმ უთხრა:

— მე ჯერ ვაუკაცობა და მხარდაჭერა ფულზე არ გამიყიდია. ახლა კი, რახან დახმარება გჭირდება, ისე გავირჯები, როგორც მეგობარს შეეფერის. თინგზეც წამოვალ და ისე დაგეხმარები, როგორც საკუთარ ძმას.

— ძალზე დიდ ვალს მადებ, — მიუგო ფლოსიმ, — თუმცა სწორედ მაგას ველოდი შენგან.

შემდეგ ფლოსი კროსავიკში გაემგზავრა. თორკელ გეიტირის ძე ადრეც მისი კარგი მეგობარი იყო, ფლოსიმ თავისი საქმე გააცნო. თორკელმა თავის მოვალეობად ჩათვალა მისი დახმარება შეძლე-

ბისდაგვარად და ბოლომდე მის გვერდით ყოფნა საქმეში. დამშვიდობებისას თორკელმა ფლოსის ძვირფასი ძღვენი მიართვა.

იქიდან ფლოსი ჩრდილოეთისკენ წავიდა ვაპნაფიორდში და ფლიოტსდალსპერადშიც ავიდა. ღამე ჰოლმსტეინთან, ბერსი გონიერის ძესთან გაათია და უთხრა, ყველა დამპირდა მხარდაჭერას გარდა ბროდ-პელგის ძის სორლისაო. ჰოლმსტეინმა უთხრა, მაგის მიზეზი ის არის, რომ სორლი სათნო კაციაო. ჰოლმსტეინმა ფლოსის ძვირფასი ძღვენი მიართვა. ფლოსი ფლიოტსდალის ველს აუყვა, იქიდან სამხრეთისკენ მთებზე გადაიარა ექსარპრაუნის გაელით, სვინდინპორნადალის ველზე დაეშვა, ალფტაფიორდის დასავლეთ ნაწილში გავიდა და თვატაშიღა გაჩერდა თავის სიმამრ პალთან. აქ ფლოსიმ თავის ხალხთან ერთად ნახევარ თვეს დაისვენა.

ფლოსიმ პალს ჰკითხა, რას მირჩევ, როგორ მოვიქცე და რა ვქნაო. პალმა უთხრა:

— მე გირჩევ, შინ დარჩე სიგფუსის ვაჟებთან ერთად და იმათაც ხალხი გაგზავნონ თავიანთ კარ-მიდამოს მისახედად. ჯერ შინ დაბრუნდი და, როცა თინგზე გაემგზავრები, ყველანი ერთად იყავით და ნუ დაიფანტებით. მერე კი სიგფუსის ვაჟებმა თავიანთი ცოლები ინახულონ. თინგზე მეც წამოვალ, ლიოტიც, ჩემი ძე, და მთელი ჩვენი თინგის ხალხი, და რითიც შევძლებთ, დაგეხმარებით.

ფლოსიმ მადლობა გადაუხადა და პალმა მას ძვირფასი ძღვენი მიართვა განშორებისას. ფლოსი თვატადან წამოვიდა და მის მოგზაურობაზე აღარაფერია სათქმელი სვინაფელში დაბრუნებამდე. აქ მან ზამთრის დარჩენილი ნაწილი და მთელი ზაფხული გაატარა თინგის დაწყებამდე.

135

ერთხელ თორპალ ასგრიმის ძე და კარი სალმუნდის ძე მოსფელში წავიდნენ გიცურ თეთრთან. იგი სულითა და გულით შეხვდა მათ და ისინი დიდხანს დარჩნენ მასთან. ერთხელ ნიალის დაწვაზე ლაპარაკობდნენ და გიცურმა დიდ ბედად მიიჩნია კარის გადარჩენა. მაშინ კარის ეს შაირი წამოსცდა:

გული რისხვით მევსებოდა,
როს ნიალის დავთმე სახლი,

თუმცა არ კი მეთმობოდა.
ედებოდა ხეებს ცეცხლი
და მთლიანად შთანთქა სახლი
და შიგ მყოფი მეომრებიც.
მოისმინეთ, რასაც ვამბობ,
ჩემს ჭირ-ვარამს მოგახსენებთ.

მაშინ გიცურმა თქვა:

— არ გაგემტყუნება, რომ ეგრე გულში გაქვს ჩაყოლილი ეგ ამბავი. ასლა კი მეტს ნუღარ ვილაპარაკებთ ამაზე.

კარიმ თქვა, მინდა შინ დავბრუნდეო. გიცურმა უთხრა:

— მინდა რჩევა მოგცე და ჩემი გულისნადები გაგიზიარო. ნუ წახვალ სახლში, მაგრამ აქედან კი უნდა წასვიდე და აღმოსავლეთს მიმართო, სადაც ეიაფიალის მთასთან თორგეირ სკორარგეირსა და თორლეივ ყორანს ნახავ. ისინი შენთან ერთად წამოვლენ აღმოსავლეთიდან, რადგან ეგენი არიან მთავარი მომჩივანნი საქმეში. თავიანთი ძმა, თორგრიმ ვეებაც თან წამოიყოლონ. გაემგზავრეთ მორდ ვალგარდის ძესთან. გადაეცი ჩემგან, რომ წამოიწყოს დავა ფლოსის წინააღმდეგ ნიალის შვილის პელგის მოკვლის თაობაზე. თუ რამეზე აგისირდეს, ისე მოიქეცი, თითქოს საშინლად მოგვიდა გული და ნაჯასის დარტყმას უპირებ. თუ მაინც არ გატყდეს, დაარწმუნე, რომ ჩემს რისხვას დავატეხავ თავზე და ჩემს ასულს, თორკატლას შემოვუთვლი, განშორდეს მას და სახლში დაბრუნდეს ჩემთან. მაშინ კი იკადრებს ქედის მოხრას, რადგან ჩემი შვილი თვალში რომ ჩაუვარდეს, ხელს არ ამოისვამს.

კარიმ მადლობა გადაუხადა რჩევისათვის. კარის მასთან კრინტიც არ დაუძრავს დასმარებაზე, რადგან ისედაც იცოდა, რომ გიცური, როგორც ყოველთვის, აქაც ისე მოიქცეოდა, ვით ჭეშმარიტი მეგობარი.

კარი იქიდან აღმოსავლეთისკენ გაემართა, მდინარეებს გასცდა, ფლიოტსჰლიდზე გადაიარა, აღმოსავლეთით მარკარფლიოტი გადალახა და ასე მიაღწია სელიალანდსმულამდე. მერე აღმოსავლეთში ჰოლტს მიმართეს. თორგეირი დიდად გაახარა მათმა მისვლამ. მან კარის ფლოსის მოგზაურობის ამბავი უამბო და ისიც უთხრა, თუ რამდენი მომხრე შეიძინა ფლოსიმ აღმოსავლეთ ფიორდებში.

კარიმ მიუგო, არ გაემტყუნება კაცს მაგდენი თხოვნა, რაკი ამდენ რამეზე უნდა აგოს პასუხიო.

თორგეირმა თქვა:

— რაც მეტს ეცდებიან, მით უარესი დღე ელით.

კარიმ თორგეირს უთხრა, რაც გიცურმა ურჩია. შემდეგ ისინი დასავლეთისკენ, რანგის ველზე გაემართნენ მორდ ვალგარდის ძესთან. იგი მათ კარგად შეხვდა. კარიმ მას გიცურის დანაბარები გადასცა. მორდი ჯერ ორჭოფობდა და იძახდა, ფლოსისთან დავა უფრო ძნელია, ვიდრე ათ სხვასთანო. კარიმ უთხრა:

— შენ ზუსტად ისე ირჯები, როგორც შენმა სიმამრმა იწინასწარმეტყველა, რადგან არაფერში არ ვარგიხარ. მხდალიც ყოფილხარ და სულმოკლეც. ბოლოს ის მოხდება, და ახიც იქნება შენზე, რომ თორკატლა ადგება და თავის მამასთან დაბრუნდება.

თორკატლა მაშინვე წასასვლელად მზადებას შეუდგა და თქვა, მაინც დიდი ხანია მორდთან გაშორებას ვაპირებდიო. მორდი წამსვე სულ სხვა პანგზე ამღერდა, ითხოვა, ნუ გამიწყრებითო, და იქვე იკისრა დავის წამოწყება. კარიმ უთხრა:

— ახლა, რაკი დავის წამოწყება იკისრე, მხნედ მოიქეცი და ნუ შეშინდები, თორემ საქმე შენს სიცოცხლეს ეხება.

მორდმა მიუგო, არაფერს დავზოგავ, რომ ეს საქმე სასიკეთოდ და ღირსეულად მივიყვანოო ბოლომდე. ამის შემდეგ მორდმა ცხრა მეზობელს გამოუძახა. ყველა ისინი მკვლელობის ადგილთან ახლოს მცხოვრებნი იყვნენ. მორდმა ხელი ჩაპკიდა თორგეირს და ორი მოწმე დაასახელა.

— მე თქვენ მოწმეებად გასახელებთ, — თქვა მან, — რომ თორგეირ თორირის ძემ გადმომბარა უფლება წამოვიწყო დავა ფლოსი თორდის ძის წინააღმდეგ ნიალის შვილის, პელგის მოკვლის თაობაზე, და ყველაფერი, რაც კი ამ მკვლელობას ადასტურებს. შენ მე ამ დავას გადმომცემ, რათა მივდიო მას ბოლომდე, ან შევარიგოთ მოწინააღმდეგენი და ვისარგებლო ყველა უფლებით, ვით კანონიერმა მომჩივანმა. შენ კანონიერად გადმომცემ საჩივარს და მეც კანონიერად ვიღებ მას.

მორდმა მეორეჯერ დაასახელა მოწმეები.

— მე თქვენ მოწმეებად გასახელებთ, — თქვა მან, — და ბრალს ვდებ ფლოსი თორდის ძეს იმაში, რომ იგი პელგი ნიალის ძეს უკანონოდ პირველი დაესხა თავს და მიაყენა ტვინისა თუ სხეულის თუ ძვლის ღრმა ჭრილობა, რომელიც სასიკვდილო გამოდგა და რომ-

ლისგანაც პელგი გარდაიცვალა. ამას ვაცხადებ მკვლელობის ადგილთან მცხოვრები ხუთი მეზობლის თანდასწრებით, — და ყველა სათითაოდ დაასახელა, — და ვაცხადებ კანონის მიხედვით. ვაცხადებ დავას, რომელიც თორგეირ თორირის ძემ გადმომაბარა.

მან კვლავ დაასახელა მოწმეები.

— მე თქვენ მოწმეებად გასახელებთ და ბრალს ვდებ ფლოსი თორდის ძეს იმაში, რომ მან პელგის მიაყენა ტვინისა თუ სხეულის თუ ძვლის ღრმა ჭრილობა, რომელიც სასიკვდილო გამოდგა და რომლისგანაც იგი გარდაიცვალა იმ ადგილზე, სადაც ფლოსი უკანონოდ პირველი დაესხა თავს პელგი ნიალის ძეს. ამას ვაცხადებ მკვლელობის ადგილთან მცხოვრები ხუთი მეზობლის თანდასწრებით, — და ყველა სათითაოდ დაასახელა, — და ვაცხადებ კანონის მიხედვით. ვაცხადებ დავას, რომელიც თორგეირ თორირის ძემ გადმომაბარა.

მან კვლავ დაასახელა მოწმეები.

— მე თქვენ მოწმეებად გასახელებთ და მოვითხოვ, რომ მკვლელობის ადგილთან მცხოვრები ეს ცხრავე მეზობელი, — და ყველა სათითაოდ სახელებით ჩამოთვალა, — წამოვიდეს ალთინგზე და მიმოწმოს, რომ ფლოსი თორდის ძე უკანონოდ პირველი დაესხა თავს პელგი ნიალის ძეს იმ ადგილზე, სადაც ფლოსი თორდის ძემ პელგი ნიალის ძეს მიაყენა ტვინისა თუ სხეულის თუ ძვლის ღრმა ჭრილობა, რომელიც სასიკვდილო გამოდგა და რომლისგანაც პელგი გარდაიცვალა. მე მოვითხოვ, რომ თქვათ ყველაფერი, რის თქმასაც კანონი გავალდებულებთ, რასაც მე მოგთხოვთ სამსჯავროში და რაც ამ საქმეს ეხება. მე ამას თქვენგან მოვითხოვ იმ საქმეში, რომელიც თორგეირ თორირის ძემ გადმომაბარა.

მორდმა მოწმეები დაასახელა.

— მე თქვენ მოწმეებად გასახელებთ, რომ ბრძოლის ადგილთან მცხოვრებ ამ ათ მეზობელს მოვთხოვე წამოვიდნენ ალთინგზე და მიმოწმონ, მიაყენა თუ არა ფლოსი თორდის ძემ პელგი ნიალის ძეს ტვინისა თუ სხეულის თუ ძვლის ღრმა ჭრილობა, რომელიც სასიკვდილო გამოდგა და რომლისგანაც პელგი გარდაიცვალა იმ ადგილზე, სადაც ფლოსი თორდის ძე უკანონოდ პირველი დაესხა თავს პელგი ნიალის ძეს. მე მოვითხოვ, რომ თქვათ ყველაფერი, რის თქმასაც კანონი გავალდებულებთ, რასაც მე მოგთხოვთ სამსჯავ-

როში და რაც ამ საქმეს ეხება. მე ამას თქვენგან მოვითხოვ კანონის მიხედვით ისე, რომ თქვენ თავად ისმენთ. მე ამას მოვითხოვ იმ საქმეში, რომელიც თორგეირ თორირის ძემ გადმომაბარა.

შემდეგ მორდმა თქვა:

— აპა, თქვენ გსურდათ და ეს დავაც წამოვიწყეთ. ახლა ის უნდა გთხოვო, თორგეირ სკორარგეირ, რომ როცა თინგზე გაემართები, შე გამომიარო და ერთად წავიდეთ, თან ჩვენი ხალხიც თან ვიახლოთ, რათა უკეთ ამოვუდგეთ ერთმანეთს მხარში. ჩემს ხალხს ხწორედ თინგის დაწყების წინ შევკრებ და ყველაფერში გიერთგულებთ.

ყველანი დაეთანხმნენ და ერთმანეთს ფიცით შეეკვრნენ, რომ ვიდრე კარი არ ისურვებდა, ერთურთს არ მიატოვებდნენ და არც სიცოცხლეს დაიშურებდნენ ერთმანეთისთვის. დათქვეს თინგზე შეხვედრა და მეგობრულად დაიშალნენ. თორგეირი აღმოსავლეთისკენ გაბრუნდა, კარი კი დასავლეთისკენ გაემართა, მდინარეები გადავლო და ტუნგაში მივიდა ასგრიმთან, რომელიც მას დიდი ამბით შეეგება. კარიმ უამბო, რა ურჩია გიცურმა და როგორ დაიწყო დავა.

— მეც მაგის იმედი მქონდა, — თქვა ასგრიმმა, — ვიცოდი, რომ ღირსეულად მოიქცეოდა და დაამტკიცა კიდეც.

ასგრიმმა ჰკითხა:

— აღმოსავლეთიდან რა ამბებია?

კარიმ მიუგო:

— ფლოსიმ აღმოსავლეთი მოიარა ვაპნაფიორდამდე და თითქმის ყველა ჰავდინგმა აღუთქვა დახმარება და თინგზე წაყოლა. მათ მხარდაჭერის იმედი აქვთ რეიკიარდალელთაგანაც, ლიოსავატნელთაგანაც და ექსაფიორდის მცხოვრებთაგანაც.

კიდევ ბევრი ისაუბრეს ამ საქმეზე.

აპა, ალთინგის დროც მოახლოვდა. თორპალ ასგრიმის ძეს ისე ასტკივდა ფეხი, რომ კოჭის ზემოთ გაუსივდა და ქალის ბარძაყივით გაუხდა. ჯოხის დაუხმარებლად ველარც კი დადიოდა. იგი ტანმაღალი და ძალოვანი კაცი იყო, მუქი ფერის თმა ჰქონდა, შავგვრემანი იყო. სიტყვაძუნწი და ამავე დროს ფიცხი ხასიათისა გახლდათ. იგი ისლანდიაში კანონების სამ უდიდეს მცოდნეთაგან ერთ-ერთ კაცად ითვლებოდა.

აგერ, თინგზე წასვლის დრომაც მოაწია. ასგრიმმა კარის უთხრა:

— თინგზე დაწყებამდე მიდი და ჩვენი სადგომები გადასურე. ჩემს შვილს, თორპალსაც გამოგაყოლებ, რადგან სხვაზე უკეთესად შენ მოუვლი და იზრუნებ მასზე. კოჭლობს კი, მაგრამ ამ თინგზე იგი ჩვენთვის დიდად საჭირო იქნება. თან ოცი კაცი კიდევ გაიყოლეთ.

ამის შემდეგ გაემზადნენ და თინგისკენ გაუდგნენ გზას, სადგომები გადასურეს და კარგადაც მოეწყვნენ.

136

ფლოსი აღმოსავლეთიდან გამოემართა იმ ასი კაცის თანხლებით, რომლებიც მასთან იყვნენ ნიალის დაწვის დროს. ფლიოტსპლიდამდე იარეს. იქ სიგფუსის ვაჟებმა თავიანთ მუშებს დავალებები მისცეს და ერთ დღეს გაჩერდნენ, საღამოს კი დასავლეთისკენ გაემართნენ, თიორსაზე გადავიდნენ და აქ გაათიეს ღამე. დილით ადრე კი ცხენებს მოასხდნენ და გზა განაგრძეს. ფლოსიმ თავის სალხს უთხრა:

— ასლა ტუნგაში წავიდეთ ასგრიმთან და ცოტა გავეთამაშოთ.

ყველა სიამოვნებით დაპყაბულდა.

იარეს, ვიდრე ტუნგას არ მიუახლოვდნენ. ასგრიმი და რამდენიმე კაცი გარეთ იდგნენ. მათ თვალი შეასწრეს მომავალთ. ასგრიმის მუშებმა თქვეს:

— ეს ალბათ თორგეირ სკორარგეირია.

ასგრიმმა თქვა:

— არა მგონია, რადგან ეგენი სიცილითა და ჟრიამულით მოდიან, ნიალის ნათესავები კი, თორგეირისნაირი ხალხი, სიცილს არ დაიწყებენ, ვიდრე შური არ უძიებიათ მისი დაწვისთვის. მე უფრო სხვას ვფიქრობ და იქნებ არც კი დაიჯეროთ. ეგ, მგონი, ფლოსი უნდა იყოს იმ სალხით, ვინც ნიალი დაწვა, და ალბათ უნდათ გაგვეთამაშონ. აბა, ყველანი შიგნით შევიდეთ.

ასეც მოიქცნენ. ასგრიმმა ბრძანა, სახლი დაეგავათ და ფარდები დაეკიდათ, მაგიდები შემოეტანათ და სუფრა გაეშალათ. ერთი რიგი მერხებიც დაადგმევინა.

ფლოსიმ სახლის წინ მდელოზე შემოაგელვა ცხენი და თავისიანებს უთხრა, დაქვეითებულიყვნენ და სახლში შესულიყვნენ. ასეც მოიქცნენ. ფლოსი თავის სალსით სასლში შევიდა. ასგრიმი შემაღლებულ ადგილზე იჯდა. ფლოსიმ მერსებს გახედა და დაინახა, რომ ყველაფერი მზად იყო, რაც სჭირდებოდათ. ასგრიმი მათ არ მისალმებია და ფლოსის უთხრა:

— მაგიდები გაწყობილია, საჭმელი მზად არის, თუ ვისმე სურს.

ფლოსი და მისი ხალხი მაგიდებს მოუსსდნენ, იარაღი კი კედლებზე მიაყუდეს. ვინც მერხებზე ვერ დაეტია, წინ ჩადგმულ სკამებზე დაჯდა, ოთხი შეიარაღებული კაცი კი იმ ადგილთან იდგა, სადაც ფლოსი იჯდა, ვიდრე საჭმელს შეექცეოდნენ. ჭამის დროს ასგრიმს სმა არ ამოუღია, მაგრამ სახეზე სისსლივით წამოწითლდა. როდესაც ჭამას მორჩნენ, ქალებმა მაგიდები აალაგეს, ზოგმა კი წყალი შემოიტანა ხელის დასაბანად. ფლოსი ისე აუჩქარებლად ირჯებოდა, თითქოს თავის სახლშიაო. კუთხეში ცული იყო მიყუდებული. ასგრიმმა ორივე ხელით აიტაცა იგი, შემაღლებულ ადგილზე შეხტა და ფლოსის თავში დაკვრა დაუპირა. გლუმ პილდირის ძემ თვალი შეასწრო და გულისნადებს მიუხვდა. მაშინვე წამოიჭრა, ასგრიმს ხელებიდან ცული გამოსტაცა და პირით მისკენ შეაბრუნა, რადგან გლუმი ღონიერი კაცი იყო. მაშინ ბლომად ხალხი მოცვივდა და უნდოდათ თავს დასხმოდნენ ასგრიმს, მაგრამ ფლოსიმ ბრძანა, ხელი არ ეხლოთ.

— ძალზე ძნელი გამოცდა მოვუწყვეთ, — თქვა მან, — მაგრამ ისე ეჭირა თავი, როგორც ჯერ არს და დაამტკიცა, რომ ვაჟკაცი ყოფილა.

ფლოსიმ ასგრიმს უთხრა:

— ჩვენ ახლა ერთმანეთს დავშორდებით, მაგრამ თინგზე შევიყაროთ და იქ გავსწორდებით.

— აგრე იყოს, — მიუგო ასგრიმმა, — მაგრამ ნეტავ თინგის დამთავრებამდე ჩამოყაროთ ფრთები.

ფლოსის პასუხი არ გაუცია.

მაშინ ისინი სახლიდან გამოვიდნენ, ცხენებს მოასხდნენ და გაქუსლეს. იარეს, ვიდრე ლაუგარვატნში არ მივიდნენ. ღამე იქ გაათიეს, დილით კი ბეიტიველირს მიაღწიეს და ცხენები დაასვენეს. აქ მათ ბევრი ხალხი შემოუერთდა. აქვე მოვიდნენ სიდელი პალიცა

და აღმოსავლეთ ფიორდების მკვიდრნიც. ფლოსი ყველას სიხარულით შეეგება და უამბო თავისი მოგზაურობის ამბავი, ისიც, რაც ასგრიმთან შეემთხვა. ფლოსის ბევრი აქებდა და სიმამაცედ უთვლიდა ამ საქმეს. ჰალმა თქვა:

— მე ამ საქმეს სხვაგვარად ვუყურებ და ვერ მოგიწონებ მაგ საქციელს. იმათ ისედაც კარგად ასსოვთ თავიანთი მწუსარება და ზედმეტია მისი შეხსენება. კაცი თავის თავს ვნებს, როცა სხვას შეურაცხყოფს.

ეტყობოდა, ჰალს მიაჩნდა, ფლოსიმ შორს შესტოპაო.

იქიდან ყველა ერთად გაემართა და ბოლოს თინგის ზემო ველს მიაღწიეს, დაეწყვნენ და თინგისკენ დაეშვნენ. ფლოსის ჯერ კიდევ თინგზე წასვლამდე ნაბრძანები ჰქონდა გადაეხურათ ბიურგისბუდის ციხე-სადგომი, აღმოსავლეთ ფიორდების მცხოვრებნი კი თავიანთ სადგომებში მოთავსდნენ.

137

თორგეირ სკორარგეირი ხალხის თანხლებით გაეშურა დასავლეთისკენ. მას თან ახლდნენ მისი ძმები თორლეივ ყორანი და თორგრიმ ვეება. მივიდნენ ჰოვში მორდ ვალგარდის ძესთან და დაელოდნენ, ვიდრე ის აიკრიფებოდა. მორდს ყველასთვის თავი მოეყარა, ვისაც იარაღის ტარების თავი ჰქონდა, და მის თავდადებაში აღარავის შეპპარვია ეჭვი. მაშინ ისინი დასავლეთისკენ დაადგნენ გზას და მდინარეებს გადმოსცდნენ. აქ ჰიალტი სკეგის ძეს დაელოდნენ. დიდსანს ლოდინი არ დასჭირვებიათ, ისიც მოვიდა და ყველა გულღიად შეეგება. შემდეგ ყველამ ერთად გააგრძელა გზა და იარეს, ვიდრე რეიკიარში არ მივიდნენ ბიუსკუპსტუნგაში და აქ დაელოდნენ ასგრიმ ელიდი-გრიმის ძეს. ისიც მოვიდა და დასავლეთისკენ გაემართნენ, მდინარე ბრუარა გადალასეს და ასგრიმმა მათ ყველაფერი უამბო, რაც ფლოსისთან შეემთხვა. თორგეირმა თქვა:

— ნეტავ მაგათი ვაჟკაცობაც გამოგვაცდევინა თინგის დამთავრებამდე.

მათ გზა განაგრძეს და ბეიტიველირში მივიდნენ. აქ მათ გიცურ თეთრი შემოუერთდათ უამრავი ხალხით. ბევრი ისაუბრეს,

გზას გაუდგნენ და თინგის ზემო ველზე გავიდნენ. მერმე დაეწყვნენ და თინგისკენ დაეშვნენ. ფლოსი და მისი ხალხი იარაღს ეცნენ და კინაღამ ბრძოლა ატყდა, მაგრამ ასგრიმი და მისიანები არ აპყენენ და თავიანთ სადგომებს მიმართეს. ამ დღემ მშვიდად ჩაიარა და ერთმანეთს არავინ დასტაკებია. ჰავდინგები ქვეყნის ყველა მეოთხედიდან იყვნენ მოსულნი და არავის ახსოვდა, რომ თინგზე ოდესმე ამდენი ხალხი მოსულიყო.

138

ერთ კაცს ეიოლვი ერქვა. მისი მამა იყო ბალვერკი, ძე ოტრადალელი ეიოლვ რუხისა, შვილიშვილი თორდ მტირალასი, შვილიშვილის შვილი ოლეივ ბილანისა. ეიოლვის დედა იყო ჰროდნიუ, მიდფიორდელი სკეგის ასული. ეიოლვს ყველა დიდად აფასებდა და ისე კარგად ჰქონდა შესწავლილი კანონები, რომ ისლანდიაში კანონების სამ უდიდეს მცოდნეთაგან ერთ-ერთ კაცად ითვლებოდა. ულამაზესი, ტანადი და ჯან-ღონით სავსე კაცი იყო და, ეტყობოდა, ბოლოს დიდი ჰავდინგი დადგებოდა. ფულს ეხარბებოდა, როგორც ყველა მისი ნათესავი.

ერთ დღეს ფლოსი ბიარნი ბროდ-ჰელგის ძის სადგომისკენ გაემართა. ბიარნი სულითა და გულით მიეგება. ფლოსი მას გვერდით მოუჯდა. დიდხანს იმასლაათეს. ფლოსიმ ბიარნის უთხრა:

— როგორ უნდა მოვიქცეთ ახლა?

ბიარნიმ მიუგო:

— იოლი როდია მაგ მდგომარეობიდან გამოსვლა. ჩემი აზრით, ყველაფერზე გონივრული იქნება მხარდაჭერა ითხოვოთ, რადგან ისინი ბევრ ხალხს აგროვებენ თქვენს წინააღმდეგ. მინდა გკითხო, ფლოსი, გყავს თუ არა შენს ხალხში ვინმე გამოცდილი კანონმცოდნე, რადგან ახლა თქვენ ორი გზაღა გაქვთ: ან შერიგება უნდა ითხოვოთ, — და კარგსაც იზამთ, — ან თავი დაიცვათ კანონის ძალით, თუკი შესაძლებელია ბრალდების აცილება მაგ საქმეში. მაშინ ეგ მეტისმეტ თავის გამოდებად ჩაგეთვლებათ. მე მგონი, გირჩევნიათ ამ მეორე გზას დაადგეთ, რადგან აქამდე მეტისმეტ ძალგულოვნებას იჩენდით და ახლა თავის დამდაბლება აღარ შეგფერით.

ფლოსიმ თქვა:

— რაკი კანონთმცოდნეებზე მეკითხები, ბარემ გეტყვი, რომ ჩვენს შორის არავინ არ გვყავს ეგეთი და არც არავისი იმედი მაქვს, გარდა შენი ნათესავის, თორკელ გეიტირის ძისა.

ბიარნიმ თქვა:

— მასზე იმედის დამყარება არ შეიძლება. თუმცა კანონებში, კარგად ერკვევა, მაგრამ მეტისმეტი ფრთხილია და საყრდენად არ გამოგადგება, თუმცა სხვაზე ნაკლებ ერთგულებას არ გაგიწევს, რადგან სიმამაცე არ აკლია. ამასაც გეტყვი, რომ ვინც ნიალის დამწველთა დაცვას იკისრებს, სიცოცხლის ფასად დაუჯდება კიდეც და არ მინდა ჩემს ნათესავს, თორკელს დაატყდეს ეგ უბედურება. ისე, რომ ისევ სხვაგან უნდა სცადო ბედი.

ფლოსიმ უთხრა, არც კი ვიცი, ვინ არიან საუკეთესო კანონთმცოდნეებიო.

ბიარნიმ თქვა:

— ერთ კაცს ეიოლვი პქვია. იგი ბალვერკის ძეა. მას ყველაზე კარგად ესმის კანონები დასავლეთ მეოთხედში. ბევრი ფულის მიცემა კი დაგჭირდება, რომ საქმეში ჩაითრიო, მაგრამ მაგაზე უკან არ დავისევთ. თან ყველა შეკრებაზე იარაღით უნდა მივიდეთ და თვალყურიც ფხიზლად გვეჭიროს, მაგრამ იერიშს ნუ მივიტანთ, თუ თვითონ არ დაგვესხნენ თავს. ახლა კი მეც წამოგყვები დახმარების სათხოვნელად, რადგან აღარ შეიძლება გულსელდაკრეფით ჯდომა.

ისინი სადგომიდან გამოვიდნენ და აღმოსავლეთ ფიორდების მკვიდრთა სადგომებისაკენ გაემართნენ. ბიარნი მოელაპარაკა ლიუტინგს, ბლეინგსა და ჰროი არნსტეინის ძეს და მალე მიაღწია თავის საწადელს.

შემდეგ ისინი გაემართნენ კოლთან, კაცისმკვლელ სკუტის ძესთან, და ეივინდ თორკელის ძესთან, გოდი ასკელის შვილიშვილთან, და დახმარება სთხოვეს. ისინი დიდსანს უარზე იდგნენ, მაგრამ ბოლოს სამი მარკა ვერცხლი გამოართვეს და დათანხმდნენ.

შემდეგ ისინი ლიოსავატნელთა სადგომისაკენ გაემართნენ და რამდენიმე ხანს დარჩნენ იქ. ფლოსიმ მათ დახმარება სთხოვა, მაგრამ ვერაფრით ვერ გატეხა და ვერ დაიყოლია ისინი. მაშინ ფლოსიმ რისხვით უთხრა:

— ვაგლახად ირჯებით! თქვენს მხარეში სარბნი და უსამართლონი ხართ, თინგზე კი არ გინდათ დაეხმაროთ მათ, ვინც ამას გთხოვთ. ჯერ კიდევ ბევრჯერ წამოგძახებენ თინგზე, რომ დაგავიწყდათ, თუ როგორ გათასსირებდათ ლიოსავატნელებს სკარპეედინი.

მერე სხვა მხრივ მიუდგა მათ ფლოსი, საიდუმლოდ მოეთათბირა, დახმარებისთვის ჯილდო შესთავაზა და ლამაზი სიტყვებით მოუქონა თავი. ბოლოს საქმე იმით დამთავრდა, რომ ლიოსავატნელები დახმარებას დაპპირდნენ და გულიც მოიცეს იმდენად, რომ ფლოსისთან ერთად ბრძოლაც კი ითავეს, თუ საჭირო გახდაო. ბიარნიმ ფლოსის უთხრა:

— აფერუმ შენს ვაუკაცობას. კაციც შენ ყოფილხარ და ქუდიც ეხურებია და არც არაფერი გეძრახვის.

შემდეგ დასავლეთისკენ გაემართნენ. ექსარას წყალზე გადავიდნენ და პლადბუდის სადგომს მიადგნენ. დაინახეს, რომ სადგომის წინ ბლომად ხალხი შეგროვილიყო. მათ შორის იდგა კაცი, რომელსაც მხრებზე წითელი ფერის მოსასხამი პქონდა მოხურული, თავზე ოქროს ბაფთა წაეკრა და ხელში მოვერცხლილი ნაჯახი ეჭირა. ბიარნიმ თქვა:

— ბედი გვქონია. აგერ ეიოლვ ბალვერკის ძეც აქ ყოფილა.

ისინი ეიოლვთან მივიდნენ და მიესალმნენ. ეიოლვმა მაშინვე იცნო ბიარნი და თავაზიანად მიეგება. ბიარნიმ ეიოლვს ხელი ხელში მოჰკიდა და ალმანაგიას ხევში გაიყვანა, თან ფლოსის უთხრა, უკან მიპყოლოდა თავისი ხალხით. ეიოლვსაც თავისი ხალხი გაპყვა. მათ თავისიანებს უბრძანეს სევისპირას დარჩენილიყვნენ და იქიდან ედევნებინათ თვალყური. ფლოსი კი ბიარნისა და ეიოლვის თანხლებით იმ ადგილას მივიდა, საიდანაც ხევისკენ ბილიკი ჩადიოდა. ფლოსიმ თქვა, აქ სჯობია დავსხდეთ, აქედან ყველაფერი მოჩანსო, და ჩამოსხდნენ. მაშინ ბიარნიმ ეიოლვს უთხრა:

— ჩვენ შენთან მოვედით, მეგობარო, რადგან შენი მხარდაჭერა გვჭირდება ყველაფერში.

ეიოლვმა თქვა:

— აქ, თინგზე, საუკეთესო ხალხია მოსული და არ გაგიჭირდებათ ისეთი კაცის პოვნა, რომელსაც უფრო შეეძლება თქვენი დახმარება, ვიდრე მე.

ბიარნიმ თქვა:

— ეგ აგრე არ არის; შენ ბევრი ისეთი შნო და უნარი გაქვს, რომ აქ, თინგზე, ტოლს არავის დაუდებ. უპირველეს ყოვლისა, სახელოვანი შთამომავლობის კაცი ხარ, როგორც ყველა, ვინც კი რაგნარ ლოდბროკის მოდგმას ეკუთვნის. შენი წინაპრები დიდ საქმეებს წყვეტდნენ თინგზეცა და თავიანთ მხარეშიც, და ყველგან თავისი გაპქონდათ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ შენც, შენი წინაპრებივით, შენსას მიაღწევ ყოველგვარ დავაში.

ეიოლვმა მიუგო:

— მჭევრმეტყველურად კი ლაპარაკობ, მაგრამ მე მაგ საქმესთან სელი არა მაქვს.

მაშინ ფლოსიმ თქვა:

— არ დაგიმალავ, რაც გუნებაში გვაქვს. გვინდა დახმარება გთხოვოთ, რომ საქმეში მოგვყვე, სამსჯავროზეც წამოხვიდე ჩვენთან ერთად, და თუ შესაძლებელია, ბრალდება უარყო, ჩვენი სახელით გამოხვიდე და, საერთოდ, ყველაფერში გაგვიწიო დასმარება, რაც არ უნდა მოსდეს.

ეიოლვი განრისხებული წამოვარდა და თქვა, თავს არავის გავაბრიყვებინებ და არც საყრდენად ვეგულვებინებიო ვისმე, თუ თვითონვე არ დავდექიო მაგ ჭკუაზე.

— ახლა კი ვხედავ, — თქვა მან, — რაც გქონიათ გუნებაში, ასე რომ მეპირფერებოდით.

ჰალბიარნ ძლიერმა მას ხელი სტაცა და ძალით დასვა თავისსა და ბიარნის შორის და თქვა:

— სეს ერთი შემოკვრით ვერ წააქცევ, მეგობარო. დაჯექი ცოტა ხანს ჩვენთან.

ფლოსიმ ხელიდან ოქროს სამაჯური მოიხსნა და თქვა:

— მინდა, ეს სამაჯური გაჩუქო, ეიოლვ, მეგობრობისა და დახმარებისათვის და დაგარწმუნო, რომ სულაც არ ვაპირებ შენს გაბრიყვებას. კარგს იზამ, თუ ამ საჩუქარს არ ითაკილებ, რადგან კაცს ვერ ნახავ თინგზე, რომ მისი ბადალი რამ მიმერთმიოს.

სამაჯური ისე დიდი იყო და უზადოდ გაკეთებული, რომ ათას ორასი წყრთა საკისფერზოლებიანი მაუდის ფასად ღირდა. ჰალბიარნმა სამაჯური ხელზე წამოაცვა ეიოლვს.

ეიოლვმა თქვა:

— მაშ კარგი, გამოგართმევ ამ სამაჯურს, რაკი ასე კეთილად

იქცევი. იმედი გქონდეს, რომ საქმეს გავუძღვები და ყველაფერს გავაკეთებ, რაც საჭიროა.

ბიარნიმ თქვა:

— ახლა კი ორთავეს ბარაქალა გეთქმით. აგერ მე და პალბიარნიც აქა ვართ და მოწმენი ვიქნებით, რომ შენ კისრულობ დავის გაძღოლას.

ეიოლვი და ფლოსი წამოდგნენ და ერთმანეთს ხელი მისცეს. ეიოლვმა ფლოსისაგან გადაიბარა მოპასუხის უფლებები და იმ შემთხვევაშიც, თუ დაცვა რაიმე ახალ საკითხს წამოჭრიდა, რაკი ის, რაც ერთ დავაში დაცვას წარმოადგენს, მეორეში ბრალდებაა. ეიოლვმა ამ ახალ დავაში ბრალდების უფლებაც გადაიბარა, მესუთე სამსჯავროში გაირჩეოდა საქმე თუ მეოთხედ სამსჯავროში. ფლოსიმ მას უფლებები კანონის მიხედვით გადააბარა და ეიოლვმაც კანონის მიხედვით ჩაიბარა ეს უფლებები. მაშინ მან ფლოსისა და ბიარნის უთხრა:

— აგერ, ეს დავაც ვიკისრე, როგორც თქვენ მოხოვდით. ახლა ჩემი სურვილია, რომ ჯერ ამაზე ხმა არ ამოიღოთ. და თუ საქმე მესუთე სამსჯავრომდე მივიდა, გაფრთხილდით და არ წამოგცდეთ, რომ დახმარებისთვის თქვენ მე რამე გადამიხადეთ.

მაშინ ფლოსი წამოდგა, ასევე ბიარნი და დანარჩენებიც. ფლოსი და ბიარნი თავ-თავიანთ სადგომებში დაბრუნდნენ, ეიოლვი კი სნორი გოდის სადგომში შევიდა და გვერდით მოუჯდა მას. დიდხანს იმასლაათეს. სნორი გოდიმ ეიოლვს ხელში ხელი სტაცა, სახელო გადაუწია და დაინახა, რომ ხელზე დიდი ოქროს სამაჯური ეკეთა. სნორიმ ჰკითხა:

— ეგ სამაჯური იყიდე თუ გაჩუქეს?

ეიოლვს პირში სიტყვა გაუწყდა და ვერაფერი უპასუხა.

სნორიმ თქვა:

— აშკარაა, საჩუქრად მიგიღია და იცოდე, თავი ზედ არ წაადო მაგ სამაჯურს.

ეიოლვი წამოხტა და წამოვიდა, რადგან ლაპარაკი არ უნდოდა. სნორიმ რომ დაინახა, როგორ წამოდგა ეიოლვი, უთხრა:

— ალბათ თინგის დამთავრებამდე გაიგებ, რაც მიგიღია.

ეიოლვი თავის სადგომში დაბრუნდა.

ასლა ის უნდა ვთქვათ, რომ ასგრიმ ელიდი-გრიმის ძე და კარი სალმუნდის ძე შესვდნენ გიცურ თეთრს, ჰიალტი სკეგის ძეს, თორგეირ სკორარგეირსა და მორდ ვალგარდის ძეს. ასგრიმმა ასეთი ლაპარაკი წამოიწყო:

— დასამალი არაფერი გვაქვს, რადგან აქ ისეთმა სალხმა დაიყარა თავი, რომლებიც ერთმანეთს ენდობიან. მინდა გკითხოთ, იცით თუ არა რამე იმის შესახებ, თუ რა აქვს გადაწყვეტილი ფლოსის. მე მგონი, ჩვენც რამე გზას უნდა დავადგეთ.

გიცურ თეთრმა მიუგო:

— სნორი გოდიმ კაცი გამომიგზავნა და შემატყობინა, რომ ფლოსის მრავალი მომხრე შეუძენია ჩრდილოეთ მეოთხედის მცხოვრებთა შორის, სოლო მის ნათესავს, ეიოლვ ბალვერკის ძეს ვიღაცისგან ოქროს სამაჯური მიუღია და მის დამალვას ლამობდა. სნორიმ შემომითვალა, ალბათ ეიოლვ ბალვერკის ძემ ჩვენი ბრალდების კანონიერი უარყოფა იკისრა და სამაჯურიც, ეტყობა, მაგისთვის მისცესო.

ყველა დაეთანხმა, ნამდვილად ეგრე იქნებაო. გიცურმა მათ უთხრა:

— ჩემმა სიძემ, მორდ ვალგარდის ძემ იკისრა ისეთი საქმე, რომელსაც ყველა უძნელესად მიიჩნევს — გაუძღვეს დავას ფლოსის წინააღმდეგ. ასლა მე მინდა, რომ თქვენც გაინაწილოთ საქმე, რადგან კანონის კლდეზე მალე გამოაცხადებენ გასარჩევ საქმეებს. ხალხსაც დასმარება უნდა ვთხოვოთ.

ასგრიმმა მიუგო:

— აგრე იყოს, მხოლოდ ის უნდა გთხოვოთ, რომ დახმარების სათხოვნელად შენც გამოგვყვე.

გიცურმა თანხმობა განუცხადა. შემდეგ თავისი ხალხიდან ყველაზე დარბაისელნი ამოარჩია თანმხლებლებად. ესენი იყვნენ ჰიალტი სკეგის ძე, ასგრიმი, კარი და თორგეირ სკორარგეირი. მაშინ გიცურმა თქვა:

— ჯერ სკაფტი თოროდის ძის სადგომთან მივიდეთ.

ასეც მოიქცნენ. გიცური წინ მიდიოდა, უკან ჰიალტი მიჰყვებოდა, შემდეგ კარი, შემდეგ ასგრიმი, შემდეგ თორგეირი, შემდეგ

მისი ძმები. ისინი სადგომში შევიდნენ. სკაფტი შემაღლებულ ადგილზე იჯდა. გიცური რომ დაინახა, წამოდგა და თავაზიანად შეეგება და სთხოვა, მის გვერდით დამჯდარიყო. ისიც დაჯდა. გიცურმა ასგრიმს უთხრა:

— შენ წამოუწყე სკაფტის დახმარებაზე ლაპარაკი, და მეც დავუმატებ, რასაც საჭიროდ ჩავთვლი.

ასგრიმმა თქვა:

— შენთან დახმარებისა და მხარდაჭერის სათხოვნელად ვართ მოსული, სკაფტი.

სკაფტიმ თქვა:

— აკი ამას წინათ დარწმუნდით, რომ ვერ გამტესავდით, როდესაც თქვენი გაჭირვება კისრად არ ვიდე.

გიცურმა თქვა:

— ახლა სხვა საქმე გვაქვს. ბონდ ნიალისა და მისი ცოლის, ბერგთორას მკვლელობაზე უნდა წამოვიწყოთ დავა, რადგან ისინი უდანაშაულოდ დაწვეს თავიანთსავე სახლში და მათთან ერთად დაიწვა მათი სამივე ვაჟი და ბევრი სხვა კარგი ადამიანიც. უარს ხომ არ ეტყვი ხალხს დახმარებაზე, ან იმაზე, რომ მხარში ამოუდგე მათ შენი და შენი ცოლის ნათესავთა მკვლელობის გამო დავაში.

სკაფტიმ მიუგო:

— როდესაც სკარპედინმა მითხრა, რომ თავზე მე თვით წავისვი კუპრი და ვიმალებოდი ბელტის ზოლში, რომელიც მე ამოვაჭრევინე, და ისე ვიყავ დამფრთხალი, რომ თოროლვ ლოფტის ძემ ხომალდზე ფქვილის ტომრით მიმიტანა და ისლანდიაში წამომიყვანა, — სწორედ მაშინ ჩავიდე გუნებაში, რომ არ გავერეოდი მისი მკვლელობის გამო დავაში.

გიცურმა თქვა:

— რა სახსენებელია ახლა სიტყვები, როდესაც მათი წარმომთქმელი ცოცხალი აღარ არის. მე დამეხმარე, თუ არ გინდა სხვას გაუმართო ხელი.

სკაფტიმ მიუგო:

— ეგ დავა შენ არ გეხება, თუ შენ თვითონ შენი ნებით არ ჩაერიე.

გიცური განრისხდა და თქვა:

— არ ჰგვანებიხარ მამაშენს. იმასაც ბევრნაირი ზნე სჭირდა,

მაგრამ დასმარება ყოველთვის იცოდა, თუ ვისმე დასჭირდებოდა.

სკაფტიმ თქვა:

— ჩვენ ერთმანეთისა არაფერი გვცხია. თქვენ გეკონათ დიდ საქმეს სჩადიოდით, შენ, გიცურ თეთრო, როდესაც გუნარ პლიდარენდელს დაესხი თავს, და შენ კი, ასგრიმ, როდესაც შენთან ძმაკაცშეზრდილი გაუკი მოკალი.

ასგრიმმა მიუგო:

— კარგს ვინ დაგიმადლის, როცა ცუდის დაყვედრება უნდათ. მაგრამ მაინც ვერავინ დამწამებს, რომ გაუკი მანამდე მომეკლას, ვიდრე საჭიროებამ არ მაიძულა. ძნელი არ არის იმის გაგება, თუ რატომ არ გწადია დასმარების გაწევა, მაგრამ ის კი არ გეპატიება, რომ მაგისთანა სიტყვებს გვკადრებ. მე იმასღა თუ ვისურვებ, რომ თინგის დამთავრებამდე ლაფი დაგასხან თავს და არც არავინ გამოგექომაგოს გაბიაბრუებულს.

გიცური და მისი თანმსლებნი ადგნენ, გამოვიდნენ, სნორი გოდის სადგომისაკენ გაემართნენ და შიგ შევიდნენ. სნორი სადგომში იყო და შემაღლებულ ადგილზე იჯდა. მან მაშინვე იცნო მოსულნი, მათ მისაგებებლად წამოდგა, თავაზიანად მიიღო ისინი და სთხოვა, მის გვერდით დამსსდარიყვნენ. ერთმანეთს ჰკითხეს, რა ამბებიაო, და ასგრიმმა სნორის უთხრა:

— მე და ჩემი ნათესავი გიცური აქ იმიტომ მოვედით, რომ დასმარება გთხოვოთ.

სნორიმ მიუგო:

— დასმარებას ითხოვთ და ნებაცა გაქვთ, რადგან თქვენი ნათესავების მკვლელობის გამო აპირებთ დავის წამოწყებას. ჩვენ ბევრი კეთილი რჩევა მიგვიღია ნიალისაგან, თუმცა ასლა ეგ ცოტა ვისმეს თუ ახსოვს, მაგრამ არ ვიცი, რა დასმარება უფრო გჭირდებათ.

ასგრიმმა მიუგო:

— ყველაზე მეტად მაშინ დაგვჭირდება მსარდაჭერა, თუ აქ, თინგზე, იარაღით ბრძოლა მოგვიხდა.

სნორიმ თქვა:

— მართალია, მაშინ კი ძაან დღეში იქნებით. ალბათ თქვენ ძალზე შეუპოვრად შეუტევთ საქმეს, არც ისინი დააკლებენ ცდას და არც ერთი მსარე არ დაუთმობთ ერთიმეორეს. თქვენ მაგას არ მო-

ითმენთ და იერიშს მიიტანთ მათზე. მერე კი ისღა დაგრჩებათ, რომ სირცხვილჭმეევითა და ლაფში ამოსვრით აზღვეევინოთ თქვენი ნათესავების დაღუპვა.

ეტყობოდა, ყოველნაირად აგულიანებდა მათ. მაშინ გიცურმა თქვა:

— კარგად ლაპარაკობ, სნორი. შენ ყოველთვის მსნედ და მტკიცედ მოქმედება გჩვეოდა, როგორც დიდ პავდინგს შეეფერება, თუკი საჭირო გამხდარა.

ასგრიმმა თქვა:

— მინდა ვიცოდე, რითი დაგვესმარები, თუ ისე მოსდა, როგორც შენ ამბობ.

სნორიმ თქვა:

— მე იმგვარად დაგიმტკიცებთ მეგობრობას, რომ ეს თქვენ პატივს დაგდებთ. სამსჯავროზე კი არ წამოვალ. თუ თინგზე ბრძოლა შეგსვდათ, იქამდე თავს ნუ დაესხმით, ვიდრე თქვენს ძალაში დარწმუნებული არ იქნებით, რადგან მეტად ძლიერი მოწინააღმდეგე გყავთ. თუ გაჯობეს, ეცადეთ აქეთ, ჩვენკენ დაისიოთ უკან, რადგან ჩემი ხალხი ბრძოლისათვის გამზადებული მეყოლება და მოგეშველებით. მაგრამ თუ ისე მოსდა, რომ იმათ იბრუნეს პირი, მაშინ, მე ვფიქრობ, ეცდებიან ალმანაგიას ხევისკენ გაიქცნენ, რადგან იქ უფრო იოლია თავდაცვა. თუ იქ შეაღწიეს, მერე ვეღარაფერს დააკლებთ. მე ვითავებ და ჩემს ხალხს ისე დავაყენებ, რომ თავშესაფრისკენ არ გავუშვებ თქვენს მოწინააღმდეგეებს. დადევნებით კი არ დაევედევნებით, რა გზითაც არ უნდა გაუყვნენ მდინარეს, ჩრდილოეთით იქნება თუ სამხრეთით. და როდესაც იმდენ ხალხს დასოცავთ, რამდენის საზღაურის გადახდის თავიც გექნებათ, ისე რომ თქვენს გოდორდებზე ხელის აღება არ დაგჭირდეთ და არც თქვენი მხარეებიდან მოგისდეთ აბარგვა, მაშინ მე და ჩემი ხალხი მოვცვივდებით და გაგაშველებთ, და თქვენც უნდა დაიჯეროთ, რასაც მე გეტყვით.

გიცურმა გულითადი მადლობა გადაუხადა და უთხრა, ეგრე ყველაფერს აჯობებსო. ამის შემდეგ ყველანი გამოვიდნენ სადგომიდან. გიცურმა თქვა:

— ახლა სად წავიდეთ?

— მადრუველირთა სადგომებისკენ, — მიუგო ასგრიმმა.

მაშინ იქით გაუდგნენ გზას.

140

და როდესაც სადგომში შეეიდნენ, დაინახეს, რომ გუდმუნდ მძლავრი იჯდა და თავის აღზრდილ ეინარ კონალის ძეს ესაუბრებოდა. ეინარი ჭკვიანი კაცი იყო. ისინი გუდმუნდთან მიეიდნენ, რომელიც მათ თავაზიანად შესვდა და ბრძანა, ადგილები გაეთავისუფლებინათ მათთვის, რომ ყველას შეძლებოდა დაჯდომა. ერთმანეთი მოიკითხეს. ასგრიმმა თქვა:

— გვინდა გთხოვოთ, გუდმუნდ, საიმედო დახმარება.

გუდმუნდმა პკითხა:

— პავდინგებთან თუ იყავით ვინმესთან უკვე?

მათ მიუგეს, რომ იყვნენ სკაფტისთან და სნორი გოდისთან და სმადაბლა უამბეს, რა ლაპარაკიც ჰქონდათ მათთან.

მაშინ გუდმუნდმა თქვა:

— ამას წინათ სულმოკლედ მოგექეცით, რომ ნებას არ დაგყევით. ახლა კი იოლი დასაყოლიებელი ვიქნები და ყველაფერში მოგყვებით. თქვენთან ერთად წამოვალ სამსჯავროზე მთელი ჩემი ხალხით და დაგეხმარებით, როგორც შევძლებ, და თქვენთან ერთად ვიბრძოლებ, თუ საჭირო გახდა, და არც სიცოცხლეს დავიშურებ თქვენთვის. სკაფტის ჯაერს კი იმით ვიყრი, რომ მის შეილს, თორსტეინ ღრენიას ჩვენს მხარეზე ვაბრძოლებ, რადგან იგი ვერაფერს ვაბედავს ჩემი ნება-სურვილის გარეშე იმიტომ, რომ ცოლად ჩემი ასული, იოდისი უზის. მაშინ სკაფტი იკადრებს ჩვენს გაშველებას.

ასგრიმმა და დანარჩენებმა მადლობა გადაუხადეს და კიდევ დიდხანს ისაუბრეს ისე, რომ არავის მოუსმენია მათი ლაპარაკი. გუდმუნდმა უთხრა, სხვა პავდინგებს ნუღარ ეაჯებით და თავს ნუ დაიმცირებთო.

— ჯერ იმ ხალხით ვცადოთ ბედი, ვინცა გვყავს; თინგის ყველა შეკრებაზე თან ატარეთ იარაღი, მაგრამ ბრძოლას კი ნუ ატეხავთ.

მაშინ ყველანი გამოვიდნენ და თავიანთ სადგომებში დაბრუნდნენ.

და აპა, მოაწია თინგის დრომაც.

141

ერთ დღეს ხალხმა კანონის კლდეს მიაშურა. პავდინგები ისე დაეწყვნენ, რომ ასგრიმ ელიდი-გრიმის ძე, გიცურ თეთრი, გუდ-

მუნდ მძლავრი და სნორი გოდი ზემო მსრიდან ედგნენ კანონის კლდეს, და აღმოსავლეთ ფიორდების მკვიდრნი კი მათ ქვემოთ მოექცნენ. მორდ ვალგარდის ძე თავისი სიმამრის გიცურის გვერდით იდგა. მორდმა ყველაზე მეტი მჭევრმეტყველება გამოიჩინა. გიცურმა უთხრა, გამოეცხადებინა მკვლელობის ამბავი და სმამაღლა ელაპარაკა ისე, რომ ყველას კარგად გაეგონა.

მორდმა თავისი მოწმეები დაასახელა და თქვა:

— მე თქვენ მოწმეებად გასახელებთ და ბრალს ვდებ ფლოსი თორდის ძეს მასში, რომ იგი უკანონოდ პირველი დაესხა თავს ჰელგი ნიალის ძეს იმ ადგილზე, სადაც ფლოსი თორდის ძე თავს დაესხა ჰელგი ნიალის ძეს და მიაყენა მას სხეულისა თუ ძვლის ღრმა ჭრილობა, რომელიც სასიკვდილო გამოდგა და რომლისგანაც ჰელგი გარდაიცვალა. მე ვამბობ, რომ ამისათვის იგი კანონგარეშე უნდა იქნეს გამოცხადებული და განიდევნოს, და არც არავინ მიაწოდოს მას საჭმელი, არც გზა უჩვენოს და არც სხვაფრივ გაუმართოს სელი. მე ვამბობ, რომ მას უნდა ჩამოერთვას მთელი ქონება და ნახევარი მე გადმომეცეს, მეორე ნახევარი კი ჩვენი მეოთხედის იმ მცხოვრებლებს, რომლებსაც უფლება აქვთ კანონგარეშე გამოცხადებულის ქონებაზე. მე ამ მკვლელობის ამბავს ვაცხადებ მეოთხედ სამსჯავროში, სადაც კანონის მიხედვით ეს საქმე უნდა გაირჩეს. მე ამას ვაცხადებ კანონის მიხედვით. მე ამას ვაცხადებ ყველას გასაგონად კანონის კლდესთან. მე ვაცხადებ, რომ ამ ზაფხულს უნდა გასამართლდეს და კანონგარეშე გამოცხადდეს ფლოსი თორდის ძე. ვაცხადებ, რომ ეს საქმე გადმომაბარა თორგეირ თორირის ძემ.

კანონის კლდესთან დიდი სმაური ატყდა, რადგან მორდი მსნედ და დალაგებით ლაპარაკობდა.

მორდმა კვლავ სიტყვა ითხოვა.

— მე თქვენ მოწმეებად გასახელებთ, — თქვა მან, — და ბრალს ვდებ ფლოსი თორდის ძეს მასში, რომ მან ჰელგი ნიალის ძეს მიაყენა სხეულისა თუ ძვლის ღრმა ჭრილობა, რომელიც სასიკვდილო გამოდგა და რომლისგანაც ჰელგი გარდაიცვალა იმ ადგილზე, სადაც ფლოსი თორდის ძე უკანონოდ პირველი დაესხა თავს ჰელგი ნიალის ძეს. მე ვამბობ, რომ ამისათვის შენ, ფლოსი, უნდა გამოგაცხადონ კანონგარეშე და არც არავინ მოგაწოდოს საჭმელი, არც

გზა გიჩვენოს და არც სხვაფრივ გაგიმართოს სელი. მე ვამბობ, რომ შენ უნდა ჩამოგერთვას მთელი ქონება და ნახევარი მე გადმომეცეს, ნახევარი კი ჩვენი მეოთხედის იმ მცხოვრებლებს, რომლებსაც უფლება აქვთ კანონგარეშე გამოცხადებულის ქონებაზე. მე ამ საქმეს ვაცხადებ მეოთხედ სამსჯავროში, სადაც კანონის მიხედვით ეს საქმე უნდა გაირჩეს. მე ამას ვაცხადებ კანონის მიხედვით. მე ამას ვაცხადებ ყველას გასაგონად კანონის კლდესთან. მე ვაცხადებ, რომ ამ ზაფხულს უნდა გასამართლდეს და კანონგარეშე გამოცხადდეს ფლოსი თორდის ძე. ვაცხადებ, რომ ეს საქმე გადმომაბარა თორგეირ თორირის ძემ.

ამის შემდეგ მორდი დაჯდა.

ფლოსიმ ყურადღებით მოუსმინა, მაგრამ სიტყვა არ უთქვამს.

თორგეირ სკორარგეირი წამოდგა, თავისი მოწმეები დაასახელა და თქვა:

— მე თქვენ მოწმეებად გასახელებთ და ბრალს ვდებ გლუმ პილდირის ძეს მასში, რომ მან ცეცხლი დაანთო და წაუკიდა სასლს ბერგთორსპვალში, რის გამოც სასლში დაიწვნენ ნიალ თორგეირის ძე და ბერგთორა სკარპედინის ასული, და კიდევ ბევრი სხვა. მე ვამბობ, რომ ამისათვის იგი კანონგარეშე უნდა გამოცხადდეს და არც არავინ მიაწოდოს საჭმელი, არც გზა უჩვენოს და არც სხვაფრივ გაუმართოს სელი. მე ვამბობ, რომ მას უნდა ჩამოერთვას მთელი ქონება და ნახევარი მე გადმომეცეს, ნახევარი კი ჩვენი მეოთხედის იმ მცხოვრებლებს, რომლებსაც უფლება აქვთ კანონგარეშე გამოცხადებულის ქონებაზე. მე ამ საქმეს ვაცხადებ მეოთხედ სამსჯავროში, სადაც კანონის მიხედვით ეს საქმე უნდა გაირჩეს. მე ამას ვაცხადებ კანონის მიხედვით. მე ამას ვაცხადებ ყველას გასაგონად კანონის კლდესთან. მე ვაცხადებ, რომ ამ ზაფხულს უნდა გასამართლდეს და კანონგარეშე გამოცხადდეს გლუმ პილდირის ძე.

კარი სალმუნდის ძემ ბრალდება წაუყენა კოლ თორსტეინის ძეს, გუნარ ლამბის ძეს და გრანი გუნარის ძეს და ყველამ თქვა, რომ მან საუცხოო მჭევრმეტყველება გამოიჩინა. თორლეივ ყორანმა ბრალდება წაუყენა სიგფუსის ვაუებს, მისმა ძმამ, თორგრიმ ვეებამ კი — მოდოლვ კეთილის ძეს, ლამბი სიგურდის ძესა და ჰროარ ჰამუნდის ძეს, ლეიდოლვ ძლიერის ძმას. ასგრიმ ელიდა-გრიმის ძემ ბრალდება წაუყენა ლეიდოლვსა და თორსტეინ გეირლეი-

ვის ძეს, არნი კოლის ძესა და გრიმ წითურს. ყველამ კარგად ილაპარაკა.

ამის შემდეგ სხვებმაც წამოაყენეს თავიანთი ბრალდებანი და ამას თითქმის მთელი დღე დასჭირდა. შემდეგ ხალხი თავიანთ სადგომებში წავიდ-წამოვიდა.

ეიოლვ ბალვერკის ძემ ფლოსის სადგომს მიაშურა. ისინი სადგომის აღმოსავლეთ მხარეს გაემართნენ. ფლოსიმ ჰკითხა, რაიმე ნაკლს თუ ამჩნევო ამ ბრალდებებს.

— ვერაფერს, — მიუგო ეიოლვმა.

— მაშ როგორ მოვიქცეთ? — ეკითხება ფლოსი.

— აი, რას გირჩევ, — ეუბნება ეიოლვი, — შენი გოდორდი შენს ძმას თორგეირს გადაეცი, შენ კი გოდი ასკელ თორკელის ძის გოდორდში შედი ჩრდილოეთ რეიკიარდალში. თუ მაგათ ეგ არ ეცოდინათ, შეიძლება მოსდეს, რომ მანდ შეცდომა დაუშვან, რადგან ბრალდებას აღმოსავლეთ მეოთხედის სამსჯავროში წამოაყენებენ. წესით კი ჩრდილოეთ მეოთხედის სამსჯავროს უნდა მიმართონ და ეგ მსედველობიდან გამორჩებათ. და თუ საქმე იმ სამსჯავროში არ წამოიწყეს, სადაც ჯერ არს, მაშინ მათ წინააღმდეგ დავის დაწყება შეიძლება მესუთე სამსჯავროში. ჩვენც მაგ დავას დავიწყებთ მათ წინააღმდეგ, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ მეტისმეტად გაჭირდა საქმე.

ფლოსიმ თქვა:

— იქნება დაგვიფასდეს სამაჯური.

— ეგ მე არ ვიცი, — მიუგო ეიოლვმა, — მაგრამ საქმეში კი ისე შემოგეშველებით, რომ ყველას ვათქმევინებ, აქ არაფერი გაეწყობაო. ასლა კი ასკელს გაუგზავნე კაცი და დაიბარე. თორგეირიც ახლავე მოვიდეს და ერთი კაციც წამოიყვანოს.

ცოტა ხნის შემდეგ თორგეირიც მოვიდა. მან გოდორდი ჩაიბარა. მალე ასკელიც მოვიდა. ფლოსიმ უთხრა, შენს გოდორდში შემოვდივარო. მათს მეტს ეს არავის გაუგია.

142

სრული სიწყნარე იყო, ვიდრე არ დადგა დრო, როდესაც სამსჯავროები საქმეს უნდა შესდგომოდნენ. ორივე მხარე ვაემზადა და შეიარაღდა. ჩაჩქნებზეც საბრძოლო ნიშნები გაიკეთეს.

თორპალ ასგრიმის ძემ თქვა:

— ნამეტანს ნუ გაიქაჩებით და ისე მოიქეცით ყველაფერში, როგორც საჭიროა. თუ რაიმე გაგიჭირდეთ, მაშინვე მაცნობეთ და რჩევა-დარიგებას მოგაწვდით.

ასგრიმმა და სსვებმა შეხედეს მას და დაინახეს, რომ იგი წამოწითლდა, თითქოს მთელი სისხლი სახეში მოაწვაო, და თვალებიდან სეტყვასავით მსხვილი ცრემლები გადმოსცვივდა. თორპალმა ბრძანა, შუბი მოეტანათ მისთვის. ეს შუბი მას სკარპჰედინმა აჩუქა და ძალზე ძვირფასი რამე იყო. როდესაც წამოვიდნენ, ასგრიმმა თქვა:

— კარგ გუნებაზე ვერ დადგა ჩემი შვილი თორპალი, როდესაც სადგომში დარჩა, და არ ვიცი, რას მოიმოქმედებს. ახლა კი მე და მორდ ვალგარდის ძე ერთად წავალთ და ისე მოვიქცევით, თითქოს სხვა არაფერი არ გვადარდებდეს, გარდა ფლოსისთან დავისა.

ასგრიმმა ხალხი გაუგზავნა გიცურ თეთრს, ჰიალტისა და გუდმუნდ მძლავრს. ყველანი მოვიდნენ და მაშინვე აღმოსავლეთ მეოთხედის სამსჯავროსკენ გაემართნენ. ისინი სამსრეთის მხრიდან მოუდგნენ სამსჯავროს, ფლოსი და მასთან მყოფი აღმოსავლეთ ფიორდების მკვიდრნი კი სამსჯავროს ჩრდილოეთის მხარეს დადგნენ. ამათ გარდა ფლოსის რეიკიარდალელები და ლიოსავატნელებიც ახლდნენ. ეიოლვ ბალვერკის ძეც იქ იყო. ფლოსი მისკენ დაისარა და უთხრა:

— კარგად მიგვდის საქმე და შეიძლება ყველაფერი ისე აეწყოს, როგორც შენ ივარაუდე.

— კრინტი არ დაძრა, — მიუგო ეიოლვმა, — დრო მოვა და მაგითაც ვისარგებლებთ.

მორდ ვალგარდის ძემ თავისი მოწმეები დაასახელა და ყველას, ვინც კანონგარეშე გამოცხადებას მოითხოვდა, შესთავაზა წილი ეყარათ, თუ ჯერ ვის ელაპარაკა საქმეზე, და მერე ვინ გამოსულიყვნენ რიგრიგობით. ეს მან კანონის ძალით ითხოვა სამსჯავროს წინაშე და მსაჯულებმაც მოისმინეს მისი ნათქვამი. შემდეგ წილი ჰყარეს და პირველად გამოსვლა მას შეხვდა. მორდ ვალგარდის ძემ კვლავ თავისი მოწმეები დაასახელა და თქვა:

— მე თქვენ მოწმეებად გასახელებთ. თუ ვინიცობაა საქმეზე ლაპარაკის დროს რაიმე შეცდომა დავუშვი, ან მეტი მომივიდა ან დავაკელი რამე, უფლება მქონდეს, რომ გავასწორო ხოლმე ჩემი

სიტყვები, ვიდრე საქმეს მართებულად არ გადმოგცემთ. მე ამის მოწმეებად გასახელებთ, რათა ეს წესი მეც გამოვიყენო და სხვამაც, ვისთვისაც იგი საჭირო გახდება.

მორდმა თქვა:

— მე თქვენ მოწმეებად გასახელებთ და ფლოსი თორდის ძესა და სხვებს, ვისაც კანონის ძალით მან თავისი საქმის დაცვა მიანდო, წინადადებას ვაძლევ მოისმინონ ჩემი ფიცი, ჩემი განცხადება ამ დავის თაობაზე და ყველა საბუთი, რომელთა გამოყენება განზრახული მაქვს მის წინააღმდეგ. მე ამ წინადადებას ვაყენებ კანონის თანასმად სამსჯავროს წინაშე, რათა ყველა მსაჯულმა გაიგონოს, ვინც კი სამსჯავროში იმყოფება.

მორღმა თქვა:

— მე თქვენ მოწმეებად გასახელებთ და ფიცს ვდებ წიგნზე, როგორც კანონი მოითხოვს, და ვამბობ ღვთის წინაშე, რომ დავას გავუძღვები სიმართლით, წესითა და რიგით და შევასრულებ ყველაფერს, რასაც სამართალი მოითხოვს, ვიდრე ამ დავას ვუძღვები.

შემდეგ მან ასე თქვა:

— მე ერთ მოწმედ თოროდი დავასასელე და მეორედ კი თორბიარნი, როდესაც ბრალი დავდე ფლოსი თორდის ძეს მასში, რომ იგი უკანონოდ პირველი დაესხა თავს ჰელგი ნიალის ძეს იმ ადგილზე, სადაც ფლოსი თორდის ძე უკანონოდ პირველი დაესხა თავს ჰელგი ნიალის ძეს, როდესაც ფლოსი თორდის ძემ ჰელგი ნიალის ძეს მიაყენა სხეულისა თუ ძვლის ღრმა ჭრილობა, რომელიც სასიკვდილო გამოდგა და რომლისგანაც ჰელგი გარდაიცვალა. მე ვთქვი, რომ იგი ამისთვის კანონგარეშე უნდა იქნეს გამოცხადებული და არც არავინ მიაწოდოს მას საჭმელი, არც გზა უჩვენოს და არც სხვაფრივ გაუმართოს სელი. მე ვთქვი, რომ მას უნდა ჩამოერთვას მთელი ქონება და მისი ნახევარი გადმომეცეს მე, მეორე ნახევარი კი ჩვენი მეოთხედის მცსოვრებლებს, რომლებსაც უფლება აქვთ კანონგარეშე გამოცხადებულის ქონებაზე. ეს მე განვაცხადე მეოთხედ სამსჯავროში, რომელშიც კანონის მიხედვით ეს ბრალდება უნდა გაირჩეს. ეს მე განვაცხადე კანონის მიხედვით. ეს მე განეაცხადე კანონის კლდესთან ყველას გასაგონად. მე განვაცხადე, რომ ფლოსი თორდის ძე უნდა გასამართლდეს ამ ზაფხულს და გამოცხადდეს კანონგარეშე. მე გამოვაცხადე დავა, რომელიც თორგეირ

თორირის ძემ გადმომაბარა. როდესაც მე ბრალდება წამოვაყენე, იმავე სიტყვებით ვლაპარაკობდი, რომლებიც ასლა წარმოვთქვი ამ საქმეზე. საქმეს ვაცნობ აღმოსავლეთ მეოთხედის სამსჯავროში იონს იმის შესაბამისად, რაც მაშინ წარმოვთქვი, როდესაც ბრალდება წამოვაყენე.

მორდის განცხადების მოწმეები გამოვიდნენ სამსჯავროს წინაშე და ერთმა მათგანმა ჩვენება მისცა, მეორემ კი დაუდასტურა და ასე თქვა:

— მორდმა ერთ მოწმედ თოროდი დაასახელა, მეორე მოწმედ კი მე, და მე მეწოდება თორბიარნი, — და თავისი მამის სახელი თქვა,— მორდმა მოწმეებად დაგვასახელა და ბრალი დასდო ფლოსი თორდის ძეს მასში, რომ იგი უკანონოდ პირველი დაესხა თავს პელგი ნიალის ძეს იმ ადგილზე, სადაც ფლოსი თორდის ძემ პელგი ნიალის ძეს მიაყენა სსეულისა თუ ძვლის ღრმა ჭრილობა, რომელიც სასიკვდილო გამოდგა და რომლისგანაც პელგი გარდაიცვალა. მან თქვა, რომ ფლოსი ამისათვის კანონგარეშე უნდა იქნეს გამოცხადებული და არც არავინ მიაწოდოს მას საჭმელი, არც გზა უჩვენოს და არც სსვაფრივ გაუმართოს სელი. მან თქვა, რომ ფლოსის უნდა ჩამოერთვას მთელი ქონება და ნახევარი მას გადაეცეს, მეორე ნახევარი კი ჩვენი მეოთხედის იმ მცსოვრებლებს, რომლებსაც უფლება აქვთ კანონგარეშე გამოცხადებულის ქონებაზე. მან ეს განაცხადა მეოთხედ სამსჯავროში, რომელშიც კანონის მიხედვით ეს ბრალდება უნდა გაირჩეს. მან ეს განაცხადა კანონის მიხედვით. მან ეს განაცხადა კანონის კლდესთან ყველას გასაგონად. მან განაცხადა, რომ ფლოსი თორდის ძე უნდა გასამართლდეს ამ ზაფხულს და გამოცხადდეს კანონგარეშე. მან გამოაცხადა დავა, რომელიც ძს თორგეირ თორირის ძემ გადააბარა. როდესაც მან წამოაყენა ბრალდება, იმავე სიტყვებით ილაპარაკა, რომლებითაც მან თავისი საქმე წარმოადგინა და რომლებითაც ჩვენ ვიძლევით ჩვენებას. ჩვენ მართებულად მივეცით ჩვენება და ყველაფერს ვადასტურებთ. ჩვენი ჩვენება მივეცით აღმოსავლეთ მეოთხედის სამსჯავროში იონს ისევე, როგორც მორდმა წამოაყენა ბრალდება.

მათ მეორეჯერაც მისცეს ჩვენება სამსჯავროს და ამჯერად ჯერ დაჭრა აღნიშნეს და მერე თავდასხმა, დანარჩენი კი სიტყვა-სიტყვით გაიმეორეს, რაც პირველად თქვეს, და დაუმატეს, რომ ჩვენება

მისცეს აღმოსავლეთ მეოთხედის სამსჯავროში ისევე, როგორც მორდმა წამოაყენა ბრალდება.

შემდეგ სამსჯავროს წინაშე გამოვიდნენ მოწმეები, რომლებმაც დაადასტურეს, თუ როგორ გადააბარა თორგეირმა მორდს დავის წარმოება და ერთმა მათგანმა ჩვენება მისცა, მეორემ კი დაუდასტურა და თქვა, რომ მორდ ვალგარდის ძემ და თორგეირ თორირის ძემ მათ იმის მოწმეებად მოუხმეს, რომ თორგეირ თორირის ძემ მორდ ვალგარდის ძეს გადააბარა უფლება გაუძღვეს დავას ფლოსი თორდის ძის წინააღმდეგ პელგი ნიალის ძის მკვლელობის თაობაზე.

— მან ეს დავა გადააბარა მორდ ვალგარდის ძეს და მასთან ყველა საბუთიც, რომლებიც საქმეს ეხება. მან გადააბარა მას ეს დავა, რათა იგი საქმეს ბოლომდე მიპყვეს კანონიერად ან შერიგდეს და ისარგებლოს კანონიერი მომჩივანის ყველა უფლებით. თორგეირმა გადააბარა საქმე კანონის მიხედვით და მორდმა ჩაიბარა იგი კანონის მიხედვით.

ამრიგად, მათ ჩვენება მისცეს ი.ონს აღმ:ისავლეთ მეოთხედის სამსჯავროში დავის გადაბარების შესახებ იმავე სიტყვებით, რომლებითაც თორგეირმა და მორდმა ისინი მოწმეებად დაასახელეს. ყველა მოწმეს ფიცი დაადებინეს, ვიდრე ჩვენებას მისცემდნენ, აგრეთვე მსაჯულებსაც. მორდ ვალგარდის ძემ თავისი მოწმეები დაასახელა.

— მე თქვენ იმის მოწმეებად გასახელებთ, — თქვა მან, — რომ წინადადებას ვაძლევ ცსრა მეზობელს, რომლებიც ამ დავაში გამოვიხმე ფლოსი თორდის ძის წინააღმდეგ, დასხდნენ მდინარის დასავლეთ ნაპირზე, რათა მეორე მხარეს შეეძლოს აცილება მისცეს იმათ, ვინც უფლებამოსილად არ მიაჩნია. მე ამ წინადადებას ვაყენებ კანონის მიხედვით სამსჯავროში ისე, რომ ყველა მსაჯულს ეყურება.

მორდმა კვლავ დაასახელა თავისი მოწმეები და თქვა:

— მე თქვენ იმის მოწმეებად გასახელებთ, რომ წინადადებას ვაძლევ ფლოსი თორდის ძეს, ან სხვა კაცს, რომელსაც მან კანონის მიხედვით გადააბარა თავისი საქმის დაცვა, აცილება მისცენ იმ მეზობლებს, რომლებსაც მე ვოხოვე დამსხდარიყვნენ მდინარის დასავლეთ ნაპირზე, ვინც უფლებამოსილად არ მიაჩნიათ. მე ამ წინა-

დადებას ვაყენებ კანონის მისედვით სამსჯავროში ისე, რომ ყველა მსაჯულს ეყურება.

მორდმა კვლავ დაასახელა თავისი მოწმეები და თქვა:

— მე თქვენ იმის მოწმეებად გასახელებთ, რომ ყველა ზომა მიღებულია, რასაც კანონი მოითხოვს საქმის წარმოებისას: მოთხოვნილ იქნა ფიცის დადება, მოსდა ფიცის დადება, წაყენებულია ბრალდება, მოწმეებმა ჩვენება მისცეს ბრალდების წაყენების შესახებ, მოწმეებმა დაადასტურეს დავის გადაბარება, მეზობლებს წინადადება მიეცათ დაეკავებინათ ადგილები, მოპასუსეთ შესთავაზეს აცილება მიეცათ იმ მეზობელთათვის, რომლებიც უფლებამოსილად არ მიაჩნდათ. მე თქვენ იმის მოწმეებად გასახელებთ, რა ზომებიც იქნა მიღებული ამ დავის წარმოებისათვის და იმის მოწმეებადაც, რომ მე დავაზე ხელის აღებად არ ჩამეთვალოს, თუ დაეტოვებ სამსჯავროს სხვა საბუთების საძებრად და სხვა საქმეების მოსაგვარებლად.

ფლოსი და მისი ხალხი იმ ადგილს მიადგნენ, სადაც მეზობლები ისხდნენ. ფლოსიმ მათ უთხრა:

— სიგფუსის ძეთ სურთ იცოდნენ, უფლებამოსილნი არიან თუ არა მკვლელობის ადგილთან მცხოვრები მეზობლები, რომლებსაც აქ მოუსმეს.

კეთილ მარკელმა მიუგო:

— ერთ-ერთმა ამ მეზობელთაგანმა მონათლა მორდ ვალვარდის ძე, მეორე კი გარე ბიძაშვილად ერგება მას.

მაშინ მათ გამოითვალეს ნათესაური კავშირი და ფიცით დაადასტურეს თავიანთი ნათქვამი. ეიოლვმა თავისი მოწმეები დაასახელა და მოითხოვა, რომ მეზობლები თავიანთ ადგილზე მსხდარიყვნენ, ვიდრე აცილებას არ მისცემდნენ იმათ, ვისაც უფლებამოსილად არ მიიჩნევდნენ. ეიოლვმა კვლავ დაასახელა თავისი მოწმეები.

— მე თქვენ იმის მოწმეებად გასახელებთ, — თქვა მან, — რომ მე აცილებას ვაძლევ ამა და ამ მეზობლებს, — მან სახელითა და მამის სახელით მოიხსენია ისინი, — იმის გამო, რომ ერთ-ერთი მათგანი გარე ბიძაშვილად ერგება მორდს, მეორეს კი ნათელმირონობა აქვნია მასთან, და ამიტომ კანონით მათ აცილება უნდა მიეცეთ. კანონის ძალით თქვენ გამოყვანილი ხართ შემადგენლობიდან, რად-

ჭან კანონიერი აცილება გამოცხადდა თქვენს მიმართ. მე აცილებას ვაძლევთ ალთინგის წესებისა და საყოველთაო-სასალხო კანონების მიხედვით. მე აცილებას გაძლევთ ფლოსი თორდის ძის მიერ ჩეპ-თვის გადმობარებულ დავაში.

მაშინ მთელმა სალხმა დაიწყო ლაპარაკი, მორდის საქმე ცუდად არისო, და ყველა იმ აზრზე დადგა, დაცვამ აჯობა ბრალდებასო. მა-შინ ასგრიმმა მორდს უთხრა:

— მაგათ ჯერ არ მოუგიათ საქმე და უკვე პგონიათ, თითქოს დიდი დარტყმა ეგემეებინოთ ჩვენთვის. ახლა ჩემი შვილი თორპალი მოვძებნოთ და ვნახოთ, რას გვირჩევს.

თორპალს სანდო კაცი გაუგზავნეს და დაავალეს, დაწვრილებით გადაეცა, როგორც იყო საქმე და რომ ფლოსიმ და მისმა სალხმა მოწმენი უფლებამოსილად არ ჩათვალეს.

თორპალმა თქვა:

— მე ისე მოვაწყობ საქმეს, რომ მაგ დავას არ წაგაგებინებთ. უთხარი, ნუ დაიჯერებენ, თითქოს მათთვის ჭკუით ეჯობნოთ, იმი-ტომ, რომ მაგ ჭკუის კოლოფ ეიოლვს ახლა კი ანგარიში შეშლია. სასწრაფოდ დაბრუნდი მათთან და უთხარი მორდ ვალგარდის ძე სამსჯავროში გამოვიდეს და დაასახელოს თავისი მოწმეები იმის თაობაზე, რომ აცილება მართებული არ არის.

და დაწვრილებით აუწერა, როგორც უნდა მოქცეულიყვნენ ჩაცნე უკან დაბრუნდა და თორპალის დანაბარები გადასცა. მორდ ვალგარდის ძე მაშინ სამსჯავროს წინაშე გამოვიდა და თავისი მოწმეები დაასახელა.

— მე თქვენ იმის მოწმეებად გასახელებთ, რომ უმართებულოდ ვაცხადებ ეიოლვ ბალვერკის ძის მიერ მიცემულ აცილებას. მიზეზი ის ვასლავთ, რომ მან აცილება მისცა მეზობლებს არა როგორც მომჩივანის ნათესავებს, არამედ როგორც იმ კაცის ნათესავებს, ვინც დავას უძღვება. მე თქვენ მოწმეებად გასახელებთ ჩემთვისაც და იმათთვისაც, ვისაც ეს დამოწმება გამოადგება.

ამის შემდეგ მან მოწმეებს სამსჯავროსათვის ჩვენება მიაცემი-ნა. იგი მივიდა იქ, სადაც მეზობლები ისხდნენ და ფეხზე მდგომთ უთხრა დამსხდარიყვნენ, რაკი უფლებამოსილნი იყვნენ. მაშინ ყვე-ლამ თქვა, თორპალმა დიდი საქმე გააკეთაო და ახლა ყველამ ბრალ-დება დაამჯობინა დაცვას. ფლოსიმ ეიოლვს ჰკითხა:

— რას იტყვი, კანონიერია ეს ყველაფერი?

— რასაკვირველია, — მიუგო ძან, — ეგ კი მართლა გამოგვეპარა. მაგრამ ჯერ ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს.

ეიოლვმა თავისი მოწმეები დაასახელა.

— მე თქვენ იმის მოწმეებად გასახელებთ, — თქვა მან, — რომ მე აცილება მივეცი ამ ორ კაცს, — და ორივეს სახელებით მიმართა, — რადგან თქვენ მაგ მიწა-წყალზე მოიჯარადრენი ხართ და არა ადგილობრივი მკვიდრნი. მე ვერ დავუშვებ, რომ თქვენ მოწმეთა შორის ისხდეთ, რადგან თქვენს მიმართ კანონიერი აცილებაა გამოცხადებული. მე აცილებას გაძლევთ ალთინგის წესებისა და საყოველთაო-სახალხო კანონების მისედვით.

ეიოლვმა თქვა, ახლა კი სასტად დავრჩები, თუ ამ საბუთსაც გამოგვაცლიან სელიდანო. მაშინ ყველამ თქვა, დაცვამ აჯობა ბრალდებასო. ეიოლვს ბევრს აქებდნენ და ამბობდნენ, კანონთმცოდნეობაში ვერავინ შეედრებაო.

მორდ ვალგარდის ძემ და ასგრიმ ელიდი-გრიმის ძემ კაცი გაუგზავნეს თორპალს და შეუთვალეს, რაც მოხდა. ეს რომ თორპალმა გაიგო, იკითხა, რა შეძლება ჰქონდა იმ ორ მეზობელს. მაცნემ უთხრა, ერთ-ერთი მათგანი რძით ცხოვრობს და ძროხაცა ჰყავს, ცხვარიცაო, მეორეს კი უკავია მესამედი იმ მიწისა, რომელზედაც იგი თავისი ოჯახითურთ მეურნეობას ეწევა, თავსაც თვითონ ირჩენსო და საერთო კერა აქვს ერთ კაცთან, რომელსაც მიწა იჯარით აღებული აქვს, და მათთან ერთად ერთი მეცხვარეაო.

თორპალმა თქვა:

— ახლაც იგივე დაემართებათ, რაც მაშინ მოუვიდათ, რადგან ისევ შეცდომა მოსვლიათ. იოლად ამოვუტრიალებ მაგ საქმესაც, რაც არ უნდა ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები ხარჯოს ეიოლვმა თავისი მტკიცების კანონიერებაზე.

თორპალმა მას ზედმიწევნით დაწვრილებით აუწერა, როგორც უნდა მოქცეულიყვნენ. მაცნე უკან დაბრუნდა და მორდსა და ასგრიმს გადასცა, რაც თორპალმა შემოუთვალა. მორდი სამსჯავროს წინაშე გამოვიდა და თავისი მოწმეები დაასახელა.

— მე თქვენ იმის მოწმეებად გასახელებთ, რომ უმართებულოდ ვაცხადებ ეიოლვ ბალვერკის ძის მიერ მიცემულ აცილებას, რადგან მან აცილება მისცა ორ კაცს, რომლებსაც უფლება აქვთ მოწ-

მეებად გამოსვლისა. ყველას შეუძლია გამოვიდეს სამსჯავროზე მეზობლის უფლებით, ვინც სამას მეასედ მიწას ან მეტს ფლობს, პირუტყვიც რომ არ პყავდეს, და მოწმედ გამოსვლის უფლება აქვს იმასაც, ვინც რძით ცხოვრობს, იჯარით რომ პქონდეს კიდეც აღებული მიწა.

ამის შემდეგ მან მოწმეებს სამსჯავროსათვის ჩვენება მიაცემინა. იგი მივიდა იქ, სადაც მეზობლები იყვნენ, და უთხრა, დამსხდარიყვნენ, და დაუმატა, უფლებამოსილნი ხართო.

ატყდა ღრიანცელი და ყაყანი. ყველა იძახდა, აწ კი წასულია ფლოსისა და ეიოლვის საქმეო და ასლა ბრალდება დაამჯობინეს დაცვას.

ფლოსიმ ეიოლვს პკითხა:

— ეს მართებულია?

ეიოლვმა უთხრა, ეგ ზუსტად არ ვიციო. მაშინ კაცი გაგზავნეს კანონთმეტყველ სკაფტისთან, რათა მისგან შეეტყოთ მართებული იყო თუ არა ეს ამბავი. სკაფტიმ შემოუთვალა პასუხად, რასაკვირველია, მართებულია, მაგრამ ცოტა ვინმემ თუ იცისო ეგ. ეს სიტყვები ფლოსის და მის ხალხს გადასცეს. მაშინ ეიოლვმა სიგფუსის ვაჟებს გამოპკითხა სამსჯავროზე გამოძახებული სხვა მეზობლების ამბავი. მათ მიუგეს, ოთხი კაცი არასწორად არისო გამოძახებული.

— იმიტომ, რომ ისინი შინ დარჩნენ, ვინც უფრო ასლო ცხოვრობს მკელელობის ადგილთან.

ეიოლვმა თავისი მოწმეები დაასახელა და თქვა, რომ აცილებას აძლევდა ოთხივეს და აცილება მისცა მათ კანონის მისედვით. შემდეგ მან დანარჩენებს უთხრა:

— თქვენ ვალდებული ხართ ორივე მხარეს სამართლიანად მოექცეთ. ახლა თქვენ სამსჯავროს წინაშე უნდა გამოხვიდეთ, როდესაც გამოგიძახებენ, და დაასახელოთ თქვენი მოწმეები იმის თაობაზე, რომ თქვენ ვერ გამოიტანთ გადაწყვეტილებას, რადგან სუთნი სართ და წესით კი ცხრანი უნდა იყოთ. თუ თორპალმა აქედანაც მოასერხა თავის დაძვრენა, მაშასადამე, ყოველგვარი საქმის შეტრიალება შესძლებია.

ეტყობოდა, ფლოსისა და ეიოლვს ძალზე თავი მოპქონდათ. ატყდა დიდი სმაური, დავა ნიალის დაწვის თაობაზე ყველას წაგებულად მიაჩნდა და ბრალდებას დაცვა დაამჯობინეს.

ასგრიმმა მორდს უთხრა:

— ნაადრევი მოსდით ტრაბახი, ვიდრე თორპალისთვის არ მიგვიკითხავს. ნიალმა მითხრა, თორპალს ისე შევასწავლე კანონები, რომ საუკეთესო კანონთმცოდნე დადგება, და ამას საქმე გამოაჩენსო.

თორპალთან კაცი გაგზავნეს და შეუთვალეს, რაც მოსდა სამსჯავროზე, ოუ როგორ მოპქონდათ თავი ფლოსისა და ეიოლვს და რომ სალსის აზრით მორდის საქმე წაგებული იყო.

— კეთილი, — თქვა თორპალმა, — ვერც მანდედან ნასავენ დიდ პატივს. გასწი და უთხარი მორდს, დაასახელოს მოწმეები და ფიცით დაადასტუროს, რომ მეზობელთა უმრავლესობა მართებულად არის გამოძახებული. მოწმეებს სამსჯავროში მიაცემინოს ჩვენება და ამით ისევ ფესზე წამოაყენებს საქმეს. თუმცა სამი მარკა ვერცსლი კი უნდა გადაიხადოს ჯარიმად თითო კაცზე, მაგრამ ამაზე დავის დაწყება ამ თინგზე არ შეიძლება.

მაცნე უკან დაბრუნდა და სიტყვა-სიტყვით გაიმეორა ყველაფერი, რაც თორპალმა დააბარა. მორდი სამსჯავროს წინაშე გამოვიდა, თავისი მოწმეები დაასახელა და ფიცით დაადასტურა, რომ მეზობელთა უმრავლესობა მართებულად იყო გამოძახებული. მან თქვა, რომ კვლავ ფესზე დააყენა საქმე, და დააყოლა:

— ისე რომ, ჩვენს მტრებს ურჩევნიათ სხვა რამით იტრაბახონ, ვიდრე იმით, თითქოს ჩვენ აქ რამე შეგვშლოდეს.

ატყდა ღრიანცელი და ყველა იძახდა, მორდი კარგად უძღვება საქმეს და ფლოსი და მისი ხალხი კი ხრიკებსა და ხიმანკლობას უნდებიანო. ფლოსიმ ეიოლვს ჰკითხა, სწორი იყო თუ არა მოწინააღმდეგე, მაგრამ ეიოლვმა მიუგო, არ ვიცი, და, ეგ მარტო კანონთმეტყველს ეცოდინებაო. მაშინ თორკელ გეიტირის ძე მათი სახელით კანონთმეტყველთან გაემართა, უამბო, რაც მოხდა, და ჰკითხა, მართებული იყო თუ არა, რაც მორდმა ილაპარაკა.

სკაფტიმ მიუგო:

— ახლა უფრო ბევრი ყოფილა დიდი კანონთმცოდნენი, ვიდრე მე მეგონა. იმას კი გეტყვი, რომ იგი ყოველმხრივ მართალია და ვერც საწინააღმდეგოს ეტყვით რასმე. თუმცა ვფიქრობდი, რომ მარტო მე ვიცოდი ეგ წესი ამჟამად, როდესაც ნიალი ცოცხალი აღარ არის, იმიტომ, რომ მარტო მისთვის იყო ცნობილი ეგ წესი.

თორკელი ფლოსისთან და ეიოლვთან დაბრუნდა და თქვა, ასეთი კანონი არსებობსო.

მორდ ვალგარდის ძე სამსჯავროს წინაშე გამოვიდა და თავისი მოწმეები დაასახელა.

— მე თქვენ მოწმეებად გასახელებთ და მოვითხოვ, რომ მეზობლებმა, რომლებიც მე აქ ფლოსი თორდის ძის წინააღმდეგ დავაძ.ა მონაწილეობისათვის გამოვიძახე, გამოიტანონ გადაწყვეტილება და ან გაამტყუნონ ან გაამართლონ იგი. მე მოვითხოვ ამას კანონის მისედვით სამსჯავროში ისე, რომ ყველა მსაჯულს ეყურება.

მორდის მეზობლები გამოვიდნენ სამსჯავროს წინაშე. ერთ-ერთმა მათგანმა წარმოთქვა გადაწყვეტილება და დანარჩენებმა დაუდასტურეს. მან ასე თქვა:

— მორდ ვალგარდის ძემ გამოგვიძახა ცხრა მეზობელს, მაგრამ ახლა აქ ხუთნიღა ვართ, რადგან ოთხს აცილება მისცეს. ამ ოთხი კაცის წინააღმდეგ, რომლებსაც ჩვენთან ერთად გადაწყვეტილება უნდა გამოეტანათ, ჩვენებაც მისცეს და ფიციანაც დაადასტურეს. ახლა ჩვენ იმისათვის მოგვისმეს, რომ გადავწყვიტოთ უკანონოდ პირველი დაესხა თავს თუ არა ფლოსი თორდის ძე პელგი ნიალის ძეს იმ ადგილზე, სადაც ფლოსი თორდის ძემ პელგი ნიალის ძეს მიაყენა სხეულისა თუ ძვლის ღრმა ჭრილობა, რომელიც სასიკვდილო გამოდგა და რომლისგანაც პელგი გარდაიცვალა. მან ჩვენგან მოითხოვა, რომ ვთქვათ ყველაფერი, რასაც გვავალდებულებს კანონი, რისი მოთხოვნაც შეუძლია მას სამსჯავროზე და რაც ამ დავას ეხება. მან ეს კანონის მიხედვით მოითხოვა. მან ეს მოითხოვა ისე, რომ ყველას ესმოდა. მან ეს მოითხოვა თორგეირ თორირის ძის მიერ მისთვის გადაბარებული საქმის მიხედვით. ჩვენ ყველამ ფიცი დავდეთ და გამოვიტანეთ გადაწყვეტილება ერთსულოვნად ფლოსის წინააღმდეგ და ვაცხადებთ, რომ იგი მტყუანია იმაში, რაშიც ბრალს სდებენ. ჩვენ გადაწყვეტილება გამოგვაქვს აღმოსავლეთ მეოთხედის სამსჯავროში იონის წინაშე, როგორც ეს ჩვენგან მორდმა მოითხოვა. ასეთი გახლავთ ჩვენი გადაწყვეტილება, — თქვეს მათ.

შემდეგ მათ ერთსელ კიდევ წარმოთქვეს თავიანთი გადაწყვეტილება, მაგრამ ჯერ დაჭრა ახსენეს და მერე თავდასხმა, დანარჩენი კი სიტყვა-სიტყვით გაიმეორეს, როგორც ადრე ითქვა. მათ გადაწყ-

ვეტილება გამოიტანეს ფლოსის წინააღმდეგ და დამნაშავედ ცნეს იგი.

მორდ ვალგარდის ძე სამსჯავროს წინაშე გამოვიდა და თავისი მოწმეები დაასახელა, რათა მეზობლებს, რომლებიც მან ფლოსი თორდის ძის წინააღმდეგ დავაში მონაწილეობისათვის გამოიძახა, გამოეტანათ გადაწყვეტილება და დამნაშავედ ეცნოთ იგი. მან ეს მოწმეები დაასახელა თავისთვისაც და იმათთვისაც, ვისაც ეს დამოწმება დასჭირდებოდა ან გამოადგებოდა.

მორდმა კვლავ დაასახელა თავისი მოწმეები.

— მე თქვენ იმის მოწმეებად გასახელებთ, რომ წინადადებას ვაძლევ ფლოსი თორდის ძეს ან იმ კაცს, რომელსაც მან კანონის მიხედვით გადააბარა თავისი საქმის დაცვა, ჩამოაყალიბოს თავისი მოსაზრებანი იმ ბრალდების წინააღმდეგ, რომელიც მე წავუყენე, რადგან ყველა ზომა მიღებულია, რასაც კანონი მოითხოვს საქმის წარმოებისას. ყველა მოწმემ ჩვენება მისცა, მეზობლებმა გადაწყვეტილება გამოიტანეს, დასახელებულია ამ გადაწყვეტილებისა და ყოველივე იმის მოწმეები, რაც სამსჯავროზე ითქვა. და თუ მათ დაცვას აღმოაჩნდება ისეთი რამ, რაც მე დავის წარმოებაში გამომადგება, უნდა შემეძლოს მისი გამოყენება საქმეში. მე წინადადებას ვიძლევი კანონის მიხედვით სამსჯავროზე ისე, რომ მსაჯულთ ეყურებათ.

— გუნებაში მეცინება, ეიოლვ, — თქვა ფლოსიმ, — როდესაც ვფიქრობ, თუ როგორ შეეცვლებათ სახეები, შენ რომ შენს მოსაზრებებს გადმოულაგებ.

143

ეიოლვ ბალვერკის ძე სამსჯავროს წინაშე გამოვიდა და თავისი მოწმეები დაასახელა.

— მე თქვენ მოწმეებად გასახელებთ და ბრალდებას უარვყოფ იმის გამო, რომ თქვენ დაობთ აღმოსავლეთ მეოთხედის სამსჯავროში, ფლოსიმ კი განაცხადა, რომ ასკელ გოდის გოდორდში შედის. ახლა აქ არის ორივე მოწმე, რომლებიც ამას შეესწრნენ და დაადასტურებენ, თუ როგორ გადასცა ფლოსიმ თავისი გოდორდი თავის ძმას, თორგეირს და შემდეგ კი განაცხადა, რომ ასკელის გო-

დორდში შედის. მე ამ მოწმეებს ვასახელებ ჩემთვის და იმათთვის, ვისთვისაც ეს დამოწშება საჭირო იქნება.

ეიოლვმა კვლავ დაასახელა თავისი მოწმეები.

— მე თქვენ იმის მოწმეებად გასახელებთ, — თქვა მან, — რომ წინადადებას ვაძლევ მორდს, რომელიც დავას უძღვება, ან მთავარ მომჩივანს, მოისმინონ ჩემი ფიცი და ჩემი მოსაზრებანი ბრალდების წინააღმდეგ, რომლებსაც მე წამოვაყენებ, და ის საბუთებიც, რომლებსაც მე გამოვიყენებ. ამ წინადადებას ვიძლევი კანონის მიხედვით სამსჯავროზე ისე, რომ მსაჯულთ ეყურებათ.

ეიოლვმა კვლავ დაასახელა მოწმეები.

— მე თქვენ იმის მოწმეებად გასახელებთ, რომ ფიცს ვდებ წიგნზე, როგორც კანონი მოითხოვს, და ვამბობ ღვთის წინაშე, რომ დაცვას გავუძღვები სიმართლით, წესითა და რიგით და შევასრულებ ყველაფერს, რის შესრულებასაც ამ თინგზე კანონი მოითხოვს ჩემგან.

ეიოლვმა თქვა:

— მე მოწმეებად ვასახელებ ამ ორ კაცს და კანონიერად ვამტკიცებ, რომ ეს დავა წამოწყებულია არა იმ მეოთხედის სამსჯავროში, სადაც იგი წესით უნდა დაწყებულიყო. ამიტომ ამ დავას უსაფუძვლოდ ვაცხადებ. მე ჩემს საწინააღმდეგო მოსაზრებას ვაყენებ აღმოსავლეთ მეოთხედის სამსჯავროში.

ამის შემდეგ მან მოწმეებს სამსჯავროსათვის მიაცემინა ყველა ჩვენება, რომლებიც დავას ეხებოდა. შემდეგ მან დაასახელა მოწმეები დაცვის ყველა საბუთისა, რომლებიც გამოყენებულ იქნა.

ეიოლვმა თავისი მოწმეები დაასახელა.

— მე თქვენ იმის მოწმეებად გასახელებთ, რომ მე მსაჯულთ ვუკრძალავ მორდის დავის გარჩევას, რადგან ახლა სამსჯავროში შემოსულია კანონით საწინააღმდეგო საბუთი. მე ვკრძალავ ამას კანონიერი, უდაო, სრული და უტყუარი აკრძალვით, როგორც მე მმართებს აკრძალვა სამსჯავროს წინაშე ალთინგის მიერ დადგენილი წესითა და საყოველთაო-სახალხო კანონების მიხედვით.

ამის შემდეგ მან სამსჯავროს წინადადება მისცა, გამოეტანა გადაწყვეტილება მისი მოსაზრების თაობაზე.

ასგრიმმა და მისმა ხალხმა წამოიწყეს დავა ნიალის განზრახ დაწვის თაობაზე და ეს საქმე თავისი გზით წარიმართა.

მაშინ ასგრიმმა და მისმა სალსმა კაცი გაუგზავნეს თორპალს და შეუთვალეს, თუ რა მძიმე დღე დაადგათ.

თორპალმა მიუგო:

— შორს ვიყავი და ეგ საქმე არ მოხდებოდა, იქ რომ ვყოფილიყავ. მესმის, რაც უდევთ გუნებაში. მათ უნდათ მეხუთე სამსჯავროში გამოგიძახონ დავის უკანონოდ წარმოებისათვის. ალბათ ნიალის დაწვის გამო დავის ჩაშლაც სწადიათ, რადგან ახლა ეგენი აღარაფერს აღარ მოერიდებიან. სასწრაფოდ დაბრუნდი უკან და უთხარი, მორდმა ფლოსიცა და ეიოლვიც სამსჯავროში გამოიხმოს იმის თაობაზე, რომ მათ საქმეში ქრთამი დახარჯეს და მოითხოვოს მათი დროებითი განდევნა. მორდმა ისინი სამსჯავროში უნდა გამოიხმოს იმის გამოც, რომ მათ მოწმეებს მიაცემინეს ისეთი ჩვენებები, რომლებსაც დავასთან საერთო არა აქვთ რა და ამით სამსჯავროს ღირსება შელახეს. გადაეცი, რასაც გეუბნები, რომ თუ ერთ ადამიანს ორჯერ მიუსაჯეს განდევნა, ეს უკვე კანონგარეშე გამოცხადებას უდრის. უნდა ეცადოთ პირველებმა თქვენ შეიტანოთ საჩივარი, რომ დაასწროთ და ჯერ თქვენი საჩივარი განიხილონ.

მაცნე წამოვიდა და მორდსა და ასგრიმს გადასცა თორპალის დანაბარები. მაშინ ისინი კანონის კლდისკენ გაემართნენ. მორდ ვალგარდის ძემ თავისი მოწმეები დაასახელა.

— მე თქვენ მოწმეებად გასახელებთ და სამსჯავროში ვუხმობ ფლოსი თორდის ძეს იმის გამო, რომ მან თინგზე ქრთამი მისცა ეიოლვ ბალვერკის ძეს დახმარებისთვის. მე ვაცხადებ, რომ ამისათვის მას უნდა მიესაჯოს განდევნა და მხოლოდ მაშინ მიეცეს უფლება ქვეყნიდან გასვლისა, თუ იგი მსაჯულთ, რომლებიც მას ქონებას ჩამოართმევენ, ერთ მარკა ვერცხლს გადაუხდის, თუ არადა, კანონგარეშე იქნება გამოცხადებული. მე ვაცხადებ, რომ მას უნდა ჩამოერთვას მთელი ქონება და ნახევარი გადმომეცეს მე, მეორე ნახევარი კი მისი მეოთხედის იმ მცხოვრებლებს, რომლებსაც უფლება აქვთ კანონგარეშე გამოცხადებულის ქონებაზე. მე მას ვიძახებ მეხუთე სამსჯავროში, სადაც კანონის მიხედვით ეს დავა უნდა გაირჩეს. მე თხოვნით მივმართავ სამსჯავროს განიხილოს ეს დავა და>

მოპასუხეს განდევნა მიუსაჯოს. მე მივმართავ სამსჯავროს კანონის კლდიდან ყველას გასაგონად.

ასევე დასდო მან ბრალი ეიოლვ ბალვერკის ძეს იმაში, რომ მან ქრთამი მიიღო. ამ ბრალდებით მან მეხუთე სამსჯავროს მიმართა. მეორეჯერ მან ფლოსისა და ეიოლვს ბრალი დასდო იმაში, რომ მათ სამსჯავროს წარუდგინეს ისეთი საბუთები, რომლებსაც კანონის მისედვით საქმესთან არაფერი პქონდათ საერთო და, ამრიგად, დამნაშავენი აღმოჩნდნენ სამსჯავროს ღირსების შელახვაში. მან განაცხადა, რომ ამისათვის მათ განდევნა უნდა მიესაჯოთ. ამის შემდეგ მათ ლაგრეტას მიაშურეს, სადაც ის-ის იყო მეხუთე სამსჯავრო შეიკრიბა.

როდესაც ასგრიმი და მორდი წავიდნენ, მსაჯულნი ვეღარ შეთანხმდნენ, რა განაჩენი გამოეტანათ, რადგან ზოგს ფლოსის სასარგებლოდ უნდოდა გადაეწყვიტა საქმე, ზოგს კი მორდისა და ასგრიმის სასარგებლოდ. მაშინ ფლოსიმ და ეიოლვმა საეჭვოდ მიიჩნიეს მსაჯულთა მსჯელობის სისწორე. ისინი იქვე დარჩნენ, ვიდრე სამსჯავროში გამოძახებას მოუნდებოდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ფლოსისა და ეიოლვს უთხრეს, კანონის კლდიდან მეხუთე სამსჯავროში გიბარებენ ორი საქმის გამო თითოეულ თქვენგანსო. ეიოლვმა თქვა:

— უხეიროდ მოვიქეცით, აქ რომ დავრჩით, რადგან სამსჯავროში გამოძახება დაგვასწრეს. ეს სულ თორპალის ცბიერებაა, რადგან მაგას კაცი ვერ აჯობებს ჭკუით. ახლა მათ უფლება აქვთ პირველებმა აღძრან საქმე სამსჯავროში, და მაგათაც სწორედ ეგ უნდოდათ. ახლა კი მაინც წავიდეთ კანონის კლდესთან და საქმე აღვძრათ, თუნდაც აქედან არაფერს არ გამოველოდეთ.

ისინი კანონის კლდისკენ გაემართნენ და ეიოლვმა ისინი სამსჯავროში გამოიძახა სამსჯავროს ღირსების შელახვისათვის. ამის შემდეგ მათ მეხუთე სამსჯავროს მიაშურეს. როდესაც მორდი და ასგრიმი მეხუთე სამსჯავროში გამოცხადდნენ, მორდმა თავისი მოწმეები დაასახელა და წინადადება შეიტანა მოესმინათ მისი ფიცი, მისი გამოსვლა საქმის თაობაზე და ყველა საბუთი, რომელთა გამოყენებასაც იგი აპირებდა ფლოსისა და ეიოლვის წინააღმდეგ.

მან ეს წინადადება შეიტანა სამსჯავროში, როგორც ამას კანონი მოითხოვდა ისე, რომ ყველა მსაჯულს ეყურებოდა. მეხუთე სამს-

ჯავროში მოწმეებს უნდა დაედასტურებინათ ფიცი და თვითონაც ფიცი დაედოთ. მორდმა თავისი მოწმეები დაასახელა.

— მე თქვენ მოწმეებად გასახელებთ, — თქვა მან, — და ფიცს ვდებ მეხუთე სამსჯავროს წინაშე, და აგრემც ღმერთი შემეწევა სააქაოსაც და საიქიოსაც, რომ ჩემს საქმეს გავუძღვები სიმართლით, წესითა და რიგით, როგორც კანონი მოითხოვს, და რომ ფლოსი დამნაშავედ მიმაჩნია იმაში, რაშიც ბრალი ედება და დამტკიცდება კიდეც, და არც ქრთამი გამიღია რამ ამ სამსჯავროში ჩემი დავის გასატანად და არც გავიღებ. არც მიმიღია ქრთამი და არც მივიღებ არც მართებული, არც უმართებულო მიზნებისათვის.

მორდის ფიცის ორივე მოწმე გამოვიდა სამსჯავროს წინაშე. მათ თავიანთი მოწმეები დაასახელეს.

— ჩვენ თქვენ იმის მოწმეებად გასახელებთ, რომ ფიცს ვდებთ წიგნზე, როგორც კანონი მოითხოვს, და აგრემც ღმერთი შეგვეწევა სააქაოსაც და საიქიოსაც, და ჩვენს პატიოსნებასაც ვფიცავთ, რომ მორდი თავის საქმეს გაუძღვება სიმართლით, წესითა და რიგით, როგორც კანონი მოითხოვს და არც ქრთამი გაუღია რამ ამ სამსჯავროში თავისი დავის გასატანად და არც გაიღებს, არც მიუღია ქრთამი და არც მიიღებს არც მართებული, არც უმართებულო მიზნებისათვის.

მორდმა მანამდე თავისი დავის თაობაზე სამსჯავროში გამოიძახა თინგის ველთან ახლოს მცხოვრები ცხრა მეზობელი. შემდეგ მორდმა თავისი მოწმეები დაასახელა და ილაპარაკა ოთხივე საქმეზე, რომლებიც მან ფლოსის და ეიოლვის წინააღმდეგ აღძრა. თავის საქმეზე მან იმავე სიტყვებით ილაპარაკა, რომლებითაც მან დავა გამოაცხადა. მეხუთე სამსჯავროში მან განაცხადა, რომ თითოეულ ამ საქმეში იგი განდევნას მოითხოვდა, როგორც მოითხოვდა მაშინ, როდესაც ისინი აღძრა. მორდმა თავისი მოწმეები დაასახელა და ცხრა მეზობელს შესთავაზა დამსხდარიყვნენ მდინარის დასავლეთ ნაპირზე. მორდმა თავისი მოწმეები დაასახელა და წინადადება მისცა ფლოსისა და ეიოლვს, აცილება მიეცათ იმ მეზობელთათვის, რომლებიც უფლებამოსილად არ მიაჩნდათ. ისინი მივიდნენ, რათა აცილება მიეცათ იმ მეზობელთათვის, რომლებსაც უფლებამოსილად არ მიიჩნევდნენ, მაგრამ ხელი ვერავის დაადეს და ხასიათწამხდარნი გამობრუნდნენ. მორდმა თავისი მოწმეები დაასახელა და

სთხოვა ამ ცხრა მეზობელს, რომლებიც მან გამოიძახა, გამოეტანათ გამამართლებელი ან გამამტყუნებელი გადაწყვეტილება. მაშინ მორდის მეზობლები გამოვიდნენ სამსჯავროს წინაშე და ერთ-ერთმა მათგანმა წარმოთქვა გადაწყვეტილება, დანარჩენებმა კი დაუდასტურეს. ყველა მათგანმა ფიცი მისცა მესუთე სამსჯავროს. მათ გადაწყვეტილება გამოიტანეს ფლოსის წინააღმდეგ და დამნაშავედ ცნეს იგი. მათ თავიანთი გადაწყვეტილება მესუთე სამსჯავროში იმ კაცს მოასსენეს, რომელსაც მორდმა თავისი საქმე გააცნო. შემდეგ მათ თქვეს ყველაფერი, რის თქმაც ევალებოდათ ყველა საქმეში, და ყველაფერი კანონიერად შესრულდა.

ეიოლვ ბალვერკის ძე და ფლოსი თავის ხალხიანად ცდილობდნენ რაიმე ნაკლი მოენახათ საქმის წარმოებისათვის, მაგრამ ვერაფერს მიაგნეს. მორდმა თავისი მოწმეები დაასახელა.

— მე თქვენ იმის მოწმეებად გასახელებთ, რომ ამ ცხრა მეზობელმა, რომლებიც მე ფლოსი თორდის ძისა და ეიოლვ ბალვერკის ძის წინააღმდეგ დავაზე გამოვიძახე, გამოიტანოს გადაწყვეტილება და დამნაშავედ ცნოს ისინი.

და მან მოწმეები დაასახელა.

მორდმა კვლავ დაასახელა თავისი მოწმეები.

— მე თქვენ იმის მოწმეებად გასასელებთ, — თქვა მან, — რომ წინადადებას ვაძლევ ფლოსი თორდის ძეს ან იმ კაცს, რომელსაც მან კანონის მიხედვით გადააბარა თავისი საქმის დაცვა, ჩამოაყალიბოს თავისი მოსაზრებანი, თუ რამე საწინააღმდეგო აქვს, რადგან ყველა ზომა მიღებულია, რასაც საქმე მოითხოვს: მოთხოვნილ იქნა ფიცის მოსმენა, ფიცი დადებულია, წაყენებულია ბრალდება, შიცემულია ყველა ჩვენება, მეზობლებს წინადადება მიეცათ დაეკავებინათ ადგილები, მოპასუხეთ შესთავაზეს აცილება მიეცათ იმ მეზობელთათვის, რომლებიც უფლებამოსილად არ მიაჩნდათ, მეზობლებმა გამოიტანეს გადაწყვეტილება და დაასახელეს ამ გადაწყვეტილების მოწმეები.

მან დაასასელა ყველაფრის მოწმეები, რაც კი მოხსენებული იყო სამსჯავროზე.

მაშინ წამოდგა ის, ვისაც საქმე მოასსენეს, და შეაჯამა, რაც ითქვა. ჯერ გაიმეორა, თუ როგორ შესთავაზა მორდმა მისი ფიცის მოსმენა, მთელი საქმის აღწერა და ყველა საბუთი. შემდეგ მან გაი-

მეორა, თუ როგორ დასდეს ფიცი მორდმა და მისი ფიცის მოწმეებმა. ამის შემდეგ მან გაიმეორა, თუ როგორ ჩამოაყალიბა მორდმა ბრალდება, და თქვა, რომ ზუსტად გაიმეორა სიტყვები, რომლებითაც ილაპარაკა მორდმა, როდესაც მან თავისი ბრალდება წამოაყენა და განაცხადა მის შესახებ.

— მან მოახსენა საქმე მეხუთე სამსჯავროს ისე, როგორც მაშინ, როდესაც განაცხადა მის შესახებ.

შემდეგ მან გაიმეორა სამსჯავროში გამოცხადების თაობაზე მიცემული ჩვენებები და სიტყვა სიტყვით გაიმეორა ყველაფერი, რაც მორდმა სამსჯავროში გამოძახებისას თქვა და რაც ამ გამოძახების მოწმეებმა თქვეს.

— და რომლებსაც წარმოვთქვამ მე, — დაუმატა მან, — შეჯამების დროს. მათ ჩვენება მისცეს მეხუთე სამსჯავროს იმავე სიტყვებით, რომლებიც მან წარმოთქვა სამსჯავროში გამოძახებისას.

ამის შემდეგ მან ახსენა, თუ როგორ შესთავაზა მეზობლებს, დაეკავებინათ თავიანთი ადგილები. შემდეგ თქვა, თუ როგორ მისცა წინადადება ფლოსის თუ იმ კაცს, რომელსაც ფლოსიმ კანონის მიხედვით გადააბარა თავისი საქმის დაცვა, აცილება მიეცათ იმ მეზობელთათვის, რომლებიც უფლებამოსილად არ მიაჩნდათ. შემდეგ მან გაიმეორა, თუ როგორ გამოვიდნენ მეზობლები სამსჯავროს წინაშე, გამოიტანეს გადაწყვეტილება და დამნაშავედ ცნეს ფლოსი. ცხრა მეზობელმა, დაუმატა მან, გამოიტანაო გადაწყვეტილება მეხუთე სამსჯავროს წინაშე. შემდეგ მან გაიმეორა, თუ როგორ დაასახელა მორდმა გადაწყვეტილების გამოტანის მოწმეები, შემდეგ კი გაიმეორა, თუ როგორ დაასახელა მორდმა ყველაფრის მოწმეები, რაც კი მოხსენიებული იყო სამსჯავროზე, და წინადადება მისცა მოპასუხეს გამოეთქვა, თუ საწინააღმდეგო პქონდა რამე.

მორდ ვალგარდის ძემ თავისი მოწმეები დაასახელა.

— მე თქვენ იმის მოწმეებად გასახელებთ, — თქვა მან, — რომ ვუკრძალავ ფლოსი თორდის ძეს ან სხვა კაცს, რომელსაც მან კანონის მიხედვით გადააბარა თავისი საქმის დაცვა, გამოთქვან საწინააღმდეგო მოსაზრება, რადგან ასლა ყველა ზომა მიღებულია, რასაც კანონი მოითხოვს, და შეჯამებულია ყველაფერი, რაც სამსჯავროზე ითქვა.

ამის შემდეგ შემაჯამებელმა ესეც გაიმეორა.

მორდმა თავისი მოწმეები დაასახელა და მსაჯულთ განაჩენის გამოტანა მოსთხოვა. მაშინ გიცურ თეთრმა უთხრა:

— ჯერ კიდევ ბევრი რამის გაკეთება გმართებს, მორდ, თორემ მსაჯულთა ოთხ თორმეტეულს არ შეუძლია საქმის განსჯა.

ფლოსიმ ეიოლვს პკითხა:

— ახლა რაღა ვქნათ?

მაშინ ეიოლვმა მიუგო:

— რამე უნდა ვიღონოთ. მაგრამ ჯერ დავიცადოთ, რადგან ვსედავ, საქმე სწორად ვერ მიპყავთ, რაკი მორდმა უკვე მოითხოვა განაჩენი. ახლა მაგათ მსაჯულთა შემადგენლობიდან ექვსი კაცის გამოყვანა მართებთ, მერე კი მოწმეთა თანდასწრებით ჩვენ უნდა შემოგვთავაზონ კიდევ ექვსი კაცის გამოყვანა. ჩვენ მაგას არ გავაკეთებთ. მაშინ თვითონვე მოუწევთ იმ მეორე ექვსეულის გამოყვანა და სწორედ მაშინ წააგებენ ჭკუას. თუ აგრე არ მოიქცევიან, მაშინ მთელ დავას საფუძველი გამოეცლება, რადგან დავის განსჯის უფლება მხოლოდ სამ თორმეტეულს გააჩნია.

ფლოსიმ თქვა:

— დიდი ჭკვიანი კაცი ხარ, ეიოლვ; შენთან ადვილად ვერავინ ვერაფერს გახდება.

მორდ ვალგარდის ძემ თავისი მოწმეები დაასახელა:

— მე თქვენ იმის მოწმეებად გასახელებთ, — თქვა მან, — რომ ეს ექვსი კაცი გამომყავს მსაჯულთა შემადგენლობიდან, — და ყველა მათგანი სახელით მოისსენია, — მე თქვენ გიკრძალავთ მსჯავრში მონაწილეობას. მე თქვენ გამომყავხართ ალთინგის მიერ დადგენილი წესითა და საყოველთაო-სახალხო კანონის მიხედვით.

ამის შემდეგ მან მოწმეთა თანდასწრებით ფლოსისა და ეიოლვს შესთავაზა მსაჯულთა შემადგენლობიდან გამოეყვანა კიდევ ექვსი კაცი. მაგრამ ფლოსიმ და მისმა ხალხმა არ ისურვეს ამის გაკეთება. მაშინ მორდმა მსაჯულთ განაჩენის გამოტანა მოსთხოვა. როდესაც განაჩენი გამოიტანეს, ეიოლვმა თავისი მოწმეები დაასახელა და უკანონოდ გამოაცხადა განაჩენი და ყველაფერი, რაც მოწინააღმდეგეებმა გააკეთეს, რადგან საქმე განსაჯა მსაჯულთა სამნახევარმა თორმეტეულმა, განკითხვის უფლება კი სამ თორმეტეულს ჰქონდა.

— ახლა ჩვენ წამოვიწყებთ დავას მეხუთე სამსჯავროში და მაგათ დავასჯევინებთ.

გიცურ თეთრმა მორდს უთხრა:

— ძალზე დიდი მარცხი მოგვიდა მაგ შეცდომის დაშვებით და ასლა დიდ უბედურებას უნდა ველოდოთ. აწ რა გზას დავადგეთ, ასგრიმ, ჩემო მოყვარეო?

ასგრიმმა თქვა:

— გავუგზავნოთ კაცი თორპალს, ჩემს შვილს, და ვნახოთ, რას გვირჩევს.

145

მაშინ სნორი გოდიმ შეიტყო, როგორც დატრიალდა საქმე. მან თავისი ხალხი ალმანაგიას ხევის ქვემოთ ჩააყენა ხევსა და პლადბუდის სადგომს შორის და წინასწარ გააფრთხილა ისინი, როგორც უნდა მოქცეულიყვნენ. მაცნე თორპალთან მივიდა და უამბო, რაც მოსდა — რომ მორდ ვალგარდის ძე და ყველა მომხრე უნდა დასჯილიყვნენ და საქმეც მთლიანად წაგებული იყო. თორპალმა რომ ეს გაიგო, ისეთი თავზარი დაეცა, რომ დიდხანს ხმას ვერ იღებდა. იგი ლოგინიდან წამოსტა, ორივე ხელით სკარპედინის ნაჩუქარ შუბს წაეტანა და ფეხში ჩაირჭო. როდესაც წყლულიდან შუბი ამოიძრო, ზედ სორცის ნაფლეთები და მუწუკის ძირიც ამოაყოლა, სისხლმა და ჩირქმა გადმოხეთქა და ნიაღვარივით წამოვიდა იატაკზე. მაშინ იგი სადგომიდან გამოვიდა და ფეხაუთრევლად, გამართულად ისე სწრაფად გაალაჯა, რომ მაცნე ძლივსღა მისდევდა უკან. თორპალმა იარა, ვიდრე მესუთე სამსჯავროს არ მიაღწია. აქ იგი გადაეყარა გრიმ წითურს, ფლოსის ნათესავს, და როგორც კი ერთმანეთს შეხვდნენ, თორპალმა შუბი ჰკრა ისეთი ძალით, რომ ფარი გაუპო, გრიმი განგმირა და შუბის წვერი ბეჭებში გაახედა. თორპალმა იგი მკვდარი მოისროლა შუბიდან. კარი სალმუნდის ძემ ეს დაინახა და ასგრიმს უთხრა:

— აგერ, შენი შვილი, თორპალიც მოვიდა და მაშინვე ერთ კაცს მოუღო ბოლო. ჩვენთვის დიდი თავის მოჭრა იქნება, რომ მარტო მას აღმოაჩნდეს სიმხნე ნიალის დაწვისთვის შურის საძიებლად.

— ეგ არ მოხდება, — ეუბნება ასგრიმი, — ასლა ჩვენ მივესიოთ.

მთელმა ხალხმა ყვირილი ატეხა და გაისმა საბრძოლო შეძახილი. ფლოსი და მისი მომხრენი მათკენ შებრუნდნენ და ორივე მხარემ ერთმანეთზე გაიწია. კარი სალმუნდის ძე იქით გაიჭრა, სადაც წინ არნი კოლის ძე და პალბიარნ ძლიერი იდგნენ. როგორც კი პალბიარნმა დაინახა კარი, მაშინვე მასვილი მოუქნია და უნდოდა ფესში მოერტყა, მაგრამ კარი ჰაერში ახტა და პალბიარნმა ააცდინა. კარი არნი კოლის ძეს ეცა, მასვილი მოუქნია და მხრის ძვალი, ლავიწი და მთელი მკერდი გადაუჩეხა. არნი იქვე დაეცა მკვდარი. შემდეგ კარიმ ჰალბიარნს შემოპკრა მასვილი, მაგრამ ფარს მოახვედრა და ფესის ცერი წაპკვეთა. პოლმსტეინმა კარის შუბი სტყორცნა, მაგრამ კარიმ იგი ჰაერში დაიჭირა, უკანვე ისროლა და ფლოსის ერთ მომხრეთაგანს მოუსწრაფა სიცოცხლე.

თორგეირ სკორარგეირი იქით გავარდა, სადაც პალბიარნ ძლიერი იმყოფებოდა. თორგეირმა მას ისე მძლავრად პკრა შუბი მარცხენა ხელით, რომ პალბიარნი წაიქცა, ძლივს წამოდგა ფეხზე და მაშინვე უკუიქცა. მაშინ თორგეირი თორვალდ კეთილ მქუხარეს ძეს გადააწყდა და დაპკრა ნაჯახი, რიმუგუგი, ერთ დროს სკარპედინის ნაქონები. თორვალდმა ფარი დაუხვედრა, მაგრამ თორგეირმა დასცხო და ბოლომდე გაუპო იგი, ნაჯახის წინა წვერით კი მკერდამდე უწია და თორვალდი მაშინვე ძირს დავარდა მკვდარი.

ასლა ის უნდა გიამბოთ, რომ ასგრიმ ელიდი-გრიმის ძე, მისი შვილი თორპალი, პიალტი სკეგის ძე და გიცურ თეთრი იქით გაცვივდნენ, სადაც წინ იდგნენ ფლოსი, სიგფუსის ვაჟები და ნიალის დაწვის სხვა მონაწილენი. აქ ცხარე ბრძოლა ატყდა. მოიერიშენი ისე უტევდნენ, რომ ფლოსის უკან დახევა მოუხდა.

გუდმუნდ მძლავრი, მორდ ვალგარდის ძე და თორგეირ სკორარგეირი იქით ეცნენ, სადაც იყვნენ ექსფიორდელნი, აღმოსავლეთ ფიორდების მკვიდრნი და რეიკიარდალელნი. აქაც ცხარე ბრძოლა ატყდა. კარი სალმუნდის ძე ბიარნი ბროდ-პელგის ძეს მივარდა. კარიმ შუბი აღმართა და ფარზე დასცა მას. ბიარნიმ ფარი წამსვე განზე გასწია, რომ შუბს არ გაეპო იგი. მან კარის მახვილი მოუქნია, თან ფეხში უმიზნებდა, მაგრამ კარიმ ფეხი უკან გასწია, ქუსლზე შემოტრიალდა და ბიარნიმ მახვილი ააცდინა. კარიმ მაშინვე მახვილი დაპკრა. ამ დროს ვიღაცამ მოუსწრო და ბიარნის ფარი უფარა. კარიმ მას თავიდან ბოლომდე გაუპო ფარი, მახვილის

წვერით კი ბარძაყი ჩამოაფატრა ტერფამდე. ის კაცი მაშინვე წაიქცა და მთელი ცხოვრების მანძილზე ხეიბარი დარჩა. კარიმ ორივე ხელით შუბი ჩაბღუჯა, ბიარნის ეცა და დაპკრა. ბიარნიმ სხვა ვეღარაფერი მოასერსა და გვერდზე დაეცა დარტყმის ასაცილებლად. როგორც კი ფესზე დადგა, მაშინვე უკუიქცა.

თორგეირ სკორარგეირი ჰოლმსტეინ ბერსი ბრძენის ძესა და თორკელ გეიტირის ძეს ეკვეთა. საქმე იმით გათავდა, რომ ჰოლმსტეინმა თავისიანებით უკან დაიხია. გუდმუნდ მძლავრის მებრძოლებმა ყიჟინა დასცეს მათ. თორვარდი, ლიოსავატნელი ტიარვის ძე, მძიმედ დაიჭრა. შუბი მას მკლავში მოხვდა და ამბობდნენ, ჰალდორ გუდმუნდ მძლავრის ძემ ესროლაო, მაგრამ ამ ჭრილობისათვის მას თავის დღეში არ მიუღია საზღაური. დიდი ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. თუმცა აქ მოთხრობილია ზოგიერთი ამბავი, სინამდვილეში უფრო ბევრი რამ მოხდა, მაგრამ ამაზე თქმულება არ შემონასულა.

ფლოსიმ თავის ხალხს უთხრა, გზა ალმანაგიას ხევისკენ გაეკაფათ და იქ შეეფარებინათ თავი, თუ მტერი დაჯაბნიდა, რადგან იქ მხოლოდ ერთი მხრიდან შეიძლებოდა იერიშის მიტანა. სიდელი ჰალისა და მისი შვილის ლიოტის რაზმმა ვეღარ გაუძლო ‹მამაშვილის, ასგრიმისა და თორპალის შემოტევას, უკან დაიხია და მდინარე ექსარას აღმოსავლეთით დაეშვა. მაშინ ჰალმა ლიოტს უთხრა:

— ძალზე საეალალო მდგომარეობა იქმნება, როდესაც მთელი თინგი იბრძვის. უნდა დახმარება ვითხოვოთ წაკიდებულთა გასაშველებლად, თორემ მერე თვითონ ჩვენ ვეღარ ავუვალთ საყვედურებს. დამიცადე ხიდის თავთან, მე კი სადგომებს მივაკითხავ დახმარების სათხოვნელად.

ლიოტმა თქვა:

— თუ დავინახე, რომ ფლოსის ჩვენი დახმარება სჭირდება, მაშინვე მათკენ გავეშურები.

— ისე მოიქეცი, როგორც გსურდეს, — უთხრა ჰალმა, — მაგრამ ამას კი გთხოვ, რომ მე დამელოდო.

ამ დროს ფლოსი და მისი ხალხი ბრძოლის ველს განერიდნენ და მდინარე ექსარას დასავლეთ ნაპირისკენ გაიქცნენ, ასგრიმი და გიცურ თეთრი კი თავისიანებით უკან დაედევნენ. ფლოსი და მის-

ხალხი აუყენენ გზას მდინარესა და ვირკისბუდის სადგომს შუ. სნორი გოდის აქ ისე მჭიდროდ ჩაეყენებინა თავისი ხალხი, რომ გავლა აღარ შეიძლებოდა. სნორი გოდიმ ფლოსის დაუძახა:

— რა გამალებული მორბიხართ? განა ვინ მოგდევთ?

ფლოსიმ მიუგო:

— შენ სომ მაგას იმიტომ არ გვეკითხები, რომ არ იცი. განა შენი წყალობით არ არის, რომ თავი ვერ შეგვიფარებია ალმანაგიას ხევისათვის?

— ეგ ჩემი მიზეზით არ გახლავს, — ეუბნება სნორი, — მაგრამ ვიცი, ვისაც მიუძღვის ბრალი და, თუ გინდა, გეტყვი კიდეც: თორვალდ წვერხუჭუჭასა და კოლს.

აღარც ერთი არ იყო ცოცხალი. ფლოსის მომხრეთაგან სწორედ ისინი იყვნენ ყველაზე უღირსნი.

ასლა თავისიანებს მიუბრუნდა სნორი გოდი:

— აბა, ახლა კი დასცხეთ და დაუშინეთ, და გარეკეთ აქედან. ეგენი დიდხანს ვერ გაუმკლავდებიან, თუ ისინი ქვემოდან მოსდგნენ. უკან კი ნუ გამოედევნებით, დავ, თვითონვე შეასკდნენ ერთმანეთს.

სკაფტი თოროდის ძეს ჰყავდა შვილი, თორსტეინ ღრენია, როგორც ზემოთ ეწერა. იგი თავისი სიმამრის გუდმუნდ მძლავრის მხარეზე იბრძოდა. ეს რომ სკაფტიმ გაიგო, მაშინვე სნორი გოდის სადგომისაკენ გაემართა, რომ ეთხოვა მისთვის, წაპყოლოდა მებრძოლთა გასაშველებლად. მაგრამ სადგომის კარს რომ მიუახლოვდა, სწორედ მაშინ გასურდა ბრძოლა. ასგრიმი და მისი ხალხი უკვე ქვემოდან უტევდნენ. მაშინ თორპალმა თავის მამას, ასგრიმს უთხრა:

— აგერ, სკაფტი თოროდის ძე, მამაჩემო.

ასგრიმმა თქვა:

— ვხედავ, შვილო.

და შუბი სტყორცნა სკაფტის და იმ ადგილის ქვემოთ მოარტყა, სადაც წვივის კუნთები უმსხვილდებოდა. შუბმა მას ორივე ფესი გაუგმირა. სკაფტი დაეცა ფესებში შუბგაყრილი და წამოდგომას ველარ ახერხებდა. იქვე მდგომთ ისღა მოახერხეს, რომ პირქვე წამსობილი ერთი სმლებით მოვაჭრის სადგომში შეათრიეს. ასგრიმი და მისი ხალხი ისე გაშმაგებით უტევდნენ, რომ ფლოსიმ და მისმა

ხალხმა სამხრეთისკენ დაიხიეს მდინარის გაყოლებით მადრუველირელთა სადგომებისაკენ. აქ ერთი სადგომის წინ იდგა კაცი, რომელსაც სალვი ერქვა. იგი დიდ ქვაბში ხორცს სარშავდა და ის იყო ქვაბიდან უნდა ამოეღო ერთი ნაჭერი. ამ დროს შესედა, რომ აღმოსავლეთ ფიორდების მხრიდან ხალხი მორბოდა და უკვე ახლოც იყვნენ. მაშინ მან თქვა:

— ნუთუ სულ ლაჩრები არიან ეს აღმოსავლეთფიორდელები, ასე რომ მორბიან? აგერ, თორკელ გეიტირის ძეც რომ მორბის! სულ ტყუილი უთქვამთ მასზე, ცარიელი გულიაო. ახლა კი ძაან დაწინაურებულა.

პალბიარნ ძლიერი იქვე იყო და თქვა:

— შენ ჩვენს ლაჩრობას არავინ გათქმევინებს.

ამ სიტყვებით სწვდა მას, ჰაერში ასწია და თავით მდუღარე ქვაბში გადაუძახა. სალვიმ მაშინვე თქვენი ჭირი წაიღო. მაგრამ ამ დროს პალბიარნს შეუტიეს და იმანაც გაქცევით უშველა თავს.

ფლოსიმ შუბი სტყორცნა ბრუნი ჰავლიდის ძეს, მუცელში მოარტყა და იქვე გაათავა. ბრუნი გუდმუნდ მძლავრის კაცი იყო. თორსტეინ პლენის ძემ ჭრილობიდან შუბი ამოგლიჯა, უკანვე სტყორცნა ფლოსის და ფეხში დაჭრა. ჭრილობა ღრმა იყო და ფლოსი დაეცა, მაგრამ წამსვე წამოხტა. მაშინ მათ ვატნსფიორდელთა სადგომებს მიაშურეს.

ლიოტი და ჰალი მთელი თავისი ხალხით მდინარის დასავლეთ ნაპირზე გადავიდნენ, და როდესაც ლავიან ველზე გავიდნენ, გუდმუნდ მძლავრის ხალხიდან ვიღაცამ მათკენ შუბი ისროლა, რომელიც ლიოტს შიგ საზარდულში მოხვდა. იგი წამსვე მკვდარი დაეცა ძირს და ვერავინ გაიგო, ვინ მოკლა იგი. ფლოსი და მისი ხალხი ახლა ზევით გაიქცნენ და ვატნსფიორდელთა სადგომებს გვერდი აუარეს. მაშინ თორგეირ სკორარგეირმა კარი სალმუნდის ძეს უთხრა:

— აგერ, ეიოლვ ბალვერკის ძე, თუ სამაჯურისთვის სამაგიეროს გადახდა გინდა.

— როგორ არ მინდა, — მიუგო კარიმ, გვერდით მდგომ კაცს შუბი გამოსტაცა და ეიოლვს სტყორცნა. შუბი შიგ საზარდულში მოხვდა და მეორე მხარეს გავიდა. ეიოლვი წამსვე მკვდარი დაეცა ძირს. ამასობაში ბრძოლა ცოტა დაცხრა. სნორი გოდიც მოვიდ-

თავისი ხალხით. სკაფტიც მასთან იყო და ისინი მაშინვე შუაში ჩაუვარდნენ მოჩსუბართ ისე, რომ ბრძოლა შეუძლებელი გახდა. ჰალიც ჩაერია და გაშველება დაუწყო. თინგის დამთავრებამდე ზავი გამოცხადდა. მაშინ მკვდრები შეაგროვეს. ეკლესიაში გადაასვენეს და დაჭრილებს ჭრილობები შეუხვიეს.

მეორე დღეს ხალხმა კანონის კლდეს მიაშურა. სიდელი ჰალი წამოდგა და ყურადღება ითხოვა. ყველა წამსვე დადუმდა. მან თქვა:

— მაგარი შეხლა-შემოხლა გვქონდა და ხალხიც ბევრი გაწყდა. მე კი მინდა დაგანახოთ, თუ რა თვინიერი კაცი ვარ. ეთხოვ ასგრიმსა და ყველას, ვინც ამ დავაში იყო გარეული, შემოგვთავაზონ დაზავების ისეთი პირობები, რაზედაც ორივე მხარე ყაბულს იქნება.

მან კიდევ ბევრი რამ ილაპარაკა მჭევრმეტყველურად.

კარიმ თქვა:

— ვისაც უნდა შერიგდეს, მე კი არავისთან შემრიგებელი არა ვარ, რადგან თქვენ ამ სალსის დასოცვას ნიალის დაწვას გაუთანაბრებთ და ჩვენ კი მაგის მომთმენნი არ გახლავართ.

იგივე თქვა თორგეირ სკორარგეირმაც. მაშინ წამოდგა სკაფტი თოროდის ძე და თქვა:

— ის გერჩივნა, კარი, შენს სიმამრსა და ცოლისძმებს არ გამოქცეოდი, ვიდრე ახლა შერიგებაზე უარს ამბობდე.

მაშინ კარიმ სამი ასეთი შაირი თქვა:

მაგას რად ამბობ, ან ვით მიბედავ,
თითქოს მე ვინმეს შევშინებოდე,
ავრე აუგად ხსენებისათვის
კაცი ხელს ხმალზე გაივლებს უმალ.
შენ კი, ლაჩარო წითურწვერავ, ხომ
თავად გარბოდი გამალებული
მიწურ სადგომში დასამალავად,
ოდეს მოგესმა მახვილთა ყღერა.

სკაფტისაც შიშით ძვრებოდა სული,
თავის ფარს უკან ეფარებოდა
მაშინ, როდესაც თავგამოდებით
ჩვენს დაზაევებას ცდილობდნენ სხვები.

კიდევ კარგი, რომ ვიღაც მონებმა
შეიბრალეს და მაწანწალების,
ჯამბაზთა სადგომს ამოაფარეს
მაგრად დამფრთხალი და შიშნაჭამი.

ზოკი აგდებით იხსენიებდა
ნიალის, გრიმის და ჰელგის დაწვას,
თუმც ნაადრევი მოსდით სიცილი
ვაუკაცისათვის შეუფერები.
მაგრამ ეშლებათ მათ ანგარიში
და ოდეს ალთინგს დრო დაუდგება
დასასრულისა, მაშინღა ენახოთ,
თუ კელავ ექნებათ სიცილის თავი.

ატყდა სმამაღალი სარსარი. სნორი გოდიმ ჩაიცინა და სმადაბლა ჩაილაპარაკა ისე, რომ ყველამ გაიგონა:

სკაფტის უყვარს გაშეელება,
ასგრიმმა კი შუბი დაკრა,
პოლმსტეინს არ სურს გაქცევა,
თორკელიც ვაგლასად იბრძვის.

ხალხმა ბევრი იცინა.

სიდელმა ჰალმა თქვა:

— ყველამ იცის, რა უბედურება დამატყდა თავს, როდესაც ჩემი შვილი ლიოტი მოკლეს. ბევრს მიაჩნია, რომ მისი საზღაური უფრო მეტი დაჯდება, ვიდრე ყველა დანარჩენისა, ვინც აქ თავი შეაკლა. მაგრამ რადგან მშვიდობის ჩამოგდება მწადია, აღარ მოვითხოვ ჩემი შვილის საზღაურს და ჩემს მოწინააღმდეგეთაც დავუფიცავ, რომ ერთგულად დავიცავ მშვიდობას. გთხოვ, სნორი გოდი, შენც და სხვა ღირსეულ პირთაც, საქმე ისე მოვაგვაროთ, რომ ჩვენ შორის შუღლი მოისპოს.

იგი დაჯდა. ყველამ სმამაღლა გამოთქვა მოწონება და მშვიდობის მოყვარულობაც დიდად შეუქებ. სნორი გოდი წამოდგა, დიდხანს და მჭევრმეტყველურად ილაპარაკა. მან ასგრიმს, გიცურსა და საქმის სხვა მოთავეთ სთხოვა შერიგებას დასთანხმებოდნენ. ასგრიმმა თქვა:

— ფლოსი რომ კარზე მომადგა, მაშინ გადავწყვიტე, რომ არა-

სოდეს შეეურიგდებოდი, მაგრამ ახლა კი, სნორი გოდი, მაგ სიტყვებისა და სხვა ჩვენი მეგობრების საათრით, თანასმა ვარ შერიგებაზე.

ოორლეიგ ყორანმა და თორგრიმ ვეებამაც თქვეს, რომ თანასმანი იქნებოდნენ შერიგებაზე და ყოველნაირად აგულიანებდნენ თავიანთ ძმას, თორგეირ სკორარგეირს, შესარიგებლად, მაგრამ მან უარი განაცხადა და უთხრა, კარის არასოდეს მივატოვებო.

მაშინ გიცურ თეთრმა თქვა:

— ასლა თვითონ ფლოსიმ გადაწყვიტოს, უღირს თუ არა ღიზავება, თუ ყველა არ შეურიგდა.

ფლოსიმ შერიგებაზე თანხმობა განაცხადა და,

— მე ის მირჩევნია, — დაუმატა მან, — რაც უფრო ცოტა მეყოლება მტრად ღირსეული სალსი.

ვუდმუნდ მძლავრმა თქვა:

— მე, ჩემი მხრივ, მინდა მშვიდობა შემოგთავაზოთ და საზღაურიც გადავისადოთ იმ მკვლელობისათვის, რაც აქ, თინგზე მოხდა, და არც ნიალის დაწვის ამბავს დავიეიწყებთ.

იგივე თქვეს გიცურ თეთრმა, პიალტიმ, ასგრიმმა და მორდ ვალგარდის ძემ.

შემდეგ შერიგება მოხდა. საქმე გადასაწყვეტად გადაეცა ოორმეტ მსაჯულს, რომელთაც საოავეში სნორი გოდი და სხვა დაფასებული ხალსი ედგა. ორივე მხარეს ჩადენილი მკვლელობა ერთმანეთს გაუთანაბრეს და იმათზე კი, რომლებიც მეტი გამოვიდა, საზღაური დაინიშნა. ნიალის დაწვის სასჯელიც განსაზღვრეს: ნიალისთვის სამმაგი საზღაური დაინიშნა, ბერგთორაზე ორმაგი. სკარპეედინის მკვლელობა ჰასკულდ ჰვიტანესგოდის მკვლელობას გაუთანაბრეს. ორმაგი საზღაური დაინიშნა გრიმზე ცალკე და ჰელგიზე ცალკე და ერთმაგი ყველა დანარჩენზე, ვინც ცეცხლში დაიწვა. თორდ კარის ძის მკვლელობის საკითხში ვერ შეთანხმდნენ. ფლოსისა და ნიალის დაწვის ყველა მონაწილეს ისლანდიიდან განდევნა მიუსაჯეს, მაგრამ ნება დართეს იმავ ზაფხულს არ წასულიყვნენ, თუ ასე ისურვებდნენ. მაგრამ თუ წასვლას სამ ზამთარს გადააცილებდნენ, მაშინ ისინი კანონგარეშე უნდა გამოეცხადებინათ. ისიც ითქვა, რომ ამას შემოდგომის ან გაზაფხულის თინგზე გამოაცხადებდნენ, როგორც ისინი ისურვებდნენ. ფლოსის სამი ზამთა-

რი უნდა გაეტარებინა ისლანდიის გარეთ. გუნარ ლამბის ძეს, გრანი გუნარის ძეს, გლუმ პილდირის ძესა და კოლ თორსტეინის ძეს სამუდამოდ აეკრძალათ ისლანდიაში დაბრუნება. შემდეგ ფლოსის პკითხეს, სურდა თუ არა დაენიშნათ საზღაური მისი ჭრილობისათვის, მაგრამ მან უარი თქვა. გადაწყდა, რომ ეიოლვ ბალვერკის ძეზე საზღაურს არ დანიშნავდნენ, რადგან იგი უკანონოდ და ულირსად იქცეოდა. ბოლოს ერთმანეთს სელი მისცეს და სიტყვა აღარც გაუტესიათ.

ასგრიმმა და მისმა სალსმა ძვირფასი ძღვენი მიართვეს სნორა კოდის. ამ საქმემ მას დიდი სახელი შესძინა. სკაფტის ჭრილობებისათვის საზღაური არ დაუნიშნავთ. გიცურ თეთრმა, პიალტიმ და ასგრიმმა გუდმუნდ მძლავრი შინ მიიპატიჟეს. მან მიწვევა მიიღო და სამივემ სათითაოდ თავისი ბეჭედი აჩუქა მას. გუდმუნდი ჩრდილოეთისკენ გაემგზავრა, შინისკენ, და ყველა დიდად იწონებდა მის საქციელს ამ საქმეში. თორგეირ სკორარგეირმა კარის შესთავაზა თან წაპყოლოდა მას, მაგრამ ჯერ გუდმუნდს გაპყვნენ ჩრდილოეთისკენ მთებში. კარიმ გუდმუნდს ოქროს ბალთა აჩუქა, თორგეირმა კი ვერცსლის ქამარი. ორივე საჩუქარი ძალზე ძვირფასი იყო, და ისინი საუკეთესო მეგობრებად განშორდნენ ერთმანეთს. გუდმუნდი ჩრდილოეთისკენ გაემგზავრა, შინისკენ, და ამ საგაში იგი ნასსენები აღარ იქნება.

კარი თავისი სალხით მთებიდან სამხრეთისკენ დაეშვა პრეპარში, იქიდან კი თიორსას მიაშურა.

ფლოსი და მასთან ერთად ნიალის დაწვის ყველა მონაწილე აღმოსავლეთში ფლიოტსპლიდისკენ გაემართნენ. ფლოსიმ ნება მისცა სიგფუსის ვაუებს მეურნეობისთვის მიეხედათ. ამ დროს ფლოსიმ შეიტყო, რომ თორგეირი და კარი ჩრდილოეთში წაპყოლოდნენ გუდმუნდ მძლავრს, და გადაწყვიტეს, კარი თავისი სალსით, ალბათ, დაყოვნდებაო ჩრდილოეთში. მაშინ სიგფუსის ვაუებმა სთხოვეს ფლოსის, გაეშვა ისინი აღმოსავლეთში ეიაფელის მთებისაკენ ფულის საქმესე: მათ ფული პქონდათ მისაღები პავდაბრეკაში. ფლოსიმ ნება მისცა და სთხოვა ფრთხილად ყოფილიყვნენ, დიდხანს არ დარჩენილიყვნენ. ფლოსიმ გოდალანდზე გავლით მთები გადაიარა ეიაფიალაიაკულის მყინვარის ჩრდილოეთის მხრიდან და ლაგამმიშვებულმა იარა, ვიდრე შინ არ მივიდა სვინაფელში.

ასლა ის უნდა გითხრათ, რომ სიდელმა პალმა ხომ უარი თქვა საზღაურზე თავისი შვილისთვის და ამით ხელი შეუწყო მშვიდობის ჩამოგდებას. მაშინ ყველამ, ვინც თინგზე იყო, საზღაურის ფული შეაგროვა და გამოვიდა სულ ცოტა რვაასი ვერცხლი მაინც, ეს კი ოთხმაგი საზღაური იყო. ყველა დანარჩენს, ვინც ფლოსის ახლდა, არავითარი საზღაური არ მიუღია მათთვის მიყენებული ვნებისათვის და ძალზე გულმოსულები იყვნენ.

სიგფუსის ვაჟებმა სახლში ორი დღე დაპყვეს, მესამე დღეს კი აღმოსავლეთისკენ რაუვარფელში გაემართნენ და ღამეც იქ გაათიეს. სულ თხუთმეტნი იყვნენ და ფიქრადაც არ მოსვლიათ, თუ რაიმე საფრთხე ემუქრებოდათ. რაუვარფელიდან გვიან გამოვიდნენ და იმედი პქონდათ, რომ საღამომდე პავდაბრეკას მიაღწევდნენ. გზად შეისვენეს, ცხენები საძოვრად გაუშვეს და ძილს მისცეს თავი.

146

კარი სალმუნდის ძე და თორგეირ სკორარგეირი იმავე დღეს გაემართნენ აღმოსავლეთისკენ, მარკარფლიოტი გადალასეს და სელიალანდსმულს მიმართეს. აქ მათ ვიღაც დედაკაცები შემოეყარათ, რომლებმაც ისინი მაშინვე იცნეს და უთხრეს:

— თქვენზე ყოჩაღად გამოიყურებიან სიგფუსის ვაჟები, თქვენ კი აგიღიათ თავი და დადიხართ.

თორგეირმა თქვა:

— მაგას რად ამბობთ სიგფუსის ვაჟებზე? რა იცით მათ შესახებ?

— ღამე რაუვარფელში გაათიეს, — მიუგეს მათ, — საღამოს კი მიუდალში ეპირებოდნენ. ჩვენ იმან გაგვასარა, რომ თქვენი შინებიათ, რადგან გვეკითხებოდნენ, როდის დაბრუნდებიანო შინ.

ისინი თაკიანთ გზას გაუყვნენ და კარიმ და თორგეირმაც ცხენები ადგილიდან მოსწყვიტეს. თორგეირმა უთხრა:

— როგორ მოვიქცეთ? რას უფრო ამჯობინებ? თუ გინდა, უკან დავედევნოთ.

კარიმ მიუგო:

— მათ დადევნებაზე უარს არა ვარ, მაგრამ იმას კი გეტყვი, რას უფრო ვამჯობინებ, რადგან სშირად მომხდარა, რომ დიდხანს უცოცხლიათ იმათ, ვისაც მარტო სიტყვით კლავენ. ვიცი, რაც გი-

ლევს გუნებაში. შენ რვა კაცს დაერევი და ეს იმაზე მეტი როდი იქ-ნება, როდესაც შვიდი კაცი დასოცე სევში, სადაც თოკით ჩაეშვი, რომ მათ მისწვდენოდი. აკი მოელი თქვენი ჩამომავლობა ისეთები სართ, რომ სულ იმას ფიქრობთ, რითი გაითქვათ სახელი. მე გან-ზე ეერ გაგიდგები თუნდაც იმიტომ, რომ მერე სალსს ვუამბო შენი ამბავი. ავდგეთ და ორნი დავეღეევნოთ, რადგან ვსედავ, შენც ეს გინდა.

ამის შემდეგ ისინი აღმოსავლეთისკენ გაუდგნენ გზას, ზემოდან მოუარეს და პოლტში აღარ შეუვლიათ, რადგან არ უნდოდათ თორგეირის ძმები ჩაეთრიათ საქმეში. მიჰყვნენ გზას აღმოსავლე-თისკენ და მიუდალში მივიდნენ. აქ ერთი კაცი შემოსვდათ, რო-მელსაც ცხენისთვის ტორფი აეკიდნა. მან თქვა:

— ცოტა სალსი აგიყოლიებია, თორგეირ ძმობილო.

— რაო, რა იყო? — პკითხა თორგეირმა.

— ის, რომ ნადირი ხელში მოგივარდა. აქ სიგფუსის ვაუებმა გაიარეს და, ალბათ, მთელ დღეს ძილში გაატარებენ კერლინგარ-დალში, რადგან საღამომდე პავდაბრეკაზე შორს წასვლა არც დაუ-პირებიათ.

ამის შემდეგ ისინი თავის გზას გაპყვნენ აღმოსავლეთისკენ და არნარსტაკსპეიდის ველი გადავლეს. მათ მგზავრობაზე სათქმელი არაფერია, ვიდრე მდინარე კერლინგარდალსიმდე არ მივიდნენ. მდინარე მოდიდებულიყო. ისინი ნაპირს აუყვნენ, რაკი შეკაზმული ცხენები დაინახეს იმ მხარეს. ახლოს მივიდნენ და დაინახეს ღარ-ტაფში მძინარენი, თავთან კი შუბები ჩაერჭოთ მიწაში. კარიმ და თორგეირმა შუბები წამოკრიფეს და წყალში გადაყარეს. თორგე-ირმა თქვა:

— გინდა გავაღვიძოთ?

კარიმ მიუგო:

— რად მეკითხები, როცა შენც კარგად იცი, რომ მძინარე კაცის მოკვლა საძრახი საქმეა.

მაშინ მძინარეთ შეუძახეს. იმათ გაეღვიძათ და თავიანთ იარაღს ეცნენ. კარი და თორგეირი არ განძრეულან, ვიდრე მათ იარაღი არ აისხეს და შემდეგ კი ეკვეთნენ. თორგეირ სკორარგეირი თორკელ სიგფუსის ძეს მივარდა. ამ დროს მას ვიღაცა უკნიდან მიეჭრა და ვიდრე რამეს მოასწრებდა, თორგეირმა ორივე ხელით ნაჯახი რი-

მუგუგი ყუით გადაუქნია უკან და თავის ქალა ეროიანად დაუმსსვრია. კაცი წამსვე მკვდარი დაეცა ძირს. თორგეირმა ნაჯახი აღძართა, თორკელს მსარში დაპკრა და მთელი მკლავი ჩაათალა. კარის მორდ სიგფუსის ძე, სიგურდ ლამბის ძე და ლამბი სიგურდის ძე მისცვივდნენ. ლამბი უკნიდან ეცა მას და შუბი პკრა, მაგრამ კარიმ დაინახა და მაღლა ასტა ფეხებგაფარჩხული ისე, რომ შუბი მიწაში ჩაერჭო, მერე ზედ დაასტა ტარზე და გადატეხა იგი. მას ცალ სელში შუბი ეჭირა, მეორეში მასვილი, ფარი არ პქონია. მარჯვენა სელით მან სიგურდ ლამბის ძეს შუბი სცა მკერდში და უკან ბეჭებში გაასედა წვერი. სიგურდი მაშინვე მკვდარი დაეცა. კარიმ მარცხენა სელით მახვილი შემოპკრა ფერდში მორდ სიგფუსის ძეს და ხერსემლიანად გაჩესა შუაზე. მორდი პირქვე წაემსო და იქვე მოკვდა. შემდეგ კარი ციბრუტივით შემოტრიალდა ცალ ფესზე ლამბი სიგურდის ძისკენ, მაგრამ იმან ისღა მოასერსა, რომ, რაც ძალი და ღონე პქონდა, მოკურცსლა.

ამასობაში თორგეირი ლეიდოლვ ძლიერს ეკვეთა. ორივემ ეროღროულად შემოპკრა ერთმანეთს მასვილი. ლეიდოლვმა ისე მძლავრად დაპკრა, რომ ფარს სულ ჩამოაცალა ის ადგილი, სადაც მახვილი მოსვდა. თორგეირმა ორივე სელით დაპკრა ნაჯახი რიმუგუგი და უკანა წვერით ფარი გაუპო, წინა წვერით კი ლავიწის ძვალი გაუჩესა და მკერდი მთლიანად გაურღვია. ამ დროს კარიმ მოუსწრო და თეძო გადაუჭრა შუაზე. ლეიდოლვი ძირს დაეცა და იქვე მოკვდა.

კეთილ მარკელმა თქვა:

— ცხენებისკენ გავიქცეთ, თორემ ჩვენ ამათ ვერ გავუმკლავდებით.

ისინი ცხენებთან მიიჭრნენ და ზედ მოასტნენ. თორგეირმა თქვა:

— გინდა გავეკიდოთ? ერთი-ორი კაცის მოკვლას კიდევ შეეძლებთ.

— უკანასკნელი ის გარბის, ვისი მოკვლაც არ მინდა, და ეგ კაცი კეთილ მარკელია. მე და მაგას ცოლებად დები ვეყავს და ჩვენს დავაშიც სსვაზე უკეთ ეგ იქცეოდა.

მაშინ ისინი ცხენებს მოასსდნენ და იარეს, ვიდრე პოლტში არ მივიდნენ. თორგეირმა თავის ძმებს უთსრა, აღმოსავლეთისკენ სოგარში წასულიყვნენ, სადაც მათ კარ-მიდამო პქონდათ. თორგეირს

არ უნდოდა მისი ძმები ფიცის გამტეხლებად მიეჩნიათ. აქ თორგეირს ყოველთვის პყავდა სულ ცოტა ოცდაათი კაცი მაინც, რომლებსაც იარაღის ტარება შეეძლოთ. ყველა გახარებული იყო და ამბობდნენ, რომ თორგეირმა და კარიმ დიდად გამოიჩინეს თავიო. სშირად გაუხსენებიათ, თუ როგორ დაერივნენ ორნი თხუთმეტ კაცს, სუთი მათგანი მოკლეს და ვინც გადაურჩათ, გააქციეს.

ასლა კეთილ მარკელის ამბავი უნდა გითხრათ. ისინი, რაც შეეძლოთ, მიაჭენებდნენ ცხენებს, ვიდრე სვინაფელს არ მიაღწიეს, და ფლოსის უამბეს, რა ძვირად დაუჯდათ მგზავრობა. ფლოსიმ უთხრა, ეგრეც იყო მოსალოდნელიო, და

— ეგეც თქვენი ჭკუის სასწავლებელი იყოს, — დაუმატა მან, — რომ ფეხი აღარსად გაადგათ აქედან.

ფლოსი ძალზე მხიარული კაცი იყო და ხალხის დასვედრაც დიდებული იცოდა. ამბობენ, ბევრ რამეში ჭეშმარიტი ჰავდინგი იყოო. მან ზაფხულიც და ზამთარიც სახლში გაატარა.

ზამთარში, როცა შობამ გაიარა, აღმოსავლეთიდან მას სიდელი ჰალი და მისი ძე კოლი ესტუმრნენ. ფლოსი დიდად გაახარა მათმა მოსვლამ და ხშირადაც საუბრობდნენ მომხდარ ამბავზე. ფლოსიმ თქვა, დიდი ზარალი ვნასეთო. ჰალმა უთხრა, ეგ ყველაფერი მოსალოდნელი იყოო. ფლოსიმ ჰკითხა, შენი აზრით, როგორ სჯობია მოვიქცეო. ჰალმა მიუგო:

— მე გირჩევ, შეურიგდი თორგეირს, თუ შეძლო, მაგრამ ალბათ გაჭირდება მისი დაყოლიება შერიგებაზე.

— შენ გგონია, მაგით მოეღება ბოლო ამ ხოცვა-ულეტას? — ეუბნება ფლოსი.

— არა, არ მგონია, — ეუბნება ჰალი, — მაგრამ უფრო ნაკლებ სალხთან გექნება საქმე, თუ კარი მარტო დარჩება. თუ თორგეირს არ შეურიგდები, სიცოცხლის ფასად დაგიჯდება.

— რა პირობები უნდა შევთავაზოთ შერიგებისათვის? — ეკითხება ფლოსი.

— მძიმედ მოგეჩვენება, — ეუბნება ჰალი, — ის პირობები, რომლებზედაც ის დაგთანხმდებათ. ის მხოლოდ მაშინ გასდება თანასმა შერიგებაზე, თუ თავის ნამოქმედარზე არაფერს არ გადაიხდის და თან ნიალისა და მისი ვაჟების საზღაურის ერთ მესამედს მიიღებს.

— ეგ ძალზე მძიმე პირობაა, — ეუბნება ფლოსი.

— შენთვის ეგ არცთუ ისე მძიმე პირობაა, — ეუბნება პალი, — რადგან სიგფუსის ვაუების მკელელობა შენ არ გეხება. საშღაური შათ ძმებს ერგებათ და პამუნდ კოჭლს კი მისი შვილის, ლეიდოლ-ვისათვის უნდა გადაუსადონ. შენ შეგიძლია, ასლავე შეურიგდე თორგეირს, რადგან სწორედ მასთან მივემგზავრები, შენც წამომ-ყევი და თორგეირი მე ცუდად არ შემხვდება. მაგრამ ნურავინ, ვინც ამ საქმეშია გარეული, ნუ გაბედავს თავის სახლში დარჩენას ფლიოტსპლიდში, თუ ვერ შერიგდნენ, რადგან სიკვდილი არ ას-ცდებათ. თორგეირისნაირი კაცისაგან სხვას ნურაფერს ელიან.

დაიბარეს სიგფუსის ვაუები. უთხრეს, როგორც იყო საქმე, და პალმა იმდენი ქნა, რომ ბოლოს ისინი ყველაფერზე დაითანხმა და ათქმევინა, სიამოვნებით შევრიგდებითო.

გრანი გუნარის ძემ და გუნარ ლამბის ძემ თქვეს:

— თავისთავად ცსადია, თუ კარი მარტო დარჩა, ჩვენ უფრო სა-შიშნი ვიქნებით მისთვის, ვიდრე ის ჩვენთვის.

— მაგას ნუ იტყვი, — მიუგო პალმა, — თორემ თქვენ მას იოლად ვერ გადურჩებით და ბევრ ზარალსაც ნასავთ, ვიდრე საბოლოოდ გასწორდებით.

ამით მოათავეს ლაპარაკი.

147

სიდელი პალი, მისი შვილი კოლი და კიდევ ოთხი კაცი გაემარ-თნენ დასავლეთისკენ ლომაგნუპსანდის ქვეშნარზე გავლით და ასე იარეს არნარსტაკსპეიდის ველზე და არსად დაყოვნებულან, ვიდრე მიუდალში არ მივიდნენ. აქ იკითხეს, თავის სახლში იყო თუ არა თორგეირი ჰოლტში, და პასუხად მიიღეს, შინ არისო. ასლა პალს პკითხეს, საით გაგიწევიაო.

— იქით, ჰოლტში, — მიუგო მან.

ყველამ უთხრა, ალბათ სასიკეთო საქმეზე მიდიხარო. პალმა აქ დაისვენა და ცხენებიც საძოვრად გაუშვეს. საღამოს სოლპეიმში მივიდნენ და ღამეც იქ გაათიეს. მეორე დღეს ჰოლტს მიადგნენ. თორგეირი, კარი და მათი ხალხი გარეთ იყვნენ და იცნეს მათკენ მომავალი პალი. მას ცისფერი მოსასხამი ესურა, ხელში პატარა, ვერცხლით მოვარაყებული ნაჯახი ეჭირა. ეზოში რომ შევიდნენ,

თორგეირი გამოეგებაო და პალი ცხენიდან გადმოსვა. კარიმ და თორგეირმა პალი გადაკოცნეს, მერე შუაში ჩაიყენეს, სახლში შეიყვანეს, საპატიო ადგილზე დასვეს და ამბავი გამოჰკითხეს. პალი ღამის გასათევად მათთან დარჩა. დილით მან ლაპარაკი ჩამოუგდო თორგეირს და უთხრა, რა პირობებსაც სთავაზობდნენ. პალმა ძალზე ენაწყლიანად და კეთილგანწყობილებით ილაპარაკა. თორგეირმა მიუგო:

— შენ გაგებული გექნება, რომ მე უარი მაქვს ნათქვამი ნიალის დაწვის მონაწილეებთან შერიგებაზე.

მაშინ სხვა იყო, — ეუბნება პალი, — თქვენ ბრძოლით იყავით გაფიცსებულნი და მას შემდეგ ცოტა ხალხს როდი მოუღეთ ბოლო.

— ეგ თქვენ გგონიათ აგრე, — ეუბნება თორგეირი, — კარის რაღა პირობებს შესთავაზებთ?

— ჩვენ ისეთ პირობებს შევთავაზებთ, რაც მას პატივს დასდებს, — უთხრა პალმა, — ოღონდ შერიგება ისურვოს.

მაშინ კარიმ თქვა:

— მე გთხოვ, თორგეირ, რომ დათანხმდე, რადგან სეირისა და სარგებლობის გარდა ეგ სხვას არაფერს მოგიტანს.

— გული არ მიმიწევს შერიგებაზე და არც შენ მინდა გაგშორდე, თუ ჩემსავით არ შეურიგდები, — მიუგო თორგეირმა.

— არა, არ მსურს შერიგება, — თქვა კარიმ, — მართალია, და მეც გეტყვი, რომ შური უკვე ნაძიები გვაქვს ნიალის დაწვისათვის, მაგრამ ჩემი შვილის სამაგიერო ჯერ არ გადამისდევინებია და, თუ შევძელი, ვეცდები მარტო მე ვიძიო შური.

თორგეირი შერიგებაზე უარს იყო, ვიდრე კარიმ არ უთხრა, მაწყენინებ, თუ არ შერიგდიო. მაშინ თორგეირმა აღუთქვა, ხელი არ ეხლო ფლოსისა და მისი ხალხისათვის იქამდე, ვიდრე ერთმანეთს არ შესვდებოდნენ შესარიგებლად, და პალმაც იგივე პირობა დადო ფლოსისა და სიგფუსის ვაჟების სასელით. განშორების წინ თორგეირმა პალს ოქროს ბეჭედი და ძოწისფერი წამოსასხამი მიართვა, კარიმ კი ვერცხლის სამაჯური, რომელსაც ზედ სამი ოქროს ჯვარი პქონდა მორგებული. პალმა გულითადი მადლობა გადაუხადა საჩუქრებისათვის და დიდად პატივნაცემი წავიდა. მან შეუსვენებლად იარა სვინაფელამდე, სადაც ფლოსი სიხარულით შეეგება. პალმა ფლოსის ყველაფერი უამბო, როგორც იყო საქმე

და რა ლაპარაკიც ჰქონდათ თორგეირთან და რომ თორგეირი შერიგებაზე უარს იყო, ვიდრე კარიმ არ უთხრა, მეწყინება, უარს თუ იტყვი შერიგებაზეო.

— თვითონ კარიმ კი შერიგება არ ინდომა, — დააყოლა მან.

ფლოსიმ თქვა:

— ცოტაა კარისნაირი ხალხი. ნეტავ მეც მისი ხასიათი მქონდეს.

ჰალმა თავისი ალხით რამდენიმე სანი დაპყო ძასთან. დათქმულ დღეს კი დასავლეთისკენ გაემართნენ შესარიგებლად. პავდაბრეკაში შეიყარნენ, როგორც შეპირებულნი იყვნენ. დაიწყეს შერიგებაზე ლაპარაკი. ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ჰალი ამბობდა. თორგეირმა მათ უთხრა, კარი ჩემთან იცხოვრებს, ვიდრე თავად ისურვებსო.

— ჩემს სახლში ვერავინ ვერავის ვერაფერს ვერ დაუშავებს, — თქვა მან, — არ მინდა თქვენგან სათითაოდ ვაგროვო ფული. ამიტომ ჩემი სურვილია, რომ შენ, ფლოსი, თავდებად დაუდგე ყველას და ფულიც შეაგროვო შენს მეგობრებში. მე მსურს ისიც, რომ ყველაფერი შესრულდეს, რაც თინგზე გადაწყდა ნიალის დაწვასთან დაკავშირებით. მე მსურს, ფლოსი, რომ მთლიანად გადამიხადო ჩემი კუთვნილი მესამედი.

ფლოსი მაშინვე დაეთანხმა ყველაფერზე. თორგეირს არც იმ მსარიდან და არც ისლანდიიდან ნიალის დაწვის მონაწილეთა განდევნაზე არ აუღია ხელი.

შემდეგ ფლოსი და ჰალი შინისკენ გაემართნენ აღმოსავლეთში. ჰალმა ფლოსის უთხრა:

— ნუ დაარღვევ ამ შეთანხმებას, ჩემო სიძევ, წადი ისლანდიიდან, გაემართე სამხრეთისკენ* სალოცავად და ეგ ჯარიმაც გადაიხადე. ყველა ღირსეულ კაცად ჩაგთვლის, თუმცა ამ საქმეში გაეცი, თუ ვაჟკაცურად შეასრულებ ყველაფერს, რაც მოგეთხოვება.

ფლოსიმ უთხრა, აგრეც მოვიქცეეიო. ჰალი შინისკენ გაემართა აღმოსავლეთში, ფლოსიმაც თავის სახლს მიაშურა სვინაფელში და მას შემდეგ შინიდან აღარ გასულა.

---

*ე. ი. რომში. (მთ.)

შერიგების შემდეგ თორგეირ სკორარგეირი შინისკენ გაემართა. კარიმ პკითსა, როგორ ჩაიარაო შესვედრამ. თორგეირმა უთსრა, რომ მოსდა სრული შერიგება. კარი თავის ცსენს მოაჯდა და წასელა დააპირა.

— ნუ წასვალ, — უთსრა თორგეირმა, — აკი შევთანსმდით შერიგებისას, რომ შენ ჩემთან ყოფნა შეგეძლება, რამდენ ხანსაც ისურვებ.

კარიმ ოქვა:

— მაგაზე ვერ დაგყაბულდები, ჩემო მოკეთეე, რადგან როგორც კი ვინმე შემომაკვდება, მაშინვე ყველა დაგწამებს ჩემთვის სელის გამართვას და ეგ კი მე არ მინდა. ის კი უნდა გთხოვო, რომ ჩაიბარო ჩემი ქონება და მიმისედო ჩემს ცოლს ჰელგას, ნიალის ასულს, და ჩემს ქალიშვილებსაც. მაშინ მათ სელს ვერავინ დააკარებს.

თორგეირი ყველაფერზე დათანსმდა, რასაც კარი სთხოვდა. მან ჩაიბარა კარის ქონება და ხელი ხელს დაპკრეს შეთანსმების ნიშნად.

ამის შემდეგ კარი გზას გაუდგა. თან ორი ცსენი პყავდა, ტანსაცმელი და ცოტაოდენი ოქრო-ვერცსლიც ჰქონდა. კარიმ დასავლეთის მხრიდან შემოუარა სელიალანდსმულის ქედს და მარკარფლიოტს აუყვა თორსმარკისკენ. აქ სამი კარ-მიდამო იდგა და სამივეს „მარკი“ ერქვა. ის, რომელიც შუაში იყო, ეკუთვნოდა ერთ კაცს, ბიარნის, მეტსასელად რომ ბიარნ თეთრს ეძახდნენ. მისი მამა იყო კადალი, ბიალვის ძე. ბიალვი ნიალის დედის ასგერდისა და თორირ პოლტელის აზატი იყო. ბიარნს ცოლად ჰყავდა ქალი, რომელსაც ვალგერდი ერქვა. იგი თორბრანდ ასბრანდის ძის ასული იყო. დედამისს გუდლაუგი ერქვა. იგი გუნარ პლიდარენდელის შამის ჰამუნდის და იყო. ვალგერდი ბიარნს ფულის გულისთვის მიათსოვეს, და მას ქმარი არ ჰყვარებია, თუმცა შვილები კი ჰყავდათ. შეძლება თავსაყრელი ჰქონდათ. ბიარნი ბაქი-ბუქის კაცი იყო და ცოლს ეს ვერაფრად ეპიტნავებოდა. ბიარნს თვალთ კარგად უჭრიდა და ფესმარდიც იყო. კარი მათ ღამის გასათევად ეწვია და ისინიც გულღიად შესვდნენ. კარიმ ღამე გაათია და დილით ლაპარაკი ჩამოუგდო ბიარნს:

— კარგი იქნება, თუ შემიფარებ. ასე მგონია, შენს სასლში თავს მშვიდად ვიგრძნობ. მინდა, რომ შენ ყველგან თან მასლდე, რადგან თვალს კარგად გიჭრის, ფესმალიცა ხარ და, მე მგონი, არც ბრძოლაში გაკლდება სიმხნე.

— არც თვალის გამჭრიახობით, — მიუგო ბიარნმა, — არც გამბედაობითა და არც სხვა რამ ვაუკაცობით მე სხვას არ დავუვარდები. მაგრამ შენ აქ ალბათ იმიტომ მოხვედი, რომ ვერსად შეეკედლე. აბა, რა გიყო, რაკი აგრე მთხოვ, კარი, ისე არ მოგექცევი, როგორც შემთხვევით შესვედრილ კაცს. რა თქმა უნდა, ყველაფერით დაგეხმარები, რასაც მთხოვ.

ცოლმა კი უთხრა:

— მიწამ გიყოს პირი მაგ შენი ტრაბახისა და ბაქიაობისათვის. ნეტავ ეგრე არ ლაყბობდე და მაგ კაცსაც არ ატყუებდე. მე სიამოვნებით ვასმევ და ვაჭმევ კარის და ყველაფერსაც გავუკეთებ, რაც დასჭირდება. მაგრამ ბიარნის ვაუკაცობისა, კარი, მაინცა და მაინც დიდი იმედი ნუ გექნება, რადგან ვაი თუ სულ სხვა რამე მოხდეს, როცა საქმე საქმეზე მიდგება.

ბიარნმა თქვა:

— შენ სულ ჩემს თათხვაში ხარ. მაგრამ მე კი ვიცი, რომ ზურეს არავინ შევუბრუნებ. ჩემს სიმამაცეს ისიც ადასტურებს, რომ ყველა თავს მარიდებს, რადგან ვერაფერს მიბედავენ.

კარიმ მასთან უჩუმრად დაპყო რამდენიმე სანი და ცოტა ვინმემ თუ იცოდა ეს ამბავი. ბევრს ისე ეგონა, რომ კარი ჩრდილოეთში იყო წასული გუდმუნდ მძლავრთან, რადგან კარიმ დაავალა ბიარნს მეზობლებისთვის ეთქვა, თითქოს გზაში შესვდა კარის, რომელიც გოდალანდში მიემართებოდა, იქიდან კი ჩრდილოეთისაკენ, გასასანდის ქვეშნარისკენ, შემდეგ ისევ ჩრდილოეთისკენ მადრუველირში გუდმუნდ მძლავრთან. ეს ამბავი მთელ იმ მხარეს მოედო.

149

ფლოსიმ ლაპარაკი ჩამოუგდო თავის მეგობრებს, ნიალის დაწვის მონაწილეთ:

— არ შეგვფერის ასე არსეინად ყოფნა. ისლანდიიდან წასვლაზეც უნდა ვიფიქროთ და საზღაურიც გადასახდელი გვაქვს. ყველა-

ფერი პატიოსნურად უნდა შეასრულოთ, რაც ვალად გვდევს. ვისაც საღ ურჩევნია, იქ მოილაპარაკოს თავის გამგზავრებაზე.

მათ უთხრეს, შენ გვისელმძღვანელეო. ფლოსიმ თქვა:

— გავწიოთ აღმოსავლეთში, პორნაფიორდისკენ, სადაც თრანდპეიმელ ეიოლვ ცხვირას სომალდი უყენია. მას ქალის შერთვა უნდა, მაგრამ არაფერი გამოუვა, თუ აქ არ დასასლდა. შევისყიდოთ მისი სომალდი, რადგან ხალხი უფრო ბევრი გვჭირდება, ვიდრე ქონება. სომალდი დიდია და ყველას გვეყოფა.

ამით მოათავეს ლაპარაკი. რამდენიმე ხნის შემდეგ აღმოსავლეთისკენ გაემართნენ და არ შეუხვეხნიათ, ვიდრე ბიარნარნესს არ მიაღწიეს პორნაფიორდში. ეიოლვიც ნახეს, რადგან მთელი ზამთარი იქ გაეტარებინა. ფლოსის კარგად შეხვდნენ და მან თავისი სალხით აქ გაათია ღამე. დილით კი სომალდზე შეეგებჭრა. ეიოლვმა უთხრა, ხომალდის გაყიდვაზე უარს არ ვიტყვი, თუ იმდენს მივიღებ, რაც მე მინდა. ფლოსიმ ჰკითხა, რას ისურვებო. ნორვეგიელმა მიუგო, მინდა მიწა მქონდეს და თანაც აქედან ახლოსო. ეიოლვმა ფლოსის უთხრა, რასაც ბონდი მისგან მოითხოვდა. ფლოსი ბონდთან საქმის მოგვარებაში დახმარებას შეპირდა, და შემდეგ შევისყიდიო ხომალდს. ნორვეგიელს გაუხარდა. ფლოსიმ მას მიწა შესთავაზა ბორგარპავნში. ნორვეგიელი ბონდთან გარიგებას შეუდგა და ფლოსიც იქვე იყო. ფლოსიმ სიტყვა შეაშველა და საქმეც მოგვარდა. ფლოსიმ ნორვეგიელს მიწა დაუთმო ბორგარპავნში, ამან კი სომალდი ჩააბარა და გარიგების ნიშნად ხელი ხელს დაპკრეს. ფლოსიმ ნორვეგიელისგან კიდევ სხვა საქონელი მიიღო. ამაზეც მორიგებულნი იყვნენ. ამის შემდეგ ფლოსი უკან გაუდგა გზას. მის ხალხს იგი ისე უყვარდა, რომ არავინ არაფერს არ დაუჭერდა, რაც კი დასჭირდებოდა. იგი სვინაფელში თავის სასლს დაუბრუნდა და რამდენიმე ხანს შინ იყო. მან კოლ თორსტეინის ძე და გუნარ ლამბის ძე აღმოსავლეთისკენ გაგზავნა პორნაფიორდში. ისინი სომალდთან უნდა ყოფილიყვნენ, ზღვაში გასასვლელად გაემზადებინათ იგი, სადგომები გადაესურათ, საქონელი ტომრებში ჩაეწყოთ და ყველაფერი წესრიგში მოეყვანათ.

ასლა სიგფუსის ვაჟებზე უნდა გიამბოთ. მათ ფლოსის უთხრეს, რომ დასავლეთში უნდოდათ წასვლა, ფლიოტსპლიდში, მეურნეობას მისედავდნენ და წამოიღებდნენ საქონელსა და ყველაფერს, რაც დასჭირდებოდათ.

— კარი ასლა მოსარიდებელი აღარ არის, — თქვეს მათ, — რაკი იგი ამუამად ჩრდილოეთში იმყოფება.

ფლოსიმ მიუგო:

— არ ვიცი, მართალია თუ არა, რასაც კარის მგზავრობაზე ამბობენ. სშირად რიდი გამომდგარა მართალი, რასაც აქა-იქ იტყვიან. მე გირჩევთ, ბევრნი წასვიდეთ ერთად, ნუ დაიფანტებით და თვალყური ფსიზლად გეჭიროთ. შენ კი, კეთილ მარკელო, გაისსენე სიზმარი, მე რომ გიამბე და რომელზედაც მესვეწებოდი არ გამემსილა. ახლა სომ ბევრი იმაოგანი მოგდეს, რომლებიც იმ სიზმარში იყვნენ დასასელებულნი.

კეთილმა უთხრა:

— რაც მოსასდენია, უნდა მოსდეს. სიკეთე მოგეცეს მაგ რჩევისათვის.

ამაზე მეტი აღარ ულაპარაკიათ. შემდეგ სიგფუსის ძენი წასასველელად გაემზადნენ და მათთან ერთად ყველა, ვინც თან გაყოლას აპირებდა. სულ თვრამეტნი იყვნენ. და აპა, გზასაც გაუდგნენ. წასელის წინ მათ და ფლოსიმ ერთმანეთი გადაკოცნეს. ფლოსიმ კეთილი მგზავრობა უსურვა და დაუმატა, ალბაო ბევრ თქვენგანს მეტს ვეღარ ვიხილავო. მაგრამ ამას ისინი არ გაუჩერებია და გზას გაუდგნენ. ფლოსიმ ბრძანა, აეღოთ მისი ქონება მედალანდში, ლანდბროდსა და სკოგაპვერიში და გადაეზიდათ იგი აღმოსავლეთში. შემდეგ სკაფტარტუნგაში გაემართნენ, იქიდან მთა-მთა იარეს, ეიაფიალაიაკულის მყინვარს ჩრდილოეთიდან მოუარეს. გოდალანდში ჩავიდნენ და ტყე-ტყე თორსმარკისკენ დაეშვნენ. ბიარნ მარკელმა დაინახა ცხენებით მომავალნი და მაშინვე მათ მისაგებებლად გაეშურა. ერთმანეთს თავაზიანად მიესალმნენ. სიგფუსის ვაუებმა მას კარი სალმუნდის ძის ამბავი გამოპკითხეს.

— მე შემხვდა კარი, — უთხრა ბიარნმა, — მაგრამ მას აქეთ დიდი ხანია გასული. იგი აქედან ჩრდილოეთში, გასასანდის ქვეშნარისკენ მიდიოდა და გეზი გუდმუნდ მძლავრისკენ პქონდა აღებული. შევატყვე, თქვენი შიში პქონდა, და მარტოსელაც დარჩა.

გრანი გუნარის ძემ თქვა:

— ამის შემდეგ უფრო მეტი შიში ექნება ჩვენი. გავაგებინებთ, ვინცა ვართ, როცა სელში ჩაგვივარდება. ასლა სულ აღარ გვეშინია მისი, რაკი მარტო დარჩენილა.

კეთილ მარკელმა მას უბრძანა გაჩუმებულიყო და გატყლარჭული ლაპარაკი შეეწყვიტა. ბიარნმა ჰკითხა, უკან როდის დაბრუნდებითო.

— ერთ კვირას მაინც გავჩერდებით ფლიოტსპლიდში, — მიუგეს მათ, თან ისიც დაუმატეს, რომ მთა-მთა ივლიდნენ იმავე გზით. შემდეგ ერთმანეთს განშორდნენ.

სიგფუსის ძენი თავიანთ სახლ-კარს დაუბრუნდნენ და ჯალაბობაც დიდად გაასარეს. აქ მათ ერთ კვირამდე დაპყვეს. ბიარნი კი შინ დაბრუნდა, კარი მოძებნა და ყველაფერი უამბო, თუ საით მიდიოდნენ და რას აპირებდნენ სიგფუსის ვაჟები. კარიმ მას თავდადება და ერთგულება შეუქო. ბიარნმა უთხრა:

— მე სხვებივით კაცს არ ეუმუხთლებ, თუ ერთგულება და დახმარება აღვუთქვი.

ცოლმა უთხრა:

— ისღა გვაკლია, რომ მუხანათიც გახდე.

კარიმ მათთან ექვსი ღამე გაათია.

150

კარიმ ბიარნს უთხრა:

— ახლა აღმოსავლეთისკენ გავეშუროთ, მთა გადავიაროთ და სკაფტარტუნგასკენ დავეშვათ, იქიდან კი ჩუმად იმ ადგილებს მივმართოთ, სადაც ფლოსის თინგში შემავალი ხალხი ცხოვრობს. გადავწყვიტე იქ, აღმოსავლეთში, ალფტაფიორდში დავჯდე ხომალდზე და ისლანდიიდან წავიდე.

ბიარნმა თქვა:

— ეგ ძალზე საშიში მგზავრობა იქნება. მე და შენს გარდა ბევრი ვერ გაბედავს მაგას.

ცოლმა უთხრა:

— იცოდე, თუ კარის მსარში ვერ ამოუდექი, ჩემს ლოგინში წოლას ვეღარ ეღირსები. მაშინ ჩემი ნათესავები გაყოფენ ჩვენს შორის ქონებას.

— ჩემო მეუღლეო, — მიუგო ბიარნმა, — სხვა რამეზე ფიქრი უფრო მოგვიწევს, ვიდრე ჩვენს განშორებაზე, რადგან ბრძოლაში დავამტკიცებ, რა გულადი გმირიცა ვარ.

ისინი იმავე დღეს გაემართნენ მთებისკენ და ახლოს არ გაპკარებიან შარაგზას. სკაფტარტუნგასკენ დაეშვნენ, ყველა კარ-მიდამოს გვერდი აუარეს, მდინარე სკაფტის მიმართეს, იქ კი ცხენები ერთ ტაფობში შეიყვანეს. თვითონ ჩასაფრდნენ ისე, რომ მათ ვერავინ შეამჩნევდა. მაშინ კარიმ ბიარნს უთხრა:

— როგორ მოვიქცეთ, თუ ისინი მთებიდან პირდაპირ ჩვენკენ გამოსწევენ?

— ორში ერთი, — ეუბნება ბიარნი, — ან ამ ფერდობს ავუყვეთ და ჩრდილოეთისკენ გავწიოთ, რომ მათ გვერდი აგვიქციონ, ან დაველოდოთ, თუ ვინმე ჩამორჩა მათ, და თავს დავესხათ.

ამაზე ბევრი ილაპარაკეს. ბიარნი ხან იძახდა, ფეხს დავკრავ და გავიქცევიო, ხანაც იმას ამბობდა, დავიცდი და მტერს თავს დავესხმიო. კარი ამაზე გულიანად იცინოდა.

სიგფუსის ვაუები სახლიდან იმ დღეს გავიდნენ, როგორც ბიარნს უთხრეს. ისინი მარკში მივიდნენ, კარზე დაარასუნეს, რადგან ბიარნის ნასვა უნდოდათ. გამოვიდა დიასახლისი და მიესალმათ. მათ მაშინვე ბიარნი იკითხეს, ქალმა კი უთხრა, ბიარნი ეიაფელის მთისკენ გაემართა, იქიდან აღმოსავლეთში სელიალანდსმულში წავა და მერე ჰოლტისკენ გაეშურებაო.

— იქ ფული აქვს მისაღები, — დაუმატა მან.

სიგფუსის ვაუებმა დაიჯერეს, რადგან იცოდნენ, რომ ბიარნს იმ ადგილებში მართლაც ფული ჰქონდა მისაღები. მაშინ ისინი აღმოსავლეთის მთებისაკენ გაემართნენ და გაუჩერებლად იარეს, ვიდრე სკაფტარტუნგას არ მიაღწიეს, იქიდან მდინარე სკაფტის დაუყვნენ და დასასვენებლად, ცხენების საძოვრად სწორედ იქ დადგნენ, სადაც კარიმ და ბიარნმა ივარაუდეს. შემდეგ ვაიყვნენ, კეთილ მარკელი და კიდეე რვა კაცი აღმოსავლეთში მედალანდისკენ გაემართნენ, დანარჩენები კი დასაძინებლად მიწვნენ და მისედვ-მოსედვა ვერ მოასწრეს, რომ კარი და ბიარნი თავს წაადგნენ. მდინარეში ერთი პატარა კონცსი იყო წაშვერილი. კარი ამ კონცსზე ვავიდა და ბიარნს უთხრა, უკან მომიდექი და მაინცა და მაინც წინ ნუ წამოვარდებიო.

— ისე კი, მომესმარე, როგორც შეიძლო, — უთხრა მან.

— ჯერ მე კაცს უკან არ ამოვფარებივარ, — თქვა ბიარნმა, — მაგრამ დაე, ისე იყოს, როგორც შენ ამბობ. ჩემი მოხერხებულო-

ბიია და ყასტიანობით შენც გამოგადგები და მტერსაც სეირს არ დავაყრი.

ამ დროს ყველანი წამოცვივდნენ და მათ ეცნენ. ყველაზე დიდი სიმარდე მოდოლვ კეთილის ძემ გამოიჩინა. მან კარის შუბი აძგერა, კარიმ ფარი დაუსვედრა და შუბი შიგ გაესირა. კარიმ ფარი ისეთი ძალით შეაბრუნა, რომ შუბი გატყდა. მან მასვილი მოიქნია და მოდოლვს შემოპკრა. ახლა მოდოლვმა დასცა მასვილი. კარიმ ვადაში მოახვედრა, მახვილი ასსლტა და მოდოლვს მაჯა წაპკვეთა. სელი მიწაზე დავარდა მასვილითურთ. მაშინ კარიმ მოდოლვს მასვილი გვერდში შემოპკრა ნეკნებშუა. მოდოლვი ძირს დაეცა და იქვე მოკვდა. გრანი გუნარის ძემ შუბს სტაცა ხელი და კარის ესროლა, მაგრამ მან ფარი უცბად მიწაში ჩაარჭო, მარცსენა სელით შუბს პაერში სწვდა, უკანვე სტყორცნა გრანის და ისევ თავის ფარს წაეტანა მარცსენა სელით. გრანიმ ფარი იფარა, მაგრამ შუბმა გაუპო იგი, საზარდულის ქვემოთ მოსვდა ბარძაყში, შიგ გაუარა და მიწაში ჩაერჭო. გრანიმ თავი ვეღარ დააღწია შუბს, ვიდრე ამსანაგებმა ტაფობში არ გადაათრიეს და სედ ფარები არ დააფარეს. მაშინ ერთი კაცი კარის მივარდა და უნდოდა ფეხი მოეკვეთა მისთვის. მან კარის გვერდიდან მოუარა, მაგრამ ამ დროს ბიარნმა მას სელი წაპკვეთა და ისევ კარის ამოეფარა ისე, რომ ვერავინ ვერაფერი ვერ მოუხერხა. კარიმ ამ კაცს მახვილი გადაპკრა და წელთან შუაზე გაჩესა იგი. მაშინ ლამბი სიგფუსის ძე ეკვეთა კარის და მასვილი მოუქნია. კარიმ ფარი დაუსვედრა და მახვილი ზედ დასსლტა. კარიმ შემოჰკრა და მასვილი ბეჭებში გაუტარა. ლამბი იქვე გათავდა. მაშინ კარის თორსტეინ გეირლეივის ძე მივარდა და ფერდში შემოკერა დაუპირა. კარიმ თვალი შეასწრო თორსტეინს, მახვილი ბეჭებზე დაპკრა და შუაზე გააპო. მალე მან სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა კეთილ ბონდს სკალელ გუნარს. ბიარნმა სამი კაცი დაჭრა, რომლებიც კარის მიწვდენას ლამობდნენ, მაგრამ არც ერთსელ არ დაწინაურებულა ისე, რომ თავი საფრთხეში ჩაეგდო. არც ის და არც კარი არ დაჭრილან, მათი მოქიშპენი კი ყველანი დაჭრილები იყვნენ. მაშინ ისინი თავიანთ ცხენებს მოახტნენ და, რაც ძალი და ღონე პქონდათ, გაქუსლეს, მდინარე სკაფტი გადაიარეს და თან ისე იყვნენ დამფრთხალნი, რომ არავისთან შეუვლიათ და ვერც ვერავისთან გაბედეს ამ ამბის მბობა. კარი და ბი-

არნი უკან მისძასოდნენ გაქცეულთ. ისინი აღმოსავლეთში სკოგაპვერვისკენ გაემართნენ და არსად გაჩერებულან, ვიდრე სვინაფელს არ მიაღწიეს. იქ რომ მივიდნენ, ფლოსი შინ არ დასვდათ და ამიტომ არავინ გამოსდევნებია კარისა და ბიარნს. ყველამ სამარცსვინოდ მიიჩნია ეს მგზავრობა.

კარი სკალში გაემართა და გამოაცხადა, რა მკვლელობაც ჩაიდინა. თქვა, რომ მოკლა მათი პატრონი, კიდევ ხუთი კაცი, და დაჭრა გრანი. ისიც უთხრა, უმჯობესი იქნება, თუ გრანის სახლში გადმოიყვანთ, თუ სიცოცხლე უწერიაო. ბიარნმა თქვა, არ მინდა მისი მოკვლა, თუმცა ღირსი არისო. იმათ კი, ვინც მას ეპასუხებოდა, უთხრეს, მაინც და მაინც ბევრი სალხი შენ არ დაგისოციაო. ბიარნმა მიუგო, შემეძლო იმდენი დამეხოცა სიდელნი, რამდენსაც მოვისურვებდიო. იმათაც უთხრეს, კიდევ კარგი, ეგ არ მოხდაო. ამის შემდეგ კარი და ბიარნი წავიდნენ.

151

კარიმ ბიარნს პკითხა:

— ასლა რა ვქნათ?

ბიარნმა მიუგო:

— შენი ფიქრით, ასლა ყველაფერი ჩვენს ჭკუაზეა დამოკიდებული?

— დიას, — მიუგო კარიმ, — რაღა თქმა უნდა.

— მაშინ საყოყმანო არაფერი გვჭირს, — თქვა ბიარნმა, — ისე გავაცურებთ ყველას, როგორც დევებს: თავი ისე დავიჭიროთ, თითქოს ჩრდილოეთისკენ ვაპირებდეთ წასვლას, მთა-მთა, და როგორც კი კლდეს მოვეფარებით, მდინარე სკაფტისკენ გავუხვიოთ და იქ დავიმალოთ, სადაც უკეთესი იქნება, და დავიცადოთ, ვიდრე ჩვენს ძებნაში იქნებიან, თუკი დაგვედევნენ.

კარიმ თქვა:

— ეგრე მოვიქცეთ. მეც სწორედ ეგ მქონდა გუნებაში.

— აი, ნახავ, — თქვა ბიარნმა, — თუ მე ან ჭკუა მაკლია, ან ვაუკაცობა.

ის და კარი დაიძრნენ და, როგორც აპირებდნენ, მდინარე სკაფტის დაუყვნენ. მდინარის ერთი ტოტი სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ

უსვევდა. ისინი შუა ტოტს დაჰყენენ და არ გაჩერებულან, ვიდრე მედალანდში იმ ჭაობთან არ მივიდნენ, რომელსაც კრინგლუმიური ეწოდება. იქაურობას ლავა ჰქონდა მოფენილი. კარიმ ბიარნს უთხრა, ცხენებისათვის მიესედა და ფხიზლად სჭეროდა თვალყური.

— მინდა ცოტა თვალი მოვატყუო, — თქვა მან.

ბიარნი ცხენებს მიუბრუნდა, კარი კი მიწაზე წამოწვა. ის იყო წასთვლიმა, რომ ბიარნმა გააღვიძა. მას ცხენებისთვის თავი დაეყარა და იქვე ეყენა. ბიარნმა თქვა:

— რა გეშველებოდა, მე რომ არ გყავდე. ჩემს ადგილზე სხვა ლაჩარი ვინმე გაიქცეოდა და მიგატოვებდა. აგერ, შენი მტრები გვიასლოვდებიან. მზად იყავ.

კარი წინ წამოშვერილ კლდეს მოეფარა. ბიარნმა ჰკითხა:

— მე სადღა დავდგე?

კარიმ მიუგო:

— ორში ერთი: ან უკან მომიდექი და ფარი იფარე, თუ დაგჭირდეს, ან შეჯექ ცხენზე და აქედან მოუსვი, რაც ძალი და ღონე გაქვს.

— მაგას არ ვიზამ, — თქვა ბიარნმა, — მრავალ მიზეზთა გამო. ჯერ ერთი, თუ წავედი, ეს სალსი იტყვის, რომ შემეშინდა და იმიტომ მიგატოვე. მეორე ის, რომ ვიცი, ეცდებიან სელიდან არ წავუვიდე და ორი-სამი კაცი მაინც გამომედევნება, და მაშინ კი ვერაფრით დაგეხმარები. ამიტომ, ჯობს ისევ შენთან დავრჩე და შენთან ერთად ვიბრძოლო.

დიდხანს ცდა არ დასჭირვებიათ და ჭაობის მხრიდან საპალნეაკიდებული ცხენები გამოჩნდნენ, რომლებსაც სამი კაცი მოსდევდა.

კარიმ თქვა:

— ეგენი ჩვენ ვერ გვხედავენ.

— გაუშვი გაიარონ, — თქვა ბიარნმა.

იმათ გაიარეს, შემდეგ კიდევ ექვსნი გამოჩნდნენ. მოახლოვდნენ თუ არა, ცხენებიდან გადმოხტნენ და კარისა და ბიარნს მისცვივდნენ. კარის პირველი გლუმ ჰილდირის ძე ეცა და შუბი მოუღერა. კარი ქუსლზე შეტრიალდა, გლუმმა აცდინა და შუბი კლდეს მოხვდა. ბიარნმა ეს დაინახა, გლუმს ფერდში შემოჰკრა და მთლიანად წააცალა ფეხი ისე, რომ გლუმი იქვე მოკვდა. მაშინ კარის თორფი-

ნის ვაჟები — ვებრანდი და ასბრანდი დაესხნენ თავს. კარი ვებ-რანდს ეკვეთა და მასვილით განგმირა, შემდეგ კი ორივე ფეხი მოსხიპა ასბრანდს. ამ შეტაკებაში კარიც დაიჭრა და ბიარნიც. ახ-ლა კეთილ მარკელი მივარდა კარის და შუბის კვრა დაუპირა, კა-რიმ ფეხი გამოსწია და შუბი მიწაში ჩაერჭო. კარი ტარზე შეხტა და გადატეხა იგი. კარიმ ხელი სტაცა კეთილს. ამ დროს ბიარნმა მოირბინა და მოკვლა დაუპირა კეთილს. კარიმ თქვა:

— დაესხენ. ამას არაფერს ვერჩი. და კიდევ რომ ჩამივარდე ხელში, კეთილ, მაინც არ მოგკლავ.

კეთილმა არაფერი უპასუხა და თავის თანამგზავრებს დაედევნა. მან ეს ამბავი სხვებს უამბო, ვისაც იგი ჯერ არ გაეგოთ. მათ კი ყველაფერი გადასცეს იმ მხარის მკვიდრთ. იმათაც წამსვე იარაღი აისხეს და ყველგან მოედვნენ მთებში, თუკი სადმე მდინარე იყო. სამი დღე იარეს ჩრდილოეთისკენ, მერე უკან გამოტრიალდნენ და თავ-თავიანთ სახლებში დაბრუნდნენ. კეთილი და მისი თანამგზავ-რები აღმოსავლეთისკენ გაემართნენ სვინაფელში და იქაურებს უამბეს ყველაფერი, რაც შეემთხვათ. ფლოსის გულთან ახლოს არ მიუტანია ეს ამბავი და თქვა, არავინ იცის მაგით დამთავრდება თუ არა ყველაფერიო.

— ახლა კარისთანა ვაუკაცი ჩვენს ქვეყანაში არ დადის, — დაუ-მატა მან.

152

ახლა ის უნდა გიამბოთ, თუ როგორ გაემგზავრა კარი სანდში. მან თავისი ცხენები ქვიშიან ბორცვთან მიიყვანა და შვრია და ნამ-ჯა დაუჭრა, რომ ცხენები შიმშილით არ დახოცილიყვნენ. ისე გა-მოიანგარიშა ყველაფერი, რომ სწორედ მაშინ წავიდა, როდესაც მათ ძებნას მორჩნენ. ღამით მან მთელი ის მხარე მოიარა. ის და ბიარნი მთებში იმავე გზით გაემართნენ, რომლითაც აქ მოვიდნენ. გაუჩერებლად იარეს, ვიდრე შუა მარკს არ მიაღწიეს. მაშინ ბიარ-ნმა კარის უთხრა:

— ახლა ჩემს ცოლთან შემაქე, თორემ მე არაფერს დამიჯერებს, ჩემთვის კი დიდად საჭიროა, რომ მენდოს. მეცი სამაგიერო პატივი დახმარებისთვის.

— აგრე იყოს, — თქვა კარიმ.

ამის შემდეგ ეზოში შევიდნენ. დიასახლისი სიხარულით გამოეგება და ამბავი გამოჰკითხა. ბიარნმა უთხრა:

— ასლა კი ცუდად არის საქმე, დედაკაცო.

ქალმა არაფერი უთხრა და გაიცინა. შემდეგ იკითხა:

— როგორ გეშველებოდა ბიარნი, კარი?

კარიმ მიუგო:

— ხომ გაგიგონია, ძმა ძმითაო. თუ ძმა არა გყავს, ვერც ზურგი გექნება მაგარი. ბიარნიც ყოჩაღურად იქცეოდა. სამი კაცი დაჭრა და თვითონაც დაიჭრა. რაც შეეძლო, მეხმარებოდა.

აქ მათ სამი ღამე გაათიეს. შემდეგ პოლტში გაემართნენ თორგეირთან და უამბეს, რაც თავს გადახდათ, რადგან აქ ჯერ არაფერი იცოდნენ. თორგეირმა კარის მადლობა გადაუხადა და ეტყობოდა, გახარებული იყო ამ ამბით. მან კარის ჰკითხა, დარჩა თუ არა რამე გასაკეთებელი, რასაც აპირებდა. კარიმ მიუგო:

— გადაწყვეტილი მაქვს დავსოცო გუნარ ლამბის ძე და კოლ თორსტეინის ძე, თუ სელში ჩამივარდნენ. მაშინ თხუთმეტი კაცი გვეყოლება მოკლული იმ ხუთ კაციანად, რომლებიც ერთად დავხოცეთ. კიდევ ერთი რამ უნდა გთხოვო.

თორგეირმა უთხრა, ყველაფერს შეგისრულებ, რაც არ უნდა მთხოვოო.

— მინდა მფარველობა გაუწიო ამ კაცს. სახელად ბიარნი ჰქვია. იგი ჩემთან ერთად იბრძოდა. იქნებ კარ-მიდამო გაუცვალო და აქ, შენთან, მეურნეობა მისცე. დაიცავი, რომ არავინ იძიოს მასზე შური. შენნაირი პავდინგისთვის ეგ ძნელი არ არის.

— აგრე იყოს, — თქვა თორგეირმა.

მან ბიარნს მთელი მეურნეობა გადასცა ასოლვსკალში და თვითონ კი მარკის კარ-მიდამო ჩაიბარა. თორგეირმა თვითონ გადმოიყვანა ბიარნის მთელი ჯალაბობა და მთელი ავლა-დიდებაც გადმოზიდა ასოლვსკალში. მან ბიარნის საქმეები მოაგვარა და ყველასთან შეარიგა იგი. ბიარნი ახლა ბევრად უფრო ღირსეულ კაცად მიაჩნდათ, ვიდრე ადრე.

კარი გზას გაუდგა და ლაგამმიშვებულმა იარა, ვიდრე ტუნგაში არ მივიდა ასგრიმ ელიდი-გრიმის ძესთან. იგი დიდებულად დაუსვდა კარის და კარიმაც ყველაფერი უამბო, რაც თავს გადახდა. ას-

გრიმი დიდად გაასარა კარის მონათხრობმა და პკითხა, ახლა რაღას აპირებო. კარიმ მიუგო:

— მინდა ისლანდიიდან წავიდე, მათ დავედევნო, სადმე მოვასელთო და, თუ მოვახერხე, დავხოცო.

ასგრიმმა უთხრა, კაცი ვერ შეგედრებაო ვაუკაცობით. კარიმ მასთან რამდენიმე ღამე გაათია. შემდეგ გიცურ თეთრთან გაემართა, რომელიც მას სულითა და გულით შეხვდა. კარიმ მასთან რამდენიმე ხანი დაპყო და გიცურს უთხრა, ეირარში ვაპირებო წასვლას. გამოთხოვებისას გიცურმა მას კარგი მახვილი აჩუქა. შემდეგ კარი ეირარში გაემგზავრა და კოლბეინ შავს მოელაპარაკა ზღვის გაღმა გაყვანაზე. კოლბეინი ორკნეის კუნძულების მკვიდრი და კარის ერთგული მეგობარი იყო, თან ღონეც ერჩოდა და გულიც. იგი კარის სელგაშლილი შეხვდა და უთხრა, ამას იქით ერთ ბედქვეშ ვიქნებითო.

153

ახლა ფლოსი გაემართა აღმოსავლეთისკენ პორნაფიორდში და თან ხალხიც ბლომად გაპყვა. მათ გადაზიდეს თავიანთი საქონელი, საგზაო მარაგი და ყველაფერი, რაც თან უნდა წაეღოთ. შემდეგ გასამგზავრებლად გაემზადნენ და სომალდიც გააწყეს. ფლოსი სომალდთან იყო, ვიდრე იგი არ გამართეს. ზურგქარმა რომ დაუბერა, ზღვაში გავიდნენ. დიდხანს იყვნენ ღია ცის ქვეშ, ამინდი წახდა და ბევრი იბორიალეს ზღვაზე. ერთ ღამეს მათ ხომალდს სამი უზარმაზარი ტალღა დაატყდა თავს და ფლოსიმ თქვა, აქ ალბათ ასლომახლოს მიწაა და ეს ზღვის მოქცევაა. სქელი ნისლი იყო ჩამოწოლილი. ავდარი გამძაფრდა და სომალდს მძლავრი გრიგალი დაეტაკა. მიხედვ-მოხედვა ვერ მოასწრეს, რომ ნაპირზე გაირიყნენ ღამის სიბნელეში. ხალხი გადარჩა, მაგრამ ხომალდი ნაფოტებად იქცა და საქონელი ვეღარ იხსნეს. დაუწყეს ძებნა თავშესაფარს, რომ გამთბარიყვნენ. მეორე დღეს ერთ ბორცვზე ავიდნენ. კარგი ამინდი იდგა. ფლოსიმ იკითხა, ვინმე თუ ხართო აქ ნამყოფი ადრე და თუ სცნობთო ამ მხარეს. ორმა მათგანმა, რომლებიც ადრე ყოფილიყვნენ აქ, იცნეს ეს ადგილები და თქვეს:

— ორკნეის კუნძულებზე ვართ და პროსეის კუნძულზე გამოვურიყივართ.

— რაღა აქ მოვხვდით, — თქვა ფლოსიმ, — ჰელგი ნიალის ძე, მე რომ მოვკალი, ხომ იარლ სიგურდ ჰლადვირის ძის რაზმელი იყო.

მოძებნეს თავშესაფარი, ხავსი დაგლიჯეს და ზედ გადაიფარეს. დიდსანს არ წოლილან, რომ ფლოსიმ თქვა:

— აქ წოლა არას გვარგია. აქაურები დაგვინახავენ.

მაშინ წამოდგნენ და ბჭობას შეუდგნენ. ფლოსიმ თავის ხალხს უთხრა:

— წავიდეთ და იარლს ჩავბარდეთ. სხვა მაინც არაფერი დაგვრჩენია, რადგან იარლი, როცა მოისურვებს, მაშინ ჩაგვიგდებს ხელში.

მაშინ ყველანი გაეცალნენ იქაურობას. ფლოსიმ ისინი გააფრთხილა, არავისთვის ეამბნათ თავიანთი თავგადასავალი, ვიდრე თვითონ არ ეტყოდა იარლს ყველაფერს. იარეს, ვიდრე არ შეხვდათ ხალხი, რომლებიც მათ იარლთან გაუძღვნენ. ისინი იარლს წარუდგნენ და ფლოსი და მისი ხალხი მიესალმნენ მას. იარლმა ვინაობა ჰკითხა. ფლოსიმ თავისი სახელი უთხრა და დაუმატა, ისლანდიის რომელი მხრიდანაც იყო. იარლმა უკვე იცოდა ნიალის დაწვის ამბავი და მაშინვე იცნო ისინი. მან ფლოსის ჰკითხა:

— რას მეტყვი ჰელგი ნიალის ძეზე, ჩემს რაზმელზე?

— იმას, — მიუგო ფლოსიმ, — რომ მე მას თავი მოვკვეთე.

იარლმა მათი შეპყრობა ბრძანა და ასეც მოხდა. მაშინ მოვიდა თორსტეინი, სიდელი ჰალის ძე. ფლოსის ცოლად ჰყავდა თორსტეინის და სტეინვარი. თორსტეინი სიგურდ იარლის რაზმელი იყო. როდესაც დაინახა, რომ ფლოსის ხელი სტაცეს, იარლს წარუდგა და მთელი თავისი ქონება შესთავაზა ფლოსის სანაცვლოდ. იარლი საშინლად იყო განრისხებული. ბოლოს მაინც, რაკი თორსტეინი და ბევრი ღირსეული ადამიანი ჩაერია, — რადგან თორსტეინს მრავლად ჰყავდა მეგობრები, რომლებიც მის თხოვნას შეუერთდნენ, — იარლმა დათმო და შეიწყალა ფლოსი და მისი ხალხი. იარლმა, სახელოვან ადამიანთა ჩვეისამებრ, ფლოსი აიყვანა ჰელგი ნიალის ძის ნაცვლად. ამრიგად, ფლოსი სიგურდ იარლის რაზმელი გახდა და მალე იარლმა ძალზე შეიყვარა იგი.

ფლოსისა და მისი სალსის პორნაფიორდიდან გასელის ნახევარი თვის შემდეგ კარი და კოლბეინ შავი ზღვაში გავიდნენ. ზურგქარი უბერავდა და დიდხანს არ უვლიათ. ფრიდარეის კუნძულს მიადგნენ. იგი შეტლანდისა და ორკნეის კუნძულებს შორის მდებარეობს. კარიმ თავის სახლში სტუმრად მიიწვია კაცი, რომელსაც დავით თეთრს ეძახდნენ. მან კარის უამბო ყველაფერი, რაც ფლოსის მგზავრობის შესახებ იცოდა. დავით თეთრი კარის კარგი მეგობარი იყო და მთელი ზამთარი კარიმ მასთან გაატარა. მალე ისიც შეიტყვეს, თუ რა სდებოდა დასავლეთში, პროსეის კუნძულზე.

სიგურდ იარლმა საშობაოდ დაპატიჟა გილი იარლი, თავისი სიძე, ჰებრიდის კუნძულებიდან. გილი იარლს ცოლად პყავდა სვანლაუგი, სიგურდ იარლის და. იმხანადვე სიგურდ იარლს ირლანდიიდან ეწვია კონუნგი სიგტრიუგი, ოლავ კვარანის ძე. დედამისს ერქვა კორმლადი. სილამაზით ქალი ვერ შეედრებოდა და ყველაფერში კარგ თვისებას ავლენდა, რაც მისი ნება არ იყო, მაგრამ მტრისას, თუ რამე იყო მასზე დამოკიდებული. ბრიანი ერქვა მეფეს, რომელსაც იგი ცოლად პყავდა, მაგრამ უკვე გაშორებულები იყვნენ. ბრიანი საუკეთესო იყო მეფეთა შორის. მას ტასტი კანტარაბორგში ედგა, ირლანდიაში. ჰყავდა ძმა, სასელად ულვ საფრთხოველა, უდიდესი რაინდი და მეომარი. ბრიანს აღსაზრდელად აყვანილი ჰყავდა კერთიალვადი, ძე კონუნგ კიულვისა, რომელიც დიდხანს ებრძოდა მეფე ბრიანს, მერე გაექცა მას ქვეყნიდან და მონასტერს შეაფარა თავი. მაგრამ როდესაც მეფე ბრიანი სალოცავად გაემართა რომში, კონუნგ კიულვის შესვდა და შერიგდნენ. მეფე ბრიანმა აღსაზრდელად აიყვანა მისი ძე კერთიალვადი და საკუთარ შვილებზე მეტად შეიყვარა იგი. ეს ამბები რომ ხდებოდა, იგი უკვე დავაუკაცებული იყო და უმამაცეს კაცად ითვლებოდა. მეფე ბრიანის ერთ შვილს დუნგადი ერქვა, მეორეს მარგადი, მესამეს კი ტადკი, რომელსაც ჩვენ ტანს ვეძახით. იგი უმრწემესი იყო მათ შორის. მეფე ბრიანის უფროსი ვაჟები უკვე მოზრდილი და მამაცი ჭაბუკები იყვნენ. კორმლადი არ ყოფილა მეფე ბრიანის შვილების დედა. განშორების შემდეგ მან ისე შეიძულა მეფე ბრიანი, რომ სულ მის სიკვდილს ნატრობდა. დანაშაულის ჩამდენთ მეფე ბრიანი

სამჯერ პატიობდა, მაგრამ თუ ისინი კიდევ დააშავებდნენ რამეს, მაშინ მათ კანონის მიხედვით სჯიდნენ. აქედან ჩანს, თუ როგორი მეფეც იყო იგი. კორმლადი გაუთავებლად ჩასჩიჩინებდა თავის შვილს, სიგტრიუგს, მოეკლა ბრიანი. ამიტომ მან სიგტრიუგი სიგურდ იარლთან გაგზავნა დასმარების სათხოვნელად. შობის წინ სიგტრიუგი ორკნეის კუნძულებზე მივიდა. აქვე მოვიდა გილი იარლიც, როგორც წინ ეწერა.

ხალხი ისე დასხეს, რომ კონუნგი საპატიო სკამის შუაში იჯდა, აქეთ-იქიდან კი იარლები ესხდნენ. სიგტრიუგისა და გილის სალსს შიგნითა მხარეს ეკავათ ადგილები, სიგურდ იარლისაგან კი შემოსასვლელისკენ ფლოსი და თორსტეინ პალის ძე ისხდნენ. დარბაზში ტევა აღარ იყო. კონუნგმა სიგტრიუგმა და გილი იარლმა მოისურვეს მოესმინათ ნიალის დაწვის ამბავი და რაც მას შემდეგ მოსდა. ამბის მოყოლა გუნარ ლამბის ძეს დაავალეს და სკამიც დაუდგეს, რომ ზედ დამჯდარიყო.

155

სწორედ იმ დროს კარი, კოლბეინი და დავით თეთრი ისე მივიდნენ პროსეიზე, რომ ძე ხორციელს არ გაუგია. მაშინვე ნაპირზე გადმოვიდნენ და ხომალდის სადარაჯოდ რამდენიმე კაცი დატოვეს. კარიმ და მისმა თანამგზავრებმა იარლის სასახლეს მიაშურეს და დარბაზს ნადიმობის დროს მიადგნენ. ისე მოხდა, რომ გუნარი თავის სათხრობს პყვებოდა, კარი გარეთ გაჩერდა და ყური წაუგდო. ეს ამბავი სწორედ შობა დღეს მოხდა.

კონუნგ სიგტრიუგმა პკითხა:

— როგორ ეჭირა თავი სკარპჰედინს ხანძრის დროს?

— ჯერ დიდხანს ყოჩაღად იყო, — თქვა გუნარმა, — მაგრამ ბოლოს კი მაინც ტირილი აუვარდა.

იგი მიკერძოებით ლაპარაკობდა და ბევრს ცრუობდა. კარიმ ველარ მოითმინა, მახვილამოღებული შევარდა დარბაზში და ასეთი შაირი თქვა:

გამარჯვებით მოაქვთ თავი
შფოთის ამტეს მეომრებს,
ნუთუ ჯერაც არ იციან,
შური რარიგ ვიძიეთ?

შორს გავარდა ამბავი
ჩვენი შურისგებისა,
ყველა-ყორანსაც თავს ასდის
ხორცი საჯიჯგნ-საფლეთად.

იგი დარბაზის სიღრმეში შეიჭრა და ისე სწრაფად დაპკრა მახვილი გუნარ ლამბის ძეს კისერში, რომ თავი იმ მაგიდაზე გადავარდა, რომელიც კონუნგსა და იარლებს ედგათ წინ. მთელი მაგიდა და იარლთა სამოსელი სისხლით დაისვარა. სიგურდ იარლმა იცნო ამ მკვლელობის ჩამდენი და თქვა:

— შეიპყარით კარი და მოკალით!

კარი სიგურდ იარლის რაზმელად იყო ნამყოფი და ყველას ძალიან უყვარდა. ამიტომ, იარლის სიტყვების მიუხედავად, არავინ არ განძრეულა. კარიმ თქვა:

— ბევრნი გეტყვიან, სელმწიფეო, რომ ეს მე თქვენი გულისთვის მოვიმოქმედე, რათა თქვენი რაზმელის სისხლი ამეღო.

ფლოსიმ თქვა:

— კარის ეს უმიზეზოდ არ ჩაუდენია. ეგ ხომ ჩვენ არ შეგვრიგებია. მაგან ის გააკეთა, რაც მოეთხოვებოდა.

კარი წავიდა და უკან არავინ დასდევნებია. იგი თავისი თანამგზავრებით ხომალდისკენ გაეშურა. კარგი ამინდი იდგა და მათ სამსრეთით, კატანესისკენ გასცურეს. ნაპირზე თრასვიკში გადავიდნენ, სადაც ერთი სახელოვანი კაცი, სკეგი ცხოვრობდა და მასთან კარგა ხანს დარჩნენ.

ორკნეველებმა კი მაგიდა აალაგეს და მოკლული გარეთ გაიტანეს. იარლს მოახსენეს, რომ კარი შოტლანდიისკენ გაემართა. სიგტრიუგ კონუნგმა თქვა:

— იშვიათი ვაჟკაცობა უნდა პქონდეს კაცს, რომ ასე უშიშრად მივარდეს მტერს.

სიგურდ იარლმა თქვა:

— კარის ვერავინ შეედრება სიმამაცეში.

მაშინ ფლოსიმ აიღო სიტყვა და დალაგებით მოპყვა ნიალის დაწვის ამბავს. იგი მიუდგომლად ლაპარაკობდა და ყველამ დაიჯერა მისი ნაამბობი.

მაშინ სიგტრიუგ კონუნგმა თავის საქმეზე დაუწყო საუბარი სიგურდ იარლს და სთხოვა, მეფე ბრიანის წინააღმდეგ ომში წაპ-

ყოლოდა. იარლი ჯერ უარზე იდგა, მაგრამ ბოლოს კი დათანხმდა და თავისი პირობები წაუყენა. მან კონუნგი დაიყაბულა, რომ ცოლად შეირთავდა მის დედას და ირლანდიის მეფე გახდებოდა, თუ ბრიანს სძლევდნენ. სიგურდ იარლს ყველა ურჩევდა არ გარეულიყო ამ ცილობაში, მაგრამ არაფერი გამოვიდა. განშორებისას სიგურდ იარლმა ლაშქრობაში ხლება აღუთქვა, სიგტრიუგ კონუნგი კი თავისი დედის ხელსა და სამეფოს დაპირდა. შეთანხმდნენ, რომ სიგურდ იარლი მთელი თავისი ლაშქრით ბზობის კვირას ჩავიდოდა დუბლინში.

ამის შემდეგ სიგტრიუგი სამხრეთისკენ გაემგზავრა ირლანდიაში, და კორმლადს, თავის დედას უთხრა, იარლი დახმარებას შემპირდაო, და ისიც დაუმატა, რაც სანაცვლოდ აღუთქვა. კორმლადს გაესარდა, მაგრამ თქვა, კიდევ უფრო მეტი ლაშქრის შეკრებაა საჭირო. სიგტრიუგმა მიზეზი ჰკითხა. კორმლადმა უპასუხა, რომ ზღვაში, კუნძულ მენის დასავლეთით ორი ვიკინგი დგას და ოცდაათი ხომალდი უყენიათო, და დაუმატა:

— ისეთი მამაცი მეომრები არიან, რომ წინ ვერავინ დაუდგება. ერთ მათგანს ოსპაკი ჰქვია, მეორეს ბროდირი. უნდა წახვიდე მათთან და დაპირდე, რაც არ უნდა გთხოვონ, თუკი დახმარებაზე დაიყაბულებ.

სიგტრიუგიც ადგა და ვიკინგებთან გაემართა. ისინი მენის კუნძულთან ნახა. მაშინვე ამცნო, რისთვისაც იყო მოსული, მაგრამ ბროდირი უარზე იდგა, ვიდრე სიგტრიუგმა თავისი სამეფო და დედის ხელი არ აღუთქვა. ეს შეთანხმება საიდუმლოდ უნდა შეენახათ, რომ სიგურდ იარლს არაფერი შეეტყო. ბროდირიც ბზობას უნდა ჩამოსულიყო დუბლინში. სიგტრიუგ კონუნგი შინ დაბრუნდა დედასთან და უამბო, როგორც იყო საქმე.

ამის შემდეგ ოსპაკმა და ბროდირმა თათბირი გამართეს. ბროდირმა ოსპაკს ყველაფერი უამბო, რა ლაპარაკიც ჰქონდა სიგტრიუგთან, და სთხოვა, ბრიანთან ომში გაჰყოლოდა. ბროდირმა უთხრა, რომ ამას მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ოსპაკმა მიუგო, რომ არ სურდა ბრძოლა ესოდენ კეთილი მეფის წინააღმდეგ. ორივეს ბრაზი მოეკიდა და ლაშქარი გაიყვეს. ოსპაკმა ათი ხომალდი წაიყვანა, ბროდირმა კი ოცი. ოსპაკი წარმართი იყო და გონიერებით ყველას სჯარბობდა. მან თავისი ხომალდები ყურეში დააყენა,

ბროდირი კი გაშლილ ზღვაში გავიდა. ბროდირი უწინ ქრისტიანი იყო და დიაკვნობდა, მაგრამ შემდეგ რწმენას განუდგა, ღმერთს უღალატა, წარმართულად მსსვერპლის შეწირვას მიპყო ხელი და ჯადოქრობაშიც ძალზე გაიწაფა. ტანთ ჯაჭვის პერანგი ემოსა, რომელსაც ფოლადი ვერაფერს აკლებდა. ტანმაღალი და ძალოვანი კაცი იყო და ისე გრძელი თმა გაზრდოდა, რომ სარტყელში იტანდა ხოლმე. თმა შავი ჰქონდა.

156

ერთ ღამეს ბროდირსა და მის ხალხს საშინელმა გრგვინვამ გადაუარა თავზე. ყველას გაეღვიძა, წამოცვივდნენ და ტანთ ჩაიცვეს. მოდიოდა მდუღარე სისხლის წვიმა. თავზე ფარები დაიფარეს, მაგრამ ბევრი მაინც დაიფუფქა. ამ სასწაულმა დილამდე გასტანა. ყოველ ხომალდზე თითო კაცი დაიღუპა. ამის შემდეგ მთელი დღე ძილში გაატარეს. მეორე ღამეს კვლავ გაისმა გრგვინვა და კვლავ ყველა ფესზე წამოვარდა. ახლა მახვილები ამოსსლტნენ ქარქაშებიდან, ნაჯასები და შუბები ჰაერში აიჭრნენ და ბრძოლა გააჩაღეს. მერე მთელი იარაღი ისეთი ძალით მოაწყდა მათ, რომ იძულებულნი გახდნენ ფარები აეფარებინათ, მაგრამ მაინც ბევრი დაიჭრა და ყოველ ხომალდზე თითო კაცი დაიღუპა. დილამდე გასტანა ამ სასწაულმა. შემდეგი დღე ისევ ძილში გაატარეს. მესამე ღამეს კვლავინდებურად გაისმა გრგვინვა. ახლა მათ ყორნების გუნდი დაესხა თავს და ისე ეგონათ, თითქოს ყორნებს ნისკარტი და კლანჭები რკინისა ჰქონოდეთ. ყორნები ისეთი გამეტებით ესხმოდნენ თავს, რომ ისინი იძულებულნი გახდნენ ფარ-ხმლით დაეცვათ თავი. ასე გრძელდებოდა დილამდე. და ისევ თითო კაცი დაიღუპა ყოველ ხომალდზე. მხოლოდ მაშინღა ჩაეძინათ. ბროდირს რომ გაეღვიძა, ღრმად ამოიხვნეშა და ბრძანა, ნავი ჩაეშვათ წყალზე.

— მინდა ოსპაკი ვნახო, — თქვა მან.

იგი ნავში ჩაჯდა და თან რამდენიმე კაცი მიპყვა. ოსპაკთან რომ მივიდა, უამბო, თუ რა სასწაულები იხილა და სთხოვა აეხსნა, თუ რას მოასწავებდნენ ისინი. ოსპაკს არაფრის თქმა არ სურდა, ვიდრე ბროდირმა არ აღუთქვა, რომ ხელს არ ახლებდა მას. მაგრამ

ოსპაკმა მაინც დაღამებამდე გადადო საუბარი, რადგან ბროდირი არასოდეს კლავდა ვინმეს ღამე. მაშინ ოსპაკმა თქვა:

— როდესაც სისხლი გაწვიმდათ, ეგ იმას ნიშნავდა, რომ ბევრ სისხლს დაღვრით, თქვენსასაც და სხვისასაც. ძლიერი გრგვინვა კი ალბათ განკითხვის ქუხილი იყო და ეს იმას ნიშნავს, რომ მალე ყველა დაიღუპებით. იარაღი რომ დაგეტაკათ, ეგ მალე ბრძოლის დაწყებას გაუწყებთ, ხოლო ყორნები რომ მოგესივნენ, ეგ კიდევ იმ ავსულებს ნიშნავდა, თქვენ რომ მიენდეთ და ჯოჯოხეთში რომ ჩაგითრევენ საწამებლად.

ბროდირი ისე განრისხდა, რომ პასუხი ვეღარ გასცა. იგი თავის ხალხთან დაბრუნდა და ბრძანა, ოსპაკის ხომალდები ჩაეკეტათ და თოკებით ნაპირზე მიებათ. გადაწყვეტილი ჰქონდა, დილით დაეხოცა ისინი. ოსპაკი განზრახვას მიუხვდა. მაშინ მან აღთქმა დადო, რომ ქრისტიანობას მიიღებდა, მეფე ბრიანთან წავიდოდა და მსარში ედგომებოდა სიკვდილამდე. შემდეგ ბრძანა, გადაებურათ ყველა ხომალდი, ბარჯების ბიძგებით ნაპირ-ნაპირ გაეტარებინათ ისინი და ბროდირის ხომალდთა ბაგირები გადაეჭრათ. წყალმა ხომალდები ერთმანეთისკენ დასძრა, ზედ მყოფთ კი ეძინათ. ოსპაკი თავის ხალხითურთ ფიორდიდან გამოვიდა და გასწიეს დასავლეთით ირლანდიისკენ. ისინი არსად გაჩერებულან, ვიდრე კანტარაბორგამდე არ მივიდნენ, და ოსპაკმა მეფე ბრიანს ყველაფერი უამბო, რაც იცოდა, მოინათლა და მთლიანად ჩაბარდა მეფეს. ამის შემდეგ მეფე ბრიანმა ბრძანა მის სამეფოში ხალხისთვის ესმოთ და მთელი ლაშქარი დუბლინში უნდა შეყრილიყო ბზობის კვირას.

157

სიგურდ იარლი ჰლადვირის ძე ორკნეის კუნძულებიდან გასალაშქრებლად გაემზადა. ფლოსიმ თან ხლება შესთავაზა. იარლმა ეს არ ისურვა, რადგან ფლოსის აღთქმა ჰქონდა დადებული რომში სალოცავად წასულიყო. ფლოსიმ მას თხუთმეტი კაცი შესთავაზა თავისი სალხიდან ლაშქრობისათვის და იარლმა მიიღო ისინი, ფლოსი კი გიღი იარლთან ერთად ჰებრიდის კუნძულებისაკენ გაემართა. სიგურდ იარლს ეახლნენ თორსტეინ ჰალის ძე, პრავნ წითური და ერლინგი, კუნძულ სტრაუმეის მკვიდრი. იარლმა არ

ისურვა პარეკის თან წაყვანა, მაგრამ თქვა, რომ პირველს მას შეატყობინებდა ამბებს.

იარლი მთელი თავისი ლაშქრით დუბლინში ჩამოვიდა ბზობის კვირას. ბროდირიც აქ მოვიდა თავისი ხალხით. ბროდირმა ჯადოთილისმით სცადა შეეტყო, რით დამთავრდებოდა ბრძოლა და ჯადომ ამცნო, რომ თუ ბრძოლა პარასკევს მოხდებოდა, მაშინ მეფე ბრიანი დაიღუპებოდა, მაგრამ გამარჯვება მის მსარეს დარჩებოდა, და თუ ადრე გაიმართებოდა ბრძოლა, მაშინ ყველა მის მოქიშპეს დაღუპვა ელოდა. მაშინ ბროდირმა განაცხადა, რომ არ შეიძლებოდა ბრძოლის დაწყება პარასკევამდე.

ხუთშაბათს კორმლადსა და მის ხალხთან ვიღაც ქურანა ცხენზე ამხედრებული კაცი მოვიდა. ხელში შუბი ეჭირა. იგი დიდხანს ელაპარაკებოდა ბროდირსა და კორმლადს. მეფე ბრიანი მთელი თავისი ლაშქრით ქალაქს მოადგა. პარასკევს ქალაქიდან ლაშქარი გამოლაგდა და ორივე მხარე ერთმანეთის პირისპირ ჩამწკრივდა საბრძოლო წესით. ბროდირი ლაშქრის ერთ მხარეს იდგა, კონუნგი სიგტრიუგი კი მეორე მხარეს. სიგურდ იარლი ლაშქრის შუაში იდგა. ახლა ისიც უნდა ითქვას, რომ მეფე ბრიანმა არ ისურვა ბრძოლა წითელ პარასკევს. მისმა ხალხმა მის წინ ფარების კედელი აღმართა და ჯარი კი წინ ჩაუდგა. ულვ საფრთხობელა განაპირას იდგა, ბროდირის მოპირდაპირედ, მეორე მხარეს კი, სიგტრიუგის პირდაპირ, იდგნენ ოსპაკი და მეფე ბრიანის ვაუები. ჯარის შუაგულში იდგა კერთიალვადი და მის წინ დროშა მიპქონდათ. აგერ, ორივე ლაშქარი ერთმანეთს შეხედა. ატყდა საშინელი ომი. ბროდირმა მტრის რიგები განვლო და მუსრს ავლებდა ყველას, ვინც წინ გადაეღობებოდა, თვით მას კი რკინა ვერაფერს აკლებდა. მაშინ ულვ საფრთხობელა მისკენ შებრუნდა და სამჯერ ისე მძლავრად შემოპკრა, რომ ბროდირი სამჯერეე ძირს დასცა და იგი ძლივს წამოდგა ფეხზე. ბოლოს, როგორც კი ფეხზე დადგა, გაიქცა და ტყეს შეაფარა თავი.

სიგურდ იარლი თავდაუზოგავად ებრძოდა კერთიალვადს. კერთიალვადი ისე ფიცსლად უტევდა, რომ ყველას მუსრს ავლებდა, ვინც წინ გადაეღობებოდა. მან გზა გაიკაფა სიგურდ იარლის ლაშქარში დროშამდე და სიცოცხლეს გამოასალმა მედროშე. მაშინ იარლმა ხმა მიუყენა ალამს. ბრძოლა კელავ გახურდა. კერთიალ-

ვადმა მაშინვე ბოლო მოუღო ახალ მებაირახტრეს და ზედ სსვებიც მიაყოლა, ვინც ახლომასლო იდგა. სიგურდ იარლმა თორსტეინ ჰალის ძეს უთხრა, აეღო დროშა. თორსტეინმა დროშის აღება დააპირა.

მაშინ ამუნდ თეთრმა უთხრა:

— არ აიღო ეგ დროშა, თორსტეინ. ხომ ხედავ, ყველას კლავენ, ვისაც ეგ უჭირავს.

— ჰრავნ წითურო, — უთხრა იარლმა, — შენ აიღე დროშა!

ჰრავნმა მიუგო:

— შენ თვითონ აიღე ეგ შენი ოხერი.

იარლმა თქვა:

— რა გაეწყობა, მათხოვარმა თვითონ უნდა ატაროს თავისი აბგა.

მან დროშა ტარს მოხსნა და უბეში შეინახა. მალე ამის შემდეგ ამუნდ თეთრი მოკლეს. მერე კი იარლიც განგმირეს შუბით. ოსპაკმა მტრის მთელი ლაშქარი განვლო ბრძოლით. იგი მძიმედ დაიჭრა და ბრიანის ორივე ვაჟიც ხელიდან გამოეცალა. სიგტრიუგმა მას ზურგი შეაქცია და გაიქცა. მაშინ მთელმა ლაშქარმა გაქცევით უშველა თავს.

თორსტეინ ჰალის ძე გაქცეულთ ჩამორჩა, რომ ფეხზე თასმა შეეკრა. მაშინ კერთიალვადმა ჰკითხა, რატომ არ გარბისარო.

— იმიტომ, — მიუგო თორსტეინმა, — რომ დაღამებამდე შინ მაინც ვერ მივალ, რადგან ჩემი სახლი ისლანდიაშია.

კერთიალვადმა შეიწყალა იგი.

ჰრავნ წითური მდინარეში შეაგდეს. აქ მას ისე მოეჩვენა, თითქოს მდინარის ფსკერზე ჯოჯოხეთი ვამოჩნდა და ეშმაკებს მისი შიგ ჩათრევა ეწადათ.

მაშინ ჰრავნმა თქვა:

— პეტრე მოციქულო! მე, შენი ერთგული ძაღლი, უკვე ორჯერ ვარ ჩასული რომში და მესამეჯერაც წავალ, თუ აქედან დამიხსნი.

მაშინ ეშმაკებმა ხელი უშვეს და ისიც მეორე ნაპირზე გავიდა.

ამ დროს ბროდირმა დაინახა, რომ ბრიანის ჯარი უკან მისდევდა გაქცეულთ და მეფის ირგვლივ აღმართულ ფარების კედელთან ხალხი შეთხელდა. იგი ტყიდან გამოვარდა, ფარების კედელი გაარღვია და მეფეს მახვილი შემოუქნია. ყრმა ტადკმა ხელი ასწია

მეფის დასაფარად და მახვილმა ხელი მოპკვეთა მას და მეფეს კი თავი. მაგრამ მეფის სისხლი ბიჭუნას მოჭრილ ხელს დაეწვეთა და ხელი მაშინვე შეხორცდა. მაშინ ბროდირმა ხმამაღლა დაიძახა:

— დე, ყველამ უწყოდეს, რომ ბროდირმა მოკლა ბრიანი.

მაშინ ლტოლვილთა მდევრებს წამოეწივნენ და უთხრეს მეფე ბრიანის დაღუპვის ამბავი. ულვ საფრთხობელა და კერთიალვადი წამსვე უკან გამობრუნდნენ, ბროდირსა და მის სალხს გარსშემოერტყნენ და შეშა დააყარეს. მაშინ შეიპყრეს ბროდირი. ულვ საფრთხობელამ მუცელი გაუფატრა, მისი ნაწლავების ერთი ბოლო მუხას გამოაბა, თვითონ კი ხის გარშემო ატარა, ვიდრე მთელი ნაწლავი ზედ არ დაეხვია. მაშინ კი მოკვდა ბროდირი. მთელი მისი ხალხიც გაწყვიტეს. ამის შემდეგ აიღეს მეფის გვამი და დასაკრძალავად გაამზადეს. მეფის თავი ტანს შეუსორცდა. ნიალის დაწვის თსუთმეტი მონაწილე გაწყდა ბრიანთან ბრძოლაში. აქ დაიხოცნენ ჰალდორ გუდმუნდის ძე და ერლინგი სტრაუმეის კუნძულიდან.

აი, რა მოხდა წითელ პარასკევს კატანესში. ერთი კაცი, რომელსაც სასელად დარუდი ერქვა, გარეთ გამოვიდა. მან დაინახა, თუ როგორ მივიდა თორმეტი მხედარი საქალებოსთან და ყველა გაუჩინარდა. დარუდი საქალებოსთან მივიდა, სარკმელში შეისედა და დაინახა, რომ შიგნით ვიღაც დედაკაცები სხედან და ქსოვენ. დაზგასთან საწაფებად ადამიანის თავები პქონდათ, ქსელისა და მისაქსელის მაგივრობას ადამიანის ნაწლავები სწევდა, ძაფს მახვილით პენტავდნენ, მასრები ისრებით შეეცვალათ. თან ასეთ ლექსებს მღეროდნენ:

ქსოვილი მოექსოვეთ
დიდი, ვით ღრუბელი,
რამეთუ ვაუწყოთ
დაღუპვა მეომრებს.
სისხლსაც მოვასხურებთ
კაცთაკვლის დაზგაზე,
შუბებსაც დავაწყობთ
და სიხხლით საესე ქსელს
სასტიკი ბრძოლისას
ზედ გადავაფარებთ.

მისაქსელს მოვაწყობთ
კაცის ნაწლავთაგან

და საწაფებადაც
ეისმარ.თ თაეის ქალას,
ლატანად გავმართავთ
სისსლიან სათხედებს
და რკინის საეარცხელს,
მასრებად კი ისრებს,
მახვილით გავპენტავთ
საბრძოლო ბაირაღს.

პიართრიმულ და პილდი,
სარგრიდი და სვიპულ,
მახვილით თაეისით
შეუდგნენ აქ ქსოვას.
იმსხვრეევა შუბები,
ფარები ილეწება,
როდესაც მახვილი
მას ზედ დაესობა.

მაშ, ვქსოვოთ და ვქსოეოთ
საბრძოლო ალამი,
იგი ხელთ ეჭირა
თეით ჭაბუკ კონუნგსა.
ჩვენც დავწინაურდეთ,
ბრძოლაში შეეიჭრათ
იქ, სადაც მოყვასნი
მტერს რისხვით ებრძეიან.

მაშ, ვქსოვოთ და ვქსოვოთ
საბრძოლო ალამი,
დროა უკან მიეყვეთ
კონუნგს ბრძოლის ველზე.
გუნი და განდული
მას გამოედევნენ,
მალე იხილავენ
ფარებზე დაღვრილ სისხლს.

მაშ, ვქსოვოთ და ვქსოვოთ
საბრძოლო ალამი.
წინ მიისწრაფეიან
მამაცი გმირები.
კონუნგის სიცოცხლეს
აწ ჩვენ დაეიფარავთ,

ჩვენ გვმართებს არჩევა,
თუ ვინ დაიღუპოს.

მიწა-წყალს ასალი
ხალხი ეუფლება,
რომელიც აქამდე
შორს იყო აქედან.
თვით კონუნგ ბრიანს კი
სიკვდილი მოელის
და სიგურდ იარლსაც
პოროლი განგმირავს.

და ირლანდიელთაც
ელით მწარე ხვედრი
და დიდსანს ხალხს იგი
დაამახსოვრდება.
მოექსოვეთ ქსოვილი,
კვლავ სისხლი იღვრება,
ამ უბედურებას
შეიტყობს ყოველი.

ავი სანახავი
ირგვლივ გადაშლილა,
ზეცაში აქრის ჯარი
მეწამულ ღრუბელთა,
დაჭრილთა სისხლმა კი
შეღება ცარგვალი
და ვალკირიები
ხოტბას აღავლენენ.

აწ ქება შევასხით
დიდებულ ყრმა კონუნგს.
დიდება მგალობელთ!
ვინც ჩვენ მოგვისმინა,
ხომ დაიმახსოვრებს,
რაც კი გაიგონა
შუბოსან ქალთაგან.

მახვილებს ვიშიშელებთ
და უხედ ცხენებზე
ამხედრებულები
ჩვენს გზას გავუდგებით.

შემდეგ მათ ქსოვილს ზემოდან გაპკრეს ხელი და გახიეს, ნაკუწებად აქციეს იები და თითოეულმა ის დაიტოვა, რაც სელში შერჩა. დარუდი სარკმელს მოსცილდა და შინ შებრუნდა, ქალები კი ცხენებს მოასხდნენ და გაქუსლეს, ექვსმა მათგანმა საშსრეთისკენ, ექვსმაც ჩრდილოეთისკენ.

იგივე შეემთხვა ფარერის კუნძულებზე ბრანდ გრეისტის ძეს.

ისლანდიაში კი, სვინაფელში, წითელ პარასკევს, მღვდლის ანაფორაზე სისხლმა გამოუონა და იგი იძულებული გახდა, გაეხადა სამოსელი.

თვატაში, წითელ პარასკევს, მღვდელს მოეჩვენა, თითქოს ზღვამ ხახა დააღო და შიგ ისეთი საშინელებანი დაინახა, რომ დიდხანს წირვის თავი აღარ ჰქონდა.

ორკნეის კუნძულებზე კი მოსდა ისე, რომ პარეკს მოეჩვენა, თითქოს მან სიგურდ იარლი დაინახა და კიდევ რამდენიმე კაცი მასთან ერთად. პარეკი ცხენზე შეჯდა და იარლისკენ გაქუსლა. ხალხმა დაინახა, როგორ შესვდნენ ისინი ერთმანეთს, მთიდან თავქვე დაეშვნენ და მთას მოეფარნენ. მას შემდეგ ისინი აღარავის უნახავს და ვეღარც პარეკის ასავალ-დასავალი გაიგო ვინმემ.

ჰებრიდის კუნძულებზე კი გილი იარლს ეზმანა, თითქოს მასთან ვიღაც კაცი მოვიდა, თავის თავს ჰერფინი უწოდა და ირლანდიიდან ჩამოსულად გაასაღა თავი. იარლმა ჰკითხა, რა ამბავიაო და მაშინ იმ კაცმა ასეთი შაირი თქვა:

ირლანდიის მიწა-წყალი
მოვევლე, ვნახე დიდი ბრძოლა,
შუბთა ბზრიალ-ტრიალი და
ფართა ცხარე ხათქა-ხუთქი.
ბევრი სისხლი დაიღვარა,
სიგურდს ბოლო იქ მოულეს
და ბრიანსაც, თუმცა კი მან
გაიმარჯვა ამ დიდ ომში.

ფლოსი და იარლი ბევრს ლაპარაკობდნენ ამ სიზმარზე.

ერთი კვირის შემდეგ მოვიდა ჰრავნ წითური და მოიტანა ბრიანთან ბრძოლისა და მეფის, სიგურდ იარლის, ბროდირისა და ყველა ვიკინგის დაღუპვის ამბავი. ფლოსიმ ჰკითხა:

— ჩემიანებზე რაღას მეტყვი?

— ყველანი დაიღუპნენ, — თქვა ჰრავნმა, — შენი ცოლისძმა თორსტეინი კი კერთიალვადმა შეიწყალა და ისიც მასთან დარჩა.

ფლოსიმ იარლს უთხრა, რომ წასვლა სურდა.

— აკი სალოცავად წასვლა გვმართებს რომში, — თქვა მან.

იარლმა მიუგო, შეგიძლია წასვიდე, როცა მოისურვებო, და აჩუქა ხომალდი და ყველაფერი, რაც გზაში დასჭირდებოდათ, და ბევრი ვერცხლი დაუმატა. ისინი უელსისკენ გაემართნენ და რამდენიმე სანი დაპყვეს იქ.

158

კარი სალმუნდის ძემ ბონდ სკეგის სთხოვა, ხომალდი ეშოვნა მისთვის. ბონდმა სკეგიმ მას მისცა ხომალდი ნიჩბოსნებითურთ. კარი, დავით თეთრი და კოლბეინ შავი ხომალდზე ავიდნენ, სამხრეთისკენ დაეშვნენ და შოტლანდიის ფიორდებს ჩაუარეს. აქ პებრიდის კუნძულელებს შეხვდნენ და მათ უამბეს კარის, თუ რა მოხდა ირლანდიაში და რომ ფლოსი თავის ხალხიანად უელსისკენ გაემართა. ეს რომ კარიმ შეიტყო, თავის თანამგზავრებს უთხრა, რომ სამხრეთისკენ, უელსში წასვლა სურდა ფლოსისთან და მის სალთან შესასვეედრად. მან თავის თანამგზავრებს უთხრა, თუ უნდოდათ, მიეტოვებინათ იგი, რადგან არავის ჩათრევას არ ვაპირებ დავიდარაბაში, რაკი ჯერ საკმაოდ არ მიძიებია შურიო. ყველამ თანხლების სურვილი გამოთქვა. მაშინ ისინი სამხრეთისკენ გაემართნენ უელსში და ნაპირს ერთ მყუდრო ყურეში მიადგნენ.

სწორედ იმ დილას კოლ თორსტეინის ძე ქალაქში გავიდა ვერცხლის გადასასურდავებლად. იგი ყველაზე მეტად ოათხავდა იმათ, ვინც ნიალთან ერთად დაიწვა ცეცხლში. კოლი ხშირად ემასლაათებოდა ერთ შეძლებულ მანდილოსანს და საქმე უკვე იქამდე იყო მისული, რომ მალე შეირთავდა კიდეც და იქვე დასასლდებოდა. იმ დილას კარი ქალაქში გავიდა. იმ ადგილს მიუახლოვდა, სადაც კოლი ვერცხლს ითვლიდა. კარიმ იცნო იგი, მასვილი იშიშვლა, ზედ მიეჭრა მას და კისერში დაჰკრა. კოლი სწორედ თვლაში იყო და ათიო, თქვა თავმა, როცა ტანს მოსცილდა. კარიმ თქვა:

— გადაეცით ფლოსის, რომ კარი სალმუნდის ძემ მოკლა კოლ თორსტეინის ძე. ვაცსადებ, რომ ეს მკვლელობა ჩემი ჩადენილია.

შემდეგ კარიმ თავის ხომალდისკენ გასწია და თანამგზავრებს მკვლელობის ამბავი უთხრა. ამის შემდეგ ისინი ჩრდილოეთისკენ გაემართნენ ბერვიკში, ხომალდი ნაპირზე აათრიეს და შოტლანდიის პვიტსბორგს მიაშურეს, სადაც ერთი წელიწადი გაატარეს მელკოლვ იარლთან.

როდესაც ფლოსიმ კოლის მოკვლა შეიტყო, მისი გვამი გააპატიოსნა და ბევრი ფულიც გაიღო მის დასაკრძალავად. ფლოსის არასოდეს აუგად არ უსსენებია კარი. იქიდან ფლოსი ზღვით სამხრეთისკენ გაემგზავრა და სალოცავად დაადგა გზას. ფეხით იარა და არ შეჩერებულა, ვიდრე რომში არ ჩავიდა. აქ იგი დიდ პატივში ყავდათ, ცოდვები თვით რომის პაპმა შეუნდო და ფლოსიმ უხვად გაიღო ფული. იგი უკან გამობრუნდა აღმოსავლეთის გზით, მრავალ ქალაქ ადგილას გაჩერდა, სასელოვან ხალხს შესვდა და დიდ პატივში იყო. ზამთარი გაატარა ნორვეგიაში, სადაც მას ეირიკ იარლმა ხომალდი აჩუქა ისლანდიაში წასასვლელად და ფქვილიც ბლომად გაატანა. სხვამაც ბევრმა სცა პატივი. შემდეგ იგი ისლანდიისკენ გაემართა და ჰორნაფიორდში მიადგა ნაპირს. აქედან შინისკენ, სვინაფელში გაემართა. ამრიგად, მან ყველაფერი აღასრულა, რაც ეევალებოდა — ისლანდიიდანაც იყო წასული და საზღაურიც გადაიხადა.

159

ასლა ის უნდა ითქვას, რომ მომდევნო ზაფხულს კარიმ თავის ხომალდს მიაშურა და ზღვით სამხრეთისკენ გაემართა. იგი ნორმანდიიდან დაადგა გზას სალოცავად, რომში ჩავიდა, შენდობა მიიღო და დასავლეთის გზით უკან დაბრუნდა. ნორმანდიაში თავის ხომალდზე დაჯდა და ზღვით ჩრდილოეთისაკენ გაემართა, დუვრში. იქიდან დასავლეთისკენ ჰქნა პირი, უელსს შემოუარა, ჩრდილოეთ შოტლანდიის ფიორდებს გაუარა და არსად გაჩერებულა, ვიდრე თრასვიკში არ მივიდა კატანესზე ბონდ სკეგისთან. ხომალდი კოლბეინსა და დავითს გადასცა. კოლბეინი ამ ხომალდით ნორვეგიაში გაემართა, დავითი კი კუნძულ ფრიდარეიზე დარჩა. კარიმ ის ზამთარი კატანესზე გაატარა. იმ ზამთარს გარდაიცვალა მისი ცოლი ისლანდიაში.

შემდეგ ზაფხულს კარი საისლანდიოდ გაემზადა. სკეგიმ მას ხომალდი მისცა. ხომალდზე სულ თვრამეტმა კაცმა დაიყარა თავი. სამზადისმა ისინი დააყოვნა, მაგრამ მაინც გავიდნენ ზღვაში, და ცურვა გაუგრძელდათ. ბოლოს ინგოლვსპავდის კონცხს მიადგნენ და აქ მათი ხომალდი დაიმსხვრა და ნაფოტებად იქცა, ხალხი კი გადარჩა. ამოეარდა მძლავრი გრიგალი. კარის პკითხეს, როგორ მოვიქცეთო, და მან მიუგო, სვინაფელში წავიდეთ და ფლოსის კეთილშობილება მოვსინჯოთო. ისინი დაუყოვნებლივ გაეშურნენ სვინაფელისკენ. ფლოსი შინ იყო. მან იცნო კარი. როგორც კი იგი შემოვიდა, წამოსტა და წინ მიეგება, გადაკოცნა და გვერდით მოისვა საპატიო სკამზე. მან სთხოვა კარის, ზამთარი მასთან გაეტარებინა და ისიც დათანხმდა. ყველაფერი სრული შერიგებით დამთავრდა. ფლოსიმ კარის გაურიგა პილდიგუნი, თავისი ძმისშვილი, რომელიც ადრე ჰასკულდ ჰვიტანესგოდის პყავდა ცოლად. ისინი თავდაპირველად ბრეიდაში დასასლდნენ.

როგორც ამბობენ, ფლოსიმ შემდეგნაირად დაასრულა თავისი ცხოვრება. ერთხელ, როდესაც უკვე დაბერდა, იგი ნორვეგიაში გაემგზავრა სე-ტყის ჩამოსატანად და ის ზამთარი იქ გაატარა. ზაფხულში სამზადისმა დააყოვნა. ხალხი ეუბნებოდა, ხომალდი არ გივარგაო, ფლოსი კი უპასუხებდა, გამოადგება იმას, ვინც უკვე დაბერდა და ცალი ფეხი სამარეში უდგასო; შემდეგ ხომალდზე ავიდა, ზღვაში შეცურდა და მას მერე ამ ხომალდის ამბავი აღარავის გაუგია.

აი, ვინ იყვნენ კარის და პელგა ნიალის ასულის შვილები: თორგერდი, რაგნეიდი, ვალგერდი და თორდი, რომელიც ნიალთან ერთად დაიწვა. კარის და პილდიგუნის შვილები კი იყვნენ სტარკადი, თორდი და ფლოსი. ფლოსის ჰყავდა შვილი კოლბეინი. იგი ერთ-ერთი უგამოჩინებულესი კაცი გასდა მთელს გვარში.

ამით ვამთავრებთ ცეცხლში დამწვარი ნიალის საგას.

კომენტარები

გვ. 27

ჭიანურას ეძახდნენ — ეს მეტსახელი მიგვანიშნებს, რომ ისლანდიელები იმ დროს უკვე იცნობდნენ ამ საკრავს. მორდს ეს სახელი გაბმული, ტკბილი ლაპარაკისათვის შეარქვეს.

რაგნარ ლოდბროკი — ნახევრად ლეგენდარული ღანიელი ვიკინგი, რომელიც მე-9 საუკუნეში ცხოვრობდა. მასზე არსებობს ცალკე „რაგნარ ლოდბროკის საგა".

აუდ ბრძენი — ამ შესანიშნავი ქალის ცხოვრებას გვაუწყებს „ორაგულის ეელის მკვიდრთა საგა", სადაც მას უნ ბრძენი ეწოდება. აუდ ბრძენს ბევრი სხვა საგაც ასხენებს.

კეთილ ცხვირპაჭუა — ისლანდიურ საგებში ხშირად ისხენიება. ცნობილი ვიკინგი იყო და პარალდ თმაშეენიერმა იგი ურჩ ქვეშევრდომთა მოსათვინიერებლად გაგზავნა ორკნეის კუნძულებზე. კეთილმა გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ რაც ხელთ იგდო, ყველაფერს თვითონ ღაეპატრონა. მაშინ პარალდმა დიდძალ ფლოტს მოუყარა თავი, შეესია ორკნეის, შეტლანდის, პებრიდის, ფარერის, მენისა და სხვა კუნძულებს და ერთიანად ამოწყვიტა ვიკინგები, რომლებსაც ამ კუნძულებზე დაეღოთ ბუდე და აქედან მოსვენებას არ აძლევდნენ ნორვეგიას და ხშირად არბევდნენ მას. ამის შემდეგ ამ კუნძულებზე მსოლოდ ნორვეგიელი იარლები ბატონობდნენ.

სიტყვა „კეთილი" ისლანდიურია და მას არაფერი აქვს საერთო ქართულ „კეთილთან". ისლანდიურად ეს სიტყვა „ქვაბს" ნიშნავს და როგორც ფიქრობენ, უნდა იგულისხმებოდეს წმიდა ქვაბი, რომელშიც მსხვერპლად შეწირულთა სისხლს აგროვებდნენ. „კეთილი" ძალზე გავრცელებული სახელია იმდროინდელ ისლანდიელთა შორის. გვხვდება კომპოზიტურ სახელებშიც, მაგ., „კეთილბიარნი". აგრეთვე ქალთა სახელებშიც, მაგ., „თორკატლა", „პალკატლა". შეკვეცილი ფორმით „კელ" გვხვდება აგრეთვე სახელებში „ასკელი", „გრიმკელი", „პალკელი", „თორკელი".

გვ. 28

ერთსანს ძმები დაუბრეგულებიეით იყვნენ—ძმებს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება, აქ გაკვრით რომ არის ნახსენები, ერცლად აღწერილია „ორაგულის ეელის მკვიდრთა საგაში" (სხვანაირად ამ საგას უწოდებენ „ლაქსდალის მკვიდრთა საგას").

ალთინგი — ისლანდიის საერთო თავყრილობა თინგველირსე. იგი აღჭურვილი იყო უმაღლესი საკანონმდებლო და სამსჯავრო უფლებებით და ევროპის უძველეს პარლამენტად ითვლება. მისი დამაარსებელია ულფლიოტი. როდესაც ისლანდიელთათვის აშკარა გასდა, რომ ადგილობრივი თინგები არ კმაროდა სადავო საკითხების გადასაწყვეტად და საჭირო იყო საერთო სამსჯავრო და საერთო კანონები, პირველი ადამიანი, რომელზედაც მათი არჩევანი შეჩერდა ამ საკითხის მოსაგვარებლად, ულფლიოტი იყო, რადგან იგი დედის მხრივ ნორვეგიელთა სამეფო გვარს ენათესაეებოდა, და მისი გვარის წარმომადგენლები კანონების საუც-

ზოო მცოდნეებად ითვლებოდნენ. ულფლიოტი ნორვეგიაში გაემგზავრა, მოძებნა თავისი პიძა, დედის ძმა, თორლეივ ბრძენი, რომელმაც მანამდე არც თუ ისე დიდი ხნის წინ, ნორვეგიის კონუნგს, პაკონს, პარლად თმაშეენიერის ძეს, გულათინგის კანონები ჩამოუყალიბა. ულფლიოტი ნორვეგიაში სამ წელიწადს დარჩა და 930 წელს მის მიერ ისლანდიაში ჩამოტანილი კანონები სასეიმოდ იქნა მიღებული ალთინგზე. 930 წლამდე საერთო ყრილობა ერთხელ გაიმართა კიალარნესში, შემდეგ კი იგი მდინარე ექსარას ნაპირზე გადაიტანეს და ალთინგი უწოდეს. ეს ადგილი შეარჩია ულფლიოტის ძუძუმტე გრიმ თხისფეხებამ (კონრად მაურერის აზრით მას ეს სასელი იმიტომ შეარქვეს, რომ კლდეებზე სიარული ემარჯვებოდა, და ალბათ სწორედ ამიტომაც დაეალეს მას მთელი ისლანდია შემოეელო შესაფერი ადგილის შესარჩევად. ამისათვის მას ყოველმა ისლანდიელმა თითო პენინგი მისცა და დაგროვილი თანსა გრიმმა ალთინგს შესწირა). ადგილი მაროლიც შესანიშნავად იყო შერჩეული. აქ თავისუფლად ეტეოდა რამდენიმე ათასი კაცი, ტყეც აქვე იყო და წყალიც, და შესანიშნავი საძოვრებიც. აღსანიშნავია უნიკალური თვისება კლდისა, რომელთანაც მოლაპარაკენი გამოდიოდნენ: იგი ორატორის სმას აძლიერებს. ალთინგი ზაფხულობით იკრიბებოდა ორი კვირით. უკანასკნელ დღეს ეწოდებოდა იარაღის აღების დღე (ვაპნატაკ), რადგან მანამდე ალთინგის მონაწილეებს საჭურველი გადანასული პქონდათ, რათა მშვიდობა არავის დაერღვია. ეს დღე ივლისის პირველ თუ მეორე ოთხშაბათს ემთხვეოდა. 964 წელს დიდმა პაეედინგმა თორდ გელირმა ალთინგის რეფორმაცია მოახდინა. ისლანდია ოთხ მეოთხედად, ჩრდილოეთის, დასავლეთის, სამხრეთისა და აღმოსავლეთის მეოთხედებად დაიყო. ყოველი მეოთხედი სამ ოლქად ეაყვეს. ყოველ ოლქს თავისი, ადგილობრივი თინგი პქონდა (ჩრდილოეთის მეოთხედში კი ოთხი ოლქი იყო). ყოველ ოლქს სამი გოდორდი პქონდა. ამრიგად, თავდაპირველად არსებობდა 36 გოდორდი, შემდეგ კი მათმა რიცხვმა 39-ს მიაღწია. დავა იწყებოდა ადგილობრივ თინგზე, შემდეგ გრძელდებოდა მეოთხედის თინგზე და ბოლოს, თუ საჭირო იყო, საქმე გადაპქონდათ ალთინგზე.

ალთინგის ისტორიაში ყველაზე ღირსშესანიშნავი წლებია: 930 (დაარსება), 964 (რეფორმაცია), 1000 (ქრისტიანობის შემოღება), 1005 (მესუთე სამსჯავროს დაწესება). „ნიალის საგაში" ქრისტიანობის შემოღებისა და მესუთე სამსჯავროს დაწესების ქრონოლოგია დარღვეულია.

თინგი ნიშნავს რაიმე თავყრილობას, ძირითადად, საღაეო საკითხებას ეადასაწყვეტად, ალთინგი — საერთო, სრულიად ისლანდიის თინგს. თინგები პირველად ნორვეგიაში გაჩნდა. როდესაც პარალდ თმაშეენიერი ნორვეგიას დაეპატრონა, მისმა შვილმა პაკონმა დააწესა თინგები. თავდაპირველად ნორვეგიაში სამი თინგი იყო: გულათინგი, ფროსტათინგი და პეიდსაეისთინგი. მოგვიანებით წმიდა ოლაეშა მეოთხე, ბორვართინგი დააარსა.

ლაგრეტა — უსინაესი საკანონმდებლო ორგანო იყო, რომელიც ალთინგზე იკრიბებოდა ე. წ. კანონის კლდესთან. მის შემადგენლობაში 48 გოდი შედიოდა. ლაგრეტას კანონმეტყველი თავმჯდომარეობდა. ლაგრეტა კონტროლს უწევდა კანონის დაცვას და უმაღლეს ძალას წარმოადგენდა ისლანდიაში. საინტერესოა, რომ

ლაგრეტა თავის მუშაობას იწყებდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მზის შუქი მოეფინებოდა იმ ადგილს, სადაც კანონთმეტყველი იჯდა.

კანონთმეტყველი — წარმართულ ეპოქაში, როდესაც სკანდინავიურ ქვეყნებში დამწერლობა არ არსებობდა, კანონთმეტყველი იყო ის კაცი, რომელსაც ევალებოდა კანონების ზეპირად ცოდნა და მისი წარმოთქმა სამსჯავროში კანონის კლდესთან. თუ დავაში რაიმე ადგილი საეჭვო სდებოდა, კანონთმეტყველის სიტყვა წყვეტდა ყველაფერს. ალთინგის გარეშე კანონთმეტყველს არავითარი ძალა-უფლება არ გააჩნდა. ისლანდიის დასახლებიდან პირველ ას წელიწადში შემდეგი კანონთმეტყველები იყვნენ: ულფლიოტი, პრაენ ორავულის ძე, 930—949; თორარინ რაგის ძმა, 950—969; თორკელ მთოვარე, 970—984; თორგეირ ლიოხავატნელი გოღი, 989—1001; გრიმ მოსფელელი, 1002—1003 და სკაფტი თოროდიხ ძე, 1004—1030.

კანონის კლდე — კლდე თინგველირზე, რომელთანაც იკრიბებოდა ალთინგი. ამ კლდეზე ერთ ისლანდიელ პოეტს უთქვამს, მსოლოდ ღმერთსა და ცეცხლს შეეძლოთო ასეთი დიდებული სანახაობის შექმნა.

გვ. 29

საოცი წყრთა — ისლანდიელების საზომი ერთეული იყო 123 სმ მაუდის ქსოვილის ღირებულება. ამრიგად, უნის მზითევი 150 მარკას უდრიდა. პრუტის მემკვიდრეობა, ორას მარკად შეფასებული, სინამღვილეში 240 მარკას აღწევდა. ცოცხალი საქონლის სახით თუ წარმოვიდგენთ, ერთი მეწველი ძროსა ან ექვსი ცხვარი დაასლოებით ორი მარკა ჯდებოდა იმ დროს. უნის მზითევი უდრიდა 80 ძროხის ფასს, პრუტის მემკვიდრეობა — 128 ძროხისას.

გვ. 30

შუა ზაფხულიდან ნასევარი თვის შემდეგ — ისლანდიური კალენდრის მიხედვით ზაფხული იწყებოდა 26 აპრილის წინა ხუთშაბათს, ზამთარი — 28 ოქტომბრის წინა შაბათს.

გულათინგი — ადგილობრივი თინგი ნორვეგიაში, რომელიც კუნძულ გულაზე ტარდებოდა. არსებობდა „გულას კანონი".

გვ. 31

მარკა — ურთდროულად წონის ერთეულიც იყო (216 გრამი) და ფულის ერთეულიც.

პარალდ რუხლაბადა ნორვეგიაში მეფობდა 961—970 წლებში. სნორი სტურლუსონი მოგვითხრობს, რომ ერთ ზაფხულს პარდანგრფიორდში, სადაც იმსანად პარალდი იმყოფებოდა, ისლანდიური საეჭრო ხომალდი ჩამოდგა. ბარგი გადმოტვირთეს და ვაჭრობა გააჩაღეს, მაგრამ მყიდველები უსალისოდ ეტანებოდნენ საქონელს. მაშინ ხომალდის პატრონი პარალდს ეახლა და შესჩიველა, ვაჭრობა უხვიროდ მიდისო. პარალდი მას ადრეც იცნობდა და დასმარება აღუთქვა. მეორე დღეს იგი თავისი ამალით მივიდა მოვაჭრეებთან და ხომალდის პატრონს პკითხა, რუხი ლაბადა თუ გაქვსო, და საჩუქრად მიიღო კიდეც. პარალდმა ლაბადა მხრებზე მოისხა და უკან გამობრუნდა. მაშინ ყველა მიესია ვაჭრებს და მალე

იმდენი მსურველი გამოჩნდა ლაბადისა, რომ ყველას არც კი ერგო. ამის შემდეგ პარალდს ზედმეტ სახელად რუსლაბადა შეარქვეს.

გუნპილდი — ისლანდიურ საგებში ხშირად არის ნახსენები ეს ღირსშესანიშნავი ქალი. გუნპილდის მამა, აცურ ტოტი, სახელოვანი კაცი იყო პალოგალანდში, ნორვეგიაში. გუნპილდი დაახლოებით 908 წელს დაიბადა. როდესაც წამოიზარდა, მამამისმა იგი ფინებთან გაგზავნა ჯადოქრობის შესასწავლად, როგორც ამას ხშირად აკეთებდნენ ფინელთა მეზობლად მდებარე პალოგალანდის მცხოვრებნი. ფინები ჯადოქრობაში განსწავლულად ითვლებოდნენ. თვით სიტყვა „ფინი" (ისლანდიური განუსაზღვრელი ფორმა ზმნისა finna-პოვნა, მაგნება შდრ.: ინგლისური find, გერმანული finden, შვედური finna) აქედან მომდინარეობს. ამბობენ, გუნპილდს მაგიას თავად ფინების მეფე მატული ასწავლიდაო. ამასობაში, პარალდ თმაშვენიერის უფროსი ვაჟი, ეირიკ სისხლიანი ნაჯახი ლაშქრობიდან ბრუნდებოდა ბიარმალანდიდან ანუ პერმელთა ქვეყნიდან. ფინეთის სანაპიროსთან ერთ ადგილას მისი მეომრები ნაპირზე გადავიდნენ და მოშორებით ერთ ქოხში პირმშვენიერი ქალწული იხილეს. ეს გუნპილდი იყო. მან ახალმოსულებს აუწყა, რომ იგი პალოგალანდელი აცურ ტოტის ასული იყო, აქ მისნობის შესათვისებლად მობარებული და ორი ჯადოქარი პყავდა მიჩენილი. გუნპილდმა ისინი მოტყუებით დაახოცვინა ახალმოსულებს და თან გამოპყვა მათ. მაშინ გუნპილდი 14 წლისა იყო. ეირიკმა იგი მამამისს მიპგვარა პალოგალანდში და შეირთო. კიდეც. გუნპილდი პატარა ტანის ქალი ყოფილა, პირლამაზი, ამპარტავნული იერისა, მიმზიდველი მოლაპარაკე, დაუნდობელი, გაუტანელი და ხარბი. ეირიკიც შეუბრალებელი კაცი, მაგრამ მამაცი მეომარი იყო და რაკი ცბიერებით ცოლი სჯაბნიდა, მალე მისი მონა-მორჩილი გახდა.

ეირიკი — 900 წელს დაიბადა. 12 წლისა იყო, როდესაც მამამისმა ზღვას გაუყენა და ათი წლის განმავლობაში ჭაბუკი ვიკინგი ღვთის რისსვად ეელინებოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ზღვებისპირა ქვეყნებს ევროპაში. 920 წელს იგი მამასთან დაბრუნდა. რომელიც ამასობაში უკვე მოხუცებულიყო. მან თავისი საბრძანებელი შვილებს გაუნაწილა და მათ შორის უპირველესად ეირიკი მაიჩნია. 922 წელს ეირიკმა პერმელთა ქვეყანა დალაშქრა და უკან დაბრუნებისას გადაწყდა გუნპილდს. პარალდ თმაშვენიერის შვილები ათი წლის განმავლობაში წეწდნენ და ებეჯდნენ ერთმანეთს, ვიდრე ღრმად მოხუცებულმა კონუნგმა ეირიკს არ ჩააბარა მთელი სამეფო. ამ უკანასკნელმა თავისი ცოლის შთაგონებით მალე ბოლო მოუღო თავის ძმებს და ხალხის სიძულვილი დაიმსახურა. მაგრამ პარალდ თმაშვენიერს კიდევ პყავდა ერთი შვილი, რომელზედაც გუნპილდს ხელი არ მიუწვდებოდა. ეს იყო პაკონი. იგი ინგლისის მეფე ათელსტენთან იზრდებოდა და საგებში იგი გვსვდებოდა პაკონ ადალსტეინის აღზრდილის სახელით. პაკონს ნორვეგიაში მრავალი მომხრე გამოუჩნდა და ეირიკი იძულებული გახდა გაქცეულიყო და ძმისთვის დაეტოვებინა მთელი სახელმწიფო. იგი ათელსტენმა შეიფარა და ნორთუმბერლანდის მთავარი გახდა. მოუსვენარ ეირიკს ეცოტავა ახალი სამფლობელო და ისევ ზღვას მისცა თავი. რამდენიმე წლის განმავლობაში დაუნდობლად არბევდა და აპარტახებდა საფრანგეთის, ირლანდიის, შოტლანდიისა და უელსის სანაპიროებს. ათელსტენის სიკვდილის შემდეგ ახალმა მეფემ ედმუნდმა მას ნორ-

თუმბერლანდი ჩამოართვა, ლაშქარი მიუსია და 941 წელს ეირიკი ცსარე ბრძოლაში დაეცა. გუნპილდი ამ დროს თავის ასულთან ერთად ორკნეის კუნძულებზე იმყოფებოდა. ქმრის დაღუპვის შემდეგ მან დანიის მეფეს პარალდ ლურჯკბილას შეაფარა თავი, რომელმაც იკისრა აღეზარდა გუნპილდის ეჯი, პარალდი (რუხლაბადა). პარალდ ლურჯკბილას ხელშეწყობით ბოლოს და ბოლოს დედაშვილმა კელავ ფესი მოიკიდეს ნორვეგიაში. 960 წელს მოქიშპენი კელავ შეებრძოლნენ ერთმანეთს, პარალდ რუხლაბადა კელავ ძლეულ იქნა თავისი მამაცი ბიძისაგან, მაგრამ ამ უკანასკნელს, თუმცა ბრძოლა უკვე მოგებული პქონდა, მხარში ისარი მოხვდა. მკურნალები ვერაფერს გახდნენ და პაკონი სისხლისაგან დაიცალა. ხალხმა გუნპილდის ჯადოქრობას დაბრალა ეს ამბავი. პარალდსა და გუნპილდს ნორვეგიის ცენტრალური ნაწილი ჩაუვარდათ ხელში, მაგრამ გაუმაძღარ დედაკაცს ეპატარავა თავისი საბრძანისი. ნორვეგიის სხვა ნაწილებს პარალდ თმაშვენიერის შვილიშვილები, ეირიკის ძმისშვილები, გუდრედი და ტრიუგვი, აგრეთვე მათი ნათესავი, პლადირის იარლი სიგურდი განაგებდნენ, და გუნპილდი მანამდე არ დაცხრა, ვიდრე სამივე არ მოინელა. მაშინ პარალდი და დედამისი მთლიანად დაეპატრონენ ნორვეგიას და ხალხი წყველა-კრულვით ახსენებდა მათ. იმ ხანებში მოუსაელიანობა იყო, რაც ხალხმა მიიჩნია ღმერთების წყრომად ახალ მმართველთა მიმართ. სწორედ ამ დროს ესედებით გუნპილდსა და პარალდს „ნიალის საგაში". გუნპილდისათვის პრუტი ერთადერთი საყვარელი როდი იყო (მაგ., ასევე პყვარობდა იგი ოლავ ფარშავანეს, პრუტის ძმის, პასკულდის ძეს). როდესაც პრუტი, თავისი დროის ერთ-ერთი უმამაცესი მეომარი და საუკეთესო მოფარიკაკე, გუნპილდს შეხვდა (963 წ.), ეს უკანასკნელი სულ ცოტა 53 წლისა მაინც იქნებოდა, პრუტი კი ცამეტი წლით იყო მასზე უმცროსი. ამასობაში, ახალმა მწინააღმდეგემ წამოყო თავი. ეს იყო პაკონი, ძე პლადირის იარლ სიგურდისა. პაკონმა ცბიერებითა და მოსერხებით გუნპილდისაგან განაწყენებული პარალდ ლურჯკბილა გადაიბირა, ჯერ პარალდი მიიტყუა იუტლანდიაში, თავს დაესხა და მოკლა იგი, შემდეგ ნორვეგიას შეესია და ხელთ იგდო კიდეც მთელი ქვეყანა. გუნპილდი თავის შვილებიანად გაიქცა. ამის შემდეგ აღარაკინ იცის, როგორ დაასრულა მან თავისი სიცოცხლე. ერთი ვერსიით, მან ორკნეის კუნძულებს მიაშურა, სადაც ერთ დროს თავისი ასული, რაგნპილდი გაათხოვა იქაურ იარლზე, და რომელმაც ამასობაში რამდენიმე ქმარი გაისტუმრა საიქიოს. მეორე ვერსიით გუნპილდს პაკონმა მიუგზავნა სალსი, იუტლანდიაში დაიბარა და ცოლობას შეპირდა. გულჩარბმა დედოფალმა დაიჯერა მისი სიტყვები და მოციქულებს გამოპყვა, მაგრამ ამ უკანასკნელებმა ღამით ჭაობში ჩაახრჩვეს იგი.

`1836 წელს იუტლანდიაში, მეფის ძველ სასახლესთან, ჭაობში თაქვე ჩამხობილი ქალის გვამი იპოვეს. იგი პატარა ტანისა იყო, შუასნისა, და სამოსელიც, ეტყობოდა, ერთ დროს ძვირფასად მორთულ-მოკაზმული უნდა ყოფილიყო. მკვლევარებმა ბევრი იდავეს, მაგრამ ვერ გადაწყვიტეს, გუნპილდისა იყო ეს გვამი თუ ერა.

გვ. 33

ქვით ნაგები დარბაზი მე-12 საუკუნემდე ნორვეგიაში არ არსებობდა. ეს ანაქრონიზმია.

გვ. 34

საომარი ხომალდი — ეაჯართა ხომალდებს ტვირთის გაღასაზიღალ აშენებდნენ. მათგან განსხვავებით საომარი ხომალდები უფრო გრძელი იყო. ეს მათ სწრაფად ცურვის საშუალებას აძლეედა და თითოეული ხომალდი დაახლოებით 30 ნიჩბოსანს მიპყავდა, რაც მთელი ეკიპაჟის მესამედ ან მეექვსედ ნაწილს შეადგენდა. ხომალდს ძვიდეებზე ჩამოკიდებული ფარები ჩასდეედა და მათ შორიდანეე ცნობდნენ (ის. თ. 84, კარის ხომალდები).

ულვ დაუბანელი — კონუნგის მცეველთა მეთაური იყო. ამ „მცეველებს" ეევლებოდათ სახელმწიფოს სიმშვიდის დარაჯობა. ისინი მთელ ქვეყანაში დაძრწოდნენ და თუ საღმე უკმაყოფილების ნიშანს შეამჩნეედნენ, ზომებს იღებდნენ მის აღმოსაფხვრელად.

გვ. 35

ექვსი სომალდი გამზადებული ეეენა ტპაზე — ივულისსმება მელარენის ტბა, რომლის ნაპირზეც დღეს შეეციის დედაქალაქი სტოკპოლმია გაშენებული.

პაკონ ადალსტეინის აღზრდილი (იგივე პაკონ კეთილი) — ნორეეგიას მართავდა დაასლოებით 945—960 წლებში.

გვ. 39

თინგზე მეც წამოვალ — ამ საგაში აქ და სხვაგან სიტყვა „თინგი" გულისხმობს ალთინგს.

გვ. 43

ორთაბრძოლაში გიწეევ კუნძულზე — ორთაბრძოლა ღაეის გადასაწყეეტად იქეე, ალთინგთან, მდინარე ექსარას ერთ პატარა კუნძულზე ხღებოდა. როგორც „გუნლაუგ გეელისენას საგა" გვაუწყებს, ორთაბრძოლები აიკრძალა (1006 წ.) ისლანდიაში (აქეე შეიძლება გავიხსენოთ მორპოლტ ირლანდიელისა და ტრისტანის ორთაბრძოლა კუნძულზე).

მეოთხედი სამსჯავრო — 964 წელს ისლანდია ოთხ მეოთხედად ღაიყო: ესენი იყო ღასაელეთის, ჩრდილოეთის, აღმოსაელეთისა ღა სამხრეთის მეოთხედები. ყოველ მათგანს თავისი თინგი ღა სამსჯავრო პქონდა.

გვ. 44

კერა გაანაღეს — კერა მთელ სიგრძეზე ჩასდეედა ღარბაზს კედლების ჩაყოლებით, აქეთ-იქით მდგარ მაგიდებს შუა.

გვ. 45

პიარნეიარის კუნძულებამდე თორეალდის სახლიდან მანძილი ღაახლოებით 50 კილომეტრს უდრის.

გვ. 47

საქალებო სკამი — ისლანდიური სახლები გრძელი ოთახებისაგან შედგებოდა. კედლების გაყოლებით იღგა სკამები, რომლებზეღაც, ჩეეულებრივ, მამაკაცები სხდებოდნენ. სკამების ერთ-ერთი რიგის შუაში, ჩრდილოეთის კედელთან, მოთავსებული იყო საპატიო სკამი სახლის პატრონისათვის. მის პირდაპირ იღგა მეორე საპატიო სკამი, რომელსაც განსაკუთრებით საპატიო სტუმარს სთავაზობ-

ღნენ. ქალები ჩვეულებრივ განიავად მდგარ სკამზე ისხდნენ ოთახის, ანუ დარბაზის სიღრმეში.

გვ. 51

ორეული სულის გამოცხადება მოახლოებულ უბედურებას მოასწავებდა.

სვანმა თხის ტყავი... თავზე შემოიკრა — ისლანდიელებს სწამდათ, რომ ამ გზით სხვასაც თვალს აუხვევდნენ.

გვ. 53

ორასი ვერცხლი — თორვალდის მოკვლისათვის გადახდილი საზღაური უდრიდა 64 ძროხის ფასს.

გვ. 56

პალვერდი კი თავისით დაინიშნოს — პალგერდს ამის უფლება პქონდა, როგორც ქვრივს.

გვ. 57

გოგონას წყალი მოასხურეს — ამ წარმართულ ჩვევას არაფერი აქვს საერთო ქრისტიანული ნათლობის მსგავს წესთან.

გვ. 60

ვეამს ქვები დააყარა — მკვლელი ვალდებული იყო მის მიერ მოკლულის ვეამი ქვებით ან ღორღით დაეფარა, რომ ნადირსა და ფრინველს არ წაესდინა იგი. ვინც ამას არ გააკეთებდა, დიდ დანაშაულს ჩაიდენდა.

პალგერდმა გაიცინა — პალგერდის სიცილი მით უფრო შემზარავია, რომ იგი სიცოცხლის ფასად უჯდება თიოსტოლვს, რომელიც სწორედ ამის გამო იჯერებს მის რჩევას წავიდეს პრუტთან.

გვ. 63

პერსირი — ეს წოდება ნორვეგიაში გვხვდება პარალდ თმაშვენიერამდე და ისლანდიის დასახლებამდე. სიტყვა „პერსირი", ისევე, როგორც „პავდინგი", ნიშნავს „ბელადს", მაგრამ პარალდ თმაშვენიერის დროს პერსირები ლენდრმენებად იქცნენ და სოციალურ კიბეზე იარლების ქვემოთ მოექცნენ. წარმოდგება სიტყვიდან „პერ" — ბატონი.

გვ. 71

ექსარა — ეს სიტყვა წარმომდგარია სიტყვიდან „ექს" — ნაჯახი. კეთილბიარნ ბებერმა აქ ნაჯახი დაკარგა და მდინარესაც ამის მისედვით უწოდა ეს სასელი.

მოუსმო მეზობლებს — კანონის მიხედვით ამ მეზობლებს უნდა გადაეწყვეტათ, დამნაშავე იყო თუ არა ბრალდებული იმაში, რაშიც მას ადანაშაულებდნენ.

გვ. 72

პარალდ მეჭრელკბილა — ლეგენდარული დანიელი კონუნგი, ცხოვრობდა მე-8 საუკუნის დასაწყისში.

სემუნდ ბრძენი — ისლანდიელი სწავლული. ცხოვრობდა 1054—1133 წლებში. მას მიაწერენ სახელგანთქმული „უფროსი ედას" შექმნას.

კოლბეინ უმცროსი — ისლანდიელი პავდინგი ცხოვრობდა მე-13 საუკუნეში.

გვ. 75

გარდარიკი — რუსეთი („ქალაქების, ციხე-სიმაგრეთა ქვეყანა" გარდ — რუს. გოროდ; რიკი — გერმ. Reich, შვედური გორდარიკე). ჯორჯ უებ ღასენტი და მაგნუს მაგნუსონი „ნიალის" თავიანთ თარგმანებში ინგლისურ ენაზე „გარდარიკის" „რუსეთად" თარგმნიან.

ბიარმალანდი — ბიარმების ანუ პერმების ქვეყანა რუსეთში. კონუნგმა ეირიკ სისსლიან ნაჯახმა 918 წელს დალაშქრა ბიარმალანდი.

აღმოსავლეთის ზღვები — ბალტიის ზღვის აღმოსავლეთი ნაწილი.

იარლი პაკონი — პლადირის იარლი პაკონ მძლავრი სიგურდის ძე ნორვეგიას განაგებდა 970—995 წლებში.

გვ. 78

სმოლანდი — შვეციაშია.

რავალი — იგივე რეველი, დღევანდელი ტალინი. ტალინი დანიელებმა ვააშენეს, რასაც მისი სახელიც მოწმობს — ტაანი ლინ — დანიური ქალაქი. ასე სწამთ თვით ესტონელებს.

კუნძული ეისიუსლა — კუნძული საარემაა ესტონეთის სანაპიროსთან.

გვ. 80

კონუნგი პარალდ გორმის ძე („ლურჯკბილა") დანიას მართავდა დაასლოებით 940—985 წლებში.

გვ. 81

იოლზე იარლმა ოქროს სამაჯური უძღვნა — იოლი — წარმართული დღესასწაული, რომელიც დეკემბერში იმართებოდა და 13 დღეს გრძელდებოდა. ქრისტიანობის შემოღების შემდეგ შობად იქცა.

გვ. 86

თრაინი მაშინვე წამოდგა... და ცოლთან განქორწინება გამოაცხადა — ეს შაირი მიუტევებელ შეურაცხყოფად ითელებოდა და თრაინს უფლება აქონდა მკაცრად დაესაჯა ცოლი.

გვ. 90

ვერცხლის ეირირი — წონის ერთეული (27 გრამი), მარკის მერვედი ნაწილი ღა ამავე დროს (ვერცხლისა თუ ოქროს ეირირი) ფულის ერთეული.

გვ. 96

მკვლელობის ამბავი განაცხადა — კანონი მოითხოვდა, რომ მკვლელს დაუყოვნებლივ გამოეცხადებინა მის მიერ ჩადენილი მკვლელობა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ბრალად დასდებდნენ უფრო მძიმე დანაშაულს, „ფარულ მკვლელობას", რაც ისლანდიურ ენაში სხვა სიტყვით აღინიშნება.

გვ. 111

ეპისკოპოსი ისლვივი — პირველი ისლანდიელი ეპისკოპოსი (1056—1080 წწ.).

გვ. 112

ნადოდ ფარერელი — ისლანდიის პირველაღმომჩენი, რომელმაც კუნძულს სნელანდი — თოელის ქვეყანა — უწოდა (861 წ.).

გვ. 120

...გამოიწვიო გუნარი სამსჯავროზე — სამსჯავროზე გამოძახება უნდა მომსდარიყო სულ ცოტა ოთხი კვირით ადრე ალთინგის დაწყებამდე. ალთინგი იკრიბებოდა ზაფხულის მეთერთმეტე სუთშაბათს, ე. ი. ივნისის დამლევს.

გვ. 124

მან თავის სნულებს მიაშურა — აქედან ჩანს, რომ ისლანდიელები მიწათმოქმედებასაც მისდევდნენ (იხ. აგრეთვე 111-ე თავი).

გვ. 127

ისეთი ძალით დაქანა ფარი ძირს, რომ მიწაში ჩაარჭო — ეს მოწმობს, რომ ისლანდიელებს პქონდათ წაგრძელებული, წაწვეტებული ფარებიც.

გვ. 130

სკაფტი თოროდის ძე კანონთმეტყველი იყო 1004—1030 წლებში. მის დროს აიკრძალა ორთაბრძოლა და დაარსდა მეხუთე სამსჯავრო. მის თაოგამოდებულ ბრძოლას პავდინგების თვითნებობის წინააღმდეგ მოპყვა მრავალი მათგანის განდევნა ისლანდიიდან. „ნიალის" ავტორი, როგორც ჩანს, მასზე ლაპარაკისას, სკაფტის მოქიშპეთა ნაამბობს ეყრდნობა და ამიტომ მიკერძოებით ხატავს მის სახეს.

ალვირ ბავშვთმოყვარე — ეს სახელი იმიტომ შეარქვეს, რომ ალვირმა აკრძალა ჩვეულება, როდესაც ვიკინგები ბავშვებს პაერში ისროდნენ და შუბებით იჭერდნენ მათ. არსებობს კიდევ სხვა მოსაზრება, რომლის მისედვითაც მას ეს სახელი იმიტომ შეარქვეს, რომ ბევრი შვილი პყავდა.

თავიანთი სადგომები გადაფარეს — ალთინგზე ჩამოსულთ დროებითი თავშესაფრები, სადგომები პქონდათ. ეს იყო ტორფითა და ალიზით ამოყვანილი ოთხკედელი, რომლებსაც სასურავი არ გაანდათ. წელიწადში ერთხელ, იმ ორი კვირის განმაელობაში, როდესაც ალთინგი იკრიბებოდა, კედლებს ზემოდან სქელი ქსოვილის ნაჭერს გადაფარებდნენ, შიგნით კედლებზე კი ხალიჩებსა და სხვა მოსართავებს პკიდებდნენ. წელიწადის დანარჩენ დროს ეს სადგომები ცარიელი იყო. ყოველ გოდის ან სახელოვან კაცს თავისი სადგომი პქონდა. დღეს ცნობილია, სად იდგა ნიალისა და სხვათა სადგომები. აქვე იყო ხელოსანთა, მეწერილმანეთა და მათხოვართა სადგომები. მათხოვრები ყოველთვის იყრიდნენ თავს ასეთ საზეიმო შეკრებებზე და კანონი ამაოდ ცდილობდა მათს თავიდან მოშორებას. იყო აგრეთვე ჯამბაზთა და სხვა გამრთობთა სადგომები. ხელოსანთ, მოვაჭრეთ და სხვებს უფლება არ პქონდათ სამსჯავროში მონაწილეობის მიღებისა, ასევე არ პქონდათ უფლება მიეღოთ სამსჯავროში მონაწილეობა იმ სადგომებში მყოფთ, სადაც მათი რიცხვი ხუთ კაცს არ აღემატებოდა.

სადგომი ისლანდიურ ენაზე — bu, დანიური bod, ინგლისური booth, გერმანული Bude. შდრ. ქართული ბუდე, ასევე რუსული будка.

გვ. 131

ოტკელმა სისხლიანი ჭრილობა მომაყენა — გუნარის ეს სიტყვები მკელეევარებს ზედმეტად მიაჩნიათ, რადგან სინამდვილეში ოტკელი იმ დროს მკელელობისათვის კანონგარეშე იყო გამოცხადებული. გუნარისათვის საკმარისი იყო ამის აღნიშვნა, რომ მთლიანად საფუძველი გამოსცლოდა სარჩელს.

გვ. 133

...თრიპიურნინგში იმყოფებოდა — თრიპიურნინგი მთასაც პქვია (თ. 57) და მის ძირში მდებარე სტარკადის სახლ-კარსაც, რომელსაც ეს სახელი ამაკე მთის მისედვით ეწოდა.

გვ. 154

ირლანდიელთა მეფე მიურკიარტანი, როგორც „ორაგულის ველის მკვიდრთა საგა" გვაუწყებს, ოლავ ფარშავანგის პაპა იყო.

გვ. 158

მეორეჯერ გიცურმა თავისი მოწმეები დაასახელა — პირველად გუნარს ბრალი ედება თავდასხმაში, ხოლო მის მიერ მიყენებული ჭრილობა თანმსლებ ეითარებად ითვლება, მეორედ კი — პირიქით.

გვ. 161

ლამაზი რამ არის ეს ფერდობი! — ეს ფრაზა ცნობილია იმით, რომ იგი თითქმის ერთადერთი ადგილია მთელ „ისლანდიელთა საგებში", სადაც გადმოცემულია ბუნების მიერ ადამიანში აღძრული ემოცია.

გვ. 165

მომეცი ორი დალალი — ქალის თმის გამოყენება მშვილდის ლარის დასაგრეხად გაჭირვების დროს ალეაშემორტყმული კაცისაგან ჩვეულებრივი მოტივია ლათინურ ლიტერატურაში. მეცხრე საუკუნის ერთ ანგლო-საქსურ ლარნაკზე, რომელიც ეეშაპის ულვაშისაგან არის გაკეთებული, გამოხატულია ფანჯარასთან მომდგარი კაცი. იგი მომხდურებს იცერიებს შვილდ-ისრით, მის უკან კი ქალი დგას. ლარნაკი ბრიტანეთის მუზეუმში ინახება.

გვ. 169

ვალპალა — სკანდინავიელთა უზენაესი ღვთაების ოდინის სასახლე, სადაც თავს იყრიდნენ ბრძოლის ველზე დაღუპული მეომრები. აქ ისინი ღღისით იბრძოდნენ, საღამოს კი ღრეობდნენ. სკანდინავიელთა რწმენით ვალპალაში ვერ მოსვდებოდა თავისი დღით გარდაცელილი კაცი. ბრძოლის ველიდან დახოცილები ვალპალაში მიპყავდათ ღვთაებრივ ქალწულებს — ვალკირიებს (ვალ კირია-— მკვდრის მოგალობე).

ორი ყორანი ფრენით მისდევდა უკან — ოდინის ამ წმიდა ფრინველების გამოჩენა სასიკეთო ნიშნად ითვლებოდა.

გვ. 171

სვეინ ფიწლისწვერა — დანიას მართავდა დაახლოებით 985—1014 წლებში.

მიკლაგარდი — კონსტანტინოპოლი (მიკლა გარდ — დიდი ქალაქი).

გვ. 177

სიგურდ იარლი — ორკნეის კუნძულების მბრძანებელი. იგი პარალდ თმა-შვენიერს ემორჩილებოდა.

პროსეის კუნძული — დღევანდელი მეინლენდი, ყველაზე დიდი კუნძული ორკნეის კუნძულებიდან.

გვ. 184

დაგასმენ, რომ აქა სარ — თუ პრაპი ამას გააკეთებდა, მაშინ მას მოესსნებოდა კანონგარეშე გამოცხადება.

გვ. 185

ბომონი — სამსხვერპლო, სადაც ბომონი იდგა ღვთაებათა გამოსახულებით. აქ, სამსხვერპლოზე, იდო წმიდა ბეჭედი (ოქროსი ან ვერცხლისა), რომელზედაც ხელდადებულნი ფიცს წარმოთქვამდნენ. აქვე იდგა სისხლის თასი, ანუ ქვაბი, რომელშიაც მსხვერპლად შეწირულთა სისხლს წურავდნენ და მცენარის ტოტით ამ სისხლს იქვე მდგომთ აპკურებდნენ, რათა ეკურთხებინათ ისინი ყოვლისშემძლე ღმერთთა წინაშე. სამსხვერპლოზე ენთო წმიდა ცეცხლი, რომელიც არასოდეს არ ქრებოდა. მსხვერპლად სწირავდნენ ყოველგვარ ცოცხალ არსებას, ხანდასან ადამიანსაც კი. ესენი ძირითადად მონები ან დამნაშავენი იყვნენ, ისე, რომ კაცის მსხვერპლად შეწირვა მის დასჯას უდრიდა. ასევე ასურებდნენ სისხლს ღვთაებების გამოსასულებებს, საკურთხეველსა და კედლებს. დაკლული საქონლის ქონს ადნობდნენ, გამოსახულებებს უსვამდნენ, შემდეგ აშრობდნენ და აპრიალებდნენ მათ. სარეს იქვე მაღლიდან დაკიდულ უზარმაზარ ქვაბებში ხარშავდნენ. დამსწრენი კედლების გაყოლებით ჩამორიგებულ სკამებზე სხდებოდნენ, დაკლული საქონლის სორცსა და წვენს შეექცეოდნენ, სვამდნენ თაფლით შეზავებულ ლუდს. მაშინ წამოდგებოდა საკურთხეველის პატრონი, რომელიც ნაიის ხელმარჯვნივ მდგომ საპატიო სკამზე იჯდა და სასმელ-საჭმელს ლოცავდა. მასვე ევალებოდა წმიდა სადღეგრძელოების წარმოთქმა. პირველად ოდინის სადღეგრძელო ისმოდა, როგორც გამარჯვებისა და ძლიერების ღმერთისა. შემდეგ ნიორდსა და ფრეის სთხოვდნენ მშვიდობასა და უსე მოსავალს. მესამე სადღეგრძელო თორს ეკუთვნოდა, ნორმანთა უსაყვარლეს, ყოვლისშემძლე ღმერთს. შემდეგ მოდიოდა სიმღერისა და მხიარულების ღმერთის ბრაგის სადღეგრძელო, რასაც სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთის ფრეიას დღეგრძელობა მოპყვებოდა. ბოლოს კი ასსენებდნენ გარდაცვლილთ. ბრაგის სადღეგრძელოს შესმისას ფიცს სდებდნენ ამა და ამ დროს ჩაედინათ რაიმე ვაჟკაცური საქმე და დიდ სირცხვილად ითვლებოდა ფიცის შეუსრულებლობა, რადგან ისიც მომხდარა, რომ სასმელმოკიდებულთ ისეთი ფიცი დასცდენიათ, რომლის შესრულების თავი მათ არ პქონდათ.

თორგერდი, პალგის პატარძალი — ღვთაება.

ირპა — მისი და.

გვ. 186

პრაპმა პლადირს მიაშურა — აქ მთხრობელს მსედველობიდან ეპარება, რომ იმ ადგილიდან, საიდანაც პრაპი გარბის, ე. ი. გუდბრანდსდალიდან, პლადირამდე 200 კილომეტრია.

გვ. 192

სვეინმა გადააოქმეეინა. რადგან უკვე ღამე იყო — ღამით კაცის მოკვლა საშარცსეინოდ ითვლებოდა.

გვ. 194

ანგულსეი — დღევანდელი ანგლსი, სალტარი — კინტაარი, კოლა — კოლი.

გვ. 200

ფარი ეპყრა, რომელზედაც ლომი იყო ვამოსასული — ლომისვამოსასულებიანი ფარი შე-10 საუკუნეში არ არსებობდა. ესეც ანაქრონიზმია.

გვ. 206

ამბობენ, დისებმა მოკლესო — ეს ამბავი „ოლავ ტრიუგვეის ძის საგაშია" მოთხრობილი: თიდრანდი ერთმა ნათელმხილველმა გააფრთხილა, სახლიდან არ გამოსულიყო, ეისაც არ უნდა დაეკაკუნებინა კარზე, მაგრამ იგი მაინც გარეთ გამოიჭრა, როდესაც კაკუნი გაიგონა, რადგან ეგონა, ეინმე ღამეული მგზავრი თავშესაფარს ითხოვსო. ეზოში რომ გამოვიდა, ერთ მხარეს ჩრდილოეთიდან ეომავალი შავ სამოსელში გამოწყობილი ცხრა ქალი დაინახა შავ ცხენებზე ამხედრებულნი, რომლებსაც ხელში გაშიშვლებული მახვილები ეპყრათ. მეორე მხარეს კი სამხრეთიდან თეთრი ტანსაცმლით შემოსილი ცხრა ქალი მოდიოდა თეთრ ცხენებზე გადამსხდარნი. თიდრანდიმ სახლში შესვლა დააპირა, მაგრამ შავოსნები გადაეღობნენ და მახვილები დაუშინეს, თუმცა თიდრანდი, რაც შეეძლო, თავს იცავდა. ნათელმხილველს გაეღვიძა და გარეთ გამოვარდა, სადაც მძიმედ დაჭრილი თიდრანდი ნახა. იგი სახლში შეიყვანეს, მან მოასწრო ეამბნა, თუ რა გადახდა თავს, და გარიჟრაჟზე სული დალია. მომსდურთა ასაეალ-დასაეალს ვერაეინ მიაგნო. პალის შეკითხვაზე, თუ რას ნიშნავდა ყოველივე, ნათელმხილველმა მიუგო: არ ვიცი, მაგრამ ეს ქალები ალბათ შენი გვარის მფარველი სულები იყვნენ. მე მეგონი, მალე რჯულის შეცვლა მოხდება და ეს ქალღმერთები (დისები) განწყენებულნი არიან, რომ მათ უწინდებურ პატივს აღარ მიაგებთო.

დისები — ზებუნებრივი არსებები, გვხვდება ქალის სახით. ზოგი მათ ვალკირიებთან აიგივებს. ისინი ლაბაღებითვე თან დაპყვებიან ადამიანს და ტოვებენ მხოლოდ სიკვდილის წუთებში.

გვ. 210

სკოუტი თოროდის ძემ დააკანონა მესუთე სამსჯავრო — მაშინ ეს უმაღლეს სასამართლოსაეით იყო. მესუთე სამსჯავროს დაარსება ჩვეულებრივ 1005 წლით თარიღდება. სინამდვილეში ეს ისლანდიაში ქრისტიანობის შემოღების შემდეგ მოხდა და არა მანამდე, როგორც ნიალის საგაშია. არი ბრძენი (იხ. შენიშვნა გვ. 220) გვაუწყებს, რომ სწორედ სკოტი თოროდის ძის თაოსნობით მოხდა ეს ცვლილება მისი კანონმეტყველად ხანგრძლივ ყოფნის პერიოდში. არც ერთ სხვა წყაროში არ არის აღნიშნული, რომ ნიალს მონაწილეობა აქონდეს მიღებულ ამ ისტორიულ ამბავში.

გვ. 213

რატომ თვალები და პირი არ დაგისურავს მისთვის? აგერ, ნესტოებიც დია

აქვს — ვინც ამას ვაკეთებდა, იგი თავად კისრულობდა ხისლის აღებას მიკლულისთვის.

ვვ. 217

ოლაფ ტრიუგვის ძე ნორეგეიაში მეფობდა 995—1000 წლებში.
სწორედ იმ შემოდგომით — ე. ი. 997 წ.

ვვ. 219

მის ქეუშ მაწამ პარი პქნა — ასეთი რამ შესაძლებელი იყო ეულკანური მოვლესის გამო.

მან სანასეკრო კურთხევა ძიიდო — ასეთ შემთხვევაში კაცს პირჯვარს გადასწერდნენ, მაგრამ არ ინაილებოდა. ამით მას უფლება ეძლეოდა ეკლესიაში შესვლისა.

ვვ. 220

პალი მონაილეს — მკელეკარები ამტკიცებენ, რომ ისლანდიის გაქრისტიანებას ამბავი, რაც „ნიალის საგაშია" მოთხრობილი (100—105 თავები), გადმოღებულია სხვა წერილობითი წყაროდან, რომელიც თავის მხრივ, ალბათ, ემყარებოდა პირველი ისლანდიელი ისტორიკოსის არი ბრძენის მიერ შედგენილ „ისლანდიელთა წიგნში" („ისლენდინგაბოკ") მოყვანილ აღწერილობას (დაახლ. 1130 წ.), არი ბრძენი (იხ. აგრეთვე 114-ე თავი) დაიბადა 1067 წელს, აქ აღწერილ ამბიდან სამოცდაშვიდი წლის შემდეგ. იგი აღზარდა პაუკალელმა პალ თორარინის ძემ, რომელმაც 94 წელი იცოცხლა და ალბათ ახსოვდა კიდეც, როგორ მონათლა იგი სამი წლის ასაკში მისიონერმა თანგბრანდმა. არი ბრძენის აღმზრდელი იყო აგრეთვე ტეიტ ისლეივის ძე. ეს ისლეიფი იყო ისლანდიის პირველი ეპისკოპოსი და შვილი გიცურ თეორისა (იხ. თ. 46).

ვვ. 221

და მასსრად ავიგდო — კონრად მაურერის აზრით, აქ ოდინთან დაკავშირებული რომელიღაც მითოლოგიური ლეგენდა უნდა იყოს ნაგულისხმევი. ეტყობა ამ ლეგენდამ ჩვენამდე ვერ მოაღწია.

ვვ. 222

იმ ზაფხულს პიალტი და გიცურ ოეთრი ისლანდიიდან გაემგზავრნენ — შემდეგი თავის ბოლოს ნათქვამია, რომ სწორედ ამ ლექსის გულისათვის პიალტი სკეგის ძე განდევნილ იქნა ისლანდიიდან.

ვვ. 223

ბერსერკი — ამ სიტყვას სხვადასხვანაირად სსნიან. ყველაზე შეხაფერ განმარტებად მიიჩნიათ „დათვისტყაეიანი", რადგან წარმართულ ეპოქაში მებრძოლები დათვის, მგლის ან ირმის ტყავს ისურავდნენ ტანზე, ისევე, როგორც სამხრეთის ქვეყნებში ლომის ტყავს (საინტერესო რემინისცენცია ტარიელის ეფფხის ტყავთან!). მათ ეგონათ, რომ ასეთი ტყავი ნადირის თვისებებს ანიჭებდა მის მატარებელს. დღეს ზუსტად არავინ იცის, მართლა იცვამდნენ თუ არა ბერსერკები დათვის ტყავს ლაშქრობაში. ვიკინგების ეპოქაში ბერსერკები ძალზე დაფასებულ-

ნი იყენენ, რადგან ბრძოლის დროს ისინი წარმოუდგენლად შმაგდებოდნენ (ისლანდიურად ამას პქვია „ბერსერკსგანგრ“ — ბერსერკის რისხვა), ნადირებივით ყმუოდნენ, პირზე ქაფი ადგებოდათ და თავიანთი ფარების კიბინის სალტეებს ღრღნიდნენ. ასეთ დროს, როგორც სწამდათ, მათ ვერც იარაღი აკლებდა რაიმეს, ვერც ცეცხლი, და ბერსერკები დიდ ზიანს აყენებდნენ მტერს. სამაგიეროდ, როდესაც სიშმაგე გაუვლიდათ, ისინი სრულიად უძლურნი ხდებოდნენ. პარალდ თმაშვენიერს თორმეტი ბერსერკი პყავდა თავის სომალდზე პაფრსფიორდის ბრძოლაში. საინტერესოა, რომ არც ერთი ბერსერკი წარმოშობით ისლანდიელი არ ყოფილა. მკვლევარია მტკიცებით, ისინი ნორვეგიელები ან შვედები იყვნენ და ყველგან შაშსა და ზიზღს იწვევდნენ. ნორვეგიაში ბერსერკები კარდაკარ დაძრწოდნენ, აყალმაყალს ტეხდნენ, მამაკაცებს ორთაბრძოლაში იწვევდნენ და, თუ ვაჟმარჯვებდნენ, მიპყავდათ მათი ცოლები, დები, ასულები და მიპქონდათ მათი ქონება. 1012 წელს იარლმა ეირიკმა კანონგარეშე გამოაცხადა ისინი. ქრისტიანობის შემოღების შემდეგ ბერსერკები სრულიად გაქრნენ.

გვ. 225

თორგეირ ლიოსავატნელი გოდი — კანონთმეტყველი იყო 985—1001 წლებში. მის დროს, 1000 წელს ზაფხულზე ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად იქნა აღიარებული ალთინგზე. არავითარი საფუძველი არ არსებობს ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ეს „ნიალის საგაშია“ აღწერილი. აღსანიშნავია, რომ ისლანდიელები არასოდეს მიპბრუნებიან წარმართობას, თუნდაც დროებით, როგორც ეს სკანდინავიის სხვა ქვეყნებში მოხდა. მაგალითად, კონუნგმა ოლავ წმიდამ ძალადობით მოახვია თავს სალხს ქრისტიანობა, რისთვისაც იკი მოკლეს კიდეც.

კეთილ ორაგული — პრავნისტელთა ძველ და სახელგანთქმულ გვარში ყველას, ვისაც „კეთილი“ ერქვა, ემატებოდა მეტსახელი „ორაგული“. მათმა ლეგენდარულმა წინაპარმა, პირველმა კეთილ ორაგულმა გველეშაპი მოკლა და როდესაც მამამისმა პკითხა, რა პქენიო, უპასუხა: „მე ბევრი ფიქრი არ მჭეროვია, როცა თვეზი ჩემ თვალწინ ხტუნაობს, და ავდექი და შუაზე გავჩეხე ეს უშველებელი ორაგული“. მაშინ მამამ მას მეტსახელად ორაგული შეარქვა და მას შემდეგ ყველა „კეთილს“ შემორჩა ეს მეტსახელი.

გვ. 226

ბავშვების გადაგდება დაბადებისთანავე არცთუ ისე გავრცელებული მოვლენა უნდა ყოფილიყო ისლანდიაში, თუმცა ამაზე რამდენიმე საგაშია ლაპარაკი (მაგ., „კუნლაუგ გველისენას საგა“, თ. 3). ეს მოქმედება ყველგან დაგმობილია. როგორც არი ბრძენი, აღნიშნავს, არც ბავშვების გადაგდება და არც ცხენის ხორცის ჭამა არ აუკრძალავს ოდესმე თორგეირს არც კერძო საუბარში და არც საჯაროდ, როდესაც პირველად დააკანონა ქრისტიანობა. როგორც ჩანს, ბავშვების გადაგდების წესი მონების ნაშიერთ ესებოდა.

გვ. 230

მოაკარი საცსოვრებელი სასლი — ისლანდიური კარ-მიდამო რამდენიმე ერთმანეთზე მიჯრილი ნაგებობისაგან შედგებოდა. ყოველ მაოვანს ცალკე სასურაკი

პქონდა. კედლები ტორფით იყო ამოყვანილი, ფანჯრები არ პქონდა. შუაში აღმართული იყო მთავარი საცხოვრებელი სახლი (skáli ანუ eldaskáli — elda — ცეცხლი). მიწურ იატაკსე გრძელი კერია ესთო, რომლის კვამლი სასურავში დატანებული სვრელიდან გადიოდა. სახლს ჭერი არ პქონდა. კედლებს ფიცარნაგი გასდევდა, რომელსაც საძინებლად იყენებდნენ. მეორე ოთახში (stofa) კედლების გაყოლებით გრძელი სკამები იდგა და მათ წინ მაგიდებს დგამდნენ. დანარჩენ ნაგებობებს საშეურნეო დანიშნულება პქონდათ.

გვ. 234

ეს მათ საქმეს წაუსდენს — მკელელობის მონაწილეს კანონის ძალით არ შეეძლო გასძღოლოდა დავას მკელელობის წინააღმდეგ.

—

გვ. 236

თოროლე ქონიანისა — ეს თოროლვი ისლანდიის ერთ-ერთ პირველაღმომჩენ ფლოკის (იხ. წინასიტყვაობა) ასლდა თან ისლანდიაში და უკან დაბრუნებული აქებდა და აღიდებდა მის ბუნებას, იქ ყოველ ბალასსაც კი ქონი გასდისო. სწორედ ამიტომ შეარქვეს ეს სახელი.

გვ. 234

გუდრუნი, ოსვივრის ასული — „ორაგულის ველის მკვიდრთა საგაში" ერთ-ერთი მთავარი გმირი ქალი. მის ბედ-იღბალს ამსგავსებენ „ნიბელუნგების" ბრუნპილდის ბედს.

გვ. 247

უკან პელგი მოპყვა... შემდეგ გრიმი... შემდეგ სკარპედინი — მკელეევარებს დღემდე ვერ დაუდგენიათ ნიალის შვილების უფროს-უმცროსობა. ზოგი სკარპედინს მიიჩნევს უფროს ძმად, ზოგიც პელგის.

გვ. 251

ბალაგარდსიდი — ფინეთის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროს ნაწილი.

ადალსიუსლა — ესტონეთის სანაპირო საარემაას კუნძულთან.

გვ. 253

თორმეტ წყრთაზე გადავასტი მარკარფლიოტს — ძველისლანდიური ანგარიშით დაასლოებით ხუთმეტნახევარს უდრის.

გვ. 259

შემდეგ ზარს ჩამოკრეს — იგულისხმება ალთინგის ველზე მდგარი ეკლესიის ზარი. იმ დროს ეს ეკლესია ალბათ არ არსებობდა.

პენინგი — ფულის უმცირესი ერთეული, 1/60 ეარირი.

გვ. 260

აბრეშუმის საფარი აიღო — როგორც ჩანს, ეს აბრეშუმის საფარი ლამაზად იყო მოქარგული, რის გამოც ძვირფას მორთულობად ითელებოდა და მისი ტარება შეეძლო როგორც მამაკაცს, ისე ქალს. იშვიათი როდი იყო, როდესაც საზღაურის თანსას ზედ ასეთ საფარსაც მიაყოლებდნენ სოლმე, რათა შერიგებისას თავიანთი კეთილგანწყობილება დაედასტურებინათ. რაკი ასეთ მორთულობას ქალებიც ატარებდნენ, ფლოსის შეურაცხყოფილად უნდა ეგრძნო თავი, მით უმე-

ტეს, რომ ნიალის შვილები იოლად გადაურჩნენ შერიგებას (100 ვერცხლი სასელოვანი კაცის საზღაურის ნასესხარს უდრიდა).

გვ. 261

მთის ჯადოქარს პატარძლად უზისარ ყოველ მეცხრე ღამეს — სკარპედინის სიტყვები მიუტევებელ შეურაცხყოფად ითვლებოდა. ბრალის დადებას იმაში, რომ კაცი ქალის მაგივრობას სწევდა მეცხრე ღამეს, კანონი განსაკუთრებით კრძალავდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ასეთი საქციელი არცთუ ისე იშვიათად სდებოდა. მსგავსი ამბავი სხვა ორ საგაშიც გვსვდება.

გვ. 266

ისეთი სანძარი გაისმა, რომ მთებიც კი აღარ ჩანდა — სწორედ ამ ადგილიდან აღმოსავლეთის მხარეს მდებარეობს ცნობილი ვულკანი პეკლა.

გვ. 269

ბორცვის წინ დარტაფი იყო — დღეს ამ ადგილას არავითარი დარტაფი თუ მღვიმე არ არსებობს, რომელიც ას კაცსა და ორას ცხენს დაიტევდა, მაგრამ ერთი ისლანდიელი გეოლოგი ამტკიცებს, რომ ნიალის დროს აქ დიდი მღვიმე უნდა ყოფილიყო.

გვ. 278

ოდეს მოესმის ფართა ხათქუნი... — ამ ლექსის დანარჩენი ნაწილის აზრი თვით ისლანდიელ მკვლევარებსაც ვერ გაუგიათ.

გვ. 283

ნიალის გვამსა და სასეს კი... ნათელი გადასდის — ასეთი მტკიცებები ხშირად გვსვდება წმიდანთა ცხოვრების აღწერებში მე-13 საუკუნეში.

გვ. 285

ღაცა წამოვიწყოთ ფლოსის წინააღმდეგ — რადგან ფლოსიმ საკუთარი ხელით მოკლა პელგი, სასჯელიც მას უნდა მიეღო.

გვ. 293

ტვინისა თუ სხეულის თუ ძვლის ღრმა ჭრილობა — ეს ფორმულა ამოღებულია კანონთა კრებულიდან, სადაც ჩამოთვლილია ყოველგვარი სახის ჭრილობები. ჭრილობის დასახელებასთან ერთად საჭირო იყო აღენიშნათ თუ, სახელდობრ, რომელი ჭრილობა მიაყენა მოპასუხემ.

გვ. 298

ბიურგისბუდი — ეს სადგომი იდგა ლავის შვერილის პირას და მას სამი მხრიდან კლდე იცავდა. ამ ადგილს დღესაც ეტყობა ადამიანის ნასელავი მიწაყრილი, რომელიც სადგომს მეოთხე მხრიდან იფარავდა.

გვ. 301

ბლადბუდის სადგომი — სნორი ეოდის სადგომი.

გვ. 302

სამაჯური ისე დიდი იყო... — ამ სამაჯურის ფასი ცხრამეტი ძროსის ღირებულებას უღრიდა.

გვ. 313

ფიცს ვდებ წიენზე — ე. ი. სახარებაზე ან ლოცვანზე. მორდის ეს სიტყვები

1011 წლისათვის, როდესაც შედგა პროცესი ნიალის დაწვის თაობაზე, ანაქრონიზმად უნდა მივიჩნიოთ.

გვ. 314

ამ საქმეს ვაცნობ... იონს — წესით მოსარჩელეს უნდა მიემართა ერთ-ერთი მსაჯულისათვის, რომელიც ბოლოს გაიმეორებდა ყველაფერს, რაც სამსჯაროზე ითქვა. მთხრობელს შეცდომა მოსდის, როდესაც კანონთა კრებულიდან პირდაპირ ვადმოაქვს ქრისტიანული სახელი იონი, რომელიც წარმოუდგენელია მე-11 საუკუნის დასაწყისში. მოწმეების — თორდისა და თორბიარნის სახელები კი იმ დროისათვის ჩვეულებრივი იყო. ეს სახელებიც კანონთა კრებულიდან უნდა იყოს გადმოღებული.

გვ. 333

აღარც ერთი იყო ცოცხალი — აქ ფაქტი ოდნავ დამახინჯებულია. თორვალდ წვერსუჭუჭამ თავისი ძმა გუნარი ცოცხლად დაწვა მისსავე სახლში, ისტფიორდში. მათმა პაპამ, თორირ წვერსუჭუჭამ მოკლა მონა, რომელსაც სახელად კოლი ერქვა; ამის ვამო თორირი ისლანდიიდან განდევნეს და მის ქონებას კონფისკაცია უყვეს ალთინგის სასარგებლოდ. თორვალდ წვერსუჭუჭა თან ახლდა ფლოსის, როდესაც ნიალი დაწვეს. იგი ალთინგზე გამართულ ბრძოლაში მოკლეს. ყურადღება მიაქციეთ ფლოსისათვის გაცემულ სნორის პასუხს: „ვიცი, ვისაც მიუძღვის ბრალი და, თუ გინდა, გეტყვი კიდეც. თორვალდ წვერსუჭუჭასა და კოლს".

გვ. 339

ვისაც მარტო სიტყვით კლავენ — ინგლისში დღესაც არსებობს ანდაზა: „ვისაც ემუქრებიან, ის დიდხანს ცოცხლობს".

გვ. 340

როდესაც შვიდი კაცი დასოცეს სვეში — თორვეირს ზედმეტი სახელი სწორედ ამის გამო შეარქვეს (სკორარგეირი — სვეის გეირი, მოხვევე გეირი).

გვ. 359

ფრიდარეი — დღევანდელი ფერ-აილის კუნძული.

სიგურდ იარლმა საშობაოდ დაპატიჟა გილი იარლი — აქ იწყება პირველი ჩანართი „ბრიანის საგიდან", რომელიც დაკარგულად ითვლება. ეს შეიძლება ყოფილიყო აგრეთვე „სიგურდ იარლის საგა", რომელიც ასევე დაკარგულია. ეს ჩანართი ისლანდიური საგებისაგან განსხვავდება სტილითაც და შინაარსითაც. მასში ჭარბად არის სასწაულებრივი მოვლენები. ბრიანის ეპიზოდში (თავები 154—157) აღწერილი კლონტარეის ბრძოლა დუბლინის ასლოს მოხდა წითელ პარასკევს, 1014 წლის 23 აპრილს, როდესაც ირლანდიის მეფე ბრიან ბორუმა (მეფობდა 1002 წლიდან) სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეება დუბლინის მეფე სიტრიუგ აბრეშუმისწვერას (მეფობდა დუბლინში 989—1035 წლებში) და თავისი ცოლყოფილის გორმფლაითის („ნიალის საგაში" — კორმლადი) ძმას მელმორდას, ლეინსტერის მეფეს. ეს ბრძოლა ირლანდიულ ანალებშიც არის მოხსენიებული და მისი აღწერილობა ძირითადად ემთხვევა ნიალის საგას.

სვანლაუგი — გილი იარლის ცოლი. 89-ე თავში იგი ნერეიდის სახელით არის ნახსენები.

კანცლერაბორეი — კანკორა, ბრიანის რეზიდენცია მანსტერში.

გვ. 360

როგორც წინ ეწერა — აქ თავდება პირველი ჩანართი „ბრიანის საგიდან".

გვ. 361

მაშინ სიგტრიუგ კონუნგმა თავის საქმეზე დაუწყო საუბარი — აქ იწყება მეორე ჩანართი „ბრიანის საგიდან".

გვ. 364

ბრძანა, გადაებურაო ყველა სომალდი — მკელევარებისათვის ეს ფრაზა გაუგებარია.

გვ. 366

შენ თვითონ აიღე ეგ შენი ოსერი — დედანშია fjandi — რაც წარმართულ ისლანდიურში მტერს ნიშნავდა, ქრისტიანობის შემდეგ კი ეშმას, სატანას. ამ ფრაზაში გულისხმება მოჯადოებული დროშა. ერთ საგაში, მსგავს სიტუაციაში ნასმარია სიტყვა „ყორანი", რადგან ვიკინგებს თავიანთ ალმებზე ყორანი პქონდათ გამოსახული.

გვ. 367

ასეთ ლექსებს შდეროდნენ — ამ სიმღერაში ასახულია კლონტარეის სისხლისმღერელი, ირლანდიის ისტორიაში ყველაზე სახელგანთქმული ბრძოლის შთაბეჭდილება. იგი ოდნავ სახეშეცვლილი შედის აგრეთვე „უფროსი ედას" დამატებით სიმღერებში, ფიქრობენ, რომ ის შეიქმნა მე-11 საუკუნის დასაწყისში ორკნეის კუნძულებზე და მის პირველწყაროდ უნდა გამხდარიყო სიმღერები, რომლებსაც ქალები საქსოე დაზგაზე მუშაობის დროს მღეროდნენ. სიმღერის შინაარსი ასეთია: ვალკირიები ქსოვენ საბრძოლო ალამს, რომელიც მის მატარებელს გამარჯვებასა და მასთან ერთად სიკვდილს მოუტანს.

გვ. 368

პაართრიმული, პალდი, სანგრიდი, სვიპულიჩ განდული, გუნი — ვალკირიების სახელებია.

გვ. 370

ფლოსი და იარლი ბევრს ლაპარაკობდნენ ამ სიზმარზე — აქ თავდება მეორე ჩანართი „ბრიანის საგიდან".

გვ. 372

აღმოსავლეთის გზით — ე. ი. შვეიცარიასა და გერმანიაზე გაელით.
ეირიკ იარლი ნორვეგიას განაგებდა 1000—1015 წლებში.
დასავლეთის გზით — ე. ი. საფრანგეთზე გავლით.

გვ. 373

ამით ვამთავრებთ — ზოგიერთ გამოცემაშია — ამით ვამთავრებ. ვამთავრებთ ნასმარია დასენტის ინგლისურ თარგმანში. ასევეა შვედურ თარგმანშიც.

Исландский эпос

САГА О НЬЯЛЕ

(На грузинском языке)
Детгиздат Грузинской ССР
«Накадули», Тбилиси, 1977

ს. ბ. № 187

რედაქტორი ნ. ბოგოძე
მხატვარი გ. კასრაძე
მხატვრული რედაქტორი შ. დოლიძე
ტექნიკური რედაქტორი ზ. დონდუა
კონტროლიორ-კორექტორი დ. კალანდარიშვილი
კორექტორი თ. ენდელაძე
გამომშვები ნ. კაკაშვილი

გადაეცა ასაწყობად 29/X-76 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/V-77 წ.
ანაწყობის ზომა 60×9
სას. ქაღალდი № 1, ზომა 60×84 1/16
ნაბეჭდი თაბახის რაოდენობა 22,05
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 19,08
ტირაჟი 20.000 შეკვეთის № 2908
ფასი 1 მან. 76 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული", თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №5
Издательство «Накадули»,
Тбилиси, ул Марджанишвили № 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის წიგნის ფაბრიკა. მეგობრობის გამზ. № 7.
Тбилисская книжная фабрика Государственного Комитета Совета Министров Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7